ვლავლია ფ
ლევლარიანი

ფიროსმანი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1988

84Гр7—44
ლ 278

რომანში „ყმაწვილკაცობა მემატიანისა" მოთხრობილია ჩვენი სასიქადულო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ხოლო მეორე რომანში „სიკვიბუკე პოეტისა" აღწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრაგიკული ცხოვრება.

მეორე გამოცემა

Д $\frac{4702170200—061}{М\ 601(08)\ 88}$ 248—88

ISBN 5—529—00088—6



ყმაწვილ კაცობა მემატიანისა





პირველი ელჩობა

ოთხი მხლებლის ამარა წავიდა ავთანდილ ციციშვილი გარეჯს. ვახტანგის უსტარი მიჰქონდა სულხან-საბასთან. წინ ავთანდილი მიდიოდა, გვერდით პატარა ვახუშტი ედგა, უკან მხლებლები.

გზა ტყის ნაპირს მისდევდა, ვიწრო გზა იყო ტყისა და მდინარის შუა. საამოდ ჟღურტულებდნენ ტყის ბინადარნი, აყვავებულ მაყვლის ბარდებში შაშვი ჭახჭახებდა, ტყის სიღრმეში ბულბული უსტვენდა.

მთელი გზა დაფიქრებული მიდიოდა ავთანდილ ციციშვილი. ვერც ვახუშტი ბედავდა სიჩუმის დარღვევას. ვახუშტის ფიქრი სულხან-საბასთან შეხვედრის სურვილს დაეპყრო. „გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, — გაახსენდა გარსევანიშვილების ჩაგონება. ტკბილად მოუბარი ენა არ არის საკმარისი სულხან-საბას წამოსაყვანად. სიბრძნეც უნდა ახლდეს უთუოდ.

მწუხრის ჟამს მიაღწიეს გარეჯს. კლდესა შიგან გამოკვეთილი იყო სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი. მონასტრის ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. არც მონასტერს ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

— მწუხრის ლოცვაზე იქნებიან, ალბათ! — მოახსენა მხლებელმა ციციშვილს.

— დაველოდოთ, ლოცვის დროს ნუ შევაწუხებთ. არ გაგვინაწყენდეს ბატონი სულხან-საბა.

ცხენებიდან ჩამოხდნენ.

— ცხენები აქვე მივუშვათ! — ბრძანა ციციშვილმა.

ვახუშტი კლდის ნაპირთან მივიდა. მტკვრის ნაპირს დაქანებული ფერდი გასდევდა. მტკვარსა და მონასტერს შორის, გარეჯის დაცემულ მინდორზე, ცხვარი საძოვრად გაშლილიყო. ვახუშტი კლდიდან გადასცქეროდა მიდამოს და ფიქრობდა: „შიშველ კლდეებს ძლივს ფარავს ამწვანებული ბალახი, როგორ სძლებს აქ დიდი სულხან-საბა. არც გარეჯის მონასტრის შენობები ჰგავს სხვა ტაძართ. რამდენი ტაძარი უნახავს ვახუშტის ცადაზიდული, ლამაზი გუმბათებით, აქ კი თითქოს მწირ ბუნებას თან შეზრდია წინაპართა ნახელავი. გამოქვაბულებში ბერები შეხიზნულან და საზღვაო ციხესიმაგრედ გადაუქცევიათ იგი“.

გასულ წელს დედოფალმა რუსუდანმა ხელოსნები მრავლად გამოგზავნა, თავისი ხარჯით აქაურობის შეკეთება, განსაკუთრებით დავითის ლავრის გამშვენება ბრძანა.

ქვეწარმავალთა სიმრავლე აწუხებდა გარეჯს. ცხენებს ზღარბები აჰკიდეს მოწნული გოდრებით, გარეჯს გაგზავნეს ქვეწარმავალთა გასანადგურებლად. ვახუშტის ფიქრები ისევ მამას დაუბრუნდა. „ძნელია არეული ქვეყნის მოწესრიგება. ყოველი საცდელი უნდა სცადოს მამამ. ყიზილბაშთა მომადლიერება, უგვანო თავადთა ალაგმვა, გლეხთა შეწყალება. რამდენი საქმე აქვს. ღმერთო, შეაძლებინე მოაცილოს ჭირის ბადე ჩვენს ქვეყანას“.

დაბანაკებულებს შავით მოსილი ბერი მიუახლოვდა, — დიდმა საბამ თქვენი ხლება ბრძანაო!

კარებში სულხან-საბა იდგა. ვახუშტიმ თავისი დიდრონი თვალები შეანათა. მთლიანად გათეთრებულიყო მოხუცი, გამხდარიყო, თვალებს სევდა გადაჰკროდა. ამქვეყნიურს აღარ ჰგავდა იგი. ბატონიშვილი ნელა მიუახლოვდა, ხელზე სამთხვევად დაიხარა; სულხან-საბამ ზევიდან დახედა ვახუშტის, იცნო, შეტოკდა, თავი ორივე ხელით აუწია, თვალებში ჩახედა, ხმა აუკანკალდა.

— ვახუშტი, შვილო, რამოდენა გაზრდილხარ!

ვახუშტი სულხან-საბას ანაფორის კალთას მიეკრა და მისი ხელი ჩაბღუჯა.

ავთანდილმა ვახტანგის უსტარი გადასცა სულხან-საბას. მან გრაგნილი ჩამოართვა, გარეთ გამოვიდა. ჩამავალ მზის სხივებზე დაიწყო კითხვა, სახე თანდათან გაუბრწყინდა.

— ჩამოვიდა ჩემი გაზრდილი, პატრონი ქართლისა! — დინჯად თქვა და თვალები ზეცას მიაპყრო. — ღმერთო ძლიერო, დაულოცე სავალი გზა, თავისი ხალხის და თავის ქვეყნის ერთგული ყაე მუდამ. კანონი და სამართალი დაამყარებინე! — და მოსულნი სენაკში შეიწვია.

ჩაბნელებულ სენაკში ვიწრო სარკმლიდან მცირე შუქი შემოდიოდა. სულხან-საბამ კუნძზე მიუთითა, ჩამოსხდნენ. თვითონაც იქვე ჩამოჯდა, ხმას არ იღებდა.

ახალგაზრდა შაოსანმა ბერმა კედელში გამაგრებული ჭრაქი აანთო. ჭრაქის ალი ალიცლიცდა ჩაშავებულ კედელზე. ფიქრი გაუწყდა სულხან-საბას. ხელში შერჩენილი გრაგნილი მაგიდაზე დადო, კვლავ ფიქრს მისცა თავი. ვახუშტიმ გრაგნილს გააყოლა თვალი. გრაგნილი გაშლილ ქაღალდებზე იდო, მის გარშემო წმინდა, ლამაზი ხელით ნაწერი ფურცლები მიმოფანტულიყო. ეტყობოდა, სტუმრების მოსვლამ სულხან-საბას წერა შეაწყვეტინა. ქაღალდზე ჭრაქის ალი ალიცლიცდა. ვახუშტიმ მორიდებით გააყოლა თვალი ნაწერს. ჭრაქის ალი ქაღალდის მცირე ნაწილს აშუქებდა. ბაგეების მცირე მოძრაობით წაიკითხა განათებული ადგილი: — „ყოველივე კეთილის სიცოცხლეში ქნა სჯობსო და სიკეთის ქნას დაეშუროსო“, — ბიჭის ჩურჩული ჩაესმა სულხან-საბას.

— კარგი კითხვა გცოდნია, ვახუშტი!

ვახუშტიმ გაბრწყინებული თვალებით შეხედა სულხან-საბას და წაკითხული ხმამაღლა გაიმეორა:

— ყოველივე კეთილის სიცოცხლეში ქნა სჯობსო და სიკეთის ქნას დაეშუროსო.

სულხან-საბა დაკვირვებით დააჩერდა ბიჭს, თითქოს რიღაცის პასუხს ეძებსო. მერე წამოდგა. ახალგაზრდა მორჩილს მიუბრუნდა:

— სტუმრები მოასვენე, შვილო ჩემო! — ავთანდილს მიუბრუნდა. — ავთანდილ ბატონო, ჩემს პასუხს ხვალ დილით მიიღებთ.

ავთანდილი და ვახუშტი ახალგაზრდა მორჩილს გაჰყვნენ. სულხან-საბა სენაკში მარტო დარჩა.

„ვინ არის, უცოდველი ბავშვის პირით რომ სცემს პასუხს ჩემს ფიქრებს! — „სიკეთის ქნას დაეშუროსო“, — სიცოცხლეშივე უნდა მოვასწრო ყოველივე სიკეთე“.

„ბერი ხარ, ამქვეყნიური საქმეები სიკეთედ აღარ გეთვლება, შენი სიკეთე იქ არის, ზეცაში“.

„ცოდოა შენი გაზრდილი, ზეცა გაპატიებს ამ შეცოდებას, მძიმე

მისი ხელდრი, მოშლილია საქართველო, სპარსელთაგან და უღვთო თავადთაგან აოხრებული ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად ერთგულნი უნდა შემოვიკრიბოთ ტახტის გარშემო".

„ნუთუ ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდები?"

„ვერ დავაგდებ ჩემს გაზრდილს გაჭირვებაში, მარტოხელას ვერ დავტოვებ, ვერა!"

„ბერობაში საკუთარ შვილებსაც ივიწყებენ!"

„ჩემი გაზრდილი ქვეყნის პატრონია. მისი ღალატი ქვეყნის ღალატია. მტერთა დასამარცხებლად ერთობა დიდი განძია. როცა ერთად ვიქნებით და ერთსა პირსა ზედა ვიდგომებით, მტერი ვერ გაგვტეხს"...

„სხვათა უნდა დაუთმო ქვეყნის საქმე, ეგ შენ აღარ გეხება!"

„ჩვენი სჯული და ჩვენი ქვეყანა ერთი სისხლხორცია, ერთმანერთს ვერ დააცილებ!"

„ვინც სჯულს შეუდგა, ქვეყანასთან არა ესაქმება რა, შენ უბრალო ბერი არა ხარ, სულხან-საბავ, ქვეყნის ჭირ-ვარამი შენს გულს ამიერიდან აღარ ეკითხება! დაიხშე გული ყოველი ამ ქვეყნიურისათვის, ღმერთს განეკუთვნე და ღმერთის ერთგული დარჩი ბოლომდე, შენ ხომ შენი ქვეყნის ერთგულებისათვის შეუდექი ღმერთს!"

„ღმერთის ერთგულება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ქვეყნის ერთგულია. ვინ გაჰყო ერთმანეთისაგან ღმერთი და სამშობლო?!"

ამ ფიქრთა ჭიდილმა არ დააძინა მოხუცი.

არც ვახუშტის ძინებია. ჩაბნელებულ სენაკში თვალებდაჭყეტილი იწვა, სუნთქვისაც ეშინოდა.

„ვითომ არ წამოვა სულხან-საბა?"

„როგორ არ წამოვა? ჭკვიანია, იცის, როგორი საჭიროა ქვეყნისათვის".

„ბერი რომ არის?"

„რას უშლის ბერობა, განა ღმერთს არ უნდა ჩვენი ქვეყნის სიკეთე? სულხან-საბას ნაწერში არ ამოიკითხა — „სიკეთის ქნას დაეშურეო"? რა ქნას მამამ, რამდენი დარდი აქვს. სულხან-საბაზე უკეთ ვის შეუძლია მამის ნაღველის შეტყობა?" — ნეტავ დიდი ვიყოო", — ინატრა ბიჭმა.

ერთგულნი მრავლად შემოეხვივნენ მამას. მაგრამ იცის ვახუშტიმ, ახალ მოყვარეს ძველი მოყვრის მიწა და ნაცარი რომ სჯობს.

„შენი ენამზეობა მოიხმარეო! — უთხრა მამამ ავთანდილ ციციშ-

ვილს წამოსვლის წინ. — არ დამიტოვო ბატონი სულხან-საბა გარეჯს. გამიჭირდება მარტოს. ყველა ჩემი ერთგული გარს უნდა მეხვიოს. სულხან-საბას სიბრძნე კი განსაკუთრებით საჭიროა ახლა ჩემთვის“.

ვახუშტის არაფერი დააბარა მამამ. დიდი თხოვნის შემდეგ ნება დართო, ავთანდილ ციციშვილს ხლებოდა.

მამასთან საუბრის შემდეგ, გამზრდელმა ჩუმად უთხრა:

— როგორი ენამზიანი ხარ, ბიტონიშვილო, ვინძლო მუდამ შეგრჩეს ეგ სიმდიდრე.

თავისი გამზრდელების: იასე და გიორგი გარსევანიშვილების ჩაგონებებიც წამოიშველა: — „მაშინ მიაღწევ ყოველ გამარჯვებას, თუ გაჭირვების ჟამს გამბედავი იქნები და სწრაფად მიიღებ გადაწყვეტილებას“.

აი, გაჭირვებაც.

მამამ არაფერი დააბარა. მერე რა, რომ არ დააბარა — განა თვითონ არ იცის, რა სჭირდება მამასა და მის ქვეყანას?

ნათელგზიანად იარეო, — დალოცა გადია ესმამ წამოსვლის წინ. განა მამა არ მოუწონებს კარგ საქმიანობას?!

ვახუშტიმ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

ადგა.

სიბნელეში ხელის ფათურით მონახა გასასვლელი. ავთანდილ ციციშვილის სუნთქვას მიუგდო ყური. კარი ფრთხილად გააღო; ბნელი სენაკიდან კიდევ უფრო ბნელ დერეფანში გავიდა. წუთით შედგა. რომ აღარ ახსოვს, რომელი მხრიდან მოვიდა? მარჯვენა ხელი ნესტიან კედელს გააყოლა. თამამად დაადგა გასასვლელს, ახლა იცის, სადაც არის სულხან-საბას სენაკი.

„შენი ძალის მუდამ გჯეროდესო“, — უთხრა ერთხელ გამზრდელმა. უნდა სთხოვოს პაპა სულხან-საბას, ნუ მიატოვებს მამას გაჭირვების ჟამს.

ვახუშტი სენაკის კარს მიადგა. სენაკის ჭუჭრუტანიდან შუქი გამოდიოდა. ჩანს, არ ძინავს პაპას.

კარი შეაღო.

ბნელ სენაკში კელაპტრის შუქი ციმციმებდა. ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი სულხან-საბა ვეებერთელა ზღაპრულ დევს მიაგავდა.

ვახუშტი ფეხაკრეფით შეიპარა სენაკში, სულხან-საბას გვერდით დაიჩოქა.

სულხან-საბას არავინ ეგულებოდა ლოცვის დროს მისი მყუდროების დამრღვევი, გვიან შენიშნა ბიჭი. მკაცრად გახედა გვერდით დაჩოქილს.

ვახუშტი შეკრთა, ვაითუ გავანაწყენე პაპა სულხან-საბაო.

— მეც მინდა ვილოცო ჩვენი ქვეყნისათვის! — ხმა აუკანკალდა ვახუშტის.

ცრემლი მოჰგვარა სულხან-საბას ვახუშტის სიტყვებმა, თავზე ხელი დაადო:

— ილოცე, შვილო, ილოცე, ღვთისმშობელი დედა შენს გულუბრყვილო ლოცვას შეისმენს, მისი წილხვედრია ქვეყანა ჩვენი, დედაშვილობის მადლი დაიფარავს.

— თქვენთანაც მაქვს სათხოვარი, პაპავ ბატონო, — ვახუშტიმ ანთებული თვალები შეანათა სულხან-საბას და ახლა მის წინ დაიჩოქა.

სულხან-საბა შეკრთა, ბიჭი წამოაყენა.

— მხოლოდ უფლის წინაშე უნდა დაიჩოქოს ადამიანმა, შვილო ჩემო!

— ნუ უარსყოფ მამაჩემის თხოვნას, პაპავ ბატონო, ძლიერია შინაური და გარეშე მტერი დღეს. შინაარეულობა და შფოთი გარეშე მტერს ამაგრებს. ნუ დააგდებ მარტო მამას. გევედრები, ნუ დააყოვნებ, სწრაფად გვიხმს წასვლა. მივაშუროთ, მიგველიან, დაყოვნება უთუოდ საქმეს წაახდენს! ლოცვა არ უშველის დღეს ჩვენ ქვეყანას. თქვენი სიბრძნე და გამოცდილება უნდა შეუერთოთ მამაჩემის მხნეობასა და შეუპოვრობას. ვინ მიხვდება თქვენსავით თქვენი გაზრდილის გულისნადებს?

გაყუჩებული უსმენდა სულხან-საბა ბიჭს. სახელმწიფოსათვის ერთგული მოღვაწე იზრდებაო, — ჩაითქვა გულში.

მოაგონდა, მაშინ პირველად დატუქსა თავისი გაზრდილი, როცა გაიგო ვახუშტის დაბადება. არ აპატია ახალგაზრდული შეცოდებანი ვახტანგს.

გიორგი და ლევანი შორს იყვნენ, სულხან-საბას მეტს არავის ეგებოდა ვახტანგის ცოდვებისათვის პასუხის მოთხოვნა.

სწრაფად გაგზავნა მხლებლები, ჩვილი სასახლეში მოაყვანინა.

რამოდენა გაზრდილა მას შემდეგ, რაც გარსევანიშვილებმა ზემო იმერეთის მთიანი სოფლიდან ხურჯინით მოიყვანეს.

სულხან-საბამ ტაში შემოჰკრა.

თავდახრილი მორჩილი წინ გაუჩერდა.

— დილით ადრიანად უნდა გავიდეთ, ცხენები გაამზადეთ.

ვახუშტის სიხარულის კივილი ყელში გაეჩხირა. ბაგეები მოკუმა. ძლივს დაიოკა სურვილი.

სულხან-საბა მოუბრუნდა ვახუშტის:

— ღმერთსა ვთხოვ, მუდამ ასე კეთილად დაბოლოვდეს შენი ელჩობა!

ბედნიერი დაბრუნდა ვახუშტი უკან. თან გამოჰყვა სულხან-საბას სენაკის სითბო.

სულხან-საბა მთელი ღამე ლოცულობდა, ღმერთს შესთხოვდა, ეპატიებია განდგომა.

დილით ახალგაზრდა მწირმა გააღვიძა ვახუშტი.

— ტაძარში შემობრძანდით, ბატონიშვილო, სულხან-საბა გამგზავრების წინ მეფის საკეთილდღეოდ პირაკლისს იხდის, გიბრძანათ ეახლოთ!

ვახუშტი მკვირცხლად წამოხტა.

ახალგაზრდა მწირმა იმ მღვიმეში წაიყვანა, სადაც წყალი წვეთ-წვეთად იკრიბებოდა.

— დავითის ცრემლებია ესე, ამით ხელ-პირის დაბანა ფრიად მარგეა, ეს გვიბრუნებს სულს, თორემ უწყლობა ფრიად შეგვაწუხებდა.

ვახუშტი ბატონიშვილმა ხელი შეუშვირა კლდიდან წვეთებად მონაჟონ დავითის ცრემლებს. ყინულივით ცივი იყო ცრემლი დავითისა.

— ჰუ, რა ცივია! — ვახუშტიმ პეშვი აივსო და დაეწაფა. — გემრიელიც არის.

— ჩვენ ადგილებს უწყლობა ფრიად აწუხებს, წვიმის წყალს ეიპყრობთ კლდის ჭათა შინა.

გარეთ გამოვიდნენ. სენაკის გვერდით უამრავი ძეძვი იყო დაგროვილი.

— რამოდენა ძეძვია! — გაიკვირვა ვახუშტიმ.

— ტყე არ გვეახლება, ძეძვი რომ არ გვქონდეს, უიმედოდ ვიქნებით, შაგით ვხარშავთ, ვაცხობთ, ზამთარში — ვთბებით.

ტაძარი მზეს გაენათებინა, სულხან-საბა საკურთხეველთან იდგა. ვახუშტი კარებში შედგა, სახე უბრწყინავდა, ბრიალა თვალები სულხან-საბას მიაპყრო და მისკენ დინჯად წავიდა.

„რამდენი წლის არის ის ეხლა? — იხსენებდა სულხან-საბა პატა-

რა ბატონიშვილის დაბადებას. — რამოდენა გაზრდილა. აღნაგობით ნამდვილი სამეფოა. დიდ პაპას, გიორგი XI ჰგავს. ტახტი კანონით, არ ეკუთვნის, ვერც ცილობას გაბედავს. მაღალი შუბლი, ჭკვიანური თვალები ჭკუა-გონებას უდასტურებს. მახსოვრობაც კარგი აქვს. ერთი თვალის გადავლებით დაიხსომა წაკითხული". — სულხან-საბას ვახუშტის მოახლოებამ ფიქრი შეაწყვეტინა. ბიჭი ხელზე ემთხვია ღირსეულ პაპას და უკან დადგა.

„ვინ მისცა ამდენი სიდინჯე", — ღიმილი მოჰგვარა სულხან-საბას ბიჭის უზადო საქციელმა. „მწიგნობარი გაიზარდოს, მეფეს ქართლისას გვერდით ამოუდგეს. მყარი ბურჯები ესაჭიროება საქართველოს ტახტს", — გაიფიქრა სულხან-საბამ და პარაკლისი დაიწყო.

იგი მხურვალედ ლოცულობდა ხელაპყრობილი.

— წმინდაო ღმერთო, შეიწყნარე ქართლის გამგებელი ვახტანგი და მეუღლე მისი რუსუდანი. ხანგრძლივი ჟამი და მხნეობა მიეცი მათთა ძეთა: ვახუშტისა და ბაქარს და ასულთა: თამარს, ანუკას და თუთას.

ვახუშტი სულხან-საბას ლოცვას ყურს უგდებდა. სიტყვები არ ესმოდა. „დუმილით ლოცვა მხურვალეაო", — გაახსენდა გარსევანიშვილების ჩაგონება. სულხან-საბას მიბაძა და თვითონაც ჩურჩულით დაიწყო:

— ღმერთო, ძლიერო, მოგვაშორე მტერი ურიცხვი, ნურც უხილავ მტერს გვიმრავლებ, შეზღუდე და მოსრე ისინი, — ლოცულობდა ვახუშტი ბატონიშვილი.

სულხან-საბას ყურადღება ვახუშტის ლოცვამ მიიპყრო — „რა გულმხურვალედ ლოცულობს. საქმისადმი გულდადებაც თან დაჰყოლია". სულხან-საბა ვახუშტის მიუახლოვდა, თავზე ხელი დაადო:

— წავიდეთ, შვილო ჩემო!

ვახუშტი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები და გულმა სიხარულით შეიფრთხიალა.

— გმადლობთ, ძვირფასო პაპავ!

სულხან-საბამ გაუღიმა, — „რა ცეცხლივით თვალები აქვს. ნამდვილი გმირის თვალები", — ვახუშტის კი უთხრა:

— შენი პირველი ელჩობის დღე არ დაგავიწყდეს, ბატონიშვილო ვახუშტი!

— რა დამავიწყებს! — ვახუშტიმ სულხან-საბას ხელი გულზე მიიკრა. — გმადლობთ!

— გულმხურვალე ლოცვა გცოდნია, შვილო ჩემო! იცოდე და სამუდამოდ დაიხსომე: — ლოცვა შეგინდობს ნაქმნარსა ცოდვათა, ლოცვა განგიღებს კარსა სამოთხისას, ლოცვა შეგიყვანებს სასუფეველსა შინა, ლოცვა მოგაშორებს ეშმაკსა, ლოცვა დაგამეგობრებს ანგელოზთა, ლოცვა გაჩვენებს პირსა ღმერთისასა და დაგიმკვიდრებს მუნ საუკუნოდ. — ცხენები! — ბრძანა სულხან-საბამ.

ახალგაზრდა მწირმა ცხენები მოართვა.

ვახუშტი დასახმარებლად მიეახლა სულხან-საბას, სულხან-საბას ეამა თავმდაბლობა ბატონიშვილისა. „რაოდენ სიკეთეს მოუყრია თავი ამ ბავშვის ბუნებაში". ისიც ეამა, ვახუშტი ჩიტივით რომ მოეფლო ცხენს, აღვირი მოქაჩა და შეაყენა ბედიური, რათა სულხან-საბასათვის წინ არ წაესწრო.

მწირნი გამოსულიყვნენ სულხან-საბას გასაცილებლად. გულში ყველა უწონებდა თავიანთ მოძღვარს გადაწყვეტილებას. ბერთუბნის წინამძღვარიც აქ იყო. დავით გარეჯის არქიმანდრიტი არსად ჩანდა, ის იქ, სასახლეში, თავის პატრონთან ერთად ელოდებოდა სულხან-საბას გადაწყვეტილებას.

ორთა თათბირი

საერთო მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ვახტანგის ოთახში შეიკეტნენ გამზრდელი და გაზრდილი. უფლება არავის ჰქონდა დაერღვია მათი მყუდროება. მხოლოდ მანდატურთუხუცესი შედიოდა ხანგამოშვებით, ციცი სასმელი და ნუგბარი შეჰქონდა.

ვახუშტი მამის ოთახის ახლოს დაბორიალობდა. უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდნენ სულხან-საბა და მამა. „ცოტა დიდი რომ ვიყო, მამა უთუოდ დამისწრებდა ორთა თათბირზე", — თავის ასაკის სიმცირეზე ბრაზობდა ბატონიშვილი.

მთელი ღამე გასტანა ორთა თათბირმა. ვახტანგმა დაუფარავად გადმოულაგა თავისი გეგმები გამზრდელს.

— მთელი ღამეები ელოცულობდი, სანამ მობრძანდებოდი, ღმერთს შევთხოვ, ჩამაგონოს, როგორ კეთილად ემართო ქვეყანა ჩემი. იმიტომ გიხმე, შენი სიტყვა და დარიგებანი ძვირფასია ჩემთვის.

— სახელმწიფოს მართვის დროს ძირითადი საყრდენი ახალგაზრდობაა, მაგრამ ცხოვრებისაგან გამობრძმედილ პირთა გარეშე ქვეყ-

ნის მართვა კარგ ნაყოფს ეერასოდეს გამოიღებს. ცხოვრება დიდი სკოლაა, რომელსაც სწავლა ვერ შეედრება.

— უპირველესად ერთგულთა შემომტკიცებაა საჭირო.

— მეფეთაგან სამი უყვარს ღმერთსა, შვილო ჩემო: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა. მეფეთაგან სამს დაიმდაბლებს უფალი — სამართალს უქრთამოსა, მოწყალებასა დიდსა, სიყვარულსა ყოველთასა.

— თქვენი შეგონებანი არასოდეს დამვიწყნია, გამზრდელო ჩემო!

— მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი — ზავსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა. მეფეთაგან სამს მოითხოვენ დიდებულნი — სიტკბოსა, წესიერებასა, ნადიმობას, ჭირში — ჭირსა და ლხინში — ლხინსა.

— მტერთაგან მირჩევნია დაბმული მყავდეს ზოგიერთნი მაინც.

— დიდებულთა დაბმა სიფრთხილით გემართებს. უნდა დაიბან დამოყვრებითა, შენდობითა და სიუხვითა.

დილის საუზმე ვახტანგსა და მის გამზრდელს იქვე მიართვეს.

მზე შუბის ტარზე გადასული იყო, როცა ვახტანგი და სულხან-საბა აივანზე გამოვიდნენ.

მთელმა სასახლემ დედაბუდიანად აქ მოიყარა თავი.

სასახლეს ცალ მხარეს სიონის ვეებერთელა ტაძარი უმშვენებდა, მეორე მხარეს ანჩისხატის ეკლესია. მისი აივანი მტკვარსა და ბაღვენახებს გადასცქეროდა. სასახლის წინ ოთხკუთხა მოედანზე რამდენიმე ცხენი იყო მხოლოდ.

აივანზე გამოსულ მამას თუთა მუხლებზე შემოეხვია, გამდელი წაეტანა, ვახტანგმა თუთა ხელში აიტაცა.

— ბატონო საბა, ამათი კეთილდღეობისათვის უნდა ვიზრუნოთ! — ვახტანგი სულხან-საბას წინ გაუჩერდა და თუთა გაუწოდა.

სიტყვა ქალის წივილ-კივილმა გააწყვეტინა. სასახლის აივნისაკენ თმაგაშლილი, სახეშეშლილი, ძონძებით მოსილი ახალგაზრდა ქალი მორბოდა. მსახურები ეხვეოდნენ, აკავებდნენ, გზას უღობავდნენ, მაგრამ ვერ აჩერებდნენ გალომებულ ქალს.

— გამიშვით, გამიშვით, ამბობენ ქრისტიანიაო პატრონი ჩვენი, მიმიშვით, ჩემი ჭირი უნდა მოვახსენო, იქნებ მიშველოს რაიმე მე ბედშავს! — წიოკობდა ქალი.

ვახტანგმა თუთა სწრაფად დასვა, მოაჯირს დაეყრდნო, ეზოს გადახედა. მის გამოჩენაზე მსახურებმა თავი ანებეს ქალს.

ქალი კივილით გაეშურა ვახტანგისაკენ. აივანზე მყოფები კედლებს აეკრნენ. თუთამაც შეწყვიტა ტიკტიკი და მამაზე განაწყენებული დედის კალთას ეპოტინებოდა.

ქალი მიხვდა, აივნის შუაში ვახტანგი იდგა, ფეხებში ჩაუვარდა.

— მიშველე, ბატონო, მიშველე რამე უბედურ დედას!

— დამშვიდდი, შვილო ჩემო, წვრილად მიამბე შენი გაჭირვება.

— უნდა მიშველო, ბატონო, უნდა მიშველო, შენს იქით გზა არა მაქვს, შენს მეტს არავის შეუძლია ჩემი შველა. გოდა ოსმა დამღუპა! — წუთით შედგა, ვახტანგს ულონოდ მიაჩერდა, ხელები ჩამოუცვივდა, — როგორღა მიშველი მე უბედურს, ქვეყანაზე არავინ არის ჩემი მშველელი! — იქაურობას თვალი მოავლო, — თვით ღმერთიც კი.

ქალი უეცრად წამოვარდა, მოაჯირს მივარდა. აივანზე მყოფებს ოხვრა აღმოხდათ. შეშფოთებულნი ერთმანეთს მიაწყდნენ. ყველაფერი აირია. თმაგაწეწილ ქალს ვახუშტი წელზე შემოვდობოდა და იჭერდა.

— შესდექ, უბედურო! — გაისმა სულხან-საბას მრისხანე ხმა. ქალის მხარს დაწვდა, მოაჯირს ააგლიჯა. — სიფიცხე და უწყალობა ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშით უნდა განიქარვო.

— შვილი, ერთადერთი შვილი მომტაცა გოდა ოსმა, ბატონო, დაღესტნელ ბრბოებზე უფრო საშინელ საქმეებს ჩადის როდამაშვილი და ჰასანა ხიმშიაშვილი. დაგეშილი გოდა ოსი დაითათბირეს, აღარც პირუტყვს გვარჩენენ და აღარც ადამიანებს. ვინ იცის, რომელ მხარეს გაჰყიდიან ჩემს უბედურ ბიჭს. მიშველე, ბატონო, შენ იცი, რა ძნელია სხვათა მიწაზე ყოფნა. პატრონი ხარ ჩვენი, გოდა ოსს ვეღარ მოერევი? დაგვიფარე ბოროტი ადამიანებისაგან! — კიოდა ქალი და თავპირს იხოკდა.

— სახლთუხუცესო, უბრძანე ჩემ ხალხს — გზები შეკრან, დამნაშავე მომგვარონ. ვინც დამნაშავეს შეიპყრობს და მომგვრის, გლეხს — გავააზნაურებ, აზნაურს — გავათავადებ. დამნაშავეს ღირსეულად დავსჯი, რათა სხვათათვის მაგალითი იქნეს სამუდამოდ! — ვახტანგი სულხან-საბას მიუბრუნდა. — ჩემო მოძღვარო და გამზრდელო ჩემო, ხედავ, რა კეთილი საქმეებით მხვდება მტერი!

— ამთავითვე უნდა აილაგმოს ტყვეთა მოტაცება, შვილო ჩემო.

დედოფალმა ქალი გამდელს ჩააბარა.

გუნება წაუხდა ვახტანგს, მხლებლებიც აიმრიზნენ.

ნირი შეეცვალა იმდღეანდელ მეჯლისს.

დაფრთიანებული ბარტყი

ნადიმის შემდეგ დიდხანს არ დაძინებია ვახუშტის. სულხან-საბას წარმოთქმულ სიტყვაზე ფიქრობდა, ჩურჩულით იმეორებდა: — „კეთილმსახურებათა დამცველი, ფხიზელი სიტყვათა და საქმეთა ფრინა. რამდენ კეთილ თვისებებს მოითხოვს ხალხი მეფისაგან. ასეთი რომ იყოს ყველა ქართველი, ნუთუ მტერი შესძლებდა ჩვენს დაძლევას? ერთი პირი რომ ჰქონდეს ქართველ თავადებს, ყველა მშვიდობისმოყვარე იყოს, როგორც საბა ბრძანებს, მაშინ, მაშინ განდიდდებოდა ქვეყანა ჩვენი, თხა და მგელი ერთად მოძოვდა“.

ჩაეძინა ვახუშტის, ესიზმრა: — იქ, გარეჯის მახლობლად, დიდ მინდორზე, მეფის ცხვარს შორის მგლები დაძუნძულებდნენ, თხა და მგელი ერთად ძოვდა. მგელმა რა ჰამოს? — ცხვარს თუ არ დააკარებს პირს, კურდღელს ხომ შეჭამს? ცხვარიც ჰამს ბალახს. ბალახსაც სიცოცხლე უნდა. ვახუშტი ლოგინში წამოჯდა. ჩუმად გაიმეორა: — ბალახსაც უნდა სიცოცხლე. სიბნელეში თავდახრილი ბალახები დაინახა, ისინი ჩუმად, სულ ჩუმად შრიალებდნენ და სიცოცხლეს ითხოვდნენ. მზის ცქერას ითხოვდნენ. არავის ესმოდა მათი ჩურჩული, მხოლოდ ვახუშტიმ გაიგონა ის. ფრთხილად წამოდგა. ბაღში ფეხაკრეფით გავიდა.

ღამის სიბნელე დაეძლია ნათელს. მთვარის შუქი გაფერმკრთალებულიყო, აღმოსავლეთი აევარდისფერებინა მზის პირველ სხივებს. ბაღშიც სხვანაირი შუქი იდგა. ასეთი შუქი ჯერ არ ენახა ვახუშტის.

ხვიარა მცენარენი თვალებს ახელდნენ მზის პირველი სხივების მისაგებებლად. იაიები და ყოჩივარდები ბუჩქებიდან მორცხვად უღიმოდნენ მზეს. ახლად გაღვიძებული მტრედები და ტოროლები მზის შესაგებებლად მიისწრაფოდნენ.

ვახუშტი ხეებს შორის ფრთხილად დააბიჯებდა, ამწვანებულ ბალახზე ფუტკრები ხმადაბალი ზუზუნით დაფუსფუსებდნენ, სილამაზესა და სიტკბოებას ეძებდნენ. ვახუშტი ცდილობდა, არაფერი ევნო მათთვის, რადგან მათი ჩურჩული ესმოდა.

მას არ გაუგია, როგორ მიუახლოვდა სულხან-საბა და მხარზე ხელი დაადო.

— ვის ესაუბრები, ვახუშტი?

ვახუშტი შეკრთა, იცნო სულხან-საბას ხმა და გაუღიმა.

— ყველას მოწყალე და გამამხნევებელი უნდა იყოსო მეფე! ბრძანეთ, ბატონო, მეც ვცდილობ ასეთი ვიყო.

სულხან-საბა შეკრთა. „ცუდი აზრები აშლიაო", — გაუელვა და ეკვნა: ევი ხმით ჰკითხა:

— სად არის შენი სამეფო, ბატონიშვილო?!

ვახუშტი გააოცა სულხან-საბას კილომ.

— განა მარტო მეფეებს მართებთ იყვნენ უნაკლონი; აი, ჩემი სამეფო! — ვახუშტიმ ბალს მოავლო თვალი.

— ყოველ ადამიანს ხუთი საქმენი უნდა სჭირდეს:

უპირველესად, სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს, შვილო ჩემო;

მეორე — გამწყრალი დააწყნაროს, ვარათუ მხიარული გაანაწყენოს;

მესამე — პირიდან ავი სიტყვა არ წაიცდინოს;

მეოთხე — სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს;

მეხუთე — რაიცა თქვას, ყველა კაცს მოაწონოს. ამ თვისებით აღჭურვილი ადამიანი ღირსეული შვილი იქნება ყველა ერისათვის.

— ჩემო მოძღვარო, ხანდაზმულთათვის ყურის გდება ახალგაზრდისათვის დიდი განძია. ხანდაზმულს ცხოვრების დიდი სკოლა გაუვლია. ყოველი გაკვეთილი ძვირად დაჯდომია. შეეცდები, თქვენი ჩაგონებანი ჩემი ცხოვრების კანონად გავიხადო. შეეცდები ადამიანთა სიყვარული ვისწაელო, ამით მოვიპოვებ ბედნიერებას და დღეგრძელობას.

სულხან-საბას ღიმილი მოჰგვარა ვახუშტის ლაპარაკმა. თვალი გაუსწორა მის ანთებულ თვალებს და თავის თავს პირობა მისცა: — მის გაწვრთნას არავის დავანებებო. ვახუშტის კი უთხრა:

— მალე მამა აბრძანდება, შესახვედრად უნდა მოეემზადო!

ვახუშტიმ ხეებს შორის პაპუნა ძოძუაშვილს ჰკიდა თვალი. სასხლავით ხელში დადიოდა პაპუნა, ნამყენს ათვალიერებდა. მყნობის ოსტატი გახლდათ იგი.

პაპუნა ძოძუაშვილი ხიზანი გლეხი იყო. ჯერ ისევ მოზარდმა მეფის კარს შეაფარა თავი. აჯამმა მებატონემ და ლეკთა თარეშმა შეაწუხა სოფელი. გლეხების ნაწილმა კახეთსა და იმერეთს მიაშურა. ლეკების მიერ განადგურებულ ოჯახში პაპუნა მარტო დარჩა. ციებ-ცხელებით შეპყრობილმა, დასუსტებულმა მეფის კარამდე ძლივს მოაღწია. დიდმა გიორგი მეფემ შეიფარა მაშინ პაპუნა, შემდეგ მებალეობით გაითქვა სახელი. ოჯახური მყუდროება არ ღირსებია, რომ-

ში ძუდამ მეფეებს ახლდა თან, მშვიდობიანობის დროს კი თოფს სანამყენე დანაზე ცვლიდა და სამუდამოდ დარჩა ხიზნად.

ვახუშტიმ განსაკუთრებით შეიყვარა პაპუნა. ვახტანგზე რამდენიმე წლით იყო უფროსი იგი. ხმა ჰქონდა, შეძახილით ხიდან ჩიტს ჩამოაგდებდა. მხარბეჭიანსა და მოსულს, მუდამ სუფთად და ფაქიზად ეცვა. არავინ იცოდა, ვინ იყო მისი დამრეცხი, დამკერებელი. მისი ამოსხმული ქალამანი განთქმული იყო. ვახუშტისაც უყვარდა პაპუნას ამოსხმული ქალამანი.

— რამ დაგაღონა, ბატონიშვილო?!

— რამ უნდა დამაღონოს, პაპუნა ჩემო, სიხარული მმართებს მხოლოდ, მამა ქვეყნის გამგებელია, ამაზე მეტი სასიხარულო რა უნდა მქონდეს.

— მით უფრო მაკვირვებს მეშუნვარება შენი!

— მამა ბატონი სულხან-საბასთან არის მუდამ შეკეტილი. მეც მინდა ვიცოდე მისი გეგმები.

— შავარდენი თავის ბარტყებს სანამ კარგად არ წამოჩიტავს, დასაფრენად არ გაიმეტებს. რა დარწმუნდება, საკმარისად მოფრთიანდნენო, მხოლოდ მერე დაუწყებს წვრთნას ნადირობაში.

— სასახლეში წვრთნას ადრიდანვე იწყებენ, ვინ იცის, რა შეხვდება.

— გამძლეობა და სიდინჯე თავიდანვე გასწავლეს, ბატონიშვილო, ცხოვრების სიბრძნეს ცხოვრებისავე ყოველი დღე იძლევა. დღეთა სიმრავლე სიბრძნეს მატებს ადამიანს. სულსწრაფობას ქვეყნად სიკეთის მოტანა არ შეუძლია. ადრიდანვე ნუ ისურვებ ბუდიდან გადმოფრენას.

— ეფიქრობ, საკმარისად გამაგრებული მაქვს ფრთები.

— ფრთათა სიმაგრეც ცხოვრების დღეთა მრავლობამ იცის. ადრე გადმოფრენილი ბარტყი ზოგჯერ სამუდამოდ რჩება სუსტფრთებიანი.

— რაში მატყობ სუსტფრთიანობას, პაპუნა?

— სუსტფრთიანობას ვერ შემოგბედავ, ბატონიშვილო, მაგრამ ახალგაზრდულ სულსწრაფობას გატყობ. მეშინია, სიჭაბუკეში არ შეგყვეს.

ვახუშტი შეჩერდა, კარგახანს იყო დაფიქრებული.

პაპუნა ჩაფიქრებულ ბატონიშვილს მისჩერებოდა, უხაროდა: ვისაც ბავშვობაში ეგოდენი ჩაფიქრება შეუძლია, სიჭაბუკეც დინჯი ექნებაო.

სასიხარულო ამბავმა მეფის თათბირი მცირე ხნით გადადო: დიდი ბატონი ლევანი მოულოდნელად მობრძანდებოდა თბილისს.

რამდენი ხანია ვახტანგს მამა გამოეთხოვა. ახლა შორი ქვეყნიდან მომავალს ხვდება პატრონი ქართლისა.

— ღმერთმა სასიხარულო დღეები გვიმრავლოს, გაზრდილო ჩემო! — ღიმილი შეაგება სულხან-საბამ ვახტანგს.

— იქნებ წყალობის თვალით გადმოგვხედოს ღმერთმა.

მალემსრბოლი ამოიჭრა აივანზე, ვახტანგს მოახსენა:

— სეხნია ჩხეიძე გეახლათ, ბატონო!

მაღალი და მხარბეჭიანი კაცი იყო სეხნია ჩხეიძე, მდაბლად მიესალმა ვახტანგსა და მის ალმზრდელს.

— სასიხარულო ამბავი მოგსვლიათ, ბატონო!

— ღმერთმა გვიმრავლოს სასიხარულო დღეები, ჩემო სეხნია, მოდის ბატონი მამა, შენი მეგობარი. — ვახტანგი წამოდგა, სეხნიას მხარზე აკოცა. სეხნიას ცრემლმა თვალები აუწყლიანა.

— სიბერის ჟამს კვლავ გვეღირსა შეყრა, ჩემო სეხნია! — გაუღიმა სეხნიას სულხან-საბამ.

სეხნიასთვის დიდ სიხარულს სათქმელი დაეხშო. გაოგნებული ხან ერთს მისჩერებოდა, ხან — მეორეს.

— ტაშირს მივდივართ მამის შესახვედრად, ამიტომ მოგიხმეთ მისი ძველი მეგობრები, ეამება თქვენი ნახვა.

— გმადლობთ, პატრონო ჩვენო, ღმერთმა გაგახაროთ, სიკეთე და სიხარული ნუ მოგაკლოთ, როგორც მე გამახარეთ.

ბიჭებიც მთელი დღე ფუსფუსებდნენ, ესწრაფვოდნენ პაპის ნახვას. ლოგინში ჩაწოლილნი კარგა ხანს საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ:

— დედამ თქვა, ვახუშტი დიდ პაპას — გიორგისა ჰგავსო.

— დედას ახსოვს დიდი პაპა გიორგი. როცა ჩერქეზეთიდან პირველად მოიყვანეს, მაშინ პაპა გიორგიმ მიიღო!

— ნეტავ დიდი პაპა გიორგიც ჩამოვიდოდეს! — ინატრეს ბიჭებმა.

— პაპა გიორგის დიდი დარდი აქვს გადატანილი.

— ძნელია, როცა შენს სახლში, შენს ქვეყანაში არ გამოგიშვე-

შენ! — ამოიოხრა ბაქარმა. — გაიერეოლა და შეშინებულმა აქეთ-აქეთ მიიხედ-მოიხედა.

— ღმერთო დამიფარე უცხოთა მხარეში ყოფნისაგან! — პირჯვარი შეადაიწერა ვახუშტიმ და უცნაურად მოიბუზა.

— საწყალი პაპა, რამდენი ხანი დაჰყო სხვათა ქვეყანაში.

დილით ცისკრის ვარსკვლავთან ერთად წამოიშალა სასახლე. დედაბუდიანად მიდიოდნენ ტაშისკარს პაპა ლევანის დასახვედრად.

ლაშქრულის გუგუნით მიიწევდნენ წინ დამხვდურები. ვახუშტი იწყებდა ლაშქრულ სიმღერას, მისი წკრიალა ხმა ზარივით რეკდა.

ეზადაეზა უერთდებოდნენ ლევანის შეხვედრის მოსურნენი.

გასცდნენ თბილისს, ასეთი მხიარული ლაშქარი არასოდეს გამოსულა თბილისიდან.

ქორი დასტრიალებდა თავს მიდამოს, წვრილი ხმით წიოდა, საკბილოს უთვალთვალებდა.

— ვახუშტი, ხედავ, ქორი როგორ დასტრიალებს აქაურობას, ნეტავ რას უპირებს დააცხრეს, წყეული! — სიმღერა შეაჩერა ვახუშტი აბაშიძემ და თოფი სწრაფად მოიმარჯვა.

— დღეს მტაცებელთა მზეს ვერ გავახარებთ! — ვახუშტი ბატონიშვილმაც თოფი გადმოიღო, ჩახმახზე შეაყენა, შედგა, დაელოდა სანამ მტაცებელი გაუთანასწორდებოდა. ვახუშტი აბაშიძემ უკან დიხია, პირველობა ბატონიშვილს დაუთმო. ელოდა, თუ ბატონიშვილი ააცდენდა, მას უნდა დაებნელებინა მტაცებლის დღე. იასე გარსევანიშვილი თვალს არ აცილებდა თავის გაზრდილს, საკმარისად ჰყავდა გაწვრთნილი, ვახუშტი აბაშიძის ზრდილი საქციელიც ეამა. იგრიალა ვახუშტი ბატონიშვილის თოფმა, ქორი ჰაერში შეტრიალდა, ალმაცერად წამოვიდა დედამიწისაკენ.

— ღრანტეში ჩავარდება, წყეული! — შეჰყვირა ვახუშტი ბატონიშვილმა და ცხენი ღრანტეებისაკენ დაძრა. იამა იასეს, — მისმა გაზრდილმა სწორად განსაზღვრა დაცემის ადგილი.

წამით შედგნენ მიმავლები, ქორს მიაპყრეს მზერა.

— ასე მტერი გაგვენადგურებინოს! — შესძახა ვახუშტი ბატონიშვილმა, ავად მზირალი ქორი ჰაერშივე დაიჭირა, მამასა და რუსუდანს წინ დაუგდო.

— კარგი ნიშანია! — ღიმილმა სახე გაუნათა ვახტანგს, ეამა შვილის ხელმარჯვობა.

— მუდამ ეგრე დაგეძლიოს მტერი, ბატონიშვილო! — მიულოცა გამარჯვება ვახუშტის სულხან-საბამ.

ვახტანგისა და რუსუდანის ცხენების წინ მოფართხალე ქორი ავად გამოიყურებოდა, მტაცებელს თვალის ჩინი ჯერ არ ჩაქრობოდა.

— ზოგიერთ მებატონეს მაგონებს, ბოროტად მზირალს! — ზიზღით შეხედა დედამიწაზე მბობღავ ქორს სარიდან ჩოლოყაშვილმა და ფეხი წაჰკრა.

ვახტანგმა ცხენი დაძრა, წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

გიორგი გარსევანიშვილმა თვალი გააყოლა ვახუშტი ბატონიშვილს, ეამა გაზრდილის სიმარჯვე და გვერდით მიმავალ ძმას გადაულაპარაკა:

— დაგვიფასდა ამაგი, გმირი დადგება ჩვენი გაზრდილი!

იასემ ძმას თვალებში შეხედა და გაზრდილის ცხენს თვალი გააყოლა. — „როგორი აზრიანია. მათ გვარს განა ცოტა გაუწვრთნია, მაგრამ ასეთი“... ცხენი გაზრდილის ცხენს მიაგდო, ნელა გაჰყვა გვერდით.

ტაშისკარს შეჩერდნენ, მცირე ხნით დაიბანაკეს, სადაცაა გამოჩნდებოდნენ მომავლები.

ხუთი კაცის თანხლებით ჩამოვიდა პაპა ლევანი. ლევანმა შორიდანვე იცნო დავაჟკაცებული შვილი. ცრემლმა ხედვა აუბრელა, დამხვდურებს გადაეხვია, გულში ჩაიკრა ყველა. დავაჟკაცებულ შვილს სახეში თვალმოუშორებლად შესცქეროდა, ერთი სურვილი იპყრობდა — მუდამ ასე ბრწყინვალე ენახა თავისი ძე.

— შვილო, როგორ დავაჟკაცებულხარ, დაბრძენებულხარ, მუდამ ასე განდიდებული მენახო, შვილო, ჩვენ ქვეყანას მსახურებდეს მუდამ შენი ხმალი.

ვახტანგის სახლობის ნახვამ ბედნიერი წუთები აღუდგინა ლევანს. წამოჩიტული შვილიშვილების ხილვამ კი ისე გაახარა, რომ ცხენზე ძლივსღა მოახერხა ამხედრება. ვახუშტის დამნახავს ეგონა ჩემს. ვახტანგს ვხედავო, მტრის ქვეყანაში მიმავალი რომ ეთხოვებოდა. დიდხანს, დიდხანს დაკვირვებით მისჩერებოდა შვილიშვილს. არა, მარტო მამას არა ჰგავს. თავისი ძმის, გიორგის პატარაობა შეიცნო მასში. მასავით ხუჭუჭი თმა, მოღერებული ყელი. ცრემლი მოეძალა. ღმერთმა გაშოროს შენი დიდი პაპის — გიორგის ბედი, ღმერთმა დაგიხსნას!

— რა იყო, მამავ ბატონო, რამ შეგაშფოთა! — ვახტანგი დარდს მიუხვდა მამას, ცხენი მის ცხენს დაუტოლა.

— როგორ ჰგავს გიორგის!

— ყოველ მნახველს თვალში ხვდება დიდი მსგავსება! — დაუდასტურა ვახტანგმა.

ლევანმა დაუფასა შვილს ზრუნვა, მეტად იამა თავისი თანამედროვეების ნახვა. აქ იყო სულხან-საბა, მისი ძმები, სეხნია ჩხეიძე და სხვა მრავალი, რომლებიც ვახტანგმა საგანგებოდ წამოიყვანა.

თბილისი გულწრფელი სიხარულით შეხვდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გადახვეწილ ლევანს. ლევანი ერთი თვალის გადავლებით მიხვდა, რომ ქვეყანა მტერთა თარეშს დაეუძლურებინა, ყველაფერს დაძაბუნება და მოშლა ეტყობოდა. გზადაგზა ამჩნევდა, სოფლებში რაოდენ შემცირებულიყო გლეხი კაცი. გული ეტკინა. რამდენი საქმე აქვს მის პირმშოს. რაოდენი ძალა ჭირდება არეული ქვეყნის დალაგებას, მოწესრიგებას, ხალხის დაწყნარებასო, — ფიქრობდა იგი.

დიდი ბჭობა

დიდი ბჭობის მონაწილენი სასახლეში იკრიბებოდნენ. სასახლეში დიდი სამზადისი იყო. დიდსა და პატარას დიდი ბჭობა ეკერა პირზე.

სახლთუხუცესს გაჭირვება ადგა, ადვილი არ იყო ამდენი ხალხისათვის ადგილის მიჩენა.

სულხან-საბა სამდივნოს საქმეებს აწესრიგებდა. მისი სურვილი იყო, დიდ ბჭობას ყველა მდივანი დასწრებოდა, ძველიცა და ახალიც. არ უნდოდა დარჩენოდათ არც ერთი სიტყვა ჩაუწერელი. ამ ბჭობაზე იყო დამოკიდებული მომავალი ბედი ქვეყნისა.

წინაღამით დიდხანს ითათბირეს პაპა ლევანმა, ვახტანგმა და სულხან-საბამ. სულხან-საბამ ვახტანგს ნებართვა გამოსთხოვა, დიდ ბჭობას ვახუშტიც დასწრებოდა, როგორც მდივანი.

— ნაადრევი ხომ არ იქნება, ბატონო სულხან-საბა?! — გაამჟღავნა თავისი ეჭვი ვახტანგმა.

— დიდი ბჭობა ღირსშესანიშნავ ამბად დარჩება ჩვენს მოღვაწეობაში, გაზრდილო ჩემო! მინდა ვახუშტი დაესწროს ამ ბჭობას, ბევრ

რამეს საგულისხმოს გაიგებს. ეამთააღმწერლის ბედს იმზადებს, და ჭკვირე ასაკიდანვე იცოდეს, რა ხდება სასახლეში.

— თქვენ რას იტყვით, მამა ბატონო! — მამას მოუბრუნდა ვახტანგი, — ჯერჯერობით მენანება მძიმე უღლისათვის.

— ჩვენი ქვეყნის ბედი მძიმე უღელია ყველასათვის, შეეჩვიოს ამ უღლის ტარებას.

— შეძლებს რაიმეს ჩაწერას?! — მიუბრუნდა სულხან-საბას ვახტანგი.

— აი, ნახავთ. მართალია, მდივნობისათვის ვერ გავიმეტებთ მაგის ნიჭსა და უნარს, ფრიად სერიოზული სახელმწიფო მოღვაწე კი დადგება.

— იქნებ სასულიერო მოღვაწეობისათვის გავამზადოთ?!

— არა, შვილო, ვერც მაგ გზას დაადგება. მართალია, მას ერთნაირი უნარი აქვს იყოს ერისკაცია და სამღვდელოც, მაგრამ, მისი ბუნება დაჩოქილ სიცოცხლეს ვერ შეეგუება. ასეთი ადამიანი ძნელია ერთი რამისათვის განსაზღვრო. მისი ნიჭი შემოფარგვლას ვერ აიტანს. ბუნება მისი ფართოსა და უსაზღვრო ასპარეზს მოითხოვს.

ეამა ვახტანგს სიყრმისა და სიყვარულის შვილის ესოდენ შექება, მსახურს მოუხმო და უბრძანა:

— ბაღიდან ახალგაზრდების ხმა მესმის, ჩემი ვახუშტი მაახლეთ დაუყოვნებლივ!

დიდი ბჭობისათვის ჩამოსულთ ახალგაზრდებიც ახლდნენ. ბაღი საკმაო იყო. ახალგაზრდების მხიარული ყიჟინა ცას უერთდებოდა.

— ბატონიშვილო, გამგებელი გიხმობს! — მიეახლა ვახუშტის მსახური, მაგრამ ვახუშტი ისე იყო თამაშში გართული, მსახური ხელის აქნევით მოიცილა.

— ვახუშტი, მამა გიხმობს! — მკლავზე ხელი შეახო თამარმა. ვახუშტი მხოლოდ ახლა გამოერკვა, სახეზე ორივე ხელი მოისვა, — ბაქარ, მარჯვედ იყავ, ქორმა წიწილები არ წაგართვასო, დაუბარა და მსახურს გაჰყვა.

— ნუ გეშინია, ვახუშტი, მტერს არ გავახარებ, ამიერიდან მტაცებელთა დღე დაბნელებულია, — მიუგო ბაქარმა.

მსახურმა მცირე დარბაზის წინ შეაჩერა ვახუშტი. მეკარეს დასტური გამოთხოვა. ვახუშტიმ გაიგონა, როგორ მოახსენეს მამას:

— ვახუშტი ბატონიშვილი გეახლათ, ბატონო!

ვახუშტიმ უცნაურად შეიფრთხიალა. ეს პირველი იყო, პატრონს რომ მოახსენეს: — ვახუშტი ბატონიშვილი გეახლათო!

მამა, პაპა ლევანი, მოძღვართმოძღვარი სულხან-საბა, — სწრაფად მოაგლო თვალი ყველას ვახუშტიმ.

— ხვალ, დილის ჟამსა ათსა, დიდი ბჭობა იწყება, ვახუშტი! — უთხრა მამამ, — ვახტანგი წუთით შეყოვნდა. „რა ბრდღვიალა და ჭკვიანი თვალები აქვს. მართალია სულხან-საბა, ამ თვალების პატრონს მოქმედების არეს ვერ შემოუფარგლავ". — ბატონი სულხან-საბა ფრიად მოწყალეა შენს მიმართ, შვილო ჩემო, შუამდგომლობს, დიდ ბჭობაზე შენს დასწრებას გვთხოვს, შენ რას იტყვი?

ვახუშტის ყელში რაღაც გაეხირა. ბაგენი მაგრად მოკუმა, თავი ასწია, ჭერს დაუწყო ცქერა.

„სიხარულმა სათქმელი დაუხშო, — გაუელვა ვახტანგს, — სიხარულის ცრემლის რცხვენია და თვალი ჭერს გაუშტერა".

არა, ხმის ამოღება არ შეუძლია ვახუშტის, სუნთქვაც შეეკრა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, გამგებლის ხელს ემთხვია, დღეს პირველად ემთხვია მამის ხელს კი არა, გამგებლის ხელს. უცნაურად მოუნდა სულხან-საბასაც ხლებოდა. მამა თითქოს მიუხვდა სურვილს.

— ეახელი მოძღვარსა შენსა მადლის მოსახსენებლად.

ვახუშტი სწრაფად გაჩნდა სულხან-საბას წინ, ხელზე ემთხვია. ჩუმად, ისე რომ მარტო სულხან-საბას გაეგონა, წაიჩურჩულა:

— გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო მოძღვართმოძღვარო, იმ ბედნიერებისათვის, რომელიც დღეს მომანიჭეთ! სულხან-საბამ შუბლზე აკოცა ვახუშტის:

— ხვალ დილისათვის მზად ყოფნა მიბრძანებია!

ვახუშტის არ ახსოვს, როგორ გამოვარდა გარეთ. ბაღიდან ისეთი ხმაური მოდიოდა, ცას სწვდებოდა ტოლების ყიჟინა. ვახუშტის გულს ტოლებისაკენ არ გაუწევია. თითქოს გაიზარდა, უეცრად გაიზარდა, თავის ტოლებს გადააჭარბა და სადღაც შორს, შორს წავიდა.

მამის ბიბლიოთეკაში შევიდა. იქ შესვლის უფლებაც სულხან-საბამ მოუპოვა. კითხვას გული ვერ დაუდო. ხვალინდელ დღეზე ფიქრი არ ასვენებდა.

ბაღიდან მონადენი ხმაური შეწყდა. ალბათ დასაძინებლად წავიდნენ. აღარც მცირე დარბაზიდან გამოდიოდა შუქი. თვითონ კი მაინც იჯდა. უეცრად თვალებზე ხელი აიფარა ვიღაცამ.

— თამარი! — შესძახა ვახუშტიმ, — უცნაურად ეამა დის ოითების შეხება.

განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი უფროს და-ძმას. თამარის ყოველი სიტყვა კანონი იყო ვახუშტისათვის.

— რად არ მოხველ ბაღში?!

— თამარ, საყვარელო! — ვახუშტიმ ხელისგულები დაუკოცნა დას. — ხვალ დიდ ბჭობაზე ხლება მიბრძანა მამამ!

— რას ამბობ, ვახუშტი, ბედნიერო! — თამარმა თავზე ხელი შეამოხვია ძმას და ხუჭუჭი თმები დაუკოცნა, — რად არ მითხარი?

— მარტო დარჩენა მინდოდა ჩემ სიხარულთან.

— არც მე გინდოდი?!

— მარტო შენ განატრობდა გული და ამისრულდა.

— ამოდენა პატივი დაგდეს, დასაძინებლად რად არ მიდიხარ. ჩქარა წადი, დაისვენე.

და-ძმა ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა მამის ბიბლიოთეკიდან, დასაძინებლად თავთავიანთ სამყოფელისაკენ წავიდნენ.

ვახუშტის თვალს რული არ ეკარებოდა. თავს აჯერებდა, უნდა დაიძინოო, უთუოდ — ეს პირველი გამოცდაა, ვინძლო მარცხი არ მოგვიდესო.

ოდნავ, სულ ოდნავ წათვლიმა ბატონიშვილს. გაუვალი ტყე ესიზმრა. იმერეთის ტყე, წაბლის ხეები ყვაოდნენ და წაბლის ყვავილის სურნელი იდგა ირგვლივ. აყვავებულ წაბლებს შორის ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, მისი ჩურჩული ვახუშტიმდე მოიტანა ნიავმა.

— შვილო, ვახუშტი! — ნიავივით ჩუმად ჩურჩულებდა ქალი. ვახუშტი მიხვდა, ეს დედა იყო, მისი დედა, ვახუშტის არასოდეს უნახავს იგი. გაიქცა, უნდა დაინახოს დედა, მის სახეს შეხედოს, მაგრამ უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდა და ქალი გაიტაცა. მისდევს ვახუშტი, მაყელის, შინდის, კუნელისა და თხილის ბუჩქებს მიარღვევს, მაგრამ ვერ იჭნა და ვერ დაეწია დედას. ვერც სახე გაარჩია.

ამის შემდეგ რული აღარ მიეკარა ბატონიშვილს. რაზე ფიქრობდა? თვითონაც ვერ გეტყოდა; ფიქრები ერთმანეთში აერია, ყველაფერზე ფიქრობდა და ყველა ფიქრს მაინც ერთთან მიჰყავდა — ხვალინდელ დიდ ბჭობასთან.

სულხან-საბას შთაგონებაც გაახსენდა — „ეს სოფელი მღერასა ჰგავს, ყმაწვილთა სათამაშოსა, ვინც მისდევს, ხელსა უწოდენ“. სიხარული დაეუფლა, ზე წამოაგდო — ხვალ, ხვალ საბოლოოდ გადა-

წყდება, ხელსა უწოდენ თუ არა. კვლავ სულხან-საბას სიტყვები ჩაესმა — „ამპარტავნობა, რომელი თავხედობაი არს".

ვახუშტი აივანზე გამოვიდა, აივანი მტკვარზე იყო გადაკიდებული, მდინარესა და ბაღს გადასცქეროდა. სასახლის მოედნიდან ცხენთა ჭიხვინი ისმოდა, რითაც ისინი მზის პირველ სხივებს ესალმებოდნენ.

ბაღს დილის მკრთალი შუქი გადაჰკვროდა, სიო ხეებს შორის დაჩურჩულებდა, ყვავილთ ბილილებს სტაცებდა, აკისკისებული ბილილები ბაღს მოსდებოდა, ვახუშტის მათი მხიარული სიცილი ესმოდა.

ყაურმხანიდან გაღვიძებულ ფრინველთ ხმაური ისმოდა. იღვიძებდა ყველაფერი.

იღვიძებდა სასახლეც.

საკანონმდებლო დარბაზში მოწვეულნი იყვნენ: მუხრანის ბატონი — ერეკლე, ტყვეებით მოვაჭრე არაგვის ერისთავი — გიორგი, ქსნის ერისთავი — დავითი, ავთანდილ ამილახვარი, დივანბეგი ერასტი და ლუარსაბ ორბელიანი.

კათოლიკე მისიონერების მორთმეულმა საათმა ათჯერ დაიძახა — გუგუ, გუგუ! და საბჭოს დიდ დარბაზში ვახტანგი შებრძანდა, მამა ლევანთან, მოძღვართმოძღვარ სულხან-საბასთან ერთად. უკან მდივნები მოჰყვებოდნენ. ყველაზე ბოლოს ყველაზე ახალგაზრდა მდივანი ვახუშტი ბატონიშვილი მისდევდა გრაგნილით ხელში.

შემოსულნი დარბაზის ერს მიესალმნენ. დათუნა ერისთავმა ველარ მოითმინა, გიორგის გადაუჩურჩულა:

— უკვე დაუწყია თავისი ლეკვის წვრთნა!

გიორგი ერისთავმა მარცხენა წარბი ზე აწია, დათუნას მოწყალე თვალით გადახედა:

— ჭკუაგონებას უქებენ მაგ ლაწირაკს!

ნაადრევი გაზაფხული დიდ დარბაზს ვერ მორეოდა და საკმაოდ ცივდა. დარბაზი მშვენიერი ორხოებით იყო მოფენილი. სამივე ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და აქა-იქ გაღვივებული მაყლები იდგა.

პირველი, რაც დიდ ბჭობას უნდა გაერჩია — ტყვეთა გაყიდვის საქმე იყო.

ტყვეთა გაყიდვის შეზღუდვით ყიზილბაშ მეციხოვნეთა თარეშიც აილაგმებოდა.

ვახტანგმა მკაცრად შეუტია ტყვეთი გამყიდველ თავადებს, არც არაგვისა და ქსნის ერისთავები დაინდო, აშკარად აგრძნობინა, თქვენი ფარული საქმიანობა ჩემთვის ცნობილიაო. ჰასან ხიმშიაშვილი და როდამაშვილები ისე შეარცხვინეს, თავიანთ ეზო-გარემოდან აღარ გამოესვლებოდათ.

საფიცარი ჩამოართვეს, რომ თავიანთ საბატონოდან ტყვედ არც ერთი სულიერი აღარ გაეყიდათ.

ვახუშტის არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია, თავის გრაგნილში სიტყვა-სიტყვით ჩაწერა: — „უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდააელენს, დღეთ-სიგრძეობას მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცვარნი ცვარს დააკლებს და ქვეყანა — ნაყოფს. ამ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს“.

შავბედითობის დროს ქართლიდან გაქცეულ გლეხთა მდგომარეობა საჭირბორბოტოდ გადაქცეოდა ვახტანგს. დაცარიელებული სოფლები თვალთახედვიდან არ სცილდებოდა, გული უცნაურად შემოკვნესოდა, ძნელი იყო გლეხთა ძველ ფუძეზე დაბრუნება. ამიტომ, ეს საკითხიც დიდი ბჭობის განსასჯელად გამოიტანა და ვახუშტის გრაგნილში ასე შეატანინა: „ბატონი თუ ვისმეს გლეხს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან ასაყრელს აყრიდა, იასაულთ ნება არ ჰქონდათ გლეხისათვის ხარისა და მარჩილის გამორთმევისა, — ეს ამიერიდან დიდ უსამართლობად ჩაითვლებოდა. ვისაც გლეხი მიეცემოდა, ხარიცა და მარჩილიც იმასვე უნდა ეზღო“.

დიდმა ბჭობამ საღამომდე გასტანა. განკიცხული თავადები ფენს ითრევდნენ, ვერ გაერკვიათ, ნადიმს დასწრებოდნენ, თუ არა. არაგვის და ქსნის ერისთავებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ნადიმზე დარჩნენ. მხოლოდ ხიმშიაშვილმა და როდამაშვილმა შეუძლოდა ვართო — მოიმიზეზეს და სახლისაკენ გაუტიეს. როცა გაიგეს, არაგვის და ქსნის ერისთავები ნადიმზე რჩებიანო, გუნება წაუხდათ და ცხენები სასახლიდან ჩორთით გაიყვანეს.

— რად არ გვითხრეს, თუ რჩებოდნენ? — შეეკითხა ჰასანა ხიმშიაშვილი როდამაშვილს.

— აღარ გვიკადრეს, თითქოს მარტო ჩვენ ვიყოთ ტყვეთა გამყიდველნი, თავი ისე დაიჭირეს, ვითომ მათ არ ეხებოდეთ ეს საქმე. მგონი, ჯობდა, ჩვენც დავრჩენილიყავით, ეტყობა, ჯერჯერობით მყარადაა ვახტანგი, მისი განაწყენება ხელს არ მოგვცემს.

— ერისთავები განა დასანდობნი არიან, ხედავ, როგორ გამოგვთიშეს, გაწყდა მაგათი სინსილა.

— რას იზამ, ამჯერად წავაგეთ!

— ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავს ზევით ძალა არა გვაქვს, ხომ გაგიგონია — ამყოლს უნდა აყვეო!

დიდი ბჭობის შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილმა ბიბლიოთეკას მიაშურა, თამარსაც აღუთქვა, დიდი ბჭობის დამთავრების შემდეგ იქ მომაკითხეო. თავისი ჩაწერილის კითხვა დაიწყო.

„ქვეყნის შეეიწროებისა გამო გადასახლებულნი სიტკბომა და სამართალმა უნდა მიიზიდოს!" — ეს მოძღვართმოძღვარ სულხან-საბას სიტყვები იყო. მოეწონა ვახუშტის თავისი ჩანაწერი.

— შენ უკვე აქა ხარ? მდივნებთან გეძებდი, ვერ გიპოვნე! — მოესმა ვახუშტის დის ხმა.

თამარის დანახვამ სახე გაუბრწყინა ბატონიშვილს.

— მოგილოცო გამარჯვება?

— მომილოცე. დაო ჩემო, ერთი სიტყვა არ გამიმრუდებია, ყველაფერი ზუსტად ჩავწერე.

— ოჰ, როგორ მიხარია შენი გამარჯვება, ჩემო ვახუშტი! აბა, წამიკითხე!

„სასტიკად აიკრძალოს ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა ჩვენს ქვეყანაში". — ამ ბრძანებას ჩვენი ქვეყნის გამგებლის, ვახტანგის ბეჭედი ექნება.

— შენ გენაცვალე, რა ბედნიერი ხარ, ბჭობას რომ დაესწარი.

— მართლაც ბედნიერი ვარ, დაო! — ამოიოხრა ვახუშტიმ.

— წამოდი, ტოლებსაც გაუზიარე შენი სიხარული.

ვახუშტიმ გრაგნილი აკრიფა. კარებში სულხან-საბა შეეფეთათ. თამარი სწრაფად უკან ჩამოდგა:

— მე წავალ, ვახუშტი, ვინძლო, შენც მალე მოხვიდე!

— მალე მოვა, შვილო, მალე! — გაუღიმა თამარს სულხან-საბამ. — აბა, ვახუშტი, მაჩვენე შენი ჩანაწერი!

ვახუშტიმ გრაგნილი გაშალა, სულხან-საბამ ჩაიკითხა.

ბაღში ერთად გამოვიდნენ სულხან-საბა და ვახუშტი.

ვახუშტიმ თავის მოძღვარს სახეში შეხედა, თავი აიღო, დაიწყო:

— დარბაზის კარი გაიღო, შემობრძანდა ვახტანგი, გამგებელი ქართლისა, მას მარჯვენა მხარს უმშვენებდა მოამაგე ჩვენი პაპა ლე-

ვანი და მარცხენა მხარს — მოძღვართმოძღვარი ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა ღიმილით შესჩერებოდა ვახუშტი ბატონიშვილს, ის კი ისეთი სიზუსტით ყვებოდა დიდი ბჟობის ყოველ წვრილმანს, რომ სულხან-საბაც გააკვირვა. ბევრი საღი გონების ყმაწვილი გაუზრდია სულხან-საბას, თვით ვახტანგის საღ გონებას ხშირად გაუკვირვებია, მაგრამ ამას სხვანაირი მადლი სცხია. სულხან-საბას შეეცოდა უდროოდ დაბრძენებული ბიჭი.

— წადი, შვილო, შენს ტოლებში წადი, ღმერთმა გონება და მარჯვენი გიკურთხოს.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავი მორჩილად დახარა, ტოლების ყიჟინას ყური მიუგდო. ბილიკს გაჰყვა. ბილიკი აყვავებულ ნუშებს შორის მიდიოდა. ვახუშტიმ იგრძნო, რომ აქედან იწყებოდა მისი ცხოვრების ბილიკი. ეს ნუშის ხეივანი ამიერიდან ვახუშტი ბატონიშვილის ხეივნად იწოდებოდა.

სულხან-საბა მისჩერებოდა მიმავალს და ფიქრობდა: „ვახუშტი ბატონიშვილის აღზრდით დავაგვირგვინებ ჩემს აღმზრდელობით მოღვაწეობას, გმადლობ, ღმერთო, ჩემი ცხოვრების ბოლო ჟამს ღირსი გამხადე ასეთი მოწაფისა“.

ვახუშტის ტოლებში გამოჩენასთან ერთად შეწყდა აურზაური. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ინტერესით შესჩერებოდნენ თავიანთ ტოლს, ყველაში რომ გამოარჩიეს.

თამარი მიეახლა ძმას:

— მოდი, ძმაო ვახუშტი, ამათაც უთხარი ჩვენი ქვეყნის სიკეთე.

— ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში მოძმეთა ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა, ეეღარც სხვა ტომისანი გაჰყიდიან ჩვენს ხალხს.

თამარმა ხელი ხელს შემოჰკრა. თვალები ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაპყრო:

— გმადლობთ, ღმერთო, მშვიდობა აღბრსე ჩვენს ქვეყანას. ყიზილბაშთა თარეშს ბოლო მოეღო.

ახმაურდნენ ახალგაზრდები, ერთმანეთს კოცნიდნენ, ულოცავდნენ, ამხნევებდნენ.

პაპუნა ძოძუაშვილი ახალგაზრდებს შესჩერებოდა, თვალთაგან აღტაცების ცრემლი სდიოდა და ის დღე აგონდებოდა, მისი ოჯახი ლეკებმა რომ ააოხრეს. ისღა გადარჩა ბოსტნის კვლებში გაწოლილი.

— მოედანზე წამოდი, ხალხს მივულოცოთ, ვამცნოთ ახალი კანონები, — გადაუჩურჩულა პაპუნამ ვახუშტის.

— თამარ, მოედანზე მივდივართ, ხალხს უნდა ვამცნოთ ახალი ამბები.

— მეც წამოვალ, ძმაო, ქალებს ყველაზე მეტად უჭირთ, გავახარებ: დედებს, დებს, ცოლებს, ტოლებს.

ანჩისხატის ზემოთ მოედანი ხალხით იყო სავსე. აქ მოეყარათ თავი ხელოსნებს, ვაჭრებს და თბილისის მოქალაქეებს. სასახლისაკენ იმედიანი თვალით იყურებოდნენ. მომავლებს გარს შემოეხვივნენ.

— ხალხნო, ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა და მიტაცება აიკრძალა. ვინც ამ გადაწყვეტილებას დაარღვევს, ქვეყნიდან და ხალხიდან მოკვეთილი იქნება. შინაურიცა და გარეულიც ერთნაირად დაისჯება. ასეთია კანონი ვახტანგისა.

— გაუმარჯოს გამგებელს ქართლისას, ვახტანგსა!

— გაუმარჯოს ქრისტიან ვახტანგს!

— გაუმარჯოს პატრონსა და ქომაგს ჩვენსას! — ცაში ქუდებს ისროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ულოცავდნენ.

— ტყვეთა გაყიდვის აკრძალვას გაუმარჯოს!

— ვენაცვალე ჩვენს ვახტანგს, ერისთავებს ფრთები რომ შეაკვეცა!

— ველარც ყიზილბაშნი იპაპიჯვრებენ, მოუსპეს შემოსავლის წყარო!

— ამოგვწყვიტეს, ადამიანო!

— ქვეყანა გაანადგურეს!

— ადამიანი გარეთ ველარ გამოსულა!

თამარს გარს ქალები შემოხვეოდნენ, მანდილის ყურით თვალებს იწმენდდნენ, ხელებს უკოცნიდნენ. მის მამას და გამზრდელს ლოცავდნენ, დღეგრძელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებდნენ.

იმ ღამეს თბილისში არავის დაუძინია, ქუჩებში დადიოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ, ახალ კანონს იწონებდნენ, სასახლის კარის შეუვალობას აღიარებდნენ.

ზეიმობდა თბილისი.

ხმა დაირხა, ბატონიშვილი დომენტი კათალიკოს-პატრიარქად უნდა აკურთხონო.

დომენტი უკვე ორი დღეა, რაც მცხეთას წაიყვანეს სამღვდელოთა უპირატესმა პირებმა. მღვდელმთავრებიც გაჰყენენ. ფიცი უნდა მიიღოს და თმაც აღკეეცონო.

მცხეთის ტაძარსა და კარ-მიდამოს ადრიდანვე დაუწყეს შემზადება.

ხალხმა დილიდანვე დაიწყო დენა.

სასახლის მკვიდრნი გაიკრიფნენ დედაბუდიანად. ამინდიც ხელს უწყობდა და მიედინებოდა და მიედინებოდა ხალხი მცხეთისაკენ. ლევანს ახარებს შვილთა ბედნიერება: ერთი გამგებელი, მეორე კათალიკოს-პატრიარქი. ამაზე მეტს რას ინატრებს მამის გული? იქნებ მის შვილებს ბედმა გაუღიმოს, ლევანისა და მისი ძმების ხვედრი ააცილოს, სხვათა ქვეყნის გაძლიერებას არ შეეწირონ. ძმის მოგონებამ გული შეუკუმშა ლევანს. გაახსენდა, ერევნის ხანის საშუალებით რომ მიიწვია შაჰმა გიორგი. რაოდენ პატივით მიიღეს, ოქროს რაბტით შეკაზმული ცხენი მიართვეს. რად უნდოდა, თავის ქვეყანაში უბელო ცხენი ერჩივნა ბედკრულს. სახეჩაშავებული იჯდა გიორგი ძვირფასად მორთულ ცხენზე. ძმები, ლევანი და ლუარსაბი მიეახლნენ; მათ დანახვაზე შეკრთა. ნაღველი და სიხარული ერთად აღიბეჭდა მის სახეზე. ძმისწულის ქაიხოსროს და ქართლის დიდებულთა დანახვაზე დარდი წამოეძალა, თავის ქვეყნის გარეთ ხედავდა ყველას. კბილებში ძლივს გამოსცრა: — უპატრონოდ დააგდეთ ქვეყანა? მთელ ქართლის სამეფო კარს აქ მოგიყრიათ თავი, ღმერთო, შენ დაიფარე უპატრონოდ დაგდებული ქვეყანა ჩვენი! ოფლის წვეთები ცვარივით დაეყარა მაღალ შუბლზე, ლევანს მოეჩვენა, სიმწრის ოფლს კი არა, სისხლის წვეთებს დაუფარავსო გიორგის შუბლი.

ამის მოგონებაზე ლევანმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო.

— ღმერთო, იქნებ ახლა ეშველოს ჩვენს ქვეყანას, — იმედით შეავლო თვალი შვილს.

სიხარულისა და ბედნიერების ნათელი გადაჰფენოდა სახეზე ვახტანგს.

„ღმერთო, დიდხანს ამყოფე ჩემი შვილი ასე ბედნიერი“, — ჩაითქვა გულში ლევანმა და ის დრო გაახსენდა, თექვსმეტი წლის ვახ-

ტანგმა მოღალატე ქაიხოსრო ციციშვილი ვაჟკაცურად რომ მოიგერია. ციციშვილი ახალდაბას დედოფალს დაესხა თავს.

ისიც გაახსენდა ლევანს — ახალგაზრდა ვახტანგი თავის ბიძას, გიორგის, შაჰის კარზე რომ არ გაჰყვა და იმერეთში არჩია დარჩენა. შემდეგ ბიძამ თეიმურაზმა, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ვახტანგი, თავის რჩევაზე დაიყოლია და ბიძა-ძმისწული მთელი ზამთარი ელოდნენ რუსეთის ჯარს. რუსეთს გასამგზავრებლად გამზადებული ვახტანგი ავადმყოფობამ იხსნა და საქართველოში დარჩა. თეიმურაზი კი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის ქვეყანას.

ტახტი ერეკლე პირველმა დაიჭირა. ; ერეკლე სუსტი მმართველი გამოდგა, მის დროს განადგურდა ქვეყანა. ქართული ზნე-ჩვეულებანი შეიცვალა ყიზილბაშთა ზნე-წესით. გახშირდა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა.

შემდეგ...

შემდეგ, მოგონებები არ ასვენებდა ლევანს. გიორგი და ლევანი გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ შაჰის კარს.

გამარჯვებით გამხნევებულმა გიორგიმ და ლევანმა შაჰისაგან ვახტანგისათვის მამულის მიღების უფლება გამოითხოვეს. შაჰმაც გამარჯვებულებს სურვილი შეუსრულა და დღეს ბედნიერ ლევანს, ისანის მდივანბეგს, ჯანიშინი ვაჟი გვერდით მისდევს და დომენტიც კათალიკოს-პატრიარქად უნდა აკურთხონ მცხეთას.

სხვა რაღა უნდა მამის გულს?

— მუდამ ასე დიდებაში მენახოთ, შვილებო, — ჩურჩულებს ლევანი, — სიკვდილამდე შეგრჩენოდეთ საქართველოს პატრონის სახელი. ღმერთმა სხვათა მიწაზე ყოფნა გაშოროთ.

ვახუშტის ცხენს ქვაზე ფეხი აუცურდა, ქვა აგორდა, კლდეს მიენარცხა. ლევანი შეაკრთო ქვის ხმაურმა. ვახუშტი მშვილდივით გაშართული იჯდა ცხენზე. მოეწონა პაპას ბიჭის ამხედრება. დააკვირდა. „ჩვენი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი იქნება. შემართება ჩვენებური აქვს. ჭკუა-გონებას უქებენ. როგორ დაუმორჩილებია ბედაური. გიორგის ცხენზე შემართება დაუდგა თვალწინ. როგორ ემსგავსებიან ერთმანეთს ერთურთის უნახავი ახლობლები: თუ კარგად წარიმართა მაგის ცხოვრება, მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს სასახლეში. ჭკუა-გონებამ უნდა გაუკელიოს გზა. ცოდვის შვილს სხვა რა ეგების“.

ცხენები კოწახურის ფონში შეეიდნენ, წყლის ტყლაშუნმა ფიქრი გაუწყვიტა ლევანს. ბიჭებმა ყიჟინით შეაგდეს ცხენები წყალში. გამხიარულდა ქარავანი.

წყლიდან ამოსული ბედაურები გაფიცხდნენ, აჩქარდნენ. სარკინეთის მთიდან მონადენმა დილის ნიავმა გაახალისა მგზავრები.

სვეტიცხოვლის გუმბათი ბრწყინავდა დილის მზის სხივზე. ვახტანგმა ცხენი შეაჩერა, ქარავანიც შედგა. ჩამოქვეითდნენ. ვახტანგმა ქუდი მოიხადა, სვეტიცხოვლის განათებულ გუმბათს მიაპყრო ხედვა, პირს ჯვარი გადაისახა:

„ღმერთო, ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას, ნუ მომიშლი ჩემი ქვეყნის მზით განათებული სვეტიცხოველის გუმბათის ხილვას“.

სვეტიცხოველის მიდამო სავსე იყო დარახტული ბედაურებით, ჩარდახიანი ურმებით, სანოვაგით დატვირთული სახედრებით.

სასახლის კარის გამოჩენასთან ერთად ახმაურდა ხალხი.

— გაუმარჯოს გამგებელს ქართლისას!

— დღეგრძელი იყოს ქრისტიანი პატრონი საქართველოსი!

— დიდ ლევანს დღეგრძელობა!

— ბატონიშვილ დომენტის გამარჯვება და სიხარული ნუ მოაკლოს ღმერთმა!

ცხენები გალავნს გარეთ ჩამოართვეს. ყველა ფეხით შეეიდა გალავანში. ხალხი ფერხთით ყვავილებს უფენდა ვახტანგს და მის ამალას. სამღვდელო პირნი გალავნის კარიდან ტაძრის შესასვლელამდე ჩამწკრივებულიყვნენ. გალობდა საეკლესიო გუნდი. ბაქარი, ვახუშტი და მათი ტოლები გალავანში რიგის მიხედვით შეეიდნენ.

ტაძარი კელაპტრებს გაენათებინა, კელაპტრების ჩახჩახი საზეიმო იერს აძლევდა ყველაფერს. ოქროთი, ვერცხლით და მინით შემკული სამირონეს კარი ბრჭყვიალებდა სანთლის შუქზე.

— მამავ ბატონო, ახლახან შევამკობინე კარი სამირონისი! — წასჩურჩულა ვახტანგმა მამას. ლევანმა კმაყოფილი ღიმილით გადახედა შვილს, მოუწონა საქმიანობა.

ტაძრის შიგნით ორივე მხარეს მღვდელმთავრები და მღვდლები ჩამწკრივებულიყვნენ.

მანტიით მორთული დომენტი საკურთხეველში ელოდა სასახლის კარის ამალას.

არქიმანდრიტმა და დეკანოზმა ტრაპეზის ჩრდილოეთი კარიდან დომენტი გამოიყვანეს, წინ კანდელის მპყრობელი და პროტოდიაკონი მოუძღოდა ჯვრითა და აიაზმის წყლით.

მღვდელმთავარმა გამოცხადება დაიწყო:

— სამღვდელო და საერო დასნო! კურთხევითა და თანხმობითა უწმინდესისა და უნეტარესისა მამათმთავრისა ჩვენისა და საქართველოს პატრონის ჩვენის ვახტანგის ბრძანებით ბატონიშვილი დომენტი დადგინდება კათალიკოს-პატრიარქად ღვთივ დაცულის საქართველოისა.

დომენტიმ განაგრძო:

— ვინაიდგან სამღვდელომან და საერომან დასმან ღვთივ დაცულისა საქართველოისამან დაადგინა ჩემი მსახურებაი ამასა ზედა, ვჰმადლობ მას, მორჩილი ვარ ბრძანებისა მისისა, მივიღებ და არა რას მცირესა წინააღმდეგსა ვიტყვი, — დომენტიმ თავი დახარა და დადუმდა.

ტაძარში აქა-იქ თავშეკავებული ქვითინი გაისმა.

პროტოდიაკონის მჭექარე ხმამ ყველაფერი დაფარა. იგი კათალიკოსმა შეცვალა.

— კურთხეულ არს ღმერთი ჩუენ! — ეს სიტყვები ტაძარში მყოფმა მღვდელმთავართა და სამღვდელოთა საერთო გუგუნმა დააგვირგვინა და ტაძარში გაისმა შეუვალი

— ამინ!

ვახუშტი სვეტთან იდგა და ბიძას თვალს არ აცილებდა, იგრძნო, პირველი სიტყვები როგორ ძნელად წარმოთქვა ძია დომენტიმ, თვალებიც ნაღვლიანი ჰქონდა.

გუმბათის სარკმლიდან შემოპარული მზის სხივი ძია დომენტის დანათოდა და ამ სხივზე ბრჭყვიალებდა დომენტის გვირგვინი და სკიპტრა.

— ვახუშტი, რად ტირი? — ჩაესმა ვახუშტი აბაშიძის ჩურჩული.

— ვტირი?! — გაიკვირვა ვახუშტიმ და ხელისგული ღაწვებზე მოისვა.

— პირველადა ვარ ამ ტაძარში, რამოდენაა! — უკვირდა ვახუშტი აბაშიძეს, კედლებსა და გუმბათს თვალს ვერ აცილებდა.

ვახუშტი მეგობრის სიტყვებს ყურს არ უგდებდა, თვალთაგან ცრემლები ჩამოსდიოდა. ბიძას თვალს არ აცილებდა, ტაძარი კვლავ გუგუნებდა:

— შეგვიწყალე ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით უწმინდესისა და უნეტარესისა მამათმთავრისა ჩუენისა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა დომენტისა და ყო-

ველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩვენთათვის. დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა, დიდება... აწდა!

— რომელისა მიზეზისათვის მოხვედი წინაშე ჩუენსა? და ვითარ გწამს!

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა.

— მადლი ყოვლად წმინდისა სულისა იყავ შენზედა!

— გამოგვიცხადე მტკიცედ სიტყვაი იგი, თუ ვითარ აღიარებ სამგვამოვნებასა მიუწვდომელსა ღვთაებისასა!

— ისევ ტირი? — ვერ ისევნებს ვახუშტი აბაშიძე.

— ძია დომენტი მეცოდება! — ჩურჩულითვე უპასუხა ვახუშტი ბატონიშვილმა.

— აქსიოს!

გაისმა ტაძრის შიგნით და გაოეთ ერთობლივი გუგუნი:

— აქსიოს!

დომენტის სამღვდელმთავრო ანაფორა მიართვეს. მღვდელმთავარმა ჩააცვა იგი. მანტიაც მიართვეს, თავს კუნკული დაადგეს და მღვდელმთავარმა კვერთხიც მიართვა მწყემსობისა.

— მიიღე კუერთხი ესე, რათა დაჰმწყრეს რწმუნებული შენი სამწყსოისა ქრისტიანესი. იყავ მას ზედა კურთხევა და სიმტკიცე და რომელსა არა რწმენს შენი და უდებ იქმნეს, მიაქციე მასზედა საგუემელად კუერთხი ესე შენი სატანჯველად მისა.

დომენტი ამბიონზე გამოვიდა. ყოველი სამღვდელო, საერო ხალხი წოდებისა, თანამდებობისა და გვარიშვილობის მიხედვით მიედინებოდა დომენტისთან ხელზე სამთხევად, ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მამა ლევანი, ძმა გამგებელი და აღმზრდელი სულხან-საბა გადაეხვივნენ დომენტის.

ვახუშტის ჯერიც დადგა. მთელი ტანით კანკალებდა, დომენტის ხელს ემთხვია და გულში ჩაიკრა. დომენტის ხელმა იგრძნო ვახუშტის მკერდის ფართხალი.

სვეტიცხოვლის მადლმა გააერთიანა მეპატრონე და ხალხი, თავადი და გლეხი. ბატონიშვილ დომენტის კურთხევა კათალიკოს-პატრიარქად საერთო ზეიმად და სიხარულად გადაიქცა.

ლაშელმა სვიმონ აბაშიძემ მიიწვია სასახლის კარი.

სასახლეში მოწყობილ თათბირს მხოლოდ უახლოესი პირები ესწრებოდნენ. იმერეთში გამგზავრებას მარტო ლხინი არ ედო საფუძვლად. ნადიმობისა და ნადირობის საფარქვეშ გზადაგზა ციხესიმაგრეებს დაათვალიერებდნენ, თანაც ვახტანგს სურდა, ლიხს იქით მცხოვრებთ შეხვედროდა, ისინი ხომ ბავშვობიდან იცნობდნენ მას.

ახალი კათალიკოს-პატრიარქი სამწყსოს შემოიმტკიცებდა, მონასტრებსა და ეკლესიებსაც ნახავდა.

რუსუდანს ახარებდა იმ კუთხის მონახულება, სადაც ბავშვობა გაატარა, სადაც შეეუღლა ღირსეულ მეუღლეს ვახტანგს.

ვახუშტის გული თავის მეგობარ ვახუშტი აბაშიძისაკენ მიუწევდა, თუმცა თამარი ეშმაკურად უღიმოდა და ეუბნებოდა:

— ვახუშტი, რად გიხარია იმერეთს წასელა?!

ვახუშტი თავისდა უნებურად წითლდებოდა და თვითონაც ვერ გაერკვია, სხვა ვინმეც იზიდავდა თუ არა იმერეთს.

სასახლეში გადაწყვიტეს, ნადირობით და უდარდელი ლხინით გადაელახათ ლიხი.

მთელი სახლობა მიდიოდა დედაწულიანად, თან ახლდნენ ერთგულნი: მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიანი, გიორგი და იასე ვარსევანიშვილები, კარის დეკანოზი გიორგი, პოეტი ჯავახიშვილი, გურამიშვილები, ბერი ლავრენტი ბურნაძე, რომელსაც ევალებოდა მოგზაურობის ღირსშესანიშნავი ამბები ეწერა და ვახუშტი გაეწვრთნა ამ საქმეში. მღვდელი იასე ტლაშაძე, შუამთის მოძღვართმოძღვარი პართენი და სხვა მრავალი.

გიორგი გარსევანიშვილმა ადრევე გაალვიძა ვახუშტი და ბაქარი, გასამგზავრებლად გამზადება უბრძანა, ვახუშტის ბედაურს ძლივს აკავებდა მკლავმაგარი მეჯინიბე. ბაქარის ცხენი უფრო თვინიერი იყო და დინჯად იდგა. დედოფალმა რუსუდანმა სთხოვა გარსევანიშვილებს, თვინიერ ცხენზე შეესვათ ტახტის მემკვიდრე.

გარსევანიშვილებს არ ეამათ რუსუდანის ახირებული თხოვნა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხეს.

დიდ მოძღვართმოძღვარს სულხან-საბა ორბელიანს ვახუშტი ბატონიშვილი შისდევდა გვერდით. ასე ინება დიდმა სულხან-საბამ. გაამაყებული ვახუშტი ცხენს მაგრად უჭერდა სადავეს, არ უნდოდა

სულწასულ ბედაურს წაესწრო დიდი მოძღვართმოძღვრის ცხენისათვის.

პირველი შესვენება ნაჭარმაგევთან ბრძანა ვახტანგმა, იქ, სადაც ბატარა მდინარე ლიახვს ერთვის. ძველთაგანვე მეფეთა სადგომად ითვლებოდა ეს ნაპირები, ნადირითა და ფრინველით მდიდარი ადგილი, სანადიროდ ფრიად მოხერხებული. ფრინველთა და ნადირთ მრავლობის დრო იყო. ფრინველთ ეღურტული და ნადირთ ხავილთ ისმოდა ირგვლივ.

ნადირთა და ფრინველთა მოკვლა აკრძალა ვახტანგმა.

— ჩვენი დიდი წინაპრების — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის კანონი უნდა აღვადგინო — ნადირობა სასტიკად უნდა აიკრძალოს ნადირთა და ფრინველთა მრავლობის დროს.

სურამის წყალთან შეყოვნდნენ, მცირე შესვენება ბრძანა ვახტანგმა.

— დედაწულმა შეისვენოს, ჩვენ მიდამოს შევისწავლით! — მცირე ჯგუფი იახლა მხოლოდ.

ოსიაურის ზემოდან გადახედეს სურამის ჭალას. მდინარე შოლამდე ვაკე ადგილი იყო გაჭიმული. დიდხანს იდგა ვახტანგი, ჭალას ათვალიერებდა.

— დიდებული ადგილია, რას იტყვით, ბრძენნო! — მამასა და აღმზრდელს მიმართა ვახტანგმა.

— თვალთათვის ფრიად მოსაწონია, ადამიანთათვის კარგი სამყოფი! — დაუდასტურა სულხან-საბამ.

— დანატრებული ვარ ჩემი ქვეყნის მთასა და ველს, ჩემთვის ყველა ძვირფასია, დარბაისელნო! — ლევანს სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

— ყური კარგად მათხოვეთ, — განაგრძო ვახტანგმა, — თუ ჩემი გეგმა არ მოგეწონებათ, დასტურს ნუ მომცემთ! — ეს ჭალა გადავკაფოთ, აქ ახალი სოფლები გავაშენოთ, მდინარე შოლიდან რუ გავიყვანოთ, აქაურ მინდვრებს წყალი უხვად ექნება მოსარწყავად, პირუტყვთ სასმელად, წისქვილებიც ამუშავდება, ხალხს ცხოვრება გაუადვილდება, მიწა ექნება. ბუნებაც ხელს შეუწყობს, ჰაერი ფრიად კარგია და საამო.

— მერედა სოფლებში ვის დაასახლებ? — ლევანმა ცხენი ახლოს მიიყვანა შვილის ცხენთან.

— ავბედითობის ჟამს გადახვეწილ გლეხობას დავაბრუნებ, ამ ადგილებში დავასახლებ, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მყრელობა.

— კარგად გიფიქრია, შვილო ჩემო! — დაუდასტურა სულხან-საბამ. ზოგიერთი გლეხი უკვე დიდი ხანია გადახვეწილია. მათზე უფლება დაკარგული აქვს ბატონს. ამით ვისარგებლოთ.

— გაუჭირდებათ შექმნილი კერის დატოვება! — დაფიქრებით თქვა ლევანმა.

— მართალი ბრძანებაა, მამავ ბატონო, პირობებს შევუქმნით, ზოგჯერ ძალასაც ვიხმართ, თქვენც უნდა მოგვეხმაროთ, შაჰის თანხმობის გარეშე ასეთი რამე არ მოხერხდება.

— გატანჯულია ხალხი, ძალის ხმარებას უნდა ვერიდოთ.

— სავალალოდ, ძალაც დაგჭირდება უთუოდ, მარტო სიკეთით ძნელია ხალხის დაყოლიება.

— აქ თუ მოსახლეობა არ გვეყოლა, ძნელია ჩვენი ყოფა, ყოველგვარი ზომა უნდა ვიხმაროთ მოსახლეობის მოსაზიდად.

— ფრიად მოსაწონი და სასარგებლო გეგმებია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის.

— ეჰ, რამდენი რამ არის გასაკეთებელი ჩემს ქვეყანაში. მე და გიორგი იქ მტერს ვიცავთ, მათ გასაძლიერებლად სისხლსა ვღვრით, აქ სოფლები გაუკაცრიელებულია, იქ კი რამდენმა კარგმა ქართველმა დახუჭა თვალი, — თავი ჩაჰკიდა ლევანმა.

— დავბრუნდეთ! — ბრძანა ვახტანგმა, — არ უნდოდა მამის ნაღველი ენახა. ცხენი სწრაფად შეაბრუნა. — მამავ ბატონო, შენა და დიდი გიორგი ბედმა დაგჩაგრათ!

— მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, სხვათა ქვეყანაში არა მოღვაწეობა არ უფასდება ადამიანს. თვით იესო ქრისტეც არ დააფასეს სხვათა ქვეყანაში, ჯვარს აცვეს. ყოველი ადამიანი თავის ქვეყანაში უნდა მოღვაწეობდეს, მის ჭირ-ვარამს ემსახუროს. და თუ მის ნაამბრევს მთელი ქვეყანა მიიღებს, სხვათა ქვეყანაში მხოლოდ მაშინ დაუფასდება ღვაწლი.

— ამაღამ იტრიის მონასტერში დავბანაკდეთ, იქაურ სამღვდელოებას გავეცნობი! — ბრძანა დომენტი კათალიკოს-პატრიარქმა.

— მოსაწონი აზრია, დილით ადრიანად დავიწყებთ უღელტეხილის გადალახვას! — მოუწონა ძმას ნათქვამი ვახტანგმა.

ბანაკი სწრაფად წამოიშალა, გზა იტრიისაკენ აიღო. იტრიის მონასტრისაკენ საცალფეხო გზა მიდიოდა ტანაყრილ ტყეში. მაღ-

ლობზე შორიდანვე გამოჩნდა უგუმბათო ეკლესია. გზის ნაპირებს ფიქვები გასდევდა. მონასტრის ეზოში ფუტკარს ემრავლა, მზის ჩასვლისას ფუტკარი ზუზუნით მიეშურებოდა ბინებისაკენ. სადღაც შაშვი ჭახჭახებდა. მზე ტანაყრილ ფიქვის კენწეროებს ეალერსებოდა, კაკაბი ტოტიდან ტოტზე დახტოდა.

დომენტიმ საღამოს იტრიის სამღვდელოებასთან შეხვედრა დანიშნა. სულხან-საბამ ვახუშტის დაავალა:

— გზაში გაკეთებული ჩანაწერები წესრიგში მოიყვანე, იმერეთში დრო აღარ გექნება.

ვახუშტი თავის სამყოფელში გვიან დაბრუნდა. ძმის წყნარი სუნთქვა ჩაესმა. სარკმელთან ფრთხილად მივიდა.

„იმერეთში დრო აღარ გექნებაო! — ბრძანა სულხან-საბამ. იმერეთში სტუმრობა საქმეების მოსაგვარებლად სჭირდება მამას. იმერლები სანდონი არიან. იმერეთის მეფე ალექსანდრე მამის მცდელობით გამეფდა. საყვარელი დისწულია მამის. სვიმონი? სვიმონი რა საკითხავია. მუდამ ერთგულია ჩვენი. სვიმონ აბაშიძის სიტყვები გაახსენდა: — „ერთად გაზრდილნი ვართ, ერთი ძუძუ გვიწოვია, ჩემგან არ ეღალატება“.

მთვარიანი ღამე იყო. ტაძარი მთლიანად გაენათებინა მთვარის შუქს, მიძინებულივით იდგა. იქ კვლავ ბჟობა მიმდინარეობდა. ვახუშტიმ უეცრად თვალი მოჰკრა, ტაძრის სარკმელს რაღაც შავი ჩრდილი აკვროდა, დაკვირდა, ჩრდილი არ ინძრეოდა — რა უნდა იყოს? უეცრად ჩრდილი ოდნავ შეირხა. ადამიანი! — შეჰყვირა მან და თავისავე ხმამ შეაკრთო. პირზე ხელი დაიფარა: — რამ აიყვანა იმ სიმაღლეზე? გაჭირვებამ? ცნობისმოყვარეობამ? მტრობამ?

ვახუშტი თვალს არ აცილებდა ტაძრის სარკმელზე აკრულ შავ ლანდს. ლანდი შეინძრა. ნელა, სულ ნელა დაიწყო ჩამოსვლა: — ადამიანი!

„ვინ უნდა იყოს?“

მოყვარე ქურდულად არ აცოცდებოდა სარკმელზე.

მაშ ვინ არის?!

მტერი!

როგორ ფრთხილად ჩამოდის, ეშინია, ხმაური არ გამოიწვიოს.

გუშაგმა რად ვერ გაიგო? — მამის სიტყვები გაახსენდა: „გუშაგები რად გვინდა, ჩვენი აქ ყოფნა არავინ უწყის. — შეცდა მამა. ჩანს, მსტოვარი თბილისიდანვე აედევნათ“.

ლანდს ვიღაცამ ხელი შეაშველა და ისიც ფრთხილად დახტა ძირს. ლანდი და მისი დამხვდური ხელებით ალაპარაკდნენ.

ვახუშტი წამოხტა. „ჩქარა, ჩქარა, ვახუშტი, ყაბალახით სახე ახვეულ ლანდებს მოყვრის არაფერი სცხიათ. ისინი მტრები არიან. არც ერთი მათი სიტყვა არ უნდა გამოეპაროს". ვახუშტი ხეთა ჩრდილებით ლანდებთან ახლოს მივიდა.

— ტაძარი ხალხითაა სავსე! — ჩურჩულებს ის, ვინც ზევიდან ჩამოცოცდა.

— ვინ არიან?! — გაიკვირვა დამხვდურმა.

— სულ დიდებულნი არიან!

— სამღვდელო კრება ექნებათ!

— რა ვიცი! — ეჭვიანად აიჩეჩა მხრები მეთვალთვალემ. — სამღვდელონიც არიან და ერის კაცნიც, სულ დიდებულნი!

— ღმერთო, ამას რა ჭირს გადავეკიდეთ!

— იმათ ვეღარ წავიყვანთ!

— იყვნენ ხვალამდე, არ დაიხოცებიან.

ვახუშტის გაუელვა: — „თბილისიდან გამოყოლილი მსტოვარნი არ არიან. არც კი იციან, ვინ არის ტაძარში". კელავ ორთა საუბარს მიუგდო ყური.

— რას ამბობ, შიმშილით დაიხოცებიან, თანაც ხელ-ფეხი მაგრად აქვთ შეკრული.

— ეგენი დილით ადრე აიყრებიან, ახლა პატარა ჩქამიც საქმეს წაგვიხდენს, რომელიმე მათგანმა რომ იყვიროს, რა ვქნათ?

— შიმშილმა და წყურვილმა რომ დახოცოს?

— გეუბნები, დილამდე არა უშავთ რა!

— რომ დაიხოცონ, ან ღმერთს რას ეუბნები, ან ბატონს! — ვერ ისვენებდა პირველი.

— ღმერთი ჩვენ საქმეში არ ურევია, ბატონის!.. — მურდლად შეიგინა მეორემ. — ბატონი? ბატონი რას დაგიდევს, ჩვენ აქ სიკვდილ-სიცოცხლეს ვებრძვით, სოფელმა რომ გაიგოს, ჩაგვქოლავენ, მე შენ გეტყვი და, ქვების შოვნა გაუჭირდებათ ამ კლდე-ღრეში. ბიჭის ნაკბენი მხარი ისე მტეხს, ლამის დამიჩირქდეს.

— ღმერთს რა ვუთხრათ, ღმერთს!

— იცი, რა გითხრა, ასეთ საქმეს როცა ჰკიდებ ხელს, ღმერთსაც უნდა შეაფურთხო და კაცსაც. ღმერთი ვისაც სწამს, ასეთ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

— ჩავიდეთ, ვაქამოთ, წყალი მივაწოდოთ, ქრისტიანები არა ვართ?

— ქრისტეს შენთვის არა სცალია!

— შე კაცო, ყიზილბაში ხომ არა ხარ? თუ არ დავხედე, ისე ვერსადაც ვერ წაეალ.

— შენ ისე ხარ ატეხილი, ჭირს რამეს გადამკიდებ, აი, ტყუილად არ გადამირბინა კურდღელმა წინ.

— კურდღელი სადაც შეგხვდა, იმ ადგილზე სამჯერ არ შემოტრიალდი? — შიშჩამდგარი ხმით შეეკითხა პირველი. — დავხედოთ, ადამიანო, იქნებ იპოვეს კიდეც და იქ აღარც არიან!

ამან შეაექვა მეორე.

— მაშ, სად ჯანდაბაში იქნებიან, ვინ იპოვიდა მივიწყებულ ხაროში.

ვახუშტის ეშინოდა არსად მიმალულიყვნენ ავი კაცები, მაგრამ სულხან-საბას ჩაგონება მუდამ ახსოვდა: „მტრის ფარული ლაპარაკის შემთხვევით გაგონება უფრო საზრიანია, მის განზრახვას წვრილად გაიგებო".

პირველმა მაყვლის ბურდები მისწი-მოსწია და სადღაც შეძვრა.

აწრიალდა ვახუშტი. „ახლა კი უნდა აჩქარდეს. რა ქნას, როგორ მოიქცეს? ორ კაცს ვერ დაიჭერს, ერთ-ერთი გაექცევა და სადღა იპოვი ამ ტყე-ღრეში. თავისიანებთან გაიქცეს? ესენი შეამჩნევენ და არ დაინდობენ". სამრეკლოს შეავლო თვალი. ვიწრო კიბე სწრაფად აირბინა. ერთი აზრი უტრიალებდა მხოლოდ: — „ჩქარა, ჩქარა ვახუშტი, არ დაიგვიანოო".

ზარის ბაწარს ხელი წაავლო და თავისუფლად ამოისუნთქა. ზარის ხმამ უეცრად შეძრა მიდამო. წუთი და მიდამო მოიცვა ზართა გუგუნმა. წამოიშალნენ, იარაღს ხელი წაივლეს და გარეთ გამოცვივდნენ. ახმაურდა ტაძრის გალავანი, შეიქნა ყიჟინა, ყვირილი:

— ვინ არის?!

— რა ამბავია?!

— მტერი დაგვეცა!!

უეცრად თოფი გავარდა, ვახუშტის ზარის ბაწარი ხელში შეაწყდა, ზემოდან გადმოსძახა:

— მამა, ხაროში, მივიწყებულ ხაროში!

შეიქნა თოფის სროლა, ყვირილი. შეპყრობილნი ვახტანგთან მოათრიეს.

პირახვეული ჯმუხი, ჩასკვნილი ვაუკაცი ხშირი წარბებიდან მტრულად გამოიყურებოდა.

— მამავ ბატონო, მეორეც არის, მეორეც ახლავს!

— მარტო ვიყავ, არავინ მხლებია, გველის წიწილო! — ჩაიბუბუნა პირველმა.

— მაშ, ვინ ისროლა, გველო! — მივარდა გიორგი გარსევანიშვილი, შენი თოფი ახალ გასროლილს არა ჰგავს! — სახესთან ახლოს მიუტანა თოფის ლულა.

— ჩემი ბატონი გაგცემს პასუხს! — არ ცხრებოდა თავპირახვეული.

— დაიჩოქე, რეგვენო, პატრონს ვერა ხედავ?!

პატრონის ხსენებაზე შეკრთა თავპირახვეული.

— მეორე მივიწყებულ ხაროშია, მამავ ბატონო, იქ ტყვეებიც ჰყავთ!

თავპირახვეულმა სიმწრით კბილები გააკრაჭუნა. ბოროტად დაუწყო ვახუშტის მზერა.

— გარეშო შეჰკარით, არავინ წავიდეს!

— ამის დასჯა მე მომანდეთ, ბატონო! — ვახტანგის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა იასე გარსევანიშვილმა. — ბეწვზე გადარჩა ჩემი გაზრდილი.

— საჯაროდ უნდა დაისაჯოს ჯანიშინსა და მის სახლობაზე ხელის ამღები! — ბრძანა სულხან-საბამ და წუთით ყველა გაინაბა.

ვახუშტი ბატონიშვილი მივიწყებულ ხაროში პირველი ჩახტა. ამალამ მეორე თავპირახვეული კაცი ამოიყვანა, ის პირველზე უფრო ახალგაზრდა იყო. ტანზე დიდი, დაკონკილი ახალუხი ემოსა, გამხდარი იყო და მხრებგანიერი. თაფლისფერი თვალები ჰქონდა. შეშინებული გამოიყურებოდა.

— პატრონი ჩვენი! — ჩუმად ჩაიჩურჩულა, ყაბალახი მოიგლიჯა, ვახტანგის წინ მიწას დაემხო.

ვახტანგმა მათრახის წვერი წაჰკრა დამხობილს.

— რას აკეთებდით აქ, ვინ უნდა მოგეკლათ?

— არავინ, ტყვეები დავმალეთ ძველ ხაროში!

ამ დროს მივიწყებული ხაროდან ჭუჭყიანი ძონძით პირამოტენილი მხრებგანიერი, მოსული ვაუკაცი და ათი-თორმეტი წლის თმახუჭუჭა მოზარდი ამოათრიეს. დატანჯულნი და დაოსებულნი ფეხზე ვერ დგებოდნენ.

ვახუშტიმ გადიას მოტანილ წყალს ხელი დასტაცა, ფიალა ხელ-ფეხშეკრულ ვაჟკაცს პირთან მიუტანა.

— იმას მიმიხედეთ, იმას! — ბიჭზე მიუთითა ვაჟკაცმა. მაჯები მოისრისა სისხლის ასამოძრაველად.

— ვინა ხართ, საიდან ხართ, აქ რა გინდოდათ?! — სულხან-საბა დაიხარა მისკენ. ვაჟკაცმა ხმა არ გასცა, ბიჭთან მიხოხდა. ბიჭი ხმას არ იღებდა, თვალდახუჭული, უღონოდ ეგდო მიწაზე. კაცმა დაოსებული ხელებით თავი წამოუწია, კალთაში ჩაადებინა. მკერდში იკრავდა, ათრთოლებული ხმით ჩასძახოდა:

— ჩემო ჭიკჭიკა ბიჭო, ხმა ამოიღე, გამომხედე, შვილო, თვალი გაახილე, სიყრმის შვილო, თვალი არ დამიყენო, ბიჭო, დედაბოძი არ შემირყიო, კერა არ ჩამიქრო, ხმა გამე, ბიჭო!

— ღვინო მოიტანეთ! — ბრძანა სულხან-საბამ.

ბიჭს გარს შემოეხვივნენ. სულხან-საბამ ღვინო პირში ჩაასხა. ბიჭმა თვალები გაახილა, ბაგე აამოძრაა. სულხან-საბა კელავ დაიხარა და ახლა მეორე ყლუპი ჩაასხა პირში. ბიჭმა ენით ბაგეები მოიწმინდა.

— შვილო, თავს ძალა დაატანე. თქვი, რაც გინდა, გარს კეთილი ხალხი გახვევია, ნუ გეშინია!

ვახუშტი ბიჭთან ახლოს მივიდა. ბიჭის უღონოდ დაგდებულ ხელს ხელი გადაუსვა.

— ხელ-ფეხი ღვინით დაუზილეთ, სისხლი აუმოძრავდეს. შეკრულ ხელ-ფეხს მოძრაობა დაუკარგავს.

ვონზე მოსულმა ბიჭმა ძლივს წამოილუღლუღა:

— მამა!

— აქა ვარ, შვილო, აქა ვარ, ჩემო სიცოცხლეე!

— ვინა ხართ?! — კვლავ ჰკითხა სულხან-საბამ.

— იმერლები ვართ, შენი ჭირიმე, ნუნისიდან გახლავართ. ამათ ჩამოგვრეკეს, ჩემი ცოდვით .საესეებმა! — ვაჟკაცმა ხელი შაეგვრემან, ჯმუხი სახის მამაკაცისაკენ გაიშვირა, რომელიც მხლებლებს შუაში მოექციათ. — თქვენ ვინ ბრძანდებით, კეთილო ხალხო, იქნებ თქვენც, ჩემო ბატონო!.. — ვაჟკაცმა ეჭვით მოათვალიერა იქაურობა.

— გამგებელს ჩვენსას ვერა ხედავ, ვინ დაგიხსნათ?.. — გაისმა აქეთ-იქიდან წამოძახილი.

— იღბალი მქონია, ჩემო ბატონო, იღბალი, აბა გამგებელი ჩვენი აქ საიდან გაჩნდა, შენ ხარ ჩემი ბატონი ჩემ გადასარჩენად. ვახტან-

ხმა დაგვიხსნა ამ არაწმინდების ხელიდან. ეს რა გველირსა. ვინ გაგვიბედავს რაიმეს, მოდი შვილო, ფეხებში ჩავუვარდეთ, თაყვანი ვცეთ. ჩვენამდეც მოვიდა ხმა, ბატონო, ქრისტიანი გამგებელი გვყავხო. — მამა-შვილი ვახტანგის წინ მუხლებზე დაემხო. — ორთავეს ცრემლი უსველებდა სახეს, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი. — ამას რას მოვესწარი, ჩემო ბატონო, ვინ იფიქრებდა ვახტანგს ვნახავდი, გადამარჩენდა, სიზმარი ხომ არ არის, ჩემო ბატონო! ღმერთი თუ კაცს არ გასწირავს, მას ყოველთვის გამოუჩნდება მშველელი!

დამხობილნი წამოაყენეს.

მზემ იმძლავრა, ტაძრის მიდამო გაანათა. ვახტანგი დაფიქრებული მისჩერებოდა ტყვეებს. ბრაზი ყელში ებჯინებოდა. სულხან-საბა მიუახლოვდა თავის გაზრდილს.

— განაჩენია საჭირო, შვილო ჩემო, განაჩენი!

ვახტანგი უეცრად გამოერკვა, თავი ზე ასწია და ბრძანა:

— სოფელს მოუხმეთ, დაე, სოფელმა გაასამართლოს. დომენტი, სამღვდელოებასაც მოუხმე, სამღვდელოებამ და ხალხმა ერთად გაასამართლონ ხალხის შემაწუხებელნი.

— ბატონო მამა, ნება დამრთეთ, ზარს შემოვკრა ხალხის მოსახმობად, — მიეახლა ვახუშტი მამას.

ახლად გამოღვიძებული სოფლები ზარის ხმამ შეაკრთო. ზარის ხმა მოედო ტყეს, გორებს და სოფლებს. ძაღლებმა ყეფა ასტეხეს, ფრინველმა კრიახი, პირუტყვმა ზმუილი და გარშემო სოფლები შეაშფოთა ამ უჩვეულო ხმაურმა.

— ხალხო, რა ამბავია!

— მტერი ხომ არ დაგვესხა!

— ქუდზე კაცი გამოდითო!

— დიდი და პატარა ტაძარში უნდა მივიდეთ!

— გამგებელი მობრძანებულა ქალაქიდან!

— ვახტანგი და კათალიკოსი აქა ბრძანდებიანო!

— დედაწულიანად მოსულან სასახლის მკვიდრნი!

— იმერეთს უნდა გადავიდნენო!

— აბაშიძეს ჰყოლია დაპატიჟებული!

— ხალხო, გარეთ გამოდით, ერთგულება შევფიცოთ ვახტანგს! — ისმოდა სოფლის ორღობეებში ხალხის ლაპარაკი.

რა შეიტყვეს იტრიის ტაძარშიაო ვახტანგი, ხალხი ორღობეებს აღარ დაგიდევდა, მოდიოდა ტყე-ტყე, ყორე-ყორე, ღობე-ღობე.

იტრიის ტაძრის გალავანი ხალხით გაივსო. ზარი კვლავ არ ცხრებოდა, მისი გუგუნი და წკრიალი მიდამოს ედებოდა.

პაპა ლევანი, ვახტანგი, კათალიკოსი, სულხან-საბა, რუსუდანი, ბატონიშვილები ხალხს ეგებებოდნენ. ხალხი წუთით შედრკა ამდენი დიდებულის დანახვაზე.

— გამარჯვებას, მშვიდობას, მტერთა დათრგუნვას გისურვებთ, ხალხო! — იქექა სულხან-საბამ.

ხალხი ვახტანგისა და მისი მხლებლებისაკენ წაიწია.

— გამარჯვება ნუ მოაკლოს ღმერთმა ქართლის გამგებელს ვახტანგს!

— დღეგრძელი იყოს კათალიკოსი დომენტი!

— დიდი მოძღვართმოძღვარი სულხან-საბა ნუ მოგვაკლოს ღმერთმა ჩვენდა მფარველად და ქომაგად.

— გმადლობთ, ღმერთო, ქრისტიან პატრონს გვაღირსე!

— ქრისტეს ჯვარი გვწყალობდეს ყველას!

შეძახილი, სიცილი, სიხარულის ცრემლი ერთმანეთში აირია.

ვახტანგმა მარჯვენა ხელი ზე ასწია და ხალხიც გაინაბა.

— ღმერთს მადლს ვუხდი, კვლავ მეღირსა ჩემი ხალხის ნახვა. მახარებს თქვენი ნილვა, ვეცდები მთელი ჩემი ძალ-ღონით თქვენი კარგი პატრონი ვიყო. ხალხო, საპოპმანო საკითხისათვის გიხმეთ, თქვენი კარგი განსჯა და სამართალი გვესაჭიროება. მუდამ სამართლიანი იყავით, ნურც დღეს უღალატებთ ჩვენას. თქვენი სამართლის წინაშე მეც ქედს მოვიხრი. სამართალს განსჯის მოძღვართმოძღვარი და უპირველესი კაცი სულხან-საბა ორბელიანი!

სულხან-საბა ზე წამოდგა და დაიწყო:

— ხალხნო, ვახტანგს პატრონსა ჩვენსა და თანამეცხედრეს მისსა, ჩერქეზთა მეფის ასულს რუსუდანს და ძეთა მათთა, ვახუშტი ბატონიშვილს, ტახტის მემკვიდრე ბაქარს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დომენტის, ვახტანგის მამა ლევანს თქვენგან სამართლის მეტი არა ნებავთ რა. აქ წარმოგიდგენთ ადამიანებს, რომელთა სურვილი იყო გაეყიდათ ჩვენიანი, ჩვენივე მოძმე, ჩვენი სისხლი და ხორცი, ურჯულოთათვის მიეყიდათ! — სულხან-საბამ ზიზღით გადახედა იქვე ხელფეხშეკრულ ტყვეთა გამყიდველებს. ხალხმა გუგუნი დაიწყო:

— გვიპატრონეთ, ამოგვაგდეს მაწანწალებმა!

— ქალი და ვაჟი არ შეგვარჩინეს!

— ძროხა და ხარი მოგვისპეს!

— ჩავქოლოთ ჩვენი ფუძის ამომგდებნი!

— თვალი დავთხაროთ!

— მდუღრით გაიმართლოს თავი! — გუგუნებდა ხალხი.

სულხან-საბამ ხელის ზე აღმართვით შეაჩერა:

— ხალხო, უსამართლოდ დასჯა კაცისა არ ეგების. მოსამართლე დიდად მჩხრეკელი უნდა იყოს, მიმხვდარი, გამომძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, მოწმის მაძებარი, უქრთამო, ღვთის მოშიში. მოსამართლე საჩივრის დროს არ უნდა ჯავრობდეს, არც მომჩივანს და არც დამნაშავეს არ უნდა უწყრებოდეს, თორემ მსაჯულებს საჩივარს დააკარგვინებს, ვერც თვით მიხვდება რაიმეს და უსამართლობაც მოუვა. მოიყვანეთ მომჩივანნი.

მხარბეჭიანი ვაჟკაცი წამოაყენეს.

— ვახტანგი, პატრონი ჩვენი თქვენს პასუხს ელის!

ვაჟკაცი ვახტანგის წინ დაემხო.

— ხალხს უშველე, უშველე დაუძლურებულ ქვეყანას. კარზე ვერ გამოსულან, ან გამოსვლა რად გვინდა, სახლში გვეპრებიან, შვილებს გვტაცებენ, ცოლს, საქონელს. გარეშე და შინაურმა მტრებმა დაგვაძაბუნა. თავი ამ მთებს შემოვაფარეთ, გვეგონა დაგვიფარავდნენ, მაგრამ შინაურ მტერს მთები რას უზამს, აქაც მოგვაგნეს, ადგილის მწეარს ადგილის კურდღელი სად გაექცევა, ჩვენივე მოძმე, ჩვენივე ბატონი მტრად გადაგვეკიდა. გვიშველე, გვიპატრონე, დაგვიფარე!

ვახტანგი დაიხარა, მუხლებში ჩავარდნილი ვაჟკაცი ზე წამოაყენა.

— გვიამბე, თავს როგორ დაგესხნენ!

— შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი სოფელი ისეთ ადგილზეა, ჩიტი კურკანტელს ძლივს გაიტანს. წისქვილში საფქვავი წავიღე. ჩემდა ჭირად ბიჭიც წავიყვანე, ხშირად მარტოც გამიგზავნია ხოლმე. გზა ტყლეეებს შორის ვიწროში მიდის. თუ ვინმე ჩაგისაფრდა, ვერსად გაექცევი. არ ვიცი, საიდან გამოტყვრნენ ეგ წყეულები. მტერს არსაიდან მოველოდით. უიარაღო ვიყავით. დამიმორჩილეს. შვილის ბოღმამ ცეცხლი მომიკიდა. ძნელი ყოფილა უიარაღო კაცის იარაღიანთან ბრძოლა! — თავი ჩაჰკიდა მთხრობელმა.

მომტაცებელნი კინწისკვრით წამოაგდეს წინ, ყველას საჩვენებლად დააყენეს. ახალგაზრდა, თაფლისფერთვალებიანი ბიჭი ვახტანგის წინ მუხლებზე დაეცა.

— მაპატიე, ბატონო, ობოლი ვარ, უსახლკაროდ გაზრდილი. ჩემი ბატონი დამპირდა სახლის დასადგმელ მიწას გიწყალობებო, თუ ამ წყეულს წამოვყვებოდი და ერთი საქმის შესრულებაში დავეხმარებოდი. გავბრიყვდი ბატონო, სახლ-კარის ნატერამ სინდისზე ხელი ამაღებინა. მე უგნურმა ვიფიქრე, ამ ერთ ცოდვას ღმერთიც მაპატიებს და ხალხიც-მეთქი. მაპატიეთ, ხალხო, თქვენ ხომ იცით, რას ნიშნავს გლეხიკაცისათვის უსახლკარობა. სოფლის ობოლი ვარ, ხალხის გაზრდილი!

— მერე განა მაგისათვის გაგზარდა ხალხმა!

— უსახლკარობაც ვიცით რაც არის და ურჯულოს ხელში სხვათა ქვეყანაში ყოფნაც!

— ეგრე გადაუხადე სოფელსა და ხალხს ამაგი?

თაფლისფერთვალებიანი ახალგაზრდა უეცრად ზე წამოიჭრა, ხელგაშლილი წავიდა ხალხისკენ:

— ჩამქოლეთ, ხალხო, არ მაპატიო პატრონო ჩვენო, არ აპატიო ჩემისთანებს, თუ გინდა კარგი პატრონი იყო ქვეყნისა და ხალხის.

— ყმაო, იცი რას ნიშნავს-სხვათა ქვეყანაში ყოფნა? შენ ქვეყანაში უსახლკარობა გერჩივნოს, ბოგანობა გერჩივნოს, სხვათა ქვეყნის ოქრო-ვერცხლს. იცი, რას ნიშნავს, როცა შენი ხალხი გენატრება, შენი რჯული გენატრება, შენი მიწა გეძახის, რად იმეტებდი მოყვასსა შენსა ამ სასჯელისათვის?

— არ მაპატიო, პატრონო ჩვენო, არ მაპატიო, ჩემისთანა კაცს შენს ქვეყანაში სამყოფელს ნუ მისცემ. ღირსი არა ვარ ჩემი ქვეყნის მიწაზე დავდიოდე, ჩემი ქვეყნის წყალს ვსვამდე! თუ არ დამსჯი, მე თვით მოვიკლავ თავს, ღირსი არა ვარ ჩემს ხალხს ვუყურო, არა ვარ ღირსი! — ბაქარს მივარდა, დამბაჩა ააცალა, თავში დაიმიზნა, ბაქარმა ფიცხლავ გაიძრო ხმალი, დამბაჩას აუკრა, დამბაჩა გავარდა, ჭროღათვალებიანმა ბოროტად გაიღიმა, მხარზე ხელი იტაცა. წაბარბაცდა, ვიღაც მიეშველა. ყველა გაინაბა.

— დახეთ რა მიყო, ამ ლაწირაკმა. ჩემი ბატონი გაგცემთ პასუხს!

— სამართალმა გზა მონახა!

— გასამართლება აღარ დასჭირდა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— გაიყვანეთ, მოუარეთ! — ბრძანა ვახტანგმა. — თუ გადარჩა, განდეგილ იქნას ჩემი საბრძანებლიდან და იწოდებოდეს ვითარცა ურჩი და გარყვნილი. მშიერი და შიშველი ვიდოდეს უდაბურთა ადგილთა შინა. თავშესაფრად არ ეგულებოდეს არც სახლი მამისა თვი-

ხისა, არც გვარეულთა მისთა, ამა სოფლიდან უძეოდ აღმოიფხვრას. დღეთა სიგრძეობა მოაკლდეს. ცვარნი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა ნაყოფს. ამ სოფლის შემრცხვენელო და იმ სოფლის წამრწყმედელო! დაიმკვიდრე საუკუნო სატანჯველი!

ჯერი მეორე დამნაშავეზე მიდგა, რომელიც მიწაზე დამხობილიყო და ყრუ ხმით ღმუოდა.

— დედოფალო, სთხოვე მამას, აპატიოს, მაგას ტყვეების მოკვლა არ უნდოდა, მე თვითონ მოვუსმინე! — ვახუშტის დედინაცვლის ხელი ჩაებღუჯა, ცრემლი ყელში მობჯენოდა, დაგუდული ხმით ჩურჩულებდა.

— დაწყნარდი, შვილო!

ვახტანგმა ალმაცერად გადახედა მეუღლესა და შვილს, იმათ თვალებში საერთო სურვილი ამოიკითხა: — აპატიეო დანაშაული.

სულხან-საბამ მოწმე ვახუშტი ბატონიშვილი გამოიძახა. ვახუშტი გამოვიდა, დაწვრილებით უამბოთ ყველაფერი, ვახტანგმა განაჩენი გამოაცხადა:

— მე, ძემან ირანის მდივანბეგის ლევანად ხმობილისამ, საქართველოს ჯანიშინმა და პატრონმა ვახტანგმა ვაპატიე ყრმასა შეცოდებანი მისი და საცდელად ერთი წელი დავუდე ვადად. რას იტყვით, ხალხო, იტრიის ტაძარს ემსახუროს ვადამდე!

— იტრიის ტაძარს ემსახუროს ვადამდე! — ერთხმად გაიმეორა ხალხმა ვახტანგის განაჩენი.

— დღეგრძელი იყოს, ვახტანგი!

— გაუმარჯოს ქრისტიან ვახტანგს!

— გაუმარჯოს პატრონს ჩვენსას!

— მამავ ბატონო, ნება დართე ვარდენს, ჩემს პირად მხლებლად იყოს სასახლეში! — მიეახლა მამას ვახუშტი.

— თანახმა ვარ, შვილო, თუ ვარდენის მამაც ამის მოსურნე იქნება!

— დაე, ჩემი შვილი სასახლის კარზე აღიზარდოს, ბატონიშვილებთან ერთად. იქნებ ტყვედ გაყიდვა მაინც აიცდინოს. პატრონის სიყვარული დიდი განძია ყმისათვის.

— უსჯულოთა ქვეყანაში ყმათა გამყიდველნი ორმაგად უნდა ისჯებოდნენ. როგორც სულის გამყიდველთათვის ცალკე სასჯელი უნდა გამოინახოს მათთვის! — უთხრა ვახტანგმა ცხენზე ამხედრებისას შამა ლევანსა და აღმზრდელ სულხან-საბას.

აქედან გზა ტყეს მიჰყვებოდა. ხარაგოულამდე დაბურული ტყით უნდა ეელოთ. ვიწრო გზა მიჰყვებოდა მთებს. გათავდა ცადაზიდული ფიჭვები, ფართოდ გამდგარი და მხრებგადაშლილი მუხის, ცაცხვისა და წაბლის ხეები მომრავლდნენ.

ჩუმად მიდიოდნენ. ყველას წაუხდინა გუნება იმ უსამართლობამ, რომელსაც ისე მჭიდროდ გაედგა ფეხი მათ ქვეყანაში. ყველა თავის საფიქრალს ფიქრობდა და ცხენები ნელი ჩორთით მიუყვებოდნენ გზას.

ბიჭებსაც დაეკარგათ ხალისი. ჩუმად იყვნენ და ახლად შეძენილი ყმის შეხედვას ერიდებოდნენ.

— ბლომად დაუსხამს რკო მუხას, დიდისა და ფიცხელი ზამთრის და მრავალი თოელის მომასწავებელია! — დაარღვია სიჩუმე სულხან-საბამ.

უღელტეხილს მიაღწიეს, მთის წვერზე ირემი გადმომდგარიყო, უშიშრად გადმოსცქეროდა მიმავლებს, ამაყად მოეღერებინა ყელი.

— მამა, შეხედე ირემი, ირემი შემოგვეყარა, — ბედნიერების ნიშანია!

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა თამარს, რომ კლდეებმა სიმღერის ხმა მოიტანეს. — იმერლები მოდიან ჩვენს შესახვედრადო! — შეჰყვირა თამარმა და ცხენი თოხარიკით მიუშვა.

სულხან-საბამ ცხენი შეაჩერა, ქარავანს გადახედა.

ვახტანგს თავისი ერთგული იმერლების ხმამ დარდი დაავიწყა. ბავშვობა და ყმაწვილობის დღეები გაახსენა, ხარაგოულში აბაშიძეების სასახლეში გატარებული დღეები. თვალი თავისდაუნებურად გაექცა ვახუშტისაკენ. „ვახუშტი, მისი პირველი სიყვარულის ნაყოფი". მოეჩვენა, ვახუშტის დედის ბრიალა თვალები უცქეროდნენ თხილის ბუჩქებიდან. დამფრთხალ ჯეირანს მიაგავდა ბუჩქებიდან მაცქირალი. თავისივე ლექსი მოაგონდა მისთვის მიძღვნილი: „ღაწვნი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირნი შროშნად, ტუჩნი ლალად, თვალნი მელნად, წარბი სათად, თმა სუმბულად, კბილი სრალად". ფიქრი ვერ დაამთავრა ვახტანგმა, აბაშიძეების ყიჟინმა დაფარა ყველაფერი. ვახუშტი აბაშიძე და მარიამი დაწინაურებულიყვნენ, მათი ცხენები ერთმანეთს უსწრებდნენ.

ვახტანგი თითქოს ვერ ხედავდა მოსულებს, ფიქრს განაგრძობდა.

სვიმონ აბაშიძემ ვახტანგის გამიჯნურების ამბავი რომ გაიგო,

თავში შემოირტყა ხელი, არ მოეწონა ბატონიშვილის უთანასწორო გამიჯნურება.

— ეს რა მიყავი, ბატონიშვილო, რა პირით შევხვდე ლევანს, რა ვუთხრა დიდ მეფე გიორგის! — გაიძახოდა გაცეცხლებული. მის შემდეგ დღეს პირველად ხვდებოდა სვიმონ აბაშიძე მამა ლევანს.

ვახტანგმა თავი ვერ წაართვა წარსული დღეების მოგონებას. თვალწინ დაუდგა მდინარე ჩხერიმელას ზევით გორაზე წამოდგმული აბაშიძეების სასახლე. შორიდან წყლის ხმაური და ტურების კივილი მოჰქონდა ნიავს. რამდენი ღამე უთენებია აბაშიძეების სასახლის ყურის ოთახში, აბაშიძეები ამ ოთახში ხელნაწერებს ინახავდნენ. ამ ხელნაწერების გარჩევაში და თვალებბრიალა ნონაზე ფიქრში ხშირად თავზე დასთენებია ვახტანგს.

ცეცხლი მოიკიდა სვიმონ აბაშიძემ, რომ გაიგო დავაგვიანე და ბატონიშვილმა სიყვარულში ღრმად შესტოპაო. მაინც აპატიეს, დიდი კაცის შვილებს შეცოდებას ადვილად აპატიებენ, ნონას კი, საწყალ ნონას, ღმერთმა არ აპატია.

უ, რა წვიმა და თქეში იყო იმ ღამეს. საღამოს ნონას ნახვა ვერ შეძლო ვახტანგმა. დილით ალიონზე ადგა, ისე გავიდა სასახლიდან, აბაშიძეებს არ გაუგიათ. არ უყვარდათ მხლებლის გარეშე ვახტანგის გაშვება. გაახსენდა, ნაწვიმარზე როგორ მიაგელვებდა ცხენს. გორაკზე შეაყენა ცხენი. აქედან გახედა ქოხს. მათი ქოხი ორ კლდეს შორის იყო შეყუჟული. თითქოს ამ ვეებერთელა კლდეებს გულში ჩაეკრათ იგი.

დიდხანს იდგა ვახტანგი, ქოხს მისჩერებოდა და ერთ საფიქრალს ფიქრობდა — რატომ არ ამოდის კვამლი ქოხიდან?

ყორნების გუნდმა გადაუარა ვახტანგს, ყრანტალებდნენ ყორნები და ქოხს თავს დასტრიალებდნენ. ცუდად ენიშნა ყორნების ყრანტალი. ცხენი ადგილს მოწყვიტა, ჭენებით შეუდგა ალმართს. ყორნების ყრანტალი კლდეებს ეხეთქებოდა, ცხენის ფეხქვეშ ხმაურობდნენ ქვები და კაჟის ქვის ნაპერწკლები სივრცეში იფანტებოდნენ. ქოხის კარი ღია იყო. შიგ ბნელოდა, ორად მოხრილ, შავით მოსილ მოხუცებულ ქალს ხელში ჩვილი ეჭირა, ორშიმოდან ღვინოს ხელისგულზე ისხამდა და ჩვილს თავზე უსვამდა. მოხუცმა ქოხის კარებში შეჩერებულ ვახტანგს თვალი კიდა, უკბილო ბაგეებით გაუცინა:

— ხუჭუჭთმიანი იქნება ბიჭი, ბატონიშვილო! — უკბილოს ბაგეები ჩაუვარდა, წვეტიანი ნიკაპი წინ წამოეწია. ქოხის ზღურბლს ძლივს

გადააბიჯა ვახტანგმა, ხელი ჩვილისაკენ გაიშვირა, ყრუ ქვითინმა შეაკრთო. ის ლოგინზე უძრავად იწვა, ვისი ხილვისთვისაც ასე მოიჩქაროდა. ფერხთით ბაბუა უჯდა.

— აჰა, მოვიდა შენი ვახტანგი, მაგრამ შენი ლამაზი თვალები მას ვეღარ იხილავენ. რად არ იჩქარე, ვახტანგ, როგორ უნდოდა შენი ნახვა... — ახლაც ჩაესმა ვახტანგს მოხუცის საყვედური. გააკრჭოლა, ცხენს ლაგამი მიუშვა, მერე, მერე... არ ახსოვს რა იყო, ახსოვს მხოლოდ, როგორ დატუქსა სულხან-საბამ და ხურჯინით ჩვილი მოიყვანეს. ახლად დაბადებული ჩვილი ვახუშტი აბაშიძის ძიძას მიჰგვარეს გასაზრდელად. მერე, მერე ვახტანგისათვის სულ ერთი იყო. დიდი გიორგი მეფის ბრძანებით ჩერქეზთა მეფის ასულზე დააქორწინეს და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადეს.

ვახტანგი იმერლების ყიჟინამ შეაკრთო, იმერლები შემოუერთდნენ სტუმრებს, ვახტანგს ფიქრის ძაფი გაუწყდა. დაინახა: თავისი ვახუშტი და ვახუშტი აბაშიძე გვერდიგვერდ მიაგელვებდნენ ცხენებს.

სვიმონ აბაშიძე მიეახლა ვახტანგს. ცალ მუხლზე დაიჩოქა, ვახტანგის კალთას ემთხვია. ვახტანგი ცხენიდან გადმოხტა. სვიმონს ძმასავით გადაეხვია.

სვიმონ აბაშიძის სახლ-კარის ნახვამ გაახარა ვახტანგი და მისი მეუღლე რუსუდანი, აქ მათთვის ყოველი ხე და ბუჩქი ნაცნობი იყო, რამდენი ბედნიერი და მხიარული დღე უნახავთ ამ მიდამოში.

რუსუდანი აივნიდან ჩხერიმელას გადასცქეროდა: — აგონდებოდა მთვარიან ღამეში როგორ ბანაობდა აქ სამშობლოდან ჩამოყვანილი პატარა გოგონა. ეს მთებიც მშობელ ქვეყანას აგონებდნენ.

დიდმა გიორგი მეფემ მოიყვანა აქ რუსუდანი. აბაშიძეებს დააკალეს მისი აღზრდა სადედოფლოდ. ლაშელი აბაშიძეებიც თავს ეკლებოდნენ მომავალ დედოფალს.

შემდეგ საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, მის შემდეგ აღარ უნახავს რუსუდანს გიორგი მეფე.

რუსუდანს ვახტანგზე დასწერეს ჯვარი მელისკარის პატარა ეკლესიაში. ახლა დედოფლად დაბრუნდა რუსუდანი ლაშელ აბაშიძეებთან.

ერთგულად და ძლიერად უყვარს თავისი თანამეცხედრე რუსუდანს, შვილების ერთგულს ის დღეც გაახსენდა — ვახუშტი ბატონიშვილი რომ მიგვარეს; იმ დღიდან საკუთარი შვილივით შეიყვარა ბიჭი.

მხიარულების, ბედნიერების, სიხარულის და მოგონებების დღეები გაატარეს ლაშეში.

იმერეთის მეფე ალექსანდრეც მობრძანდა და ის ღამე ალექსანდრემ, ვახტანგმა, მამა ლევანმა, მოძღვართმოძღვარმა სულხან-საბამ და სვიმონ აბაშიძემ თათბირში გაატარეს. ალექსანდრე ღამეულა გაბრუნდა უკან: კვლავ შეგხვდებითო დაიბარა.

ვახუშტი ბატონიშვილმა და ვახუშტი აბაშიძემ ჩხერიმელას და ძირულის შესართავისაკენ გაისეირნეს. ამ პატარა ტაფობს ვახუშტი აბაშიძე ჭალას ეძახდა.

— ეს არის ჭალა?! — იცინოდა ვახუშტი ბატონიშვილი ამ პატარა ტაფობის შემხედვარე.

— მეტი ვაკე ჩვენ არ გვაქვს, ბატონიშვილო! — იცინოდა ვახუშტი აბაშიძეც.

— ერთი ამ ვიწროებში შემომატყუებია ნარიყალას ციხეში ჩაბანაკებული ყიზილბაშები! — ინატრა ვახუშტი ბატონიშვილმა და ჩხერიმელას ნაპირიდან ახედა ხანდების ვეებერთელა კლდეებს. — ეჰ, უშიშარია აქაური მაცხოვრებელი, მტერი ადვილად ვერ შეაწუხებს.

— სამუშაოდ არის ძნელი, ხარი და კაცი ძლივს იკიდებს ფეხს, — ნაღვლიანად მოახსენა ვახუშტი აბაშიძემ.

— ყველგან გაჭირვებაშია ჩვენი ხალხი, მინდორშიც და კლდეშიც.

— მედროვეებიც სარგებლობენ, ამ კლდე-ღრეებიდან იტაცებენ ჩვენს ხალხს. მადლობა ღმერთს, იშვიათად ბედავენ აქ გამოჩენას.

— ამიტომ შეუტიოს მამამ ტყვეთა გაყიდვას. ხიზნობაც არ არის კარგი, ჩვენი სოფლებიდან გამოქცეულნი ხშირად თავს თქვენთანაც აფარებენ.

— გაჭირვების მეტი რა მიატოვებინებს ადამიანს თავის სახლ-კარს, თავის გარემოს, ჩვენც რომ ხელი ვკრათ, სად წავიდნენ? ყოველი ჩვენგანი მტერს გამოქცევია ოდესმე. აბა ვინ შეაფარებდა თავს ამ კლდე-ღრეებს გაჭირვებული კაცის მეტი.

— რა კარგია აქ! — წუთით თვალები დახუჭა ვახუშტი ბატონიშვილმა! — არც ურჯულოთა ლაპარაკი გესმის, არც მათი გამყინავი სიმღერა.

ნადირობა ვერ მოაწყვეს აბაშიძეებმა. ვახტანგმა ბრძანა:

— ფრინველთა და ცხოველთა მრავლობის დროს ნადირობას სასტიკად ვკრძალავო. ზღვა კოვზით დაილევა, ფრინველთა და ცხოველთა

ამოწყვეტა ისევე საზარალოა ხალხისათვის, როგორც ტყეთა განადგურება და წყალთა დაბინძურებაო.

— რადგან ნადირობის აკრძალვა გადაწყვიტეთ, ბატონო, სოკოს საკრეფად წამობრძანდით, საჩოთირო არ იქნება. ნიყვის დროა ეხლა, სამეფო სოკოდ უხმობენ და მის საკრეფად წასვლაც არ ითვლება სათაკილოდ. მელისკარის ეკლესიაში გავივლით, ჩხერის ციხესაც დავათვალიერებთ, სხვა სოფლების სიმაგრეებიც გავსინჯოთ. შემდეგ შორაპნისაკენ გავუტიოთ. იქ ალექსანდრე დაგვხვდება, იმერეთის მეფე. ვერავინ გაიგებს ჩვენს საიდუმლო საქმეებს. სტუმრად და სანადიმოდ მობრძანდა ჩემი პატრონი ჩემს სამყოფელში, როგორც შემიძლია, ისე ვუმასპინძლებ! — ურჩია ვახტანგს სეიმონ აბაშიძემ.

— არა მგონია, საჩოთირო იყოს! — კვერი დაუკრა სულხანსაბამ, — მარხვაც დაიწყო და სოკოს მირთმევა სახამუშო არ არის.

იმერული სამარხვო საჭმელები გაამზადეს აბაშიძეებმა: ნიგვზიანი ეკალა, პრასი, მინდვრის ფხალი, ლობიანი პურები, მჭადები; ჭრელჭრელი კალმახები და კაკლის ფოთოლში შემწვარი ახალი თევზი; ჩურჩხელები და ტკბილისკვერი, არც ოსმალეთიდან შემოტანილი ნუგბარი დაუკლიათ.

გამთენია აიყარნენ და ტყეს შეერივნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი და ვახუშტი აბაშიძე ყველაზე წინ მიაგელვებდნენ ცხენებს. ახარებდათ შემხვდური ტყის ბინადარნი, ზოგან კლდიდან ამაყი არწივი აფრინდებოდა, დამფრთხალი თვალებით შველი უყურებდათ, აქა-იქ ნიყვი გამოანითებდა, ზოგან ნაგვიანევი ლურჯთვალა ია ააფახულებდა თვალებს და გარშემო ფუტკრები ზუზუნებდნენ.

მოჩუხჩუხე წყაროებთან ჩერდებოდნენ, ისვენებდნენ.

— იმერეთის წყაროებს ბოლო არ უჩანს, ჩვენ თუ ყველასთან დავისვენეთ, შორაპნის ციხეებს ნამდვილად ვეღარ მოვინახულებთ! — იცინოდა ლევანი და ბავშვივით ახარებდა თავისი ქვეყნის კუთხე-კუნჭულის ნახვა.

მხიარული იყო ეს გასეირნება. აქედან იწყებოდა ქართლს მიმავალი გზა, მეტად ვიწრო და ძნელი სავალი ვახანამდე.

მელისკარის ეკლესიაში მცირედი პარაკლისი გადაიხადა მელისკარის მოძღვარმა, ვახტანგი და მისი სახლობა ღმერთს შეავედრა.

საამური სანახავი იყო ჩხერის ციხის გალავანი. ასწლოვანი კაკლის ხეები ამაყად იდგნენ და მაღლობიდან გადმოსცქეროდნენ ჩხე-

რის ციხიდან ქართლისა და ლიხთ-იმერეთის დამაკავშირებელ გზას. აქედან ხელისგულივით ჩანდა მესხეთ-ჯავახეთს მიმავალი გზაც.

ციხეს შესასვლელი მდინარის მხრიდან ჰქონდა. სოფელ ჩხერის გზა კლდეებს შორის მიდიოდა, ისე ჩაიკეტებოდა, ფრინველი ვერ გადაფრინდებოდა.

ჩხერის ციხის გალავანში ცხენებიდან ჩამოვიდნენ და კაკლის ხეების ქვეშ დაბანაკდნენ, სულხან-საბამ ახალგაზრდობა გარს შემოიკრიბა:

— ეს ცნობილი ჩხერის ციხეა, ერთადერთი ციხე, რომელიც მტერთაგან არასოდეს ძლეულა. ამ ციხისაგან დაიდო მდინარემაც სახელი და ამიტომ ჩხერიმელად იწოდება, რომელიც წყლის ჩხერად დინებასაც აღნიშნავს. ვახანის ხევი, რომელიც ფერსათიდან ჩრდილოეთით მიედინება, ჩხერიმელას შეერთვის.

ვახუშტი ბატონიშვილი ყურადღებით უსმენდა მოძღვართმოძღვარ სულხან-საბას, ცდილობდა, ყველაფერი კარგად დაეხსომებინა.

— მდინარე ძირულა საიდანღა გამოედინება? — მორიდებით ჰკითხა ვახუშტიმ.

— მდინარე ძირულა პერანგის მთიდან გამოედინება, შვილო ჩემო, ვერტყვიდან ხარაგოულამდე სამხრეთ-დასავლეთით მოედინება, ხარაგოულიდან შორაპნამდე კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მრავალი კალმახი იცის. სასმელად საამოა და შესარგი.

დაბანაკება და სადილობა ჩხერის ციხის გალავანში ბრძანა სვიმონ აბაშიძემ.

— ამაზე უკეთეს ადგილს ვერსად ვიპოვით, ბატონო. ცივი წყალიც აქვეა.

ბიჭებმა კოკებით, ჩაფებით და თუნგებით ჩააწყვეს ღვინოები წყაროში გასაციებლად. მრავალნაირი ღვინო წამოეღოთ აბაშიძეებს: ცოლიკოური, ალადასტური, ღვინის მსმელებისათვის — გაბაშა და კინწმაგარი — ოდნავ მომჟაო, ცხელ დღეებში სასიამოვნო დასალევი; ბერაურა, კოდური და ბუტკუ—ტკბილად შესარგი ქალებისათვის.

კალმახის მოსატანად წასვლა ბრძანა სვიმონ აბაშიძემ. ლევანმა მოისურვა — ჩვენც წამოვალთ კალმახზე სათევზაოდ.

სხვებმაც არ დაიზარეს.

— ძია სვიმონ, მეფუტკრესთან არ გავიელით?! — არ ეშვებოდა სვიმონ აბაშიძეს თავისი ძმისწული მარიამი, როცა ნახა, რომ მეფუტკრისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს მხარი აუქციეს.

სვიმონ აბაშიძემ ხმა არ გასცა ძმისწულს, მხოლოდ ვახტანგი შეტოკდა ცხენზე მეფუტკრის ხსენებაზე და სულხან-საბამ ცხენი ააჩქარა. სვიმონ აბაშიძე წუთით შეყოვნდა, მაგრამ, როცა ნახა ვახტანგი სულხან-საბას გაჰყვა, მანაც მოსწყვიტა ცხენი.

მარიამი ერთად მიმავალ თამარსა და ვახუშტი ბატონიშვილს წამოეწია.

— ვერ გავიგე, რად' არ უნდა ძია სვიმონს მეფუტკრესთან წამოსვლა, ახალ თაფლს ამოგვიღებს, მერე რა შესანიშნავი თაფლი აქვს. ჩვენ ყოველთვის მივდივართ მასთან. ძალიან კარგი კაცია, პირველი მეფუტკრეა იმერეთში, ნასადილევს წავიდეთ, ჩვენები რომ მოისვენებენ.

— აუცილებლად წავიდეთ, ჩემო მარიამ! — დაპირდა თამარი.

ჩხერის ციხის გალავანში სადილობა სამუდამო სამახსოვროდ დარჩა ყველას, განსაკუთრებით გემრიელი იყო კაკლის ფოთოლში შემწვარი თევზი და ნაკვერჩხლებზე დაბრაწული ნიყვი.

სადილის შემდეგ დაისვენა ბანაკმა. დათვის ტყავები და ჭრელ-ჭრელი ფარდაგები დააგეს მინდორზე. აბაშიძეებს მრავლად მოეტანათ შუთაქები, ბალიშები მოსასვენებლად.

— ჩვენ საფუტკრეში ავიდეთ, დასვენება არ გვინდა.

— მარიამს ფრთები აკეცილი აქვს გასაფრენად! — გაიცინა ვახუშტი ბატონიშვილმა.

მარიამი გაწითლდა, თვალებში ცრემლი წამოეძალა:

— მე მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა აქაური საფუტკრეები.

თამარმა ხელი მოხვია მარიამს:

— აუცილებლად წავიდეთ, ხედავ, ვახუშტის როგორ უნდა წამოსვლა.

ვახუშტიმ დას გაუცინა:

— მზადა ვარ წამოსასვლელად!

— აი, აქ უნდა ავუხვიოთ! — ვახუშტი აბაშიძემ მკაცრად გადახედა მარიამს. — საფუტკრეში რა გვინდა, შორსაა, ჩვენებისათვის არ გვითქვამს!

ვახუშტი აბაშიძეს თვითონაც უნდოდა საფუტკრეში წასვლა, მაგრამ მამის საიდუმლოდ ნათქვამი გაახსენდა: — საფუტკრეში არ გაბედო ვახუშტი ბატონიშვილის აყვანაო. არ უნდოდა დაერღვია მამის დარიგება.

— რათ არის შორს? — ვერ ისვენებდა მარიამი. ამ ალმართს აკ-ირბენთ, გორაკის თხემზე ბაბუა სარდიონის ქოხია და საფუტკრეც.

— ვინ არის სარდიონი? — იკითხა ვახუშტი ბატონიშვილმა.

— ბაბუა სარდიონი ფუტკრების პაპაა, ფუტკრის ენა იცის, ფუტ-კრებსაც უყვართ.

ვახუშტი აბაშიძეს გულზე ხეთქავდა მარიამის ლაპარაკი: — რა ენად გაიკრიფა დღეს ეს გოგო, ცდილობდა, როგორმე აეცდინა საფუტკრეში წასვლა. მარიამმა კი თამარიც მიიმხრო, ვახუშტი ბატონიშვილიც და როცა ვახუშტი აბაშიძე მიხვდა, ველარას გააწყობდა, ვადაწყვიტა, ერთი წუთით არ მოსცილებოდა ვახუშტი ბატონიშვილს.

— იქ იმდენი ყვავილებია, მინდვრის ლამაზი ყვავილები. ბაბუა სარდიონს ჯიბეები მუდამ თესლით აქვს სავსე. დადის და თესავს თავისი ფუტკრებისათვის ყვავილებს. — მარიამი თამარსა და ანუკას საფუტკრისაკენ მიუძღვებოდა. — აი, აქედან ფუტკრების სამფლობელოა, ყური დაუგდეთ, ირგვლივ მხოლოდ ფუტკრის ზუზუნი ისმის.

ალმართს შეუდგნენ, მიდიოდნენ კისკისით, მხიარულნი და ბედნიერნი.

ხის პატარა ქოხი ბერ მუხებს ისე შეყუჟოდა, როგორც შაშვი მაყვლის ბურდს. ქოხის წინ, ჯირკზე, მოხუცი იჯდა, თხილის წნელს თლიდა. ხმაურზე თავი აიღო, მოსულები შეათვალიერა.

— ბაბუა სარდიონ, გამარჯობა! — წინ გაუჩერდა მარიამი.

— გამარჯვება ნუ მოგიშალოს ღმერთმა, შვილო! — სარდიონი ადგა, ჩოხის ჯალთიდან თხილის წნელის ნათლები დაიბერტყა. — დაგიგვიანდა, მომენატრა შენი ხმის გაგონება, კეთილო ქალო!

— ბაბუა სარდიონ, სტუმრები მოგიყვანე!

— სტუმარი ღვთისაა, შვილო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მზიანი და ნათელი შენი ცხოვრება, კეთილო ქალო!

— ესენი ვახტანგის, პატრონის ჩვენის, ქალებია თამარი და ანუკა, ეს — ტახტის მემკვიდრე ბაქარი, ესეც ბატონიშვილი ვახუშტი.

მოხუცი შეკრთა ვახუშტი ბატონიშვილის ხსენებაზე. თვალები გაუფართოვდა, მკვეთრი, ომახიანი ხმა გაებზარა.

— ვახტანგის ჯალაბის სტუმრობა ღვთის კურთხევაა! — მოხუცი თამარის წინ დაიხარა, ცალი მუხლი მოიყარა და კაბის კალთაზე ეშთხვია.

— ბატონიშვილი ვახუშტი! — ძლივს წაიჩურჩულა და ვახუშტის ხელზე სამთხვევად დაიხარა. ვახუშტიმ ხელი არ დაანება, მხარზე ხკოცა მოხუცს.

მოხუცმა წამით უკან დაიწია. ძლივს შეიკავა სურვილი, გულში ჩაეკრა ჭაბუკი. „მისი ბრდღვიალა თვალები გამოყოლია, ყელიც მასავით აქვს მოღერებული“, — გააჟრჟოლა და თავდახრილი დადგა სტუმრის წინ.

— ბაბუა სარდიონ, ვახუშტი ბატონიშვილს უნდა ნახოს, როგორ უელით ფუტკარს!

მოხუცმა ამოიოხრა, კვლავ თავიდან-ფეხებამდე შეათვალიერა ვახუშტი ბატონიშვილი და გაიფიქრა: ჩვენი ჯილაგი გამოჰყოლიაო.

— საფუტკრეში წავიდეთ! — ძლივს ამოიღო ხმა მოხუცმა.

ვახუშტი ბატონიშვილი თავს უხერხულად გრძნობდა. მოხუცის თვალმოუცილებელ მზერას მოენუსხა. — რად უყურებს მოხუცი ასე დაჟინებით?

მოხუცი გვერდით მისდევდა, ბატონიშვილს თვალს არ აცილებდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა: „ასეთივე მზიანი დღე იყო მაშინ, მწოლოდ შემოდგომის მზიანი დღე, როცა ჭაბუკი უფლისწული მათ ქოხს მიადგა. ის დღე საბედისწერო გახდა მოხუცის ცხოვრებაში. ამ დღემ სამუდამოდ ჩამოაბნელა მისი ცხოვრება. ეს რა არწივი აფრენილა მისი საწყალი ბუდიდან“, — კვლავ ფიქრს განაგრძობდა მოხუცი, ძლივს იკავებდა სურვილს — გულში ჩაეკრა გვერდით მიმავალი ბატონიშვილი. სურვილის დაოკება გაუჭირდა. ხელით ბატონიშვილის მხარს შეეხო. ვახუშტი მისკენ მობრუნდა, არწივისებური გამოხედვა ჰქონდა. მისმა კითხვით სავსე გამოხედვამ შეაჩერა მოხუცი.

— ფრთხილად იარე, შვილო! — უნდოდა ეთქვა, მაგრამ სწრაფად ალაგმა გათამამებული სურვილი, — ბატონიშვილო, აქ ქართლის ვაკეები არ გეგონოს!

— მიჩვეული ვარ ჩემი ქვეყნის ვაკესა და ტყე-ღრესაც! — გაუღიმა მოხუცს ვახუშტიმ.

„რა ამაყი და მეფური გამოხედვა აქვს, ლაღად გაზრდილია და ის ათამამებს! — გაუელვა მოხუცს, — როგორ აუყრია ტანი. მამას ჰგავს, მაგრამ რამდენი რამ გამოჰყოლია იმ ბედკრულისა“. ეს არის მისი ცოდვის შვილი, თუ ეს ცოდვად ჩაითვლება. ღვთის გმობამ შეაშინა მოხუცი. შედგა. პირჯვარი გადაიწერა.

ცოდვა უბრალო კაცთ მოეკითხება მხოლოდ. ამ ცოდვამ გადაიტანა თან მისი მერცხალივით ჩიკჩიკა შვილიშვილი. ეს, ეს ვინ არის, გვერდით რომ მოსდევს, ეს მისი ბადიშია?!

„ღმერთო, მიხსენი ცთუნებისაგან!“ — კვლავ თავი შეიკავა მოხუცმა და ბატონიშვილს განერიდა.

ღმერთმა არ აპატია მის შვილიშვილს ცოდვა. ამ ბიჭის დაბადებას გადაჰყვა. არც მკვდარს აპატია ღმერთმა ცოდვა, ნაკურთხ მიწაში არ ეღირსა განსვენება. აი, ამ ცაცხვის ძირში გაუთხარეს საფლავი მის ერთას, მის შემდეგ აქაურობას აღარ მოცილებია მოხუცი.

მერე მოვიდნენ დიდი სულხან-საბას გამოგზავნილი კაცები და ის ჩვილიც წაიყვანეს.

რამოდენა გაზრდილა, როგორ ამაყად მიაბიჯებს იმ მიწაზე, რომელზედაც ერთ დროს დედამისს სიცოცხლე უხაროდა, მიწაზე, რომელმაც დედამისი სამუდამოდ გულში ჩაიკრა..

— ეს ვისი საფლავია?! — საფლავთან შედგა ვახუშტი. მოხუცი ახლოს მივიდა, ძლივს შეიმაგრა ყელში მომდგარი ღრიალი. „ეგ ცოდვიანის საფლავია, ეგ დედაშენის საფლავიაო, ბატონიშვილო. ეგ იმის საფლავია, ვისაც ამქვეყნად სიცოცხლე არ დასცალდაო“. — უნდოდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ბაგეები ჩაიჭამა მოხუცმა.

ვახუშტი ბატონიშვილი საფლავთან იდგა და დასჩერებოდა ზედ დაყრილ ახლად დაკრეფილ მინდვრის ყვავილებს

— ეგ ჩემი შვილიშვილის საფლავია, ბატონიშვილო, ყვავილები უყვარდა, ია-იები უყვარდა, სიცოცხლე უყვარდა, არ დასცალდა. ყოველ დილით ყვავილებით ვამკობ, არ მინდა უპატრონობა იგრძნოს ბედშავმა, მე გავზარდე ობოლი, ჩემს მეტი არავინ ჰყავდა!

მოხუცს ყელში ამოგორებულმა დარდმა სათქმელი დაუხშო და დადუმდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ობოლ საფლავთან დაიხარა, ია-იას ძირისთვის მიწა მოჩიჩქნა.

— ია-ია უყვარდაო ამბობ, მოხუცო, ჩემგან მიიღოს ეს იის ძირი, იქნებ იხაროს!

მოხუცმა ღმუილი ვეღარ დაიოკა, მიწაზე დავარდა. ვახუშტი ბატონიშვილის ფეხებს მიეტანა, დაუკოცნა. მერე საფლავს გადაემხო და ჩაღმუვლა:

— შენს საჩუქარს უთუოდ ვახარებ, ბატონიშვილო! — მოხუცი სტუმრებს ყურადღებას აღარ აქცევდა, მხოლოდ საფლავს ჩასძახოდა: — ეს რა დღე გაგვითენდა, შე უბედურო, თვითონ მოვიდა, თავის ფეხით მოვიდა, საჩუქარიც მოგიტანა, მისი საჩუქარი, შვილო, ბედკრული და ბედუკუღმართო. არ ყოფილხარ სამუდა-

მოდ განწირული. შენი სისხლი და ხორცია, ჩვენი ჯილაგასა, ჩვენი ქოხის შვილი, ჩვენი ქოხიდან აფრენილი არწივი.

თეითონვე არ იცოდნენ, რად გაუუგემურდათ ასე მომხიბლავად დაწყებული გასეირნება. თავდაღმართზე ხმაამოუღებლივ დაეშვნენ და ყველა თავის საფიქრალს ფიქრობდა: — რა მოუვიდა მოხუცს?!

ვახუშტი ბატონიშვილი კი ერთს ფიქრობდა: ვისი საფლავია?!

უცხო მხარეში

აბაშიძეებიდან დაბრუნების შემდეგ სასახლეში მყუდროება დამკვიდრდა: არც ნადიმები, არც ნადირობა, არც თათბირები.

მწუხრის ჟამს ციხე-დარბაზში მხოლოდ შინაურები იკრიბებოდნენ.

პაპა ლევანის გამგზავრების დრო ახლოვდებოდა. ვახტანგს უნდოდა შინაურ საქმეებზე მოეთათბირა მამასთან.

— შინაურ და გარეშე მტერთაგან შეეიწროვებულ სახელმწიფოს ყველაზე მეტად კანონები ესაჭიროება. მოგეხსენებათ, კანონი იქ, სადაც შინაური შფოთია, ყოველთვის არეულია.

— მართალსა ბრძანებ, შვილო ჩემო, მოთოკვა სჭირდება მეტისმეტად გათამამებულთ, ქვეყნის შემაწუხებელთ, ვინც მარტო თავის პირად განდიდებაზე და სარგებლობაზე ფიქრობს.

— პატრონო ჩვენო და გაზრდილო ჩემო, სამართლის საქმეს მოვკიდოთ ხელი, უპირველეს ყოვლისა. ამით ბევრს რასმე მოევლება: გლეხთა აყრის საქმესაც, ტყვეთა გაყიდვასაც, უმართებულო დარბევასა და მრავალ ნაკლს ცხოვრებისას.

— შევკრიბოთ კანონები დიდი დავით აღმაშენებლისა, ბრწყინვალე თამარისა და სხვაც, რაც ჭკვიანმა წინაპრებმა გვიანდერძეს, შევუფარდოთ ჩვენს ცხოვრებას.

— ერთი რამეც მინდა მოგახსენოთ. ჯერ ისევ ჭაბუკობის დროს, როცა იმერეთს ვიყავი თავშეფარებული, იქ შევხვდი დოსითეოსს და სტამბის შესახებ ველაპარაკე. დიდი დახმარება აღმითქვა. მას თან ახლდა ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოსი. როცა დრო მოვა, გვაცნობეთო, ჩვენ თვით ვიმუშავებთ თქვენ სტამბაში და ყოველ საქმის მოგვარებაში დაგეხმარებითო, აღმითქვეს.

— კურთხეულ იყავ, შვილო ჩემო, არ მიკვირს შენი ეგოდენი ბრძნული მოსაზრებანი. ბუნებრივი ნიჭი, შენი აღზრდა, მიღებული ცოდნა და დიადი ბუნება თავდებია იმის, რომ მრავალ რასმეს სასიკეთოს გააკეთებ ქვეყნისა და შენი ხალხისათვის.

— თუ ღმერთი მშვიდობას მოგვცემს ხანმოკლე დროით მაინც, ჩემი ცხოვრების ყოველი წუთი ჩვენი ქვეყნისა და ჩემი ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება.

— მაგ საქმის მოგვარება ანთიმოზ ქართველს უნდა მივანდოთ. ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობამ მოსწყვიტა თექვსმეტი წლის ჭაბუკი სამშობლო კერას, რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში მოახვედრა. მისი თაოსნობით მრავალი წიგნი დაისტამბა და გამოვიდა რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე, მას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ საქმეში!

— მეც ბევრი რამ გამიგონია ანთიმოზ ქართველის საქმიანობაზე, ბატონო სულხან-საბა!

— ჯერ ისევ ბავშვი გაუტაცნიათ ლეკებს. — კვლავ განაგრძო სულხან-საბამ. სტამბოლის ბაზარზე უყიდია იერუსალიმის პატრიარქს ნექტარიოსს, თარჯიმნად აუყვანია. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში ძნელად მოიპოვებოდა ქართული ენის მცოდნენი. ჭაბუკს, ნექტარიოსისა და დოსითეოსის მეშვეობით, კარგი განათლება მიუღია. კარგად იცის მშობლიური ენა, ზედმიწევნით შეუსწავლია: თურქული, ბერძნული, რუმინული. ამასთანავე, შესანიშნავი მხატვარია, კალიგრაფი, გრავიორი და დახელოვნებული მესტამბე. მის გულში არ ჩამქრალა თავისი ქვეყნის სიყვარული.

— ბატონო სულხან-საბა, თქვენი რჩევაა ანთიმოზ ქართველს მივმართოთ?!

— წერილები დავამზადოთ დოსითეოსისა და პატრიარქისათვის. მათთან არის ანთიმოზ ქართველიც, პირადად მასაც მივმართოთ.

— სამი დღე გვეყოფა წერილების შესადგენად, ჩემს გამგზავრებამდე მოვასწრებთ, ყოველ საქმეს დაშურება უყვარს.

— საქმის დაშურება მუდამ საჭიროა, ყოველ გადადებულ საქმეს ეშმაკი ეპატრონება. როგორი იქნება ხვალინდელი დღე, მაგის თქმა ძნელია. მე თვით შევადგენ წერილებს, ვახუშტის და-

ჭიხმარ, გულისყური აქვს ისეთი, მის დაწერილში უნებური შეცდომაც არასოდეს გაიპარება.

ვახტანგს ეამა შვილის შექება.

— ერთი რამეც მინდა მოგახსენოთ. იტალიიდან და ფრანგთა ქვეყნიდან მეტისმეტად გახშირდა კაპუცინების შემოსვლა. მთელ კრებულს მინდა მოვახსენო, მათი შემოსვლა საზარალო არ არის ქვეყნისათვის. მკურნალობის კარგი მცოდნენი არიან, ევროპულ ენებსაც კარგად ფლობენ, რაც ეგოდენ საჭიროა ეხლა ჩვენთვის. მათემატიკა, ვარსკვლავთმრიცხველობა, ქიმიაც იციან.

— გავუწიოთ მფარველობა! — ბრძანა ვახტანგმა.

ვახუშტი ბატონიშვილს მოახსენეს, სულხან-საბა გიხმობს ბიბლიოთეკის დიდ დარბაზშიო. სულხან-საბამ ვახუშტი გვერდით მოისვა. ეტრატი წინ დაუდო.

— ვახუშტი, შვილო, შენის ლამაზის ხელით და გულმოდგინებით უნდა გადაწერო ეს წერილები და სამი ეტრატი გაამზადო: ანთიმოზ ქართველთან — ქართულ ენაზე, დოსითეოსთან და პატრიარქ ხრისანთესთან — ბერძნულ ენაზე.

ვახუშტი ბატონიშვილს სახეზე ალმური წაეკიდა, ეამა ეგოდენ დიდი და საყურადღებო საქმის დავალება. დიდი გულმოდგინებით შეუდგა შესრულებას. სანამ არ გაამზადა სამივე წერილი, წიგნსაცავიდან არ გამოსულა, წერილების ტექსტი ზეპირად დაისწავლა.

წერილების გაგზავნის შემდეგ გადაწყდა სტამბისათვის საჭირო შენობის აგება. ადგილის შერჩევა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვახტანგის სურვილი იყო: სასახლის ახლოს, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, აგებულიყო სტამბა, ანჩისხატსა და სიონის ტაძრის შუა, სეიდაბადის ქვემოთ.

ვახტანგმა ახალი სასახლე უნდა ააგოს, იქ წიგნებს გააკეთებენ. ზღაპარივით დადიოდა ხალხში ახალი ამბავი.

მაგრამ რად მიყუჩებულიყო სასახლე?

ხვალ დილით, ცისკრის ამოსვლასთან ერთად, ირანს ბრუნდებოდა პაპა ლევანი. სახლობას ენანებოდა ხანდაზმული ლევანი სხვათა ქვეყანაში გასამგზავრებლად. ლევანსაც უძნელდებოდა სამშობლოს კელავ მიტოვება.

ლევანი მთელი დღე შვილიშვილებთან ერთად დადიოდა თბილისის ქუჩებში. ფეხით ისურვა თბილისის მოვლა. უნდოდა ყოვე-

ლი კუნჭული სამუდამოდ ჩარჩენოდა ხსოვნაში. ვინ იცის, ეღირსებოდა თუ არა თავის მიწაზე კვლავ ფეხის დადგმა. დიდხანს იჯდა გიორგი მეთერთმეტის ბაღში, იქიდან მარიამის ბაღშიაც გადავიდა. მოკრივეთა მოედანზეც გაიარა. გაიხსენა თავისი ჭაბუკობისდროინდელი განთქმული მოკრივე დათუნა ძოძუაშვილი. მოხუცს მოკრივეთა მოედნის ახლო დაედო ბინა და მოედანს შვილივით უვლიდა.

მამა-პაპათა საფლავებს თაყვანი სცა, საკურთხეველის წინ დაიჩოქა, გარს შვილიშვილები შემოერტყნენ და ლოცვა დაიწყო:

— ღმერთო, ღვთის მშობელო დედავ, მისმინე. ყურად იღე ჩემი ვედრება, ჩემს ვაჟს, ვახტანგს, მბრძანებელს ქართლისას, შემოგავედრებ, მის მეუღლეს ჩერქეზთა მეფის ასულს რუსუდანს და ძეთა მათთა: ტახტის მემკვიდრე ბაქარს, ბატონიშვილ ვახუშტის, ასულთა მათთა: თამარს, ანუკას და თუთას, რაც უნდა მწარე იყოს მაგათი ხვედრი, ააცილე სხვათა ქვეყნის ძლიერებას შეეწირონ, აღირსე, თავის ქვეყანაში განისვენონ და თავის ქვეყნის მიწა დაეყაროს ყოველ მათგანს. ღმერთო, ჩემზედაც მოიღე მოწყალება და ჩემ სიცოცხლეში ერთხელ კიდევ მაღირსე, თქვენს წინაშე მუხლი მომეყაროს და მელოცოს ამავე ტაძარში, ჩემი ქვეყნისათვის. ჩემი ქვეყნის დასაცავად, ჩვენი სკულის დასაცავად ვართ გადახვეწილი სხვათა ქვეყანაში მე და ჩემი ძმა. იკმარე მსხვერპლი. ძნელია სხვათა კარდაკარ წანწალი, სხვათა ქვეყნის დაცვა, გევედრები, ჩემ შვილთა და შვილიშვილთ ააცილე ჩვენი ხვედრი, ყოველ მათგანს მხოლოდ თავის ქვეყნის დასაცავად ამოეღოს ხმალი ქარქაშიდან, — ლევანს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები შეეღალებულ წვერ-ულვაშზე.

ვახუშტი ბატონიშვილიც ცრემლებად იღვრებოდა. პაპის სიტყვები — ჩემ შვილთა და შვილიშვილებს მარტო თავის ქვეყნის დასაცავად აღემართოთ ხმალიო — სამუდამოდ ჩარჩა გულში. თვითონაც მხოლოდ ერთს შესთხოვდა ღმერთს: — კვლავ აღირსე პაპას, ასევე მუხლმოყრილი გავედრებდესო თავის ქვეყანას, ამავე ტაძარში. დაგუდული ქვითინის გაგონებაზე, გვერდზე მოიხედა — ეს თამარი იყო, გულამომჯდარი რომ სლუკუნებდა. მოუნდა მიფერებოდა დას. მაგრამ ერიდებოდა, პაპას ლოცვა არ შევაწყვეტინოო, თამარის ყოველი წამოსლუკუნება კი გულს უკლავდა.

დილის ნათელი ჯერ ისევე შემოსული არ იყო, როცა სასახლე-

ში ყველა ადგა, თუმცა სასახლის ბინადართ იმ ღამეს რული არ მიჰკარებიათ.

ვახუშტი ეზოში გავიდა. ვარდენი იქ დახვდა, მისი ბედაურის აღვირი ეჭირა ხელში. პაპა ლევანი უკვე ამხედრებულიყო. სიონის ტაძარში დომენტი კათალიკოს-პატრიარქმა პაპა ლევანი წასვლის წინ უნდა აზიაროს. სასახლის ყველა წევრი სიონის ტაძრისაკენ გაეშურა.

ძია დომენტიმ აღსარება ათქმევინა პაპა ლევანს. ვერცხლის ბარძიმით შემოიტანეს ზედაშე ლევანის საზიარებლად. პაპა ლევანმა თავისი ვაჟის, კათალიკოს-პატრიარქ დომენტის ხელით მიიღო ზიარება.

— თუ ოდესმე ჩამოვედი, კვლავ ვეზიარები, თუ სხვარიგად განსჯის ღმერთი, უზიარებელი მაინც აღარ მოვკვდები.

სტამბის სახლი

დარდიანი დაბრუნდნენ სასახლის მკვიღრნი პაპა ლევანის გაცილების შემდეგ. სასახლე გაყუჩდა, ასეთი გაყუჩება დიდი ამბების მომასწავებელი იყო მუდამ.

გვიან ღამემდე თათბირობდნენ ქართლის პატრონი ვახტანგი, კათალიკოს-პატრიარქი დომენტი და ღოძღვართმოძღვარი სულხანსაბა ორბელიანი. ყოველი თათბირის შემდეგ გადამწერლები ბიბლიოთეკაში გვიან ღამემდე ძუშაობდნენ.

სტამბის შენობის ასაგები ადგილის შესარჩევად მთელი ამალა წაიყვანა ვახტანგმა: ძმა დომენტი, მოძღვართმოძღვარი სულხანსაბა თავისი ძმებით — ნიკოლოზითა და ზოსიმეთი, აქვე იყვნენ ქრისტეფორე გურამიშვილი, სასახლის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, სიონის მხატვარი გიორგი და მთელი სახლობა. ყველამ ერთხმად მოიწონა ვახტანგის მიერ შერჩეული ადგილი, სასახლის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ანჩისხატსა და სიონის ტაძარს შუა.

— სასახლესთან ახლო იქნება, მოცალეობის ჟამს შეეძლებ სტამბაში მისვლას, — განაცხადა ვახტანგმა.

სტამბის შენობის გეგმა სასახლის ხუროთმოძღვრის რჩევით ვახუშტი აბაშიძეს მიანდეს.

ვახუშტი ბატონიშვილი ისე გაახარა თავისი მეგობრისათვის ეგოდენ დიდი საქმის მინდობამ, რომ ყოველ თავისუფალ წუთს მასთან ატარებდა, რჩევას აძლევდა, საათობით ედავებოდა ყოველ წვრილმანზე. ვახუშტი აბაშიძესაც ახარებდა მეგობრის ასეთი გულმხურვალე მონაწილეობა.

— იქნებ ჯობდა, ბატონიშვილო, ხუროთმოძღვრებისათვის მოგეკიდა ხელი! — ეხუმრებოდა მეგობარს ვახუშტი აბაშიძე.

— მერე შენ რას იზამდი?! — ეშმაკურად გაულიმა ვახუშტი ბატონიშვილმა.

— ერთად ვიმუშავებდით! — მალე იპოვა გამოსავალი ვახუშტი აბაშიძემ.

— მაგისათვის არა მცალია! — ჩაიბუზღუნა ბატონიშვილმა და ბიბლიოთეკისაკენ გასწია.

ყველაზე უახლოესი საქმე სტამბის შენობის გეგმა იყო. ვახტანგი ჩქარობდა: — ჩამოვლენ თუ არა სტამბის მოხელენი, შენობა მზად უნდა დავახვედროო.

სტამბის გეგმის განხილვის დღეს აბაშიძეები დედაბუდიანად ჩამოვიდნენ ლაშიდან. აბაშიძეებს მუდამ ახარებდათ სასახლის ყოველი სიკეთე. დღეს კი ვახუშტი აბაშიძეს სტამბის გეგმა გაჰქონდა განსახილველად.

გეგმის განხილვას სასახლის ახლო მყოფი ყველა დიდებული ესწრებოდა. დიდსა და პატარას სტამბის გეგმა ეკერა პირზე.

ვახუშტი აბაშიძის გეგმით სტამბის სახლი დაბალი, მოგრძო შენობა უნდა ყოფილიყო. ათოთახიანი, განიერი ფანჯრებით. დღის სინათლე საკმარისი ექნებოდა სტამბის მუშაკებს. მიწაში ჩათხრილი მოზრდილი სარდაფი კი ყოველივე საჭირო მასალის შესანახად გამოდგებოდა.

— ღმერთმა გვაშოროს ყოველივე ბოროტი, მაგრამ ომისა და არეულობის დროს დაბალი შენობა კარგი შესანიღბავია.

ვახტანგს მოეწონა ვახუშტი აბაშიძის ეს მოსაზრება, განათების საქმეც ღირსეულად იყო მოფიქრებული. კარგა დაღამებამდე სტამბის შენობაში საკმარისი სინათლე იქნებოდა მუშაობისათვის. საჩირაღდნეები ისე იყო გაწლაგებული, არც ღამით მოაკლდებოდათ სინათლე.

ვახტანგმა განათების საქმე განსაკუთრებით მოუწონა ვახუშ-

ტი აბაშიძეს. სასახლის მთავარ ხუროთმოძღვარსაც მიულოცა კარგი მოწაფე.

იმ ღამეს ვახუშტი ბატონიშვილმა და ვახუშტი აბაშიძემ დიდ-ხანს იარეს იმ ადგილებში, სადაც სტამბის შენობა უნდა აგებულიყო. მეფე როსტომის სასახლის ქვემოთ, სალაყბოს პირდაპირ, იოვანე ნათლისმცემლის ზემოთ, იმოდენა ადგილი იყო, თავისუფლად დაეტეოდა სტამბის გრძელი შენობა.

— უკვე წარმოდგენილი მაქვს, როგორი იქნება, თვალებს დავხუჭავ და აგებულს ვხედავ.

— მამა როცა იმერეთს თქვენთან იყო თავშეფარებული, იერუსალიმის პატრიარქს, დოსითეოსს ელაპარაკა სტამბის შესახებ. ისიც დაჰპირდა, აუცილებლად დაგეხმარებითო.

— მახსოვს! — გაიხარა ვახუშტი აბაშიძემ, დოსითეოსს ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოსი ახლდა თან.

— მამამ მათ სთხოვა, დახმარება აღმოუჩინონ ამ დიდ საქმეში.

— ღმერთმა ქნას, მალე მოვრჩეთ შენობის აგებას!

— პირველად „ვეფხისტყაოსანს" დავსტამბავთო, ბრძანა მამამ. ამიტომ, მუშაობენ სწავლულნი დაჩქარებით ტექსტის დადგენაზე.

— ყველას ექნება „ვეფხისტყაოსანი", გადაწერა აღარ დაგვჭირდება.

— მამას რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი" და „ქართული ანბანი" ლოცვებითურთ მოუვიდა, ნიკიფორე ირბახის მცდელობითა და მონდომებით დასტამბული.

ვახუშტი ბატონიშვილსა და ვახუშტი აბაშიძეს სტამბის მიდამოში შემოაღამდათ.

— ხვალიდან ადგილის გაწმენდა და საშენ მასალათა მოზიდვა დაიწყება.

— რამდენი რამ კარგი წამოიწყო მამამ, ღმერთმა დალოცოს, ყოველი საქმე კეთილად დააბოლოებინოს.

— გისმინოს ღმერთმა, გული ვეღარ ითმენს, მშენებლობის დაწყება მეჩქარება.

— მალე დაგვიდგება ეგ ბედნიერი დღეც. ანთიმოზ ივერიელი უყურადღებოდ არ დატოვებს მამის თხოვნას, მას ქართველობა არ დაუკარგავს, გულით უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი.

— რაოდენი საჭირონი არიან .ჩვენი ქვეყნისათვის სწავლულნი, უკუღმართი ბედის გამო ჩვენი ხალხი თავის ნიჭს, ცოდნას და ძალას უცხოთა სახელმწიფოს ახმარს.

— ჩვენი ქვეყნის შვილთ მუდამ თან სდევს ბედუკუღმართობა, იმ პირთ რა უჭირთ, რომელთაც ენა მაინც შერჩენიათ თავისი. ბრალი მისი, ვინც თავისი ეროვნებაც კი არ იცის! — ვახუშტი ბატონიშვილი დიდხანს იყო ჩუმად, არც ვახუშტი აბაშიძე იღებდა ხმას.

ვარდენი მიუახლოვდათ:

— შიკრიკი გეახლათ ვლახეთიდან, ბატონი მამა ტინის არხის გაყვანილობის დასათვალიერებლად წავიდა, ბატონი სულხან-საბაც თან ახლავს, რუსუდანმა ბრძანა, ვახუშტი ბატონიშვილმა მიიღოს შიკრიკი და დაწვრილებით გამოკითხოს ყოველივეო.

ვახუშტი ბატონიშვილი სწრაფი ნაბიჯით წავიდა სასახლისაკენ.

სტამბის მშენებლობაში მთელი თბილისი იღებდა მონაწილეობას. იმ ადგილს ხალხმა უკვე „სტამბის სახლი" შეარქვა. თბილისის გარშემო მოსახლეობას, თავადს, აზნაურსა და გლეხს, ყველას თითო დღე უნდა ემუშავნა „სტამბის სახლის" მშენებლობაზე. დილით, ცისკრის ამოსვლამდე, მოედინებოდა ხალხი „სტამბის სახლისაკენ", ვინ ურმით, ვინ ცხენით, ვინ ფეხით. მოჰქონდათ: ქვა, ქვიშა, ხე-ტყე.

გვიან ღამემდე მუშაობდნენ, მთვარიან ღამეებშიც არ იზოგავდნენ თავს, ყველამ იცოდა საჩქარო იყო „სტამბის სახლის" დამთავრება.

— დედავ ბატონო, ნება დამრთეთ დღეს ჩემის ხელით გავუმზადო „სტამბის სახლის" მომუშავეთ სამხარი!

რუსუდანმა გაუღიმა თამარს:

— გაგიჭირდება, შვილო!

— მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ დიდ საქმეში. ნუ მეტყვი უარს, ჩემი გაკეთებული სამხარი ვაახლო დღეს იქ მომუშავეებს.

გადია ესმამ ცეცხლი მოიკიდა:

— როგორ იქნება, გასათხოვარი მეფის ასული მუშებისათვის სამხარს ამზადებდეს! — მაგრამ თამარმა დედის დასტური მიიღო თუ არა, გადიას ყური არ ათხოვა და საქმეს შეუდგა, აიყოლია მარიამი, არც ანუკა ჩამორჩათ და სამხრის მზადებას შეუდგნენ.

თბილისში ხმა დაირხა, თამარმა თავის ხელით გააკეთოო სამხარი „სტამბის სახლის“ მუშებისათვის. ამას დიდებულთა ასულებიც აჰყვნენ, მოდიოდა და მოდიოდა „სტამბის სახლის“ მშენებლობაზე ცხელ-ცხელი ჯვარის მამის ლავაშები, ნაზუქები, ცივად მოხარშული დედლები, არც იმერლები იჩაგრავდნენ თავს — ხაჭაპურები, ცხელი, ფოთლიანი მჭადები, შემწვარი გოჭები, ისრიმ-მაყვალში ჩადებული ყარიები, ახალი ტყემალი მიართვეს მუშებს.

ყველას პირზე „სტამბის სახლი“ ეკერა.

— წიგნებს გადაწერა აღარ დასჭირდება, მანქანა გადაწერს:

— ნეტა მანახა ის მანქანა!

— მალე ნახავ!

— „ვეფხისტყაოსანი“ ყველას გვექნება!

— პატრონი ჩვენი ყველას დაგვირიგებს!

— ბალღები მონასტერში უნდა ავიყვანო, წერა-კითხვა ვასწავლო, „ვეფხისტყაოსანს“ დაგვირიგებენ, წამკითხავი უნდა გვყავდეს!

ახალი გზები

ლევანის გასტუმრების შემდეგ ეს პირველი საოჯახო თათბირი იყო.

სულხან-საბამ ვახუშტი ბატონიშვილის თხოვნა ყველას გააცნო:

— ბატონიშვილი ვახუშტი თხოულობს, ნება დავრთოთ, ზემო იმერეთის მდებარეობა დაწვრილებით შეისწავლოს: — ხევები, გადასასვლელები, მდინარეთა სათავეები და მისი შენაკადები.

— კარგი საქმე წამოიწყო ვახუშტიმ, როგორ აპირებს გამგზავრებას?

— მარტო აპირებს წასვლას, ვარდენს იახლებს მხოლოდ, მოგეხსენებათ, როგორი ერთგულია ბატონიშვილისა ვარდენი. ამასთან ერთად, კარგად იცნობს ზემო იმერეთს, ბავშვობა იქ გაუტარებია. ფეხით გადაწყვიტა სიარული, ცხენებზე უარს ამბობს.

— მარტოდმარტო, ორნი? — ლეკნი და ოვსნი რომ დაესხან თავს?!

— ლეკნი და ოვსნი ზემო იმერეთს ეგრერიგად ვერ ეტანებიან, ეშინიათ იქ გადასვლის, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვით გაწეწკებულ ზოგიერთ იმერელს პატრონის ეშინია, ვერას გაბედავს.

— რას იტყვით, გარსევანიშვილებო, ენდობით თქვენს გაზრდილს ამ სახიფათო საქმეში, გავგზავნოთ ჭაბუკები? — ბრძანა ვახტანგმა.

გიორგი გარსევანიშვილი წინ წამოდგა:

— ჩემი გაზრდილი თავის ჩანაფიქრს ღირსეულად შეასრულებს, ამ აზრს ემხრობა სულხან-საბაც. იმერეთის საზღვრებამდე ჩემი კაცები გააცილებენ, მერე აბაშიძეები არას გაუჭირვებენ.

— როდის აპირებენ გამგზავრებას? — კვლავ იკითხა ვახტანგმა.

— კვირას უნდათ გამგზავრება, ცისკრისას. იმერეთში გადასვლას დიდი დრო არ დასჭირდება, მაგრამ გზადაგზა ბევრი რამ აქვთ შესასწავლი, ეს დააყოვნებთ.

— იმერეთს რომ გადავლენ, მერე აღარ მეშინია! — იმედიანად თქვა რუსუდანმა.

ბიბლიოთეკაში ელოდებოდა ვახუშტი შინაურთა თათბირის დამთავრებას. სულხან-საბას გამოჩენამ შეაკრთო, სახეში შეხედა მოძღვართმოძღვარს, მიხვდა, მის სასარგებლოდ გადაეწყვიტა თათბირს საქმე, უცნაურად შეიფრთხიალა და კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

— მომილოცავს, შვილო ჩემო, შეემზადე გასამგზავრებლად.

— გმადლობთ, მოძღვართმოძღვარო ჩემო! — სახე აუწითლდა ვახუშტის და სულხან-საბას ხელზე ემთხვია.

— იმედი მაქვს, რა საქმესაც თავს იდებ, დიდი გულმოდგინებით და შრომისმოყვარეობით შეასრულებ. ჩვენც გვაქვს დავალებანი! უნდა აღწერო ყველა, ვისაც ძალა შესწევს აბჯართხმარების, სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებისა, ცალ-ცალკე უნდა აღწერო: ბოგანო, აყრილი, ნაწყალობევი და ნასყიდი გლეხები.

— უმაგისობა არ იქნება, მოძღვარო ჩემო!

— ჩემს მუშაობას ფრიად დააყოვნებს უშენობა, შვილო ჩემო, შენი საღი გონება და სწრაფი მოსაზრებანი მუდამ საჭიროა ჩვენთვის.

— მართალია, აქაურ საქმეებს მოვწყდები, მაგრამ გადავწყვიტე, ყოველი ზაფხული ამ საქმეს შევწირო.

აფორიაქებულ ვახუშტის დიდხანს არ დაეძინა.

საიდან დაიდო სათავე მისმა სამოღვაწეო ბილიკმა?!

„დიდი ბჭობიდან მოდის შენი სამოღვაწეო ბილიკი!“ — ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

არა, „პირველი ელჩობიდან დაიწყო შენი მოღვაწეობა“.

„შემდეგი ნაბიჯი იმერეთიდან დაიწყება, იმერლების სახლის შვილი ხარ, — კვლავ ჩასჩურჩულა ვიღაცამ. — იქ დაირწა პირველად შენი აკვანი“.

„მთელი საქართველოს შვილი ვარ მე!“ — შეედავა იმ ვიღაცას ვახუშტი.

სულხან-საბასთან საუბრის შემდეგ სამოგზაუროდ წასვლის მზადება დააჩქარა ვახუშტი ბატონიშვილმა. ტანსაცმლისა და საგზლის მომარაგება გადია ესმას მიანდო. დედის თანაბრად უყვარდა გამდელი ესმა ვახუშტის. როცა სულხან-საბამ ჩვილი, თავისი გაზრდილი ვახტანგის ცოდვის შვილი, აბაშიძეებისას მოაყვანინა, სვიმონ აბაშიძის ბებიამ, ატატო მიქელაძის ქალმა, ესმა მიუჩინა აღმზრდელად ჩვილ ვახუშტი ბატონიშვილს.

ესმა ახალგაზრდობის ჟამს იყო მოყვანილი აბაშიძეებისას. ლეკიანობის ჟამს აბაშიძეებმა ნადირობისას იპოვეს სიკვდილის პირას მიმდგარი, მის შემდეგ აბაშიძეების გარემოს არ გასცილებია ქალი. როცა ატატო მიქელაძის ქალმა ჩვილი ესმას მიანდო, განსაკუთრებით გაიხარა დედობას მოწყურებულმა უთვისტომოდ დარჩენილმა ესმამ. სიცოცხლეს ერჩივნა ვახუშტი ბატონიშვილი. როცა ვახტანგმა იქორწინა ლამაზ და ახალგაზრდა ჩერქეზის ქალზე, ეჭვიანობდა კიდეც ესმა, ჩვილი არ მომტაცოსო, მაგრამ კეთილსა და სათნო რუსუდანს უყვარდა ესმა, ბევრი რამ უსწავლია ამ ქალისაგან. ესმა კარგი მწიგნობარი იყო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თავისი ხელით ჰქონდა გადაწერილი ატატო მიქელაძის ქალის დავალებით. მიქელაძის ქალი, როცა თვითონ დაიღლებოდა, ესმას აწერინებდა. მრავალი ლექსი, ლეგენდა და ზღაპარი იცოდა ესმამ ზეპირად.

— როგორი ზამთარი იქნებაო?! — ჰკითხავდნენ ესმას. ესმაც დაუყოვნებლივ უპასუხებდა:

— თაგვებმა თუ სოროების კეთება კედელს შუა დაიწყეს, ნიშანია დიდი თოვლისა.

— უნდა ვისწავლო ესმას ასტრონომია! — ხშირად ხუმრობდა ვახტანგი.

თავისი დიდი ცხოვრების გამოცდილება ესმამ თავის გაზრდილ

ბატონიშვილს გადასცა. დღესაც დედის მზრუნველი ხელით ულაგებდა ბატონიშვილს ხურჯინს, მოხუცის ნელი ნაბიჯით დადიოდა ოთახში, ყველაფერს აგროვებდა, ყველაფერს ეალერსებოდა, ყველაფერს რაღაცას აბარებდა თავის გაზრდილთან.

— ვახუშტი, შვილო, ხურჯინის ამ თეალში სანოვაგე გექნება, მეორეში — ტანსაცმელი, წელს თბილი და ნაადრევი გაზაფხული იქნება, წყალდიდობაა მოსალოდნელი, ფრთხილად იყავი, შვილო.

— გადია, დასავლეთში მივდივარ, იქ გაზაფხული ადრე დაიწყება.

— მარტოდმარტოდ მიდიხარ, ვარდენის ამარა?

— ისეთ საქმეზე მივდივარ, გადია, მარტოობა ჯობია!

— მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოა, შვილო. იქნებ ჯობდა ვახუშტი აბაშიძე წაგეყვანა, ან პაპუნა, გამოცდილი კაცია.

— ვახუშტი აბაშიძე იმერეთს წავიდა, სტამბის საქმეები აქვს დავალებული. — პაპუნა არ მინდა გავსარჯო, ხანი შეეპარა, გაუჭირდება ფეხით სიარული.

— ფეხით როგორ უნდა იარო იმერეთამდე, შვილო!

— ყოველ სოფელში საქმე მექნება, გადია, ფეხით სიარული ჯობია!

— ფრთხილად იყავი, შვილო, ღმერთი სწყალობდეს ყოველ შენს ნაბიჯს, მეშინია, წუნკალ ლეკებს არსად გადაეყარო.

— ნუ გეშინია, გადიავ, წუნკალი ლეკები ჩვენს სოფლებში წანწალს ვეღარ გაბედავენ, მამამ სამუდამოდ ამოუკვეთა ფეხი.

— ღმერთმა ქნას! — პირჯვარი გამოისახა ესმამ.

— როგორ გაგივსია ხურჯინი, ამას ზიდვა არ უნდა?

— არა, შვილო, აქ ზედმეტი არაფერია, ვინ იცის, უკაცრიელ ადგილებში მოხვდე, ჭამა ხომ. გინდა, ჩურჩხელები ჩაგიწყვე, კახური და იმერული, იმერეთიდან გამოგზავნილი ტკბილისკვერი, ბიისკვერი, თაფლიანებიც გამოგიცხვე, კაცის ჭაჭანება რომ ვერ ნახო, მაინც არა გიშავს რა, ისე შეინახავ თავს. ჩვენკენ ბევრი სოკო იცის, ფრთხილად უნდა შერჩევა, შხამიანს არსად გადაეყარო. ვარდენმა კარგად იცის ცნობა, ვასწავლე.

გაშგზავრების წინალამეს ვახუშტი ბატონიშვილი დიდხანს დარჩა მამასთან.

კვირა დილით სასახლე ადრიანად ახმაურდა, ყველამ თავი მოი-

ყარა ვახუშტის გასაცილებლად, გზის დასალოცად. გამოვიდნენ ვახუშტი და ვარდენიც.

რუსუდანმა ღვთისმშობლის ხატი გამოასვენა კარის ეკლესიიდან, შვილივით დალოცა ვახუშტი:

— დაუსრულებელი იყოს შენი არჩეული ცხოვრების გზა, შვილო ჩემო, მუდამ ია და ვარდი გეფინოს ცხოვრების გზაზე! — რუსუდანმა გულში ჩაიკრა ბატონიშვილი.

ვახტანგმა შეხედა უფროს ვაჟს და დღეს პირველად იგრძნო, რომ მისმა პირმშომ სამართლიანად აირჩია ცხოვრების გზა და ამით მეფის ტახტზე სამუდამოდ უარი თქვა, ისიც იგრძნო, ვახტანგმა, რომ მეფის ტახტზე ნაკლები არ იყო შვილის არჩევანი, მისი აგზნებული სახე კი უმტკიცებდა, რომ მეფის თანაბარი იქნებოდა იგი მუდამ.

ბულხან-საბა გამოვიდა, დალოცა ახალ გზაზე მავალნი.

ბაპუნას თანაბარივით გულში ჩაეკრა ვახუშტი.

— კარგი მამულიშვილის ჯილდო თავისივე მოქმედებაა, ცხოვრების ძნელი გზების არასოდეს გეშინოდა. აი, ჩემი ამოსხმული ქალამნები, გადია ესმას მოქსოვილ წინდებზე ჩაიცვი, ფეხი არც გაგიცივდება, არც დაგისველდება.

გადია ესმა ვერსად დალანდა ვახუშტიმ. გაუკვირდა, დაენანა, წასვლის წინ გადია რომ ვერ ნახა. თავის ცხოვრებაში არა საქმე არ დაუწყია ესმას დალოცვის გარეშე; დალოცავდა, წაღმა შემოაბრუნებდა და მუდამ წაღმა მიდიოდა ვახუშტი ბატონიშვილის საქმე.

ქაშვეთის ეკლესიის კართან შავით მოსილი ლანდი გამოიკვეთა, მიახლოებულმა ვახუშტიმ გადია შეიცნო, გაეხარდა, მიეახლა, გულში ჩაიკრა, სახე და ხელები დაუკოცნა.

— არ მინდოდა შენი ლოცვა-კურთხევის გარეშე წასვლა, ჩემო გადია. — გადიამაც გაიხარა, გაზრდილი ესოდენ დიდი სიყვარულით რომ შესვდა.

— შენ გაიხარე, შვილო, შენი გამზრდელის ლოცვა-კურთხევის გარეშე როგორ უნდა წასულიყავი, ბატონიშვილო, ჩემო ქოჩორა, ჭკვიანო, გამგებიანო, ენამოსწრებულო, მახვილგონიერო, ჩემო არწივო, ჩიტის გულის პატრონო, ქვრივ-ობრის და უპატრონოთა შემბრალევ, მწყალობელო, სამართლიანო, მტერთან შეუპოვარო და მოყვარესთან თავმდაბალო, — ათასი ღირსებებით შეამკო გადიამ ვახუშტი, ისე როგორც ბავშვობისას იცოდა.

— ჩემო ტკბილო გადია, ჩემო კარგო გადია! — ვახუშტიც საალერსო სიტყვებს არ იშურებდა თავისი გადიასათვის.

მოიცა, ბატონიშვილო, წაღმა შემოგაბრუნო და გზა დაგილოცო! ღმერთმა წაღმა და კეთილად გატაროს, ბატონიშვილო, ყოველმა დღემ განგაშოროს ბოროტსა. შენმა მოგზაურობამან მრავლად მოგცეს ნაყოფი, შეგეკრიბოს საუნჯე დიდძალი, შენი ცხოვრება განსვენებით, განცხრომით, შვებითა, ნადირობითა და ნადიმობით განგეელოს, შენ მუდამ ცოდნისაკენ მიილტვოდი, შენი სურვილია განდევნა ბოროტისა, შეყვარება მოყვასისა, მატება ქვეყნისა, აღშენება, დამშვენება. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ყოველ საქმეში, ღმერთმა დღეგრძელი გყოს, შენი ქვეყნისა და შენი ხალხის საკეთილდღეოდ! — წაღმა სამჯერ შემოაბრუნა გაზრდილი ესმამ.

თბილისის კარი უკვე შორს დარჩა. მარტო დარჩნენ ვახუშტი და ვარდენი. დაბურული ტყის ბილიკებზე მხიარულად და მხნედ მიაბიჯებდნენ. სადაც მზის სხივებიც ძლივს აღწევდა და ორივე თავის "საფიქრალს ფიქრობდა.

აბაშიძეებისაკენ უჩვეულოდ მიუწევდა გული ვახუშტის, ჩვილობა იქ გაატარა, მათ კარზე და თითქოს ახსოვდა ის დღეები. მარიამ აბაშიძისაკენაც იზიდავდა გული, უყვარდა მარიამთან გატარებული დღეები. თავის ასაკთან უჩვეულოდ დინჯი იყო მარიამი. სიობლეს თავისი დაღი დაესვა, მორიდებული გახლდათ. მისი განუყრელი მეგობრები ძველი ხელნაწერები იყო. მუდამ აბაშიძეების ბიბლიოთეკაში ტრიალებდა. ბიძასაც განსაკუთრებით უყვარდა ობლად გაზრდილი ძმისწული. მოხუცი გადიას ხელობა, სამკურნალო ბალახების შეგროვება პატარაობიდანვე შეისწავლა მარიამმა. აბაშიძეების კარმიდამოში თუ ვინმე ავად გახდებოდა, მარიამი იყო პირველი მშველელი, ამიტომ ყველას უყვარდა, ყველა დახმარებას და შველას მოელოდა ამ სუსტი ქალისაგან. ვახუშტისაც განსაკუთრებით იზიდავდა ეს ნაზი ქალი, უყვარდა მარიამის აგზნებული თვალების ცქერა. როცა ხელნაწერებზე დაიწყებდა ლაპარაკს, თვალები გაუბრწყინდებოდა, ხორბლისფერი სახე წამოენთებოდა და სადღაც ქრებოდა სუსტი ქალი.

ვახუშტიმ თავი გაიქნია და მოიცილა ფიქრები მარიამზე. ვარდენს მიუბრუნდა:

— მარტო ბილიკებით სიარული არ გვარგებს, ვარდენ ჩემო, ქვეყნის სიღრმეში დაგვრჩება ასაწერი ადგილები!

— როგორც გენებოს, ჩემო ბატონო!

— ესეც დიდმის ველი, დაიხსომე ვარდენ, თბილისს სამხრეთით აკრავს. უნაყოფოა, ბალახოვანი, მხოლოდ პირუტყვთა ზამთრის საძოვრად გამოდგება. ყველაზე უმთავრესი ასაწერი მტკვარია, რაც გითხრა. ყველაფერი ზუსტად ჩაიწერე!

— კი, ჩემო ბატონო, რასაც მიბრძანებ, ყველაფერს ზუსტად შევასრულებ.

— მტკვარი საქართველოს უდიდესი მდინარეა, ქვეყანას შუაზე გადაკვრის. კალასყალნუეის მთიდან გამოედინება, გამოივლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთს, რანს შორის, მოივლის მოვაკანს და სალიანს, ქვევით ერთვის კასპიის ზღვას. მდინარე ღრმა არის, მდინარება ზოგან ჩქარი აქვს ზოგან ნელი. გარს არტყია კლდენი ქარაფიანი. სამხრეთ-დასავლეთით მიემართება მთა მახვილოსი, რომლის ცხვირი მიერთვის ყერძენის მთის წვერებს და მტკვარს ძალზე ავიწროებს. ამ ვიწრო გასასვლელს ტაშისკარს უწოდებენ, ე. ი. ქვის-კარს. ამის დასავლეთით არის მცირე ქალაქი, რომელიც ახალდაბად იწოდება. უმეტეს ადგილზე ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. თევზი მრავალი და გემოიანი იცის. თევზს იჭერენ: ბადით, კანით, ფაცრით, ნევსაკით, საფიჩხულითა და ოჩხითა.

განჯის ქვემოთ ზუთხსაც იპყრობენ. მტკვარს ერთვის ყველა მდინარე კოლის, არტანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, ჰერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თვით არაზისა. სასმელად კარგია, გემოიანი და მარგებელი, ხშირად იცის მოდიდება. განსაკუთრებით აზარალებს თბილისის მარცხენა ნაპირს.

ის ღამე ვახუშტიმ და ვარდენმა ქვათახევის მონასტერში გაატარეს. სიმშვენიერით ხიბლავდა ადამიანს იქაური გარემო, გრილი ჰაერი, ყოველ ნაბიჯზე წყაროები. მონასტერთან ერთმანეთს ერთვოდა მდინარე კავთისხევი და გუდარეხის ხევი, მიდამოს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდიდა მეფის აგებული სასახლე.

— ვარდენ, ეს მონასტერი მრავალტანჯულია, აქ შეყარა ლანგთემურმა მონასტრის მოწესენი და ქვათახევის მონასტერთან ერთად გამოსწვა.

— ვაი, ვაი, ნეტა როდის იყო ჩვენი ქვეყანა დაწყნარებული.

— ისინი კარგახანს ჩუმად მიდიოდნენ, ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა.

— ესეც დაბა ფონა. ეს ადგილები, ჩემო ვარდენ, მებოძირს ქვემოთ, დაბის ქვაბამდე ქართლს ეკუთვნის, შემდეგ თანდათან ზევით მიდის შენი იმერეთი, იქ, სადაც ჩხერიმელას ჩრდილის ხევი ერთვის.

— მეტისმეტი კლდე-ღრიანია აქაური მდინარის ხეობები, ვაითუ ვერ შევძლო სიარული, მეტად ძნელი სავალია ზემო იმერეთი!

ვახუშტიმ ღიმილით გადახედა ვარდენს, არა უპასუხა რა. „ვარდენმა ალბათ არ იცის, ზემოიმერელთა სახლისშვილი რომ ვარ, ჩემი ძვალი და სისხლი ეგუება აქაურ ბუნებას“.

— ჩუ, ხმაური ისმის თითქოს! — შეაჩერა ვახუშტიმ ვარდენი. ვარდენი შედგა, ლოდი აგორდა, ხმაურით დაეშვა ხევისკენ.

— აქ არავინ იქნება, ბატონიშვილო, ეს ადგილები მეტად უკაცრიელია და მიუდგომელი.

— სოფლები ძველთაგანვე მდინარის პირას შენდებოდა, ვფიქრობ, მალე სოფელს წავაწყდებით. გაჩუმდი, გესმის, წისქვილის არხის წყალი ჩხრიალებს სადღაც!

— არა, ბატონიშვილო, აქ წყალი ყველგან წისქვილის არხივით ჩხრიალებს.

— მოიცა, ვარდენ, წისქვილის ბორბლის ხმა მოაქვს ნიავს!

ვარდენმაც ყური მიუგდო, ორივე ხელი ბაგეზე იქით-აქედან მოიფარა და დაიყვირა:

— ჰე, ჰე, ჰე!..

კლდეებმა აიტაცა ვარდენის ხმა, ცხრა მთა გადაატარა და შორს, სადღაც, ხეობაში ხმაურით ჩააგორა.

— მოიცა, ბიჭო!

— თუ სადმე ვინმეა, ხმას მოგვცემს!

— ხეობას ჩავყვეთ!

ბატონიშვილი და მისი მხლებელი წყლის ნაპირზე ჩავიდნენ და მდინარის ნაპირს გაჰყვნენ, ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ვარდენმა დიდხანს ვერ გაუძლო სიჩუმეს, უნდოდა კვლავ ეყვირა, იქნებ ვინმე გამომეხმაუროსო, მაგრამ ბატონიშვილი მეტად დაფიქრებული მოეჩვენა, შეეშინდა, არ გავანაწყენოო, და დაბალი ხმით წამოიწყო:

— სოფელი იმად არა ღირს!

— გაჩუმდი, ვარდენ, ყური მიუგდე?!

— ბატონიშვილო, სადღაც წისქვილი ბრუნავს! — აღტაცებით წამოიყვირა ვარდენმა.

ვახუშტიმ გაიღიმა. წისქვილის ხმას მიჰყვნენ. უეცრად პატარა, ახლად ამწვანებული კორდი გამოჩნდა. კორდი წაბლის ხეებით იყო შემოჯარული და მდინარის კლდოვან ნაპირს გადაჰყურებდა. ორ კლდეს შორის პატარა მთის წისქვილი ბუჩქებში შეყუჟული, შეშინებული ბარტყივით გამოიყურებოდა.

— წისქვილი, წისქვილი! — ვარდენმა აქეთ-იქით მიმოიხედა.

— რა იყო, ვარდენ?!

— ასეთ წისქვილში დაგვესხნენ თავს ლეკები! — ვარდენი კვლავ გარემოს ათვალიერებდა.

— არ შეშინდე, ვარდენ, ლეკები თავდასხმას ვერ გაბედავენ!

ვარდენმა დარცხვენით გაუღიმა ბატონიშვილს, გარემოს ეჭვიანად მოავლო თვალი.

გეზი წისქვილისაკენ აიღეს. წისქვილის კარი ღია იყო, ჩამავალი მზე კარში იჭერიტებოდა და შუაცეცხლის ალს ელიცლიცემოდა. ისინი წისქვილს მიუახლოვდნენ.

— მასპინძელო! — დაიძახა ვარდენმა.

წისქვილიდან მოხუცი გამოვიდა. ცალი ხელი წვლზე შემოედგა, მეორე ხელით მზეს იჩრდილავდა, მოსულებს მოხუცის ხრინწნარევი ხმით გამოსძახა:

— ახლოს მობრძანდით, ბატონო, თვალს დამაკლდა, ვერ გიცანით!

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა ვახუშტი მოხუცს.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო ბატონო!

— ძია კაცო, შორიდან გეახლებით, წისქვილში გვინდა ჩავიმეჭხლოთ.

— მობრძანდით, ბატონო, სტუმარს რა ჯობია, სტუმარი მუდამ სანატრელია, ჩემო ბატონო! — მოხუცი წისქვილში შეუძღვა სტუმრებს. — აქეთ მობრძანდით, საღამოს ბინდზე აგრილება იცის, მზე ეგრერიგად ვერ ატანს ჩვენამდე.

მზე მართლაც სწრაფად მოეფარა გორას და ხეობაში ბინდი ჩამოწვა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, თუ იკადრებთ ჩემს ღარიბულ კერას, ჩემს მწირ სუფრას! — აფაცურდა

მოხუცი. ვარდენმა ხურჯინი მოიხსნა, კუთხეში მიაყუდა, ვახუშტიმაც მოიხსნა ხურჯინი, საიდანაც ქაღალდების გრაგნილი ჩანდა.

— აი, ამ სამფეხა სკამზე დაბრძანდით, ჩემო ბატონო, თქვენი საკადრისი არ არის, მაგრამ აქ მეტი არაფერი მოგვეპოვება! — ცეცხლთან მიიწვია სტუმრები მეწისქვილემ.

— უჰ, უჰ, უჰ, სითბო მეამა! — ცეცხლს ხელები მიაფიცხა ვარდენმა.

— ახლავე სუფრას მოგართმეთ, ჩემო ბატონო! — კედლიდან დაბალი სუფრა ჩამოხსნა მეწისქვილემ. კედელშივე გარჭობილი ოუჩეჩით გადაწმინდა და სტუმრებს წინ დაუდგა: — ეს არის ახლა ჩამომიტანა ჩემმა დედაკაცმა სამხარი, ბერიკაცმა თხელ-თხელი ფოთლიანი მჭადები ამოალაგა, ნაქურჩალდახურული ღვინით სავსე ხელადა ამოიღო, თიხის ჯამით სოკო, ჭყინტი ყველი მოართვა. — მიირთვით, ჩემო ბატონო, სახარბიელო არაფერი გვაქვს, თავს ვერაფრით მოგაწონებთ, მაგრამ თუკი გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიაო, ხომ გაგიგონიათ, სახარჯო ღვინოსა და ჭყინტ ყველს შეექეცით. სახლი რომ ახლოს მქონდეს, სხვა რამესაც გაახლებდით, მაგრამ დავუძლურდი, მიმძიმს ჩვენი ბილიკების არბენა, ჰაი, გიდი, ძნელი ყოფილა სიბერე! — ფუსფუსებდა მოხუცი დაბალი სუფრის გარშემო. — აქვე, წისქვილის არხში, ხელი დაიბანეთ! — წისქვილის უკანა კარი გამოაღო მოხუცმა. ვახუშტი არხთან მივიდა, ცივი წყალი შეისხა და სიამოვნებით აფრუტუნდა:

— დაილოცოს კუთხე, სადაც ასეთი წყალი გადმოდის!

— უ, რა ცივია! — შეიცხადა ვარდენმა.

— წისქვილში შევიდნენ და გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა, სტუმრები გულიანად ილუკმებოდნენ, მასპინძელიც ჩქარ-ჩქარა უსხამდა ჯამში ცივ სახარჯო ღვინოს, თან ბოდიშობდა:

— თქვენისთანა სტუმრებს ასეთი ღვინო არ ეკადრებათ, მაგრამ რა ვქნა, ჩემო ბატონო, ღარიბი კაცის სამხარია ეს, ამიტომ ჰქვია სახარჯო.

დაღამდა. წისქვილში ახალმა მთვარემ შემოიჭვრიტა.

— ცივი გაზაფხულია წელს, ჩემო ბატონო, ხედავთ, მთვარეს ერთიანი ბაკი აქვს, მომავალი დღეები ნისლიანი, ღრუბლიანი და ცივი იქნება.

ვახშამი დაამთავრეს, აფუსფუსდა მოხუცი:

— რა ვქნა ჩემო ბატონო, თქვენი შეხაფერი მოსასვენებელი არა მაქვს.

— თავს ნუ იწუხებ, მოხუცო, კერიის პირას ჩავთვლემთ მხოლოდ.

— როგორ გეკადრებათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თუ იკადრებთ, უკაცრავად პასუხია, ამ ფუჩეჩზე ნაბადს გადაგიფარებთ! — კვლავ აწრიალდა იგი.

— მოითმინე, მოხუცო, თქვენ ნუ შეწუხდებით, მე თვითონ მოვუწყობ ბატონიშვილს საწოლს! — დატრიალდა ვარდენი, ფუჩეჩი კუთხეში მოაგროვა, ზედ თავისი ნაბადი გადაუფარა. — ბატონიშვილო, მოისვენეთ, თქვენი ნაბადი ზეციდან წაიხურეთ.

დაღლილ ვახუშტის ბუმბულივით მოეჩვენა ფუჩეჩის ლოგინი, სარეკელას ხმაური გადიას ნანასავით ჩაესმა.

მიუხედავად მეწისქვილის დიდი პატივისა, ვახუშტიმ ადრიანად დატოვა წისქვილი, მოხუცს ქართული თეთრი დაუტოვა, რითაც დიდად გააკვირვა.

ისინი მხიარულად და მხნედ მიაბიჯებდნენ დაბურული ტყის ბილიკზე, სადაც დილის მზის სხივი ძლივს აღწევდა. ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა. ბატონიშვილი თავის ცხოვრების გზაზე ოცნებობდა, წინ თეთრკაბიანი მარიამი მიუძღოდა; მისი მხლებელი კი თავის სახლზე ფიქრობდა. გული იქითკენ მიუწევდა, დედ-მამის, და-ძმების ნახვის სურვილი ნაბიჯს უმაგრებდა.

— ვარდენ, ხურჯინი დადე, ჩხერიმელაზე უნდა ჩავწერო! ვარდენმა ფოთლები გაშალა, საუზმის გამართვა დაიწყო.

ვახუშტი საწერად მოემზადა და თავის ჩანაწერებს კიდევ ერთი ჩანაწერი მიუმატა.

ჩუმად განაგრძეს გზა. ფრიად გაძნელდა ზემო იმერეთში მოგზაურობა, უგზოობა, მოსახლეთა სიმცირე აწუხებდათ. პატარა მდინარის ხეობას გაჰყვნენ, იგი ყარნებად იწოდებოდა. ლოდებზე მხიარული ცეკვითა და სიცილით გადარბოდა, ზოგჯერ ვეებერთელა კლდეებს ეპიდებოდა, ქაფად იღვრებოდა, დაძლევდა, გახარებული აკისკისდებოდა და მიდიოდა ციბრუტივით ტრიალ-ტრიალით.

მგზავრებმა გაივაკეს.

— ამ მიდამოში ხშირია მყავე წყალი. სანამ მომიტაცებდნენ, მახსოვს, საქონელს ჩავდენიდით დასარწყულებლად. უყვარს პ-

რუტყვს მეავე წყალი, — აცნობდა ვარდენი ბატონიშვილს მშობლიურ კუთხეს, ხადაც ბავშვობის უდარდელი წლები გაეტარებინა.

— ჩვენ ყველა მათგანს მოვინახულებთ, ვარდენ, აღვწერთ მათ, ღირსებებს.

დიდი სიხარული შეუდგა ვარდენის სახლობას. ჯერ ვარდენის ხილვამ, მერე ბატონიშვილის სტუმრობამ ცას მიუწვდინათ ხელი. მთის პატარა სოფელში ქომლთა სიმცირე იყო, ერთმანეთზე შორიშორს იყვნენ დასახლებულნი, მაგრამ მაინც უკლებლივ მოგროვდა ყველა ბატონიშვილის სანახავად.

საცალფეხო გზით მიჰყვებოდნენ შელმართს, მიუვალი გზა იყო, — მაყვლის და ეკლის ბარდებს ძლივს იცილებდნენ, არც კატაბარდა აყრიდათ კარგ დღეს.

— ბატონიშვილო, აი, აქ, ამ ხეობაში მომდინარე წყალს ნუნისი ეწოდება. მახსოვს, ცხენს თუ იარა გაუჩნდებოდა, აქ ჩამოვრეკავდით, ზურგზე წყალს ვასხამდით და იკურნებოდნენ. ხალხიც ხშირად მოდის კანის სნეულებათა სამკურნალოდ.

ხეობის ძირში, სადაც ხის ღარზე ცივი წყალი მოწკრიალებდა, იდგნენ ბატონიშვილი ვახუშტი და ვარდენი. მზის პირველი სხივები ძლივს აღწევდა მათთან. ვახუშტის თავბრუ დაახვია ხეობის სილამაზემ, თვალები მოიფშვნიტა, უსაზღვრო ზეცას ახედა და აღმოხდა:

— უჰ, რა ლამაზია აქაურობა!

ვარდენმა წყაროს ნაპირზე სახელდახელო სუფრა გააწყო და ბატონიშვილს დასაჯდომად ხავსით დაფარული სიპი ქვა დაუდო. გემრიელად ისაუზმეს.

— საღამომდე აქ დავრჩეთ, ვარდენ, აქაურობა დაწვრილებით უნდა აღვწერო.

მზე შუბისტარს გაუსწორდა, ხეობაში სხივები ჩამოანათა, მიძინებული ბალახები წამოაყელყელავა და მინდვრის ყვავილებმაც თვალები დააჭყიტეს. იელისა და გვიმრის ბუჩქებში შეფარებული თოვლის ნაფლეთები ცრემლად დაიღვარა.

— ეჰ, ეჰ, რომელი ხარ მანდ?!

— ეჰ, ეჰ, ჩამოდი და გვინახულე, ჩემო ბატონო! — ასძახა ვარდენმა.

ვიწრო ბილიკზე ქალი და კაცი ხევისკენ ძლივს ეშვებოდნენ, ქვეზიც მგზავრებთან ერთად ლიწინით მოგორავდა.

— გამარჯობათ, ბატონო!

— ღმერთმა გამარჯვება არ მოგაკლოთ!

— ბღარს თხილმა და კაკალმა გვიწყინა, საყმაწვილო აეშალა, იქნებ ამ წყალმა უშველოს.

ბავშვს თვალებიღა უჩანდა, სახე და ტანი მთლიანად დაიხრავებოდა, დედა ფრთხილად ხდიდა ძონძებს. ვახუშტი შეზარა ბალღის დაიარავებული ტანის ნახვამ. დედამ შვილი ღარს შეუყენა, ბავშვი შეაკრთო ცივმა წყალმა, კივილი დაიწყო, ვახუშტიმ თვალი აარიდა ბიჭს.

ს ტ ა მ ბ ა

ვახუშტი ბატონიშვილს სასახლეში სასიხარულო ამბები დახვდა. დღე დღეზე მოელოდნენ ვლახეთიდან სტამბის მოხელეებს.

იგი მთელ დღეს მეფის ბიბლიოთეკაში ატარებდა. ყოველდღე ახალახალი ხელნაწერები მოდიოდა გარეჯიდან, შიო-მღვიმიდან, გელათიდან; ასეთი იყო ვახტანგის ბრძანება.

ბიბლიოთეკის ანსამბლში შედიოდა აგრეთვე სამდივნო, სამწიგნობრო და დავთარხანა, რომელშიაც განუწყვეტელი მუშაობა მიმდინარეობდა.

მალე უნგრო-ვლახელის ჩამოსვლის ხმაც დაირხა. ახლა დიდი და პატარა ამ ზღაპრული კაცის სანახავად მოედინებოდა, რომელიც მანქანით დაწერდა წიგნებს.

ზრდილი იყო პატრიარქის წარმოგზავნილი მიხეილ უნგრო-ვლახელი. სტამბის საქმის კარგი მცოდნე, ჭკვიანი და გამოცდილი. მიეახლა ტახტზე მჯდომ ვახტანგს, ცალ მუხლზე დაიჩოქა და მოახსენა:

„რასაცა ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ თქვენი მომხმარე,
გავამრავლებ საღმრთო წიგნსა, აივსების ყოველ არე,
სხვაც გარდაცვლილან მეფენი, რომ ვერ უქმნიათ ესები".

იამა ვახტანგს უნგრო-ვლახელის ნათქვამი, ვახუშტიმ მაშინვე ზეპირად გაიმეორა.

უნგრო-ვლახელმა მოიწონა სტამბის შენობა, განათება, ოთახების განლაგება, რაოდენობა.

იმ ღამეს თათბირმა დიდხანს გასტანა. გადაწყვიტეს, კვირა

დღისათვის მიეღოთ შენობა და საჯაროდ გადაეხადათ საზეიმო პარაკლისი.

კლიშე, შრიფტი და საღებავი, მიხეილის ხელმძღვანელობით საქართველოშივე უნდა დამზადებულიყო. მიხეილი კი მიქელის თანხლებით ჰოლანდიაში წავიდოდა, გაეცნობოდა ბეჭდური საქმის უკანასკნელ მიღწევებს და თან ჩამოიტანდა გაუმჯობესებულ მანქანებსა და შრიფტს.

ქართული ასოების ჩამოსხმა სულხან-საბას ხელმძღვანელობით დაიწყო, ვახუშტი ბატონიშვილის კალიგრაფიით. არც ბაქარი იყო უქმად. საღებავების შეგროვებას თაობდა სიონის მხატვარ გიორგის შეწევნით.

ბატონიშვილებთან ერთად სტამბის საკეთილდღეოდ მუშაობდნენ: ვახტანგის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, გიორგი გურამიშვილი, ვახტანგის მახლობელი ქრისტეფორე, გურამიშვილის უფროსი ვაჟი, რომელსაც ხშირად პატარა დავითიც მოჰყავდა, გაფრანგებული ნაცელის, აბესალა მამაშვილის ვაჟი იორამი, რომელიც კათოლიკეთა სკოლაში სწავლობდა ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად და მისივე ახლო მეგობარი იყო, ახალგაზრდა დიაკვანი აბრამ სალეყაზანაშვილი.

ვახტანგის ბრძანებით თბილისის მოსახლეობა და მის გარშემო მყოფი სოფლელები სიხარულით შეუდგნენ მცენარეთა შეგროვებას სტამბის საღებავებისათვის. იკრიბებოდა: ენდრო, კაკლის წენგო, ხახვის ფოთოლი, კოწახურის ქერქი, ბზა, ღოლოსა და ჭინჭრის ძირები, ფოლიო, თრიმლის ფოთოლი, დეკა, გვიმრა და წერთხელი.

სულხან-საბას ძმას — ნიკოლოზ ორბელიანს ებრძანა წიგნების გამართვის ხელმძღვანელობა.

სტამბის შენობის მიღების დღე საერთო ზეიმად გამოცხადდა: ვახტანგმა ბრძანა: ამიერიდან ეს დღე დღესასწაულის დარი იქნებაო. ეს იყო დღე, როდესაც პირველად ამუშავდა საქართველოში სტამბა, აქ არა მარტო თბილისელები იყვნენ, შორეული სოფლებიდანაც მრავლად მოსულიყო ხალხი. სტამბის მიდამოში კარვები დაედგათ, მოეტანათ ხორაგი, მოეყვანათ საკლავი და აქაურობა ხატობისათვის დაემსგავსებინათ.

ვახტანგის კარიც თავისი ამალით მობრძანდა. წინ მენობათეები ერთმანეთის ხმაშეწყობით საყვირებს უკრავდნენ, მერე შემოსილი ჯვარისმტვირთველები მოდიოდნენ. ხელთ ეპყრათ ძელიცხოველი.

საეკლესიო კრებულს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი მოუძღოდა, შის გვერდით მოდიოდა სულხან-საბა, გამზრდელი ვახტანგისა.

ვახტანგი და მისი თანამეცხედრე რუსუდანი ერთმანეთის გვერდით მოდიოდნენ, ლაღობით, მათი ცხენების ზანზალაკი და ყელსაბამი ოქროთი იყო შემკული, ლაგამი მოთვალული, გარს ეხვივნენ ორბელიანები, ნიკოლოზ და ზოსიმე ერისთავები, აბაშიძეები. ვის არ ნახავდით აქ: ქრისტეფორე გურამიშვილს, გაბრიელ გელოვანს, იოსებ თბილელს, სარდიონ ჩოლოყაშვილს, ნიკიფორე ირბახს, რომელმაც მრავალი ევროპული ენა იცოდა და რომში, პირველ ქართულ სტამბაში ასოთამწყობად იყო, ონანა ქობულაშვილს, გივი თუმანიშვილს, დომენტი ბაგრატიონს, მხატვრებს: გიორგისა და იოთამ იოთამიშვილებს; აქ იყო ვახტანგის ყველა ერთგული მწიგნობარი და ლიტერატორი.

ბაქარსა და ვახუშტის ახალგაზრდა ბაგრატიონები, აბაშიძეები, ერასტი თურქესტანიშვილი, დიმიტრი და იოანე ორბელიანები, შამუკა ბარათაშვილი და ძმები გურამიშვილები მოსდევდნენ.

თბილისელებს აქ მოეყარათ თავი, დიდი და პატარა სტამბის სახლის სანახავად წამოსულიყო. მონასტრებიდანაც მრავლად ჩამოსულიყვნენ. მონასტრის მკვიდრთა ინტერესი დიდი იყო სტამბის მიმართ. ამიერიდან ხელით გადაწერა საჭირო აღარ იქნებოდა და მხოლოდ ტექსტის გამართვაზე იზრუნებდა მწიგნობართა კერები.

ვახტანგს ახარებდა თავისი ხალხის ეგოდენ დიდი ინტერესი სტამბისა და წიგნის მიმართ.

ვახტანგსა და სასახლის კარის მკვიდრთ ყიჟინით და სიხარულით შეხვდა სტამბის გარშემო დაბანაკებული ხალხი. ქუდებს მაღლა ისროდნენ, აღტაცებული შეძახილებით ეგებებოდნენ.

ვახტანგი ყველას ესალმებოდა, სტამბის შესასელელში თავმოყრილ მუშებს ხელს ართმევდა, ტკბილი სიტყვით ამხნევებდა.

პარაკლისის დამთავრებისთანავე დაიწყო სტამბაში მუშაობა. ვახტანგმა პირველმა აიღო ხელში ანბანის ჩარჩო და სამუშაოდ განკუთვნილ მაგიდასთან მივიდა. ვახუშტიმ თვალი მამის ხელს გააყოლა, იგრძნო, ხელი უკანკალებდა მამას. უნგრო-ვლახელიც მეფის უკან იდგა და თვალს არ აცილებდა მის ხელს. ვახტანგმა სწრაფად ააწყო პირველი სიტყვა — „ევფხისტყაოსანი" — დიდხანს უყურა თავის ნამუშევარს და შემდეგ მის მოძღვართმოძღვარს, სულხან-საბას გაუწოდა, სულხან-საბამ დახედა:

— გმადლობთ, ღმერთო, მომასწარი ჩემს ქვეყანაში სტამბის გახსნას, ამ სტამბის მეურვე და პირველი სიტყვის ამწყობი ჩემივე გაზრდილი, საქართველოს გამგებელი და პატრონი ვახტანგია. ამიერიდან ეს ადგილი ამ დაზგასთან მეფეთა სამუშაო ადგილი იქნება.

— გაუმარჯოს საქართველოს პატრონს!

— გაუმარჯოს საქართველოში სტამბის ამგებელს!

— გაუმარჯოს საქართველოში პირველ ასოთამწყობს ვახტანგს!

სტამბის საქმის ასეთი ბრწყინვალე დაბოლოების შემდეგ სასახლეში ყველა მხიარული იყო. გვიან ღამემდე არ დაუძინიათ, იხსენებდნენ სტამბის გახსნის ყოველ წვრილმანს და აღტაცებით საუბრობდნენ, როცა ყველა დასაძინებლად წავიდა, სულხან-საბა და ვახუშტი ბატონიშვილი სასახლის ბაღში გავიდნენ. სულხან-საბას უყვარდა ამ ნათელი გონების ახალგაზრდასთან საუბარი.

რუსთა ელჩიობნი

ვახტანგი რუსთა ელჩების მისაღებად ირთვებოდა. პირისფარეშებმა საუკეთესო ტანსაცმელი მოართვეს. სარკის წინ იდგა, როცა ვახუშტი მასთან შევიდა.

— მოხვედი, შვილო? წადი, მოირთე, რაც ყველაზე კარგი გაქვს, ის ჩაიცვი, ჯაბანად ნუ ვეჩვენებით, დაე, იცოდნენ, მიუხედავად მტერთაგან ეგეთი შევიწროებისა, ჩვენ ღირსეულნი ვართ მეგობრობისათვის ხელის გასაწვდენად.

ვახუშტი ბატონიშვილი გავიდა და მორთულ-მოკაზმული ისევ მალე დაბრუნდა. ვახტანგს ჩაცმა დამთავრებული არ ჰქონდა. შვილი თავით-ფეხებამდე შეათვალიერა, ეამა, გაუღიმა.

— შვილო ჩემო, თითქოს ვგრძნობ მშვიდობას, რომელსაც მოგვავლენს პეტრე დიდის მფარველობა. კურთხეული იყოს სახელი მისი, თითქოს ეპვრეტ სამშობლოს აწინდელ ყოფას. რუსეთის შემწეობით უნდა დავამხოთ ურჯულოთა ქვეყანა, შემდეგ აღარ იქნება ძალმომრეობა, შევიწროება, ყველგან მშვიდობა დამკვიდრდება. დადგება დრო, როცა ქართველი კაცი თავის ბუნებრივ სიკვდილამდე მიაღწევს. სხვა არჩევანი ჩვენთვის არ არსებობს, უნდა დაშრეს ეს ზღვა ცრემლისა, ეს ზღვა სისხლისა!!!

ფარეში შემოვიდა, ვახტანგს მოახსენა:

— დედოფალი მზად გახლავთ!

— მოვდივარ, — ვახტანგი კარებისაკენ წავიდა. — დედაო ღვთისავ, შენი წილხვედრია ჩემი ქვეყანა, შენ უწინამძღვრე და გაუნათე მომავალი. მიჩვენე გზა, რომელიც ჩემს ქვეყანას გაჭირვებისაგან გამოიყვანს, დედაო ღვთისავ, გზა მაჩვენე, რომლითაც შევძლებ ჩემი ქვეყნის დახსნას. მაღირსე ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს უკან დაბრუნება.

— დედაო ღვთისავ, გაუმართლე იმედები პატრონსა ჩვენსას, — ჩაიჩურჩულა ვახუშტიმ.

აივანზე რუსუდანი ელოდა ქალიშვილებთან ერთად, იქვე იყვნენ სეფე-ქალებიც.

ვახტანგი და რუსუდანი დიდი დარბაზისაკენ გაემართნენ. სახლთუხუცესმა დარბაზის კარი გააღო. ვახტანგმა და რუსუდანმა თავთავიანთი ადგილები დაიჭირეს. ვახტანგის მხარეს ბაქარი, სულხან-საბა, კათალიკოს-პატრიარქი დომენტი და სხვა დიდებულნი მოთავსდნენ. რუსუდანის მხარეს სახლობა ჩამწკრივდა.

მდივანბეგი შემოვიდა და მოახსენა:

— რუსეთიდან წარმოგზავნილი ელჩიონი თქვენს მიღებას ელის!

ვახტანგმა მარჯვენა ხელი აღმართა და ელჩიონის შემოსვლის დასტური მისცა. შემოსასვლელში ელჩებს სახლთუხუცესი და აზნაურნი შეეგებნენ. ვახტანგი პირღაპირ იჯდა, მარჯვენა მხარეს ტახტის მემკვიდრე ბაქარი.

რუსთა ელჩიონს წინ ბრგე ვაჟკაცი მოუძღვებოდა, ქღალ თმასა და წვერში ჭაღარა მოჭარბებოდა. ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ვეებერთელა ჯოხი ეჭირა საბიჯგად ელჩთა წინამძღოლს. მას მოყვებოდნენ ხნითა და მდგომარეობით უმცროსნი, ისინიც ოქრო-ვერცხლით ნაჭედ ჯოხებს ეყრდნობოდნენ. ბოლოს სამი სრულიად ახალგაზრდა, პირტიტველი ჭაბუკი მოდიოდა. მოწიწებით მიესალმნენ ვახტანგს, მეთაურმა პეტრე დიდის დანაბარების გადმოცემა დაიწყო. ვახტანგი ფეხზე წამოდგა და ისე მოისმინა დიდი სახელმწიფოს დიდი მეფის დანაბარები.

— ჩემმა დიდმა ხელმწიფემ საქართველოში გამოგეგზავნა და დაგვავალა დიდი საქმე, ეს დიდი საქმე ყველას მშვიდობას მოუტანს, მხოლოდ საჭიროა თქვენც უჩვენოთ თქვენი ერთგულება.

— დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს მოახსენეთ ჩემი დიდი პატივი და ერთგულება!

რუსთა ელჩიონის მეთაურმა პეტრე დიდის წერილის კითხვა განაგრძო. ყველა სულგანაბული უსმენდა. ვახუშტი ბატონიშვილი წინ წამოდგა, დინჯად და აუჩქარებლად გადმოსცემდა სიგელის შინაარსს. სიგელის კითხვას მორჩნენ.

— რითი სწადია პეტრე დიდს დაიცვას საქართველო მტერთაგან? — იკითხა ვახტანგმა.

— ჩვენმა ხელმწიფემ, პეტრე დიდმა, მოწყალება მოიღო, თავის მეფურ მფარველობაში მიიღოს მთელი საქართველო და მტრისაგან დაგიცვას შენ და შენი მიწა-წყალი. ბრძანებს: — შენი და შენი მამულის დასაცავად აშენდეს თერგზე ციხე-ქალაქი!

ამ ცნობით კმაყოფილმა ვახტანგმა თავისიანებს გადახედა და რა იხილა, როგორ შეინძრნენ ისინი, მიხვდა, ეამათ ერთგულთ.

— ქართველები და რუსები შეკრავენ მტკიცე კავშირს და ეს ციხე-ქალაქი დაიცავს საქართველოს მიწა-წყალს მტერთაგან. დიდი რუსეთის დიდმა ხელმწიფემ გამოგვგზავნა, რათა შევკრათ პირობა: — რუსთა ხელმწიფის კაცებისათვის საქართველომ უნდა იკისროს სურსათ-სანოვაგით მომარაგება. ციხე-ქალაქში, თერგზე, დიდძალი ხალხი იცხოვრებს. ასტრახანიდან მათი მომარაგება შეუძლებელია, გემებით სურსათ-სანოვაგის მოზიდვა გაჭირდება. მდინარე თერგიც ძალზე ძნელია.

საქართველოს პრინცს, ვახტანგს, უფლება ექნება თავისუფლად ისარგებლოს ციხე-ქალაქის სამხედრო ძალებით მტრის წინააღმდეგ.

ვახუშტი მამას ელჩის სიტყვებს უთარგმნიდა, როცა „პრინცი ვახტანგ" ელჩმა რამდენჯერმე გაიმეორა, ვახუშტიმ წარბები შეიკრა და შუბლს ქვემოდან გახედა ელჩს. ელჩი კვლავ განაგრძობდა: პრინცმა ვახტანგმა უნდა მიიღოს ფიცი; ემთხვიოს პეტრე დიდის სიგელს და მასზე გამოსახულ ჯვარს მთელი ივერიის სახელით.

ელჩებმა ვახტანგს გადასცეს ნუსხა სამთხვევი სიგელით, ვახტანგმა უხმოდ ჩამოართვა, მაგრამ არც სიგელსა და არც მასზე გამოსახულ ჯვარს არ ემთხვია.

წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ელჩიონი და ქართველი დიდებულები თითქოს თვალით ზომავდნენ ურთიერთს, ბოლოს ვახტანგი გამოერკვა და შეცბუნებულ ელჩიონს მოახსენა:

— სანამ ციხე-ქალაქი არ აიგება, იქაურობა ჯარით არ გამაგრდება, ფიცს ვერ დავდებ!

ელჩიონი შეშფოთდა, ეტყობოდა, ასეთ პასუხს არ მოელოდა. ელჩთა მეთაურმა დარწმუნება დაუწყო ვახტანგს:

— როგორ გამოგზავნოს ხელმწიფემ ამდენი ჯარი, თუ დარწმუნებული არ იქნება თქვენს ერთგულებაში?

— რამდენი კაცის ჩაყენებას ფიქრობს დიდი პეტრე ციხეში?

— ორი ათასი სამხედროს, ცეცხლმსროლელი იარაღებით, ორას ორმოცდაათი მეზარბაზნისა და სამხედრო საქმის მცოდნისა. ამაში არ შედის ხალხი, რომელიც ასტრახანიდან ივლის. თითოეულ სულზე ვანგარიშობთ სამ-სამ ჩარეკ ხორბალს.

ვახტანგმა უპასუხოდ დატოვა ეს მოთხოვნაც და ბრძანა: — მიღება დამთავრებულიაო! — შეშფოთებულმა ელჩებმა ერთმანეთს გადახედეს. მიხვდნენ, ლაპარაკით საქმეს ვერას უშველიდნენ. მეთაურმა ხმა ჩაიწმინდა და განსაკუთრებული რიხით დაიწყო:

— დიდი რუსეთის დიდი ხელმწიფის, პეტრეს სახელით, პრინც ვახტანგისათვის მიმირთმევია: ორმოცი სიასამური, ორი შავი მელა, ათასი ყარყუმი, ლომთევზას ათი ეშვი, აბჯარი, ჯაჭვ-კურტაკი და მუზარადი.

ელჩიონმა საჩუქრები ვახტანგის წინ გაალაგა. ვახტანგი წამოდგა:

— ელჩიონი პურობად მიმიწვევია!

შემოდგომის ცხელი დღე იყო. სუფრა სასახლის ფართო აივანზე გაშალეს, რომლის შუაგულში შადრევანი ამოჩქეფდა. შადრევანის შხეფებში აქა-იქ წითელწინწკლებიანი ალმახი გაიელვებდა.

რუსთა ელჩიონი სასმელს მიეძალა. ახალგაზრდები აზარფეშებსა და ყანწებს უკანასკნელ წვეთამდე ცლიდნენ. ელჩიონის მეთაური, რომელსაც ალექსანდრ პეტროვიჩად უხმობდნენ, ახალგაზრდებს თავის ენაზე უშლიდა ზედმეტ დალევას, ტუქსავდა, მაგრამ ღვინით გათამამებულ ახალგაზრდებს აღარაფერი ესმოდათ, თვით ალექსანდრე პეტროვიჩიც მოხიბლული იყო ქართული ღვინოებით.

პურობის დამთავრების შემდეგ ტკბილი სასმელები შემოიტანეს, ვერცხლის და ოქროს ლანგრებით ხილი — თითა, საფერავი და დაბრაწული რქაწითელი; თეთრი, შავი და ჯორა ლეღვი; ლოყაწითელი და ქარვასავით ჩაყვითლებული ატმები, დაკროლილი თხილი, წაბლი, წითლად გაღვივებული დახეთქილი ბროწეულები, მოხარშული და შემწვარი გოგრა და სიმინდის დალასტული ტაროები.

გაოცებულმა ელჩებმა აღარ იცოდნენ, რომელი მათგანისათვის მოეკიდათ ხელი. ღრეობამ მთელ ღამეს გასტანა.

ვახტანგის დარბაზში კი საიდუმლო ბჭობა გრძელდებოდა, სადაც თბილისის დიდვაჭარი ხურციძეც იყო მიწვეული.

ვახტანგმა ერთგულთ თავისი აზრი გაუზიარა:

— დიდებულნო, ჩვენი ქვეყანა ციხე-ქალაქის გამოკვებას ვერ შესძლებს. მოგეხსენებათ, ციხე-ქალაქი რაოდენ შორი მანძილითაა ჩვენი სამფლობელოდან დაცილებული. ჩვენ მოგვიხდება გადავლახოთ საჭყოფელი მტრულად განწყობილი ტომებისა. გადაუვალი მაღალი მთები ფრიად გააძნელებს ცხენების გაგზავნას.

— ხელაღებით პასუხის გაცემა ფრიად საჭოჭმანოა. საჭიროა, ჩვენი ხალხიც გაიგზავნოს პეტრე დიდთან. ვნახოთ ქვეყანა მისი.

— გარდაუვალია, შესწავლილ იქნას რუსთა სახელმწიფო, მათი ხალხი. უნდა გავზომ-ავწონოთ, რამდენად შეიძლება მათი ნდობა.

— ეგ აუცილებელია!

მოთათბირენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ზოგიერთმა რომ შეხედა ვახტანგი რუსთ მხარეზეაო, მხარი დაუჭირა.

— ძმანო, ქრისტიანი ხელმწიფის ხელდებულნი შევიქნებით, რად უნდა ვიზარალოთ, უსჯულოთა მეგობრობას ქრისტიანთა მეგობრობა გვიჯობს.

— რაღა თქმა უნდა, საჭოჭმანო არა გვაქვს რა, თუ ეგ საქმე შალე მოხდება. მაგრამ მტერმა თუ შეგვიტყო, მაშინ ყველა უსჯულოთა სახელმწიფო წამოგვესევა. სანამ რუსი გვიშველიდეს, ჩვენ ჩვენი ღაგვემართება.

— ბრძენი მეფე ჰყოლიათ, თავისი მტერნი ყველანი დაუმარცხებია. ისეთი გაწყობილი ჯარი ჰყავს, მტერს მარტო მათი შეხედვა დააშარცხებსო, — ერთფერი ტანსაცმელი ხმალი, აბჯარი, მწყობრრიგად სიარული.

გადაწყდა, საიდუმლოდ წასულიყვნენ რუსეთს დიდებულნი, შცირვდი ყმით, ვაჭრად მორთულნი.

— სამღვდელო პირნიც გავგზავნოთ, რჯულის ერთიანობასაც დავუკვირდეთ. ვნახოთ, რამდენად ახლონი ვართ ერთმანეთთან.

— შეუძლია თუ არა, ასეთი დიდი მანძილით დაცილებულმა საჭელმწიფომ რაიმე დახმარება გაგვიწიოს?

— სპარსნი და ოსმალნი როგორღა შეხედავენ ამ ურთიერთობას?

— მე მესმის თქვენი ეჭვები, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ღირსეულად, დიდი სიფრთხილითა და გონიერად უნდა განისაჯოს.

— მამა, ხედავდი, არც ერთხელ არ მოგმართეს, როგორც პატრონს, დაიჟინეს „პრინცი და პრინცი“! — შეფოთავდა ბაქარი.

— ვფიქრობ, რაღგან ჯანიშინი ვარ და არა მეფე, ამიტომ მომშართავდნენ ასე, შენ რას იტყვი, შვილო! — მიუბრუნდა ვახტანგი ვახუშტის.

— არც მე მომეჩვენა საკეთილოდ, მამავ ბატონო. ჯანიშინობა ურჯულოთა მიერ გაქვს მიღებული, ჩვენთვის პატრონი ხარ და ყოველ ჩვენს კეთილის მსურველს ასე უნდა მიაჩნდეს.

— რუსთა ელჩებისათვის შილდაში მოაწყეთ გართობა: ცხენბურთი, ჩოგბურთი, ჯირითი და ყოველგვარი სამხედრო თამაში, დაე რუსთა დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ნახონ, რომ ჯაბანნი არა ვართ. — ვახტანგი ხერციძეს მიუბრუნდა: — საუკეთესო საკაჭრო ფარდულებს გააწყობ იმ დღისათვის შილდაში.

ვახტანგ ზე წამოდგა, საიდუმლო თათბირი დამთავრდა. მას დიდხანს არ დასძინებია. „ამ ჩემს აზრს და სურვილს — რუსეთის დიდ ხელმწიფეს შევაფარო თავი — რამდენი წინააღმდეგი ჰყავს, ჩემს მოქხრეებსა და თვით ჩემს ოჯახშიც, ღეთისმშობელო, ჩამაგონე, ვინ არს მართალი ჩვენს შორის“.

ვახტანგმა ელჩიონი მცირე დარბაზში მიიწვია.

— სალაღობოდ გიწვევთ შილდაში, ჩვენი გართობანიც უნდა გაჩვენოთ.

ალექსანდრ პეტროვიჩს სული მისდიოდა, როდის მიიღებდა ვახტანგის დასტურს. ამ მიწვევას დიდად არ გაუხარებია. დანარჩენი წევრები ისე იყვნენ მოხიბლულნი ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ღვინით, წასვლას არც ეგრერიგად ჩქარობდნენ. ბოლოს ვახტანგმა ალექსანდრეს ჰკითხა:

— რა სჯობს გაუგზავნო დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს, პეტრე პირველს?

— ჩვენს მეფეს, პეტრე დიდს დიდად აამებთ, თუ გაუგზავნით ორმოცდაათ საუკეთესო ყიზილბაშურ ქამხას, ათ ხალიჩას, ოქროვერცხლითა და აბრეშუმით, გარდა ამისა, თქვენს მიწაზე სანამ ვიქნებით, თქვენ უნდა მოგვცეთ ცხენები და გვკვებოთ კიდეც.

ღიმი მოჰგვარა ელჩის სიტყვებმა ვახტანგს, დარბაზის ერმაც ღიმილით გადახედა ერთმანეთს. ვახტანგმა განაგრძო:

— ქართველი ხალხი სტუმართმოყვარეა, თავის ქვეყანაში სტუმრად და კეთილად მოსულთ მფარველობას არ მოაკლებს. ის ნივთები, რომელსაც თქვენ მოითხოვთ, ჩვენს ქვეყანაში არ კეთდება, ისინი ჩვენშიც ირანიდან შემოაქვთ. რადგან ამჟამად ირანი თურქებს ეომება და გზები ჩაკეტილია, საშუალება არა გვაქვს დიდ პეტრეს გავუგზავნოთ ის საჩუქარი, რაც მას ეგოდენ გაახარებდა. გზები გაიხსნება და ვაახლებ ხელმწიფეს მაგ ნივთებს, მანამდე კი, დიდი პეტრე პირველისათვის მიიღეთ იორღა ცხენები და აბრეშუმი. გარდა ამისა, დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს, პეტრე პირველს მივცემ წერილობით პირობას, მაგრამ ხელმწიფემაც უნდა მომცეს წერილობითი პირობა, რომ მტრისაგან დამიცავს და ჩემს მიწა-წყალს არავის დაანებებს. მე თანახმა ვიქნები, თუ თქვენ, დიდი ხელმწიფის — პეტრე პირველის მაგიერ ემთხვევით წერილობით სიგელზე გამოსახულ ჯვარს.

ნელა წამოდგა ალექსანდრ პეტროვიჩი, ეტყობოდა, პასუხს ამზადებდა.

— პრინცო ვახტანგ, დიდ ხელმწიფე პეტრე პირველისაგან ჩვენ არა გვაქვს ბრძანება, მის მაგიერ ხელი მოვაწეროთ რაიმე წერილობით საბუთს.

რუსეთის ელჩიონი შილდას საუკეთესო ბედაურებით წაიყვანეს. შილდისაკენ დილიდანვე მიედინებოდნენ მოჯირითეები, მშვილდოსნები, მოჭიდავეები, ბადროს მტყორცნელები, მომღერლები, მოცეკვავეები.

დიდვაჭარმა ხურციძემ თავი არ დაიზოგა: ფრანგული აბრეშუმი, ბაფთები და მარმაშები, ინგლისური შალები ბლომად მოიტანა შილდაში. ძვირფასი ნივთები, ვერცხლით ნაქედი იარაღი, საუკეთესო ხმლები, ხანჯლები, მოვერცხლილი უნაგირები, ცხენების რახტები, თიხის საუკეთესო ჭურჭელი.

რჩეული ვაჟკაცები და ტურფა ასულები, დარბაისელი მოხუცები ამშვენებდნენ შილდის მიდამოს. არავინ დარჩენილა იმ დღეს შილდაში წაუსვლელი. ბერიკაობა, ყეენობა, ჯირითი, ბურთი, ათასნაირი გასართობი აჩვენეს ქართველებმა რუსებს.

ერთ თვეზე მეტი დაჰყო რუსეთის ელჩიონმა საქართველოში. გამგზავრების წინ კვლავ მიიღო ვახტანგმა რუსთა ელჩები. ელჩებს ჯოსამთხვევი სიგელი წარუდგინა. სიგელში მოხსენებული იყო, რა უნდა გაეგზავნა დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს ყო-

ველწლიურად ვახტანგისათვის და ვახტანგს დიდი ხელმწიფისათვის. ვახტანგმა თავის შვილებთან და დიდ მოხელეებთან ერთად, ივერიის სახელით დიდი რუსეთის ხელმწიფეს პირობა მისცა, სიგელზე გამოსახულ ჯვარს ემთხვია, ხელმოწერილი თავისი ბეჭდით ელჩებს გადასცა. სიგელში ეწერა:

„ვახტანგი გამგებელი ქართლისა და პატრონი, ჩემს შვილებთან — ტახტის მემკვიდრე ბაქართან და ვახუშტი ბატონიშვილთან და ჩემს წარჩინებულებით მოძღვართმოძღვარ სულხან-საბა ორბელიანთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დომენტისთან და სხვებთან ერთად თაყვანსა ვცემ და მოვახსენებ დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს პეტრე პირველს, სრულიად რუსეთის დიდ მთავარსა, მოიღოს ჩემზე მოწყალება და მთელი მიწა-წყალი ჩემი ივერიისა აიყვანოს თავის მეფურ მფარველობაში და მეფის სახელით დაგვიცვას მე და ჩემი მიწა-წყალი მტრისაგან".

საღამოს ვახტანგი დიდხანს ესაუბრა საქართველოს ელჩთა წარმომადგენელს — ზურაბ ხერხეულიძეს.

— ზურაბ! სწავლული, მდიდარი და ჭკვიანი ხარ. ამიტომ შეგარჩიეთ ჩვენი ელჩიონის მეთავედ, მაგრამ ელჩის თვისებებს კვლავ გაგიმეორებ: ელჩი უნდა იყოს წტკიცე თავისი სარწმუნოებისა და ფიცისა, უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპატრონისა.

ზურაბმა თაყვანი სცა ვახტანგს და მოახსენა:

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მეფეო, ჩემი ქვეყნის სიყვარულსა და ერთგულებაში ვერავინ შემეცილება.

— შვილო, ზურაბ! — დაიწყო სულხან-საბამ. — ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოიბა, ყველაფერი დაწვრილებით შეისწავლო იმ ხალხის, რომელთა მინდობა გადაწყვიტა შენმა ქვეყანამ. არც ერთი წვრილმანი არ გამოგრჩეს, პირობა მათი, იციან თუ არა მოცემული სიტყვის შესრულება; ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები.

ვახტანგმა გამოთხოვებისას რუსთ ელჩებს უთხრა:

— უთხარით, გადაეცით დიდი რუსეთის დიდ ხელმწიფეს, პეტრე პირველს, შამხალისაგან დამიცვას.

სჯულმდებელი

საკანონმდებლო ბჭობის შემდეგ სასახლემ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. წამით შეისვენა. რამდენიმე დღის შემდეგ ვახტანგმა შვილებს ფრიად საიდუმლოდ უთხრა: — ვახშმის შემდეგ ჩემთან შემოდითო, ვახუშტიმ და ბაქარმა ძილის სურვილი მოიმიზეზეს და მამის საიდუმლო ოთახისაკენ წავიდნენ. მამა თავის მაგიდასთან დაფიქრებული იჯდა. შვილებისაკენ მობრუნდა:

— კარი ჩაკეტეთ!

ვახუშტიმ კარი ჩაკეტა, მამასთან მივიდა, ვახტანგი წამოდგა.

— საკანონმდებლო ბჭობიდან საკმარი დრო გავიდა, ხალხს პირველმა აღტაცებამ გაუარა, ყოველ ჩვენს მოქმედებაზე გარკვეული რწმენა და აზრი ექნებათ. საჭიროა, ჩვენც მოვისმინოთ მათი აზრი და განსჯა, ხმა ხალხისა და ხმა ერისაო, — ჩვენი საქმიანობის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს, არც შინაურმა და არც გარეულმა. ამჯერად სამი დღე გვეყოფა, მომავალს მომავალივე განსჯის. აი, თქვენი ტანსაცმელი, მოირთეთ და გზას გავუდგეთ.

ბაქარი და ვახუშტი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, მამის ასეთი ნდობა ორივეს სიამაყის გრძნობით ავსებდა.

— მე ხელოსანი ვიქნები, თქვენ ჩემი მოწაფეები, ვითომ კახელებმა დაგვიბარეს, ხმლისა და ხანჯლის მოხელენი ვართ. ცოტა რამ გვესმის ამ ხელობისა, არ გაგვიჭირდება, — არიგებდა მამა შვილებს.

ახალი მთვარე უკვე ჩასულიყო. ბნელი ღამე იდგა. დიდ გზაზე სამნი მიდიოდნენ — ხელოსანი და მოწაფეები. ისინი დაბალი ხმით საუბრობდნენ:

— ბნელი ღამეა. ძნელია ასეთ ბნელ ღამეში სიარული, ჯობს ეს ღამე ფუნდუკში გავატაროთ.

ფუნდუკში ღამის გამთევებს არ ეძინათ, სიცხეს ისინი გარეთ გამოერეკა, ფუნდუკის გარშემო ქვებზე, მინდორში, ხის გადანაპერებზე ჩამომსხდარიყვნენ. აივანზე რამდენიმე თავადი პატარა მაგიდას შემოსხდომოდა და იქიდან გადმოსცქეროდა ხალხს. ხალხი ხმამაღლა და მოურიდებლად ლაპარაკობდა. ერთ კუთხეში ახალგაზრდებს მოეყარათ თავი და დაბალი ხმით ლიღინებდნენ:

„ჩემო ტიეო, მაშინ გაქებ,
რომ ქალაქში ჩასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო!“

— გამარჯობათ თქვენი! — მიესალმა შეკრებილთ ვახტანგი.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოთ! — ახალგაზრდებმა სიმღერა შეწყვიტეს. ის, ვინც სიმღერას იწყებდა, ბაქარსა და ვახუშტის მიუბრუნდა:

— აქეთ მოდით, ჯეელებო!

ბაქარი და ვახუშტი ახალგაზრდების ჯგუფთან მივიდნენ, ახალგაზრდებმა ადგილი დაუთმეს.

— ძმობილნო, საით გაგიწევიათ? — ჰკითხა ვახუშტიმ ახალგაზრდებს, და მათ გუდა-ნაბადს გადახედა.

— ვახტანგს გვარჯილისა და მარმარილოს დამუშავება დაუწყია, მუშახელი სჭირდებაო ამბობენ. სოფლის სამუშაოს მოვრჩით, მკის დაწყებამდე უსაქმოდა ვზივართ, ვახტანგსაც მოვეხმარებით, ჩვენ ხალხსაც და ჩვენ თავსაც, ორ გროშსაც ავიღებთ, სახლს რაიმეთი წავადგებით.

— მერე ლეკებისა არ გეშინიათ?

— ვენაცვალეთ ჩვენ პატრონსა, იმათ აქ თარეში მოუსპო!

— მე მგონი ვეღარ გაბედავენ აქედან ხალხის გატაცებას!

— მე მგონი, რომელია, მეზობლები ერთმანეთთან თავისუფლად დავდივართ!

— ყანაში თოფ-იარაღით აღარ დავდივართ, აღარც წისქვილში!

— თქვენ საიდან ხართ, აქაური ამბები რომ არ იცით?

— რას ამბობთ, მარტო ის რადა ღირს, რომ ყიზილბაშები ისე შეიკეტნენ თავიანთ სამყოფელში და გაბუსუნდნენ, გეგონებათ აქ აღარ არიანო! — კვერი დაუკრა ვახუშტიმ და მათი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

— სად მიდიხართ, ძმობილნო?

— ჩვენ იარაღის მოხელენი გახლავართ, ჩვენს ოსტატს ამბავი მოუვიდა, კახეთს გვიბარებენ იარაღის გასაკეთებლად.

— ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოთ, კაი საქმეა.

იქ, სადაც ვახტანგი იჯდა, ასეთი საუბარი ჰქონდათ:

— ოთხშაბათი და პარასკეეი კანონის დღედ დაუდგენია ჩვენს

პატრონს, თუ ვისმეს რაიმე საჩივარი აქვს, თავისუფლად მივა და მოახსენებს.

— ვითომ პირდაპირ ვახტანგი დახვდებათ? — ეკვი შეიტანა ვიღაცამ.

— მა რა გგონიათ, პირდაპირ სჯულმდებელი მოისმენს ყოველს საჩივარს, მერე აიღებს იმ თავის კანონის კრებულს და მომჩივანს შეუფარდებს.

ვახტანგს მოეწონა ხალხის შერქმეული „სჯულმდებელი" და მოსაუბრეს ჩუმად შეაპარა:

— სჯულმდებელს რად ეძახით?

— როგორ თუ რად ვეძახით! — შეუტია ყველაზე ხანდაზმულმა მოხუცმა, — განა ვის მოსწრებია, პატრონი, რომელმაც კანონთა წიგნი დასწერა. ხალხი იმ დღიდან ვახტანგს „სჯულმდებელს" ეძახის.

— ყველა მისი კანონი მოგწონთ?

— დიახაც მოგვწონს, რაც ხალხის და ქვეყნის სასარგებლოა. სახარე მოზვერს სასკორეში შეეტყობა, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის მოშლის შემდეგ ხალხს ღმერთივით სჯერა ვახტანგისა.

— ღმერთმა გისმინოს, ძია კაცო, მაინც მეშინია, ვახტანგმა ოთხშაბათსა და პარასკევს შეძლოს ყველა მომჩივნის მოსმენა.

— რა ეკვიანი კაცი ყოფილხარ, ძმობილო, ხალხს ყოველთვის სჯერა თავის პატრონისა. არ დაგავიწყდეს, ხალხის ცხოვრება იმედზეა დამყარებული, იმედით ცოცხლობს ადამიანი, ხალხს კი ყოველი ახალი პატრონის სჯერა, სანამ პატრონი თვით არ გაუცრუებს იმედს. ვაი იმ პატრონს, რომელიც ხალხს იმედს დაუკარგავს, ჩვენ გვჯერა ჩვენი პატრონისა, ვახტანგის, სჯულმდებლისა, ღმერთო გვიშველე! — მოხუცმა ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაკენ აღაპყრო ხელები — ღმერთო, ნუ დაგვიკარგავ იმედსა და რწმენას ჩვენი პატრონისას.

— ღმერთმა გისმინოს, ხალხი სამართლიანია! — თავი ჩაჰკიდა ვახტანგმა.

— ჩვენს ვახტანგს გაუმარჯოს!

— ჩვენს ხალხს გაუმარჯოს!

— ქრისტიან ვახტანგს და „სჯულმდებელს" გაუმარჯოს!

ვახტანგს გააკრეოლა, ამაზე უკეთეს მადლობას არ მოელოდა, მაინც შეაპარა კითხვა:

— მყრელობაზე რას იტყვი, მოხუცო?!

— რა გითხრა, ძმობილო, ვახტანგს აოხრებული და განადგურებული დახვდა ქვეყანა, ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაცარიელებულია, თუ არ აღადგინა, თუ არ უპატრონა, არ შეიძლება.

— კანონით, დაბრუნებული გლეხი თავისივე თავადს აღარ უბრუნდება, ამიერიდან იგი ვახტანგს ეკუთვნის და სახასო მამულში იცხოვრებს.

— ვახტანგს მეტი შეღავათის მიცემა არ შეეძლო!

— მართალია, მყრელობა უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ რას იზამ, — ზოგი თხისაკენ და ზოგი მგლისაკენო, — ვახტანგი მაგას ქვეყნის საკეთილდღეოდ აკეთებს, ჩვენც ვალდებული ვართ, ხელი შევუწყოთ.

— სახლ-კარს ახვედრებს, გადასახადიდან ათავისუფლებს, მეტი რა იღონოს, ძნელია ქვეყნის პატრონობა.

— თავადები რომ არ დაეთანხმონ, გლეხები შეავიწროონ? — კვლავ ჩაურთო ვახტანგმა.

წინააღმდეგობის თავი რომ ჰქონოდათ, საკანონმდებლო ბჭობაზე უნდა გამოედოთ თავი, ახლა რაღა გზა აქვთ.

— ძალის კუდი ეგრე ადვილად არ გასწორდება, მაგრამ ძალა და უფლებაც ეგრე ადვილად არ დაიძლევის.

— ღმერთმა გისმინოს!

— ძმობილო, ყოველი ოთხშაბათი და პარასკევი ხომ ჩემია. თუ ძალიან გამიჭირეს საქმე, წავალ და ვახტანგს ვეახლები. აბა, ერეკლე პირველის კანონი იყო — ამ შენ საჩივრიანად შენსავე ბატონთან გაგაგზავნიდა სამართლისათვის. იმას რა სამართალი უნდა დაემყარებინა. სამართლის თავი რომ ჰქონოდა, საჩიველელად რაღად გაგიხდიდა საქმეს. ეს იმას ნიშნავს, მომჩივანი ცხვარი სამართლის გამოსატანად მგელს გაუგზავნო, ან თაგვი — კატას.

საუბარი გაუგრძელდათ მოხუცებს, ინათა თუ არა, ერთმანეთს გამოეთხოვნენ და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ვახტანგი, ბაქარი და ვახუშტი კახეთის გზას დაადგნენ.

ფუნდუკის აივანზე მჯდარმა თავადებმა მიმავლებს ბოროტი თვალი გააყოლეს:

— როდის იქნება, ასეთი მოლაყბენი ოსმალეთის ბაზარზე გავგზავნოთ გასაყიდად!

— ხედავ, როგორ გაიჯგიმნენ ეს მათხოვრები!

— როცა მეფე მათხოვარია, ხალხი რაღას იზამს!

— რუსთ ხელმწიფისათვის დიდი ელჩიონი გაუგზავნია, შეგვიფარე, დაგვეხმარე, დაგვიცავიო, ვის სთხოვს დახმარებას, იცნობ, გიცნობს, იცი რაიმე მისი. ვიღაც გადამთიელი იქნებ სპარსელებსა და ოსმალებზე მეტი ბოროტის მთესველია!

ვახტანგს, ბაქარს და ვახუშტის გზადაგზა მრავალი შგზავრი ხვდებოდა, ყველა ვახტანგსა და მის კანონებს აქებდა. უხაროდა სამთავეს, ვახტანგს — ყველაზე მეტად.

პირველი ღამე გლეხის ქოხში გაატარეს ვახტანგმა და მისმა ვაჟებმა. გლეხი წელმაგარი იყო. ძელური სახლი ედგა. ვახშამი კერასთან გააწყვეს, უფროს-უმცროსობის მიხედვით ჩამომწკრივდნენ, ზესადგარზე თანგირა ქვაბი იდგა, კერძი იხარშებოდა. სუფრაზე სასტუმრო ღვინო მოიტანეს, ოჯახის უფროსი სუფრის თავში დაჯდა და დაილოცა:

— ღმერთმა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს და ვახტანგს გაუმარჯოს, მისი პატრონობა და სამართალი არ მოგვკლებოდეს.

— ბევრი სიკეთე მოგვიტანა გამგებელმა, რას ეტყვი, მოხუცო? — შეეკითხა ვახტანგი.

— ბევრი, ბატონო, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, დღე ერთი იყო, კივილ-წივილი ხან სოფლის თავში ატყდებოდა, ხან — ბოლოში. ახლა დღე ისე დაღამდება, სოფელში უცნაური შეწივლება აღარ მესმის.

— ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასაო, — ისეა ჩვენი საქმეც! — ვახტანგმა პასუხის გამცემისაკენ მოიხედა, მხარბეჭიანი ახალგაზრდა სუფრის ბოლოში იჯდა, ჩაცმულობაზე ეტყობოდა აზნაური იყო.

— ჩვენი პატრონის შეურაცხყოფას ჩემს სუფრაზე არავის ვაპატიებ!

— რა დაგემართა, პაპა, სტუმრის პატივისცემა დაგავიწყდა?!

— სტუმარს პატივი ჩემს ოჯახში არ მოაკლდება, მაგრამ გამგებელი უპირატესია და ჩემს სახლში შემომსვლელმა არც ეს უნდა დაივიწყოს. ახლა კი ძილის დროა, — წამოდგა მოხუცი და ამით ბოლო მოუღო უსიამოვნო საუბარს.

სტუმრები სათიეში მოასვენეს, შუაღამეზე ვახტანგს დაგუდული ხმით საუბარი ჩაესმა:

— პაპაშენის რომ არ მეშინოდეს, მაგათ სამივეს ოსმალეთის ბა-

ზარზე ვუკრავდი თავს! — ჩაესმა ვახტანგს მხარბეჭიანი ახალგაზრდის უსიამოვნო ხმა.

— რას ამბობ, გაგიჟდი, სოფლის გასაიცხავად იგდებ თავს?

— შენ რომ დამეხმარებოდე!

— არა, ჩემო ძმაო, მაგეთ საქმეში დამხმარედ მე არ გამოგადგები.

— ვახტანგის არ გეშინია?

— ვატანგის... — უწმაწურად შეუკურთხა უცნობმა.

— ვერაფერი ვაუკაცობაა, მძინარე კაცს მიეპარო, ხელ-ფეხი შეუკრა, ოსმალთ ბაზარზე გასაყიდად გააგზავნო!

— მეგონა, რამეში გამომადგებოდი!

— არა, ჩვენი ოჯახი შენი საკბილო არ არის, პაპა არც ქალს გაგატანს, სჯობს როგორც მოსულხარ, ისე წახვიდე!

— ლაჩარი ხარ შენ, ბიჭო!

— აბა, აქედან მოუსვი, მე შენ გიჩვენებ, ვინ არის ლაჩარი!

ვახტანგი წამოდგა, გარეთ გამოვიდა, უსიამო ყმაწვილი წნელის ღობეზე გადახტა, ორღობეში მიიმალა.

დარბაზიდან მოხუცი გამოვიდა, სტუმარს მიესალმა.

— ადრე ამდგარხარ, სტუმარო!

— ადრიანად სჯობია საქმეზე წასვლა!

— წაიხემსეთ მაინც! შენი სტუმარი სადღაა?! — ახლა შვილიშვილს შეუბრუნდა მოხუცი.

— წავიდა, პაპა!

— წავიდა, აი, პატიოსანი კაცი!

შვილიშვილმა არ უპასუხა მოხუცს.

— ვინ იყო, ძმობილო, შენი სტუმარი? — ჰკითხა ვახტანგმა.

— აქაური აზნაურია, წანწალსა და უქმად გდებასაა მიჩვეული.

ვახტანგმა აღარაფერი ჰკითხა მოხუცს.

მცირე საუზმის შემდეგ მოხუცი ჯალაბით ვენახში სამუშაოდ წავიდა. ვახტანგი, ვახუშტი და ბაქარიც გაჰყვნენ. ერთხანს გზა ერთად სავალი ჰქონდათ.

— კარგი ვენახი გაქვს, ძია კაცო? — ჰკითხა მოხუცს ვახტანგმა.

— ეცდილობ. მოგეხსენებათ, იფნის ხესა და თუთას ვრგავთ ვენახის ირგვლივ, იფნა სწორ და ვამძლე ჭიგოს იძლევა. მის ფო-

თოლს პირუტყვის საკვებად ვხმარობთ. თუთა კიდევ უკეთესია. თუთის ხარდანი გამძლეობით იფნისას სჯობს, თანაც აბრეშუმისჭიას კვებავენ ჩვენი ქალები, კანით ვაზს ვახვევთ.

ᲒᲚᲝᲕᲐ

სასახლეში დაბრუნებულთ საზარელი ამბავი დახვდათ: გიორგი XI აჯანყებულ ავღანელებს მოეკლათ.

წუთით სასახლემ სუნთქვაც კი შეაჩერა, ყველამ იგრძნო, რა დიდი იყო დანაკლისი. გონს მოსულთ გლოვა და ზარი შეექმნათ. ალ სასახლეში ეს პირველი გლოვა იყო ქართველთათვის. ლხინსა და მხიარულებას შეჩვეული სასახლე ძაძით შეიმოსა. ყველას სათქმელი წართმეოდა, ჩურჩულებდნენ, ფეხის წვერებზე დადიოდნენ, ცრემლად იღვრებოდნენ.

დიდ დარბაზში შავ ხავერდგადაფარებულ ტახტზე დაეწყოთ მეფე გიორგი XI-ის იარაღი. შავებით მოსილი ეახტანგი და რუსუდანი დასტიროდნენ მეფე გიორგის ხმალს. იქვე ჩამწკრივებულიყვნენ ბაქარი, ვახუშტი ბატონიშვილი, ეახუშტი აბაშიძე და სხვა ახალგაზრდა დიდებულნი.

თავში ხელისცემით შემოვიდნენ მეფე გიორგი XI-ის თანაშებრძოლები, მისი დროინდელი დიდებულები — მაჭუტაძის თაოსნობით.

რუსუდანი ცრემლად იღვრებოდა, დაბალი ხმით მოთქვამდა:

— როგორ გიტიროთ, სად გიტიროთ, მტერთა ქვეყანაში, მტრისავე მახვილით აკუწული. ამ შენი ხმლის მეტი არა დაგვრჩენია რა. განა დასატირებლად დაგვიტოვე ეს იარაღი, წასვლის დროს თან რომ არ წაიღე: — „ჩემი ქვეყნის დამცველ იარაღს მტრის დასაცავად არ წავიღებ, აქ შემინახეთ და როცა მელირსება ჩემი ქვეყნის დასაცავად ჩემსავე ქვეყანაში დაბრუნება, მაშინ დამჭირდებაო“. შენი შვილიშვილები: ბაქარი და ვახუშტი თავისთავზე მეტად უვლიდნენ შენეულ იარაღს, მამავ ბატონო, რად დააობლე ისინი.

ჩვენ რას გვერჩოდი, რად შემოარღვიე ზღუდე და ბურჯი შენს ქვეყანას, ვინ დატოვე ჩვენდა დამცველად და ქომაგად. რად შოგვიშალე შენი იმედი და მფარველობა.

ვახუშტი ბატონიშვილი გულხელდაკრეფილი იდგა, დასჩერებოდა პაპის იარაღს და ფიქრობდა: — მართალია დედოფალი, ვინ იქნება ჩვენი დამცველი, კვლავ აირევა ქვეყანა. ვის მისცემენ ტახტს? მამა მხოლოდ ჯანიშინია. ღმერთო, დაგვიფარე! — ჩურჩულებდა ვახუშტი და ცრემლი სედვას უხშობდა.

— კახელები მოვიდნენ, კახელები! — ფიქრი შეაწყვეტინა ვახუშტი ბატონიშვილს დარბაზში დარხეულმა ჩურჩულმა. ვახუშტიმ ალაყაფის კარისაკენ გააპარა მზერა. ალაყაფის კარებში შემომავალმა ხალხმა შავით მოსილ, შავ პირბადე ჩამოფარებულ ცხენოსანს გზა დაუთმო. ვახუშტი მიხვდა, თამარი მოდიოდა დიდი პაპის დასატირებლად. ცხენს შავი ხაერდი ფლოქვებამდე სწვდებოდა, ისიც ისე დინჯად მოაბიჯებდა, თითქოს გრძნობდა, რისთვისაც მოდიოდა. ცხენზე თამარი იჯდა, მისი მხლებელი კახელები, თეიმურაზიც კი, გულხელდაკრეფილი მოსდევდნენ თამარის ცხენს. შუა ეზოში მიაშველა ხელი თეიმურაზმა მეუღლეს. ჩამოქვეითდა თამარი, დინჯი ნაბიჯით წარემართა სასახლისაკენ; ფერი დაკარგოდა, მარცხენა წარბი ზე აეზიდა, დიდი პაპის იარაღთან მუხლი მოიყარა, ხმალს ხელი გადაუსვა.

— ვაი, მე, ვაი, მე, ბატონო მამავ, მშობელო ჩემო. დედაო, და-ძმანნო ჩემნო, ნათესავნო ქართლისანნო, იტირე ხალხო ჩემო, დაგვეხშო სიხარული, დაგვემსო თვალნი, დადუმდა ბაგენი, გადატყდა ხმალი, დადუმდა ხელი მცველი ჩვენი ქვეყნისა. უცხოთა ქვეყანაში დაიხუჭა თვალნი შენი, დიდო პაპავ, დამცველო და ქომაგო ჩვენო. მოგვტაცეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ძალა, სიბრძნე, სარდალი, მტერთა მომგერიებელი, მოგვტაცეს დიდება ჩვენი ქვეყნისა.

რაჟამს განითქვა შენს ქვეყანაში ეს საგლოვო ამბავი, მწუხარებით შეიკრიბა შენი ხალხი, გლოვითა და გოდებით აღივსო. შენი ქვეყანა, იტირეთ ნათესავნო, იტირეთ ქართველნო, იტირეთ ყველამ! ჩამოგვეხსნა კარი, მოგვეშალა ბურჯნი, დაგვემხო დედაბოძი, აღარ გვყავს დიდი პაპა, დამცველი ჩვენი. დაიფარა მიწასა შიგან გვამი წმინდა მოღვაწისა და შრომით განვლილი გზა დიდი პაპისა, მტრის მიწა დაგეყრება, რომელსაც შენივე ხმალი იცავდა.

ვახუშტი ბატონიშვილი უსმენდა დის მოთქმას, თვალები ცრემლებით ევსებოდა, მწარე საფიქრალი კიდევ უფრო აუშალა დის მოთქმამ. „შავი ღრუბლები ჩამოწვა ჩვენი ქვეყნის ცაზე, კვლავ

აირევა ჭირ-ვარამით დაწყობილი ქვეყანა. ჩვენი". როგორი წერილი გამოგზავნა პაპა გიორგიმ, როცა ახლად დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი" გაუგზავნა მამამ! — „ერთ რამეს გირჩევთო, — იწერებოდა პაპა, — ძლიერ ღმერთს აღთქმა მიეცით, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ქრისტეს სჯულისათვის, ჩვენი ქვეყნის სიბრძნისათვის მებრძოლნი იქნებით მუდამჟამს".

— გიორგი ერისთავი მობრძანდებაო! — კვლავ ფიქრი გაუწყდა ვახუშტი ბატონიშვილს.

— თავით-ფეხებამდე შავით მოსილი მოდიოდა ელენე, გვერდით თავდახრილი, ზვიადი გიორგი ერისთავი მოსდევდა და მეორე მხრივ, შავითვე მოსილი დედა. რუსუდანი ტირილით შეეგება სასძლოს:

— რად დაგჩაგრა ბედმა, შვილო ჩემო, შავით მოსილი რად შემოგიყვანა შენს სამყოფელში, ცრემლით გხვდებით ჩვენც, გვაპატიე, შვილო, ბედის უკუღმართობამ დამიჩაგრა ბაქარი ჩემი და მასთან ერთად შენც.

დატირების შემდეგ ვახტანგმა მცირე საოჯახო თათბირი ბრძანა. რადგან ბაქარს ეხებოდა საქმე, ბაქარი არ დაისწრეს. გიორგი ერისთავი კუშტად იჯდა სკამზე და წარბებქვემოდან ათვალიერებდა ყველას. ვახუშტი ბატონიშვილმა თვალი შეავლო და გაუელვა:

— ამას სიკვდილიც ვერ გაასწორებსო.

ვახტანგმა. დინჯი ხმით დაიწყო და ყოველ სიტყვას ფოლადის სიმტკიცე მისცა:

— ჩვენი დიდი მფარველის, მეფე გიორგი XI სიკვდილმა მთლიანად აშალა ჩვენი გეგმები, ისეთი ზარ-ზეიმით ველარ გადავიხდით ტახტის მემკვიდრის, ბაქარის, ქორწილს. ჩემდა უნებურად, საქართველოს მომავალი დედოფალი უხმაუროდ უნდა შემოვიდეს ჩვენს სახლში. დამერწმუნეთ, გიორგი ერისთავო, არავინ არ წუხს ამას ჩემზე მეტად!

გიორგი ერისთავი არ მოელოდა, ვახტანგი თუ ასე დააჩქარებდა ქორწილს, ეტყობოდა, არც პასუხი ჰქონდა შემზადებული. მხრები შეარხია, დინჯად წამოდგა და დაიწყო, ეტყობოდა, ფიქრობდა, როგორი პასუხი გაეცა.

— მე მგონი, ამ საქმის ეგრერიგად აჩქარება საჭირო არ არის,

შეცასრულოთ გლოვის წესი და მერე ენახოთ! — ორჭოფობა გაურია თავის ნათქვამს ერისთავმა.

— დაწინდული ასულის დიდხანს გაჩერება არ ეგების, ერისთავო! მტერს არ სძინავს, რომელიმე ურჯულო მშვენიერ ელენეს ყურადღებას მიაქცევს და ქალი ჩვენთვისაც დაიკარგება და შენთვისაც.

ამ სიტყვებმა კარგა ხანს სიჩუმე ჩამოაგდო. ერისთავს, ჩანს, საფიქრალი გაუჩნდა. გიორგის მეტად უყვარდა თავისი პირმშვენიერი ასული, ეამაყებოდა, თავი მოსწონდა, ერთადერთი ადამიანი იყო მთელ ქვეყანაზე, რომლის ჭირვეულობას ანგარიშს უწევდა. ერისთავს სულაც არ უნდოდა, ამ გლოვის ჟამს ვახტანგს ხლებოდა, მით უმეტეს, არ უნდოდა, მისი ელენე ძაძით მოსილი მოსულიყო სასახლეში, მაგრამ ისე გაკერპდა ელენე, ვერაფერი მოუხერხა, როგორ ვეახლო ჩემს დედამთილსა და მამამთილს ძაძის გარეშე, როგორ არ გავიზიარო ჩემი მომავალი მეუღლის დარდი და მწუხარებაო! — სულ ცეცხლი წაიკიდა. იცოდა ერისთავმა, დედაც მხარს უჭერდა ქალიშვილს. ახლა ეს ეჭვი ჩააწვეთა მეფემ. მართლაც, ჰარამხანის მსხვერპლი რომ გახდეს მისი მშვენიერი ელენე, მაშინ რაღა ქნას. საქართველოს დედოფლობაზე მეტი სურვილი არასოდეს ჰქონია შვილისათვის. მართალია, ტახტი თითქოს შეირყა, მაგრამ ლევანი და ქაიხოსრო სპარსეთს არიან, ასე რომ, ჯერ კიდევ კარგახანს მაგრად იქნება. არ შეცდე, გიორგი მდგომარეობა გამოიყენე შენს სასიკეთოდ, მერე, საითაც გადაიხრება ბედის სასწორი, შენც იქით გადაჰყვები. ყველანი შესცქეროდნენ დაფიქრებულ ერისთავს და ხმას არ იღებდნენ, ბოლოს ერისთავმა თავი მაღლა აიღო:

— თანახმა ვარ, მობრძანდით და ქალს გამოგატანთ, მხოლოდ ქორწილს მე ჩემს სახლში, როგორსაც მინდა, ისეთს გადავიხდი.

— ნება შენია, ერისთავო! — დაუდასტურა ვახტანგმა.

გიორგი ერისთავის და მისი სახლობის შინ დაბრუნების შემდეგ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ერისთავს ქალის წასაყვანად ბაქარი, თავისი ძმაკაცებით კარს მიადგა.

საქორწილო კაბა არ ჩაუცვამს ელენეს, არც ძაძით მოსილა, თალხი ფერის საცხენოსნო კაბით გამოვიდა გასამგზავრებლად.

— მინდოდა ქორწილით გამესტუმრებინა ერთადერთი ქალი ჩემი სახლიდან, ამის ნებართვა ვახტანგს გამოვთხოვე, მაგრამ ჭირვეულია ასული ჩემი, თავნება, |დაიჟინა, მგლოვიარეა მეუღლე

ჩემი და მისი ოჯახი, რა დროს ლხინიაო. რას იზამ, ბატონო, თავის ნებისაა, მით უმეტეს, როცა ბედმა დედოფლობა არგუნა. მგ და მორჩილების მეტი რა მმართებს! — თავი ჩაჰკიდა ერისთავმა.

ჩუმად, უხმაუროდ შემოვიდა სახლში ელენე. ყველა დიდი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა. ვახტანგი დიდ იმედებს ამყარებდა ამ ქორწინებაზე, მით უმეტეს გაიხარა, როცა ვახუშტიმ უამბო, როგორ ღირსეულად მოიქცა მომავალი დედოფალი.

— არ შევცდით, მამავ ბატონო, ნამდვილად სადედოფლოა ერისთავის ქალი, ქმრის, ოჯახის ერთგულება რამდენჯერმე დაამტკიცა. მომავალში ჩვენი ვალია, კიდევ უფრო მეტად შევაყვაროთ ქვეყანა ჩვენი. ხალხი, თავისი კერა და ქმარი. ბაქარს ხომ სულ თავბრუ დაახვია ელენეს მშვენიერებამ, მისმა სათნოებამ და მეფურმა თავდაჭერამ. „სიზვიადე მამამისის აქვს გამოყოლილი, — ფიქრობდა ვახუშტი — ეს სათნოება და კეთილი გული როგორღა შეუთავსა მამამისის ხასიათს?“

აბრეშუმის ეზო

გიორგი XI-ის გლოვას სასახლეში ცხოვრება არ შეუჩერებია. ყველა თავის საქმეს აკეთებდა, ყველა თავისი ქვეყნის ბედზე ფიქრობდა.

ელენესათვის უჩვეულო იყო ასეთი ყოფა, რომელიც სასახლეში ნახა. საღამო იყო, როცა რუსუდანის პირისფარეში შევიდა მასთან და მოახსენა:

— დედა გიხმობთ!

ელენე მაშინვე ეახლა რუსუდანს. ოთახში თამარი, ანუკა, მარიამი და სასახლის საპატიო მანდილოსნები დახვდნენ.

რუსუდანმა გვერდით მოისვა ელენე. დაბალ მაგიდაზე ფურცლები იყო გაფენილი.

— ჩვენი ქვეყნის კეთილის მსურველნი მოგიწვიეთ. გორისჯვარზე ღვთისმსახურნი უწყლობით ფრიად შეწუხებულნი არიან. განვიზრახე რაიმე ვიღონოთ. ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც ზედმიწევნით იცის ჩვენი ქვეყნის მდებარეობა და ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვარმა ვახუშტი აბაშიძემ გეგმა შეგვიდგინეს. გვირჩევენ, ბეერეთის მთიდან წყლის გამოყვანას გორისჯვრისათ-

ვის. ამ საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, შეილო ჩემო, ომის დროს თითქმის შეუძლებელია გორისჯვარზე თავის შეფარება. გადავწყვიტეთ ჩვენ, მანდილოსნებმა, დავეხმაროთ მამაკაცებს, რომელნიც, მრავალ საქმეთა გამო ვეღარ ასწრებენ ყოველ კუნჭულს მიხედონ, საკუთარი ხარჯით გავიყვანოთ წყალი ვორისჯვარზე.

თათბირიდან თავბრუდახვეული გამოვიდა ელენე, მამის ჭკუაგონება და შრომისუნარი ჰქონდა დაყოლილი. იქ, მამის სახლში, მხოლოდ ბარძიმფეშხუმის საფარს ქარგავდა ტაძრებისათვის. აქ კი მის წინ მოქმედების ფართო ასპარეზი იშლებოდა, აქ ყოველი საქმის მეთაური შეეძლო ყოფილიყო, ეს კი ზედმიწევნით აკმაყოფილებდა მის პატიმოყვარეობას.

კახელების წასელის შემდეგ თამარი საღამოებს ვახუშტისა და მარიამთან ატარებდა. როცა ელენე რუსუდანს არ ახლდა, მასაც გაიყოლიებდა. უნდოდა ელენესათვის ეჩვენებინა მარიამის საქმიანობა, ქმრის და ოჯახის განუსაზღვრელი სიყვარული. მარიამს ერთნაირად ეხერხებოდა მწიგნობარი ქმრის დახმარება, ოჯახის საქმე. მარიამი ხელმძღვანელობდა აბრეშუმის მოელას და პატრონობას. არც თავის ძველ საქმეს ივიწყებდა. აბრეშუმის ეზოში, როგორც სასახლეში ეძახდნენ ახლად გაშენებულ ფარდულებს, ვასტანგმა საჩუქრად რომ უძღვნა რძალს, ერთი ოთახი სამკურნალო მცენარეებისათვის ჰქონდა გამოყოფილი. რას არ ნახავდით აქ: ვარდს, მიხაკს, სუმბულს, ნარგიზს, ზამბახს, ჭინჭარს და ასკილს, ყაყაჩოს — გულისა და თავის ტკივილის სამკურნალოდ, ია-იას — ქარებისა და თირკმელისათვის, მაყვალს — სახსრებისათვის, ყოჩივარდას, შროშანს, წენგოს, ყვითელ ყვავილებს — ღვიძლის სამკურნალოდ.

ვახუშტი ბატონიშვილი ხშირად კაპუცინებსაც მოიყვანდა მარიამის სამკურნალო ოთახში. ისინი უურადღებით სწავლობდნენ მარიამის წამლებს და თავის ცოდნასაც უზიარებდნენ.

მკურნალობის საქმეში მთავარი დამხმარე მარიამისა, ვახუშტი ბატონიშვილის გამზრდელი ესმა იყო. ესმას ნამდვილი გულით უყვარდა იმერეთიდან მოყვანილი თავისი გაზრდილის მეუღლე. ვახუშტის აღარ ეცალა გადიასათვის, გადიამაც მთელი თავისი მზრუნველობა და სიყვარული მარიამზე გადაიტანა, განუყრელად თან ახლდა მუდამ ყამს.

წვიმიანი დღე იყო, მარიამმა ის დღე აბრეშუმის სახლში გაატარა, ეშინოდა ჭექა-ქუხილი არ დაწყებულიყო და ცახზე გასული აბრეშუმის ჭია არ დაეზიანებია. დაირისა და სალამურის დამკვრელი ქალებით და მეჩონგურეებით სავსე იყო აბრეშუმის სახლი.

დაღამდა, მარიამმა არ ისურვა აბრეშუმის ჭიის დატოვება, რამდენიმე ხელმარჯვე გოგონა დაიტოვა. ცის ტატნობზე, როგორც კი ელვა გაიკიაფებდა, ცის გრგვინვას საკრავების ხმა და გოგონების სიმღერა ფარავდა.

თამარმა რომ გაიგო, მარიამი ამაღამ აბრეშუმის სახლში რჩებაო, დედას ნებართვა გამოსთხოვა: მარიამთან წავალო! მერე ვახუშტისთან შევიდა და ჰკითხა:

— ვახუშტი, ძმაო, მარიამი ამაღამ აბრეშუმის სახლში რჩებაო, მითხრეს!

— რატომ?

— ჭექა-ქუხილის ეშინიაო ცახზე გასულ ჭიას!

— ჰო! — ფანჯრისაკენ მოიხედა ვახუშტიმ, თითქოს ახლა დაინახა, რომ წვიმდა. გაიღიმა, — თავის საქმის ერთგული და მოყვარული მარიამი, სანამ ჭექა-ქუხილი არ დამთავრდება, ჭიას არ მიატოვებს.

— ბედნიერი კაცი ხარ, ღირსეული მეუღლე შეგხვდა, ძმაო ჩემო!

— მარიამის სიბეჯითემ და საქმის სიყვარულმა მრავალი მიმდევარი გაიჩინა, ჩემო დაო, მომრავლდნენ მეაბრეშუმე ქალები, სამკურნალო მცენარეების შეგროვებასაც მრავლად გაუჩნდა მოყვარული.

— წავიდეთ, ძმაო, აბრეშუმის სახლში, მარიამთან დავრჩეთ ამაღამ!

ვახუშტი ბატონიშვილი და თამარი აბრეშუმის სახლისაკენ წავიდნენ.

— ყიზილბაშები კარგახანია გაყუჩებულნი არიან, მეშინია, მუდამ ავის მომასწავებელია მათი გაყუჩება.

— არც მე მომწონს, დაო ჩემო, მათი ამდენი სიჩუმე.

მარიამი გაახარა საყვარელი მეუღლისა და მულის მოსვლამ. იცოდა, თამარმა მიატოვებინა ვახუშტის თავისი წიგნები. მადლიერების და სიყვარულის გრძნობით გადახედა მულს. თვითონვე შერცხვა თავისი ფიქრის — სადა სცალია ვახუშტის მარიამს მია-

კითხოს ყოველ წამს. აფუსფუსდა, ქმარსა და მულს მორიდებით უთხრა:

— ნახავთ ჩემს აბრეშუმის ჭიას?!

— უსათუოდ! — გაუცინა მეუღლეს ვახუშტიმ.

რამდენიმე სართულად იყო აბრეშუმის ჭია მოწნულ ჩელტებზე განლაგებული. ყოველი ჩელტის გარშემო და შუაში გვიმრის ღერები ჩაერჭოთ. ჭია ფრთხილად გადიოდა ცახზე. ფარდულის ცალ კუთხეში ტაშფანდურა ვაეჩაღებინა გოგოებს. ჩელტის საბიჯგები თაგვისარათი იყო საგანგებოდ შეფუთული, ეშინოდა მარიამს, თაგვი არ მიპაროდა აბრეშუმის ჭიას.

— აქა მშვიდობა, ჯვარი ეწეროს შენს ნახელავს, ჩემო მარიამ!

მარიამს თვალები გაუბრწყინდა ქმრის სიტყვებზე.

— ბარაქა ტრიალებს შენს ნახელავში, ჩემო რძალო, ვინძლო ასეთი ბარაქიანი გქონდეს ყოველი საქმე.

დიდხანს არ გაჩერებულა ვახუშტი აბრეშუმის სახლში. მარტოდ დარჩენილი თამარი და მარიამი წამლების პატარა ოთახში შევიდნენ.

გარეთ მომძლავრდა ჭექა-ქუხილი, გოგონებმაც გაახურეს ტაშ-ფანდურა. უეცრად ცის ტატნობი მთლიანად გაანათა ელვამ და ჭექა-ქუხილმა საშინელი ხმაურით ვადაუარა გორებს, სადღაც სოლოლაკის ხევში მეხი დაეცა. ქალები შეკრთნენ.

— ვაიმე, ნუთუ ვერ მიასწრებდა სასახლეში ვახუშტი!

— დაწყნარდი, მარიამ, ვახუშტის ასეთი ჭექა-ქუხილი ვერას დააკლებს.

დიდხანს ისხდნენ რძალ-მული და ჭექა-ქუხილს ყურს უგდებდნენ. მარიამი ხშირად თვალს გააპარებდა სარკმლისაკენ, აქედან ჩანდა ვახუშტის ოთახის განათებული სარკმელი, იცოდა მარიამმა, მარტო დარჩენილი ქმარი დილამდე იმუშავებდა, ენანებოდა მოსვენებადაკარგული ვახუშტი.

შუაღამე გადავიდა. ბუნება გაყუჩდა. გოგონებმა ტაშ-ფანდურაც შეანელეს. რძალ-მულს კი სასაუბრო არ ელეოდა.

— ვაიმე! — უეცრად წამოიძახა მარიამმა და წამოდგა.

— რა იყო, მარიამ?! — შეკრთა თამარი.

— სასახლის ყველა ფანჯარა განათდა, თამარ!

— ნუტავ რა მოხდა? — გაიოცა თამარმა და სარკმელთან მივიდა.

— რაღაც მოულოდნელი ამბავია!

— რა უნდა იყოს?! — სარკმელი გააღეს ქალებმა, ყური მიუგდეს; უეცრად ისევ საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, გარემო მთლიანად ჩამობნელდა, თქეში წვიმისაგან ყურთასმენა აღარ იყო, შემკრთალი ქალები სარკმელს არ სცილდებოდნენ.

— თითქოს იკივლა ვიღაცამ! — ძლივს წაიჩურჩულა მარიამმა, შეშინებული თამარს შეაჩერდა.

— უნდა წავიდე! — მტკიცედ თქვა თამარმა, მოსასხამს წაეტანა.

— მეც წამოვალ! — მარიამი გოგონებთან შევიდა, სიტყვა დაუგდო — არ მიატოვოთ აბრეშუმის ჭიაო და ჩქარი ნაბიჯით შიმავალ მულს გამოუდგა.

სასახლიდან მონადენმა აურზაურმა ქალებს ამცნო, რომ კარგი ამბავი არ იყო. რა უნდა ყოფილიყო? მტრის თავდასხმას არ ჰგავდა.

დიდი გიორგი XI და პაპა ლევანის გლოვა და ზარი მოთავებული არ ჰქონდათ, რომ მოულოდნელმა თავზარდამცემმა ამბავმა — ქაიხოსროს დაღუპვისამ მთლიანად შესძრა საქართველოს სასახლის კარი.

გიორგი XI შემდეგ ქართლისა და ირანის სპასალარობა ქაიხოსროს უბოძეს, მაგრამ როგორც გიორგი XI, არც ქაიხოსრო გამოუშვეს თავის ქვეყანაში. ქაიხოსრო იძულებული იყო მთავარსარდლად დარჩენილიყო სხვათა კარზე, მისი ბიძის, გიორგი მეთერთმეტის გვარად იბრძოდა სეფევიდების დინასტიის დაცემისა და განადგურებისათვის.

აჯანყებულ ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ყიზილბაშებმა უღალატეს ქაიხოსროს, ღამით ჩუმად აიყარნენ და ბრძოლის ველი დატოვეს. მტრის წინაშე მარტო დარჩენილი ქაიხოსრო მცირედი ლაშქრით, რომელსაც მუსრს ავლებდა საშინელი სენი მუცელა, შეება რიცხვმრავალ მტერს, ლომივით იბრძოდა ქაიხოსრო ქართველებთან ერთად, მაგრამ რიცხვმრავალ მტერს და ავ სენს ველარ გაუძლო, მტრის მიერ აკუწული დაეცა ბრძოლის ველზე.

უამრავი დარდი ჩამოჰყვა თბილისს ვახუშტი ბატონიშვილს, ქვეყნის აწეწილი საქმეები, ტყვედყოფილი მამის დარდი, სულხან-საბას გამგზავრება.

სასახლე უცხოდ მოეჩვენა ბატონიშვილს. სასახლის ტალანებში ისეთი ხალხი დადიოდა, ვახუშტიმ მაშინვე აუღო ალღო, აქ უკვე მტრის ხელი ტრიალებდა და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

გვიან იყო, დომენტი რომ შემოვიდა ვახუშტის ოთახში. ძალზე აწუხებდა სასახლის კარის ეგოდენ გაუკუღმართება.

— ვახუშტი, შვილო, სიონის ტაძარში დავნიშნე ვახტანგისა და და ჩვენ ერთგულ სამღვდელო პირთა და დიდებულთა საიდუმლო თათბირი. ზიარების კვირაა და თავშეყრა საჩოთირო არ იქნება, არც მტრის თვალისათვის მისაზიდავი. მამაშენს უნდა შეეკრიბოს მთელი ჩვენი ერთგულნი, რჯულის შეცვლაზე დაეთანხმოს შაჰს, სჯულის შეცვლა იმდენ ზიანს ვერ მოუტანს ჩვენს ქვეყანას, როგორც ვახტანგის ტყვედ ყოფნა.

— სჯულშეცვლილ მამას ვაითუ აღარ ენდოს ხალხი.

— ვახტანგის სიყვარული ისეა ფესვგადგმული ჩვენში, სჯულის გამოცვლა ვერ დაუკარგავს ნდობას. მერე ხალხმა იცის, რომ ეს უკიდურესი საშუალებაა სამშობლოში დასაბრუნებლად.

— სულითა და გულით თანახმა ვარ თქვენი ჭკვიანური მოსაზრებისა.

— შენც უნდა დაესწრო ამ თათბირს, შვილო ჩემო, ბაქარიც მინდა იყოს. მერე ვრცელი წერილი გაუგზავნე მამაშენს.

თათბირისათვის საიდუმლოდ ჩამოსულ ბაქარს ელენეც ჩამოჰყვა. ვახუშტი შეაფიქრიანა ელენეს ჩამოსვლამ, ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, მტერი იყო ელენე თუ მოყვარე.

ვახუშტი უკვე დაწოლილი იყო, როცა ვარდენი მოვიდა და მოახსენა:

— ბატონიშვილო, გადიამ შემოგითვალათ, შეუძლოდა ვარ და ჩემ სამყოფელში ცოტახანს მობრძანდიო.

ვახუშტი მაშინვე მიხვდა, რომ გადიასთან დაბარება სხვა რამის მომასწავებელი იყო. საიდუმლოდ ჩამოსული ელენე გადიასთან ესმასთან იფარავდა თავს, აუხდა წინაგრძნობა, გადიას ოთახში ელენე დახვდა. ვახუშტიმ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო —

ნდობოდა თუ არა ელენეს. ელენეც ხვდებოდა, რომ ვახუშტი ეგრერიგად არ ენდობოდა და პირდაპირ დაიწყო:

— ვახუშტი, მართალია მე გიორგი ერისთავის ასული ვარ, რომელიც სამეფო კარის მტერია, მაგრამ მე ამასთანავე რძალი ვარ შენი და ვახტანგისა და მომავალი დედოფალი. აიღე ეს წერილი, დაუკვირდი, გადაწყვიტე, მე და შენ უნდა ვენდოთ ერთმანეთს თუ არა, ბაქარი მეტისმეტად ფიცხია. სიფიცხე კი ხშირად საქმეს წაახდენს, — სიტყვა დაუგდო ელენემ და ბაღში ისე გავიდა, თითქოს უბრალოდ გაესაუბრა მაზლს.

ვახუშტი წერილის შინაარსმა აღაშფოთა. ყოველდღე ხედავდა, მტერი რომ ძლიერდებოდა. მაგრამ თუ ასე იყო გათავხედებული, ამას არ ფიქრობდა. ბაქარი მეტისმეტად ფიცხიაო, — უთხრა ელენემ. მაშ, ელენე ბაქარს ყველა საიდუმლოს არ ანდობს. მე რად მანდობს? იქნებ მცდის: იქნებ ჩემი ნდობით მტერთან კავშირს ფარავს?

ჩაიკითხა წერილი. ხედავ, სადამდე მიდის მაგათი თავხედობა? გამაჰმადიანებულ იასეს ითხოვენ მეფედ. ღმერთო ჩემო, შინაურ მტერზე საშიში თუ რამ არის ქვეყანაზე!

ელენეს როგორ ჩაუვარდა ეს წერილი ხელთ? მამამისმა აჩვენა? აჩვენებდა, როგორც მომხრეს და მოკავშირეს. მაშ, ვახუშტის რაღად მოუტანა? ვის მხარეზეა ელენე, მამის თუ ქვეყნის? — ეს კითხვა არ ასვენებდა ვახუშტის და ახლა მეტად გრძნობდა საიდუმლო ბჟობის საჭიროებას.

გიორგი ერისთავმა სასახლის აივნიდან დაინახა, თავისი ქალი მარტო იჯდა ფანჩატურში. კარგია, უნდა მოველაპარაკოო, გაიფიქრა. „ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს — მტერია თუ მოყვარე“.

ელენე შეკრთა მამის მოახლოებაზე: — „დადგა გადამჭრელი წუთი“, — ვაუელვა და მამას გაუღიმა. გიორგიმ შუბლზე აკოცა შვილს.

— როგორა ხარ, შვილო ჩემო?!

— გმადლობ, მამავ ბატონო, კარგად გახლავართ შენი და ღვთის წყალობით!

რაღაც დამცინავი იგრძნო გიორგი ერისთავმა ქალის პასუხში, ეჭვიანად შეხედა:

— უგუნებოდ ხომ არა ხარ?!

— უგუნებოდ რად უნდა ვიყო?!

— სასახლეში რაღაც მითქმა-მოთქმაა, შენ, როგორც ერთგულ მეუღლეს?..

— შენ ხომ არეულობისა და მითქმა-მოთქმის ტრფიალი ხარ, მამავ! მღვრიე წყალში თევზი ადვილი დასაჭერია.

— თევზის ჭერას ჭკუა და აზრი უნდა, შვილო!

— მეც ეგრე ვფიქრობ!

—არეულ ქვეყანას პატრონობა უნდა!

— განა შენ მოგანდეს ქვეყნის პატრონობა?

— ასეთ დროს ქვეყანას პატრონი თუ არ გაუჩნდა, ძნელია!

— შენ გინდა ქვეყნის პატრონი გახდე? როდის შემდეგ დაიწყე ქვეყანაზე ფიქრი. ქვეყნის არეულობას როგორი სურვილები შეუძლია წარმოშვას, რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია გარეწართათვის!

— მოვედი, რათა ჩემი გეგმები გავაცნო საქართველოს დედოფალს.

ელენე წუთით შეკრთა, გაუელვა: „იქნებ ჩვენი ქვეყნისათვის საკეთილოდ წარიმართა მამაჩემის ფიქრები".

— მამა, შენი ქალი დედოფალია, ვახტანგი — შენი პატივისმცემელი, გამორჩეული ხარ დიდებულთ შორის. მომეცი ხელი, ერთად ვიზრუნოთ ქვეყნის კეთილდღეობისათვის, — ელენემ ხელი გაუწოდა მამას.

ვორგიმ ხელი შეაგება შვილს:

— ცდები, შვილო! ჩვენ ქვეყნის პატრონად ვახტანგი არ გამოგვადგება. რუსთ სიახლოვე ჩემს ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. მე სულ სხვა გეგმები მაქვს.

ელენემ წარბები შეიკრა:

— არა მგონია, შენი გეგმები ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო იყოს! გამაჰმადიანების მოსურნე არ არის ჩვენი ხალხი!

— მაშ ვახტანგივით გადამთიელ რუსთა მომხრეა?

— დიდი მოკავშირე ჭირდება ჩვენს ქვეყანას!

— შენ როდისღა დაიწყე ქვეყანაზე ფიქრი? — დამცინავად გადახედა ქალს გიორგიმ.

— საქართველოს დედოფალი ვარ, ჩემი ვალია, ქვეყანაზე ვიზრუნო.

— მომენდე, თუ გინდა ნამდვილი დედოფალი იყო! შენი ქმარიც მოიმხრე, რუსეთისაკენ ხელის პოტინს თავი ანებოს.

— მე მხოლოდ ქრისტიანი საქართველოს დედოფალი მინდა ვიყო!

— შვილი ხარ ჩემი, მინდა გაგაფრთხილო, გიჯობს, ჩემ ნებასურვილს დაემორჩილო, ჩვენი გეგმები უაზრო არ არის. გადამთიელი რუსნი ჩვენ სიკეთეს არ მოგვიტანენ, ქმარიც დაარწმუნე ამაში და მაშინ იქნები ნამდვილი დედოფალი.

— მე შენი სურვილით გავყევი ბაქარს!

— ეს მარტო სურვილი არ იყო, ეს იყო პოლიტიკა მეფის კართან სიახლოვისა.

— ეს იყო შენი დაუოკებელი თავმოყვარეობა და ზვიადობა. შენი სურვილი იყო, გამორჩეული ყოფილიყავი. ეს ასეც არის, მამა ხარ საქართველოს დედოფლისა.

— ეგ მავალებს, ქვეყნისათვის ვიზრუნო!

— რას ითხოვ ჩემგან, მშობელო ჩემო!

— მხარდაჭერას და ჩემს თანადგომას!

— თუ შენი აზრები ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის, ჩემი მეუღლის და ჩემი ოჯახის წინააღმდეგი იქნება, არასოდეს არ ვიქნები შენი მომხრე, მამა! — ამაყად თავი ზე ასწია ელენემ.

გააოცა ქალის წინააღმდეგობამ გიორგი ერისთავი:

— მეგონა შენს ძარღვებში ჩემი კეთილშობილი სისხლი ჩქეფდა.

— დედამ მასწავლა ოჯახისა და ქმრის სიყვარული.

— შენ ქმარი გიყვარს?.. — დამცინავად გადახედა შვილს გიორგი ერისთავმა.

— ცდები, მამა, მე ის არ მიყვარდა. სიყვარული მომტაცე და მას მიმაკუთვნე. დღეს ის ქმარია ჩემი და მე ის მიყვარს, სიკვდილის კარამდე ერთგული და მორჩილი ვიქნები ჩემი პატრონისა. არავის არ მივცემ უფლებას, ჩემი გრძნობები კვლავ სათამაშოდ გაიხადოს. მე გახლავარ საქართველოს მომავალი დედოფალი და მუდამ დავრჩები ერთგული ჩემი მეფისა, ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნისა.

— გავიწყდება, რომ ჩემი შვილი ხარ და მე მამა ვარ შენი.

— არ მავიწყდება, რომ მამა ხარ ჩემი, მაგრამ იმ დღიდან, რა დღესაც სხვას მიმაკუთვნე ანგარებით, იმას ვეკუთვნი და სიკვდილამდე იმის ერთგული დავრჩები, როგორც დედოფალი ქრისტიანი სა-

ქართველოსი, და მოვითხოვ, რომ შენც ჩემი და ჩემი ოჯახის ერთგული იყო, თორემ არ დაგინდობ!

ქალიშვილის ლაპარაკმა სახტად დასტოვა გიორგი ერისთავი. ერთგულ მოკავშირეს ელოდა, ამას კი რას ხედავს?

— ხომ არ დაგავიწყდა, რას ნიშნავს ჩემი შურისძიება, ამისი მოწმე ხშირად ყოფილხარ ჩემს ციხე-დარბაზში.

— მაგ საქმეში ღირსეული ქალი ვარ შენი. მე უფრო მკაცრად ვიძიებ შურს. არავის დავინდობ, ვინც ჩემს დედოფლობას და ჩემს ოჯახს წინ გადაუდგება.

გიორგი ერისთავს სახეზე ცეცხლი წაეკიდა, როგორ უნდოდა, თმებში სწვდომოდა ამ გაავებულ დედაკაცს, მაგრამ არ იყო ამის დრო. ბაღში მოსეირნეთათვის ისინი ტკბილად მოუბარი მამა-შვილი იყვნენ.

— ბრალი ჩემი, რომ საშუალება არა მაქვს, ისე მოგექცე, როგორც ურჩ შვილს ეკადრება.

— ბრალი ჩემიც, რომ საშუალება არა მაქვს, ისე მოგექცე, როგორც მეფის ტახტის მოღალატეს ეკუთვნის.

— ამიერიდან ჩვენ მტერნი ვართ ერთმანეთის, შვილო ჩემო!

— ყური მათხოვე საქართველოს დედოფალს და კარგად დაიხსომე: სასახლეს დაუყოვნებლივ დასტოვებ, თორემ, როგორც ტახტის და ქვეყნის მოღალატეს თვალებს დავათხრევინებ შენთვის.

გიორგი ერისთავმა თვალი შეავლო თავისი ქალის გამკაცრებულ სახეს, მიხვდა, ელენე ღირსეული შვილი იყო მისი და არაფრის წინ უკან არ დაიხევდა.

— ნება მომეცი სხვათა დასანახავად, როგორც საყვარელ შვილს, ისე გამოგეთხოვო! — გიორგი ერისთავი შვილს შუბლზე ეამბორა.

— იცოდე, სასახლეში უპირველესი მტერი მე ვარ შენი!

წელმოწყვეტილი გავიდა სასახლის ბაღიდან გიორგი ერისთავი. აი, თურმე რატომ ცდილობდა ელენე მარტო არსად შეყროდა მამას. საღამოზე სასახლეში ხმა დაირხა: — გიორგი ერისთავს თავის ტკივილები აწუხებს და თავის ციხე-დარბაზში მიდის, სისხლი უნდა გაიღოსო. ამაოდ ურჩევდა ბაქარი: — ჩვენი ექიმი შესანიშნავად იღებს სისხლსო. — ბაქარის თხოვნამ ფრიად დააეჭვა გიორგი ერისთავი. „ნუთუ ბაქარმა არაფერი იცის? — მაშ ვისთან ერთად მოქმედებს ელენე?“ ამის გარკვევა გაუჭნელდა ერისთავს. დაიჟინა, — შინ უნდა წავიდეო, აღარ გადათქვა. აღარც ვინმე ახირებია, ყვე-

ლამ იცოდა მისი ჯიუტი ხასიათი. გამომშვიდობებისას ელენემ დრო იხელთა და ჩასჩურჩულა:

— ადგილის მეძებარს ადგილის მწევარი დაიჭერსო, გახსოვდეს, მე შენი მტერი ვარ და შენი ოინები არ გამომეპარება.

საიდუმლო ბჭობამ ერთხმად მოითხოვა: — ვახტანგმა სჯული გამოიცვალოს და თავის ქვეყანას დაუბრუნდესო.

ვახუშტიმ დადასტურებით გაიგო, რომ ის წერილი, რომელიც ელენემ მისცა, ნამდვილად გაუგზავნიათ შაჰთან, მამის უკმაყოფილო ყველა ერისთავი აწერდა ხელს. გიორგი ერისთავს არც დამოყვრებამ უშველა. სიმონის ქორწინებაც ვახტანგის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ბჭობიდან დაბრუნებულ ვახუშტის გადია ესმა დახვდა ოთახში.

— დედოფალმა ელენემ შემოგითვალათ — გიორგი ერისთავი სასახლიდან განიდევნაო!

— როგორ განიდევნა?! — გაიკვირვა ვახუშტიმ.

— არ ვიცი, ბატონიშვილო, — თავის ტკივილები მაწუხებსო და სასწრაფოდ აიბარგა, თავის ციხე-დარბაზში წავიდა.

გაეცინა ვახუშტის და მთელი ღამე სწერდა მამისთვის გასაგზავნ წერილს. დაწვრილებით მისწერა ქართლის შინაური და გარეშე ამბები. სვიმონის ქაიხოსრო ერისთავთან დამოყვრება, სულხან-საბას ევროპაში გამგზავრება. მის ერთგულ პირთა საიდუმლო ბჭობა, თხოვნა: სჯულის შეცვლისა. სტამბის შეუფერხებელი მუშაობა. ელენეს მიერ გიორგი ერისთავის სასახლიდან განდევნა. იცოდა ვახუშტიმ, როგორ აინტერესებდა მამას აქაური ყოველი წვრილმანი.

— მანდაური ამბები მაცოცხლებსო სამკვიდრო წართმეულს, დაუსრულებლად ვკითხულობ ყოველ სიტყვას, თქვენი გამოგზავნილი წერილისასო. იმასაც სწერდა მამა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სულხან-საბას ევროპაში გამგზავრებას. თუმცა ვახუშტის იმედები არცთუ იმდენად ფრთაშესხმული იყო. ვახუშტის სჯეროდა, ფრანგთა მეფე არასოდეს დაუპირისპირდებოდა ოსმალთა და სპარსთა სამეფოებს ისეთი პატარა სახელმწიფოს გულისათვის, როგორიც ჩვენია. ვახუშტიმ ეს მოსაზრება კათალიკოს დომენტის და სულხან-საბასაც გაუზიარა. თუმცა სულხან-საბამ თავისი დებულებები წამოუყენა, ვახუშტიმ მაინც ვერ ირწმუნა ამ საქმის კეთილი შედეგი. რას დაგი-

დევს ფრანგთა მეფე, საქართველომ თუგინდ დედაბუდიანად მიიღოს კათოლიკობა.

ახლობლებიც შემოეცალა ვახუშტის. მას შემდეგ, რაც სვიმონი გამეფდა, ლაშელი აბაშიძეები ლაშეში შეიკეტნენ და სასახლისაკენ პირს აღარ შვებოდნენ. სასახლის ხუროთმოძღვარი ვახუშტი აბაშიძეც ახლად მოლოგინებულ მეუღლეს აღარ სცილდებოდა. თამარი კახეთს იყო, ცდილობდა, კახეთის ამბები მოეგვარებინა. ბოლოს გადაწყვიტა, პაპუნა გაეგზავნა მამასთან წერილით, ენანებოდა მოხუცი შორი გზისათვის, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, და გულს იმით იკეთებდა, თუ სულხან-საბა ამ სიშორეს წავიდა, პაპუნას რა უჭირს, მასზე ახალგაზრდაა. ბაქარსა და ელენეს გააცნო თავისი გეგმა, ამით ელენეს გამოცდაც უნდოდა:

პაპუნა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს:

— ენახავ ჩემ ნაამაგარ მეფეს, აქაურ ამბებსაც წვრილად ვუამბობ. ეურჩევ კიდევაც — ოღონდაც თავის ქვეყანაში დაბრუნდეს და თუგინდ ეშმაკის სჯული მიიღოს, ღმერთი სულგრძელია და არ მოინდომებს ჩვენი ქვეყნის წახდენას, ყოველ გზას აპატიებს ქვეყნის საკეთილდღეოდო.

ამის შემდეგ პაპუნას აღარ დაუყოვნებია და საჩქაროდ გაემგზავრა ყიზილბაშთა ქვეყანაში.

დ ო მ ე ნ ტ ი

დომენტიმ რომ გაიგო, სვიმონს გიორგი და დათუნა ერისთავების ზეგავლენით შაჰისათვის წერილი გაუგზავნია და ვახტანგი დაუბეზღებიაო, ცეცხლი წაიკიდა. დილაადრიან მიეჭრა ძმას.

მესაწოლეთუხუცესი არ უშვებდა დომენტის სვიმონთან, მაგრამ ისე გაცხარებული იყო კათალიკოსი, ვეღარა გაუბედა რა და დომენტი სვიმონთან შეეარდა. სვიმონი ფანჯარასთან იდგა, ახალუხის ღილ-კილოებს იბნევდა. მისი მეუღლე დაბალ სკამზე იჯდა და სვიმონს ელაპარაკებოდა.

— როგორ გაბედე ქვეყნისა და შენი ხალხის ღალატი! — შესძახა დომენტიმ.

სვიმონი არ მოელოდა დომენტის ასეთ მხილებას. ახლად ნათხოვი მეუღლეც იქვე იყო და საშინლად გაარისხა ძმის ასეთმა უკითხაობამ.

— არასოდეს მიფიქრია ჩემი ხალხისა და ქვეყნის ღალატი!

— ერისთავებს იმისათვის დაუმოყვრდი, ქვეყნის ღალატში დაგხმარებოდნენ?

— ვინ მოგცა უფლება ასე მომმართო!

— სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გელაპარაკები და ამის უფლება მაქვს. როგორ გაბედე და ხელი მოაწერე წერილს შენივე ძმის — ვახტანგის შეჩვენებისას? შენ ხომ იცი, რომ ტახტი ვახტანგის არის, ეს იყო სურვილი განსვენებული დიდი გიორგი XI და მამაჩვენისა.

— იმათ სურვილს დღეს მნიშვნელობა აღარა აქვს.

—მეგონა მოინანიებდი უღირს საქციელს, შენ კი არ უარყოფ შენს უმსგავსობას შემიჩვენებიხარ, დამიწყევლიხარ! არასოდეს გღირსებოდეს საქმეში გამარჯვება, ცხოვრების გზა მეღამ არეული და ჩაბნელებული გქონოდეს უნაყოფოდ და უძეოდ აღმოფხვრილიყო ამ ქვეყნიდან. შენი ქვეყნის, შენი ხალხის და შენი ოჯახის მოღალატევ!

დომენტი გარეთ გამოვარდა. სვიმონის გაცხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა, შით უმეტეს, როცა დაინახა, რომ მისი მეუღლე ანა ცხარე ცრემლით ქვითინებდა.

— რა იყო, ჩემო კარგო რა დაგემართა?!

— როგორ გაგიბედა ეს რას ჰგავს! — სლუკუნებდა ანა.

— ნუ იდარდებ, ჩემო კარგო, ვანანებ მაგ სიტყვებს.

— არა, უნდა პატიმარ ყო., თვალები დასთხარო ეგეთი თავხედობისათვის, შენ მეფე ხარ ქართლისა, როგორ გაგიბედა! — ცხარე ცრემლს ღვრიდა ანა მეუღლის მკერდზე.

შუაღამე გადასული იყო, დომენტი კათალიკოსს არ ეძინა, თავის ოთახში ბოლთას სცემდა და თავის ქვეყნის არეულ საქმეებზე ფიქრობდა. ვახუშტი საბარათიანოში იყო წასული. ვისთვის უნდა გაენდო თავისი გულის დარდი? კარებზე ვიღაცამ უდიერად დააბრახუნა, დომენტის მსახური შემოვარდა.

— ბატონო, თავს უშველეთ, თქვენს ასაკლებად მოვიდნენ!

— დომენტი დინჯად შემობრუნდა კარისკენ. კარებში დათუნა ერისთავი იდგა თავისი კაცებით.

— ქართლის მბრძანებლის, სვიმონის განკარგულებით თქვენ ტყვედქმნილი ხართ!

— ქვეყნის მტერნი აპატიმრებენ ქვეყნის ერთგულთ? რას უნდა მოველოდე უკეთესს, როცა სვიმონი ქვეყნის გამგებელია.

— მოიხსენით კათალიკოს-პატრიარქის მანტია! — დაუყვირა დათუნამ.

— მანტიის მოხსნა მას შეუძლია, ვინც მიბოძა. დათუნა ერისთავო, შენ არა გაქვს ამის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, მტერიც რომ ვიყო!

— ვინც ქვეყნის მმართველს ეწინააღმდეგება, ის მტერია! — გაწიწმატდა დათუნა ერისთავი.

— ჩემი ტყვედ ყოფნა გიბრძანეს და ის შეასრულე, ზედმეტ უფლებებს ნუ აიღებ შენს თავზე.

დილით ადრიანად დაბრუნდა სასახლეში ვახუშტი ბატონიშვილი. ცხენიდან ჩამოსული არ იყო, რომ გამდელმა ესმამ უსიამოვნო ამბავი აუწყა:

— წუხელ დომენტი კათალიკოსი შეიპყრეს და გორს გაუგზავნეს ბაქარს თვალთ დასათხრელადო!

ამ ამბავმა შეაძრწუნა ვახუშტი, ცხენიდან არ ჩამოსულა, ვარდენს მიაძახა:

— ჩქარა, ვარდენ, გორს უნდა წავიდეთ!

ვარდენს არ უკითხავს რაში იყო საქმე, ისე გამოუდგა ვახუშტის დაოთხილ ბედაურს.

გორს მისულმა ვახუშტიმ დაღლილი ცხენი კიდევ უფრო მეტად ააჩქარა. სასახლის ეზოში იმდენ შინამოსამსახურეს მოეყარა თავი, ვახუშტი შესვლისთანავე მიხვდა, აქ რაღაც დიდი ამბავი ტრიალებდა. არაფერი უკითხავს, პირდაპირ კიბეზე მიაგდო ცხენი და დარბაზში შევარდა.

დარბაზის შესასვლელში იასე ჩაჩიკაშვილი შეეფეთა, თვალებში შეხედა ვახუშტის და ამით აგრძნობინა, რა დიდი უბედურება დასტყდომოდა თავს მისთვის საყვარელ ადამიანს, დომენტის.

დარბაზის შუაში დომენტი იდგა, თავი ამაყად ზე აეღო და ეტყობოდა, ღმერთს რაღაცას სთხოვდა. თმებჩამოშლილი რუსუდანი წინ აფარებოდა და საშინელი ხმით მოსთქვამდა. დარბაზის მეორე მხარეს გაფითრებული ბაქარი იდგა და გვერდით სახეგამეხებული მეუღლე ედგა. დათუნა ერისთავი დაცინვით ათვალიერებდა აფორიაქებულ დარბაზს.

— ხედავთ, სანამდე მივიდნენ ჩვენი მტრები? ეს დომენტის

თვალის დათხრა არ არს, ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამეფო კარის თვალის დათხრაა. გაიხსენე, შვილო, შენი დიდი პაპა გიორგი XI, ლევანი, მამაშენი ვახტანგი და მათ უნებურ საქმეს ნუ იზამ. დომენტის, ჩვენს კეთილისმსურველს, ჩვენს მოამაგეს, თვალნი უნდა დათხარონ, ხედავ, რაოდენ გათაუხედდა მტერი, შენივე ხელით უნდა გაგაკეთებინონ შენივე სამტრო საქმე. გეეედრები, შვილო, არ აჩქარდე, ღმერთსა და ქვეყანას სთხოვე, ჩაგაგონოს სამართლიანობა, მაშაშენს „სჯულმდებელს“ ეძახიან და შენი ხელით როგორ უნდა გაგაკეთებინონ ურჯულო საქმე.

— დედოფალყოფილო რუსუდან, პატრონმა ჩვენმა და ქართლისამან წარმოგვგზავნა ჩვენ, რათა დაუყოვნებლივ აღსრულდეს სურვილი მისი. ურჩთ სათანადოდ გაუსწორდება, — ესა თქვა და განზე ამაყად გადგა დათუნა ერისთავი. უეცრად დარბაზში მკაცრი და შეუვალი ხმა გაისმა:

— დათუნა ერისთავო, საქართველოს მეფის კარის დაუძინებელო მტერო! — ყველა იქით მიბრუნდა, — ელენე წინ წამოსულიყო და მკაცრად განაგრძობდა: — ქვეყნის მტერი და ორგული იყავი მუდამ, რად გამოგზავნეს ამ ოჯახში, მტრად თუ მოყვარედ?

ვახუშტი დათუნა ერისთავს მიეარდა და დინჯად უთხრა:

— წაბრძანდით, პატრონს თქვენსას მოახსენეთ, რომ მისი ბრძანება შესრულებული იქნება, თქვენი დასწრება საჭირო არ გახლავთ. ეს სანახაობა არ არის.

დათუნა ერისთავი პირმოკუმული იდგა, ყველაფერს მოელოდა, გიორგი ერისთავის ქალისაგან, ასე საჯაროდ გამოსვლას კი არა. რა იცის ერისთავის ქალმა მათი საქმიანობის შესახებ. მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობდა, ჩქარა გასცლოდა აქაურობას, სანამ ერისთავის ქალი უარესს არ იტყოდა. დათუნა გავიდა, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მყუდროება ისევ დომენტიმ დაარღვია:

— შვილნო და ნათესავნო ჩემნო, ბედნიერი ვარ, თქვენს ამდენ ერთგულებას და სიყვარულს რომ ვხედავ. ესეც მეყოფა ჯილდოდ. ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებთ, ბრმაცა და თვალხილულიც თქვენთან დავრჩები მუდამ.

ბაქარი მიეახლა დომენტის:

— ყველას გეპატიე, ძია დომენტი, ერთგულო და საყვარელო ჩვენო!

თბილისის ზარები

ბუმ, ბუმ, ბუმ!! — გუგუნებს სიონის დედაზარი.

დინ, დინ, დინ!! — გადმოსძახის მთაწმინდა, ქაშვეთი.

გუგუნებენ, გრიალებენ, წკრიალებენ თბილისის ზარები. ზარების ხმა ყველაფერს ფარავს. ერთმანეთს ხმას უწყობენ, ერთად გუგუნებენ, წკრიალებენ — სიონის, დიდუბის, ქაშვეთის, სთაწმინდის და ანჩისხატის ზარები. ხანგამოშვებით ზედაზნის, ჯვარის ზარების ყრუ მოძახილიც მოაქვს ნიავს.

გრიალებენ, გუგუნებენ, წკრიალებენ საქართველოს ზარები.

ზარების ასეთი გუგუნი ჯერ არ სმენია თბილისს.

რა უხარია თბილისის ზარებს?

მთელი ღამე იგრიალეს, იგუგუნეს და იწკრიალეს თბილისის ზარებმა.

მთელი ღამე არ უძინია თბილისს.

სახლების წინ, ჭიშკრებთან, აივნებზე, ეზოებში, ნაყარ ქვებზე, ყველგან ადამიანთა ლანდები ჩანს.

— მეფე მოდის, მეფე!

— მეფე ბრუნდება, ჩვენი მეფე!

— ჩვენი ჭირ-ვარამის მოჭირნახულე!

— ქრისტეს სჯული უარუყვია!

— მერე რა, ჩვენ მეფეს სჯულის შეცვლა რას დააკლებს!

— ჩვენი ვახტანგი, სჯულმდებელი!

— დიდი გიორგის გაწვრთნილია, ლევან ბატონიშვილის ვაჟიშვილი, სულხან-საბას გაზრდილი, თავის ხალხს არ გასწირავს!

— ღმერთო, გვიშველე, გვაკმარე ტანჯვა!

— ქრისტიანი კაცი გარეთ ვეღარ გამოვსულვარ, ლეკი ჩვენ არ გვაყენებს, ჭარელნი და ქისტნი, სპარსელი და უგვანო ქართველი.

— აქაო და, მეფე ვახტანგი შორს არისო და ისევ აიშვეს თავი!

— შენ ეგა თქვი და!

— ჩამოვა და მაგათ ჯავრს ამომყრის!

ზართა გუგუნს შეღაღადებს ხალხი:

— ღმერთო, გვიშველე, ჩვენი მეფე მშვიდობით დააბრუნე, ქრისტეს სჯული კვლავ აღგვიდგინე!

— ღმერთო ძლიერო, შენ დაუყენე ბედნიერი დღეები ჩვენს ქვე-

ყანას, გვაკმარე ტანჯვა, ღვთისმშობელო დედავ, წმინდაო მარიამ, გვაჩუქე ნათელი დღეები!

დედოფალი რუსუდანი კარგა ხანია კარის ეკლესიაში შებრძანდა, ჯალაბიც აიყოლია. ხატის წინ დაჩოქილი მხურვალედ ლოცულობს, მის გვერდით ბაქარი და ვახუშტი არიან დაჩოქილი. თამარი და ანუკაც ჩამოვიდნენ მამის შესახვედრად, თვალები ხატისათვის მიუპყრიათ, დედის ყოველ სიტყვას იმეორებენ.

მამის ჯერ უნახავი გიორგი გამდელის გვერდით დგას. თამარის პატარა ერეკლეც გამდელს უჭირავს და ისინიც ღმერთს შესთხოვენ თავისი ქვეყნის და მეფის კარისათვის ყოველ სიკეთეს.

— შენ გეევედრები, ღვთისმშობელო ქალწულო, ერისა ჩვენისა მწუხარებაი სიხარულად გარდასცვალე და სოფელსა შენსა აღმოუწოდე, ყოველთა ერთობისათვის და მშვიდობისათვის. ევედრე შენგან შობილსა ქრისტესა ღმერთსა, რამეთუ შენ ხარ სასო და მეოხი ყოველთა ქრისტიანეთა. აკმაროს ჩემს ქვეყანას, რაც გასაჭირი გადაუტანია და სისხლი უღვრია თავისუფლებისა და სჯულის დასაცავად.

დაიფარე მეუღლე ჩემი, ვახტანგი, განსაცდელისაგან, ღვთისმშობელო დედაო მარიამ, გადააფარე შენი მოწყალე კალთა ჩემს შვილებს: ვახუშტის და მის ოჯახს, ბაქარს და მის ოჯახს, თამარსა და მის ოჯახს, ანუკას და მის ოჯახს, ჩემს თუთას და პატარა გიორგის! — ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის დედოფალს ღაწვებზე და ხმა უკრთის: — ღმერთო, მუდამ მხიარული ზართა გუგუნი მასმინე ჩემს ქვეყანაში. — დედოფალი წამოდგა და მხიარულმა შვილებს გადახედა.

ეკლესიის კარებში მესტუმრეთუხუცესი მიეახლა დედოფალს, თაყვანი სცა და მოახსენა:

— დედოფალო, აბაშიძეები გეახლნენ იმერეთიდან, მეწინავედ უნდათ შეხვდნენ მეფეს. სვიმონ აბაშიძე დასტურს ელის.

დედოფალი გაახარა აბაშიძეების ხლებამ. თავის ახალგაზრდობის დღეებს აგონებდა მათთან შეხვედრა. წუთით გაირინდა.

სახე გაბრწყინებული გამოვიდა დედოფალი კარის ეკლესიიდან. ასე ეგონა მელისკარის ეკლესიიდან გამოდიოდა, ვახტანგთან ახლად ჯვარდაწერილი.

სვიმონ აბაშიძე შეეგება. მაშინაც, იმ ბედნიერ დღეს, სვიმონ აბაშიძე პირველი შეეგება ვახტანგსა და რუსუდანს.

სვიმონმა ცალი მუხლი მოიყარა, დედოფლის კალთას ემთხვია.

დედოფალს სიხარულმა ფრთები შეასხა, უნდოდა უფროს ძმასავით გადახვეოდა მათი ოჯახის კეთილისმყოფელს, გარშემო მყოფებს გადახედა, თავი შეიკავა, წამოაყენა ერთგული თავადი.

— სვიმონ ბატონო, ვიცოდი, გაგახარებდა ჩვენი ბედნიერება, მაშინვე გაახლეთ მახარობელი, არ მეგონა, თუ ასე სწრაფად მობრძანდებოდით.

— სიხარულმა არ დამაყენა, დედოფალო, ფრთები შემასხა, დიდმა სიხარულმა იცის ხოლმე ასე! — ხელები ზე აღმართა სვიმონ აბაშიძემ, — ღმერთო, მრავლად მაღირსე ასეთი სასიხარულო დღეები ჩემი მეფის კარზე. ნაადრევი გაზაფხულია ჩვენში, დედოფალო, გზებიც გამშრალია, ჩინებული საავალია. გაზაფხული და სიხარული ერთად შემოიჭრა ჩვენს ოჯახში. გულს უნდოდა სწრაფად გაეზიარებინა ჩემი მეფისა და დედოფლის ბედნიერება. სასწრაფოდ გამოვეშურე, დედაწული ფეხდაფეხ მოვდევს, ხვალ გეახლებიან, იმათაც ისურვეს ბედნიერ დღეს დაესწრონ.

— მოდის ჩემი მეფე, ჩვენი პატრონი, ჩემი ბატონი, სვიმონ ჩემო, ქვეყნის სამართავად. ამაზე მეტი სიხარული არასოდეს მითხოვია ღვთისათვის.

სასახლისაკენ მიმავალ დედოფალს სვიმონი გვერდით მისდევდა. დედოფალი სასახლის აივანზე ავიდა მხლებლებითურთ, სახლთუხუცესი მიიხმო და ჰკითხა:

— მოწინავენი რა დროს გადიან?

— ცისკრის ვარსკვლავი აღმობრწყინდება თუ არა, ჩვენც მზადა ვართ.

— დედოფალო, გზა დაგვილოცე!

— ღმერთმა მუდამ ასეთ კეთილ საქმეზე გატაროთ, როგორც ახლა მიდიხართ!

დედოფალს ზარების ხმამ კვლავ თავისი საფიქრალი აუშალა. ფიქრები ღრუბლებივით დასტრიალებდნენ თავს. „რამდენი რამ დასჭირდება ჩემს ვახტანგს, სანამ არეულ ქვეყანას კვლავ დაამშვიდებდეს. სვიმონისა და განსაკუთრებით იასეს უგვანო საქციელმა მოშალა ყველაფერი. ძველი ადათ-წესები ამოაგდო, მრავალი სულმოკლე თავადიც აჰყვა, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა. ტყვეების გაყიდვას კვლავ არ იშლიან. თავისივე მოძმის გაყიდვა დღეს სამარცხვინოდ აღარ ითვლება“. გასაყიდად გამზადებულ გლეხთა გოდება ჩაესმა დედოფალს. ზართა ჟღრიალი,

ლეკთა თავდასხმის მაცნედ მოესმა, ზე წამოვარდა. თვალი ოთახს მოავლო.

სად არის?

რა მოხდა?

ეძინა?

ნუთუ ეძინა?

მეფე მოდის! — კედლებმა ამცნეს დედოფალს, აწრიალდა, გაღებული სარკმლიდან ხალხის ხმაური შემოდიოდა. სარკმელს მივარდა. სასახლის წინა მოედანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ვინ არ იყო აქ, ვახტანგისა და რუსუდანის ყველა კარგის მოსურნე: მოხუცი ბეგთაბეგ თანიაშვილი, იოსებ სააკაძე, ნიკოლოზ ორბელიანი, ზურაბ ხერხეულიძე, სვიმონ აბაშიძე. ეამა დედოფალს, მეფისა და მისი ამდენი ერთგულნი რომ ნახა ერთად შეყრილნი.

ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენამ მეტი ჟღერადობა მისცა თბილისის ზარებს, უფრო მეტი სიხალისით გადასძახეს ერთმანეთს სიონმა და ქაშვეთმა, მთაწმინდამ და დიდუბემ.

ახმაურდნენ მეწინავეებიც, მწყობრად, საქართველოს დროშის ფრიალით გამოვიდნენ კარიბჭიდან.

სასახლის წინ მოედანი ხალხით გაიჭედა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ვინ ცხენით, ვინ ფეხით, ვინ ურმით.

მეწინავეებმა ლორეს საზღვრისაკენ დაიჭირეს გეზი. ცისკრის ვარსკვლავ› და მოგიზგიზე ჩირაღდნები უნათებდნენ გზას. თბილისის ზარები სავალს ულოცავდნენ.

დედოფალს სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა ღაწვებზე. უკვე დრო იყო დედაწულიც გაყოლოდა მეწინავეებს.

თბილისის ზარები კვლავ გრიალებდნენ, გუგუნებდნენ და წკრიალებდნენ.

დედოფალი გამოვიდა, დომენტისა და გარეჯის მამამთავრის — იოანე სააკაძის შუა ჩადგა.

წინ საეკლესიო დროშები მიუძღოდათ. დომენტის ხელთ ჯვარი ეპყრა. მოედანი თანდათან ივსებოდა ხალხით. იგი გადაჭრეს და ლორეს საზღვრისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

მეწინავეები, ბაქარის მეთაურობით, შეწყობილი თოხარიკით მიდიოდნენ, თითქოს ცხენებიც გრძნობდნენ ბედნიერი დღის დადგომას. მოდიოდნენ სადროშოები საბარათიანოსი, ვახუშტის მეთაურობითა და ლუარსაბის სარდლობით, საამილახეროს დროშა — ზემო

ქართლის თავადთა შემადგენლობით და გიორგის მეთაურობით. მუხრანის ბატონი — არაგვისა და ქსნის ერისთავებით. მერე სამღვდელოება მოდიოდა დომენტი კათალიკოსის წინამძღოლობით, დედოფალი რუსუდანი სასახლის დედაწულთ მოუძღვოდა.

ფრიალებდნენ საერო და საეკლესიო დროშები. ხარაზების მწკრივს ჩაუარეს, მეფისა და მელიქის ქარვასლებს შორის გავიდნენ. სურვილის სწრაფვამ აიყოლია ყველა, ცხენები დაოთხილი მიჰყავდათ.

ლორეს საზღვართან რომ გავიდნენ, ნიავმა ცხენების ფეხის ხმა მოიტანა. მოწინავეებმა ცხენები ააჩქარეს.

მომავალი ცხენოსნები გამოჩნდნენ.

— მამა მოდის! — შესძახა ვახუშტიმ და უეცრად ყველა მოიარა ამ შეძახილმა.

— მეფე მოდის!

— ვახტანგი მოდის!

მეფემ გულში ჩაიკრა ყველა დამხვდური. მეფის მხლებლებს: გაბრიელ გელოვანს, დომენტი ბაგრატიონს, სარიდან ჩოლოყაშვილს, ანანა ქობულაშვილს მღელვარება მოსძალებოდათ, აღელვებდათ მიტოვებულ სამშობლოში დაბრუნების სიხარული.

თავისი ქვეყნის მიწაზე ფეხი რომ დაადგა, ვახტანგმა დაიჩოქა, მხლებლებმა და დამხვდურებმაც დაიჩოქეს. გაისმა მეფის ღაღადისი:

— უფალო, დამბადებელო ყოველისაო და შემმატებელო კეთილთანაო, აღმამაღლებელო მომავალთა შენთაო! შენ იყავ მწე ჩემდა, მომაველინე ანგელოზნი შენნი ძალად ჩემდა, შემაძლებინე ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის ღირსეული მართვა.

მეფე, მისი მხლებელნი და დამხვდურნი სამგზის ემთხვივნენ მშობლიურ მიწას, კვლავ ამხედრდნენ.

გაიხარეს ვახტანგმა და რუსუდანმა ერთმანეთის ხილვით, დედოფალმა ჯერ უნახავი შვილი, გიორგი გაუწოდა მამას. მეფე რუსუდანის მისალმების შემდეგ ბაქარის მეუღლესთან მივიდა. ზეიადი ერისთავის ქალს გულში ეამა ასეთი დიდი ყურადღება.

— გმადლობ, შვილო, ქვეყნისა და შენი ოჯახის ერთგული და მოყვარული დღეგრძელგყოს ღმერთმა. — მეფე სიხარულმა აიტანა, კვლავ თავის ქვეყანაშია, თავისიანთა შორის, თავის ცოლშვილთან.

რუსუდანი თვალს არ აცილებდა ვახტანგს. ნაოჭი ეუცხოვა, მეფის შუბლს რომ გადასდევდა, სახეც გაფერმკრთალებოდა, ხანგამოშვებით მარცხენა წარბს შეათამაშებდა. ეტყობა, ფრიად დატანჯულა, თვალებშიაც უსაზღვრო სევდას ჩაუსადგურებია.

განჯის კართან, იქ, სადაც განჯის გზაზე გასასვლელი ტაბახმელისა და კრწანისის გზებს უერთდებოდა, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ველი სავსე იყო აღფურვილი მეომრებით, ქალითა და კაცით, ბავშვებით, დოლისა და საყვირის ხმა ცას წვდებოდა.

იყო სიხარული.

სასახლის კარის და სასულიერო დროშებს მოჰყვებოდნენ დაბაღების, მჭედლების, მეპურეების დროშები.

სიმღერით, ყვავილებით ეგებებოდა ხალხი მეფეს, ოქრო-ვერცხლს და ყვავილებს უფენდნენ ფერხთით.

მოედნები სავსე იყო ხალხით, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცებულებიც კი გამოსულიყვნენ მეფის შესახვედრად. მოდიოდა დიდი და პატარა. ყველას ერთი სურვილი იპყრობდა, თვალი შეეევლო თავიანთი მეფისათვის.

მეფე და მისი ამალა თბილისის შუაგულს მიუახლოვდა. საზეიმოდ მორთულიყო სასახლე, არც თავადთა და დიდვაჭართა სახლები ჩამორჩებოდნენ. ძვირფასი ნოხ-ფარდაგნი გადმოეფინათ აივნებიდან, ყვავილწნულები სილამაზეში გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ლურჯთვალა იებს, თეთრ შროშნებს შორის ჩაწნულ შავხალიან ყაყაჩოებს სიხარულის ხანძარი აეგიზგიზებინა თბილისში.

გაზაფხული ისეთი გამჭვირვალე და სუფთა იყო, რომ ყოველი საგანი, სულიერი და უსულო, მოძრაობდა და სუნთქავდა, ყველა სულდგმული ბუნების ერთ კანონს ემორჩილებოდა — სიცოცხლისაკენ, ცხოვრებისაკენ და მზისაკენ მიისწრაფოდა.

ქალაქის მკვიდრნი ხონჩებით მოართმევდნენ მეფეს თავიანთ ნახელავს:

მებაღეები — დოქით ღვინოს, შეთვალებულ ბალს, ჯერ ისევ კურკაგაუმაგრებელ მწვანე ტყემალს.

მებოსტნეები — ახალ წიწმატსა და ხახვს, ქორფა ბოლოკსა და ტარხუნას, ნაადრევ შუშა კიტრს.

მეპურეებმა ქართული ლავაშები, ჯვარისმამის პურები, ლურჯი მახობელის თონეულები მიართვეს.

ხელოსნებმა ხონჩები გაალმასებული ხმლითა და ხანჯლებით დაიმშვენეს.

მეტყავეებმა მაღალქუსლებიანი ტყავის წაღები მოართვეს თავიანთ მეფესა და პატრონს.

ოქრომჭედლებმა — ცხენისათვის ვერცხლით ნაჭედი რახტი.

თბილისში სულმოუთქმელად რეკდა და რეკდა ზარები.

ალიონზე გავიდა ქართველთ ლაშქარი ბაქარის მეთაურობით და ისპაჰანის გზას დაადგა შაჰ-უსეინის დასახმარებლად. მეფე-დედოფალს შვილის გაცილების შემდეგ ერთმანეთის გვერდით მოჰყავდათ ცხენები და თავიანთი ოჯახის მამავალზე საუბრობდნენ.

— ღმერთო, მშვიდობით დაბრუნე ჩემი ბაქარი! — დედოფალმა რუსუდანმა ზეცას ახედა. მტრედისფერი ნათელი იდგა გარშემო, ვარსკვლავებს ჯერ არ დაკარგოდათ ბრწყინვალება.

— ხედავ რუსუდან, ცის მნათობნი ერთად შეკრებილან, თითქოსდა ქვეყნის საქმეებზე ბჭობენო!

— ამბობენ, თუ ცის მნათობნი ერთად შეყრილნი იხილვებიან მეზობელ სახელმწიფოთა დიდ კავშირს და შეერთებას ნიშნავსო!

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო რუსუდან, იმედით ცოცხლობს კაცი, იქნებ სიბერის ჟამს მაინც ვიხილოთ ჩვენი ქვეყანა დამშვიდებული.

სასახლემ თითქოს მიიძინა, წუთით ყველაფერი მიწყნარდა.

მეფე ვახტანგმა, სულხან-საბამ და ვახუშტიმ მთელი დღე სტამბაში გაატარეს. სამხარი იქვე გაუგზავნეს შინაურებმა. ჭამა დამთავრებული არ ჰქონდათ, შიკრიკმა რომ მოირბინა სასახლიდან. დედოფალ რუსუდანის მცირე ბარათი მიართვეს მეფეს: ბაადურ თურქესტანიშვილი გეახლათ რუსეთიდან, რუს ელჩებთან ერთად, დაუყოვნებლივ მობრძანდიო, — წერდა რუსუდანი.

პეტრე პირველმა გადაწყვიტა ქრისტიან ქვეყნებთან გაება კავშირი. ქრისტიან სახელმწიფოთა შორის ქართველები ყველაზე ძლიერ, ყველაზე საჭირო ხალხად მიიჩნია. ამიტომ უპირველესად ქართველებს მიმართა.

ვახტანგმა მეტად გაიხარა, როცა ზარქაშიდან პეტრეს წერილი გამოხსნა და წაიკითხა: პეტრე ლეკი მეამბოხეების წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა და ომისათვის ემზადებოდა. ომის მიზეზად დაუდბეგისა და სურხაი-ხანის ლაშქართა რუს ვაჭრებზე თავდასხმას ასახელებდა. ვახტანგსაც სთხოვდა, ამ ლაშქრობისათვის შემზადებულიყო.

ამ ამბით გახარებულმა ვახტანგმა მდიდრული ვახშამი გაუმართა რუსთა ელჩიონს. ვახშამზე მოილხინეს სტუმრებმაც და მასპინძლებმაც.

ელჩებმა ცხენებს საპალნეები მოხსნეს, რომლებშიაც ბლომად

ეწყო: მაუდის ძვირფასი ქსოვილები, ხავერდი, ბეწვეული და სიასამურის ქუდები.

მეფეს ძვირფასი სიასამურის ქურქი მიართვეს, ხავერდშემოვლებული ვერცხლის შვიდი ღილით და მელიის ტყავის ქუდით.

პეტრე პირველის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა ვახტანგის მიერ ბაქარის შაჰ-უსეინის დასახმარებლად გაგზავნა. ბჭობის შემდეგ გადაწყდა, ბაქარის მოსაბრუნებლად ვახუშტი ბატონიშვილი წასულიყო.

— ჩვენ საზღვარს არ იქნებიან გადასული, ეცადე, შვილო, საზღვრამდე მიუსწრო, იქნებ ღმერთმა გამოსავალი გვაპოვნინოს.

ვახუშტიც სასწრაფოდ გაეშურა ვარდენის თანხლებით ბაქარის მოსაბრუნებლად. შინაურებს კი უბრძანა, ხვალისათვის კრწანისის ველზე გაეშალათ ქართველთ ლაშქარი, რათა რუსთათვის ეჩვენებინათ თავიანთი სიძლიერე.

მეორე დღეს რუსთა ელჩები კრწანისის ველზე წაიყვანეს, აქ ვაკეზე სალაშქრო კარვები გაეშალათ. ძვირფას სამხედრო ტანსაცმელში შეკურვილი ვახტანგი მშვენიერ თეთრ რაშზე იჯდა და ჯარს გარს უვლიდა. მოედანზე ათი ათასამდე სალაშქრო ტანსაცმელში გამოწყობილ მეომარს მოეყარა თავი, მზეზე ბრწყინავდა მათი ხმლები და ფარები. ლაშქარი საქართველოს დროშების ფრიალით მწყობრად გაემართა სასახლისაკენ, წინ მეფე მიუძღოდათ.

მეორე დღეს პეტრე დიდთან გასაგზავნი წერილი გაამზადა ვახტანგმა, მისწერა: მივიღე წერილი თქვენი, უსაზღვრო ქვეყნის მფლობელო, იმედმა აღგვაფრთოვანა. იქნებ ღვთით დრო დადგეს, ჩვენი მტრის ხელიდან განთავისუფლებისა, ღვთის მადლით და თქვენი ჯარის დახმარებით გამარჯვებაში ეჭვიც არ გვეპარება. თქვენს მიერ ქრისტიანობის დასახსნელად აუცილებელია შემდეგი პირობა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნოს ხუთი ათასი ჯარისკაცი მაინც. ეს შეაშინებს მოწინააღმდეგეებს და მოშუღლე ფეოდალებს მადას დააკარგვინებს. მეორე პირობა შემდეგში მდგომარეობს: აუცილებელია ათი ათასი მოლაშქრე გადაისხას სპარსეთში, წაართვან მათ დერბენტი და შემახია. მესამე: მდინარე თერგზე, ყაბარდოელებსა და კაზაკებს შორის საჭიროა ციხეში ჩააყენოთ თქვენი გარნიზონი, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა. თუ თქვენ დაიწყებთ ომს შაჰის წინააღმდეგ, სწორედ კარგი დროა, ახლა სპარსეთს არ შეუძლია თქვენს შეიარაღებას გაუწიოს წინააღმდეგობაო.

როცა ეს წერილი დაწერა ვახტანგმა, გუმანშიაც კი არ იყო, რომ პეტრე პირველმა კარგა ხანია ვოლინსკის დაავალა, ეზრუნა კასპიის-პირეთში ლაშქრობისათვის. არც ის იცოდა ვახტანგმა, რომ რუსთა ელჩებს, კერძოდ, ივანე ტოლსტოის, საიდუმლოდ ჰქონდა დავალებული გამოერკვია:

როგორი ხალხია ქართველები, ზნე-ჩვეულება, ჯარის ძალა, როგორი იარაღი აქვთ, ჯარის რაოდენობა, ჰყავთ თუ არა ჯარი დანაწილებული ცხენოსნებად, ქვეითად და თითოეული მათგანის რაოდენობა.

კანონები ჩვენი აქვთ თუ არა და ხალხი მეფეს ემორჩილება თუ არა. დიდია თუ არა ფეოდალთა ძალაუფლება.

ძლიერია თუ არა, კანონები ჩვენი აქვთ თუ არა და თუ განსხვავდებიან, განსხვავება დიდია თუ მცირე.

რად უჭირთ ჩვენი ჯარების გარეშე მტერთან შებმა, რა არის ამის მიზეზი, სიმცირე თუ შინაური არეულობა? — რაიც უპირველესი და უმთავრესია.

თუ ჰყავთ ისეთი ხალხი, რომლებიც ისურვებენ დერბენდსა და შემახიაში გადმოსახლებას ჩვენი მფარველობის ქვეშ.

რუსთა ელჩებმა საიდუმლოდვე აცნობეს პეტრე დიდს:

ქართველი ხალხი დიდად აფასებს თქვენს მფარველობას, მუდამ ერთგული დარჩება თქვენი. საქართველოს თქვენს დასახმარებლად შეუძლია გამოიყვანოს ოცდაათი-ორმოცი ათასი მეომარი. ვახტანგი დიდად ჭკვიანია, დიდი მცოდნე აღმოსავლეთის საქმეებისა. მისი მოსაზრება, მისი სამხედრო გეგმა უნდა გაითვალისწინოთ, თორემ სპარსეთთან ბრძოლა სახიფათოა. უნდა მოგახსენოთ: მტერთა ცხენოსანი რაზმი ქართველებისაზე სამჯერ მეტიც რომ იყოს, მაინც ვერ დაძლევს ქართველებს. ერთი პირი რომ შეკრან, ვერც სპარსეთი და ვერც ოსმალეთი ვერ გაბედავდა მათ შეევიწროებას. ქართველების მთელი უბედურება მათ შინაურ უთანხმოებაშია, შინაურებს შორის შუღლსა და მტრობაშია. აი, უმთავრესი მტერი ქართველი ხალხისა, რომლებიც საუკეთესო მებრძოლნი არიან, მათი ვაჟკაცობა განთქმულია, მათ ვერც ერთი კავკასიელი ხალხი ვერ შეედრება.

ქართველები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავენ თავის ქვეყანას, თავიანთი სურვილით ფეხსაც არ მოიცვლიან საკუთარი მიწა-წყლიდან, რომელსაც წმინდათაწმინდად თვლიან.

რუსთა ელჩები დიდად გააკვირვა იმ გულისხმიერებამ, რომელიც

ვახტანგმა გამოიჩინა მათთვის საგზლის გატანების დროს. სასახლის მოედანზე იდგა სანოვაგით დატვირთული ცხენ-ჯორი. უამრავ საზამთროს, ნესვს, მსხალს და ვაშლს ისეთი სურნელება დაეყენებინა, შორიდან მომავალიც კი იგრძნობდა. გასამგზავრებლად გამზადებულ რუსთა ელჩიონს ვახტანგის მთელი სახლობა აივნიდან გადმოსცქეროდა.

რუსეთის ელჩიონი გაისტუმრა თუ არა მეფემ, თათბირი ბრძანა. ვახტანგს შაჰის წერილი წინ ედო, სადაც შაჰი სწერდა: მწე მექმენ! ავღანელების წინააღმდეგ მომეშველეო. მოთათბირენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი რუსეთის მხარეზე იყვნენ, მეორენი შაჰს უჭერდნენ მხარს. ლაშქრობიდან მობრუნებული ბაქარიც მამას ეწინააღმდეგებოდა. თათბირზე აღარა დაფარა თავისი აზრი:

— ავღანელთაგან შევიწროებული შაჰ-უსეინი ყერასოდეს დაივიწყებს ჩვენ უპირობას, ჩვენი დახმარება უთუოდ იხსნიდა სეფევიდთა დინასტიას, მით უმეტეს, რომ ავღანელებს თავზარს სცემს გავრცელებული ხმა ქართველთა ლაშქრის გამოჩენისა. სარდლობა დაპირებია, როგორც კი ქართველთა ლაშქარი გამოჩნდება, უკან გაგაბრუნებთო.

— სპარსთა და ოსმალთ შორის ჩვენი ბედი მუდამ მერყეობს, ახლა, როდესაც აღმოსავლეთში ერთმანეთს შეეტაკა სამი დიდი სახელმწიფო — რუსეთი, ოსმალეთი და ირანი, გული ჩემი, ალღო და მთელი ჩემი არსება რუსეთისაკენ მიიწევს. მჯერა, ადრე თუ გვიან, რუსეთი საქართველოს ცხოვრებაში დიდ ადგილს დაიჭერს და მეც უპირატესობას მას ვაძლევ. ასე მჯერა და ასე მწამს.

ვახუშტიც მამას უჭერდა მხარს:

— მაგ მოსაზრებათა უპირატესობა მწამს, მაგრამ, როცა მრავალი შინაური არ გვიჭერს მხარს, ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ მოსაზრებას. კახთა მეფე გაგვინაწყენდება, ირანის მომხრე და ერთგულია. არც განჯის ხანი ამოგვიდგება გვერდით, ლეკნიც მიემხრობიან.

— რაჭა და იმერეთი ჩვენი მომხრეა!

— მეც თქვენი მომხრე ვარ, მამავ ბატონო! — კვლავ განაგრძო ვახუშტიმ. — ვიცი, რომ მომავალში ჩვენი და რუსეთის მეგობრობა გარდაუვალია, ამჯერადაც რუსთა მხარე უნდა დავიჭიროთ.

ვახტანგი ძალზე შეაწუხა სახელმწიფოში აზრთა ასეთმა სხვადასხვაობამ. რუსეთთან კავშირის მომხრე იყო ყველა ერთგული მეფი-

სა. ერისთავები, როგორც ყოველთვის, ახლაც განუდგნენ მეფეს, ნაწილი სპარსეთს ემხრობოდა და ნაწილი — ოსმალეთს.

თვე არ გავიდოდა, რუსეთიდან ელჩიონი არ მოსულიყო. ყველას ერთი და იგივე ამბავი ჩამოჰქონდა — გაზაფხულისათვის სალაშქროდ მზად იყავითო.

ორ ივნისს ბაადურ თურქესტანიშვილმა ვახტანგს პეტრე დიდის მიერ გამოგზავნილი წერილი აახლა და თან აუწყა, ომს ვიწყებო. წერილის თანახმად, ქართველებს ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე უნდა ეწარმოებინათ. ბრძოლის დაწყების შესახებ რუსთათვის უნდა ეცნობებინათ დერბენდში, ან აგარხანაში, რის შემდეგ რუსნი დანიშნავდნენ შესვედრის დროსა და ადგილს. როცა სპარსეთში პეტრე დიდის ხალაუფლება განმტკიცდებოდა, ქართველები თავისუფლად იცხოვრებდნენ თავიანთ ქვეყანაში.

ვახტანგი პეტრე დიდის ამ პირობებმა უაღრესად გაახარა.

— ძვილებო, მომილოცეთ, პირველად ვიღებ სპარსთ წინააღმდეგ მახვილს. ჩემი წინაპრები მუდამ მაგათ ტახტის ძლიერებას ეწირებოდნენ. ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა. დიდი რუსეთის მოკავშირე ვარ, ჩვენი ისტორიული მტრის, სპარს დამპყრობელთა წინააღმდეგ ვიბრძოლებ.

იმერეთსა და რაჭაში კაცები იფრინეს. ლაშქართ შეკრების დღედ ათი ივნისი დანიშნეს.

ათ ივნისს სასახლეში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ცხარე კამათის შემდეგ დარბაზი კვლავ ორ ბანაკად გაიყო. მეფე და მისი მომხრენი გახარებულნი იყვნენ, სჯეროდათ პეტრე დიდის მონაწერისა, მეორენი ფრთხილობდნენ, ცუდი შედეგი აშინებდათ. თათბირი დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ კვლავ მოვიდა პეტრე დიდის ელჩი და ვახტანგს წერილი მოუტანა. ვახტანგმა წერილი ვახუშტის გადასცა და წააკითხა: „ჩემმა დიდმა ლაშქარმა ასტრახანში მოიყარა თავი, — სწერდა პეტრე დიდი, — აქვე გამოვაქვეყნე მანიფესტი და ჩემ ხალხს ვაცნობე, რომ მივდივარ რუს ეაჭართა მძარცველების — ლეკების დასასჯელად. კავკასიის ქრისტიანი ხალხების — ქართველებისა და სომხების დასაცავად, რომ თქვენი და სომხების ლაშქარი მალე შეუერთდება ჩემსას.

ახლა გაცნობებთ, რომ უკვე ჩავედი აგარხანის ყურეში და გავემგზავრე ყარსისაკენ, აქედან გავემგზავრები დარუბანდსა და ბაქოსაკენ, იმედი მაქვს, შენი ლაშქარი აქვე შემომიერთდება საერთო

მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეხვედრის ადგილად ვნიშნავ დერბენდსა და ბაქოს შორის მდებარე ველს. იმედი მაქვს, არ დაგაყოვნებ" — ვახუშტიმ კითხვა დაამთავრა.

— ამის შემდეგ რიღასი უნდა გვეშინოდეს, ან კი რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ დიდი რუსეთის დიდ მეფეს პეტრეს, ქრისტიანსა და უძლეველს.

რაჭის ერისთავი წამოდგა და მეფეს შეხედა:

— მეფეო, თქვენი სიბრძნე ცნობილია, მაგრამ, ჩვენც ხომ რჩევისათვის მოგვიწვიეთ? ჩვენც მეტად მომხიბლავად და საამოდ გვეჩვენება დიდ რუსეთთან კავშირი, ამიტომაც გემართებს მეტი სიფრთხილე. ბეწვის ხიდზე გავდივართ და სხვა გზა აღარ გვაქვს.

— სიფრთხილე ყოველ საქმეში საჭიროა, მაგრამ, განა აქ რას ხედავთ სავალალოსა და საშიშარს? დიდი და უსაზღვრო სახელმწიფოს მმართველი ხელს გვიწვდის სამეგობროდ!

— ეგ მეგობრობა, ჩვენთვის ეგოდენ გასახარელი, საშიშანოდ მეჩვენება, მოგვცემს კი რუსთ ხელმწიფე უპირატესობას ისეთი დიდ სახელმწიფოების წინაშე, როგორიც სპარსეთი და ოსმალეთია?

— ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანაა ამ მხარეში ქრისტიან სახელმწიფოთა შორის: თუ ამ მხარესთან ექნება საქმე რუსთ ხელმწიფეს, ჩვენი უპირატესობაც უნდა სცნოს.

— მამავ ბატონო, — ხმა ამოიღო ვახუშტი ბატონიშვილმა, — მეტად მომხიბლავი და სასიხარულოა ჩვენთვის დიდი რუსეთის — პეტრე დიდის მეგობრობა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხი ამ მეგობრობას ეგოდენ ეპვის თვალით უყურებს. შეგვიძლია თუ არა ჩვენ, პატარა სახელმწიფომ, იმდენი დახმარება და სარგებლობა მოვუტანოთ დიდ რუსეთს, რომ მარტო ჩვენ მეგობრობას დასჯერდეს? — არც ერთი სახელმწიფო თავის სარგებლობის გარეშე მეგობრობისათვის ხელს არავის გაუწვდის.

ვახტანგმა გადაწყვიტა, პეტრეს დასახმარებლად წასვლის თაობაზე სომეხთათვისაც ეცნობებინა. ამ აზრის მომხრე იყვნენ ბაქარი და ვახუშტიც.

— სომეხი ხალხის უპირველესი სურვილია ირანისაგან განთავისუფლება, იქნებ კვლავ შექმნან საკუთარი სახელმწიფო, ამიტომ სიხარულით შემოგვიერთდებიან.

მეფის ეს მოსაზრება ყველამ სიხარულით მიიღო.

— სომეხ მელიქებთან და სამღვდელოებასთან მოსალაპარაკებ-

ლად დომენტი კათალიკოსი და ვახუშტი წავლენ! — დაასკვნა ვახ-ტანგმა. — თან გავაყოლებთ ჩვენ ჯარში მყოფ დავით ბეგს ოთხასი ჩვენი მოლაშქრით.

სომხებთან მოციქულების გაგზავნის შემდეგ ვახტანგმა ლაშქრის შეკრება დაიწყო. მალე სომხეთიდან მალემსრბოლი მოვიდა და ამ-ბავი მოიტანა: — სომხები საჩქაროდ შეუდგნენ ლაშქრის შეგროვე-ბას და წვრთნასო.

მეფე ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ლაშქარი შეეკრიბა. ვახ-ტანგს წესად ჰქონდა: ყოველ შემოდგომაზე შეკრებდა თავის ლაშ-ქრის ნაწილებს, სამ დღეს თავისთან აჩერებდა, კრწანისის ველზე ავარჯიშებდა, აღრიცხავდა და შინ გაისტუმრებდა. ყოველ მათგანს ევალებოდა, პირველი გამოძახებისთანავე მეფის კარს მოსულიყო. ამრიგად, ვახტანგმა ყოველთვის იცოდა, რამდენი მებრძოლი გამოვი-დოდა მის დაძახებაზე. ეს იყო გაწვრთნილი ჯარი, რომელსაც შეეძ-ლო იარაღის ღირსეული ხმარება. საკუთარი ნუზლითა და თოფ-ხმიადით გამოდიოდნენ.

მეფის ბრძანებით კრწანისის ველზე უნდა შეკრებილიყო ყველა. მეფის კარის და მთელი სახელმწიფოს ყურადღება ამ ლაშქრობისაკენ იყო მიმართული. როცა მეფე თავისი ამალით კრწანისის მიდამოში მივიდა, ველი დაეფარა ქართველთა ცხენოსან ლაშქარს, რომელიც შეიარაღებული იყო — თოფით, დამბაჩით, ხმლით, ხანჯლით, სავაზ-ნით, ჯაჭვის პერანგით, ჩაფხუტით, საბარკლულით, მუზარადით და სამუხლით.

ჯარის დათვალიერების შემდეგ მეფე მეტად კმაყოფილი დარჩა, სახე უცინოდა და მოზღვავებული ძალა ველარ დაეოკებინა, ამაყად უყურებდა თავის ლაშქარს და ისე იქცეოდა, თითქოს ზეიმზე მი-დიოდა. აქ იყო მთლიანად მეფის სახლობა. დედოფალი რუსუდანი, თავისი ასულებით და რძლებით კარვის წინ იდგა, აქვე იყვნენ დო-მენტი კათალიკოსი, სულხან-საბა და სხვა დიდებულები.

დომენტიმ აკურთხა ლაშქარი და ბოლოს მიმართა ყველას:

— ძმანო ჩემნო, თქვენ მიდიხართ, რათა დაიცვათ ქვეყანა თქვენი, მიწა-წყალი თქვენი, ნურა მტერს ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა და ჩვენ ვიქნებით წინამძღოლნი თქვენნი. ყოველმა თქვენგანმა თავისთავს უთხრას: — დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისათვის, აშისათვის უნდა დავანთხიოთ სისხლი ჩვენი.

ლაშქარი წასასვლელად გაემზადა.

წინ მეფე მიდიოდა, უკან მეფის მედროშე, თან ასი მხედარი ახლდა, რომელსაც ბაქარი მეწინავეობდა. ორივე მხარეს მიმავალი ლაშქრის უფროსები იარაღითა და ფარებით იყვნენ აღჭურვილნი. მას მისდევდნენ ცხენოსნები, მზვერავები, მეციხოვნეები, შიკრიკები, მეკავშირეები და სამი სარდალი. ამათ შემდეგ მოდიოდა ლაშქრის მარჯვენა და მარცხენა ფრთების უფროსები, მეფის მხლებლები, ათასის, ხუთასისა და ასეულების თაეები.

ლაშქარმა მდინარეზე გადასვლა დაიწყო, მეფე შემაღლებულ ადგილზე იდგა და თვალყურს ადევნებდა ლაშქრის ყოველი ჯგუფის წყალზე გადასვლას. ვახტანგი თავის სახლობას გამოეთხოვა, ბოლოს ვახუშტისთან მივიდა:

— აბა, შენ იცი, შვილო, ვახუშტი, მე და ბაქარი შორ გზას დავადექით. შენ გიტოვებ საპატრონოდ ჩვენს ქვეყანას. ვიცი, ჩემზე ნაკლებად არ შეგტკივა გული, ეცადე, მაწანწალა ბრბოებით არ შემიწუხო ხალხი. დიდ სახელმწიფოებს ახლა ჩვენთვის არა სცალია, სახლობასაც უპატრონე და სხვა საქმეებიც ითავე.

დიდხანს, დიდხანს გაჰყურებდა ვახუშტი მიმავლებს და ერთს ფიქრობდა: — „ღმერთო, ასევე მხიარულად დაბრუნებული მაჩვენე მამა და ჩვენი ლაშქარი, როგორც მიმავლები“. სივრცეში ლაშქრულის ხმა თანდათან იკარგებოდა.

გაცრუებული იმედი

ნელი ჩორთით მოჰყავდა ვახუშტის თავისი ცხენი, მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, საქართველოს რუკაზე მუშაობა განეგრძო, თუ მამას დალოდებოდა. მამის გახსენება გულს უკლავდა: „როგორ საჭიროა მამა აქ, ის კი სად არის, ამდენი ხანია აღარა ისმის რა მისგან. რამდენი რამ სჭირდება ჩვენ ქვეყანას, რამდენი რამ შეუძლია გააკეთოს მამამ თავისი ქვეყნისათვის, ის კი სხვას შეჰყურებს ხელში; ამას წინათ ასტროლაბი გამოუგზავნა ისპაანს დამზადებული, მუშაობას გაგიადვილებსო, თავის მდგომარეობის შესახებ კი მხოლოდ ორ სიტყვას იწერებოდა: — პეტრეს ველოდებითო. ნეტავ რას ნიშნავს ამდენი დაუსრულებელი ლოდინი?“ სასახლე განსაკუთრებით მიჩუმებული მოეჩვენა, სექტემბრის მზიანი დღე იყო, ცაც ისე მაღლა აწე-

ულიყო და გარშემო მწიფე ფერი იდგა, სასახლე კი გატვრენილიყო. ასეთ მშვენიერ საღამოს ძეხორციელი გარეთ არ ჩანდა, თითქოს ყველას ეძინა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უგუნებოდ იყო ვახუშტი, მიძინებულმა და გატვრენილმა სასახლემ დარდი გაუორკეცა. სასახლეში არ შეევიდა, ფანჩატურში გადაწყვიტა ღამის გათევა.

მივიდა, დაჯდა. მთვარიანი ღამე იყო, იქაურობა მთვარის შუქს გაენათებინა. „ამ მშვენიერ ღამეს რად შემომკვნესის გული ეგრერიგად. რად უნდა იყოს ამ მშვენივრად მოწყობილ ქვეყანაში ამდენი უბედური, ვის რა უნდა ჩვენგან, რას ვაშავებთ, ამოდენა სახელმწიფოები გასანადგურებლად რომ მოგვდგომია, მგონი ღმერთმაც ხელი აიღო ჩვენზე. სამყაროსათვის წვეთი ვართ, ვის რას უშლის ეს ერთი წვეთი? რა უფლება აქვს ერთ ადამიანს, სტანჯოს მეორე და შეავიწროვოს, ადამიანები ხომ ერთი უფლებით გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე. ძალმომრეობის კანონს რად უნდა ჰქონდეს უპირატესობა?

ოდნავი ჩქამი ჩაესმა, შეკრთა, ყური მიუგდო. ვიღაც ძალიან ფრთხილად მოაბიჯებდა ბაღში. ფანჩატურს ელენე მოუახლოვდა:

— ძმაო ვახუშტი, სარკმლიდან დაგინახე, რომ მოხვედი, ფანჩატურს მოაშურე, შეგემთხვა რამე?

— არა, დედოფალო, მამასა და ძმაზე ფიქრი არ მასვენებს, გული შემომკვნესის და დარდს ვეღარ ვერევი.

— არც მე მაძინებს გულის კვნესა, ძმაო!

— ამ გაურკვევლობამ გამაგიჟა, რატომ არაფერს გვწერენ, უამბობა საშინელებაა.

— ეტყობათ, ძალზედ არიან გაბოროტებულნი. თუ თავის ამბებს არ გვატყობინებენ, ჩვენი მაინც ღარ აინტერესებთ?

— რა ვიფიქრო, ღარ ვიცი. ნუთუ იმოდენა პიროვნების სიტყვასაც არ უნდა ენდო?

— ღმერთო, ნუ გაგვიქრობ ამ იმედს, წყალწაღებულივით რომ ვეჭიდებით.

— ეჰ, ჩემო რძალო, როგორც ჩანს, ღარც ღმერთი გვწყალობს და ღარც კაცი.

— მაშინებს შენი უიმედობა, ვახუშტი!

— იმედი ღმერთმა ნუ დაგვიკარგოს!

— ეს ვინ მოფრატუნებს?

ვახუშტი გაჩერდა, ყური მიუგდო.

— ვარდენი, მეფეთა ბანაკიდან!

ვარდენი ხის კუნძზე ჩამოჯდა, სასახლეს ახედა. ეტყობოდა, დაღლილი იყო. ვახუშტის მაშინვე გაუელვა, ალბათ კარგი ამბავი არ მოაქვსო. ელენეც თვალს არ აცილებდა მოსულს. ორივემ ერთმანეთს შეხედა, ვახუშტი ვარდენისაკენ წავიდა, ელენე უღონოდ დაეშვა სკამზე.

ვარდენი შეკრთა ვახუშტის მოახლოვებაზე.

— სად იყავით, ბატონიშვილო!

— გელოდი! კარგი მახარობელი არა ხარ, გეტყობა!

— მამის წერილი მოგართვით.

— რა ამბავია?!

— არაფერი ამბავი არ არის, მოგვკლა ლოდინმა.

ვახუშტი ფანჩატურში დაბრუნდა. ელენემ არაფერი ჰკითხა.

ვარდენმა უბიდან გაქონილ ტყავში, ტყავისავე თასმით ამოკერილი ვახტანგის ნაწერი ამოიღო, სასწრაფოდ გახსნა. წერილის კითხვის დროს ვახუშტის სახე ეცვლებოდა, ელენე სახეში მისჩერებოდა. — „ორი თვეა განჯაში ვდგევარ, მტკვრის პირას, ჩვენი გამკითხავი კაცი არ არის. ორმოცი ათასი კაცის ასე უქმად დგომა ამდენხანს შეიძლება? პეტრეს ჯარის შესახებ არავითარი ცნობები არ გვაქვს. მოციქულს მოციქულზე ვაგზავნი, მაგრამ ამაოდ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, უკან დავბრუნდე, როგორ დავბრუნდე, ვიდგე და რისთვის ვიდგე? შვილო, შენც კარგად იცი, ქართველი კაცი ამდენ ლაშქრობას ვერ გაუძლებს, ნუზლი შემოგვაკლდა და ხალხი ძალზე შემიწუხდა.

ბაადურ თურქესტანიშვილს მესამე კაცი გავუგზავნე, მივწერე, — გეყოფა ამდენი ტყუილი, მართალი ამბავი მოგვწერე, რაც შენი წყალობით ქრისტიანებს ზარალი დაადგა, სამაგიერო პასუხი უნდა აგო ღვთის წინაშე-მეთქი, მაგრამ პასუხი მაინც არ არის, რა ვიღონო, აღარ ვიცი, გზაზე მრავალი საშიშროებაა, იქნებ ჩემ წერილებს იჭერს ვინმე?“

ვახუშტიმ წერილი დაამთავრა, ხელები ჩამოუცვივდა, ელენეს შეხედა, ელენეს სიმწრით თვალები ცრემლებით ავსებოდა და ბაგეებს იკბილავდა.

დრო კი დაუნდობლად მიდიოდა და გამკითხავი არავინ იყო.

ბიბლიოთეკაში მთელი ღამე უძილოდ გაატარა ვახუშტიმ. დილით ვარდენი შემოვიდა და მოახსენა:

— ივანე ტოლსტოი და ბაადურ თურქესტანიშვილი გეახლენ! — ვახუშტიმ სასწრაფოდ ბრძანა ელჩების მიღება მცირე დარბაზში.

მცირე დარბაზში სათითაოდ შემოიკრიბნენ: კათალიკოსი დომენტი, სულხან-საბა, დედოფალი რუსუდანი და ელენე.

ელჩების მოტანილი ამბავი — პეტრე დიდმა ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადადო, მეხივით გავარდა. ვახუშტი ამ ამბავმა ისე შეაწუხა, შინაურებმა დამშვიდება დაუწყეს.

— რა დაგემართა, შვილო ვახუშტი, განა ისეთი რა მოგვივიდა, როდის იყო ჭირი ჩვენთვის უცხო, არც უპირობაა მოულოდნელი.

ვახუშტიმ ხელები სახეზე აიფარა:

— მამა, რა დღეშია, მამა! — უეცრად წამოხტა, — ვარდენი მომგვარეთ, ეს ამბავი მამას საჩქაროდ უნდა ვაცნობო!

ვარდენი მოიყვანეს, ვახუშტი ბიბლიოთეკაში შეიკეტა, მამის გასაგზავნი წერილი გაამზადა. როცა ვარდენი წავიდა, მხოლოდ მერე მოიხმო ისევ ელჩები და სულხან-საბასთან ერთად დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი. ბაადური თავს დამნაშავედ გრძნობდა და ძალზე ღელავდა. ივანე ტოლსტოიმ დაწვრილებით უამბო ყველაფერი:

— ჩვიდმეტ სექტემბერს პეტრემ გარნიზონი დარუბანდში დატოვა, თვითონ ასტრახანისაკენ გაბრუნდა სატახტო ქალაქში წასასვლელად. ჯარში ეპიდემია გავრცელდა, ფლოტმაც მარცხი განიცადა, წამოსული ოცდაათი გემი ჯერაც არ მოსულა. სურსათის ნაკლებობამ, კლიმატურმა პირობებმა, ჯარსა და ცხენს მუსრი გაავლო — ყველა ამან აიძულა პეტრე დიდი, მომავალი წლისათვის გადაედო ლაშქრობა.

ბაადურ თურქესტანიშვილმა საიდუმლოდ გადასცა ვახუშტი ბატონიშვილს:

— ოსმალეთთან ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. პეტრეც მოსურნე არაა თურქეთის მთავრობასთან მდგომარეობის გამწვავებისა. ოცდაცხრა აგვისტოს სამხედრო საბჭო მოიწვია, რაზეც ყველა მონაწილემ უარყო სამხედრო მოქმედების გაგრძელება. პეტრე დიდსაც მეტი გზა აღარ ჰქონდა და მეორე წლისათვის გადასდო ლაშქრობა.

ვახუშტიმ ვეღარ მოითმინა და ელჩებს აღელვებით მიმართა:

— თქვენ გესმით ჩვენი და მამაჩემის მდგომარეობა? იმის მაგიერ, რომ საქმე საჩქაროდ გადავწყვიტოთ, ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადადეთ, ამით საბოლოოდ წაახდინეთ კარგად დაწყე-

ბული საქმე, ირანის შაჰი სამუდამოდ გადაგვკიდეთ. ამის შემდეგ აღარც ოსმალეთი გვენდობა. ხედავთ, ქართველ ხალხს რა ძვირად უჯდება თქვენზე ზონდობა და თქვენთან მეგობრობა?

არჩევანი გზისა

ქალაქში ხმა დაირხა: მეფე რუსეთს მიდის. რუსის ჯარი უნდა ჩამოიყვანოს თათრების გასარეკადო. შეშფოთებული ხალხი ამ ახალმა ამბავმა კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა. ყველას ეშინოდა უპატრონოდ და უქომაგოდ დარჩენა.

ვახუშტი ბატონიშვილი ვარდენთან ეოთად წიგნებსა და ხელნაწერებს ამზადებდა წასაღებად. ვახუშტი ბატონიშვილმა თვალები დახუჭა, შეეცადა ფიქრის კარები ჩაექოლა. ვარდენს მიმართა.

ვარდენმა უნმოდ შეხედა გაფითრებულ ბატონს და არა უთხრა რა.

ვახუშტი ბატონიშვილის ფიქრის კარები კვლავ გაიღო და შეშოდგომის შეყვითლებულ ფოთლებივით აფრიალდნენ მოგონებები: — „ბრდღვიალობენ შავხალიან ყაყაჩოებით ალმოკიდებული ქართლის ველები, ცელი ცისკარივით ელავს მზის სხივზე და შორს, შორს ისმის სიმღერა პურის მკელებისა. ხმა შეწყდა და პურის ყანებში ნამდვილი ცეცხლი აბრიალდა. ეს მტრის მიერ გაჩენილი ცეცხლია, ოსმალები პურის ყანებს წვავენ. ეს რაღაა, რად ტირის ვაზი? მტერი შესევია ქართლის ზვრებს, მისი ელვარე მახვილი ტრიალებს ირგვლივ, დაკრილი ვაჟკაცის მკლავებივით ყრიან ძირს მტევნებით დახუნძლული ლერწები".

მსახური ფეხაკრეფით შემოვიდა, ვახუშტი ბატონიშვილს ფიქრი შეაწყვეტინა.

— ბატონიშვილო, კახეთიდან თამარი გეახლათ, თქვენი ნახვა უნდა სასწრაფოდ.

— თამარი?! — წარბი შეიკრა ვახუშტი ბატონიშვილმა.

თამარი შემოვიდა, ვახუშტი ბატონიშვილმა ორივე ხელი შეაგება საყვარელი დის გამოწვდილ ხელებს და გულში ჩაიკრა ათრთოლებული თამარი.

— თამარ, აქ საიდან გაჩნდი ასეთ არეულობაში!

— მსახურის ამარა წამოვედი, არ შემეძლო დედ-მამა არ მენახა

გაპირვების ჟამს. პირველად შენ გინახულე, შენთან ლაპარაკი მინდოდა მარტოს. — ღელავდა თამარი, ნაბადი მოიხსნა და იქვე შიაგდო. — კახეთს ხმამ მოაღწია, დედაწულიანად მიდისო მეფის კარი რუსეთს.

— მართალი უთქვამთ, დაო ჩემო, ასეთია მამის სურვილი.

— რას ამბობ, ვახუშტი, არც ერთ მეფეს საქართველოსას დედაწულიანად არ დაუგდია ქვეყანა.

— მეფეს დიდი იმედები აქვს პეტრე დიდისა, დარწმუნებულია, რომ მალე დაბრუნდება თავის ქვეყანაში რუსთა დიდძალი ჯარით.

— ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოს! ღვთისმშობელო დედავ, გაუმართლე იმედი მეფეს, მაგრამ!..

— ამასვე ჩააგონებენ რუსთ მოციქულნი და ჩვენი ხალხიც ამ აზრისა არის.

— ბატონი სულხან-საბა რას ფიქრობს?

— ეჰ, რას იფიქრებს, უმწეობა ჩვენი ყველაფერს გვაფიქრებინებს. სულხან-საბამ ევროპის იმედი დაკარგა, ახლა ისევ რუსეთისაკენ დაიწყო მზერა.

— ვახუშტი, დედაწულიანად აყრა და წასვლა?! — ხმა ჩაუწყდა თამარს, — სად მიგყავთ ამდენი ხალხი?

— ყველა თავისი სურვილით მოდის.

— თავის მეფეს უჯერებს ხალხი. ამიტომაც მართებს მეტი სიფრთხილე მეფეს.

— დიდი პეტრეს იმედი აქვს მამას და, მგონი, არ უნდა ცდებოდეს.

— დიდი პეტრეს იმედი არ არის ცუდი საქმე, მაგრამ მეფეები ყოველთვის თავის სახელმწიფოთა ინტერესებს ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე სხვისას. თუ ჩვენი ქვეყნის ინტერესები შეეჯახა ოსმალთა და სპარსთა ინტერესებს, თვით პეტრე დიდიც უკან დაიხევს და უპირატესობას უფრო ძლიერ სახელმწიფოს მისცემს, თუგინდ ეს მის პირად ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. გახსოვს, მამა რამდენ ხანს ელოდა პეტრე დიდის ლაშქარს და ბოლოს იძულებულ• გახდა ხელმოცარული დაბრუნებულიყო!

— იმედი ვიქონიოთ, აღარ განმეორდება ეგ საშინელება.

— რითა ვცნათ, ვის მხარეზეა სიმართლე?

— ბედის.

— ნეტავ მას, ვინც განერიდება ღვთის წყრომასა და ხალხის წყრომას. ვაითუ მომავალში არ გვაპატიონ არჩევანი გზისა.

— მეფე ორჯერ გახდა იძულებული, გასცლოდა თავის ქვეყანას, ორჯერვე თავი გველეშაპებს ჩაუგდო ხახაში. რუსეთი მშვიდობიანი ქვეყანაა, იქ საფრთხე არ არის მოსალოდნელი.

— თვით წავიდეს, დედაწული და ამდენი ხალხი რად უნდა?

— რუსეთში თავს არავის მოჰკვეთენ, არც შანთებით აწამებენ ვისმეს და ეს ათამამებს ხალხს.

— რად ფიქრობს მეფე, რომ რუსთა მეფე, დიდი პეტრე, უპირატესობას ჩვენ მოგვცემს და არა სპარსეთსა და ოსმალეთს?

— სჯულის ერთობა გვაფიქრებინებს.

— ოსმალეთთან ნელშეკრულების დადების დროს განა საქართველო განსხვავდება სხვა ხალხებისაგან?

— მამას იმედი აქვს, პირადად რომ ნახავს პეტრე დიდს, დაარწმუნებს თავის უმწეო მდგომარეობაში. პეტრე ლაშქარს გამოატანს.

— მუდამ ჭკვიანი და გამჭრიახი მამა აქ მეტად გულუბრყვილოდ მეჩვენება.

— სპარსეთის, ოსმალეთის და რუსეთის, სამი დიდი სახელმწიფოს წინაშე ვდგავართ, თამარ!

— ჩვენი ხალხი ოღლ გზას არასოდეს ირჩევდა. შენი ვალია, ვახუშტი, მამას ჩააგონო...

— უძლური ვარ, დაო ჩემო, ბაქარი დიდად ეწინააღმდეგება მამას, მაგრამ, არ გაუდის, ჩემი ახირება უადგილო იქნება. როგორ წავიდე აქედან, იქნებ აღარასოდეს' მეღირსოს ჩემს ქვეყანაში დაბრუნება!

თამარს ცრემლი მოერია ძმის სიტყვებზე.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ძმაო, წავალ, დედასა და მამას ვნახავ.

თამარი გავიდა. ვახუშტის ოთახში გული აღარ დაუდგა. გარეთ გამოვიდა. მოწმენდილი ღამე იყო. გორს მთვარის მკრთალი შუქი დანათოდა. გარშემო ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა, ვახუშტის გული შეეკუმშა: „ადამიანო, რა გინდა, ადამიანო? ხედავ, როგორი მშვიდობიანი ქვეყანა გაბარია, რა გინდა ადამიანო?"

„მართალია მამა?" — ეს მერამდენედ ეკითხება თავისთავს ვახუშტი. ბევრია მამის წინააღმდეგი. ვახუშტის არ უნდა თვითონაც წინ აღუდგეს მამის სურვილს და ჩუმად არის.

ბაქარი სულ ცეცხლს იკიდებს. ყველას ჩასჩიჩინებს: უთხარით მამას, ნუ დავტოვებთ გაჭირვების ჟამს ქვეყანასო. მაგრამ მამას მტკიცედ სწამს პეტრე დიდის დაპირებანი. დარწმუნებულია, პირადად რომ ნახავს, მალე დაბრუნდება თავის ქვეყანაში და გაჭირვებიდან იხსნის ხალხს.

„მართალია მამა, სარწმუნოა მისი ფიქრები, თუ მხოლოდ ფუჭი ოცნებაა?!

ამდენი ხალხით წასვლა?

ხალხი ენდობა მამას, ხალხს უყვარს მამა?!"

„ხალხი გენდობა და უყვარხარ, მით უფრო გმართებს სიფრთხილე!" — გაახსენდა ბაქარის წუხანდელი შეძახილი.

სწორადა სჯის მამა?

იქნებ ბაქარია მართალი?!

მაშინ?!

ვის დაუჭიროს მხარი ვახუშტიმ, გული რად შემოკვნესის?! იქნებ უმჯობესია ბაქარი აქ დარჩეს. თვითონაც რა სიამოვნებით დარჩებოდა, მაგრამ მარტო სად გაისტუმროს განაწამები მამა?!

მოძღვართმოძღვარი სულხან-საბაც მამის მხარეზეა, ძია დომენტიც.

ეჰ, ვინ იცის, რომელი გზა უფრო სწორია?!

მუდამ სარჩევი ჰქონდა ქართველ ხალხს თავისი გზა.

რომელ გზაზე სჯობს სიარული?!

რამდენი კითხვაა გადასაჭრელი!

გზა ასარჩევი?

მამა ხომ მარტო თავისთავისათვის არ ირჩევს გზას. მამამ ხალხს უნდა აურჩიოს ცხოვრების გზა, მომავლის გზა.

მამას მრავალი საბუთი მოჰყავს თავისი არჩეული გზის გასამართლებლად.

„სანამ იქედან ჩვენს ხალხს მოვიყვანდეთ, აქაურობას სრულიად გაანადგურებს კრიჭაში ჩამდგარი მტერი", — არ ასვენებს ვახუშტის ბაქარის გაცხარებული სიტყვები.

რუსუდანი შეუჩინა ვახტანგმა ბაქარს მოსათვინიერებლად.

ვახუშტიმ გადაჭრით ვერ გადაწყვიტა გზის არჩევანი. „ყველა გზას გააჩნია ხინჯი", — ეჭვის ჭია არ ასვენებს ვახუშტის.

განა ცოტა ხანს ელოდა მამა მაშველ ჯარს განჯაში?!

იქნებ ისევ გაძნელდეს საქმეები.

ეს დაუსრულებელი შორი გზაა, როგორ დაადგნენ ამ შორეულ

გზას დედაწულიანად. ეს განწირვას ჰგავს, მაგრამ მამას ამის გაგონებაც არ სურს: — ერის, ქვეყნის, ხალხის გადარჩენაზე ვზრუნავ, ჩვენი დედაწული რა სახსენებელიაო.

— უპატრონოდ რჩება, ბატონო, ქვეყანა, ნუ მოგვისპობ თქვენს პატრონობას! — კვლავ შებედა იმ დღეს რაჭის ერისთავმა შოშიტამ.

— ქვეყანას პატრონი მინდა გავუჩინო, მფარველი მინდა გავუჩინო, ამიტომ ვისწრაფი დიდი პეტრესაკენ, მხოლოდ მის ძლიერ ხელს შეუძლია ახლა ჩვენი დახსნა.

— შორია, ბატონო, სანამ პეტრე დიდი მოგვეშველებოდეს, აქ ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ.

— უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდეთ, ეს ჩვენ ცდაზეა დამოკიდებული.

— ვინ იცის?!

— მჯერა პეტრე დიდისა და მისი სამართლიანი სიტყვის.

„დავბრუნდებით კი?" — ჩასძახა ვილაცამ ვახუშტის, ეპვის ჭიმ გველივით გაიკლაკნა და ფიქრები თავის ქვეყანაზე გველის თვალებისაგან მონუსხული ჩიტივით უმწეოდ აფართხალდა, ხან აქეთ ეცა, ხან იქით და კვლავ გადაუჭრელი დარჩა კითხვა — „დავბრუნდებით კი?" ამ კითხვამ ცეცხლი მოუკიდა ვახუშტის, თვითონაც აწრიალდა. კითხვას პასუხი ვერ მოუძებნა. რა ქნას? ვის შესთხოვოს, ვის ჰკითხოს?

დავბრუნდებით კი?

ვახუშტიმ მიმოიხედა. ამ კითხვამ საშინელი უსუსურობა აგრძნობინა. აქ ყოველი ხე და ყოველი ბუჩქი თავისი ქვეყნის მწარე დღეებსა და სიხარულზე მოუთხრობდა და საუკუნეობით ინახავდა ამ დღეთა საიდუმლოებას.

„იქ!

იქ, უცხოთა ქვეყანაში!

ნუთუ პაპა ლევანივით და გიორგი XI-სავით სხვათა ქვეყნის მიწა მიეყრებათ?"

ვახუშტი შეზარა ამ ფიქრმა. ვის შეევედროს? თვალებით ზეცას ახედა. მიწაზე დაეცა, ხელებით ფხოჭნა დაუწყო და ჩასძახოდა:

„ჩემი ქვეყნის წმინდაო მიწავ, შენ მისმინე, შენ შეგვივრდომე და კვლავ გვაღირსე ჩვენს ქვეყანაში დაბრუნება, შენ მოუხმე მამასა ჩემსა. შენ დაუძახე ყოველ ჩვენგანს და კვლავ მოიხმე თავის მიწაზე".

მარიამის. ხელის სითბო შეიგრძნო ვახუშტიმ.

— მამა გიხმობს, ვახუშტი!

ვახუშტიმ ხელი ჩაჰკიდა მარიამს და სასახლისაკენ წავიდნენ. რა ძნელი იყო ამ მანძილის გავლა, გოლგოთაზე ასასვლელ გზასავით მძიმე. ვახუშტი შედგა, ხელები ზეცისაკენ აღმართა:

— ღმერთო, ქვეყანავ, ხალხო და შთამომავლობავ, გვაპატიე, თუ ვცდებით მომავლის გზის არჩევაში.

უკანასკნელი გადასასვლელი

1724 წლის 15 ივლისს მეფემ თავისი ამალით საქართველო დატოვა.

ნელა, სულ ნელა მიედინებოდნენ ლტოლვილნი დაუსრულებელ გზაზე, არც ცრემლი, არც სიმღერა, არც ლაპარაკი. ბალღებიც ჩუმად იყვნენ. მიდიოდნენ ლტოლვილნი და ჩამავალი მზეც ნაღვლიანად ანათებდა მათ სავალს. ყველას თავი ჩაეკიდა, ყველა მიწას ჩასჩერებოდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

მეფე ვახტანგი მხნედ გამოიყურებოდა, გასცქეროდა დაუსრულებელ გზას, შორს, სადღაც უსასრულობაში, იმედის სხივს ხედავდა.

დადუმებულ ვახუშტის მარიამი ხმის გაცემას ვერ უბედავდა.

ვახუშტი ჩამორჩა ლტოლვილთ, ქარავანს უკან მოექცა. თვალები დახუჭა, თავმიშვებულ ცხენს მინებებოდა დარდით სავსე მხედარი. ცხენის ფეხის ხმამ შეაკრთო, თვალი გაახილა. გვერდით ბაქარის ცხენი მოსდევდა:

— გეძინა, ვახუშტი?

— რა დამაძინებს!

ბაქარს გული შეეკუმშა, ძმას აკანკალებული ხმით უთხრა:

— ეს უკანასკნელი გადასასვლელია, ვახუშტი, ამის შემდეგ სხვათა მიწაზე ვივლით მუდამ, ვინ იცის, გვეღირსება კი ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმა?!

— ჭრილობას რად მიხსნი, ძმაო!

ბაქარს ძმის სიტყვები აღარ გაუგონია, ცხენი ადგილს მოსწყვიტა, სწრაფად გაჩნდა ქარავნის წინ. ორივე ხელი ზე აღმართა და განწირულის ხმით შეჰყვირა:

— ხალხო! სად მიიჩქარით, შეჩერდით, ხალხო! ეს ღამე მაინც გაატარეთ თქვენს მიწაზე! ხედავთ, რა მცირე მანძილია და სამუდამოდ გადახვალთ უკანასკნელ გადასასვლელზე!

ვახუშტის გაუელვა: დავეწევი და შევაჩერებ სასოწარკვეთილსო, მაგრამ ძალა არ ეყო, ხელები ჩამოუცვივდა, ცხენი კვლავ თავის ნებაზე მიუშვა.

მეფე ვახტანგმა შეხედა შვილს, ლტოლვილთა სავალ გზაზე რომ იდგა. მიხედა, შვილის დარდს საზღვარი არ დაედებოდა და დაბანაკება ბრძანა.

მცირე თათბირიც ბრძანა მეფემ.

ფეხათრევით შეგროვდნენ თავჩაკიდებულნი. ვერ უშველათ მეფე ვახტანგის მჭევრმეტყველებამ. მუნჯებივით ისხდნენ. სიტყვა ვახუშტიმ ითხოვა:

— მამავ ბატონო, ნება მიეც შენს ხალხს, ეს საბედისწერო ღამე თავის კარავში, თავის ცოლ-შვილთან გაატაროს. არის ჟამი, როცა სიტყვა უძლურია ადამიანთა სანუგეშებლად!

არავის არაფერი უთქვამს, არც ბრძანება გაუცია ვისმეს. ყველამ დაბანაკება დაიწყო.

ვახუშტიც თავის კარავში წავიდა. თავის დარდთან უნდოდა დარჩენა. ბიჭებს ეძინათ, მარიამი ფხიზლობდა. ვახუშტი არც იმას შეეხმიანა. მოფარდაგულზე დაჯდა, ხელებს დაეყრდნო. „ნუთუ უკეე სჯის მამის გადაწყვეტილებას ხალხი?!". ალმოდებული თბილისი აელანდა. გიზგიზებდა, იწვოდა თბილისი. დაჭრილთ ჩუმი კვნესა ისმოდა. მოხუცთა გოდება, ბავშვთა ზრიალი. იწვოდა უპატრონოდ დაგდებული ქალაქი. მამის ხმა ჩაესმა:

„როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს, შვილო. დახლართულია ჩვენი გზა, ამ დახლართულ გზებს შორის ისე უნდა იარო, არც მწვადი დასწვა და არც შამფური".

„დიდი სიფრთხილე გვმართებს, მამავ ბატონო, სამ ეეშაპს შორის სწორი გზა მოვნახოთ, ამდენ ბოროტებას შორის, ყველაზე ნაკლები ბოროტება აეირჩიოთ".

„ცბიერებაზე, ორპირობაზე, გამცემლობაზე, ერთმანეთისადმი უნდობლობაზეა ავებული ოსმალეთისა და სპარსეთის ძლიერება. მათი ნდობა არ შეიძლება. ერთგულებასა და ღვაწლს მათთან არავითარი ფასი არა აქვს".

„ნდობა ყველა სახელმწიფოსი ძნელია, მამავ ბატონო, როგორც კი შენი ინტერესები მისას შეუპირისპირდება, ის გაიმარჯვებს, ვის შხარესაც დიდი ძალაა. ძნელია, ქვეყანასა ზედა იპოვო ისეთი მოკავშირე, რომელთა სურვილი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა არ იქნება".

„უპირველესი საწადელი ჩვენი არის ძლიერი მოკავშირის პოვნა, რათა დროებით მაინც დამშვიდდეს ქვეყანა. ასეთ მოკავშირედ რუსეთს ვხედავ მხოლოდ".

ვარდენმა კარვის ფარდა ასწია, ვახუშტის ფიქრი შეაწყვეტინა.

— ბატონიშვილო, გადიას უშველეთ!

— რა მოხდა?!

— კვდება გადია თქვენი!

ვახუშტი წამოვარდა, გარეთ გამოსულმა დაინახა, ცის კარი განთიადს შემოეღო და ქურდულად იპყიტებოდა.

თვალებდახუჭულ გადიას სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა. ვახუშტი შესასვლელში გაშეშდა, გადიას მარიამი მივარდა. თავი აუწია, დამფრთხალ მსახურებს მიაძახა:

— ჩქარა. რძე და ვარდისწყალი მომიტანეთ ჩემი სამყოფელიდან!

გადიამ თვალი გაახილა, სახეზე მწარე ღიმილმა გადაუარა, მარიამს მშვიდად უთხრა:

— შვილო მარიამ, მე აწი ვეღარაფერი მიშველის!

— რათა გადიავ, რათა?! — ჩასძახა მარიამმა.

— ცოტა დრო დამრჩა, ჩემს გაზრდილთან დამტოვეთ მარტო!

კარვიდან ყველა სასწრაფოდ გაიკრიფა. ვახუშტიმ გადიასთან ჩაიჩოქა. ჩასჩურჩულა:

— რა იყო, დედა?!

ამ სიტყვამ შეაკრთო გადია, წამოიწია, სიყვარულით გაუღიმა თავის გაზრდილს. ვახუშტიმ ხელი შეაშველა.

— დიდხანს ველოდი მაგ დაძახილს და აი, სიკვდილის წინ ამიხდა ნატვრა. შვილო ჩემო, ჩემო ერთადერთო შვილო, დამილოცნიხარ გრძელ გზაზე მავალი. დიდებას, დიდკაცობას, სახელს ვხედავ შენს გზაზე, შვილო ჩემო, მაგრამ ვაი, რომ შენს ქვეყანაში დასაბრუნებელი ბილიკები ქვასა და ღორღს ჩაუფარცხავს.

— ერთად დავბრუნდეთ, დედა!

— ჩემ თბილისში ვინღა დამაბრუნებს, მაგრამ არც ჩემი ქვეყნის მიწას გადავაბიჯებ, ვახუშტი! თუ ოდესმე შენს ქვეყანაში დაბრუნება გიწერია, ჩემი საფლავი დაიხსომე, მოდი და საფლავში ჩამომძახე, იქაც გამეხარდება.

მზემ პირველად გაუცინა დედამიწას, როცა გადიას თავისი ქვეყნის მიწა მიაყარეს.

მთელი ქარაყახი ცხარე ცრემლით დასტიროდა გადიას. მასთან ერთად ტიროდნენ თავის ქვეყანას — მიტოვებულს, აოხრებულს. მუხლი მოიყარეს, თავის მიწას ჩასძახეს:

— ნუ გაგვწირავ, დედაო მიწავ, კვლავ გვიხმე, შეხი უბე განგვიმზადე განსასვენებლად!

— ღმერთო ძლიერო, დაიცავი ჩემი ხალხი, აღირსე თავის ქვეყანაში ძლევამოსილად დაბრუნება! — გაისმა მეფე ვახტანგის ღაღადისი.

დიდი სევდა

არ დაეძინა ვახუშტის, ცეცხლის ალში გახვეული თბილისი ელანდება.

იწვის თბილისი. ცეცხლია სიონში, ქაშვეთში, მამადავითზე.

გარბიან თბილისის მცხოვრებნი, ტყეს ეშურებიან, მეფეს წინ ეღობებიან, ცხენს ფეხქვეშ უვარდებიან, შესთხოვენ:

— არ დაგვტოვო, მეფევ!

— არ ჩაგვყარო ურჯულოთა ხელში!

— არ წახვიდე, მეფევ!

— არ მიატოვო შენი ხალხი!

— თქვენს საშველად მივდივარ, ხალხო!

— არა, მეფეო, რუსთა მოსვლამდე აქ ურჯულოები ქვას ქვაზე აღარ დასტოვებენ!

— ჩამომავლობა არ გაპატიებს, მეფეო, ხალხის მიტოვებას. — თეთრწვერა მოხუცს მეფის ცხენისათვის ხელი ლაგამში ჩაუვლია და არ უშვებს. ვახუშტიმ მამას შეხედა, მამა გათეთრებული ზის ცხენზე.

წამოდგა, არც სხვებს ეძინათ. ბაქარს მიუახლოვდა. — არც შენ დაგეძინა, ბიჭო?

— გაიგონე მოხუცის სიტყვა? — ჩამომავლობა არ გაპატიებსო.

— ეგ ჩვენს გამარჯვებაზეა დამოკიდებული, ბაქარ, თუ გავიმარჯვეთ გეპატიებს.

— თუ ვერ გავიმარჯვეთ?

— შებრალებით მოსაგონებლადღა დავრჩებით მუდამ ქიმს.

— ყველა ჩვენს წინააღმდეგ შეიკრა: შაჰი, ხონთქარი, ოსნი, ლეკ-ნი, ჩვენსავე მოძმეთაც ეშმაკი შეუჩნდათ, ღალატზე ფიქრობს ყველა. დახმარების ხელი არავინ გამოგვიწოდა, არც საფრანგეთმა, არც რომმა. მაშ, რისი იმედი გაქვთ? რუსეთის მეფე ჩვენი ქვეყნისათვის უანგაროდ' დაღვრის სისხლს?! — ცხარობს ბაქარი.

— რა გინდა, შვილო? — მამის ხმამ ძმებს საუბარი შეაწყვეტინა.

— სად მიდიხარ, მამა, სად მიგყავს ამდენი ხალხი? საქართველოში დარჩი, აქ დაეიხოცოთ, ის სჯობია, უპატრონოდ ამდენი ხალ-ხის მიტოვებას, წასვლა ადვილია, დაბრუნება ძნელი. თავის ქვეყა-ნას მოწყვეტილი კაცი ვერ გაიხარებს.

— რას ამბობ, შვილო, ვინ გითხრა, სულ მივდივართ? პეტრე დი-დის მეფურ სიტყვას როგორ არ ვენდო?

— რა მალე დაივიწყე, მეფევ ბატონო, განჯა?

— პეტრე დიდი გარე დაბრკოლებებმა იძულებული გახადა, თავის დაპირებები შეეცვალა.

შოშიტა ერისთავიც დიდხანს ემუდარებოდა მეფეს:

— ბაქარი დააბრუნე საქართველოში, სულ უპატრონოდ ნუ დააგ-დებ ქვეყანას. დამიჯერეთ, სამჯობინარი არის, თუ თქვენი შვილი სა-ქართველოში იქნება, სხვათა ქვეყანაში უფრო ძალიანობაც გამო-გიჩნდებათ და უფრო დიდურადაც მოგეპყრობიან.

ქვა ააგდო ვახტანგ მეფემ, არ შეიგონა შოშიტას რჩევა.

— მეფევ ბატონო, უკანასკნელი თხოვნა მაინც შემისრულე, ოსვთა მიწაზე შენი ამალის მშვიდობიანად მგზავრობა მე მომანდე.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავმა შოშიტამ ოსვთა ბელადების მძევ-ლები თავის სამკვიდროში ჩამოლალა, არავინ უწყის, რამდენი თეთ-რი გაიღო შოშიტამ ოსვთა სასარგებლოდ, რომ ქართველნი უენებ-ლად გაეტარებინათ თავის ქვეყანაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა შოშიტას ციხე-დარბაზში ვახტანგ მეფის იქ ყოფნის ჟამს.

შუაღამეზე ციხე-დარბაზის შესასვლელში ხმაური ატყდა, ვილაც შემოშვებას ითხოვდა.

შედრკა შოშიტა. მეფე და მისი კარი ციხე-დარბაზში ჰყავდა, ახლა რომ ვინმე თავს დასხმოდა, ამ სირცხვილს ქვეყნის წინაშე ვე-რასოდეს მოირეცხავდა. ერთგული შინაყმა საიდუმლო გვირაბით

გაატარა. დალანდეო, ეინ მიმტვრევს კარს ამ შუაღამით. შინაყმა მალე დაბრუნდა.

— შავით თავმობურული ქალი გახლავთ და ერთი მოხუცი. მთლად გარემო მოეჩხრიკე, სულიერი არ ჰაჰანებს არსად.

შოშიტამ კარი გააღო, შემოუშვა შავოსანი ქალი და მოხუცი.

— შოშიტა ბატონო, მოწყალება მოიღე, შემახვედრე ქართლის მეფეს, გზააბნეული გზად დამაყენოს და მიწინამძღვროს.

შოშიტამ წამით თვალი დახუჭა, ძლივს შეიკავა სათქმელი — რა უნდა გიწინამძღვროს თვითონაც გზააბნეულმაო. თავი გააქნია, ეს რა მკრეხელი აზრი გაუჩნდა მეფისადმი ბედშავს, წარბი შეიკრა, მეფის სამყოფელს მიაშურა.

ფეხთით ჩაუვარდა ვახტანგს შავით მოსილი ქალი, თავსახურავი მოიხადა, შოშიტამ წამსვე იცნო იმერთა ყოფილი მეფის ბაგრატის ასული ნინო. ძლივს დაიოკა სურვილი, მიეროდა, ფეხზე წამოეყენებინა მეფის ასული.

— მეფევ ბატონო, თან წამიყვანე რუსეთს, მიშველეთ რაიმე, აღარ დამედგომება იმერეთს, მეშინია, იქნებ გელათის მონასტერმაც ვეღარ დამიცვას მე ბედდამწვარი.

ვახტანგმა ნაადრევად გათეთრებულ თავზე ხელი გადაუსვა ნინოს და გულში ჩაიკრა, არაფერი უთქვამს არც ბრძანება გაუცია რაიმე.

შოშიტას მიერ გამოტანებული ოსვთა მძევლები მიუძღოდნენ წინ ლტოლვილ ქართველებს. ხმას არავინ იღებდა. სამშობლოს საზღვრის დატოვების დიდი სევდა ყველას თან სდევდა.

მიდიოდა ვახუშტი. ვერ ამჩნევდა, რა ხდებოდა გარშემო. გადიას მიტოვებული საფლავი ელანდებოდა, იქნებ სწორი იყო გადიას გადაწყვეტილება იმ ადამიანისათვის, ვისაც მარტო თავის სიცოცხლე ებარა. საქართველოს მეფის კარმა რა იღონოს, თავისი და სხვათა ბედ-იღბალი რომ აბარია.

ღამის გასათევად დაბანაკდნენ. ხვალიდან კავკასიონის მაღალი მთები უნდა გადაელახათ.

ვახუშტის უძილობა დაჩემდა, თვალს ლული არ მიეკარა, გასცქერის მიუვალ კავკასიონს. ღმერთო, როგორ გადალახავს ამ ჯოჯოხეთს დედაწული, რამდენი შეუძლია ადამიანს უბედურების ქამს-

საწოლი ქვად გადაიქცა ამ უძილობის დროს, წამოდგა, ცხენებს მიაშურა.

უეცრად ცხენებმა ქერის ხრამუნი შეაჩერეს და უცნაურად შეტოკდნენ, ვახუშტიმ იგრძნო, კარგს არას მოასწავებდა ეს შეტოკება, ყური მიუგდო, ვიღაცის ჩურჩული მოსწვდა სმენას.

— აუშვი, ბიჭო!

ვახუშტი წამით შესდგა. იყვიროს? უნდა მთელი ბანაკი აიშალოს, ძილი დაუფრთხეთ გრძელ გზაზე მიმავალთ. ვახუშტიმ ჩუმად წაისისინა:

— დააგდე მახვილი! — ცხენის აღვირის გასაჭრელად გამზადებული ხანჯალი წკრიალით დავარდა ვახუშტის ფეხთან, წინ წაიწია და ცხენის წასაყვანად მოსული მკლავებში მოიქცია.

— არ იყვირო, თორემ მთელი ქარავანი წამოიჭრება და ჩაგქოლავენ. შეშინებული ოსი თვალებში მისჩერებოდა, ვიღაც შლიგინით სცილდებოდა ბანაკს, ჩანდა, მეორე გარბოდა. ვახუშტიმ ტყვე განათებულ ადგილას გაიყვანა. სთხლიშა, წასაქცევად გამზადებული მეორე ხელით შეაჩერა, ახლა მეორე ყბაში სთხლიშა.

— წაბრძანდი, გახსოვდეს, უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანის ღალატს ღმერთი არ გაპატიებს.

მობრუნდა.

წინ ბაქარი აესვეტა.

— მაგ წუწკებს არ ეყოთ შოშიტას ოქრო-ვერცხლი?

— ვინც ოქრო-ვერცხლით მოისყიდება, განა ის სანდოა?

— მტერი და მოყვარე ერთმანეთში აირია, ვინ რაღა იცის, სად არის ნდობა და უნდობლობა?

— ნდობა და უნდობლობა, ნდობა და უნდობლობა განუყრელნი არიან მუდამჟამს, ძმაო ბაქარ!

დილით ადრიანად შეუდგნენ კავკასიონის მაღალ მთებს. რა გადალახავს ამდენ ქვესკნელსა და უფსკრულს!

მთის მდინარეს მიადგნენ, კლდეთა შორის ლაღად მოჩხრიალეს.

სახელდახელოდ დაიწყეს ხიდის აგება. პირველად მეფემ და მისმა ძმებმა მოსინჯეს ხიდი, მერე დედაწული გადაბარგდა.

— ხიდის გამაგრებაა საჭირო! — დაიჟინეს ოსეთა მძევლებმა, ხიდქვეშ შეძვრნენ. უეცრად ლაწანი მოისმა, ხიდი ჩაიშალა, სახტად დარჩენილი ეახტანგის ამალა მთის მდინარის ორსავე მხარეს დარჩა გაფანტული.

— ნეტავ მე დავრჩენილიყავი გაღმა, სამშობლოსაკენ მოვკურცხლავდი! — ჩაესმა ვახუშტის ბაქარის ჩურჩული, გაოცებულმა ძმას შეხედა. საკუთარი ფიქრები აუწყა ძმის სიტყვებმა, შეკრთა, მიიხედ-მოიხედა.

— რას ამბობ, ბაქარ? — ბაქარს ბაგეები მოეკუმა, ძმას მკაცრად მისჩერებოდა.

ტყეს შეფარებულმა შოშიტა ერისთავის მძევლებმა ახლა თვითონ მოითხოვეს მძევლები და ფული.

— აეკუწავ მოღალატეებს! — ხმალზე ხელი გაივლო ბაქარმა.

— რას ამბობ, შვილო, მათ მიწა-წყალზე ვართ ორად გაყოფილნი, დედაწულიანად ამოგვწყვეტენ, ვინ არის გამკითხავი.

ძმამ და მეუღლემ ძლივს დააშოშმინეს ბაქარი.

— მოიცათ, უფროსებს დაფიქრების უფლება მოგვეცით! — ბრძანა მეფემ.

მეორე ნაპირზე ჩოჩქოლი ატყდა, სულხან-საბას ძმა დიმიტრი ორბელიანი წინ წამოდგა.

— ძმებო, მე წავალ მძევლად, ფულსაც მივართმევ მეგზურებს! — ამრიგად გახდა დიმიტრი ორბელიანი მძევლების მძევალი.

ქარავანმა ძლივს ააღწია მაღლა. გზა თანდათან ძნელდებოდა, ხევში ზვავი ჩაწოლილიყო, ცხენები მუხლებამდე ეფლობოდნენ. თუ არ აჩქარდებოდნენ, დალამება მოუსწრებდით, არც აჩქარება ხერხდებოდა. ჩამოქვეითდნენ მოქარავნენი, ცხენებს წინ წაუძღვნენ, ყიჟინით ამხნევებდნენ.

ამინდი თანდათან გაუარესდა. სამხრობისას ღრუბელმა მთლიანად ჩამოაბნელა ხევი, კოკისპირულმა წვიმამ სასოება წარუკვეთა ლტოლვილთ. ფერდობებზე ლამაზად მოწინწკირე ნაკადულები აზვირთდნენ, გაგოროზდნენ და წალეკვით დაემუქრნენ ყველაფერს.

მხოლოდ მეფე არ ეპუებოდა გზის სიძნელეს, მხნედ გამართული იჯდა ცხენზე, წინ ისე მიიწევდა, თითქო უკვე ხედავდა საამო შედეგს, თავისი ამალის ეგოდენი გაჭირვებული მოგზაურობის დასამშვიდებელს.

ვახუშტი თვალს არ აცილებდა მამას, იმედის სხივი, რომელიც მამას სახეზე გადაჰფენოდა, მასაც უთბობდა გულს. მამა თავისი მხნეობითა და შეუპოვრობით ამხნევებდა ლტოლვილთ. მართალია მამა, ყველას მხნედ უნდა გვეჭიროს თავი, თუ შედრკა, ლტოლვილთ დაღუპვა გარდაუვალია. ვახუშტიმ თავი გაიქნია, ლომივით შეიფერთხა

დასველებული სხეული, მხნედ შეუძახა თავს და ამ თქეშ წვიმაში კაისმა მისი ომახიანი სიმღერა. ვახტანგმა მადლობის თვალით შეხედა შვილს. რამდენი ხანია ალარ გაუგონია ვახუშტის სიმღერა. ღმერთო, სიმხნევეს ნუ დაუკარგავ ჩემს ხალხს.

ვახუშტიმ მამის ბედაურს თავისი ცხენი ამოუყენა და ამ თქეშ წვიმაში სიმღერით გაუძღვნენ წინ თავის ხალხს. უეცრად გვერდით მარიამის წკრიალა ხმა ჩაესმა, მარიამი ცხენდაცხენ დასდევნებოდა თავის ვახუშტის და ისიც მღეროდა მასთან ერთად. იამა ვახუშტის მარიამის საქციელი: ღმერთმა გამზრდელი გიკურთხოს, ჩემო მარიამ.

უეცრად მთელმა ქარავანმა იქუხა და ჭექა-ქუხილისა და გაავებული ხევის ხმაური დაფარა ქართველ ლტოლვილთა იმედიანმა სიმღერამ. აჭიხვინდნენ ცხენებიც, იმათაც ძალა მოიცეს. ლტოლვილებმა მედგრად შეუტიეს ფერდობს.

ბუნებას სძლია ლტოლვილთ მხნეობამ. წვიმამ გადაიღო. დამარცხებული ბუნება დაშოშმინდა, დაწყნარდა.

შემდეგ ჩრდილო კავკასიონის ველები რუს მსედართა თანხლებით გადალახეს და ოცდათერთმეტ აგვისტოს მიადგნენ რუსთა ბანაკს — ზღვის ყურეში მდგარ სოღალის წმინდა ჯვრის ციხეს. ციხის მმართველმა გენერალ-მაიორმა კროპოტოვმა ვახტანგის მობრძანება ზეიმად აქცია. ვახტანგის ციხეში შებრძანებასთან ერთად ქალაქის გალავანზე ასამდე ზარბაზანმა დაიქუხა, მას აპყვნენ მეთოფენი, რომელნიც ლარიონით ჩამწკრიეებულიყვნენ ერთნაირ სამოსში გამოწყობილნი. ბაქარი ვახუშტის ამოუდგა გვერდით.

— არ ჯობდა, მაგ დალოცვილებს ეგ ზარბაზნები და გაწყობილი ჯარი ტფილისს გამოეგზავნათ ჩვენთვის?

— მაშინ იქაურობის დატოვებაც არ დაგვჭირდებოდა, არც ამდენი ტანჯვა-წამება გადაგვხდებოდა, ძმაო ბაქარ.

ორი დღის შესვენების შემდეგ დიდებულთა თათბირი მოიწვია ვახტანგმა. ზემო ქართლის სარდალს ამილახვარს და გამოცდილ დიპლომატს — თურქესტანიშვილს პეტერბურგში გამგზავრება დაავალა პეტრე დიდთან, პეტერბურგში ჩასვლის ნებართვის სათხოვნელად, წერილიც გაატანა:

მე, მეფე ვახტანგი, იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენი წამოსვლა ებრძანებინა ხელმწიფე პეტრეს, და წამოვედით. ჯარი მაიორ-იანარალს გაბრიელ სვიმონიშვილს გამოეგზავნა. ამათი ძლიერებით და გარჯით

უზიანოდ გადმოვედით და აქ, ბედნიერს ჯვრის ციხეში, მოვედით აგვისტოს 31-ს. ვართ აქ მაგათი მლოცველი.

მინდოდა მარტო, სანამდის ზღვა წახდებოდა, ეხლებოდი და მაგათი ფეხის მოხვევნა გვღირსებოდა. მაიორ-იანარალიმაც ხელი მოგვიმართა, მაგრამ რადგან ხელმწიფის ბრძანება აქ არ დაგვხვდა, ვეღარ გავბედეთ და ვართ აქ დიდებულის ბრძანების მაყურებელნი.

ჩვენი გაჭირვება და ჩვენი ქვეყნის ამბავი ამას უწინ ბევრჯერ დიდებულს კარზედ მოგვიხსენებია. მას უკანდელი ამბები წიგნის სიგრძისათვის ამ წიგნში ვერ გავბედეთ. წიგნად ჩემის დის ბატონიშვილის დარეჯანისათვის მიგვიწერია.

ჩვენ ზემო ქართლის სარდალი თავადი ამილახვარი, ვახტანგ ავთანდილიშვილი და თავადი ფრანგისტან დავითის შვილნი გვიახლებია და, თუ უბრძანებენ, ჩვენ სიტყვას ესენი მოახსენებენ. სხვა ნება მაგათი არის.

დილით, გათენებისთანავე ჩრდილოეთის შორეულ გზას დაადგა ამილახვარი და ფრანგისტან თურქესტანიშვილი.

ქართველ ლტოლვილებს დიდი ლოდინის დღეები დაუდგათ.



სიჯა
ბუკე
პოეტი
ფი
სა



შინაურობაში

გარიჟრაჟზე გაიღვიძა ტატომ. ჩვეულებრივ არ წამოხტა საციგაოდ წასასვლელად, ჩუმად იწვა და ოთახს ათვალიერებდა. ფარეშს ბუხარი გაეჩაღებინა, მისი შუქი ნახევრად ანათებდა იქაურობას და ეს მრავალფერს ხდიდა ტატოს ოცნებას: კედელზე ჩამოკიდებულ ერეკლე მეფის სურათს შესჩერებოდა, ცოცხლდებოდა სურათში მეფე, კედლიდან გადმოდიოდა, დაჩოქილი ღმერთს ავედრებდა თავის სამეფოს. კვლავ იცვლებოდა ყველაფერი და ერეკლე მეფე, ქართველი ჯარით გარშემორტყმული, მიმართავდა მათ:

— ქართველებო! ხედავთ, ჩვენი მამულის ასაოხრებლად შეკრებილან ურჯულოები, ჩვენი უკან გაბრუნება არ იქნება. საქართველოს აგვიოხრებენ. გავწყდეთ მამულისათვის! დღეს გადაწყდება საქართველოს ბედი, დღეს გამოჩნდება, ვის უფრო უყვარს მამული, გახსოვდეთ, მეც თქვენთანა ვარ, თქვენი ერეკლე!

— გავწყდეთ! გავწყდეთ! — გრიალებდა ქართველი ჯარი. — გავწყდეთ მამულისათვის, ჩვენს მეფესთან ერთად! შერცხვეს, ვინც ვერ გაიმარჯვოს და ბრძოლის ველიდან ცოცხალი დაბრუნდეს!

მამის ჩურჩულმა გამოარკვია ტატო, მოიხედა — მელიტონი ამდგარიყო, დილის ლოცვას ამბობდა:

— ღმერთო დიდებულო! შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებ ჩვენ. — დაამთავრა მელიტონმა ლოცვა და ეფემიას მიმართა:

— საჯინიბოში წავალ, ვნახავ, მოამზადეს თუ არა ბიჭებმა ძაღლები, ასეთ თოვლში ნადირი ჩამოვიდოდა მთიდან.

— მიბრძანდით, ბატონო, მეც ბალღებს დავაპურებ, ოსტატთან გავგზავნი. — ეფემია შვილს მიუბრუნდა: — გაიღვიძე, შვილო ტატო?

— კარგა ხანია მღვიძავს, დედილო!

— ადექი, შვილო!

— კარგი, დედა! — ტატო წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა.

— ისევ ყინვა ყოფილა წუხელ. გათოშილია ყველაფერი.

ტატო დარბაზში გავიდა. გრძელ, სინათლიან ოთახში მთელ სიგრძეზე ტახტი იდგა, ზედ ჭრელი ხალიჩა ეფარა. მეორე მხარეს უფრო მორჩილ ტახტზე ქართულად მოეკეცნა ხორეშანს, წინ პატარა სამფეხიანი მაგიდა დაედგა და წერდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. გამდელი სუფრას შლიდა.

ილია კარებში შეეფეთა ტატოს. ტატომ ფეხი დაუდო, ილიამ ვერ შეამჩნია და დედის წინ დათვის ტყავზე გაიშხლართა.

შეკრთა ხორეშანი.

— ფრთხილად უნდა იარო, შვილო!

აწითლებული ილია სწრაფად წამოხტა, ტატოს თვალები გადაუბრიალა, მუშტით დაემუქრა. ტატომ გულუბრყვილო სახე მიიღო, დიდედასთან მივიდა, ხელზე აკოცა.

შეცბა ილია, დედის მისალმებაც რომ დაავიწყდა, ყურები აუწითლდა, ხორეშანთან მივიდა, ხელზე ეამბორა.

ოთახში მხრებზე მსუბუქ შალწამოსხმული ეფემია შემოვიდა. მისი ფერმკრთალი და ქერა სახე ბუხრის ცეცხლს აეწითლებინა. ეფემიას მელიტონიც შემოჰყვა ხელების ფშვნეტით.

— როგორა ყინავს!

— მობრძანდით, ბატონო, საუზმე მზადაა. — სუფრაზე მიიწვიათ ეფემიამ.

— დილა მშვიდობისა, სიძევ ბატონო. — მიესალმა შემოსული გრიგოლი მელიტონს და ხორეშანს სკამი მიუწია სუფრასთან დასაჯდომად.

— თქვენს შუა ჩავჯდები, დღეს ვერა ხართ მეგობრულად განწყობილი. — მიუბრუნდა გრიგოლი ბიჭებს და მათ შუა ჩაჯდა. ტატომ მკლავზე ხელი მოხვია და ლოყით მიეკრა ბიძას, ილიამ შეუბღვირა ძმას, იცოდა გრიგოლი ყოველთვის ტატოს უპერდა მხარს.

ტატო მამის ლაპარაკს ყურს უგდებდა. უყვარდა მამის დარბაისლური საუბრის მოსმენა.

ხორეშანი ბიჭებს მიუბრუნდა:

— დანაყრდით? — ბიჭებმა თავი დაუქნიეს. — მაშ, წადით ეფრემთან, დრო არის, ეფრემს მოახსენეთ: ვმადლობ იმასაც და მის შეგირდებსაც, დავითნის პირველი ფსალმუნი რომ ასე კარგად შეგისწავლიათ.

მიმაველებს გრიგოლმა მიაძახა:

— ეფრემს მოახსენეთ, დღეს შინაურული ლხინი გვექნება, ამობრძანდეს, დიდად გვაამებს.

ბიჭების წასვლის შემდეგ სიძე-ცოლისძმამ საუბარი განაგრძო.

— ეფემიამ მითხრა, ერმოლოვთან ყოფილხარ გუშინ.

— დიახ. გახლდით, ქების ატესტატი უბოძებია, განჯის სახანოს მმართველადაც დამნიშნეს.

გრიგოლს სახე გაუბრწყინდა.

— მომილოცნია, მოხარული ვარ, მძიმე პირობებში მოგიხდა მუშაობა.

— პირველად არა უშავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარსელების ჯარი შემოიჭრა ჩვენს საზღვრებზე, საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომები, რომ მორჩილებაში გვყოლოდა მერყეები მცხოვრებლები.

— მეჯლისზე შევხვდი ერმოლოვს, დიდი მადლიერი იყო შენი, მითხრა, მოუთმენლად მოველი მის დაბრუნებასო.

— მეც მინდა მეჯლისი გავმართო, დაჯილდოების აღსანიშნავად.

— გმართებს, მე და ჩემმა ღმერთმა, გმართებს.

— მოურავს მოველი, ფული უნდა ჩამოეტანა, დაიგვიანა, გზები თუ არის შეკრული.

ამ სიტყვებზე ოთახში მოფუსფუსე ფარეში შედგა და მელიტონს მოახსენა:

— მოურავი წუხელ გეახლათ, მელიტონ ბატონო, გვიან იყო და სახლში წავიდა, საცაა მოვა. ამ დროს მოურავიც გამოჩნდა, კარებში შეჩერდა და ყველას მიესალმა.

— დაბრძანდით, მოურავო, სახლობა როგორ გყავს, ხომ არაფერი აკლიათ?

— თქვენი წყალობა ნუ მოგვაკლოს ღმერთმა, თქვენს ხელში რა უნდა მოაკლდეთ!

— სოფლად რა ამბებია? ცხვარი, საქონელი, ცხენის ჯოგი, ყველას ამბავი შითხარი.

— საქონელს რა უშაკს, კარგი მეჯოგეები და მწყემსები გვყვანან, სოკვებიც საკმარისად გვაქვს, დიდი ზამთარია, მაგრამ გავუძლებთ.

— იცოცხლე კარგი ამბის მოტანისათვის!

— ყველი, ერბო, პური, ღვინო ხომ არ გაკლიათ?

— მადლობა ღმერთს, სახოვაგე არ აკლია ამ სახლს, მხოლოდ ფული მაკლია, მოურავო, ფული.

— ოცდაათი თუმანი მოგართვით, მეტი ვეღარ შევძელით ამ ჯერზე. — თქვა მოურავმა და თავი დახარა.

— მოურავო, თავი რად დახარე?

— ბატონის ჭირიმე, ფულის გადასახადმა შეაწუხა გლეხები.

— გაჭირდა ფულის შოვნა, გაჭირდა, ჩვენც გაგვიჭირდა, გლეხებსაც. — გრიგოლი წამოდგა, ბოლთის ცემა დაიწყო.

— წავიდეთ, შვილო ეფემიავ, საქმეს მივხედოთ. — უთხრა ეფემიას ხორეშანმა, მიმავალ ხორეშანს გამდელი და ეფემია მიჰყვნენ, ისინი საკუჭნაოში შევიდნენ. აქ მეკუჭნავეს მიუბრუნდა ხორეშანი:

— ისაუზმეს ამ დილით მოსამსახურეებმა?

— თქვენი მოწყალებით ვისაუზმეთ: პურით, ყველით, ორ-ორი აზარფეშა ღვინოც გვახელით.

— შეგარგოთ ღმერთმა. — სამზადისაკენ გასწია ხორეშანმა, თან გამდელს ეუბნებოდა: — დღეს სტუმრები გვყავს, მაიავ, ვინძლო გემრიელი სადილი მოამზადოთ, ციცვად მოხარშული ძროხის ხორცი, ჩიხირთმა, ჩახოხბილი, მწვადები. — ჩამოთვალა კერძები ხორეშანმა.

— არაფერს დავივიწყებთ, დიდო ქალბატონო!

ტატომ და ილიამ ეფრემის სახლის კარი შეაღეს. დარბაზის ერთი მხარე მთლიანად დაეჭირა ხალიჩაგადაფარებულ ფართო ტახტს. ზედ ფეხმორთხმული იჯდა რამდენიმე შეგირდი, მუხლებზე გადაშლილ წიგნს დაკვირვებით. ჩასჩერებოდნენ და გაისმოდა ზარიანი წკრიალა ხმა.

ტატომ და ილიამ ტახტზე მოიკეცეს. ეფრემი გულხელდაკრეფილი ბოლთასა სცემდა, თითქოს არც კი ესმისო, რა ხდება გარშემო. მაგრამ ხანგამოშვებით მის მიერ შეგირდებისადმი მიცემული შენიშვნა დაგარწმუნებდათ, რაოდენ გულმოდგინებით უსმენდა.

მოშუადღევდა. შეგირდების ხმამ დარბაზი აახმაურა.

— ეს ლიტრა ჩემია, ილია, რად წამოგივლია ხელი?

— ჩემი კოკა ვერ ვიპოვე. — აწრიალდა მიხეილი.

— აგერ არის, ლიტრის გვერდით.

— მომეცი ლიტრა! — დარბაზის კუთხეში ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ შეგირდები.

ეფრემი აივანზე გამოსულიყო, ცას გასცქეროდა, შეგირდების გამოსვლამ გამოარკვია. ვეებერთელა კოკას ხელი დასტაცა და შეგირდებით გარშემორტყმული მტკვრისკენ დაეშვა.

თოვდა. თოვლის ფიფქები უციმციმებდნენ პატარებს მოშვილდულ წამწამებზე. მუხლამდე თოვლს მიარღვევდნენ.

ეფრემი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, წინ წასწრებულ ტატოს მიმართა:

— უკეთუ ზედნადები თერთმეტი იყოს, ზამთარი როგორი იქნება?

ტატო შეჩერდა, ოსტატს შეხედა და სწრაფად უპასუხა:

— უკეთუ ზედნადები თერთმეტია, ზამთარი თოვლიანი იყოს, ყინვა მავნე, ხოლო თებერვლის ორიდან კარგი დარი დაიჭიროს.

— გაზაფხული, ილია?

— გაზაფხული წვიმიანი, ზაფხული მოხმელო, რთველი ნოტიო, თივა ძვირად. — სხაპასხუპით გასცა პასუხი ილიამ.

— ამდენი არ მიკითხავს. — შეაჩერა ოსტატმა. — მიხეილ, ჭირნახულზე რას მეტყვი?

— თაფლი და ნაშრომი მცირედ, ზამთრის ყინვამ მოსწვას ვენახი, ღვინო ძვირად, ხილი მცირედ.

— მთვარე როდის დაბნელდება?

— მთვარე დაბნელდეს თებერვლის ორს, ივლისის ჩვიდმეტსა და ცხრამეტს.

ამ საუბრით ჩავიდნენ მტკვრის ნაპირზე. თხელი ყინვა მოსდებოდა ნაპირს, ჩაამტვრიეს, წყალი ბუყბუყებდა კოკის ყელში. ბიჭები გაამხიარულა წყლის ხმაურმა.

სახლისაკენ გამობრუნებულებს სახეში ფიფქები ეფრქვეოდათ.

გაყუჩებულიყო ეფრემი, ფიქრებს გაეტაცა, მხნედ მიაბიჯებდა წინ, ქარი უფრიალებდა ანაფორის კალთებს, გადათეთრებულ მიდამოში ყორანივით მოჩანდა შავი პატარა ჩრდილებით გარშემორტყმული.

საღამოზე ეფემიას ოთახში იჯდა ტატო. უყვარდა ეფემიას, შვილის გამართულ კითხვას რომ უსმენდა. ოთახში წკრიალა ხმა გაისმოდა — „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“. ეფემიას შვილის თმებში შეეცურებინა თითები. ნელა უწეწდა თმებს და მისი ბაგეებიც უხმოდ იმეორებდნენ: „ჩემი გულის იმედი შენა ხარ, შვილო“.

რამდენ იმედს იტევს დედის გული შვილისათვის! ერთი ვაჟიღა შერჩა ეფემიას...

რა უნდა? რას ისურვებს ეფემია ტატოსათვის? — დიდ სარდლობას, მწიგნობრობას, იქნებ შოთას გზის გაგრძელება ინატროს დედამ შვილისათვის? — ვერც ერთზე ვერ შეჩერდა ეფემია. შვილის ბედისათვის ნატვრაში უსაზღვროა დედის გული.

კვლავ გაისმოდა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები. უეცარი ხმაური შემოიჭრა ოთახში. შეკრთა ეფემია, შეჩერდა ტატოც. ყური მიუგდო ატეხილ ხმაურს. მამის ხმა იყო, შინამოსამსახურეებს უჯავრდებოდა მელიტონი.

ეფემია შეჩვეული იყო მელიტონის განრისხებას, არ შეუშფოთებია ამ ხმას. წამოდგა, აქ არ შემოვიდესო განრისხებული. კარი გამოაღო, ყური მიუგდო. კარი გარედან გადარაზა და ტატოს დაუბარა:

— აქ იყავ, შვილო, არ გამოხვიდე. — და მელიტონის დასამშვიდებლად გასწია.

შობა-ახალი წელი

შობა ღამეა. ორბელიანთა სამზარეულოში დიდი ფაციფუცია. დარბაზის შუა ცეცხლის პირას მოუკალათებია გამდელს და ხანგამოშვებით შესძახებს გარშემო მოფუსფუსე ფარეშებს:

— ნიგოზი მომაწოდეთ!

— ნუში დაფცქვენით?

— ადუღებული წყალი მოიტათ! — და ფარეშებიც გარბიან.

გახურებულ თონეს გაუნათებია სამზადი სახლის გაჭვარტლული ძელები. პირახვეული ხაბაზი თონეში გადაკიდებულა, ჯვარდასმულ თონეულს აწვდის იქვე მდგომ გოგოებს, თონეულს რამდენიმე გოგო ეპოტინება და ისმის მათი თავშეკავებული ფხუკუნი.

ცხელი პურის სასიამოვნო სურნელება დგას სამზადში. ნარზე

ცალგვერდა ლავაშებს აბრტყელებს ხაბაზი, ტატო მასთან მიიჭრა:

— ჩემო ხათუნა, ჯვარი მე დამასმევინე!

— მეც, მეც! — ახლა ილია მიეარდა ხაბაზს.

— რად მიგაქვს, ჯვარი არ აქვს, ჯვარი! — ეცა ხელში ტატო კოპწია ფარეშს, ხაბაზმაც შეუტია:

— უჯვროდ არ ჩაუშვა თონეში.

— განა რა უშავს?

— ქრისტიანის გამომცხვარ პურს არ უნდა ეტყობოდეს, თათრობა ხომ არ არის?!

— თათრობა გადავარდა, ხათუნა!

— თათრობა გადავარდა, მაგრამ ჩვენი ჩვეულება არ გადავარდნილა. თათრობამ შემოგვიტანა ეგ ჩვეულება, ჩვენი პური ჯვარდასმული უნდა იყოს.

კაკალა ვეებერთელა ღორს დასტრიალებს. ტატო და ილია კაკალასთან ტრიალებენ. ილია კუდზე დაეჭიდა ღორს.

— ტატო, ნახე რამოდენა კუდი აქვს?

— კუდის რიკი ჩემია. — წაეპოტინა ილიას ტატო.

— ხელი არ ახლო. — შეუტია თავნება ილიამ.

— არ წაიჩხუბოთ, ორთავეს გეყოფათ. აგერ მეორეს მაგაზე დიდი კუდი აქვს. — დაამშვიდა ბიჭები კაკალამ და დამხმარეებს შეუტია:

— ჩქარა მდუღარე, არ გაცივდეს! გაიწით, ბიჭებო, არ დაიფუფქოთ!

კაკალამ ღორს ვეებერთელა ქვაბით მდუღარე გადაასხა. მდუღრის გადასხმაზე ღორმა ყურები შეანძრია, თითქოს შველას ითხოვსო, თვალები დააჭყიტა.

— შეხედე, თვალები როგორ დააჭყიტა! — წამოიძახა ილიამ და ახლა ღორის თავს მიაშურა. ტატოც ილიასთან მივიდა, ღორის თავთან ჩაჯდა, გახელილ თვალებში ჩააშტერდა. შეაშინა ღორის თვალებმა. წამოხტა, კაკალას დამკლავებულ ხელზე მისწვდა.

— კაკალა, შეხედე, კაკალა, მგონი ცოცხალია.

— ვინ?

— ღორი.

— ჰე, ისე შენი მტერი იქნა, მაგ რომ არის, ჩემო ტატო. — ტატომ ღორს კიდევ ერთხელ გადახედა. კაკალას მოსცილდა, გამდელთან მივიდა, მუხლის თავთან მიუჯდა.

გამდელმა გაუღიმა:

— რა იყო, ტატო, რამ დაგაფიქრა, მოუსვენარო. აი ნუში ჭამე. — გამდელმა ნუში გაუწოდა. ილიამ ხელი წაატანა.

— მე, მე არა, გადია? — გამდელმა მასაც გაუღიმა.

— დაუდეგარო, ეგ ხომ ტატოსი იყო? სამაგიეროდ ტატოს მოხალულს მივცემ. — გამდელმა ჯამიდან პეშვით მოხალული ნუში ამოიღო, ტატოს გაუწოდა. ტატომ სიყვარულით გაუღიმა, ახალუხის ჯიბეს თავი გაუწია და გამდელმაც შიგ ნუში ჩაუყარა.

— ალილოზე მოვიდნენ, ბიჭებო, ალილოზე!

გარედან სიმღერის ხმა მოისმა: — ოცდახუთსა დეკემბერსა... —. ცივი მაღალი ხმით იწყებდა ვიღაც.

— ხარფუხელები ალილოზე მოვიდნენ, ალილოზე! — წამოიშალა ყველა.

სამზადის კარი ფართოდ გაიღო, ყველამ კარისაკენ მიიხედა. კარებში სიცივე და ლოყებაწითლებული ლევანი და მიხეილი შემოიჭრნენ:

— ჩვენც წავყვეთ ალილოზე, კაკალას ჟინჟღილებით წაიიდეთ. — ბიჭები კაკალას შემოეხვივნენ.

— ჟინჟღილები მოგვეცი, კაკალა, ალილოზე მივდივართ!

— ჟინჟღილები საგაზაფხულო თევზაობისათვის დავამზადე, თქვენ როგორღა მოგცეთ? — აიქნია კაკალამ ვეებერთელა ხელები. — განა სათქვენოდ დავაგროვე?

— ჩემო კაკალა, შენი ჭირიმე!

— არ იქნება! — ღიმილით იცილებდა ბიჭებს კაკალა. — ჯერ დედას ჰკითხეთ. თუ გაგიშვებთ, მერე ჟინჟღილებსაც მოგცემთ. — დაეთანხმა ბოლოს.

— გაგვიშვებენ, კაკალა! გაგვიშვებენ, ვინძლო კარგი ჟინჟღილები მოგვცე.

კაკალამ კარგა ხანს იფათურა ბნელ კუთხეში.

— მეც მომეცი, პაპა!

— შენც მიდიხარ? — შეუტია შვილიშვილს კაკალამ. — აქ ვიღა მოგვეხმარება?

— პაპა, ოღონდაც გამიშვი და... — ცრემლმა წამოუსწრო ბიჭს.

— ჩემო კაკალა, გამოუშვი, უთუოდ გამოუშვი, განა მაგის მეტი დამხმარე არა გყავს?

კაკალამ გაუღიმა ტატოს, ეამა მოხუცს, მის შვილიშვილს რომ

გამოექომაგა ტატო. კმაყოფილძი თავი გადააქნია, თვალი გააყოლა ყიყინით მიმავლებს, ინატრა: მუდამ ასე შეგობრეობად დარჩნენ ტატო და მისი პატარა მიტო.

ეფემია ტახტზე იჯდა, მუხლებზე გაშლილი სახარება ედო, ყურადღებით კითხულობდა, არ შეუმჩნეია, როგორ შევიდნენ მასთან ბიჭები და კედელთან ჩამწკრივდნენ. ტატო მიუახლოვდა დედას და ფრთხილად ჩასჩურჩულა:

— დედა! — ეფემიამ ვერ გაიგონა შვილის ჩურჩული, კითხვა განაგრძო.

— დედა! — კვლავ ჩასჩურჩულა ტატომ და დედის ხელს ფრთხილად შეეხო. შეკრთა ეფემია შვილის შეხებაზე, მოიხედა, გაუღიმა.

— რა გინდა, შვილო?

— დედილო, ხარფუხელები მოვიდნენ ალილოზე, გვინდა წავყვეთ, ლევანიც მოდის, მიხეილიც, მიტოც გამოუშვეს. — სწრაფად ალაპარაკდა ტატო, ეშინოდა, უარი არ ეთქვა დედას.

— გვიან არის, შვილო. თანაც ბნელი ღამეა.

— ყიხყლილებით არიან მოსული. ჩვენც მოგვცა კაკალამ ყინყლილები.

— ისეთი ყინყლილებია, მთელ ქალაქს გაანათებს. — კვერი დაუკრა ილიამ.

მგლის ყმუილი შემოიჭრა ოთახში, ეფემია წუთით გაყუჩდა.

— გესმით, მგლები დაძრწიან ქალაქში.

— არა, დედი, ქალაქში არ არიან, შორს, მთაწმიდიდან ისმის ხმა, ქალაქს ვერ შემობედავენ.

— ყინყლილები გვექნება, მგელი როგორღა მოგვეკარება? — დაამშვიდა ილიამ.

— წითელ ქულაჯებს ჩავიცვამთ, დედი, თავზედაც წითელ ყაბალახებს გავიკრავთ. მგლებს გულები დაუსკდებათ შიშით.

— გაუშვი, შვილო, ეფემიავ, მიულოცონ ქრისტესშობის დღე ხალხს.

— მეც გულით მინდა, დედავ ბატონო, გაუშვა, ვშიშობ, მელიტონი არ გაუჯავრდეს.

მამის ხსენებაზე ჩრდილმა გადაუარა ტატოს სახეს, წარბები შეიკრა:

— შორს არ წავალთ, დედი, ორბელიანებს ჩამოვუვლით, ჭაეჭავაძიანთაც ავირბენთ, მელიქიშვილებს არ გავცდებით.

— დიდედა გიშვებთ, მეც თანახმა ვარ, მხოლოდ პირობა არ დაგავიწყდეთ, შორს არ გაუტიოთ, ჟინჟღილების გათავებას არ დაელოდოთ.

— შენი ჭირიმე, დედილო! — ესღა თქვა ტატომ.

ეფემიამ თვალი გააყოლა გახარებულ ბიჭებს, სარკმელთან მივიდა, ფარდა გადასწია, გახედა მიმავლებს, ეამა, ყიჟინა რომ ასტეხეს ბიჭებმა. არ უყვარდა, როცა სურვილს ჩაუხშობდა ტატოს.

თოვდა.

ჟინჟღილების შუქზე ციმციმებდნენ თოვლის ფიფქები. ტოკავდნენ ჟინჟღილები, თანდათან შორდებოდნენ სარკმელს. ეფემია თვალს არ აშორებდა მათ. ეჩვენებოდა, ეს ტატოს ჟინჟღილია, ყველაზე მეტად რომ ანათებს ჩაბნელებულ ქუჩასო.

უკვე შორიდანღა ციმციმებდნენ ჟინჟღილები, შორიდან ისმოდა ბიჭების წკრიალა ხმა... ეფემია ხედავდა, ბოლოს როგორ შთაინთქა ჟინჟღილების შუქიცა და ბიჭების ხმაც.

ბიჭების ყიჟინამ და ძაღლების ყეფამ აახმაურა დადუმებული ქუჩები. აქა-იქ გაიღო სახლის კარი. ღიმილით თვალს აყოლებდნენ, ყიჟინით, ჩირაღდნებითა და სიმღერით მიმავალთ.

— მაიკოსთან მივიდეთ, მივულოცოთ.

— სძინავს, ალბათ, მაიკოს!

— ხედავ, მისი ოთახიდან სინათლე გამოდის.

— ჩუმად მივიდეთ, დავინახოთ, რას აკეთებს.

— ბიჭები ფრთხილად ავიდნენ აივანზე, ყინული გადაჰკვროდა სარკმლის მინას, შუაშიღა იყო მცირე ადგილი დარჩენილი, ბიჭები ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, უნდოდათ დაენახათ, რას აკეთებდა მაიკო.

მაიკო გაჩაღებული ბუხრის წინ დათვის ტყავზე იჯდა, მუხლებზე გაშლილ წიგნს ყურადღებით ჩასჩერებოდა, ბუხრის ალი უნათებდა ფერმკრთალ სახეს და წინ ჩამოყრილ ნაწნავებს.

— მაიკო! — ფრთხილად დაიძახა ლევანმა, ტატომ მკლავზე ხელი წაატანა ლევანს.

— მოიცა, ლევან, ხელს ნუ შეუშლი!

ბიჭები შედგნენ, ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— როგორ არ მივულოცოთ? — გაჭირვეულდა მიხეილი.

— სამზადში წავიდეთ, იქ იქნება ყველა, იქ მივულოცოთ! — ტატომ ბიჭები დაითანხმა; ისინი ფრთხილად ჩავიდნენ კიბეზე.

ჭავჭავაძიანთ სახლს უახლოვდებოდნენ, ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა მათი ალილო, ჩირაღდნებიც გაღვივებულიყვნენ და ძლიერად გიზგიზებდნენ. ჭავჭავაძიანთ ძაღლებმა მოაშურეს სტუმრებს. სცნეს შინაურები, კუდის ქნევით შესწკმუტუნეს.

ტატომ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და წკრიალა ხმით დაიწყო:

— ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე ეშვა ბეთლემსაო. — ახმაურდნენ სახლში მყოფები.

— ალილოზე მოვიდნენ, ალილოზე! — ყველას ხმას ფარავდა ეკატერინეს წკრიალა ხმა. ეკატერინემ ყველაზე პირველმა გააღო კარი, გარეთ გამოხტა.

— ამოდით! აქ ამოდით, დედამ თქვა, მამამ თქვა, აქ ამოვიდნენო! — სულმოუთქმელად გადმოსძახოდათ ეკატერინე.

— კატინკა, შვილო, სად გარბიხარ, გაცივდები. — გამოუდგა გამდელი ეკატერინეს.

ნინო შალმოსხმული გამოვიდა. აივანზე ბიჭები ავიდნენ.

— ილიავ! ლევან! მიხეილ! საიდან გაჩნდით?

აღტაცებული ეკატერინე ხან ერთს ჩაავლებდა ხელს, ხან მეორეს.

— დააცა, ქალო, იმღერონ, ასე როგორ იქნება. — უჯავრდებოდა გამდელი. — განაგრძეთ, შვილო, განაგრძეთ!

ბიჭებმა სიმღერა განაგრძეს, ეკატერინეც მათში ჩადგა, თავიზე ასწია და თავისი ხმა შეუერთა ბიჭების ხმას.

სამჯერ ჩაათავეს ალილო.

გამდელმა საესე ხონჩა გამოიტანა.

— მეც წავყვები ბიჭებს ალილოზე. — ხელი ხელს შემოჰკრა ეკატერინემ.

— წამოდი, ეკატერინე, წამოდი, იცი, რა კარგია თოვლში სიარული? — წააქეზა ტატომ ეკატერინე.

— გადიავ, ჩქარა ქულაჯა, ფაფახი, ალილოზე უნდა წავიდე!

— ვის გაუგონია ქალის ალილოზე სიარული!

— არა, უნდა წავიდე, მეც მინდა ალილოზე! — ჭირვეულობდა ეკატერინე.

ნინო ღიმილით მისჩერებოდა დას.

— დამიცადეთ, ახლავ ჩავიცვამ.

ეკატერინე სახლში შევარდა. რომ გამოვიდა, თეთრი ბეწვით

შორთული ქულაჯა და მაღალი მესტები ეცვა, თავზე. ბეწვის ქუდს იხურავდა და ცდილობდა ურჩი კულულები შიგ შეემალა.

— ეკატერინე, ქალო, მეგონა ხუმრობდი; მოიცა, ამ წუთს მოვახსენებ ბატონს. — გამდელი ოთახში შებრუნდა.

ალექსანდრე აივანზე გამოვიდა, მის ლამაზ სახეს ღიმილი გადაჰფენოდა, თავნება შვილი რომ დაინახა, კიდევ მეტად გამხიარულდა.

— სად მიდიხარ, კატო?

— ალილოზე წავყვები ბიჭებს, მამილო!

— არ იქნება, შვილო, ქალები ალილოზე არ დადიან.

— ხომ თქვი, მამილო, ქალს არა გევხარო.

გაეცინა ალექსანდრეს.

— ხუ შეეცდები, შვილო, ქალს არა ჰგავდე.

ეკატერინემ მოიწყინა, ფაფახიანი ხელი ძირს ჩამოუვარდა.

— გმადლობთ მოლოცვისათვის. — განაგრძო ალექსანდრემ: — ყოჩაღ, გაგიბედნიათ მოსვლა ასეთ ამინდში. — თეთრი ამოიღო, ხურჯინში ჩაუყარა.

ბიჭებმა კიბე ჩაირბინეს, ტატომ ქვევიდან ამოხედა მოწყენილ ეკატერინეს, რომელსაც ფაფახი ისევ ხელში ეჭირა და თავდახრილს თმები მხრებზე ჩამოჰყროდა.

— არ მოიწყინო, ეკატერინე, ხვალ საციგაოდ წავიდეთ. — გაამხნევა ტოლი ტატომ.

ქუჩაში გამოსული ბიჭები. შეაჩერა ტატომ:

ისანში წავიდეთ, ბიჭებო, ხელოსნების უბანში, მივულოცოთ.

— შორს რომ არის? — შეყოყმანდა ილია.

— ტყეცა გვაქვს გასავლელი. — დაუმატა ლევანმა.

— წავიდეთ, ჩემს ოსტატს მივულოცოთ! — შესთხოვა მიტომ.

— მუხრანის კარით გავიდეთ, ხელად ავალთ, ტყით ნუ წავალთ, საშიში არა არის რა. — არ ისვენებდა მიხეილი.

— ეინეღილებიც გვაქვს. — შეახსენა მიტომ მეგობრებს.

— წავიდეთ, რისა უნდა გვეშინოდეს?

ილიამ გამომწვევად მიიღო ტატოს სიტყვები:

— განა მეშინია, უფრო შორსაც შემიძლია წასვლა!

ხმაურით შეიჭრნენ ხელოსნების უბანში. ძაღლები შეეგებნენ უპირველესად. გამოჩნდნენ მასპინძლებიც ჭრაქებით ხელში. ახმაურდა ისანი.

ერთმანეთს გადასძახოდნენ:

— თავადიშვილები მოვიდნენ ალილოზე! — და იღებოდა ყველა ქოხის კარი მოსალოცად მოსული სტუმრებისათვის. ყველაზე წინ მოხუცი ქიტესა მოდიოდა ჭრაქით ხელში, სიბნელეში თეთრად ქათქათებდა მისი თმა და წვერი.

ზიტო თვალებგაბრწყინებული მისჩერებოდა ჭრაქის ალით სახეგანათებულ ოსტატს.

— ტატო! ჩემო ტატო! შენი ჭირიმე, ბიჭო, რამ მოგიყვანა ასეთ ამინდში! — გადაეხვია ქიტესა ტატოს და ფართო მკერდზე მიიკრა.

• •

შობის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი ყინვები დაიჭირა. შემცირდა მიმოსელა ქუჩებში, გახშირდა ნარდის, ბანქოს, ლოტოსა და ჭადრაკის თამაში.

ბავშვებმაც სახლებში შეიბუდეს, ბუხრის წინ მოიკალათეს. გამდელები დაუსრულებლად ყვებოდნენ ზღაპრებს, ძველ ამბებს და იმართებოდა ორთაშუა შაირობა.

საახალწლო მზადებამ კვლავ ააფორიაქა ქალაქი. ახლა ყინვამაც ვეღარ შეაჩერა ხალხი.

ღამით თოვა შეწყდა, მოიწმინდა. ყინვა კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ, ინათა თუ არა, ხალხი გუნდ-გუნდად დაიძრა ბაზრისაკენ.

ნელა, ყინვაზე ფეხების ბაკუნით მიდიოდნენ შეშით, ნახშირით, სანოვაგითა და ტომრებით დატვირთული სახედრები.

თბილისი იღვიძებდა.

მზე ამოვიდა.

ბანებიდან და სახურავებიდან ჩამოშვებული ყინულის ლოლუები აბრჭყვიალდნენ მზის შუქზე, საზეიმოდ ელფერი დასდებოდა ყველაფერს.

ბაზრისაკენ მიეშურებოდა ყველა. ბაზარი თანდათან ივსებოდა ხალხით. ერთმანეთში ირეოდა: ჩოხები, ჩერქეზულები, ჩალმები, ნაბდები, მუნდირები. სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, სომხები. — ვის გინდათ, რომ არ შეხვდებოდით თბილისის ბაზარზე.

ქართული ურმებით, კამეჩებით, ხარებით ავსილი იყო ბაზარი.

ბაზრის ერთ მხარეზე ჩამწკრივებულიყვნენ ქალაქის გარეუბნიდან მოსული ქალები, თან მოეტანათ კარაქი, ერბო, ლობიო და რძე.

აქა-იქ დინჯად დაბიჯებდნენ თავზე თაბახდადგმული ყარაჩოხელები და მათი ომახიანი ხმა უერთდებოდა ბაზრის ხმაურს.

ივსებოდა ბაზარი მარნეულის ფქვილითა და ხორბლით, ყარაიაზის ბრინჯით, თუშური ცხვრით, ყველითა და მატყლით, მანგლისური კარტოფილით, ლაბალუღური კარაქით, აღზევანის მარილით.

ბაზრის შუა მოედანზე, სადაც სასწორი იდგა, მაღალ, ჭრელ ბოძზე ბაირაღი აღმართეს. ქალაქის მცხოვრებლებმა ვაჭრობა დაიწყეს. ქორვაჭრები უსაქმოდ დაბორიალებდნენ, მათ უფლება არ ჰქონდათ, სანამ ბაირაღი არ დაეშვებოდა და ქალაქის მცხოვრებლები ვაჭრობას არ მორჩებოდნენ, მანამ დაიწყოთ აღებ-მიცემობა.

გაისმა ზარბაზნის ხმა და შტაბის საათმაც თორმეტჯერ ჩამოკრა. ბაირაღი დაუშვეს. ბაზარი ახმაურდა. მოქალაქეებმა თავიანთი ადგილი ქორვაჭრებს დაუთმეს და გაჩაღდა მათსა და სოფლელებს შორის ვაჭრობა. ზარაფები და დალალები საქმეს შეუდგნენ.

ორბელიანთა უბანიც ამოძრავდა. მათ ბაზარზე არ უხდებოდათ სიარული, კარგა ხანია მოურავებმა სოფლებიდან ჩამოზიდეს საახალწლო სანოვაგე, მხოლოდ თულუხჩები ეზიდებოდნენ დაუსრულებლად წყალს.

ეფემიამ დილით ადრე დაათვალიერა საკუჭნაო, წნილითა და ერბოთი სავსე ქილები, მარილითა და ფქვილით სავსე ტომრები, ღვინით სავსე ტიკები, საღვინოები და გოზაურები.

გამდელი დილიდანვე სამზადში ფუსფუსებდა. გოზინაყსა და ალვახაზს სხვა ვერაფინ მიეკარებოდა დასამზადებლად.

შუაღამე გადავიდა. მორჩნენ საახალწლო მზადებას. მოსამსახურეები და ბავშვები თავიანთ საწოლებისაკენ გაეშურნენ. მარტო ეფემიაღა ფუსფუსებდა გამდელთან ერთად.

— მაიავ, მოვრჩით, მგონი, — ეფემიამ სანოვაგეს თვალი გადაავლო.

— ხონჩაღა დაგვრჩა გასაწყობი, ქალბატონო!

— მოიტა ლანგარი. — გამდელმა განჯინიდან ვერცხლის ლანგარი გამოიღო და შუა მაგიდაზე დადო.

— ესეც შაქარყინული, გოზინაყი, ალვახაზი. — აწოდებდა გამდელი ეფემიას. ეფემიაც ყველაფერს ლანგარზე ალაგებდა.

— პურები, გამდელო?

— ამ წუთს მოგართმევთ, საგანგებოდ ამოვარჩიე იმდენ პურებში ეს სამი. ღვინიანი სურაც მიირთვით. — გამდელმა ვერცხლის სურა

ეფემიას გაუწოდა, სანოვაგით სავსე ლანგარი აივანზე გაიტანა და შემობრუნებულმა ეფემიას მიმართა:

— ცა ვარსკვლავებით მოჭედილა, ყინვამ იმატა.

— კარგა ხანია ასეთი ყინვები აღარ ყოფილა თბილისში..

განთიადზე ფრთხილი ჩურჩულით გააღვიძა ტატო გამდელმა:

— შვილო ტატო, დღეს ხომ შენა ხარ ჩვენი მეკვლე.

ტატომ წუხელ დაწოლისას გადაწყვიტა, არ დავიძინებო, ტანგაუხდელი მიწვა, მაგრამ ძილმა დასძლია. ვეღარ გაიგო განთიადის მოახლოება.

წამოხტა, სიცივემ აიტანა, კბილს კბილზე აცემინებდა, აივანზე გავიდა, ხონჩა აიღო, ხონჩის გარშემო შემომწკრივებული სანთლები აანთო და იდგა მთვარის შუქით განათებულ აივანზე, ფერმკრთალ სახეს სანთლის შუქი უნათებდა და ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებზე მეტად ციმციმებდა მისი თვალები. კარებზე სამჯერ დააბრახუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან დიდედა ხორეშანის ხმა. ტატომ კარები შეაღო და შესძახა:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!..

ჯერ დიდედასთან მივიდა, ხორეშანმა გულში ჩაიკრა შვილიშვილი, ტატომ ალვახაზი გაუწოდა დიდედას და ჩურჩულით უთხრა:

— ჩემო ტკბილო დიდედა!

ეფემიამ თვალები დაუკოცნა ტატოს:

— შენს ვაჟკაცობას მომასწროს ღმერთმა.

მამამ შუბლზე აკოცა.

— ტატო, გოზინაყის დიდი ნაჭერი მომეცი. — ჩასჩურჩულა ილიამ.

— მეც დიდი ნაჭერი, მეც! — ეხვეწებოდნენ ბარბალე და ნინო ძმას.

ახლა გამდელის ოთახისაკენ წავიდა ტატო. გამდელმა პირჯვარი გადასახა თავის გაზრდილს, ჩურჩულით დალოცა ის.

თავლა, მარანი, საჯინიბო — ყველა კუნჭული შემოიარა ტატომ, ყველას და ყველაფერს მიულოცა, ცხენის ზურგზე კვერცხი გადაგორა და კვერცხივით დამრგვალება უსურვა, საქონელს — სიმრავლე, მოსავალს — უხვობა, და დარბაზში დაბრუნდა.

შინაურებს დარბაზში მოეყარათ თავი. ტატომ ხონჩა ხორეშანს დაუდგა წინ.

მაგიდის თავში იჯდა ხორეშანი. ხონჩაზე დადებული პურები

აილო, თხლად დასჭრა და ღრმა ჯამში ჩააწყო. ეფემიამ უცებ ცხლო თაფლი მიუტანა დედას. ხორეშანმა დაჭრილ პურსა და თაფლს წითელი ღვინო დაასხა და ეფემიას გაუწოდა.

— აი, ეფემიავ, შვილო, აბრამიანი მზად არის, განჯინაში შეინახე, ნათლიღებამდე ხელი არავინ ახლოს!

ეფემიამ ჯამი ჩამოართვა.

გათენებასთან ერთად მღვდელიც მოვიდა.

— მობრძანდით, მამაო? — შეეგება ხორეშანი შემოსულ მღვდელს და ჯვარზე ემთხვია. — შენდობა, მამაო!

— შენდობილ იყავით!

მღვდელმა სუფრა აკურთხა.

საახალწლო პურობა დაიწყო.

მეჯლისი

მეჯლისი მელიტონმა ახალწლის შემდეგ კვირას გამართა. რამდენიმე დღე გაგრძელდა სამეჯლისო მზადება; აცხობდნენ, ხარშავდნენ, წვავდნენ დაუსრულებლად.

ფარეშებმა დილიდანვე დაანთეს ბუხრები, გააჩაღეს მაყალები, იატაკი მოფინეს ძვირფასი ხალიჩებით. ერმოლოვი უნდა სწვეოდა მელიტონს, ამიტომ ემზადებოდა ასე გულიანად სახლობა.

პირველად ორბელიანები და ბარათაშვილები მოვიდნენ; ესენი მასპინძლებად თვლიდნენ თავს და აქ უნდოდათ დახვედროდნენ სტუმრებს.

ტატო და ილია ფარეშ ბიჭებთან ერთად ყოველ ახალ სტუმარს ეგებებოდნენ და შინაურებს ახარებდნენ:

— ბატონიშვილები მობრძანდნენ!

— ჭავჭავაძეები შემოვიდნენ!

— დოდაშვილი მოდის, დოდაშვილი!

— ერმოლოვი, ერმოლოვი მობრძანდება! — დაიძახეს ბიჭებმა.

მელიტონი ეზოში ჩაეგება სტუმრებს, კიბის თავში ეფემია და ხორეშანი იდგნენ.

სანამ სტუმრები ერთმანეთთან საუბრით ერთობოდნენ, გამდელმა სუფრა გაშალა; სუფთად ჩაცმული, ჭრელწინდებიანი პირისფარეშე-

ბი, მოახლეები, მერიქიფეები გამდელის ყოველ ბრძანებაზე გარბოდ-გამორბოდნენ.

სუფრის შუა ჩაამწკრივეს კახური ღვინით სავსე ვერცხლის სურები, მათ გვერდითვე მოათავსეს ვერცხლისაგე სანაყურები. მოიტანეს ვერცხლის აზარფეშებიც, თასები, მოქედილი ხის კულები, მოქედილივე კათხები. სუფრაზე ჩამოალაგეს ყანწები. ფარეშებმა სუფრის თავსა და ბოლოშიც ქარვასავით ყვითელი ყანწები დააწყვეს.

სტუმრები სუფრაზე უმცროს-უფროსობის რიგის მიხედვით დალაგდნენ. მომღერლები სუფრის ბოლოს მოთავსდნენ.

ეფემიამ ოქროს აზარფეშა შესთავაზა ერმოლოვს.

ფარეშებმა მოხატული ხონჩებით მურასა ლავაშები, მლაშე, მქავე, წენიანი, ციცი და შემწვარი შემოიტანეს.

ყაფლან ორბელიანი წამოდგა, მერიქიფეს მიუბრუნდა:

— კათხა მომაწოდეთ!

მერიქიფემ კათხა მიაწოდა და ღვინით აუვსო. ყაფლანმა კათხა ალმართა და ერმოლოვს მიმართა:

— ეს პირველი სასმისია საქართველოში შემოღებული, ამით მეამება თქვენი სადღეგრძელოს დალევა. დიდმა სახელმწიფომ, რომელსაც საქართველომ თავისი ბედი მიანდო, თქვენ გამოგგზავნათ ჩვენდა პატრონად. ყველას უყვარს კარგი პატრონი. დღეგრძელი იყოს ის მწყემსი, ვინც თავის სამწყსოს თავს შეაყვარებს. მაშ, გაუმარჯოს კარგ მწყემსსა და მის სამწყსოს!

მომღერლებმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს, ყაფლანმა სასმისი გამოსცალა და გრიგოლ ორბელიანს გადაულოცა. წამოდგა გრიგოლი:

— ვერცხლის თასი ამივსეთ. ვერცხლის თასი მუდამ საცილობელი არის, მის ბედს მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედიც.

სანამ მერიქიფე ღვინოს უსხამდა, მომღერლებმა „ეაჰ დრონი დრონი, ნაგები მტკბარად“ დააგუგუნეს. დასცალა თასი გრიგოლმა და მელიტონს გადაულოცა. მსახურმა სანაყურეში ჩააწვეთა თასში დარჩენილი უკანასკნელი წვეთები, ახლა მერიქიფემ თასი აუვსო მელიტონს.

მელიტონი ერმოლოვს მიუბრუნდა:

— დავაფასე სავსებით სარგებლობა თქვენი და თქვენ მიერ შეძენილი გამოცდილება იმ დღიდანვე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუდექით, ხოლო სულიერმა თქვენმა თვისებებმა შთამინერგეს წრფელი და გულითადი სიყვარული და ღრმა პატივისცემა. თქვენ ეს

იცით, მაგრამ ამჟამად იმისათვის მოგახსენებთ, რომ მსურდა გამომეცხადებინა საჯაროდ, თუ რა ღრმად მიყვარხართ, გაფასებთ და პატივსა გცემთ. მიგეჩვიეთ, ჩვენად გიგულვებთ, ისე კარგად გესმით ჩვენი ქვეყნის გაჭირვება და ინტერესები. ვისურვებ, თქვენი დიდი განზრახვანი ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ განხორციელდეს.

მოათავეს ერმოლოვის სადღეგრძელო. მომღერლებმა მის საპატივცემულოდ „მადლობელი ვარ" შემოსძახეს. გახურდა ლხინი, ახალგაზრდები სიმღერაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა გახურებული დაირა.

წამოდგა შავწვერიანი ალავერდა. ჩონგური მოართვეს მას. დაბალ ტახტზე მოიკეცა, მისი გრძელი ჩამოსხმული თითები თითქოს არ შეხებია სიმებს, ჯადოსნურმა ხმამ კი ოთახი დაჰფარა

შუქი გადაჰფენოდა ალავერდას ლამაზ სახეს. თვალები ოდნავ მოეხუჭა და ისე მღეროდა. მისი ხმა გულში სწვდებოდა ყველას, კედელთან ჩამწკრივებული ბავშვებიც კი განაბულიყვნენ და სმენად ქცეულიყვნენ.

მღეროდა ყველა და ყველაფერი.

დილის შუქმა ღამე გაცრიცა. მტრედისფერი ნათელი შემოიჭრა სარკმელში, მას შემოჰყვნენ მეთევზეები. წინ წამოდგა მხარბეჭიანი. წვერგაჟღალებული ლოპიანა:

— ცის კარი გაიღო და ნათელი შემობრძანდა ქალაქში, მეც მოგილოცავთ სინათლის შემოსვლას, მზის ამოსვლას, ნათელის გამარჯვებას ბნელზე. შეგერგოთ ლხინი, დღეგრძელი იყავით, მრავალჟამიერ.

თევზები გადმოაყარა სუფრას. აივსო ცოცხალი თევზებით სუფრა, ხტოდნენ, ფართხალებდნენ, მოძრაობდა მთელი სუფრა და ფანჯრებიდან შემოსულ მომძლავრებულ სინათლეზე ვერცხლისფრად ციმციმებდნენ მოფართხალე თევზები, თითქოს მათაც ქალაქში ნათელის შემობრძანება ახარებთო.

* *

თავი სტკიოდა იმ ღამეს ტატოს. ეფემია შეაშფოთა შვილის უგუნებობამ.

— სიცხე აქვს, დედავ ბატონო, ტატოს. — შესჩივლა ეფემიამ ხორეშანს. ხორეშანიც შეაშფოთა ტატოს უგუნებობამ.

ჩუმად ისხდნენ ხორეშანი და ეფემია, თვალს არ აცილებდნენ სუნთქვაჩქარებულ ტატოს.

გამდელი მაია არ ისვენებდა. თავს დასტრიალებდა საწოლს, გახურებულ შუბლზე ყმაწვილს ხშირ-ხშირად უცვლიდა სველ ტილოს.

შუაღამის შემდეგ ბოდვა დააწყებინა. ერეკლეს, სოლომონ ლეონიძეს, ანტონ აქიმბაშს ახსენებდა, ორი დღე დიდი სიცხე ჰქონდა ტატოს. მესამე დღეს წითლად აუყვავდა ლოყები. გამდელმა ფორთხვით სამჯერ შემოუარა მის ლოგინს, ხორეშანს ახარა:

— წითელა ბატონები გვეწვია, დიდო ქალბატონო, აღარ მეშინია, არას ავნებს ბატონები ჩვენს ლამაზ ტატოს. — გამდელს დამჭკნარ ლოყებზე სიხარულის ცრემლები სცვიოდა. დაწყნარდნენ ეფემია და ხორეშანიც. სიჩუმემ მოიცვა სახლი. აღარც მელიტონი უჯავრდებოდა ვისმეს.

ფანჯრებზე წითელი ფარჩის ფარდები ჩამოაფარეს. ჭრელჭრელი ნოხები დაფინეს ოთახში, წითელი ფერი უყვარსო წითელა ბატონებს. საწოლის წინ ავადმყოფს გაწყობილი ხონჩა დაუდგეს.

ეფემია თავით უჯდა ტატოს. ოთახში გაისმოდა მისი სასიამოვნო ხმა და მისი ჩამოქნილი თითები ეხებოდა ჩონგურის სიმებს, თითქოს ტატოს ქოჩორში ფათურობენო.

მოიყვანეს ქალაქში თუ სადმე იყვნენ ბატონების საგალობლის კარგი მთქმელები. ტატოს ოთახიდან დღედაღამ ისმოდა იავნანას ტკბილი ჰანგი.

სიცხემ დაუკლო წითლად გამოფენის შემდეგ.

საღამოზე შათირი მოვიდა. ყელზე წითელ ბაბთშებმული შველი მოიყვანა, თან სხაპასხუპით გადასცა დანაბარები:

— ჭავჭავაძიანთ ქალებმა შველი მოართვეს ტატოს. ეკატერინე ნახადი არ არის წითელა ბატონებს, ამიტომ ვერ გეახლნენ. დამაბარეს: მოიკითხე, ჩვენი შველი გაართობს ავადმყოფსო. იამა ტატოს შვლის ნახვა, ლოგინზე წამოიწია, შვლის პატარა თავი გულში ჩაიკრა, თვალები დაუკოცნა.

ყველანი გაახარა ტატოს სიხარულმა. გამდელი ჩუმად ლოცავდა, ბუტბუტებდა და მადლს უთვლიდა ჭავჭავაძიანთ ქალებს მისი გაზრდილის გახარებისათვის.

დაღამებული იყო, როცა ოთახში წითლად მორთული მაიკო შემოვიდა, ეფემია კარებში შეეგება:

— შვილო მაიკო, წითელა ბატონები დაუბრძანდა ჩემს ტატოს.

— ვიცი, იმიტომაც მოვედი, საჩუქარი მოვუტანე.

მაიკოს წითლად ყელშეღებილი თეთრი მტრედი გულზე მიეკრა. მშვიდად იყო მტრედი, პატარა თავი მაიკოსთვის მიეყრდნო და რაღაცას შეღუღუნებდა.

ტახტზე მჯდარმა გრიგოლმა თვალი ვეღარ მოაცილა მაიკოსა და მტრედს, გაუელვა, თუ ვინმე მოისურვებს სათნოებისა და მშვიდობის გამოხატვას, მაიკო და მტრედი უნდა დახატოს ასე ერთადო.

ტატოს ლოგინთან მივიდა მაიკო, მტრედი გაუწოდა:

— ისეთი სათნო და მშვიდობიანია ჩემი მტრედი, ერთ წუთს არ შეგაწუხებს, უყვარს ავადმყოფთან ჯდომა.

ტატომ მტრედი ჩამოართვა დობილს.

— შენს სახსოვრად მეყოლება, ჩემო მაიკო, ნახე, ნინომ და ეკატერინემ რა საჩუქარი გამომიგზავნეს?

მაიკო შველთან მივიდა, მისი ლამაზი თავი გულში ჩაიკრა. გრიგოლმა ვეღარ გაარკვია, როდის იყო მაიკო დასახატი, მტრედით ხელში, თუ როცა შვლის ლამაზი თავი ჰქონდა გულზე მიკრული.

მაიკო ტუჩებსა და თვალებს უკოცნიდა შველს.

— ტატო, ტატო! ნახე, თვალები შენს თვალებს უგავს.

როცა მაიკო წავიდა, ახირდა ტატო, ყველანი დაითხოვა გამდელის მეტი.

— ძველი ამბები მიამბე, გადიავ, თორემ ამაღამ არ დამეძინება, ეგ ბალიშიც მომეცი.

გამდელმა ეფემიას ნაკერი აბრეშუმის ბალიში მისცა. ტატომ ზედ თავისი ნუკრი დააწვინა, მტრედი კი მაგიდაზე იჯდა და ნისკარტით ფრთებს ისწორებდა.

გამდელი თვალებში შესჩერებოდა ავადმყოფს, უკვდავების წყალზედაც რომ გაეგზავნა, წავიდოდა, ძველი ამბების მოყოლაზე როგორ ეტყოდა უარს. სასთუმალთან მიუჯდა და წითელი შუქით განათებულ ოთახში გაისმა გამდელის ჩურჩული:

— მტრებმა ხმა დაჰყარეს, რუსის ჯარი წასულა და მარტო დარჩენილი ქართველები ოსმალოებს მთლიანად გაუწყვეტიათო. სასახლეშიც გაიგეს ეს ამბავი. შეიქმნა გლოვა და ზარი. ფეხთ_ გაიძრო დარეჯან დედოფალმა, ფეხშიშველმა გასწია სიონისაკენ, მთელი სასახლე უკან დაედევნა. გადაიარეს ბაზარი, ხალხშიც ხმა გავრცელდა ერეკლეს დამარცხებისა, ქართველი ჯარის ამოწყვეტისა.

უამრავი ხალხი მოაწყდა სიონის ტაძარს. მორბოდა დიდ და პა-

ტარა. ხალხი ტაძარში აღარ ეტეოდა, დედოფალს მოახსენეს:

— ხალხი ითხოვს გაგვაგებინოთ, რა სჭირს ჩვენს საყვარელ მეფესო.

დედოფალმა წინ სამღვდელოება გაიძღოლა ხატებით ხელში, თვითონ უკან მიჰყვა, ცხარე ცრემლით მტირალი დედოფალი ხალხმა რომ ამ ყოფაში ნახა, შეიქნა ქვითინი; ცრემლად იღვრებოდა ქალი და კაცი.

დასრულდა პარაკლისი, არ იძვროდა დაჩოქილი ხალხი. ამ დროს რამდენიმე კაცი მოიკრა და შეკრებილთ ახარა:

— ხალხო, იქნებ არა ვართ დაღუპულნი, მტკვარს ოსმალთა გვაქვს მოაქვსო!

შეიქნა ჩოჩქოლი.

ხალხში ყვირილი ატყდა:

— მეფე მოდის, მეფე!

— ქართველი ჯარი მოდის! — ამის გაგონებაზე იგრიალა ხალხმა, წინ შეეგება გამარჯვებულ მეფეს...

— ჩასძინებია! შენ შემოგეველოს გადია. — ჩაიჩურჩულა მაიამ და თავზე სამჯერ ხელი შემოაევლო მძინარე ტატოს.

— მეფე მოდის, გამარჯვებული მეფე მოდის! — წამოიძახა ძილში ტატომ.

დილაზე ფარეში ფეხაკრებით შემოვიდა, გამდელს ჩასჩურჩულა:

— გამდელო, მახარე მოვიდა ტატოს სანახავად, სოფელში ამბავი ჩაუტანიათ, შენს გაზრდილს წითელა ბატონები სჭირსო. — გამდელი წამოდგა, ჩუმად უნდოდა გასვლა. კარებში ტატოს ხმა მისწვდა:

— ვინ მოვიდა, გადია?

— მახარე მოსულა სოფლიდან, შენი ჭირიმე!

— ჩქარა, ჩქარა მოიყვანეთ ჩემი მახარე!

მახარემ ძლივს შემოიტანა კარებში ფართო მხრები სავსე ხურჯინთან ერთად. შემოსვლისას ნაბდის ქუდი მოიხადა, ხურჯინი ტახტზე დადო. ტატოს ლოგინთან მუხლი მოიყარა. ბატონების მობრძანება მიულოცა და ხურჯინის ამოლაგება დაიწყო: ხაჭაპურები, ნაზუქები, ქადები, ლეღვის ჩირი, ჩურჩხელები, კეხურა ვაშლი სათითაოდ ამოჰქონდა ხურჯინიდან მახარეს.

— ეს ჭინკა ბიჭმა გამოგიგზავნა, ეს მარიკელამ, ეს ჭრელი წინდები ჩემმა დედაკაცმა მოგიქსოვა, ეს წითელი ყაბალახი — ჩემმა ქალმა, ეს ნაბდის ქუდი — ჩემმა რძალმა. ეს ორი ჭუჭული — ჯოხა-

ძეების ქერიემა მართამ მოგართვა. — სათითაოდ ასახელებდა ძღვენის გამომგზავნს მახარე. — ჩვენი საყვარელი ტატოს თავზე შემოსავლებად მე გამომგზავნა მთელმა სოფელმა. — ხელები გაშალა მახარემ.

— ამიყვანე, ხელში ამიყვანე. მახარე! — ტატო მახარეს გულში ჩაეკრა.

— შენ თავს შემოვევლე, დღეგრძელი და ეგრე საყვარელი იყავი» მუდამ, მანამ იცოცხლე, სანამ წყალი არ დაშრეს, დედამიწამ გული არ შეიკრას და მთა-ბარი არ გათანასწორდეს.

ტატო რომ წითელამ ჩააწვინა, თოვლი მაშინ იწყებდა დნობას. ავადმყოფობის შემდეგ გარეთ გამოსულს აფეთქილი ხეები შეეგებნენ, ენძელებს შვლის დაცქვეტილი ყურებივით ამოეყოთ თავი, ტყეს კვირტი აეყარა და შორიდან შავად მოჩანდნენ გადახნული საყანეები.

გაახარა ტატო გაზაფხულმა, მისმა პატარა შველმა მთელი ეზო შემოირბინა, აკვირტულ ხეებს გაეთამაშა: ყურებდაცქვეტილ ენძელებს წაეპოტინა.

ტატო ხანგრძლივმა წოლამ დაასუსტა, უჭირდა შველთან ერთად სირბილი, მაგრამ გაზაფხული ისე ძლიერად უხმობდა ყველას, რომ ვერ. გაუძლო ცთუნებას.

საღამოზე, როცა ახალმა მთვარემ გამოანათა, აივანზე თავი მოიყარეს ოჯახის წევრებმა. მოურავიც ამოვიდა, მელიტონს მოახსენა:

— ბატონო, ხვალ კანონის დღეა, სოფლიდან მახარე გეახლათ, თესვა უნდა დავიწყოთ.

— კარგი გიქნია, მადლიანი ხელი აქვს მახარეს, მისი ნათესი ჯერ არ გამცდარა. — უპასუხა ნასიამოვნებმა მელიტონმა.

აივანზე მხარბეჭიანი მახარე შემოიმართა, რომელსაც თეთრი წვერი გულმკერდზე გადაშლოდა, ქორისებრ ცხვირს შეკრული თეთრი წარბები გადმოჰყურებდა, მაგრამ როცა ეს დროული მოხუცი გაიღიმებდა, ჩამწკრივებული ბროლივით კბილები გამოუჩნდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა. მასზე სანდომიანსა და ლაზათიან სახეს ძნელად შეხვდებოდა ადამიანი.

— დღეგრძელობა ბატონებს! — მიესალმა მახარე ყველას.

— გამარჯობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა, ჩემო მახარე! — მელიტონი კვლავ მოურავს მიუბრუნდა, შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. — სკამი მოართვით მახარეს. მაშ, ხვალ კანონის დღეა.

— დიახ, ბატონო, ამ დროს ჩაყრილი მარცვალი ძნელად თუ გაცუდდება.

— ეგ შენთვის მომინდვია. ჩემო მახარე, უკეთ იცი.

ბავშვები ყიჟინით შემოცვივდნენ აივანზე, მახარეს შემოეხვივნენ.

— დღეგრძელობა ჩემს ტატოს. — დასწვდა მახარე და ხელში აიტაცა. — გამახარა შენმა კარგად ყოფნამ, შენი მალხაზი თვალების ჭირიმე, ბიჭო!

— თესვაში ხომ წამიყვან, მახარე!

— შენზე უკეთესს ვის წავიყვან?

— მეც ხომ წამიყვან, მახარე! — მკლავზე დაეკიდა ილიკო.

— თქვენზე უკეთესს ვის წავიყვან, თქვენი ჭირიმეთ, ვაჟკაცებო, მხრებზე დაგისვამთ და ისე წაგიყვანთ! — მხნედ შესძახა მახარემ.

შეაფიქრიანა ეფემია ტატოს თხოვნამ.

მზის ამოსვლამდე უნდა წახვიდეთ, შვილო, ახალი ნაავადმყოფარი ხარ, ვაითუ ვერ შესძლო.

— გაუშვი. ეფემიავ, მოუხდება კიდეც ჰაერზე ყოფნა, ფეხით ხომ არ წავა? — მიუბრუნდა მელიტონი ეფემიას.

მტრედისფრად ინათა თუ არა, წამოიშალნენ, მზის ამოსვლამდე უნდა დაეწყო მახარეს თესვა, სათესი მიწები არცთუ ისე ახლოს იყო. ურემში კამეჩები შეაბეს. ზედ სათესლე ხორბლით სავსე ტომრები დააწყვეს, კოფოზე მახარე დაჯდა, კამეჩებს სახრე გადაჰკრა. და მისი ურმული შეუერთდა ახლად გაღვიძებული ჩიტების ჭიკჭიკს. ბიჭები ტომრებზე შეიხუნძლნენ. მოურავი ცხენით გაჰყვა, წინ რვა უღელი ხარი გაირეკეს ფარცხებით.

ნახნავში გავიდნენ, ბიჭები ხარებს მისცვივდნენ, შეაბეს და ზოგმა ფარცხზე მოირთხა, ზოგიც ფეხზე დადგა ყიჟინის დასაცემად.

მახარემ წელზე თესლიანი ტომარა შემოირტყა, ქუდი მოიხადა, ხნულში შევიდა, ხარებს წინ დაუდგა, ზეცას ახედა, აღმოსავლეთი მზეს წითლად აეფერადებინა, ჩიტებმაც დილის საგალობელი მოათავეს, მახარემ მარჯვენა ხელით ხორბალი ამოიღო და დაიწყო:

— დიდებულო ღმერთო! შენ ერთმა იცი, ჩვენ ქვეყანას რამდენი უბედურება გადახდომია, რამდენჯერ აუოხრებია მტერს. — ფარცხზე შეხუნძლული ბიჭები გაინაბნენ, თვალს არ აცილებდნენ მახარეს, თითქოს ეშინოდათ, რომელიმე სიტყვა არ დაგვეკარგოსო, მახარე კი კვლავ განაგრძობდა: — დაღუპულან, მაგრამ თავიანთი მა-

მული გაჭირვებაში არ დაუგდიათ, არა თუ დაუგდიათ, უშენებიათ კიდეც. — პურის თესლით სავსე მარჯვენა ხელი აიქნია მახარემ, ხორბალი მიწაში მიმოაბნია, ახალგაზრდული და ომახიანი ხმით შესძახა: — ეს ღმერთს! — კვლავ ჩაყო ხელი თესლით სავსე ტომარაში, ახლა მარცხნივ აიქნია ხელი და თესლი წვიმასავით დაეშვა დედამიწისაკენ, — ესეც ეკლესიას, — ასე მიდიოდა წინ მახარე, თესლს აქეთიქით აბნევდა, დედამიწის გულს ჭირნახული ხორბლით ავსებდა, თან ხმას უმაღლებდა, თითქოს უნდა დედამიწას გააგონოს, რომ მიბარებული გულუხვად დაუბრუნოსო.

— ესეც ჩვენს სამშობლოს, მუდამ გამარჯვებული ყოფილიყოს! სხვისი არ სდომებოდეს და თავისიც არ დაეკარგოს. ესეც ჩვენს ბატონს, ღმერთო, პურადობას ნუ მოაკლებ! ეს სტუმარსა — ღმერთო, ლუკმას ნუ გამოგვილევ, დავხვდეთ გულგაშლილადა. ეს მამულის ჯარისკაცებს. ეს, ვისაც საქონელი დაეხოცა. ეს იმას, ვისაც მოსავალი არ მოსვლია. ეს ქვრივსა და უშვილოს, ეს ქვრივ-ობლების პატრონს. ეს ღარიბსა და მარტოხელს. ეს ობლებსა და უდედმამოს. ეს სწორსა, ეს ამხანაგსა, ეს მეგობარსა, ეს ნათესავსა, ეს მეზობელსა. ეს ფრინველს, ეს პირუტყვს. ეს მე და ჩემს ხიზანს.

მზემ დასავლეთით გადაიწია, სანოვაგით დატვირთული ურმები მოვიდნენ. გოგოები სიცილ-კისკისით გადმოიშალნენ ურმიდან. მელიტონიც გადმოხტა ცხენიდან და სამხრის სუფრის გაშლა ტანაყრილი ცაცხვების ჩრდილში ბრძანა.

გამდელმა ლურჯი სუფრა გაშალა. ნიავმა თბილი პურის სუნი აიტაცა.

სუფრას შემოესხდნენ.

მელიტონმა ვერცხლით მოჭედილი კათხა ხელში აიღო:

— თქვენს მუშაობას გაუმარჯოს, შენც გაგიმარჯოს, მახარე, ჩვენი მთესველი შენ ყოფილიყავ მრავალჟამიერ. — კათხა დაცალა და მახარეს მიაწოდა.

მახარემ კათხა ჩამოართვა, წამოდგა:

— დაილოცოს მშრომელი ხალხის მარჯვენა! იმას გაუმარჯოს, ვისაც ამ პურის მოყვანის დროს ოფლი უწვეთებია, იმას გაუმარჯოს, ვისაც ამ ღვინის დაწურვის დროს მუხლი დაღლია, იმას გაუმარჯოს, ვისაც ჩვენი ქვეყნის მშვიდობისათვის თავი შეუწირავს!

პირველი დღე სკოლაში

ორბელიანებმა მოითათბირეს, ილია და ტატო სექტემბრიდან კეთილშობილთა სასწავლებელში მიებარებინათ.

— აუცილებელია, დედავ ბატონო, დრო შეიცვალა, ახლა სწავლა არის საჭირო კაცისათვის. თუ ღმერთმა მისცათ ნიჭი და ხალისი, ნახავ, რაც შეიქნება თქვენი შვილი და შვილიშვილი. — აიმედებდა დედას გრიგოლი.

— ვაი, რომ ვერ აიტანონ ლაღად გაზრდილებმა იქაური წესი და ადათი. წუხდა ხორეშანი.

— უნდა აიტანონ, ბატონო, რაც გარდაუვალია, მორჩილებაც გვმართებს, მით უმეტეს ყრმობისას. — დაადასტურა მელიტონმა.

— განა წინააღმდეგი ვარ, ახალგაზრდები ხართ. იცით კიდეც, როგორც სჯობს.

ეფემიამაც მხარი დაუჭირა ბიჭების სასწავლებელში მიბარებას, მხოლოდ გამდელ მაიას შეუცვალა ამ გადაწყვეტილებამ გუნება. მთელი დღე ოთახებში დაბორიალებდა, პირჯვარს იწერდა და ჩურჩულებდა:

— ღმერთო, უშველე!..

ილიასა და ტატოს დედამიწაზე ფეხი აღარ ედგათ სიხარულით, მთელი დღე მზადებაში გაატარეს.

დილით ადრიანად წამოიშალა სახლობა, დღეს ბარათაშვილების უფროსი და ორბელიანების უმცროსი სასწავლებელში უნდა წასულიყვნენ.

სექტემბრის მზიანი დღე იყო, მუქლურჯად მოკრიალებული ცა თითქოს ზევით აწეულიყო. მსუყე შემოდგომა იდგა, ბაღებში ხეები ხილით დახუნძლულიყვნენ და ძლივსღა იჭერდნენ დამძიმებულ ტოტებს.

თეთრი ქულაჯები შეუკერეს ამ დღისათვის ტატოსა და ილიას.

ჯალაბმა აივანზე მოიყარა თავი, ათვალიერებდნენ გამოწკეპილებს. პირველად ნორეშანმა დალოცა ილია და ტატო. დაკოცნა მის წინ თავდახრილები, ორივეს თავზე ხელი დაადო და მტკიცე ხმით უთხრა:

— მუდამ ნათელი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების გზა, თქვენი ქვეყნისათვის თავი არ დაგეზოგოთ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის გეზრუნოთ მუდამ.

ეფემიამ გულში ჩაიკრა ძმა და შვილი.

— თქვენი სიცოცხლე მოყვასისათვის არ დაგნანებოდეთ, მძიმე სავალია ცხოვრების გზა. ამ გზაზე მუდამ პატიოსნად გატაროთ ღმერთმა და შეგაძლებინოთ სხვებსაც გაუადვილოთ მასზე სიარული.

გამდელმა სამჯერ წაღმა შემოატრიალა ბიჭები, დაუსრულებელი ჩიფჩიფით ლოცავდა თავის გაზრდილებს.

— დრო არის წავიდეთ! — შემოსძახა ქვევიდან გრიგოლმა და ალაყაფის კარში გავიდა. ტატომ და ილიამ კიბე ჩაირბინეს.

ტატო ჩუმად მისდევდა გრიგოლს, ილიას კი ხელი ჩაეკიდნა ძმისათვის.

მოხუცმა მეკარემ კარი გაუღო მოსულთ. ისინი მეორე სართულზე ავიდნენ. ბნელ დერეფანში, რომელსაც სექტემბრის მზიანი დღის შუქი არ სწვდებოდა, დატოვა გრიგოლმა ილია და ტატო. ბიჭებმა სიბნელეს შეუჩვეველი თვალით ვერაფერი გაარჩიეს და შემკრთალი იდგნენ. უეცრად ჩურჩული ჩაესმათ:

— ტატო, ილიავ, თქვენც მოხვედით? — ტატოს არ დაუნახავს, ხმაზე იცნო ლევანი. თვალებზე ხელი მოისვა და ახლა გაარჩია: დავითი, კონსტანტინე, მიხეილი, ყველას აქ მოეყარა თავი. ახალ ტანსაცმელში გამოწყობილები კედელთან ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ.

— თქვენც აქა ხართ! — შეჰყვირა აღტაცებულმა ტატომ.

— ჩუმად! ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება. — ტატო ჩურჩულით მოლაპარაკეს დააშტერდა. მიხეილს ვიწრო მხრები ზევით აეწურა, გამხდარი კისერი წაეგრძელებინა და ისე ჩურჩულებდა. აღარც კონსტანტინეს, ლევანს და დავითს ეტყობოდათ ჩვეული სილაღე. ყველანი ჩუმად იდგნენ, სიბნელეში ციმციმებდა მათი გაბრწყინებული თვალები. ბიჭებმა ერთმანეთს ყურადღებით დაუწყეს თვალიერება. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

კუთხეში რამდენიმე ბიჭი შეჯგუფებულიყო, იმათაც შეშინებული სახე და დამფრთხალი თვალები ჰქონდათ. ერთ მათგანს ლოყები ბროწეულივით დაბრაწოდა და ვეებერთელა ყურები ლოყებზე მეტად ასწითლებოდა.

— შეხედე, ილიავ, ჯვარის მამის ლაკაშივით დაბრაწულა. — ტატომ მუჯლუგუნი წაჰკრა ბიძას.

— აი, იმას შეხედე. — მიუთითა ახლა ილიამ პატარა გამხდარ ჭორფლიან ბიჭზე. ტატომ ბიჭის დანახვაზე ხმამაღლა გაიცინა. ბიჭი

მიხვდა, სიცილი რომ მისმა ცხვირმა გამოიწვია, გიფარჩხული წარბები შეიკრა, პატარა ხელები მომუშტა.

უეცრად კარი გაიღო. გამხდარი კაცი შემოვიდა, ხელში ქაღალდები ეჭირა. ბიჭებს უბრძანა გაჰყოლოდნენ. ოთახში თავი მოეყარა მშობლებს, უმრავლესობა მამაკაცი იყო; მუნდირებში, ყურთმაჯიან ქულაჯებში, შავ სერთუკებში იდგნენ ისინი ჯგუფ-ჯგუფად და ერთმანეთში საუბრობდნენ.

დარბაზი, სადაც ბიჭები შეიდნენ, უფრო ნათელი იყო. წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდას რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა.

გამხდარმა კაცმა, რომელმაც ბიჭები დარბაზში შეიყვანა ხმამაღლა დაიწყო მიღებულთა სიის კითხვა. ის ყოველი გვარის წაკითხვაზე მთელი ტანით წინ წამოიწევდა, ფეხის წვერებზე შედგებოდა, წვრილი არასასიამოვნო ხმით რომელიმე ბიჭის გვარს დაიძახებდა, თანაც აშოძახებულს ოდნავ ხელს წაჰკრავდა და მეორე კუთხეში მიაგდებდა.

— ცხვირპაჭუა რა გვარია? — წასჩურჩულა ლევანს ტატომ.

— მონასტირსკი.

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი! — დაიძახა გამხდარმა კაცმა. ტატომ ჩურჩული შეწყვიტა და ისიც ხელის წაკვრით მეორე კუთხეში მიაგდეს. დაამთავრა კითხვა წვრილი, წრიპინა ხმით გამხდარმა კაცმა და ბიჭები დარბაზიდან გაიყვანა.

ქართლის ბედი

ვიწრო სარკმლიდან შემოსული სინათლე ნახევრად ანათებდა ოთახს. ბუხრიდან შუქი პირდაპირ სცემდა განიერ ტახტს, რომელზედაც მუთაქებს შორის ხორეშანს მოეკეცა. იგი დაბალი ხმით რაღაცას მოუთხრობდა მის მუხლებთან მიყუჟულ ილიასა და ტატოს. ხორეშანის გვერდით ახალგაზრდა ქალი იჯდა ფეხმორთხმული, საქარგავს დაჟინებით დასცქეროდა, ნაქარგზე სახეები გამოჰყავდა. ხორეშანი ახალგაზრდა ქალისაკენ დაიხარა:

— მარჯვნივ გაჰყე ნემსის წვერით, თორემ სახე უსიცოცხლო გამოგივა, თვალებიც დაჰკარგავენ შუქს.

— განაგრძე, დიდედა, განაგრძე, ხელზე წაეპოტინა ტატო ხორე-

შანს; სურვილმორეულს ბუდეშური თვალები კილოებში მოუვიწ-როვდა.

— მოიცა, შვილო, რად გეჩქარება ყველაფერი? — ახლა ილიას მიუბრუნდა ხორეშანი. — შვილო, ილიკო, გაიხედე, კიდეე თოვს თუ არა, რად იგვიანებს გრიგოლი ასე? ვაითუ ცუდი გზებია! — გაესაუბ-რა თავისთავს ხორეშანი.

ილია წამოხტა, ვიწრო სარკმელს მარმაშის ფარდა გადასწია, გა-იხედა.

— უ, როგორა თოვს, აღარაფერი აღარა ჩანს, ყველაფერი გადა-თეთრებულა.

ტატო კვლავ ხორეშანს წაეპოტინა უსიტყვოდ. ხორეშანმა ფიქ-რები თავის გაქნევით გაფანტა და დაწყებული ამბავი განაგრძო:

— რა დაინახა მეფემ, რუსები თავისას აღარ იშლიანო, მოტრი-ალდა და თავის ჯარს შესძახა: — ქართველებო! რუსები უკან წავიდ-ნენ, ჩვენ კი აქ უნდა გავწყდეთ, თუ არ გვინდა საქართველოს აოხ-რებაო.

ოთახში დიდხანს გაისმოდა ხორეშანის ტკბილი ხმა. იგი. თავის საყვარელ მეფე ერეკლეზე მოუთხრობდა შვილსა და შვილიშვილს.

ჩამობნელდა. ოთახში მყოფნი, ხორეშანის ნაამბობით გატაცე-ბულნი, დროის მსვლელობას ყურადღებას აღარ აქცევდნენ. არც გარედან შემოსული ხმაურისათვის მიუქცევიათ ყურადღება და, რო-ცა ოთახში გამდელი შემოვიდა და ხორეშანს მოახსენა: ბატონი გრიგოლი მობრძანდაო, ხორეშანმა ადგომაც ვეღარ მოასწრო, კარებ-ში გრიგოლიც გამოჩნდა.

— იჯექ, დედავ ბატონო, — გრიგოლმა ორივე ხელი მიაშველა წამოსადგომად გამზადებულ ხორეშანს, კვლავ მუთაქებზე დასვა, ხე-ლები და მხრები დაუკოცნა, ხორეშანმა თავზე აკოცა შვილს.

— შადლობა ღმერთს, მშვიდობით მოხველ, შვილო.

— არ არის ცუდი სამგზავრო, დედავ ბატონო, მართალია თოვს, მაგრამ ჯერჯერობით იმდენი არ დაუდვია, ცხენს შეუშალოს, არც სიცივეა. პირიქით, სასიამოვნოა კიდეც. თქვენ რას აკეთებთ, ყვე-ლანი რომ შეყრილხართ? — გრიგოლმა თვალი შეავლო მის წინ გა-ჩერებულ ტატოსა და ილიას. ხორეშანმა ღიმილი შეაგება შვილს:

— როგორც ყოველთვის, მეფე ერეკლეზე ვუამბობდი, უყვარს ტატოს ჩვენი წარსული.

გრიგოლი ტახტზე ჩამოჯდა, ტატო აიტაცა, მუხლებზე დაისვა და ტკბილად უთხრა:

— აღრიდანვე დაიწყე ქართლის ბედზე ფიქრი, შენმა გაზრდამ! — ტატომ გაუცინა საყვარელ ბიძას, მაგრამ კვლავ დიდედას ნაამბობზე ფიქრობდა:

— გიორგის რომ ანტონა აქიმბაშისათვის დაეჯერებინა. — წაიჩურჩულა მან.

— განაგრძეთ, დედავ ბატონო, თორემ ხედავთ, ტატო ყურს არ მიგდებს, მეც მეამება წარსული ამბების მოსმენა.

ოთახში კვლავ გაისმა ხორეშანის ხმა. გრიგოლი დაფიქრებით მიაჩერდა ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ენებს, რომლებიც ვეებერთელა კუნძებს შესჭიდებოდნენ და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

— ერთ დღეს ხუთჯერ გაიმარჯვა მტერზე. — დაამთავრა ხორეშანმა.

გრიგოლმა განაგრძო:

— სამოცდასამი წელი უვლიდა ქვეყანას, დიდი და მცირედი ომი ასობით გადაიხადა, ყოველთვის მტრის შუაგულში იბრძოდა. ბოლოს შოღალატეებმა გულში დაკოდეს მოხუცი, მაგრამ მაინც შესძლო დატანჯული საქართველო დიდი რუსეთის კალთისათვის შეეფარებინა და ამით სამუდამოდ გადაწყვიტა ქართლის ბედი. თქვენ კი, — მიუბრუნდა შემომცქერალ ძმას და დისშვილს, — თქვენ კი უნდა ისწავლოთ, ისწავლოთ, ამაზე მეტად არაფერი სჭირდება ჩვენს ქვეყანას;

გამდელმა ეახშმისათვის მიიწვია ხორეშანი და გრიგოლი. ტატო და ილია დასაძინებლად გაემზადნენ.

ცეცხლის ალი თანდათან ჰქრებოდა. ოთახში კიდევ დიდხანს გაისმოდა ტატოსა და ილიას ჩურჩული. ახლა მარტო ერთი კუნძილა გიზგიზებდა გულჩათხრობით. ილიას ძილმა წაართვა თავი. აღარ პასუხობდა ტატოს საიდუმლო ჩურჩულს, ტატოც გაჩუმდა, მისი ფიქრები კვლავ გმირ პაპას დასტრიალებდა, ძილი ერეოდა, თვალები ნელ-ნელა ეხუჭებოდა.

წარსული დღეები სიზმარში გადაჰქონდა ბავშვურ ოცნებას. ჩაფერფლილი კუნძიც აღარ გიზგიზებდა.

როცა დილის შუქმა და თოვლის სითეთრემ ვიწრო სარკმელში კვლავ შემოანათა, ტატოს მოეჩვენა: ცა გახსნილიყო, აყრილ ღრუბლებში ლანდივით ჩაწდა მეფე ერეკლეს სახე, ღრუბლები თანდათან იფანტებოდა და მეფის სახე უფრო მკვეთრი ხდებოდა. თავის ქვე-

ყანას დაჰყურებდა მეფე, სახეზე ნათელი ეფინა, უხაროდა, რომ ვეღარ ხედავდა აწიოკებულ სოფლებს, აოხრებულ ქალაქებს, ატირებულ მცხოვრებლებს. უხაროდა, მისი ღვაწლი ტყუილად არ დაკარგულიყო, თავის ნაყოფი გამოეღო ჩრდილოეთისაკენ გაჭრილ მზერას, დაწყნარებულიყო მისი პატარა მამული, მაგრამ დაკოდილ გულს გამთელება არ ღირსებოდა, იქიდან გამონადენი სისხლის წვეთები დედამიწისაკენ მიისწრაფოდნენ. უყურებდა ტატო სისხლის წვეთებს, მასაც უკვნესოდი პატარა გული, უნდოდა ეყვირა: ნუ სწუხარ, პაპა, გაგიმთელებთ დაკოდილ გულს.

თენდებოდა. აღარ თოვდა.

მზის სხივებს აეწითლებინა აღმოსავლეთი. ბრწყინავდნენ მზის შუქზე თოვლით დაფარული გორის ფერდები, ელვარებდნენ ფიფქები, უცინოდნენ მზის შუქს, მზის სხივები კი ნაზად ეალერსებოდნენ ფიფქებს, ერთიდან მეორეზე გადარბოდნენ. ეშინოდათ, ზედმეტი ალერსით არ დაიფერფლონო. ზამთრის პირველი ფიფქები გაზაფხულის პირველი ყვავილებივით ფაქიზნი არიან.

ქალაქმა გამოღვიძება დაიწყო.

ვიწრო ქუჩებში გამოჩნდნენ სახედრები, სანოვაგითა და ნახშირით დატვირთულნი. თოვლის ფიფქები აკვნესდნენ სახედრების ფეხქვეშ, მოშორებით მყოფებმა თავები წამოჰყვეს, გაკვირვებით შეხედეს გამურულ მენახშირეებს. ამოდენა სითეთრეში ზღაპრული ალქაჯებივით რომ მოაბიჯებდნენ.

— მაწონი! რძე! მაწონი!

— ნახშირი! ნახშირი! — გაისმა ორბელიანთა უბნის ვიწრო ქუჩებში. აივნებზე აქა-იქ გამოჩნდნენ გამდელები და მოახლეები, მათ ყროყინით შეეგებნენ სახედრები.

სახედრების ხმა მძინარ ტატოსაც ჩაესმა.

ტატო წამოდგა. ფეხშიშველმა გადაირბინა ოთახი, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, გარეთ გაიხედა. გაახარა მზის სხივებით განათებული თოვლის დანახვამ. მზითა და თოვლით ივსილიყო ყველაფერი. ცის პირამდე მზისა და თოვლის მეტი აღარაფერი იყო. მაია გამდელის ზღაპარი მოაგონდა უშვილო დედოფალზე, საკირავით რომ იჯდა სახლის წინ, სისხლის წვეთი თოვლზე რომ დაეცა. თოვლივით თეთრი ასული ინატრა მაშინ დედოფალმა. ალბათ მაშინაც ასეთი ბრწყინვალე დღე იყო. ვერ შეატყო, სიცივემ რომ აიტანა და კბილებს კბილებზე აცემინებდა. ლოგინისაკენ სწრაფად

ისკუპა. საბანი შემოიკეცა, მაგრამ სარკმელს თვალს მაინც ვერ აცილებდა. გარედან შემოსულ მზის სხივებს და თოვლის სითეთრეს ოთახიც აევსო. ტატომ ილიას ხმაზე სარკმელს მზერა მოსწყვიტა და თავის ტოლ ბიძას გაეხმაურა:

— რა იყო?

— რა დაგემართა, ტატო? გეძახი და ხმას არა მცემ?

— მე მეძახოდი? მოდი, გაიხედე, როგორი დილაა!

— როგორი დილაა?

— არა, ილია, ასეთი დილა არასოდეს გინახავს. ციგაც თავისთავად გასრიალდება, მერე ისიც კაკალას გაკეთებული ციგა!

ბიჭები ზეზე წამოცვივდნენ, ჩაცმა დაიწყეს. ტატომ ლურჯი ქუდი გვერდზე მოიქცია, ძირს დაცოცებულ ვერცხლის ქამარს ხელი მიაშველა და სათონისაკენ გაიქცა, უკან გამოდევნებულ ილიას მოაძახა:

— ილიავ, გამდელთან შეავალ, ცხელ თონეულს გამოვართმევ.

ბიჭები მთაწმიდის აღმართს შეჰყვნენ. წინ ტატო მიდიოდა. კაკალას გაკეთებული ციგისათვის თოკი გამოება და მისრიალებდა. ბრწყინავდა მზის შუქზე პირველი თოვლით გადათეთრებული გორები, ეს ბრწყინვალება ტატოს გულშიც აშუქებდა, ახალუხის უბეში ჩადებული ცხელი თონის პური კიდევ უფრო მეტად უხურებდა ისედაც გახურებულ გულს.

თითქოს ფრთები შეასხესო, ისე დაეშვა დაღმართზე ტატო, ხელში მაგრად ჩაებღუჯა ციგის თოკი. წინ წამოხრილს თვალებში უჩვეულო სხივი ჩადგომოდა. ღაწვები წითლად აფაკლოდა, სიო თმებს უწეწავდა და მიჰქროდა პატარა ტატო, წინ გასწრებულ ილიას მუქარე ხმით დაჰკიეინა და ჰაერში გაისმა მისი წკრიალა ხმა: „ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია".

შეუმჩნეველად გაიარა მოკლე დღემ. ბინდი ჩამოწვა ქალაქში, როცა ბიჭები სიმღერით შემოვიდნენ ორბელიანთა უბანში. სახლში შესულებს ეფემია შემოეგება. ეფემიას საციგაოდ წასულების დარდი ჰქონდა და, უვნებელი ძმა და შვილი რომ დაინახა, გაიხარა.

— განა ესე დაგვიანება შეიძლება, შვილო!

— ვერ გავიგეთ, როგორ შემოგვაღამდა, დედა!

— ასეთ დროს ქალაქს მგელი ეტანება, შვილო, როგორ იქნება, არ გაფრთხილდეთ!

— ოთხნი ვიყავით, მგელი რას დაგვაკლებდ

— ღმერთმა დაგიფაროთ, მგლის ხროვას შეჰყროდეთ სადმე.

— გვაპატიე, დედავ, არ გვეგონა, თუ შეგაწუხებდით. — ეფემიამ შვილის ხელები მოიცილა, თვალებში ჩახედა, ხმას მეტი ალერსი დაეტყო.

— არ შეგციოდა მაინც მთელი დღე გადაკარგულს?

— ისეთი კარგი დღე იყო, დედა, მთაწმიდის მიდამო სადედოფლოდ მორთულიყო.

ტატოს ყურადღება დარბაზიდან შემოჭრილმა ლაპარაკმა მიიპყრო.

— ვინ არის?

— სტუმრები ჰყავს ძია გრიგოლს, შვილო!

დარბაზის კარი შეაღო ტატომ, შედგა. ძია გრიგოლი მოპირდაპირე ტახტზე იჯდა, დორზე მიყრდნობილი, და ხმამაღლა კითხულობდა. ტატოს სმენას მისწვდა: „ვის არ ერჩივნა ტყვეობას სიკეკლილი მამაცეული". ტატომ სუნთქვა შეიკრა, იქვე ჩაჯდა, არავის შეუმჩნევია მისი შემოსვლა. ყველა კითხვას უსმენდა. ტატოს ყოველი სიტყვის გაგონებაზე ერუანტელი უვლიდა. მაღალ შუბლზე წვეთწვეთად დაასხა ოფლის წვეთებმა. „რა კარგი ლექსია". — გაუელვა ტატოს. ამიტომაც უყვარს ძია გრიგოლი და, როცა ლექსის უკანასკნელი სიტყვები — „წავწყდები მამულისათვის" — ტაშმა დაჰფარა, ტატოს გაფერმკრთალებულ ღაწვებზე ცრემლები ჩამოუვიდა. ტაში შეწყდა, ტატომ თვალები გაახილა, დაინახა: სოლომონი გადახვეოდა ძია გრიგოლს. დანარჩენები გარს შემოხვეოდნენ და ულოცავდნენ.

— ამას ვუწოდოთ გივი ამილახვარის აღსარება! წამოიძახა რამდენიმე ხმამ. — კვლავ ტაშმა დაჰფარა ხმები, ტატოს კი სმენას უხშობდა უკანასკნელი სიტყვები „წავწყდები მამულისათვის".

ᲬᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ყაბალახით თავპირშეხვეული ტატო და ილია საკლასო ოთახში შეეარდნენ. მოსწავლეებს წრე გაეკეთებინათ, წკრიალა ხმით „ცანგალა და გოგონას" მღეროდნენ, თანაც ტაში გაეხურებინათ. ლევანს სკამი გადმოებრუნებინა და ზედ თავგამეტებით ქართულს უკრავდა.

— ტატომ, ტატომ იცეკვოს! — გაჰყვიროდნენ ბიჭები. ტატო ხელისკვრით წრეში შემოაგდეს და ისიც დატრიალდა.

— განი! განი! — დაიძახა ტატომ და ფეხის გასმით ყველას წინ ჩამოურბინა, წრე გააფართოვა, მერე ხელები კოხტად გაშალა, თავი მაღლა ასწია, ჩამოუარა, კაცს ეგონებოდა ფეხები იატაკს არ ეხებაო. ფრთაგამაგრებული შავარდნის ბარტყის ქროლვას ჰგავდა მისი ჩამოვლა.

— ყოჩაღ, ტატო, ყოჩაღ!

— სად არის ალდადანოვი, რომ არ გიყურებს?

— ჩქარი ტაში!

— ჩქარი ტაში! — უმატებდნენ ტაშს, უმატებდა ფეხების სრიალს ტატოც.

— ყორღანოვი მოდის, ყორღანოვი! — აჩურჩულდნენ ბიჭები და აქა-იქ შეწყდა ტაში. ტატო კვლავ განაგრძობდა ცეკვას, მას ბიჭების ჩურჩული არ გაუგონია.

კარებში ვეებერთელა ტანის ყორღანოვი გამოჩნდა.

— მოლეკურეს გაუმარჯოს! — ყორღანოვის მჭექარე ხმამ ბიჭები უეცრად გააშეშა. ტატომაც სწრაფად შეწყვიტა ცეკვა. ყველანი თავიანთ ადგილებისაკენ გაეშურნენ, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ხელსა ჰკრავდნენ, თანაც ჩუმად ფხუკუნებდნენ.

დაწყნარდნენ ბიჭები.

ყორღანოვმა სათვალე გაიკეთა, თავი მაღლა ასწია. კლასს გადახედა.

ბიჭებმა წიგნები გაშალეს. თითქოს დიდის ყურადღებით ჩასცქეროდნენ შიგ. მასწავლებელმაც გაშალა წიგნი:

— **Жарко, очень жарко!** — წაიკითხა ყორღანოვმა მჭექარე ხმით და ბიჭებმაც:

— **Жарко, очень жарко!** — ისე დაიღრიალეს, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყო.

— შეხედე, ილიავ, მანანა, ეკატერინე და მაიკო დროშკით მოდიან. — მუჯლუგუნი წაჰკრა ტატომ ილიას.

— აბა სად? — წამოხტა ილია და სახე ფანჯრის მინას მიაკრა. გაშლილ ქოლგებს დაეფარა ისინი. ილიამ თვალი მოჰკრა გაღიმებულ ეკატერინეს, რომელსაც ხელი თოვლის ფიფქებისათვის გაეშვირა.

— ორბელიანო! — დაიყვირა ყორღანოვმა. ილია შეკრთა, სწრაფად გაიჭიმა. — ორბელიანო, გაკვეთილი იცი?

— დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, ზმნამდე გავიკვეთე.

— აბა მიპასუხე — ილიამ სხაპასხუპით დაიწყო. ლევანმა სა-

ხეზე ხელი აიფარა, სიცილს ძლივს იკავებდა. — ყოჩაღ, ზმნამდე უნდა გაიკვეთოთ, ზმნამდე! — ხელი მაღლა ასწია ყორღანოვმა და თითების ტკაცუნით დაადასტურა თავისი ნათქვამი.

ყორღანოვის გაკვეთილი მუდამ მოსაწყენი იყო. ბიჭები ყოველთვის ცდილობდნენ, თავი სხვა რამეთი გაერთოთ. ახლაც კონსტანტინეს მუყაოდან გამოჭრილ ბიჭისათვის ძაფი ჩაება, ძაფს ჩამოსწევდა და ბიჭი ხელებს და ფეხებს უხეიროდ აფათურებდა, ბიჭები უყურებდნენ ამას და სიცილით იხოცებოდნენ.

გათავდა გაკვეთილი, დერეფანში გამოიშალნენ.

— რა ვითამაშოთ?

— ლახტი! ლახტი!

— კარგია, გავხურდებით, ცივა.

— ასკინკილა ვითამაშოთ.

— რაზე?

— აბა, თხილი და კაკალი ვისა გაქვთ! — ბიჭებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს.

— ვისაც რა გაგაჩნიათ, აქ დააგროვეთ, ამ სურათის ქვეშ! — გაჰყვიროდა დერეფნის ბოლოდან ილია.

— აქედან დავიწყოთ, მსაჯული მე ვიქნები!

— კენჭი ვყაროთ, ვისაც შეხვდება, ის იყოს.

— მე შემხვდა, მე, ესეც შენ. — ნიშნი მოუგო ლევანმა ილიას. — აბა, დაიწყეთ! — ბიჭები დერეფნის თავში ჩამწკრივდნენ. ლევანი წინ გამოვიდა, დაიყვირა:

— ვიწყებთ, ერთი, ორი, სამი! — და ბიჭების მწკრივი ასკინკილით გაიქცა.

— ასკინკილა, კინკილა, ხვალ შაბათი, ზეგ კვირა! — გაისმა მათი ხმა.

— ტატო მივიდა, ტატო!

— მეც მივედი! — აყვირდა კონსტანტინე.

— შენ კვირაზე როდის მიხვედი, კვირაზე მარტო ტატო მივიდა, აბა, პირველი ჯილდო ტატოს მივართვათ.

— კარგი, წავიდეთ, გაკვეთილი დაიწყება.

— რა გვაქვს?

— განა არ იცი? დოდაშვილის გაკვეთილია!

— წამოდით, წამოდით, არ დაგვაგვიანდეს.

ბიჭებმა თამაშს თავი დაანებეს, საკლასო ოთახის კართან ძიძგილაობდნენ, ერთმანეთს შესვლას არ აცლიდნენ.

— ეგ რა წიგნია?

— დოდაშვილის გრამატიკა, დღეს ვიყიდე.

— მეც მიყიდა გუშინ მამამ!

მოსწავლეები კლასში შეეიდნენ, თავთავიანთ ადგილებზე დალაგდნენ, წინ ახალი წიგნები გაიშალეს, მხოლოდ აქა-იქ კიდეე გაისმოდა ერთმანეთის გადაძახილი.

კლასში დოდაშვილი შემოვიდა. ბავშვებმა სული განაბეს. სიხარულით შესჩერებოდნენ ახალგაზრდა მასწავლებელს. დოდაშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, მაგიდებს შორის გაიარა, მოსწავლეების წინ გაშლილ წიგნებს დახედა, სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. ეს პირველი წიგნი იყო, რომელიც დოდაშვილმა დაბეჭდა.

სოლომონი ტატოს მაგიდის წინ შეჩერდა, მას განსაკუთრებით უყვარდა ეს ვიწროთვალებიანი სუსტი ბიჭი. მაგიდაზე წიგნი არ იდო. ტატო თავდახრილი ადგა, სოლომონმა წარბები შეიკრა, სახეზე ალმური წაეკიდა, თავისათვის უჩვეულო ხმით დაიძახა:

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამაშენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჭირიმე. — ძლივს წამოიკნაველა თავდახრილმა ტატომ და სახეზე ალმური წაეკიდა.

— წადი და მოახსენე, რომ დღესვე შეგიძინოს წიგნი. — ტატო სწრაფად წამოხტა, გარეთ გავარდა. წვიმანარევი თოვლი სახეში სცემდა, ცხელი ცრემლი გრძელ წამწამებზე დაეკიდა, ლოყებზე ნაკვალევი დატოვა. სიცივეს აღარ გრძნობდა, აღარც თოვლის სუსხს, დასასჯელად გამზადებულ დამნაშავესავით სახეში რომ ურტყამდა.

მამა შინ დაუხვდა ტატოს, ეფემია შეშფოთდა სკოლიდან უდროოდ მოსული შვილის დანახვაზე.

— რად მოხვედი ასე უდროოდ?

— წიგნი არა მქონდა, დოდაშვილმა — იყიდეო.

— რა ეჩქარებოდა, განა ხვალ ვერ გიყიდდი? — ჩაურთო მელიტონმა.

— ასე მოგახსენა, რომ დღესვე შეუძინეო წიგნი.

მელიტონი დარცხვენილი წამოდგა, ეფემიასათვის არც კი შეუხედავს, ისე გაჰყვა ტატოს.

ტატო რომ სკოლაში დაბრუნდა, სოლომონს გაკვეთილი უკვე გაეთავებინა და გარეთ გამოდიოდა. ტატო სულს ძლივსღა ითქვამდა, უსიტყვოდ გაუწოდა წიგნი.

— გიყიდნია, კარგია, არ უნდა დაივიწყო შენი მოვალეობა.

სოლომონი სწრაფად მოსცილდა მოსწავლეებს.

ბიჭები ქუჩაში გამოცვივდნენ. ჯიბეებიდან შურდულები ამოიღეს, ბეღურებს გამოუდგნენ. სიცივით მობუზულ ბეღურებს ხეებზე მოეყარათ თავი და ყივყივებდნენ, თითქოს ერთმანეთს ამხნევებდნენ. შორიდანვე იცნეს თავიანთი მტრები, ჯგუფ-ჯგუფად შეიფრთხიალეს, ზეცისაკენ გასწიეს.

— წამოდით, ხელოსნების უბანში წავიდეთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ვნახოთ, როგორ ამზადებენ ყეენობისათვის იარაღს.

— გუშინ მიტო იყო ჩვენსა, იმდენი სამუშაო გვაქვს, ვეღარ ავუდივართო.

ხელოსნების უბანში ბიჭების გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია:

— გაიზარდენით!

— დღეგრძელი იყავით! — ესალმებოდნენ აქეთ-იქიდან. შეფრთხიალდა მიტო ტატოსა და ილიას დანახვაზე.

— ისეთი საცერები გაგიკეთეთ, ვისაც გაკრავთ, მისი საქმე წასულია.

სიხარულით ათვალიერებდნენ ხის ხმლებს, ხანჯლებს, საცერე რგოლებსა და შურდულებს.

— როგორ თბილა თქვენთან, რა კარგია! — გაღვივებულ ქურას შემოეხვივნენ, ხელებს უფიცხებდნენ და დასველებულ ტანსაცმელს იშრობდნენ.

შინ დაბრუნებული ტატო გამდელთან შევარდა. გამდელის ოთახში მოახლეები ისხდნენ და კერავდნენ. ერთს ქარგა ედო მუხლებზე, მეორე კი მძივებით ქარგავდა, ნელი ხმით ღიღინებდნენ ისინი. ტატო გამდელთან მივარდა.

— იცი, გადიავ, ასკინკილა-კინკილა მოვიგე დღეს!

— კარგი, ჩემო გვრიტო, მასწავლებელი რაღად გააჯავრე?

ტატოს სახე მოეღრუბლა, პასუხი აღარ გაუცია, ოთახში ეფემია შემოვიდა.

— მოსულხარ, შვილო, რად არ შემოხვედი ჩემთან?

— ახლა ვაპირებდი შემოსვლას, დედი!

— გემდური, მაიავ, ჩემი ტატო გადამიბირე, უპირველესად შენთან გამორბის. — გაეხუმრა ეფემია გამდელს.

— გადია ენაცვალოს, იცის, მაგის მოსვლამდე გული რომ ვერ ისვენებს.

ეფემიამ გოგონების ნამუშევარი დაათვალიერა, ზოგს მოუწონა, ზოგს დაუწუნა და დედა-შვილი გარეთ გავიდა.

გამდელის ოთახი თანდათან დაიცალა, მარტო მაიალა დარჩა ბუხრის წინ, გაშლილ ხალიჩაზე მოკალათებული. ბუხრის ალზე ბებერ ძვლებს ითბობდა მაია, თან ტატოსათვის წინდებსა ქსოვდა. ოთახში მოურავი შემოვიდა, გამდელის წინ გაჩერდა, ჩაახველა. მაიამ მხოლოდ ახლა შეამჩნია შემოსული.

— მოურავო, მობრძანდი? ბატონი დილიდანვე გელოდება. ბრძანა, როგორც მოვიდეს, გამაგებინეთო!

გამდელს გოგოების დაძახება უნდოდა. მოურავმა მუხლზე ხელი დაადო, შეაჩერა:

— მოიცა, მაიავ, დავისვენო ცოტა, მუხლში ქარმა გამიაროს.

— მაიამ აღარაფერი უთხრა, მოურავი მის გვერდით ჩამოჯდა.

— მოურავო, ვერა ხარ გუნებაზე.

— ჰე, ჰე, გამდელო, განა სასიამოვნოა, როცა ხედავ, ნაამაგარი ოჯახი ინგრევა!

— რა მოხდა, მოურავო? — შეშფოთდა გადია.

— დალოცვილო, ჭკვიან ქალს გეძახიან. დაფიქრდი, ამდენი მეჯლისი, ამდენი წვეულება, ამდენი მიდი-მოდი. შიოს მარანი ხომ არ არის, დაულეველი იყოს.

— ვერ გავიგე, რას მეუბნები, მოურავო?

— გაუგებარს რას ვამბობ, ყოველ კვირა რომ ფული ჩამომაქვს, ჩვენი გლეხები ტყეში კი არ კრეფენ სოკოსავითა: ეს ნაჭერი დააგირავე, ის ნაჭერი გაყიდე. ზღვა კოვზით დაილიაო, არ გაგიგონია? მთელი კოდა დაგირავებული გვაქვს.

გამდელმა ამოიოხრა, წინდის ქსოვას მოუჩქარა და ფიქრებში გართულს აღარც მოურავის ადგომა და წასვლა გაუგია.

იმ საღამოს, როცა ტატოს გადიას ზღაპრის შემდეგ ჩაეძინა, გამდელი დიდხანს არ მოსცილებია მის საწოლს, დასჩერებოდა მობუცი-

მძინარ გაზრდილს, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა დამჭკნარ ღაწვებზე და მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ:

„რა მოელის მის ტატოს?“

ყ ე ე ნ ო ბ ა

ინათა თუ არა, მთელი ქალაქი წამოიშალა. გახშირდა კარიდან კარზე სირბილი, ბანიდან ბანზე გადაძახილი:

— დამელოდე!

— უჩემოდ არ წახვიდე!

— ახლავ მზად ვიქნები!

— ჯერ ადრეა!

— აღარ არის ადრე, ორბელიანები უკვე წავიდნენ!

ქალაქი ყეენობისათვის ემზადება. მიედინება და მიედინება ხალხი სეიდაბადის მაღლობისაკენ და სოლოლაკის ხევისაკენ. დაიხურა საკაპრეები და სახელოსნოები, ქალებით აივსო ახლომახლო ბანები.

ქალაქი ორ ნაწილად გაიყო, ჭავჭავაძე, ჯანდიერი და ჩოლოყაშვილი — ისანს, ავლაბარს, ჩუღურეთს და კუკიას მეთაურობენ. ნარიყალას, ვერის მხარეს და სოლოლაკის უბანს — ორბელიანები, ერისთავები და მუხრან-ბატონი.

ხის ხმლებით, ხანჯლებით, შურდულებით და საცერეებით შეიარაღებული ბიჭები ქალაქს მოედვნენ.

შინდისფერ ქულაჯაში გამოწყობილი ეკატერინე დროშკიდან გადმოხტა, ხალხს შეერია, ნაცნობებს დაუწყო ძებნა.

— ჩემთან წამოდი, ეკატერინე! სიონის ზარი შემოვკრათ. — წასჩურჩულა ტატომ და სირბილით წავიდნენ სიონისაკენ.

ახმაურდნენ სიონის, ქაშვეთისა და ანჩისხატის ზარები. ზარის ხმამ დაჰფარა ქალაქის ხმაური, შეიკრა ყველა უბანსა და ქუჩაში და ყველას აცნობა: ქალაქში ყეენი შემოვიდაო. ზარის ხმას აჰყვა ზურნის ჭყვიტინი, ბუკის ხმა, ყვირილი, ძახილი და ერთმანეთში აირია. ისნის მხრიდან გამოჩნდნენ აქლემებზე ამხედრებული ყეენი და მისი მეუღლე.

ყეენს თავი სპარსულად გაუკრავს, შიგ ფრთები აქვს გაკეთებული, აქლემებზე ქანაობენ სახეშემურული ყეენი და მისი მეუღლე. ყეენს ხელში ხმალი უპირავს, ზედ ვაშლი წამოუგია და აქეთ-იქით

ვაკაცურად ატრიალებს, თან იზნიქება, იბერება, იგრიხება და იმანჭება. ხან კი დახვეულ ხის ქერქს მეორე ხელით თვალებზე მიიდებს და დაპყრობილ ქალაქს ყურადღებით ათვალიერებს.

დინჯად და აუჩქარებლად მიაბიჯებენ ყელაღერებული აქლემები, რომლებსაც ფეხებში გოგო-ბიჭები ეხლართებიან. აქლემებს სახედრებით ყეენის მხლებლები მოსდევდნენ, ნახშირით შეთხუპნული სახეებით, ფერად-ფერადი ტანსაცმლით, გადაბრუნებული ტყაპუჭებით.

საერთო ხმაურს ორთვალას რახრახი უერთდება, მასზე ფრაკიანი მოსამართლე ზის, ვეებერთელა წიგნი გაუშლია, გოგრის ქერქის სათვალეები ცხვირზე ჩამოუცვამს, წიგნს ჩაჰკირკიტებს და შიგ ჯოხით გაჩქარებით რაღაცას წერს.

აგერ ბერიკა თარჯიმანს ასდევნებია და მის წინ იმანჭება, მათ ხარკის ამკრეფთა ჯგუფი მისდევს, ყველაზე ბოლოს ბორკილების ჩხრიალით მოდიან ყეენის ურჩნი — ტუსაღები.

ყეენი ერთ-ერთ სახლთან შეჩერდა, ხის ქერქის ჭოგრიტი მოიმარჯვა და ეზო მოათვალიერა. თარჯიმანი წინ წამოდგა, უსიამოვნო წრიპინა ხმით ყეენს მიმართა:

— თქვენო მეუფეაავ, ამ მოსახლეს რას შეაწერთ? — ყეენმა ხის ხმალი აიქნია, ხარკის ამკრეფნი სახლში შეცვივდნენ. სახლის პატრონმა გადასახადი გამოუტანა.

აგერ, მეორე სახლთან შეჩერდა ყეენი, თარჯიმანი და ხარკის ამკრეფნი ეზოში შევიდნენ, მათ სახლის პატრონი გამოეგება. თარჯიმანმა აუხსნა:

— ყეენის ბრძანებით, მორჩილებისა და კარგი სამსახურისათვის გებოძათ: ორთაქალის წისქვილები, ვერის ბაღ-ვენახები.

სახლის პატრონი თავდახრილი ეახლა ყეენსა და თაყვანი სცა. თარჯიმანმა კვლავ განაგრძო:

— მხოლოდ შიგ არ შეხვიდე, თორემ პატრონი ცემით წელს მოგწყვეტს. — გარშემო ხარხარი გაისმა. სახლის პატრონი სახლში შევიდა და მადლობის ნიშნად დოქით ღვინო, ლავაშები, ყველი და კვერცხი გამოუტანა.

ყეენი აქლემიდან გადმოიხარა, თავის ამალა მოათვალიერა, ხრინწიანი ხმით განკარგულება გასცა:

— გზაჯვარედინებზე მოხელეები დააყენეთ, გამველელ-გამომველელს ხარკი გადაახდევინეთ, ურჩები აქ მომგვარეთ!

სეიდაბადის მაღლობს მიაღწიეს, ყეენი აქლემიდან ჩამოვიდა და მეუღლითურთ ტახტზე დაჯდა.

— სარდლებო! ჯარი გაანაწილეთ, უბნები გაამაგრეთ. — კვლავ გაისმა ყეენის ბრძანება. ყეენთან თარჯიმანი, ბერიკა და ხარკის ამკრეფნი მიიკრეს, თან დაჩერილი მოიყვანეს:

— დიდო ყეენო, ურჩობს, გადასახადს არ იხდის. თქვენს ძალას არ ემორჩილება.

— შესაფერისად დაისაჯოს! — ბრძანა ყეენმა.

მხლებლები ურჩს შემოეხვივნენ, კომბალი კუპრით სავსე ქვაბში ჩააწვეს და ზურგზე წაუსვეს, თანაც ყველა შეეცადა თავში ჩაეტყაპუნებინა, დასჯილმა თავი ხელებით დაიფარა, მტერი წიხლით მოიცილა და გაიქცა.

ნარიყალა, ვერის მხარე და სოლოლაკის უბანი საიდუმლოდ თავს სოლოლაკის ხევში იყრის. ტატო, ილია, ლევანი, კონსტანტინე და მიხეილი მისულებს ხის ხმლებს, ხანჯლებს, შურდულებს, საცერებს უნაწილებენ და ადგილს უჩვენებენ ჩასასაფრებლად.

მოშუადღევდა. მაღლობზე ტატო შედგა და ბუკის ხმით დაფარა ქალაქის ხმაური, გაისმა შეძახილები:

— ხალხი ადგანყდა!

— ქართველების ჯარი შეიარაღდა!

— ჯარი მოდის, ქართველების ჯარი მოდის!

სოლოლაკის ხევიდან ამოვიდა დამალული ჯარი და თავი მაღლობზე მოიყარა. ქუხილივით გაისმა ქართველთა მხედრული სიმღერა, წამოვიდნენ ამქრები თავის დროშებით, აგერ სირაჯების დროშა მოფრიალებს ყურძნის მტევნებით დამშვენებული, ხუროების — ნოეს კიდობნით, და ასე სცვლიან ერთმანეთს ამქართა დროშები.

ყეენის ჯარში ატყდა აურზაური, ყეენმა ბრძანება გასცა:

— ჯარი საომრად მოემზადოს!

ქართველთა ჯარს წინ შურდულებით მიუძღვიან: ტატო, ილია, კონსტანტინე, მიხეილი, ლევანი, მიტო.

მოზიდეს შურდულები, ქვებმა ზუზუნი დაიწყო ჰაერში. ერთმანეთში აირია ქვის სროლა, ხის ხმლების ჩახუნი, მუშტი.

— მოხადეთ, ჩალმა მოხადეთ!

— ხმალი წაართვით.

— ჭოგრიტი დაუმტვრიეთ! — გაისმის ხმები.

— ყეენის ჯარი დამარცხდა. ყეენი ტყვედ ჩავარდა! — გაისმა

გამარჯვებულთა ყიჟინა, ხალხი ყეენს გარს შემოეხვია, ქალებიც ჩაერივნენ საერთო მხიარულებაში.

— სახე, სახე მოუთხუპნეთ! — ვიღაც ქალმა ყეენს კუპრიანი ჯოხი სახეზე ჩამოუსვა.

ყეენი გაძალდა, მაგრამ ზღვა ხალხს ვეღარ გაუძლო და სახეშეთხუპნული, ტანსაცმელშემოხეული სახედარზე უკუღმა შესვეს, კუდი ხელში მისცეს და მტკვრისაკენ მხიარული ყიჟინით დაეშვნენ.

— ღმერთო, გამარჯვებას ნუ მოუშლი ქართველ ჯარს!

— ღმერთო, მამულისათვის მებრძოლი მუდამ გამარჯვებული ატარე!

— მუდამ დამარცხებული ყოფილიყოს სხვისი ქვეყნის დამპყრობელი!

მტკვრის ნაპირზე ჩავიდნენ.

— წყალში ჩავაგდოთ, წყალში! — გაისმა ხმები ირგვლივ.

— შეგვაწუხა!

— აგვაოხრა!

— რჯული შეგვიგინა!

— ამოგვწყვიტა!

— არ იქნება მაგის დანდობა!

— მტკვარში, მტკვრაში ჩავაგდოთ!

მისცვივდნენ ყეენსა და მის მეუღლეს. ყეენი ხელიდან დაუსხლტათ და ნაპირისაკენ გაიქცა. ახლა მეორე ჯგუფი მიეჭრა და წყალში ჩააყურყუმელავეს.

— არ გამოუშვათ!

— არ გამოუშვათ!

მთლად ამოწუმპული ყეენი და მისი მეუღლე წყლიდან ამოვიდნენ, ხალხი დააწყნარა დამარცხებული ყეენის შეხედულებამ. გარს შემოეხვივნენ და სიმღერით წავიდნენ ორთაჭალის ბაღებისაკენ.

ბაღში დანთებული ცეცხლის ალი ზეცას სწვდებოდა. ყეენსა და მის მეუღლეს ადგილი დაუთმეს ცეცხლის პირას, დღის განმავლობაში შეკრებილი სანოვაგე წინ დაუწყვეს. ყეენმა სანოვაგის განაწილება დაიწყო.

— ეს ქვრივი მელანოს ულუფაა, ბიჭებო, აქ მოდით, ეს ხორაგი მელანოს და მის ობლებს მიართვით. — ბიჭებმა ხორაგით სავსე ქალათა ჩამოართვეს ყეენს.

— ესეც ოქრომჭედელ ილიას ქვრივ-ობლებს!

— ამ კალათას კი ციხეში წაიღებთ. — ყველმა ვეებერთელა კალათაში ჩააწყო ჯვარის მამის ლავაშები, ტატო და ილია მისცვივდნენ, კალათა სწრაფად აიღეს და ციხისაკენ გაიქცნენ.

— დე, ჩვენი ლხინი მათაც გაიზიარონ! დანარჩენი კი შეგვარგოს, კარგ კაცს ღმერთმა ყველგან გაუმარჯოს, ლხინშიაც, ჭირშიაც, ბრძოლაშიაც. — სასმისი აიღო ყველმა და ყველანი საერთო სუფრას შემოუსხდნენ.

ორბელიანების უბანში

მერცხალთა გუნდები დასრიალებენ თბილისის თავზე.

გაზაფხულის წყალთა სიმრავლეს გაულაღებია მტკვარი, მოდის, მოშხუის ფაფარაყრილი.

გარეთ, სიცოცხლისაკენ, მზისაკენ, სინათლისაკენ მიისწრაფის ყველა და ყველაფერი. სავსეა ბანები და აივნები, აივნიდან აივანზე გაბმულია საუბარი.

დუქნების წინ თავი მოუყრიათ მედუქნეებს, ისმის კამათლის ჩხაკუნი და კმაყოფილი შეძახილი.

ხორეშანიც აივანზე გამოსულა, წყვილ-წყვილად ჩაითვლის ქარვის მარცვლებს, კენტად შერჩენილ მარჯანს თვალს გადაავლებს და კელავ ქარვის დაწყვილებას დაუბრუნდება. გარდასულ დღეებზე ფიქრობს ხორეშანი, ძველი ამბები ქარვის მარცვლებივით წყვილდება მის გონებაში და მარჯანივით კენტად რჩება ხორეშანი.

რაზე ფიქრობს ეფემია, გაფრენილი მერცხლის ფრთასავით რომ ასწევია მარცხენა წარბი. ტატოს დასტრიალებს დედის ფიქრები და ბაღიდან შემოჭრილი შვილის ხმა ოდნავ შეაკრთობს ხოლმე ფიქრში წასულს.

ქალთა თაიგულით დატვირთული დროშკა სწრაფად შემოიჭრა ორბელიანთა უბანში, ხელმარჯვე მეეტლემ ძლივს შეაყენა ქაფში მცურავი ცხენები. დროშკის ღერძზე შემომჯდარი პატარა ბიჭი შეჩერებასთან ერთად გადმოხტა.

ბიჭები გამოცვივდნენ ბაღიდან.

ორბელიანები გამოეგებნენ ჭავჭავაძიანთ ქალებს.

მაიკომ ხელი გაუწოდა ტატოს, თეთრი ვარდივით ნაზი იყო თეთრით მორთული მაიკო.

ეფემიაც გამოვიდა შესაგებებლად.

ეკატერინე ჩიტივით გადმოფრინდა დროშკიდან. მხოლოდ ნინო დედასავით დინჯად გადმოვიდა და თავის ხნოვანებასთან შეუფერებელი თავდაჭერით მიესალმა დამხვდურებს.

— ბაღში წაველთ, დედა, — შეეხვეწა დედას ეკატერინე, ანთებული თვალები მიანათა.

— მართლაც, ბაღში სჯობს ჩვენთვის, — დაუმატა ნინომ და ხშირი წამწამების ჩრდილი აუთამაშდა ავარდისფერებულ ლაწვებზე.

— კარგია ბაღში, — დაეთანხმა მაიკოც და შეირხა მის მხრებზე ნაწნავები.

ეფემია და სალომე აივანზე გავიდნენ ხორეშანთან.

ბაღიდან ხანგამოშვებით მოისმოდა ეკატერინეს ხმამაღალი კისკისი, ნინოს დინჯი შენიშვნები და მაიკოს მინაზებული ხმა.

— აბა, ვინ დამიჭერს! — გარბის ეკატერინე, ხეებს იშველიებს, ხის ძირს ჩასჭიდებია და გარს უტრიალებს, ირხევიან ნუშები, თავზე ბილილებს აფრქვევენ ეკატერინეს, ნინოსა და მაიკოს.

ეკატერინეს ხუჭუჭებს ყველაზე მეტი ნუშის ბილილები დაუტყვევებია და შავ თმაზე მიმოფანტულან თეთრი ხალები.

— ტატო, დამიჭირე, თუ შეგიძლია!

— იქნებ მართლა ფიქრობ, ვერ დაგიჭერ?

— აბა, სცადე!

— რად ეჯიბრები, ეკატერინე, განა არ იცი, ვერ აჯობებ!

— მაიკო ყოველთვის შენი დამცველია.

— როცა საჭიროა, ლევანსაც ვიცავ, მიხეილსაც, ილიასაც.

— შენ კი მუდამ აბეზარი ხარ. — ილიამ ორივე ხელი დაუჭირა ეკატერინეს, შეარხია, ეკატერინემ წაიფორხილა, ბზის ბუჩქში ჩაჯდა.

— რა მშვენიერი დასაჯდომი ყოფილა, ტახტივით არის. დამიწანით გვირგვინი, დედოფალი მინდა ვიყო. — ჭირვეულად მიუბრუნდა ეკატერინე ბიჭებს.

— მუდამ დედოფლობის მონატრული ხარ, ეკატერინე, ვინძლო, მართლაც დედოფალი გახდე, — გაუღიმა მეგობარს მაიკომ.

— განა ეგრე ძნელია დედოფლობა? თქვენს ჯიბრზე გავხდები დედოფალი.

— საქართველოს დედოფალი აღარ ჰყავს, ჩემო კარგო, უგვირგვინო დედოფალი დარჩები.

— უსათუოდ მინდა დედოფალი ვიყო, მაიკო! იცით, რა კარგია დედოფლობა? ბრძანებ, ყველაფერი აგისრულდება.

— განა დედოფლებს ყველა სურვილი უსრულდებათ? — მწვანეზე მოკალათებულმა მაიკომ თავისი შავი ფართო თვალები ეკატერინეს მიაპყრო.

— მართალი ხარ, მაიკო, დედოფლებს ყველა სურვილი არ უსრულდებათ, მაგრამ მათ მაინც უფრო ბევრი რამ უსრულდებათ, ვიდრე მე და შენ, — პასუხი გასცა ტატომ.

— მე ისეთი დედოფალი ვიქნები, რომელსაც ყოველი სიტყვა შეუსრულდება. რა დაგემართა, ილია, მოიტა გვირგვინი, როდემდე გინდა ვიყო უგვირგვინო დედოფალი?

— მიართვით დედოფალს! — ნინომ ყვავილების გვირგვინი ილიას შეატოვა. ილიამ ბუჩქზე მოქანავე დედოფალს თავზე დაადგა. ეკალმა გაჰკრა ეკატერინეს ლოყას. სისხლის წვეთი ლალივით აეკრა ეკატერინეს.

— ეს რა მიყავი, ილია?

— ხედავ, ზოგჯერ რა მწარეა გვირგვინის ტარება, ეკატერინე, ნუ გინდა დედოფლობა. — ტატო ეკატერინეს გვირგვინს წაეპოტინა.

— შვილო ტატო, ამოდით სახლში, ამოდით! — გაისმა ეფემიას ხმა. წამოცვივდნენ, ეკატერინეს ყვავილების გვირგვინი გადმოუვარდა, ტატო დასწვდა, ჰაერში აისროლა, დაშლილი გვირგვინი თავზე გადმოეყარა.

სალომე შეეგება შემოსულ ქალებს:

— დრო არის, წავიდეთ!

— კარგია ბაღში, დედა, საცაა ვარსკვლავებიც გაახელენ თვალებს. — ნინო დედას მიუახლოვდა, ალერსით ლოყაზე მიეკრა. სალომემ თავზე ხელი გადაუსვა საყვარელ ასულს:

— კარგია აყვავებული ნუშები, თვალგახელილი ვარსკვლავებიც, მაგრამ უკვე შინ წასვლის დროა.

წამოიშალნენ. გრიგოლმა დროშკაში ჩაჯდომა უშველა ქალებს.

— შვილო მაიკო, არ შეგცივდეს, გრილი საღამოა, ეფემიამ მოსასხამი წამოასხა მაიკოს.

ორბელიანები მანამ გასცქეროდნენ მიმავლებს, სანამ დროშკა ვიწრო მოსახვევში არ მიიმალა.

— ბაღებისაკენ წავიდეთ, ტატო, ნინომ თქვა, ვარსკვლავები თვალებს აახელენო, პოეტური ბუნების ქალია ნინო, შენ რას იტყვი,

ტატო! — მხარზე ხელი დაადო გრიგოლმა ტ•ტოს. ტატომ ბიძას ახედა, ღიმილით გაეპასუხა:

— და ნუშებიც ჰყვავიან ბაღში, — ბიძა-დისწულს თითქოს სალაპარაკო გამოელიათ, უხმოდ გაჰყვნენ ბაღისაკენ მიმავალ ქუჩას.

ქუჩაში კიბეზე მოხუცი თედორე ადიოდა, ფარნებს ანთებდა. კიბის თავზე ასულმა ზევიდან გადმოხედა გრიგოლსა და ტატოს. მუდამ აკვირვებდა ერთად მოსეირნე ბიძა-დისწული. გრიგოლის ფართო მხარბეჭი, შეკრული წარბები, თითქოს შორს იყო ქოჩორა, გამხდარი ტატოსაგან, რომელსაც თვალები მუდამ უცინოდნენ.

აყვავებული ნუშის სუნი იდგა. საღამოს ცვარს მიწა და ენძელები დაესველებინა. შრიალებდა ფოთლები ფეხქვეშ, ციმციმებდნენ ვარსკვლავები ცაზე, ქვევიდან ისმოდა მტკვრის დუდუნი.

— რად გაჩუმდი, ტატო!

— ყურს ვუგდებ, ძია გრიგოლ!

— რა გესმის, ტატო?

— წარსულზე მტკვარი ბუტბუტებს, დღევანდელზე ნუშები ჩურჩულებენ, ჭორები კი ნიავს მოაქვს. შენ რაღად სდუმხარ, ძია?

— ტატო, გახედე მტკვრის გაღმა მხარეს: სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?!

მტკვარს თეთრად გადაესერა თბილისის გული. განაბულიყო თბილისიც, ყურს მიუგდებდა მის მესაიდუმლეს. ტატოც გასცქეროდა თბილისსა და მტკვარს, ჩუმად იმეორებდა ბიძის სიტყვებს: „სხვა საქართველო სად არის“.

შორს მეტივეები გამოჩნდნენ. ჩირაღდნების შუქი ჩაწვა მტკვარში.

— მეთევზეებთან წავალ, ძია. — შესთხოვა გრიგოლს ტატომ.

— წადი, ხალხის გულთან ახლო ყოფნა სჯობს, — ფიქრიანად თქვა და გაქცეულ დისწულს თვალი გააყოლა.

ახალი მთვარე გალესილი ნამგალივით `ლაპლაპებდა ცაზე და დანათოდა მტკვარს. მტკვარი ჩუმად, წყნარად მიედინებოდა, თან რაღაც საიდუმლოს მოუთხრობდა გულჩათხრობით. სწორი იყო მტკვრის ზედაპირი და მთვარით განათებული, უძრავი ეგონებოდა ადამიანს, ნაპირებზე ჩამწკრივებული ხეების ჩრდილები ზღაპრული დეკორაციებივით გაწოლილიყვნენ შიგ და ნელა, შეუმჩნევლად ირხეოდნენ. თითქოს დედის ნანას ისმენსო ნებიერი შვილი.

— კაკალა, უ, უ, — გასძახა ტატომ. ტივი მოადგა ნაპირს, კაკალა გამოეხმაურა ტატოს.

ეძინა თბილისს, მთვარის სხივები არწევდნენ მას, მტკვარი ზღაპარს უამბობდა, ბულბული კი გულამოსკვნით გალობდა სიყვარულის საგალობელს. შავი ჩრდილები გამოჩნდა მტკვარზე, ეს ვინ არის, თბილისის მყუდროება რომ დაარღვია?

მეთევზეები გამოსულან მტკვარზე.

ტივი მიარღვევს წყალს.

რამდენიმე შავი ლანდი, ტივზე ჩამჯდარი, გაჰყურებს წყალს და ღამის წყვდიადში ისმის მათი ჩურჩული:

— კიდევ კარგი, თევზზე გადასახადი არ შემოუღიათ, ეს დალოცვილი მტკვარიც გულგაღებულია, წადი და ითევზავე, რამდენიც გინდა.

— ეჰ, შვილოსა, შეგვავიწროვეს, და მერე როგორ, სულს აქეთ აღარაფერს გვიტოვებენ, ამიტომაც გაუწყდათ ბოდბისხეველებს მოთმინება.

— მა რა იქნებოდა, პური არ მოსვლიათ, ძლივს შეაგროვეს ას ორმოცდაათი ურემი, ეხუმრები ას ორმოცდაათ ურემს მოუსავლიანობის დროს! იმათ კიდევ მოსთხოვეს ოთხმოცი, მერე კოდში ერთ მანეთსა და ერთ აბაზს იძლევიან, ჩვენ კი ოთხი უნდა მივცეთ.

— ეჰ, იჩივლებ, ვისთან იჩივლებ, ახლა, ამბობენ, სალდათს წაიყვანენო, მაშინ უნდა ნახო... ვინ არის ჩვენი მშველელი?

— ჩვენი მშველელი ვინ იქნება ჩვენი თავის მეტი, ეს ბატონებიც გადაგვიდგნენ, სად გინდა სამართალი იპოვნო?

— ეჰ, შვილოსა, ათადან-ბაბადან მაგრეა, ბატონი იქაა, სადაც ძალას ხედავს.

ტატო თვალებგაფართოებული მისჩერებოდა მოსაუბრეებს.

— შენ რა დაგემართა, თავადიშვილო? გაიგონე ჩვენი საუბარი და დაიხსომე, კარგი 'ბიჭი ხარ, იცოდე, რომ გლეხი კაციც ადამიანია, მასაც ისეთივე გული აქვს და სისხლი უდუღს, როგორიც ბატონს.

ტივი გაუსწორდა ვენახის ნაპირებს. მეთევზეები წამოდგნენ. ჟინჟღილები აანთეს. მოცურავს ტივი აგიზგიზებული ჟინჟღილებით, თითქოს ცეცხლი წაურთმევია მიჯაჭვული ამირანისათვის და თბილისისათვის მოუტანიაო ბნელი ღამეების გასანათებლად. მოდის ჟინ-

ყლილებით განათებული ტივი, სინათლე და სიცოცხლე შემოაქვს მიძინებულ ქალაქში.

— ტატო, მაღლა ასწი ყინყლილი, მეტად გაანათებს და თევზიც სინათლეს მოსდევს, აღარც ბადე გაგვიცვდება, შენც ყინყლილი დაიჭი, კაკალა, — მიუბრუნდა მხარბეჭიანი ლოპიანა კაკალას. — მე ბადეს გადავაგდებ.

— აი, გიდი, შენ ვერ მასწავლიდი ბადის გადაგდებას, მაგრამ დავბერდი, დავჩაჩანაკდი!

— რას ამბობ, კაკალა, შენგან არ ვისწავლეთ ბადის სროლა? მაგრამ ხომ იცი, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა". — კაკალამ ყინყლილი მაღლა ასწია, აწრიალდნენ თევზები, თითქოს სიხარული მოუტანესთ, ისე მისცვივდნენ ყინყლილების შუქს.

ჭაბუკებმა ბადე გაშალეს.

— კაკალავ, რამდენი მოჰყვა, რამდენი! — შეჰყვირა ტატომ და თავის ყინყლილი კაკალას მიაჩეჩა, ბადეს მისწვდა. ბადეში ვერცხლის წყალივით ბზინავდნენ თევზები. გაახარა მეთევზეები პირველმა გამარჯვებამ, ყიყინით მიესივნენ სავსე ბადეს, კაკალას ამოჰყავდა თევზები, თან ღიღინებდა: „საქონელი შავიმწყვდიე, მათი სახლი კი ერთ წამში ფანჯრებიდან გახტა გარე".

— როგორ ფართხალებენ, ხელში ვერ დაიჭერ! — სახე გაბრწყინებული ტატო ხან ერთ თევზს წაეტანებოდა, ხან მეორეს. ამოჰყარეს თევზები ბადიდან. ტივზე დაგროვილი თევზები ტოკავდნენ, ფართხალებდნენ, ხტოდნენ, პირს აღებდნენ, ტატო მათ გარშემო ტრიალებდა, ხან ერთს წაეტანებოდა, ხან მეორეს.

— კაკალა, შეხე, კაკალა, პირს აღებენ, შველას ითხოვენ საწყლები. — დაენანა ტატოს თევზები და მათ გვერდით დაჯდა. ვინ უშველის, როცა მათი ხმა არავის ესმის? შველას ითხოვდე, ხმას ვერ იღებდე. სიზმარში თუ უნახავს ასეთი რამ. ახლა თევზებს რომ უყურებდა, ასე უხმოდ პირდაღებულებს, გული შეეკუმშა, დაეკარგა თევზაობის ხალისი, ყურადღებას აღარ აქცევდა ახლად ამოღებულ ბადეებს, ყიყინით რომ სცლიდნენ მეთევზეები, მხოლოდ თევზები ენანებოდა, უხმოდ რომ ითხოვდნენ შველას.

განთიადზე აცივდა. სინათლე დაკარგეს ყინყლილებმა, მზის პირველმა სხივებმა შეღებეს აღმოსავლეთი, მეთევზეებმა ბადე აკეცეს და ტივმა ნელა გასცურა ანჩისხატის უბნისაკენ.

სახლში დაბრუნებული ტატო სველ ტანსაცმელს იცვლიდა, როცა გამდელმა მოახსენა:

— მაიკო მოვიდა, ბაღში გელოდება. — გაახარა ტატო მეგობრის მოსვლამ, შემოჯარული ფიქრები გაუფანტა, ბაღისაკენ დაეშვა.

ვაზის ტალავერში იჯდა მაიკო, გაფერმკრთალებული, მიბნედილი ობლად დარჩენილი ჩიტივით შეყუჟულიყო ვაზის ფოთლებში. ტატო ფეხაკრეფით მიეპარა, თვალებზე ხელები დააფარა.

— ილია ხარ, ილია! — დაიძახა მაიკომ, მისმა პატარა ხელებმა მაგრად ჩაბღუჯა ტატოს ხელები.

— ლევანი! — კვლავ ჩამოთვალა მეგობრები მაიკომ.

— ვერ გამოიცანი!

— არ მოგელოდი, მითხრეს შინ არ არისო. — გაუცინა ტატოს მაიკომ. — სად იყავ?

— სათევზაოდ, მაიკო, სათევზაოდ! სწორედ ახლა დავბრუნდი. — ტატოს პირდაღებული თევზები გაახსენდა, მაიკოს გვერდით ჩამოჯდა. — აღარ წავალ სათევზაოდ.

— რატომ, თევზაობა რომ გიყვარს?

— აღარ მიყვარს. — გაიქნია თავი ტატომ.

— რა დაგემართა, გველი ხომ არ შემოგეხვია წყალში?

— არა, მაიკო, გინახავს ბადიდან ახლად ამოყრილი თევზები?

— არა.

— იცი, როგორები არიან? — წამოდგა ტატო, მაიკოს წინ გაჩერდა.

— დღეს პირველად ნახე?

— მათი ვედრება პირველად ვნახე.

— ვინ, ტატო?

— თევზების.

— თევზებს ვედრება სად შეუძლიათ?

— ყური მიგდე, მაიკო! — ტატო კვლავ მაიკოს გვერდით დაჯდა, მისი ხელი ხელში აიღო. — წარმოიდგინე, მაიკო, შენს წინ თევზებიანი ბადე დასცალეს, უამრავი თევზი წამოცვივდა, ფართხალებენ ისინი, იბრძვიან, პირს აღებენ, შველას ითხოვენ, შენ კი უყურებ და გახარებს ნადავლი, არასოდეს არ ფიქრობ, რა უნდათ მათ, რას ითხოვენ.

ბუნებას დაუსჯია ისინი, პირს აღებენ, ხმა კი არა აქვთ, მათი

სურვილები უხმოდვე იკარგება, ვერც გაგრძნობინებენ, რას ითხოვენ შენგან.

— რას ითხოვენ, ტატო? — წაიჩურჩულა მაიკომ და შეშინებული თვალები მიაპყრო.

— სიცოცხლეს ითხოვენ, მაიკო, სიცოცხლეს, ყველაფერი სიცოცხლეს ითხოვს, ხმას იღებს, ფოთლებიც კი შრიალებენ სიცოცხლის სურვილით, მარტო თევზები აღებენ უხმოდ პირს. ცოდვაა მაიკო, ვინც ხმას ვერ იღებს, ვინც უხმოდ ითხოვს შველას! — მაიკო დაფიქრებული მისჩერებოდა მეგობარს.

ორი ალექსანდრე

ტატო ფრთხილად ავიდა ვიწრო და ბნელ კიბეზე. პირველად მიდიოდა სოლომონთან, ეკრძალებოდა. იცოდა, ელოდა სოლომონი, ამ დროისათვის დაიბარა მასწავლებელმა, მაგრამ ჩვეული მოკრძალება მაინც ვერ სძლია, გულის კანკალი აუტყდა, როცა კარებზე დააკაკუნა, კარი მალე გაიღო.

— ა, შენ ხარ, ნიკო, მასიამოვნე, სიტყვის პატრონი ყოფილნარ, არა გევხარ თავადიშვილს, — გაუღიმა სოლომონმა. გაახარა ტატო მასწავლებლის გულთბილმა შეხვედრამ, თამამად გადააბიჯა ზღურბლზე.

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— განა დაგიბარებდი, შენგან ხელის შეშლას რომ მოველოდე? — სოლომონმა ტატოს ბავშვურ მხრებზე ხელი მოხვია და ოთახში შეიყვანა.

მაგიდა სავსე იყო ქაღალდებით, ეტყობოდა, მუშაობდა სოლომონი, წიგნების სიმრავლემ მიიქცია ტატოს ყურადღება. ინატრა, ნეტა მეც მქონდეს ამდენი წიგნიო.

სოლომონი მიაჩერდა ახალგაზრდა სტუმარს. მასწავლებლის დაჟინებულმა მზერამ შეაკრთო მოწაფე, იქით-აქეთ დაიწყო ცქერა, სოლომონი წამოდგა; ოთახში გაიარა, ღია ფანჯრიდან თბილისს გადახედა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ისე მიმართა ტატოს:

— გასეირნება გადავწყვიტე, ამიტომ გიხმე, გავიაროთ. — სწრაფად წამოხტა ტატო, სოლომონმა ქუდი ჩამოიღო, ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

კაშკაშა ღამე იყო.

ცხელი დღეების შემდეგ თბილისის მთვარიან ღამეებს კოჯრის გამაგრილებელი სიო სწვეოდა და თავისუფლად დასეირნობდა ქუჩებში. თბილისიც ყველას გარეთ იწვევდა, ყველას შესთხოვდა, კოჯრის სიოსთან ერთად ისეირნეთო ჩემს ქუჩებში.

ჩუმად მიდიოდნენ სოლომონი და ტატო, თითქოს ენანებათო მყუდროება დაურღვიონ საყვარელ ქალაქს. მთაწმიდის აღმართს შეუდგნენ ისინი, ვიწრო ბილიკი მიჰყვებოდა ტანაყრილ ხეებს. თვალები გაეხილათ დღის სიცხით თვალდახუჭულ ყვავილებს.

— რა სჯობს ასეთ ღამეში თბილისის ქუჩებში ხეტიალს. შენ რას იტყვი, ნიკო?

— მუდამ საყვარელია თბილისი!

— შენც მართალი ხარ, ნიკო, მუდამ საყვარელია თბილისი. მუდამ სანატრელი.

მთაწმიდაზე ავიდნენ. იქიდან გადმოხედეს ქალაქს, ვიწრო ქუჩებს, კლდეებზე ბუდეებივით მიკრულ სახლებს.

— როდის გამოჩნდება ადამიანი, რომელიც კვლავ ააყვავებს ჩვენს ქვეყანას!

— არა გვარით, არამედ გონებით, მოქმედებით უნდა გამოჩნდეს ვინმე, ნიკო.

— განა ჩვენ მეფეთა შთამომავლობაში არ არის ვინმე ისეთი, რომელიც შესძლებს ჩვენი ქვეყნის აყვავებას?

— არა, ჩემო კარგო, მმართველობისათვის საჭიროა შერჩეული ადამიანები, რომლებიც ხალხის კეთილდღეობისათვის იზრუნებენ. ჩვენი ხალხი ცუდ დღეშია, სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზნე-ჩვეულებებს. ზოგჯერ უსამართლოდ ისჯება პატიოსანი ადამიანი, მე საქართველოს განთავისუფლება იმისათვის კი არ მინდა, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვაროსანი გამეფდეს, არამედ საქართველო უნდა შეიქნეს რესპუბლიკად! არა მარტო ჩვენი ბედნიერებისათვის უნდა ვიზრუნოთ, ნიკო, არამედ მამულის სიყვარულისათვის!

ბევრი რამ სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ნიკო, იმისათვის, რომ დადგეს სხვათა ქვეყნების დონეზე. ბევრი რამ ვისწავლე რუსეთში, ვტრიალებდი რა ჩინებულ პოეტთა და მწერალთა შორის. დიდი რასიელთა მისწრაფება სწავლისაკენ, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც,

ჩვენი სასწავლებლები უწესო მდგომარეობაშია, არავინ მეცადინეობს განავრცოს სწავლის სურვილი, მაგრამ ახლა, როცა მთავრობა ცდილობს სწავლის გავრცელებას და ღმერთმაც ინება ჩვენს ქვეყანაზე მშვიდობის მონიჭება, შვილთა გონებაც საზრდოს ეძებს, ხელი უნდა შევუწყოთ ამ წმინდა მისწრაფებას. გლეხობა ცუდ დღეშია, სხვათა ქვეყნის მსგავსად უნდა განთავისუფლდეს იგი, გზა გაეხსნას სწავლისაკენ; ეს გვიხსნის ჩვენ. ჩვენი მეფის ჩამომავალთ და თავადებს აღარ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის მართვა, ახალი გზა უნდა ჩვეს ქვეყანას, ნიკო, ამისათვის გზრდით და გამზადებთ, სურვილი იმისა, რომ სასარგებლო იქნე შენი თანამემამულისათვის, ყოველთვის უნდა იყოს შენი წმინდა მოვალეობა და მამოძრავებელი შეძლებისდაგვარი შრომისათვის.

— მუდამ მამულის სიყვარულისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოლებს თქვენი შეგირდი. — ჩაილაპარაკა აღელვებულმა ტატომ.

მოწაფე და მასწავლებელი დიდხანს ისხდნენ ქვის ლოდზე უხმოდ.

— დრო არის წავიდეთ. — დაარღვია სიჩუმე სოლომონმა და ფეხზე წამოდგა.

— ეგ ვინ არის? — შეეკითხა ტატო დოდაშვილს და ხის გადანაჭერზე მჯდომ სათვალეებიან კაცს დააკვირდა, რომელიც ჩაფიქრებული გადასცქეროდა თბილისს.

— ნუ დავუშლით ფიქრს. — წაიჩურჩულა სოლომონმა და ტატოს ხელი წაატანა. — მწერალია პეტერბურგიდან, განათლებული და სახელგანთქმული კაცი. თუ ასეთი წარჩინებულნი მოაპყრობენ ჩვენ ქვეყანას თვალს, მაგათგან დიდ საზრდოს მიიღებს ახალგაზრდობა.

— მწერალი პეტერბურგიდან! — ჩურჩულით გაიმეორა ტატომ, ყურადღებით აათვალიერა ხის კუნძზე მჯდომი და სოლომონს მიჰყვა.

* * *

კვირა დღე იყო. ტატოს და ილიას თავი თხილების ჩრდილისათვის შეეფარებინათ და იქვე თხილაობდნენ.

აივანზე ეფემია გადმოდგა და ბიჭებს გადმოსძახა:

— ტატო, ილია, ამოდით, მაიკო გეწვიათ! — ბიჭებმა თხილით ჯიბეები აივსეს და სახლისაკენ გაქცევა დააპირეს, მაგრამ მაიკომ დაასწრო და მოვიდა.

— აქ მარტონი თამაშობთ, ლევანი, მიხეილი და კონსტანტინე კი ჭავჭავაძიანთ წავიდნენ, მე თქვენთან წამოვედი, რომ წაგიყვანოთ.

— წამოვალთ, წამოვალთ! აი, ნახე რამდენი თხილია, სულ ილიას დაკრეფილია, მოუგე! — აჩვენა ტატომ.

თბილისის მზეს მცხოვრებლები სახლში შეეყუჟა, ქუჩები თითქმის ცარიელი იყო.

ვეებერთელა ბაღში შეიჭრნენ მაიკო, ტატო და ილია, ბაღი დაფარული იყო ვაზის ხეივნებით, ხეივანი ერთმანეთისაგან ვაზნარის კედლით იყოფოდა. შარიშურობდნენ ვაზის ფოთლები, მზეზე მწვანედ ლაპლაპებდნენ რქაწითელის, ბუდეშურის და საფერავის დასრულებული მტევნები. მთაწმიდიდან მონაბერი სიო იჭრებოდა ხეივნებში, ირხეოდა ვაზის ფოთლები, თითქოს ქვეყნის ამბებს მოუთხრობენო ახლად თვალახელილ მტევნებს, ისინი კი ჩუმად უცინოდნენ სიოს, ფოთლებსა და მზეს. ბაღის ნაპირებზე ერთმანეთს გადახლართოდნენ ბროწეულის და თხილის ტოტები. ბაღში აქა-იქ, როცა სიო ფოთლებს მიუალერსებდა, აშლილ ფოთლებში მოჩანდა სიმწიფეში შესული ატმები, ვაშლები, მსხლები.

ვეებერთელა კაკლის ჩრდილში ეკატერინე, ლევანი, კონსტანტინე და მიხეილი შეყრილიყვნენ. გაიხარეს, მაიკო, ტატო და ილია რომ დაინახეს, ტაში შემოჰკრა ეკატერინემ:

— რა კარგია, მოხვედით, ახლა უკვე ბევრნი ვართ. ბერიკაობა ვითამაშოთ. წავიდეთ სახლის წინ მინდორზე, იქ უფრო მეტი ადგილია.

ისინი ვაზის ხეივანში მირბოდნენ, ეკატერინე ხანგამოშვებით მიიჭრებოდა მტევნებთან, ხელს შეავლებდა, მიუალერსებდა და დანარჩენებს მიუბრუნდებოდა:

— შეხედეთ, რა ლამაზებია!

სახლიდან ფორტეპიანოს ხმა ისმოდა, ვიღაც „ახალ აღნაგოს“ მღერიდა, დარბაზიდან აივანზე გამოსასვლელი კარი ღია იყო. ფორტეპიანოსთან ნინო და უცხო მამაკაცი ისხდნენ, ოთხი ხელით უკრავდნენ. „ნინო მღერის“, — გაუელვა ტატოს. გაღებულ კარს მიაჩერდა, სად უნახავს ეს კაცი? აივანს მიუახლოვდა, მამაკაცს დააკვირდა, სათვალეები — ეს ხომ მწერალია პეტერბურგიდან, გაახსენდა იმ ღამეს მთაწმიდაზე, გადაჭრილ ხეზე რომ იჯდა და თბილისს გადასცქეროდა. ეკატერინეს უხმო!

— ეკატერინე, ვინ არის ის? — გაღებულ კარებში შეახედა.

— ნინოს დანიშნულია, მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი.

— მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი! — წაიჩურჩულა ტატომ. — ნინოს დანიშნული.

— რად გაჩერდი, ტატო, წამოდი. — წაატანა ხელი ეკატერინემ და ორივენი გაიქცნენ.

კარგა ხანს გაისმოდა ჭავჭავაძიანთ ბაღში: „დათესა და ცოლი ავად გაუხდა, ჩემო დათუნაო! ეგ გაუშვი და სხვა შეირთე, ჩემო დათუნაო!"

— დამალობანა ვითამაშოთ, დამალობანა, ალარ მინდა „დათუნა," — ახირდა მაიკო, ცაცხვის ქვეშ მოიყარეს თავი.

— იწილო, ბიწილო, — გაისმა ეკატერინეს წკრიალა ხმა. — ტატო, დარჩა, ტატო, დაიხუჭე, კარგად დაიხუჭე. — ეკატერინემ თმიდან ბაფთი მოიხსნა, თვალები ეუხვია ტატოს. — ბუდე ფანჩატურთან იყოს.

ტატო ფანჩატურთან მივიდა, გაბარდულ ვაზის ქედლებში გაინაბა.

— დაიძახეთ, როცა დაიმალოთ! — მიაძახა დასამალავად გაქცეულებს ტატომ.

— ქართველთა და რუსთა ურთიერთკავშირი აუცილებელია ქვეყნისათვის, — მოესმა ტატოს ფანჩატურიდან ალექსანდრეს ხმა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ფანჩატურში ალექსანდრე, სალომე და ახვერდოვის მეუღლე პარასკევა ისხდნენ, ნინოს ბედზე საუბრობდნენ.

— კუკუ!

— კუკუ! — გაისმა ყოველი მხრიდან და ტატომაც დატოვა თავის საფარი, დამალულების საძებნად გაიქცა.

დიდხანს გაისმოდა ბავშვების ყიჟინა ჭავჭავაძიანთ ბაღში და, როცა მთაწმიდაზე მწუხრის დარეკეს, ტატო, მაიკო და ილია თავთავიანთი სახლებისაკენ გაიქცნენ.

ღამის ცხოვრება დაიწყო. ნაგვიანევი მთვარე ვერცხლის აზარფეშასავით ამოცურდა ცაზე. ჭავჭავაძიანთ ბაღი ხეთა ჩრდილებმა დაფარა. შაშვი ჭახჭახებდა ეაზებში, ღამურები დაფარფატებდნენ ცაში. აქა-იქ ციცინათელები ანათებდნენ ეაზისა და ყვავილნართა ფოთლებს. ეაზით დაფარულ აივანზე ისხდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და ალექსანდრე გრიბოედოვი, აქედან გადმოსცქეროდნენ მთვარით

განათებულ თბილისს და იკვანძებოდა მეგობრობა მომავალ სიძე-სიმამრს შორის.

— ჩემს აქ არყოფნის დროს გაამხნევეთ ნინო, დიდხანს არ გაგრძელდება ასე, მალე, ორი წლის შემდეგ, გავხდები წინანდლის მკვიდრი.

— კეთილი და სულგრძელია ნინო, მას არ გაუჭირდება მოთმინებით ველოდოთ.

— ამიტომაც მეშინია არ დაიჩაგროს ჩემი ნინო. — სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე ალექსანდრე თავ-თავის ფიქრმა წაიღო.

— გუშინ კეთილშობილთა სასწავლებელში შევიარე. — დაარღვია სიჩუმე სასიძომ. — აუცილებელია ამ სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება.

— მოვითმენთ, სანამ წინანდლის მკვდირი გახდებოდეთ.

— ამჯერად კი აუცილებელია კეთილშობილთა სასწავლებლის ბიბლიოთეკა გამდიდრდეს. შეეიძინოთ წიგნები: სიტყვიერებისა, ისტორიისა, კანონმდებლობისა, გეოგრაფიისა და მათემატიკისა.

— ეჰ, რამდენი რამ სჭირდება ჩემს ქვეყანას, რიგიანი სახლიც კი აღარ დარჩა მტრისაგან გაუნადგურებელი.

— სწორედ ბინების მშენებლობა ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. შეღავათი უნდა მიეცეს მცხოვრებლებს სესხისა და მასალის სახით, ეს დააჩქარებს ქალაქის მშენებლობას.

— ასეთი ზრუნვა, როგორიც ერმოლოვმა გამოიჩინა მეტეხის ციხის დანგრევით, მხოლოდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

— სამართლიანია ხალხის აღშფოთება, მეც აღმაშფოთა ერმოლოვის საქციელმა. ვანა შეიძლებოდა მრავალი საუკუნეგამოვლილი მეტეხის კედლების დანგრევა და განადგურება ასეთი ძველი არქიტექტურული ძეგლისა? მშენებლობის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი ჩვეულები, ტრადიციები და არქიტექტურა, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ სახლის გარშემო აივნები და სხვა დამახასიათებელი ნიშნები აქაური ბინებისა.

— ყველაფერი გაძნელდება, თუ თბილისის გაღმა და გამოღმა მხარე ერთმანეთს არ დაუკავშირდა.

— ორი ადგილი ავარჩიოთ ხიდებისათვის. ერთი აიგოს აი იქ, — ხელი გაიშვირა მტკვრისაკენ ალექსანდრემ, — სადაც მონასტერია, და მეორეც არტილერიის სახლთან.

— მძიმეა ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ბოროტმოქმედება, რო-

მელიც მაზრებში ხდება, ძალზე ავიწროებს ხალხს, გადასახადებს ერთიორად ადიდებენ მოხელეები, მცხოვრებლები ჩივიან.

— მმართველობის სახე, რომელიც დღემდე არსებობს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ყოველი მმართველობა საჭიროა შეთანხმებული იყოს ადგილობრივ მოთხოვნილებებთან.

— მაგას ჩვენც ვხედავთ, მაგრამ ჩამოსული მოხელეები მხოლოდ თავიანთ პირად სიმდიდრეზე ფიქრობენ.

— საჭიროა გავითვალისწინოთ ორი ქვეყნის კეთილდღეობა. როცა გინდა ორ ქვეყანას შორის მეგობრობა განამტკიცო, აუცილებელია, ისე წარიმართოს ქვეყანა, რომ ორივე სახელმწიფო თავის სარგებლობას ხედავდეს.

— მეფე ერეკლემ მეგობრობისათვის გაუწოდა ხელი რუსთა დიდ სახელმწიფოს.

— ამიტომაც რუსებიც და ქართველებიც უნდა ცდილობდნენ, ეს მეგობრობა განამტკიცონ და ერეკლე მეფის დიდი ანდერძი განახორციელონ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ფეოდალური წყობა დიდად უშლის ხელს მრეწველობის განვითარებას.

— ეგ ყველაფერი დიდად მომხიბლავია ჩვენთვის და სასარგებლო.

— თუ ბათუმს ოსმალეთს წავართმევთ და ნავსადგურად გადავაქცევთ, ეს ხელს შეუწყობს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, რაიც ერთნაირად სასარგებლო იქნება როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსათვის.

ზეზე წამოიჭრა თვალებგაბრწყინებული ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორივე ხელი გაუწოდა სასიძოს:

— მწამდა, რომ ჩემი ნინო ღირსეულს აირჩევდა თავის მეგობრად. ჩემი ქვეყნისთვის კეთილის მსურველი მუდამ საყვარელია ჩვენთვის, ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ოჯახის წევრი ხდებით.

* *

ხმა დაირხა, ჩრდილოელთა რძალი გახდაო ალექსანდრე ჭავჭავაძის ლამაზი ასული ნინო. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მოსალოცავად, ახარებდათ ქართველებს კარგი სიძე.

თბილისის სამხედრო გუბერნატორმა ნიკოლოზ მარტინის ძე სიპიაგინმა მეჯლისის გამართვა ბრძანა ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ბედნიერი ქორწინების აღსანიშნავად.

ვეებერთელა სარკის წინ იდგა ნინო, სამეჯლისოდ რთავდნენ. გარს დედა, გალია და ფარეშები ეხვევნენ. ნინო თავის ანარეკლს უღიმოდა სარკეში. უნდოდა განწაკუთრებით მომხიბლავი ყოფილიყო დღეს, მოსწონებოდა მეუღლის მეგობრებს, რომლებიც მრავლად იქნებოდნენ მეჯლისზე

ალექსანდრე მეორე ოთახში ელოდებოდა მეუღლის გამოსვლას, ფორტეპიანოსთან იჯდა და იმ ჰანგს უკრავდა, რომელიც ნინოს უყვარდა. ნინო უსმენდა, ბედნიერს სიხარული და აღტაცება ეუფლებოდა.

!ალომეს საგვარეულო ნივთები გამოეტანა და დღეს პირველად რთავდა თავის უფროს ასულს. ციმციმებდა მარგალიტების სხმული ნინოს ყელზე, ციცინათელებივით ბრწყინავდა თმებში გაბნეული ბრილიანტები.

ოთახში ეკატერინე და ტატო შემოიჭრნენ:

— ნინო, წინანდლიდან შენი დობილი მელანია მოვიდა მოსალოცად! — ახარა დას ეკატერინემ.

— რა ლამაზი ხარ, ნინო, ასეთი არასოდეს მინახიხარ! — აღტაცებულმა ტატომ ხელი ხელს შემოჰკრა.

— მაშ აქამდე ულამაზო გეჩვენებოდი? — გაუღიმა ნინომ.

— არა, არა! — ტატოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შემოსულმა მელანომ შეუშალა.

მელანომ მორთული ნინო რომ დაინახა, შეკრთა, კარებში შედგა, მისკენ ხელებგაწვდილმა ნინომ გამოარკვია:

— ჩემო მელანო, მოხვედი განა!

— შენი ჭირიმე, ნინო, ციდან ჩამოსულ ანგელოზს დამსგავსებიხარ, ქალო! — მელანოს ხურჯინის ჩამოღებაც კი დააგვიწყდა, ისე მიეჭრა ნინოს.

გაახარა ნინო მეგობრის ასეთმა აღტაცებამ, გადაეხვია, ღაჟღაჟა ლოყები დაუკოცნა, მელანომ გულში ჩაიკრა ნინო.

დიდ სარკეში უცნაურად ჩანდნენ ჩითის კაბაში გამოწყობილი ვაჟკაცური აღნაგობის მელანო, ვეებერთელა ოქროსფერი ნაწნავები მაღალ მკერდზე რომ ჩამოჰყროდა, ღაჟღაჟა ლოყები თურაშაულის ვაშლივით დაბრაწოდა, და მის გვერდით თეთრ ჰაეროვან კაბაში გამოწყობილი ნინო, რომლის თვალები და სილამაზე ბრწყინვალებას უკარგავდა ბრილიანტებს.

— მოსალოცად ჩამოვედი, ძვირფასო, ჩვენამდე მოაღწია ხმამ,

ბედნიერდებაო ჩვენი ნინო, მთელ სოფელს უნდა ჩამოსვლა, მე ყველას დავასწარი, ვიფიქრე, პირველი მოვულოცავ ჩემს ნინოს-მეთქი, ღმერთმა გვირგვინი გიკურთხოს, მუდამ ასე ბედნიერს გხედავდე.

— როგორ გამახარე, ჩემო მელანო! — ჩურჩულებდა ნინო და მეგობარს ეკვროდა.

— ეს დათოს ნახელავია, შენთვის გაიკეთა, ქმრის ბარათები შეინახოს შიგო. — გაუწოდა მელანომ პატრა ხის ყუთი, რომელსაც სახლის ფორმა ჰქონდა. — აბა ნახე, თუ გააღებ, საიდუმლოა. — მელანო ხელებში შესჩერებოდა ნინოს, რომელიც ყუთს ხელში აცოდვილებდა გასაღებად. ეს სარტყელი მე მოგიქარგე, შენი საკადრისი არ არის, მაგრამ ვიცი, გიყვარვარ და ხანდახან გაიკეთებ ჩემდა სახსოვრად. თუ რამ ცოდნა მიმილია კნეინა მანანასაგან, ზედ გადავალიე.

— შესანიშნავია, მშვენიერია! — გაიძახოდა ნინო და ნივთებს ათვალიერებდა.

ოთახში ატეხილმა ხმაურმა ალექსანდრემდეც მიაღწია, დაკერას თავი ანება და ცოლთან გამოვიდა.

— ალექსანდრე, ჩემი მელანო ჩამოვიდა წინანდლიდან მოსალოცად, ნახე, რა ჩამოგიტანა, შენ. ხომ გიყვარს ხალხის ხელოვნება!

— მე ყველაფერი მიყვარს, ძვირფასო, რაც შენ გახარებს. — გაუცინა ნინოს ალექსანდრემ და გაწვდილი ყუთი ჩამოართვა. — მართლაც მშვენიერია, სულიკო, დიდი გემოვნებით არის შესრულებული ეს ქართული ჩუქურთმები.

— აბა ნახე, როგორია, საიდუმლოა, შენი ბარათების შესანახად გაუკეთებიათ ჩემთვის.

— ჩემო ანგელოზო, ღმერთს ვევედროთ, რომ არასოდეს დაშორდეთ ერთმანეთს.

მსახური შემოვიდა:

— კარეტა მზად არის.

მელანო ბედნიერი სახით უყურებდა ნინოს, როგორ ჩასვა იგი ალექსანდრემ კარეტაში და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

შედგა თუ არა კარეტა სიპიაგინის სახლის წინ, ნეფე-დედოფალს გამოეგებნენ. სამხედრო მუსიკის ხმამ ყველაფერი დაჰფარა და ცაში ატყორცნილი შუშხუნები ეფრქვეოდა დედამიწაზე, თითქოს ციდან ვარსკვლავები დაეშვნენო ნინოსა და ალექსანდრეს მისალოცად.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში ჩამწკრივებული იდგნენ: ბესტუჟევი, ზაველეისკი, რაევსკი, ვოლხოვსკი, ადელუგი, ბურცევი, ჩერ-

ნიშევი და მათი აღტაცებული მზერა არ სცილდებოდა ნინოს. ნინო კი ზღაპრული დედოფალივით მოაბიჯებდა ალექსანდრესთან ხელგაყრილი.

ნიკოლოზ სიპიაგინმა პოლონეზში გაიწვია ნინო. გაისმა საზეიმო ჰანგი და გაბრწყინებულ დარბაზში ნიკოლოზ სიპიაგინის ხელზე დაყრდნობილი ნინო გედივით გამოცურდა, მისმა ღიმილმა კიდევ უფრო მიუმატა ბრწყინვალება იქაურობას, გაინაბა ხალხით სავსე დარბაზი, მხოლოდ მუსიკის საზეიმო ჰანგმა და ნინოს გაბრწყინებულმა სახემ დაიპყრო იქაურობა.

მეჯლისი დაიწყო.

— რა ლამაზია!

— რა ახალგაზრდაა!

— სულ ბავშვია! — გაისმოდა ალექსანდრეს მეგობრებში აღტაცებული ჩურჩული. კადრილს ერთად თამაშობდნენ ნინო და ალექსანდრე.

— სულიკო, ახლა ჭეშმარიტად ვგრძნობ, თუ რას ნიშნავს სიყვარული. — ჩასჩურჩულებდა ნინოს ალექსანდრე, ნინოსაც თავის მეტყველი თვალები ალექსანდრესათვის მიეპყრო და განაბულიყო.

სალომე სავარძელში იჯდა მანანასთან ერთად, იქიდან უთვალთვალებდა ქალსა და სიძეს.

— ხვალ უკვე გზაში იქნებით?

— გულს არ ახარებს ეს გამგზავრება.

— რატომ? შეხედე ნინოს, რა ბედნიერი სახე აქვს!

— რა უნდა ქნას უცხო მხარეში მარტოკამ?

— მარტო რად იქნება, ასეთი ქმარი თავს დასტრიალებს.

— დიდი საქმეები აქვს იქ ალექსანდრეს, განა ყოველთვის ეცლება ნინოსთვის?

ბედნიერებაში დრო სწრაფად მიდიოდა, ნინო და ალექსანდრე ვერაფერს ამჩნევდნენ, ვერავის ხედავდნენ ერთმანეთის მეტს.

— რამ დაგაფიქრა, სულიკო?

— ხვალინდელ გამგზავრებაზე ვფიქრობ, ალექსანდრე, ახლა ალბათ უკვე გვიან არის.

— ბედნიერები საათს არ უყურებენ, სასურველო, როგორ სწრაფად შევეთვისეთ ერთმანეთს. — ნინომ გაუღიმა ალექსანდრეს, ქვევიდან ახედა სიყვარულით სავსე თვალებით.

— ჩემო ანგელოზო. — ჩასჩურჩულა ალექსანდრემ ნინოს და სიოსავით სწრაფად გააქროლა ვალსის ჰანგზე ფეხაწყობილმა.

დასრულდა მეჯლისი.

თბილისმა შეისვენა.

ხვალ ნინო და ალექსანდრე მიემგზავრებოდნენ.

დილიდანვე ახმაურდა ყველა სახლი და ყველა ეზო, თბილისი ემზადებოდა ახლად დაქორწინებულთა გასაცილებლად.

გამართეს ტარანტასები, გარეცხეს, თვლებს ქონი წაუსვეს. გამოვიდნენ ნინო და ალექსანდრე, თეთრი ცხენები მოართვეს. ყვითელი ფერით გაწყობილი სამგზავრო კაბა ეცვა ნინოს.

კოდამდე, სანამ გამცილებლები არ დაბრუნდებოდნენ, ცხენებით ისურვა მგზავრობა ნინომ.

შუადღისას, როცა ქალაქში ზარბაზანი დასცალეს, დაიძრა ვეებერთელა ქარავანი, წინ ნინო და ალექსანდრე მიდიოდნენ ცხენებით.

კარეტაში სალომე იჯდა, რომელიც ერევნამდე აცილებდა შვილსა და სიძეს, მას ცხენებით მიჰყვებოდნენ მანანა, ეფემია, გრიგოლი, ახალგაზრდები: ეკატერინე, მაიკო, ტატო, ილია, ლევანი, მიხეილი ჯირითით მისდევდნენ ქარავანს, ბარგით დატვირთულ აქლემებს თბილისის მცხოვრებნი ასდევნებოდნენ — ვინ ფეხით, ვინ ცხენით.

გზა სიმწიფეშეპარულ ვენახებს შორის მიდიოდა, დასრულებული ყურძნის მარცვლები სიოსაგან შერხეულ ფოთლებიდან მორცხვად გამოიყურებოდნენ, ზვრებს თავს მერცხლები დასტრიალებდნენ და შორიდან ისმოდა შაშვის ჭახჭახი.

ბილიკებიდან, ვენახებიდან მოდიოდნენ სოფლელები, გარეთუბნელები, მოჰქონდათ: მწვანილით, ხილით, ცოცხალი თევზით და ყვავილებით სავსე კალათები და ისე ეგებებოდნენ ნინოსა და ალექსანდრეს.

უხაროდა ნინოს, თავის ქვეყანა ასეთი სიყვარულით რომ ისტუმრებდა, ღიმილით და აღტაცებით ეგებებოდა ყველას, მადლს უხდიდა საჩუქრებისათვის.

მივიდნენ კოდაში, სოფლელები გამოეგებნენ, წინ ცხენოსნები მიუძღოდნენ ჯირითით.

დაიწყო გამცილებელთა გამოთხოვება, სათითაოდ იკრავდნენ გულში ნინოს პარასკევა, ხორეშანი, მანანა, ეფემია.

ტარანტასში ჩაჯდა ნინო.

ეკატერინე დიდხანს ხედავდა ვიწრო ფანჯარაში დის სახეს და

კიბეზე მდგარ ალექსანდრეს ხელთათმანს, რომელსაც ქარი აფრიალებდა გამომშვიდობების ნიშნად. მიეფარა ტარანტასი, აღარც ხიხოს სახე ჩანდა, აღარც ალექსანდრე გრიბოედოვის ხელთათმანი.

— წამოდი, ეკატერინე, გამეჯიბრე, — ფრთხილად შეახო ხელი დაფიქრებულ ეკატერინეს ტატომ. ეკატერინემ თავი გაიქნია, სევდა მოიცილა და მხიარულად შესძახა:

— ეცადე, არ გაჯობო, ტატო!..

ორი ცხენი შურდულივით გაქანდა თბილისისკენ მიმავალ გზაზე, მტვერმა დაფარა ისინი.

ბედისწერა

ძილი გაუტყდა ეფემიას, არ დააძინა ტატოზე ფიქრმა, უკვე გვიან იყო, ის კი თავის მაგიდას არ სცილდებოდა, ერთგულად მუშაობდა. ეფემიას არ ასვენებდა მასზე ფიქრი. ორი ხასიათი იბრძოდა ტატოში დაბადებიდანვე: დაუდეგარი, მოუსვენარი ტატო და დაფიქრებული, სევდიანი. ეს ორი ხასიათი აფიქრებდა ეფემიას, არ იცოდა, რომელი დასძლევდა, საით წარიმართებოდა მისი ვაჟის ცხოვრების გზა.

ახლაც ოთახის გაღებული კარიდან ხედავდა მაგიდასთან თავდახრილ შვილს და არ ეძინებოდა, ნეტავ რა მოელის ცხოვრებაში? ვინ იცის, რას უქადის ბედისწერა. ნეტავ შეეძლოს ეფემიას, თვითონ გამოსცედოს შვილის ბედი, რას იზამდა მაშინ? ანაზდად გაახსენდა მელიტონისა და მოურავის საუბარი:

— ბატონო, არ არის კარგად მამულის საქმე. — ეჩურჩულებოდა მოურავი მელიტონს. — სარგებლის გადახდასაც ვეღარ შევძლებთ ჩვენი მამულით. — იქნებ მელიტონის ხელგაშლილობამ სამუდამოდ დაუბნელოს ტატოს ბედი? არ გაუგია ეფემიას, როდის დაწვა ტატო, ჩასძინებოდა ფიქრებით გარსშემოჯარულ დედას.

დილით შვილის ლოგინთან მივიდა ეფემია. ტატოს ჭერისათვის მიეშტერებინა თვალი, ეფემია შვილთან ჩამოჯდა, შუბლზე ხელი გადაუსვა:

— რაზედ ფიქრობ, შვილო?

— ერთი ადგილის დაძლევა გამიჭირდა წუხელ, ახლა კი ისე ნათელი და ადვილი მომეჩვენა, ვეღარ გამიგია, რამ გამაწვალა წუხელ.

— რა ადგილს აკეთებდი?

— პირველ წიგნს ვისისას რამინთან მიწერილს.

— შვილო, არც მაგრე მიყვინებული მუშაობა შეიძლება, მთელი ღამე არ გიძინია. ისე ჩამეძინა, ვეღარ გავიგე, როდის დაწექი.

— მაიკოს დავპირდი, ამაღამ დავამთავრებ და ხვალ გიჩვენებ-ზეთქი. ბიჭებთანაც ვარ გაჯიბრებული.

— ბიჭები რაღას თარგმნიან?

— ყველამ ამოირჩია თავისთვის, მხოლოდ გარსევან ვარლამოვი არ ამბობს, რასა თარგმნის. სკოლაში არ დამიგვიანდეს, დედი, როგორ შევყევით საუბარს, დოდაშვილის გაკვეთილი გვაქვს პირველი. — ტატო სწრაფად წამოხტა.

ეფემია დიდხანს მისჩერებოდა გზას, ტატო უკვე თვალს მიეფარა. იგრძნო ეფემიამ, რომ ტატომ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა.

ტატო სირბილით შევიდა კლასში, ბიჭები მოსულიყვნენ. პირველი, ვინც კარებში შეეფეთა, ვარლამოვი იყო. უეცრად დედასთან საუბარი გაახსენდა და მოუსვენარი აზრი აეკვიატა — „რას თარგმნის ვარლამოვი?“

გაკვეთილი დაიწყო. „ვეფხისტყაოსანს“ ხსნიდა დოდაშვილი. მისი ფერმკრთალი სახე, აღგზნებული თვალები და მის მიერ წარმოთქმული „თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხობელმან“, — განსაკუთრებით ხიბლავდა ბიჭებს. ისინი სულგანაბული უსმენდნენ სოლომონს. ტატო თვალს არ აცილებდა მასწავლებელს, აკვიატებული აზრი მაინც არ ასვენებდა — „რას თარგმნის ვარლამოვი?“

გაკვეთილი გათავდა. ბიჭები ეზოში გავიდნენ. ტატო კლასში დარჩა. ვარლამოვის მაგიდას მიუახლოვდა, სწრაფად გადაშალა მისი წიგნები. პატარა წიგნაკს მოჰკრა თვალი, ეს სახელმძღვანელო არ იყო, გადაშალა, „ევგენი ონეგინი“ წაიკითხა, ეშმაკურად ჩაიცინა, წიგნიდან რვეული ამოიღო, უბეში ჩაიდო.

შემდეგი გაკვეთილები ტატოს აღარ მოუსმენია, თითქოს სწვავდა უბეში ჩადებული რვეული, ვარლამოვისაკენ ხშირად იხედებოდა, ეშინოდა, არ გამიგოსო.

უკანასკნელი გაკვეთილი გათავდა, ტატო ეახარებული წამოხტა. ბიჭებიც წასასვლელად გაემზადნენ. საკლასო ოთახის კარებში მდგარი მასწავლებელი თვალყურს ადევნებდა ბიჭებს და, აი, მასწავლებელმა კლასის კარი გამოხურა, ტატომ დერეფანი სწრაფად გაირბინა, კიბის ოაეში მეკარის სკამზე შეხტა, ხმამაღლა შეჰყვირა:

— შეჩერდით, ყური დამიგდეთ, „ევგენი ონეგინი“ ვთარგმნე და

მინდა წაგიკითხოთ! — კიბის თავში ვარლამოვი შედგა, უეცრად მოტრიალდა, მოაჯირს აეკრა, ბარათაშვილს შეაჩერდა, ტატომ კი ხმამაღლა დაიწყო:

„ბიძაჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშვებით ავად გახდა“.

უკანასკნელი სიტყვები ვეღარ დაამთავრა ტატომ, ვარლამოვი მივარდა და ყელში სწვდა. ბიჭების ხარხარმა ყველაფერი გააყრუა. როცა ილიას თავგანწირულმა ყვირილმა ბიჭების ხარხარიც კი დაჭფარა, მაშინ, დაინახეს, რომ ტატო და ვარლამოვი კიბეზე ბურთივით მოგორავდნენ, ბიჭებიც დაეშვნენ კიბეზე და უკვე ძირს გათხლაშულ ტატოსა და ვარლამოვს მივარდნენ. ვარლამოვი სწრაფად წამოხტა, ცხვირ-პირზე ხელი მოისვა და ისედაც აწითლებული სახე ცხვირიდან გადმონადენი სისხლით შეეღება. ბიჭები მისცვივდნენ სისხლით მოსვრილს, ილიამ კი ტატოს ფეხი წაჰკრა და ბრაზიანი ხმით უთხრა:

— ადექი ზეზე!

ტატოს სახე გაფითრებოდა, ტუჩებს იკბამდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— ტატო, ადექი! — ახლა უკვე შეშფოთება გაისმა ილიას ხმაში. როცა ტატოს ყრუ კვნესაც გაიგონა, შეშინებულმა მიაძახა: — ტატო ბიჭო, რა დაგემართა? — მკლავში წაეტანა. ტატომ განწირული ხმით შეჰყვირა:

— ფეხი, ფეხი! — ახლა კი ბიჭებმა თავი მიანებეს ვარლამოვს და ტატოს შემოეხვივნენ.

— ფეხი, ფეხი! — კვლავ დაიძახა ტატომ და გული წაუვიდა, გამოცვივდნენ მასწავლებლები, დირექტორი.

— ჩქარა, ექიმი!

— ექიმი! — გაისმა იქით-აქედან, ექიმთან რამდენიმე ბიჭი გაიქცა, გულშეღონებული ტატო აიტაცეს, საკაცეზე დააწვინეს და ბარათაშვილების სახლისაკენ წაიღეს.

ეფემია აივანზე იჯდა, როცა საკაცეზე მწოლარე ტატო დაინახა, ტატო, რომელმაც დილით მხიარულმა ჩაირბინა ეს კიბე, მუხლები მოეკვეთა.

— საშიში არაფერია, ქალბატონო, ფეხი აქვს გადატეხილი, ბაჯიაშვილთან გავგზავნეთ კაცი.

ეფემია უხმოდ იმტვრევდა თითებს, ქვედა ყბა უკანკალებდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე. გაფითრებული ტატო

შესჩერებოდა დედის მწუხარე სახეს და ცრემლები ახრჩობდა.

სახლში ყველამ გაიგო ტატოს ამბავი. აივანი გაივსო მეზობლებით და მოსამსახურეებით. გამდელი მკერდსა და ლოყებს იკაწრავდა. ხორეშანს ბაგეები მოეკუმა და უხმოდ იდგა. აქა-იქ მოსამსახურეთა ცრემლნარევი ჩურჩული ისმოდა.

ნოვარდნენ მელიტონი და გრიგოლი.

— სახლში შეიყვანეთ! დააწვინეთ! — გასცა განკარგულება მელიტონმა.

ტატო სახლში შეიყვანეს, გამდელმა ხელების კანკალით გაუშალა ლოგინი.

ეფემია თავთან უჯდა შვილს, შუბლზე ხელს უსვამდა, თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: პირველსავე ნაბიჯზე წაიფორხილა ტატომ...

თბილისში ხმა დაირხა, ბარათაანთ ნიკოს სკოლაში ცელქობის დროს ფეხი მოუტეხიაო.

საღამოზე სახლი მნახველებით აივსო. ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ბარათაშვილები ერთმანეთს სცელიდნენ.

ლოგინთან დახრილი გაფითრებული მაიკო დაინახა ტატომ. გაუღიმა:

— არა მტკივა, მაიკო, გამიარა. ვისის პირველი წერილი დავამთავრე წუხელ. წაგიკითხავ, გინდა?

— მაიკომ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე თვითონ წავიკითხავ.

— ახლა უფრო კარგადაც გადავთარგმნი, დიდხანს მომიხდება წოლა.

სალომე ჭავჭავაძე შემოვიდა, ეფემიასთან მივიდა, ჩუმად გადაეხვია, უსიტყვოდაც გრძნობდა თავისი შვილების ტოლის დედის გულის ტკივილს, არაფერი უკითხავს, ისე მიუჯდა გვერდით, მისი ხელი აიღო ხელში და ხელს უსვამდა უხმოდ.

ეკატერინე ტატოს მიეჭრა:

— გტკივა, ტატო?

— აღარა მტკივა.

— დიდხანს ვერ ადგები? — მოეღრუბლა სახე ეკატერინეს.

— ალბათ.

— ჩვენთანაც ვეღარ მოხვალ? მე ვივლი, სანამ მორჩებოდე.

— რა გიჭირავს, მაიკო? — ახლა მაიკოს მოუბრუნდა ეკატერინე.

— ვისრამიანი თარგმნა ტატომ.

— მართლა, ტატო, რა კარგი ხარ! — ეკატერინემ რვეულს ხელი წაატანა.

— მოიცა, ქალო. — შეუტია მაიკომ ეკატერინეს.

— მეც მინდა წავიკითხო, ტატო!

— პირველად შენ წაიკითხე, მე მერეც მოვასწრებ. — დათმო მაიკომ რვეული.

ტატომ გაუღიმა ეკატერინეს და თავი დაუქნია. ეკატერინე კი კვლავ განაგრძობდა:

— ლექსები დასწერე, ტატო, სასიმღერო ლექსები, მე კი დავამღერებ. მერე როგორ გიმღერებ, კარგო!

მთელი ღამე არ დაუძინიათ ეფემიას და გამდელს, არც ტატოს ეძინა, შფოთავდა. მოუსვენრად იყო. მთელ ტანში წიწკნიდა, ეწვოდა მოტეხილი ფეხი. ეფემია გულში მუშტს იცემდა; ტატოს ყოველ დაკვნესებაზე ცეცხლი ეკიდებოდა:

— დედა მოგიკვდეს, შვილო! — ხანგამოშვებით წამოიძახებდა ის. — ეს იყო შენი ბედისწერა.

* *

ლოგინში ხანგრძლივმა წოლამ ერთფეროვანი და მოსაწყენი გახადა დღეები, აივანზე გაუტანეს საწოლი ტატოს, აქედან ხან მტკვარს გადაჰყურებდა, ხან მის საყვარელ მთაწმიდას შესცქეროდა, განსაკუთრებით მაშინ უყვარდა ტატოს მთაწმიდა, ამომავალი მზის შუქი რომ მიანათებდა და აელვარდებოდა ტაძრის გუმბათი. ნაწვიმარზედაც კარგი იყო იქურობა, ახლად პირდაბანილ დედოფალს ჰგავდა, თითქოს იცინიანო ხეები, ბუჩქები და ქვეყანას თავს აწონებენო.

უამრავი მნახველი ჰყავდა ტატოს. სოფლიდან ჩამოსულმა მახარემ რამ ენიმე დღე გაატარა მასთან. კაკალა სულაც გადმოსახლდა ბარათაშვილებთან.

ეფემია და მაია გამდელი ერთ წუთს არ სცილდებოდნენ ტატოს საწოლს. თბილისში თუ სადმე წიგნი მოიპოვებოდა, მოუტანეს. აღარ ეყო გამდელსა და ხორეშანს ძველი ამბები და ზღაპრები, ერთი და იგივეს აამბობინებდა დაუსრულებლად. დღესაც ლოგინთან დაბალ სამფეხა სკამზე მჯდარი მაია ათასჯერ ნაამბობს უამბობდა ტატოს, გამდელმა ამბავი გაწყვიტა და უთხრა:

— მაიკო ჩამოსულა სოფლიდან, ტატო!

— მართლა, ნეტამც მოვიდოდეს. — ნატვრა არ დაჯსრულებია ტატოს, მაიკო შემოიყვანა ეფემიამ.

— კარგად არის, ჩემო მაიკო, მხოლოდ გაუჭირდა ამდენი წოლა.

— ვჩქარობდი წამოსვლას, ვფიქრობდი გაგიჭირდებოდა უჩემობა. — ტატოს ლოგინზე ჩამოჯდა მაიკო.

— მართლაც გამიჭირდა უშენობა, ჩემო მაიკო.

— ფიქრით სულ შენთან ვიყავი.

— მეც ყოველთვის გესაუბრებოდი, კარგო, ჩემს ფიქრებს გიზიარებდი, რამდენი აზრი გებადება ადამიანს, უძრავად მწოლიარეს. ვისთან არ საუბრობ, სად არ დადიხარ?

— რა კარგია, რომ უსაზღვროა ფიქრი და ოცნება!

— ზეც მიფიქრია მაგაზე, ტატო; ფიქრს ვერც აკადმყოფობა, ვერც მოვალეობა, ვერც კანონი ვერ ზღუდავს. ლაღია, ბედნიერი.

— არც მანძილი აქვს, არც კანონი, არც ზღუდე. — გაიცინა ტატომ. — ლაპარაკს შეეყევით, არც კი გკითხე, როგორა ხარ?

— მე უნდა მეკითხნა, როგორა ხარ?

— როგორა ვარ, მიჯაჭვული ლოგინზე, დღეებს მნახველებთან, წიგნებთან და ჩემს ოცნებასთან ვატარებ. ვეღარ დავნავარდობ თბილისის ქუჩებში, მაგრამ ჩემი ოცნება ისეთი მოუღალავი მერანია, წუთში მოიელის ყველა უბანს, ყველა სახლს, ყველა ბანს.

— მალე შენც აჰყვები შენს ოცნებას, ტატო!

— ხომ შეიძლება, ვეღარ გავიარო, კარგო!

— ეგ არასოდეს არ იქნება. მაჩვენე, რას კითხულობ?

— ვისრამიანის თარგმნა დავამთავრე. უქმად არ გამიტარებია დრო. სხვაც ბევრი რამ მოვიფიქრე, მხოლოდ ჯერ ისევ ჩემს ოცნებაში.

— არ შეიძლება მითხრა?

— ვინ მოთვლის, რამდენი რამ მაქვს შენთან სათქმელი!

გამდელმა მოახსენა:

— სოლომონი გეახლათ!

— როგორ ხარ, ნიკო? — ომახიანი ხმით შემოსძახა სოლომონმა შემოსვლისთანავე.

— კარგად, ბატონო სოლომონ. მხოლოდ ადგომისა და გავლის სურვილმა დამიპყრო მთლიანად.

— მალე ეგ დღეც დადგება.

— რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო მეტად გამიჭირდება წოლა, სურვილი სჭარბობს თანდათან.

— ნუ შეზღუდავ, შეაჩერე მხოლოდ! გაიცინა სოლომონმა. — შენი თარგმანი მოსაწონია, ნიკო, ყოჩაღ, უქმად არ დაგიკარგავს დღეები!

სახე გაუბრწყინდა ტატოს თვალს ვეღარ აცილებდა სოლომონს.

— გაამართლე ჩემი ფიქრები, მადლობელი ვარ, ნიკო.

— უკეთეს ჯილდოს ვერასოდეს ვინატრებდი, ეგოდენ ძვირფასია თქვენი აზრი ჩემთვის.

— სხვაც ბევრი რამ მაქვს სათქმელი, ნიკო, უნდა გამიმართლო იმედები. ადგები, კვლავ განვაახლებთ ჩვენს საღამოებს.

— რამდენი რამ დავკარგე წოლაში!

— არა, შენმა ავადმყოფობამ დამარწმუნა იმ ნიადაგის სიმტკიცეში, რომელსაც შენში მუდამ ვხედავდი.

— თქვენი სიტყვები ადგომის სურვილს მიორკეცებენ.

— შენ ხომ სწავლაში გაატარე ეს დღეები და არ დაგავიწყდეს, ნიკო, წარმატებანი სწავლაში, ენასა და სიტყვიერებაში მოწმობენ აღმატებას ერისას. სამართლიანად სთქვა არისტოტელემ: „გვარი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე“.

— ყოველი თქვენი სიტყვა ჩემი ცხოვრების მიზანი იქნება და მუდამ მეხსომება იგი.

— მთესველის სიხარული მაშინ არის, როცა ნაყოფიერი ნიადაგი ხვდება მის თესლს.

* *

ახლოვდებოდა დღე, როდესაც ტატოსათვის ფეხი უნდა გაეხსნათ. ყველა ღელავდა. გაივლის თუ ვერ გაივლის? — ეს კითხვა უტრიალებდათ თავში.

ილეოდა წოლის დღეები, ილეოდა ტატოს მოთმინებაც, ახლა უკვე აუტანელი გახდა ყოველი დღე და ყოველი საათი. აღარაფერს აკეთებდა იმ დღეებში. დაუსრულებლად გასცქეროდა ხან მტკვარს, ხან მთაწმიდას.

აღარც ვინმეს ნახვა უნდოდა, აღარც ვინმეს საუბარი იზიდავდა, ვეღარც თავის საყვარელ „ევფხისტყაოსანს“ კითხულობდა.

„გაივლის თუ სამუდამოდ დარჩება ლოგინს მიჯაჭვული?“ ავადმყოფობის მანძილზე ერთხელაც არ უფიქრია, რომ ვერ გაივლიდა. მაშ, ახლა ეს ვინ არის. ბოროტი ხმით ეჭვი რომ ჩააწვეთა? „გაივლი, უსათუოდ გაივლი“, — ჩასძახოდა საიდუმლო ხმა. განა ტატოს სიცოცხლე შეუძლია, მთაწმიდაზე რომ აღარ ავიდეს, მტკვრის ნაპირებს რომ არ ჩაუაროს, თბილისის ვიწრო ქუჩები რომ არ მოიაროს? მთაწმიდა დაიფარავს, მტკვარი, საყვარელი თბილისი დაიფარავს. უსათუოდ, უსათუოდ უნდა გაიაროს თბილისის ქუჩებში.

„რომ ვერ გაიარო?“ — კვლავ ჩასძახის ბოროტი ხმა, თავი გაიქნია, მოიცილა ბოროტი, ვინ არის ეს აბეზარი, რა ენაღვლება, იაროს ტატომ თბილისის ქუჩებში?

ექიმი მოვიდა.

— ხვალ რომ მოშუადღევდება, არტახებს აგხსნი.

თვალები გაუფართოვდა ეფემიას, სახეში შესცქეროდა ბაჯიაშვილს, ეშინოდა მისი სიტყვა ან გამოხედვა არ გამოჰპარვოდა.

— მხოლოდ წყნარად უნდა იყო, მღელვარება სიარულში ხელს შეგიშლის.

— არ ვღელავ. — წაიჩურჩულა ტატომ, შეეშინდა, ცრემლი არ წამოსვლოდა.

— მაშ, ხვალამდე!

მთელი ღამე დაჩოქილმა გაატარა ეფემიამ:

— ღმერთო, ღვთისმშობელო, დედა ხარ, მიმიხვდები გულის წუხილს, ნუ დაუბნელებ ცხოვრების გზას ჩემ ტატოს! — სიტყვების თქმას ვეღარ ახერხებდა ეფემია, თითქოს ლოცვებიც დაავიწყდა. დაჩოქილს კაბის ცისფერ გულისპირზე უხვად ეფრქვეოდა ცრემლები. — შვილო, ტატო, შვილო! — თითქოს წაერთვა სხვა სათქმელი, მარტო ტატოს სახელმა დაიპყრო მისი გონება.

დილით გამდელმა მოახსენა:

— გაიღვიძა ტატომ.

ეფემიამ სწრაფად მოიწმინდა ცრემლები, ფეხზე წამოდგა, წელგამართული შეევიდა შვილის ოთახში. შვილის ფერმკრთალი სახე რომ დაინახა, გაიფიქრა: „არც ტატოს სძინებიაო წუხელ“. ბაგეები აუკანკალდა, შეეშინდა, მწუხარება არ შემჩნეოდა, გაღიმებულმა მიმართა შვილს:

— შვილო, როგორა ხარ?

— კარგად, დედილო!

შვილის ჩაეარდნილი ხმა არ მოეწონა ეფემიას.

— მშვენიერი დარია, შვილო, ასეთი ნაადრევი გაზაფხული კაცს არ ახსოვს, აყვავებული გეგებება თბილისი, გელოდება, კვლავინდებურად შემოირბინო ქუჩები და უბნები.

— ისეთი სიზმრები მაქვს, უნაკლოდ გაიელის ჩვენი ტატო.

— გამდელო, განა მაგაში ეჭვი ეპარება ვინმეს? — შეშინებული თვალები მიაპყრო ეფემიამ გამდელს.

— დარიც შესანიშნავია. — აღარ ჩერდებოდა ალაპარაკებული გადია. — ყველას და ყველაფერს ახარებს ტატოს განკურნება.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ხორეშანი შემობრძანდა, უხმოდ დაჯდა ტახტზე, მღელვარება მხოლოდ იმით შეეტყო, კრიალოსნის მარცვლები სიჩუმეში სწრაფად რაკუნებდნენ. უხმოდ ისხდნენ გრიგოლი და მელიტონიც.

როცა ბაჯიაშვილი მოვიდა, აწრიალდნენ. წამოდგა ხორეშანიც, შეჩერდნენ მის ხელში კრიალოსნის მარცვლები.

გრიგოლი და მელიტონი დარბაზში გაეიდნენ ექიმის შესაგებებლად. ეფემიამ ოთახში სიარული დაიწყო, ბალიშებს დაუწყო სწორება. ტატომ დედა მიიხმო ლოიგნთან; კისერზე ხელები შემოხვია, ვედრებით უთხრა:

— ჩემო დედილო, ოთახში ნურავინ იქნება.

— კარგი, შვილო, ყველას დარბაზში გავგზავნი.

— შენც გადი, ჩემო დედა, მაპატიე!

თვალები დახუჭა ეფემიამ, წაბარბაცდა, შვილს შუბლზე აკოცა, ოთახიდან გავიდა.

ტატო ბაჯიაშვილს მისჩერებოდა, დამუჭულ ხელს კბილებს უჭერდა. ტკივილს არ გრძნობდა. მისი გაფართოებული თვალები ბაჯიაშვილის ხელის მოძრაობას არ სცილდებოდა. ბაჯიაშვილი კი წყნარად, დარწმუნებულად განაგრძობდა:

— პირველადვე რომ ვერ გაიარო, არ შეგეშინდეს, დასუსტებული ხარ ხანგრძლივი წოლით, ჯანმრთელ ფეხსაც დაკარგული ექნება ძალა.

გახსნა ფეხი, დაუზილა და ტატომ იგრძნო, სისხლმა თავისუფლად რომ დაიწყო მოძრაობა. საწოლიდან ორივე ფეხი გადმოწია, დააჩერდა. სისხოსა და ფერში განსხვავება დაინახა.

— არ შეფიქრიანდე, ეგ ყველაფერი თანდათან გაიელის, პირველად ჯანმრთელი ფეხი დაადგი, მთლად ნუ დაეყრდნობი, ჯერ ისევ

სუსტია. ტატო სიწოლის ნაპირს დაეყრდნო, ბაჯიაშვილმა ყავარჯენი მიაწოდა, ნელა გასწორდა, მუხლები უკანკალებდა, მაგრამ მაინც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შუა ოთახში შედგა, მიიხედ-მოიხედა, მღელვარებამ ყელში წაუჭირა, რაღაც ამოტეურდა ყელში და სალაპარაკო დაუხშო. „მაშ გაიარა, გაიარა, ნამდვილად გაიარა". შეეშინდა, კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კარებში მდგარ დედას შესძახა.

— დედა! — ეფემიამ ხელები შეაგება გავლილ შვილს, გულში ჩაიკრა, თვალები დახუჭა, ასე ეგონა, ჩვილ ტატოს ხედავდა, როცა პირველი ნაბიჯები გადადგა, და სიხარულმა თვალები გაუბრწყინა.

ოთახი სწრაფად გაივსო ხალხით. სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ყველა. რიგრიგობით გულში იკრავდნენ.

ეფემია და ტატო ტახტზე ისხდნენ, დედა ნელა უსვამდა ხელს მოტეხილ ფეხზე, თვალს ავლებდა გარშემო მხიარულად ალაპარაკებულებს, კვნესოდა დედის გული, დედის გულმა იგრძნო, სამუდამოდ კოჭლად დარჩებოდა მისი ტატო, ჩუმად შესთხოვდა შვილას!

ღვთისმშობელო, როგორი კოჭლობით გაიარა მისმა ტატომ, უშველე, დედაო ღვთისა, ნუ დაუკოჭლებ ბიჭს, ნუ დაუჩაგრავ ეფემიას მის ტატოს. ბედისწერავ, ნუ გადაეღობები ცხოვრების გზაზე.

— მეჯლისი, მეჯლისი ჩემი ტატოს ჯანმრთელობის აღსანიშნავად! — ბრძანა მელიტონმა. აწრიალდა მთელი სახლობა.

ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲛ ᲛᲘᲘᲑᲐᲠᲐ

— აფსუს, რა მალე დაუბნელდა გვირგვინი ჩვენს ტურფა ნინოს.

— მეხის გავარდნას ჰგავს ეგ ამბავი თბილისისათვის.

— ბედი, ჩემო ხორეშან, ბედი აღარ წყალობს რჩეულებს. — თეკლა ბატონიშვილმა კრიალოსნის მარცვლები გადათვალა. სივრცეს გაუშტერა თვალი.

— რა ქალი დაგვეჩაგრა უდროოდ, გული მიკვნესის მის შემყურეს.

— ვნახე გუშინ, დიდხანს ვერ გავუძელი მის მწუხარებას, სალომე და ალექსანდრეც მებრალებიან, ძნელია უყურებდე სიყრმის შვილის ასეთ ტანჯვას.

— ჩვენთვისაც დიდი დანაკლისია, კეთილის მოსურნე ყოფ ჩვენი ქვეყნისათვის.

— მეც მაგას ვტირი, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე ჩვენი ალექსანდრე, მეც გამაცნო მისი გეგმები, წარდგენილი ჰქონია პეტერბურგს.

— არ დააცალა განგებამ, ვერაგულად გამოგვაცალეს ხელიდან.

— ჩემო ხორეშან, განგებამ პირი იბრუნა ჩვენგან, სიკვდილშივე იღუპებიან ჩვენთვის კეთილის მოსურნენი.

— ხმა რომ გაუგონია, იშიშვლა თურმე ხმალი, გამოვარდა, მაშინვე წაუქცევია საფეთქელში მოხვედრილ ქვას. ისეა დამახინჯებული გვამი, ვეღარც იცნესო, დუელის დროს ჭრილობა ჰქონია ხელზე. იმითლა უცვნიათ დღედაბნელებული.

— ღმერთო, გვიხსენი უარესისაგან, — პირჯვარი გადაიწერა ხორეშანმა. — ეს რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავს!

— წინანდალში აპირებდაო დასახლებას.

— წინაგრძნობა არ ჰქონია კარგი. მთაწმიდაზე დამასაფლავეთო, უთხოვნია.

— თავის სამელნეც გამოუგზავნია წარწერით ნინოსათვის.

— სამელნე? არ მინახავს.

— ზედ ფრანგულად წაუწერია: „ჩემს ანგელოზს ნინოს, 15 იანვარი, 1829 წელი, თეირანი".

— ზოგჯერ წინაგრძნობა ბევრს ეუბნება ადამიანს, მაგრამ ვინ დაუჯერებს საიდუმლო ხმას!

— მაცნე მოსულა, ხვალ შემოვლენო თბილისში.

— დიახ, გამაგებინეს უკვე.

— წამობრძანდებით შესახვედრად?

— როგორ არა, ჩემო ხორეშან. ჯერ თვითონ არის ყოველი ქართველისაგან პატივსაცემი, მერე ნინოს მწუხარების მაყურებელს განა შემიძლია მისი ნაღველი არ გავიზიარო?

— მრავლად მოსდით სამძიმრის წერილები ყოველის მხრიდან.

— ბედისწერაა, ჩემო ხორეშან, ბედისწერა, მისი ეტლი რჩეულებს დასდევს ყოველთვის.

ფიქრებმა წაიღეს თეკლა ბატონიშვილი და ხორეშანი, ისინი სოლოლაკიდან დაჰყურებდნენ თბილისს. ვინ იცის, რა სურათები ცოცხლდებოდა მათ თვალთა წინ!

სიჩუმე იდგა ქალაქში, აღარ ისმოდა ყარაჩოხელების სიმღერა, არც მეტივეების შეძახილი, არც ჩონგურს უკრავდა ვინმე.

ქალაქი ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვას გლოვობდა.

გათენდა. აფუსფუსდა მთელი ქალაქი, მაცნე ყოველ საათში მოდიოდა ჭავჭავაძიანთ სახლში. სიონში, ქაშვეთში და ყველა უბნის ეკლესიაში პანაშვიდს იხდიდნენ ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად.

ადგა ლოგინად ჩავარდნილი ნინო. გარს შემოხვეული ნათესავები ურჩევდნენ — არ ამდგარიყო დასუსტებული. გაჭირვეულდა;

— თვითონ უნდა შეეხვდეო ჩემს ალექსანდრეს.

დაღამდა. თხელი ღრუბელი გადაეკრა ცას. არ ჩანდა ნაგვიანევი მთვარე.

გამოიყვანეს შავით მოსილი ნინო, კარეტაში ჩასვეს. დედის მკერდზე მიყრდნობილს, გვერდით პარასკევა ახვერდოვა უჯდა. გაყინულ ხელებს უთბობდა. ფერხთით დარეჯანს მოეკალათნა, ფეხებზე ეხვეოდა მის გაზრდილს და დაბალი ხმით მოსთქვამდა:

— ტყუილად გქონდა ჩემი იმედი, ალექსანდრე, ხედავ, რა დღეშია შენი ანგელოზი ნინო! ეს იყო შენი უსაზღვრო სიყვარული, ამ დღისათვის გაიმეტე! დედაბოძი გამოეცალა მის სამყოფელს, სიცოცხლეც აღარ უნდა ბედდაბნელებულს. გახსოვს, ჯვრის წერის დროს, ბეჭდების შეცვლისას, ბეჭედი დაგივარდა, შეშფოთდი მაშინ, ჩვენც შევძრწუნდით, ამას მოასწავებდა თურმე.

ნინოს კარეტას ეტლები მისდევდა, ქალებით დატვირთული. ალექსანდრე ჭავჭავაძე, მელიტონ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი და ორბელიანები ცხენებით მოდიოდნენ, შავით მოსილნი.

ქალაქის სადარაჯოსთან შედგა ნინოს კარეტა, აქ ელოდნენ სამგლოვიარო პროცესიის მოახლოებას. ღამის სიბნელეში ჯერ ისევ შორიდან აციმციმდა პირველი ჩირაღდნის შუქი.

— მოდიან!

— ხედავ ჩირაღდანს!

— ისინი არიან!

— მოდიან!

— მოდიან! — აჩურჩულდნენ გარშემო.

ნინო თვალს არ აცილებდა ჩირაღდნის შუქს, რომელიც თანდათან წინ მოიწევდა უსაზღვრო სიბნელეში. სინათლის შუქით შემოდიოდა თბილისში უსიცოცხლო ალექსანდრე. გამრავლდნენ ჩირაღდნები. შორიდანვე მოისმა სამღვდელოების გალობა და მოტირალი ქალების ხმა, წინ შავით მოსილი მამაკაცები მოდიოდნენ, შავს ცხენებზე ამხედრებულნი. ხელთ ჩირაღდნები ეპყრათ და უცნაურად

ჩანდა შავ ბალდახინზე დასვენებული, შავ სუდარაგადაფარებული ალექსანდრეს კუბო, გარსშემორტყმული შავით მოსილი სამღვდელოებითა და თმაგაშლილი ქალებით.

კანკალმა აიტანა ნინო, დაუსხლტა დედას და პარასკევას, ხელები წინ გაიშვირა, უცნაური ხმით შეჰკივლა:

— ალექსანდრე! — მოცელილივით დაეცა ძირს, აიტაცეს გულშეღონებული.

პროცესია სიონისაკენ წავიდა. გაივსო ყველა ქუჩა, ყველა აივანი და ბანი, თბილისში არავინ დარჩენილა, რომ ალექსანდრეს ნეშტს არ მიგებებოდა.

სიონში შეასვენეს ალექსანდრე, არ აჩვენეს მისი დასახიჩრებული სახე ნინოს. სანთლებით განათებულ ტაძარში ქმრის კუბოზე დამხობილი ნინო შემოდგომით ჩამოვარდნილი ფოთოლივით უსიცოცხლო იყო.

დილიდანვე დაიწყო ხალხმა დენა სიონის ტაძარში, ალექსანდრეს გარს ახლობლები, ამხანაგები ეხვივნენ. მოვიდა სამხედრო გუბერნატორი სტრეკალოვი, მას მოჰყვნენ თბილისის სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენლები, ისანიდან ხელოსნები, ორთაჭალიდან ყარაჩოხელები, წინანდლიდან — გლეხები.

გალობდა სამღვდელოების გუნდი. დასრულდა პანაშვიდი.

საკურთხევლიდან შემოსილი მიტროპოლიტი იოანე გამოვიდა, თეთრი წვერი გაშლოდა მკერდზე, თეთრივე თმები ეყარა მხრებზე. ზეცისათვის მიეპყრო თვალი, ხმა უკანკალებდა:

— მოალწია ჟამმა, ამიერ ჩვენთან აღარ იქნების მონა ღვთისა ალექსანდრე გრიბოედოვი, მტერმა ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი ქვეყნის მოჭირნახულე. — ხალხის ქვითინმა დაჰფარა იოანეს სიტყვები. — შენი რჩევანი, მზრუნველობანი, მეგობრობა და შემწეობანი ფრიად საჭირო იყო ჩვენის ქვეყნისათვის, მაგრამ ჩვენმა მეცადინეობამ ვერ გიშველა შენ, განგვეშორე ჩვენ ხორციელად, მაგრამ ფიქრნი შენნი, სურვილნი შენნი, ცხოველ და უკვდავ არიან ჩვენთვის, იცოცხლებ მანამ. სანამ იცოცხლებს შენი საქმით მადლიერი საქართველო. — განაგრძობდა იოანე და ცრემლები გზას იკვლევდა მის თეთრ წვერზე.

ტაძრიდან გამოასვენეს კუბო. ქუჩაზე აჩრდილებივით მოდიოდნენ შავით მოსილი ქალები, ყვავილებსა და ბზას ფანტავდნენ ალექსანდრეს სავალ გზაზე. წამოიმართნენ შავი დროშები და ხატები. ქუჩაში

ტევა აღარ იყო. სახლებზე, აივნებზე, ბანებზე შავი დროშები გადმოფინეს. ჩამწკრივებულ გიმნაზიელებს დოდაშვილი მოუძღოდათ წინ, ტატოც წამოსულიყო, ყავარჯნებზე დაყრდნობილი. მიაღწიეს მთაწმიდის აღმართს, ბალდახინიდან გადმოიღეს ალექსანდრეს კუბო და ფეხით შეუდგნენ აღმართს. ხალხით დაიფარა მიდამო. ნინო ხელით მიჰყავდათ გამყოლებს. ხალხმა მუხლი მოიყარა საფლავის წინ.

— ნეტარ არს გზა, რომელსაც წარმართულხარ, მიწა ხარ და მიწად იქეც! — წარმოთქვა იოანემ უკანასკნელად და მიწამ დაჰფარა ალექსანდრე გრიბოედოვი.

მთაწმიდიდან ორბელიანებისაკენ დაეშვა ტატო.

გაიხარეს ორბელიანებმა, ტატო ეწვიოთ, ხორეშანი, გრიგოლი, ილია და შინამოსამსახურეები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. ავადმყოფობის შემდეგ ეს პირველი იყო ტატოს მათთან მისვლა. გული ეკუმშებოდა ხორეშანს, ყავარჯნებზე დაყრდნობილ ტატოს რომ ხედავდა, მაგრამ ღმერთს მადლს უხდიდა, სამუდამოდ ლოგინზე მიჯაჭვული რომ არ დარჩა.

კაკალამ მთელი ეზო შემოირბინა, ყველას ახარა:

— ჩვენი სახლიშვილი გვეწვიაო.

ეზოში მოიყარეს თავი, სათითაოდ იკრავდნენ გულში, უალერსებდნენ. ეზო-გარემო შემოიარა ტატომ, ყველა კუნჭული ნახა: საჯინიბო, თავლა, მოიწონა ძია გრიგოლის ახალი კარეტა.

— ამით გატარებ, ტატო, სანამ თავისუფლად არ გაივლი.

— ახლაც თავისუფლად დავდივარ, ძია. უყავარჯნოდაც შემიძლია ვიარო, მაგრამ ბაჯიაშვილი მეურჩება: ნუ დაატანო ძალას.

— მოვითმინოთ, მალე თავისუფლად გაივლი და ეგ ყავარჯნებიც გადავყაროთ.

— ვითმენ, მეშინია კოჭლად არ დავრჩე.

გრიგოლს მოაგონდა საუბარი ბაჯიაშვილთან: შეიძლება სამუდამოდ დაკოჭლდესო ტატო. გული შეეკუმშა, თვალი აარიდა დისწულს, კიბეზე ამომავალ კაკალას გაეხმაურა, რომელსაც კალათით ყურძენი, ლეღვი და ატმები ამოჰქონდა ტატოსათვის.

— კაკალა, ჩემო კაკალა, იქნებ ფიქრობ, ვენახში ვერ ჩამოვა შენი ტატო? სცდები, ჩემო კაკალა, განა ვერ მნახე, მთაწმიდაზე როგორ მივაბიჯებდი!

— შენი ჭირიმე, ბიჭო, შენი, განა არ ვიცი, მაგრამ, სანამ ვენახში ჩამოხვიდოდე, ვიცი გიამება ჩემი ხელით მოწეული.

— მალე სათევზაოდ წაგყვები.

— გამახარე, შენ გაიხარე შენა, კვლავ მუდამ შენს ბედზე გადავაგდებ ბადეს.

მთელი დღე მხიარულად გაატარეს ბაღ-ვენახში ტატომ და ილიამ. საღამოზე ილია მეთევზეებს გაჰყვა მტკვარზე. ტატო ხორეშანმა არ გაუშვა. დარბაზში ხორეშანის ტახტზე მოიკალათა, მისივე განჯინიდან წიგნები გადმოალაგა, ისე გაერთო კითხვით, არ შეუმნჩევია, სუფრა როგორ გააწყვეს ფარეშებმა. მხოლოდ ძია გრიგოლის სიტყვები რომ ჩაესმა, მაშინლა მიაქცია ყურადღება დარბაზში ატეხილ ფუსფუსს.

— ვახშამზე მარტო შენ უნდა გვემსახურო, კაკალა, სხვა არავინ შემოვიდეს. — აფრთხილებდა გრიგოლი კაკალას.

— წვეულება გაქვს, ძია გრიგოლ?

— ჩვენები იქნებიან!

— მე ხელს შეგიშლით, ძია?

— არა, იჯექ, იკითხე. — გრიგოლმა ასადგომად გამზადებული ტატო კვლავ ტახტზე დასვა.

ბინდი ჩამოწვა, სინათლეები აანთეს ფარეშებმა და დარბაზი დატოვეს. ფანჯარასთან იდგა გრიგოლი და ჩაბნელებულ ბაღს გადასცქეროდა. გრიგოლა დიაკვანი ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ჩაფიქრებულ გრიგოლს და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულებდნენ ისინი საიდუმლოდ.

— ალექსანდრე ორბელიანი გვახლათ. — ჩასჩურჩულა კაკალამ გრიგოლს, გრიგოლი შესაგებებლად გაეშურა.

დარბაზს თითო-თითოდ ემატებოდნენ სტუმრები. მოვიდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ელიზბარ ერისთავი, იასე ფალავანდიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, პეტრე ზავილეისკი, ლეტელიე, ანდრია მელნიკოვი და პაუშენკო. გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ წვეულნი. ყანწი აიღო ალექსანდრე ორბელიანმა.

— აავსეთ სასმისები! — წამოდგნენ სხვებიც. ალექსანდრემ დაიწყო: — გაუმარჯოს იმათ, ვისაც საქართველო უყვარს, გაუმარჯოს სამშობლოს პატრიოტებს!

ტატომ წიგნებს თავი ანება, ყური მიუგდო საუბარს. ეს ალბათ, ის თათბირია, რომელზედაც ახლა ხშირად ჩურჩულებენ თბილისში,

ამხანაგებმაც უთხრეს სკოლაში მისვლისთანავე, უსმენდა ალექსანდრე ორბელიანის სიტყვებს, იგრძნო, რომ ტანში რაღაცამ დაუარა და კანზე ბუსუსები დააყარა.

— აუცილებელია მტკიცედ იქნეს დაცული საიდუმლო. შეთქმულების წევრი მხოლოდ იმ პირს უნდა იცნობდეს, რომელმაც მას საიდუმლო გაუმეღავნა და შეთქმულების წევრად გახადა.

— თქვენი ბრძანება აუცილებელი პირობაა ჩვენი შეთქმისა, — სიტყვა ჩამოართვა ალექსანდრე ორბელიანს სოლომონ დოდაშვილმა. — საჭიროა ახალგაზრდებში ვეძიოთ შეთქმულებისათვის გამოსადეგი ხალხი; პირველი და აუცილებელი პირობაა, შეუძლიათ თუ არა საიდუმლოს დაცვა.

— პირველად ვესწრები თქვენს შეთქმას, ამიტომაც ყურადღებით მომისმინეთ. — ალექსანდრე ჭავჭავაძემ მაღალი შუბლი ხელსახოცით მოიწმინდა და შეკრებილთ მიმართა:

— გული წუხს, როდესაც ვხედავ, ქართველებმა როგორ დაჰკარგეს კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისა, ქედი მოიდრიკეს მონობის უღელქვეშ, მაგრამ მაინც მაშინებს, როცა ვიფიქრებ, რა იქნება, თუ რუსეთი იძულებული შეიქნა და საქართველო დატოვა. წარმომიდგება ჩემი ქვეყანა, მსხვერპლი უწესობისა, შინაგანის განხეთქილებისა და დაუძინებელი მტრობისა.

— ბატონო ალექსანდრე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოცდაათ წელს რუსთა ბატონობის, საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, არც ნაკლებია.

— ეგ მართალია, გრიგოლ ბატონო, მაგრამ რად არ მიაპყრობთ ყურადღებას, როგორ შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა მესაზღვრე სახელმწიფოთა. წინათ ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესეთი გაწყობილი ჯარი და თოფხანა? უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო უიარაღოდ ერთ თვესაც ვერ გაუძლებს მტერს. გარდა ამისა, ოცდაათი წლის მორჩილებამ ფრიად შესცვალა ერი, გაქრა ჩვენს შორის მხნეობა სულისა. დღეს ყველა ფიქრობს საკუთარი სარგებლობისათვის, რომლის მისაღებად აღარ დაგიდევენ არც სირცხვილს, არც უპატიურს გზას.

— ჩემი აზრიც მოგახსენოთ. — დაიწყო ალექსანდრე ორბელიანმა. — თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რეღულისა და გაიჩინა კიდეც. ახლაც ადვილად მოხდება რეღულის გაწყობა. სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისა თავის თვალით დაანახვებთ

რეღულის აუცილებლობას, გარდა ამისა, ყიზილბაშებმა და ოსმალებმაც დაინახეს თავის შეცდომა! შეიცვალეს აზრი, ახლა სწყევლიან აღა-მაჰმად-ხანს თბილისის წახდენისათვის.

— ერეკლე მეფემ უკეთ განჭვრიტა ბედი ქართლისა, როცა რუსეთი აირჩია მეგობრად.

— არა ბატონად, მხოლოდ მეგობრად!

კაკალა ფეხაკრეფით მიუახლოვდა გრიგოლს და ჩასჩურჩულა:

— ბერი ფილადელფოსი გეახლათ.

დარბაზში შავანაფორიანი მაღალი გამხდარი კაცი შემოვიდა, რომელსაც პირველად ხედავდა ტატო. ყველანი ზეზე წამოიჭრნენ, მიეგებნენ მოსულს. ბერმა ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო მეტად მოჭუტა და გადახედა შეკრებილთ. დიდი ხნის ნამგზავრობა ეტყობოდა გახუნებულ ანაფორას და შემოცვეთილ წაღებს, ვიწრო მხრები ჰქონდა ბერს, მაგრამ მოხრა არ ეტყობოდა, ისარივით გაჭიმული იდგა. ბეჭებზე შავი ხშირი თმა ეყარა, რომელიც საფეთქლებთან ოდნავ შეეჭრცხლოდა. შავ წვერში კი არც ერთი თეთრი არ ერია. ბერმა კრების წინ თავი დახარა. უცდიდნენ, რას იტყოდა ბატონიშვილთან წარგზავნილი.

ბერმა შორიდან და ნელი ხმით დაიწყო ლაპარაკი, მის ხმას თანდათან ძალა ემატებოდა და წვრილ თვალებს ბრწყინვალება.

— ბატონიშვილი მრავლად მელაპარაკა ბერძნული ისტორიიდან, მას ჩვენი წინაპართა ცხოვრება მოაყოლა. გამაცნო, რა გვარად მიიღო საქართველო იმპერატორმა თავის მფარველობის ქვეშ, მთავარია სამი ადგილი გამაგრდესო, შემოთვალა ბატონიშვილმა: შავი ზღვა, არაგვის მთა და დერბენტის ზღვაო. თუ ეს სამი ადგილი კარგად შეიკვრება, ველარავინ ველარაფერს გვიზამსო. ჩემი მეფობისათვის არა ვზრუნავ, არამედ ფრანგთა მსგავსად რესპუბლიკისათვის უნდა ვიბრძოლოთო, ამის შესახებ მე და სოლომონ დოდაშვილსაც გვისაუბრია. ამ საქმეში მანდ მყოფი ფრანგი ლეტელიეც ეამოვადგებაოო. ფრანგმა ლეტელიემ ხსენებაზე მხრები შეარხია.

— რუსთა შორისაც მრავალი დაგიჭერთ მხარს, დეკაბრისტთა მოძრაობის სული ჯერ კიდევ არ ჩამქრალა რუსეთში. — დააბოლოვა მელნიკოვმა.

— რადგან აქამდე მისულა საქმე, — განაგრძო ალექსანდრე ჭავჭავაძემ, — საჭიროა ვისმე წარგზავნა რუსეთს, რათა ურთიერთობა დაამყაროს შეთქმულთა იმ წრესთან, რომელიც პეტერბურგს იმყო-

ფება. თანაც შესაძლებლობა ექნება გზადაგზა დაათვალიეროს რუსთა ჯარის განლაგება, მათი რაოდენობა. ჩემის აზრით, გრიგოლ ორბელიანი წარიგზავნოს.

— კარგია, გაიგზავნოს გრიგოლი!

— გრიგოლი შესაფერია! — გაისმა ხმები.

— კვირისათვის შეემზადები, გრიგოლ. — განაგრძო ალექსანდრე ჭავჭავაძემ. — მანამდე ერთხელ კიდევ შევიკრიბებით და დავალებებს გადავსინჯავთ.

იმ ღამეს დიდხანს არ დააძინა ტატო მოჯრილმა ფიქრებმა თავის ქვეყნის ბედზე. მოაგონდა, მაიკომ რომ უთხრა — ვერ მოვალ, არა მცალია, დროშის კერვაში ვეხმარები მანანასო და სიზმრები აერია ტატოს. — აი, წინ აჯანყებულთ ლაშქარს მიუძღვის, ხელში მანანას ხაკერი დროშა უჭირავს. დროშისკენ მოიწევენ ყიზილბაშები, ლეკები და ყველას უნდა მისწვდეს ალამს. ტატო კი ზევით, ზევით ეწევა საქართველოს დროშას და მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობს — მუდამ ასე ზევით ეჭიროს თავისი ქვეყნის დროშა და ვერასოდეს სწვდებოდეს მას მტრის ხელი, თვითონ კი მუდამ დარჩეს საქართველოს მედროშედ.

სოლომონ დოდაშვილის დღიური

ხუთშაბათი. თავი მატკინა სკოლაში ატეხილმა აურზაურმა სახლში ძლივსღა მოვედი. სატირა, რომელიცა ამას წინათ ბარონ როზენს წარუგზავნეს, რომელმაც იგი ფრიად განარისხა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა აღმოჩნდა. გიმნაზიაში მოსწავლენი დაკითხეს. ხმა დაირხა, ქალაქში დღემდე რაც სატირები ვრცელდებოდა, ყველა ბარათაშვილისა არისაო. გამართეს ბჭობა. მასწავლებლები, მათთან შიპულინიც კი იცავდა ბარათაშვილსა, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. გაროზგვა მიესაჯა და გასაროზგად წარუგზავნეს მამამისს.

ძლიერი სული ბობოქრობს ბარათაშვილში, ვაითუ დაჩაგრონ უხეში მოქცევით, ძნელია ამაზე ფიქრი. არც ერთი წამი არა მაქვს თავისუფალი, რომ მეტი ყურადღება მივაქციო. ბარათაშვილის ნიჭი სერიოზულ საქმეს უნდა მოხმარდეს, სატირების წერა ვერ დააკმაყოფილებს მის სულს, გარიცხვას გადავარჩინეთ, ამჯერად ესეც კმარა.

„ქართული წერის დედანის“ კორექტურა მომიტანეს, ღმერთო, მომეცი ღონე სიკვდილამდე სასარგებლო ვიქმნე ჩემს თანამემამულეთათვის. მსახურმა წერილიც მომიტანა, სანკოვსკი მატყობინებს, სტამბას ვყიდიო. აუცილებელია სტამბის შეძენა, ასეთ ხელსაყრელ ფასებში სტამბას ვერასოდეს შეეიძენთ. მსახური მოვიხმე და ვუბრძანე: მოსასხამი გაეწმინდა, ჭავჭავაძიანთა წავალ, იქნებ სტამბის საქმე მოვაგვარო.

შორიდან მოჩანს ჭავჭავაძიანთ სახლის განათებული ფანჯრები, სტუმრები ჰყავთ? მაგრამ არა, სალამოს დარბაზობა ჯერ არ დაწყებულა, უცხოები არ ეყოლებათ, კარი გამიღეს, შემიწვიეს, ოთახში მარტო ქალები იყვნენ; მანანა და ნინო ჭადრაკს თამაშობდნენ. მაიკო და ეკატერინე კუთხეში სავარძელში ისხდნენ და საუბრობდნენ. დამინახეს, მომვარდნენ: ნიკოს ამბის გამოკითხვა დამიწყეს. მაიკომ აღელვებულმა შემომიტია: „როგორ შეიძლებოდა ტატოს გასაროზგად მელიტონისათვის გაგზავნა“.

საუბრის დროს თავს უცნაურად ვგრძნობდი, მეგონა ნიკოსათვის გამზადებული როზგები მხვდებოდა, ნინომ გაგვამხნევა:

„ბარონ როზენთან მე წავალ, ვთხოვ, აპატიოს ტატოს დანაშაული“.

ნინოსთან მივიჭერ, ხელები დავუკოცნე, ნინო ჩვენი ქვეყნის მფარველი ანგელოზია.

ალექსანდრემ კაბინეტში გამიწვია. ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით. ალექსანდრე სწუხდა ჟურნალზე ხელის მომწერთა სიმცირეს. ჩვენთვის საოცნებო რიცხვია სამასი ხელის მომწერი. ალექსანდრე მირჩევს წარვგზავნო წერილი ყველგან, სადაც კი ერთი ქართველიც მეგულება.

ლაპარაკი გიორგი ერისთავის მოთხრობას შეეხო.

„ახლგაზრდა ავტორისათვის მიღწევაა, შეთქმულთათვისაც ნამდვილად სასარგებლოა, ხოტბაშესხმულია სამშობლოს დამცველი გმირები, თანაც ყველას მოუწოდებს მიჰბაძონ მათ, მოსაწონია, მაგრამ არ დაივიწყოთ, სოლომონ, ასეთი მასალისათვის შეიძლება რედაქტორი პასუხისგებაში მისცენ!“ — გამაფრთხილა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

„სანკოვსკიმ ყველა წერილი წაიკითხა. მე მოხსნილი მაქვს პასუხისმგებლობა“ — ვუპასუხე მე.

„კარგია, სოლომონ, თუ არ მოგაგნეს“.

ალექსანდრე წამოდგა, დარბაზში გავედით. ნინო ფორტეპიანოსთან იჯდა, დაბალი და სევდიანი ხმით მღეროდა:

ფერსა ბნელს, ფერსა შავს
მე ვეტრფი მარადჟამს
და, ვიდრემდის ვიცოცხლებ,
თვალს არ მოვაშორებ.

ნინოს სევდიანმა ხმამ გული მომიკლა. უდროოდ დაიჩაგრა ახალგაზრდა ნინო. გამახსენდა მისი ბავშვური სიცილი, ბედნიერი და სიხარულით აღგზნებული სახე სიპიაგინთან მეჯლისზე. რა ხანმოკლეა ზოგიერთი ადამიანის ბედნიერი დღეები! რა ძუნწია ცხოვრება ადამიანისათვის სიხარულის მინიჭებაში!

განა შავი ფერის ტრფიალება შეეფეროდა მშვენიერ ნინოს, ის ხომ მხოლოდ ცხოვრების სიხარულისათვის იყო გაჩენილი! ჩვენ დიდხანს ვიდექით ჩუმად, ვუსმენდი შავი ფერის ტრფიალს.

— და, ვიდრემდის ვიცოცხლებ, თვალს არ მოვაშორებ, — გავიმეორე და გარშემო ყველაფერი შავად მომეჩვენა. თითქოს ოთახშიც შავი ბურუსი იდგა. შეეტორტმანდი. სკამის სახელურს დავეყრდნე, დღეს ბევრი ვიმუშავე. დავიღალე.

ალექსანდრემ ჩამჩურჩულა:

— ეს რომანსი ნინოსათვის ვთარგმნე, მოსწონს, მაგის მეტს აღარაფერს უკრავს. ამით დასტირის თავის ალექსანდრეს. — იქვე სავარძელზე ჩამოვჯექ და ვუსმენდი ნინოს. მღეროდა ნინო, თუ თავის ბედს მისტიროდა. გედის უკანასკნელ სიმღერას მაგონებდა ნინოს სიმღერა, არასოდეს დამავიწყდება, „შავი ფერის“ მომღერალი, შავით მოსილი ნინო, რომელსაც თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. გულდამძიმებული გამოვედი ჭავჭავაძეებისაგან. გამახსენდა ალექსანდრე გრიბოედოვთან გატარებული დღეები, ჩვენ ხომ ერთად ვმუშაობდით გაზეთის კომიტეტში.

კვირა. ერთი კვირაა ალექსანდრე ჭავჭავაძე ქალაქში ჩამობრძანდა, შეთქმულთათვის აჯანყების გეგმა უნდა შეიმუშაოს ელიზბარ ერისთავთან ერთად.

დილით ბარათი მომიტანა შათირმა, ალექსანდრე ორბელიანი ნადიმზე მიწვევს. ალექსანდრესას მივედი, ადრე იყო, ჩემს შემდეგ ლეტელიე, სოლომონ რაზმაძე და იაგორა ჭილაშვილი მოვიდნენ. ნადიმის დაწყებამდე ჩვენ ვსაუბრობდით საფრანგეთის მმართველობაზე, იქაურ ხალხთა თავისუფლებაზე, მეფის შეზღუდულ უფლე-

ბებზე. იაგორა ჩვენს მიერ ევროპაში იყო წარგზავნილი, იქაური მმართველობის შესასწავლად, მან გვიამბო, როგორ ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობენ ევროპის ქალაქებში.

ყველანი სიამოვნებით შემოუერთდნენ ჩვენს საუბარს და ერთი აზრი დაადასტურეს: — თავისუფლების მოპოების შემდეგ წარგზავნა დელეგაცია საფრანგეთს, ფრანგთა სახელმწიფო მმართველობის და ჯართა განწყობის შესასწავლად, რათა იგივე წესები გადმოგვეტანა ჩვენში.

მოვიდნენ ყველანი, სუფრაზე მიგვიწვიეს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ აჯანყების გეგმა გაგვაცნო. — მას „პირველი ღამის განკარგულება ეწოდა". ალექსანდრე ჭავჭავაძის წინადადებითვე დაარსებული იქნა საპატიო ორდენები: დვით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის წმიდა ნინოსი.

კვლავ საიდუმლოს დაცვის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი. საერთო აზრია:

— თუ შეთქმულება გაიცემა, არამც და არამც არ იქნენ დასახელებული: ალექსანდრე ჭავჭავაძე, პეტრე ზაველეისკი, ანდრია მელნიკოვი, პაუშენკო და სხვა რუსი მონაწილენი, მათი დასახელება ჩვენ საქმეს დაამძიმებს.

თენდებოდა, ზეზე წამოვდექით, ცისკარს შეეგებეთ და კვლავ წარმოვთქვით ფიცი:

„ვიქნებით ყოვლისა გულითა, სულითა, დამცველი საიდუმლოსა აკტისა სჯულთასა სიკვდილამდე, უკეთუ განვაცხადო სხვისა ვისთანმე საიდუმლო, ყონ შურისგება ჩემზე, და აღაპყროს სახელი ჩემი ქვეყნით შეილითშვილამდე, ამინ".

მე, სოლომონ რაზმაძე და ბერი ფილადელფოსი ერთად წამოვედით, სოლომონმა გაფრთხილება დამიწყო:

— საეკვო ქალალდებს სახლში ნუ შეინახავ.

— მე გარდა ფილადელფოსის ანბნით დაწერილი რამდენიმე წერილისა არაფერი არა მაქვს შენახული, — ვუპასუხე სოლომონს.

მივედი სახლში, ოთახში ბუხარი გუზგუზებდა.

სახლობა აღარ გავაღვიძე. გადავწყვიტე, გიმნაზიაში წასვლამდე შეთქმულთა მოწოდება შემედგინა და წერას შევუდექი: „ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი

ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შევიწროებასა ყოვლისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ. თუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი, თუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარის მამულისა ჩვენისა, თუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალა ესრე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშ, რაისათვის ვცოცხალვართ....“ ჩამძინებია, მსახურმა გამაღვიძა, სასწრაფოდ მოვემზადე გიმნაზიაში წასასვლელად.

შაბათი. საღამოზე ჩემი მოწაფეთა ჯგუფი შეიკრიბა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, პეტრე ბაგრატიონი, ლევან მელიქიშვილი, ილია ორბელიანი, დავით მაჩაბელი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვები. მსახურს სუფრა ჩემს ოთახში გავაშლევინე. დავით მაჩაბლის ლექსი წავიკითხეთ და გავარჩიეთ ჟურნალში დასაბეჭდად.

მე წავიკითხე პუშკინის ლექსები „ღიპშანური სიმღერა“ და „ლხინი“ სოლომონ რაზმაძის თარგმანი, მახარებდა ის ყურადღება, რომლითაც ახალგაზრდები მისმენდნენ.

წავიკითხეთ მოთხრობა „ელენე“. მასში აღწერილია ქალ-ვაჟის სიყვარული. ბრწყინვალე თავადის ვაჟი შეიყვარებს დაბალი წოდების ქალს, ვაჟის მამა წინააღმდეგია ამ სიყვარულის, ქალ-ვაჟნი წინააღმდეგობას ვერ გადალახავენ, ქალი იღუპება. აი, კიდევ ერთი მსხვერპლი უთანასწორობისა.

კითხვის შემდეგ ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე. ბიბლიოთეკის დაარსებაზე, ნიჭიერ მოწაფეთა უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნაზე და სხვა.

ნიკომ საკითხი წამოჭრა ლექსიკონის შედგენისა. ლექსიკონი აუცილებელი საჭიროა ჩვენი ქვეყნის მწერლობის ასაღორძინებლად და მწერლობაში კარგი იდეების შემოსატანად. მაგრამ განა ჩვენი ერთი დაზგით შესაძლებელია ლექსიკონის გამოცემა, სადაც ელიოზაშვილი და დიაკვანი იოვე ასოებისათვის ერთმანეთს საათობით შესჩერებიან ხელებში?

მე ვუთხარი მათ, რომ სანკოვსკი ყიდის სტამბას ხელმისაწვდომ ფასებში, ამის შესახებ უკვე ველაპარაკე ალექსანდრე ჭავჭავაძეს,

ამ კარგი საქმისათვის არც ერთმა თავადმა არ უნდა დაიშუროს ფული, უნდა გაიღოს მცირედი თანხა. გვიან იყო, როცა საუბარი დავამთავრეთ. რადგან საქმე მქონდა საგიმომცემლო კომიტეტში, მეც გავყევი. შავი ფიქრები შემომეჯარა; გამახსენდა საყვარელი მამული ჩვენი, რომელიც ბრწყინავდა ოდესმე ქართველთა სიბრძნითა, კეთილშობილებითა და შაირთა მთხზველობითა, დღეს კი მისულნი ვართ დამდაბლებამდე. ხალხმა დაივიწყა თავისი მოვალეობა და დანიშნულება, თავი მისცა უმეცრებას. ეს კი არის სარწმუნო თანამგზავრი მონობისა. უიმედობამ შემიპყრო, ლამის თვალთაგან ცრემლი წამომედინა, მაგრამ სწრაფად მომაგონდა ახალგაზრდებით სავსე ჩემი ოთახი, რომელთა გაბრწყინებული თვალები ჩემთვის მოეპყროთ, ვიგრძენ, რომ ჩემი ქვეყნის ახალი ნერგები სავსენი იყვნენ თავისი ქვეყნის სიყვარულით, და გული იმედით ამევსო.

ლეჭსის ჯადოქარი

რუსეთის პოეტი ალექსანდრე პუშკინი ეწვიაო თბილისს. — ამბავი მოიტანა ბარათაშვილებთან ილიამ.

— დღეს გრიგოლი და ალექსანდრე ჩვენებურ ქეიფს მართავენ ორთაჭალის ბაღში პუშკინისათვის. ჩვენც გადავწყვიტეთ წავიდეთ, ვნახოთ „ევგენი ონეგინის“ დამწერი.

— მეც წამოვალ, მეც! — ხელი ხელს შემოჰკრა ტატომ.

— შენი ფეხი?

— ფეხი? კარგად მაქვს, სირბილიც კი შემიძლია.

— ლოპიანა ისეთ ქეიფს ამზადებს, ჯერ რომ არ უნახავს თბილისს.

— წავიდეთ, ვნახოთ, რით გაგვაკვირვებს ლოპიანა.

— ჩვენ უკვე შევთანხმდით, მწუხრისას გამომივლიან, ჯერ სიცხეა, გაჭირდება სიარული.

— მაშ, სახლში შევიდეთ, გრილა, სოლომონმა გიბონის შრომა მათხოვა „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“, გიჩვენებ, მეტად საინტერესო წიგნია.

ოთახში შევიდნენ. მაგიდაზე ხელნაწერი ფურცლები იყო მიმოფანტული. ილია მაგიდასთან დაჯდა, მიმოფანტული ქაღალდები აიღო.

— ილიავ, გამატარე, თახჩაში მაქვს შენახული. — ილია ადგა, ტატო თახჩისაკენ მიუშვა, თახჩაფუჩი გადასწია, წიგნი გამოიღო: — აი, ეს ადგილი უნდა გიჩვენო. — ილიამ ჩამოართვა, კითხვა დაიწყო:

— ხედავ, ქვეყით კიდევ უფრო მეტია, შესანიშნავად არის ვადმოცემული, აზროვნება და მოქმედება ძველი ხალხისა და ყოველივე მათი შექმნილი როგორ იღუპება ბარბაროსთა ხელით, ასეა ყოველთვის, გაძლიერებულ ერთა ისტორია ასე მთავრდება.

ოთახში ბარბალემ შემოირბინა, სულმოუთქმელად ალაპარაკდა:

— ლევანიც მოვიდა, კონსტანტინეც, მიხეილიც მოვიდა! — ტატო და ილია ეზოში გავარდნენ.

— შენც მოდიხარ, ტატო? მართლა? უჰ რა კარგია! — გარს შემოეხვივნენ.

დასავლეთით გადახრილ მზეს მხურვალება დაჰკარგოდა, კოჯრიდან მონაბერი სიო იქრებოდა ქალაქში, ბიჭები ხმაურით მიდიოდნენ, ავანაანთ ხევის მარჯვნით გაუხვიეს, სომხების ბაზარზე გავიდნენ. ქუჩის ორსავე მხარეს ჩამწკრივებულიყო ღია დუქნები. მჭედლების და მკალავების ჩაქუჩისა და ურის ხმაურით ყურთასმენა ძლარ იყო.

— აი, ქიტესას სახელოსნო. წამოდით, მიტო ვნახოთ, ავადმყოფობის შემდეგ არ ვყოფილვარ მათთან. — ოქრომჭედლების მწკრივისაკენ წავიდა ტატო.

მიტო ლითონს ქლიბავდა, ბიჭები რომ დაინახა, წამოხტა, კალთა დაიბერტყა, მათკენ გამოეშურა, ქიტესამაც ხელი უშვა სამუშაოს:

— თქვენი ჭირიმეთ, ვაუკაცებო, რომ არ მივიწყებთ, ტატო ბიჭო, კვლავ მოვესწარი შენს ჩემთან მოსვლას, გამახარე, ვაუკაცო. — მხრებში წაწვდა, შორს დაიყენა, შეათვალიერა. — კარგადა ხარ, ბიჭო, ჩემო ვაუკაცო, — მკერდში ჩაიკრა და ტატოც გაუჩინარდა ქიტესას ვეებერთელა მკერდზე.

— ლოპიანასთან მივდივართ, ძია ქიტეს, შენთანაც გამოვიარეთ.

— თქვენი ჭირიმე, თქვენი, არ დაგვივიწყოთ მოხუცები.

ყმაწვილებმა ორთაჭალისაკენ გასწიეს, შესახვევი მოფენილი იყო დასასვენებლად დაწოლილი აქლემებით, ისინი უკმაყოფილოდ ადევნებდნენ თვალს ბიჭებს, რომლებიც ძლივს მიიკვლევდნენ გზას მათ შორის. შორიდან ლოპიანას ბაღი გამოჩნდა. ბაღის შესასვლელში დაყოჩებული ერკემალი იყო გამობმული, წინ თანგირა ქვაბით დამტვრეული პური ედგა. ერკემალმა შეუბღვირა სტუმრებს, უკან დაი-

წია და მერე მათკენ გამოექანა, ჯაჭვმა არ გაუშვა, გაბრაზებულმა წინა ფეხების ბაკუნი და მიწის ფხვნა დაიწყო.

შესასვლელიდან ბაღს ბილიკი მიჰყვებოდა, ბილიკის ორივე მხარეს ვაზები ერთმანეთს გადახლართოდნენ, შევარდისფერებულიყო საფერავის მტევნები.

ლოპიანას ცხვარი ხეზე ჩამოეკიდა, შავი ლასტიკის ახალუხი ნიდაყვებამდე დაეკარწახებინა და ცხვარს ატყავებდა. შემოსულები შორიდანვე დაინახა, სახე სიხარულმა გაუბადრა, ვეება მხრების რხევით მათკენ გამოალაჯა.

— ჭირიმეთ, თქვენი ჭირიმეთ, ყმაწვილებო, გამოდით ბიჭებო, ჩემი მომავალი ამქარი მოვიდა, გამახარეთ, კარგებო, თორემ ალექსანდრე და გრიგოლი მიბერდებიან, თქვენ ხართ ჩემი იმედი. ტატო ჩემო, ტატო, შენზე ამბობენ ლექსებს წერსო. აბა შენ იცი, ისეთი რამ დასწერე, ლოპიანამ დაამღეროს, გულს ჩაწვდეს და სულს გაუხარდეს.

— ლოპიანავ, ვქეიფობთ?

— მოხუცები ქეიფობენ, ყმაწვილებო, მოხუცები. თქვენი ჯერიც დადგება, ისინი მიდიან, თქვენ მომავალი ხართ, კარგებო, წუთისოფელმა იმათ ზურგი შეაქცია და თქვენკენ იყურება.

— რუსი მწერალი გვინდა ვნახოთ.

— ნახეთ, ყმაწვილებო, ნახეთ, ნახვას ვინ დაგიშლით. ნახეთ და მეც მიყურეთ, აქედან ისე გავუშვა, თავისთავს ვეღარ სცნობდეს. ამბობენ დიდი მწერალიაო, კარგი ლექსები აქვსო, ნეტავ მათი ენა ვიცოდე, დავამღერებდი; ჰა, რას იტყვით, ყმაწვილებო, ახალი ლექსები მინდა, გულს სიმღერა უნდა, წერა ხომ თქვენი საქმეა, დაწერეთ, გულს ემღერება. სანამ ცხვარს გავატყავებდე, ბაღში წადით, ატამი მიირთვით, აი, მაგ ბილიკს გაჰყევით, საარაკო ატმები მაქვს, თქვენს გაზრდას სტუმრებისთვისაც დამიკრიფეთ, ბაღის ბოლოზე საადრეო ყურძენია, ისიც წამოიღეთ, ყურძენი არ იცისო იმ ქვეყანაში, ვაუკაცებო, ეს რა მესმის, მაშ, უღვინოდ როგორღა ცხოვრობენ? — ვეებერთელა ხელები აიქნია ლოპიანამ.

ბაღს შეესივნენ, ჭრელი ბაღდადი გაავსეს ლოყებდაბრაწული ატმებით, ქარვისფერი გულაბით. დამორცხვებული გამოიყურებოდნენ ყურძნის მწიფე მტევნები.

ლოპიანამ მტკვრის ნაპირზე გაშალა სუფრა, აზარფეშები, კულები და ფიალა-ჯამები მიმოაბნია, ვერცხლის ლარნაკებით აქა-იქ

ყვავილები ჩადგა, ქორფა მწვანილი და მურასა ლავაშები მიმოფანტა ზედ.

ვეებერთელა კაკლის ჩრდილი ჩაწვა მტკვარში. სუფრის გარშემო ჩირაღდნები დაამაგრა ლოპიანამ.

— მომეშველეთ, თქვენს გახარებას, ეს სვეტი დავამაგროთ. — მიესივნენ ლარივით ატყორცნილ სვეტს, ლოპიანამ ახედა. — ასეთია გრიგოლის სურვილი; მისი სახელი, ვისთვისაც ქეიფს ვმართავთ, ყველაზე მაღლა იყოსო, ხომ კარგად შევასრულე სურვილი ჩემი კურკა ბატონისა? — სიყვარულით წამოიძახა ლოპიანამ, სივრცეს გაუღიმა, თითქოს იქ სადღაც ხედავს თავის გრიგოლსო. ტატომ ახედა წითელი ყვავილებით შემკობილ სვეტს, რომლის წვეროზე თეთრი ყვავილებით გაკეთებული წარწერა „პუშკინი" ჩირაღდნების შუქზე შუქურასავით ჩანდა.

— ყოჩაღ, ლოპიანავ, ამიტომაც უყვარხარ ყველას, სურვილების შესრულება რომ იცი.

— ეცადე, ტატო, ასევე ზე აღვმართოთ შენი სახელი.—ლოპიანამ ამ სიტყვებით ტოტზე ჩამოკიდებული დარაიის ახალუხი ჩამოიღო:

— უნდა მოვირთო, ყმაწვილებო, სტუმარს ვინმე მუდრეგი მედუქნე არ ვეგონო, მე ლოპიანას მეძახიან. — ვიწრო წელზე გრიგოლის ნაჩუქარი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოირტყა, ჭრელი ბაღდადი ჰაერში შეაფრიალა და ქამარში გაიკეთა.

ბაღში დაბმული ცხენი ჭიხვინით შეეგება ვიღაცას. რამდენიმე მხედარმა ცხენები შემოაგელვა, გრიგოლმა ლაგამი მოსწია ოქროსფერ ულაყს და ლოპიანას წინ მოწყვეტით შეაჩერა:

— გამარჯობა, ლოპიანავ!

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოაკლოს ჩემს კნიაზს!

გრიგოლი მკვირცხლად გადმოხტა ცხენიდან, სადავე ბიჭს მიუგდო.

— მალე სტუმრები მოვლენ, ლოპიანავ, მზადა ხარ?

— როდის ყოფილა, ლოპიანა მზად არ იყო სტუმრების დასახვედრად?

ლოპიანა თავდახრილი დადგა გრიგოლის წინ.

კვლავ გაისმა ცხენების ფეხის ხმა. ბაღის ჭიშკარში ვაშას ძახილით შეეგებნენ დამხვდურები მოსულებს.

წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრი ვიწრო შარვლით სტუმარი მოდიოდა, თავშიშველი იყო, ხშირი ხუჭუჭები ქუდისათვის არ-

იყვნენ განკუთვნილი. სქელი წითელი ტუჩები და ცეცხლივით თვალები აგზნებული გამოიყურებოდნენ.

მოთავდა სტუმრების შემოსვლა, დატრიალდა ლოპიანა.

— იმ კაკალზე ადით, თქვენ გაიხარეთ, — ურჩია ბიჭებს ლოპიანამ, ბიჭები ბეღურებივით შეიმალნენ ვეებერთელა კაკლის ფოთლებში.

— ქუჩაშიც რომ მენახა, ვიცნობდი „ევგენი ონეგინის“ დამწერს.

— ხანდაზმული მეგონა.

— არა, ილიავ, ვიცოდი ახალგაზრდა იქნებოდა და სწორედ ასეთი თვალებით.

— ეს, ბესტუჟევია, ეს რაევსკი. ეს კი არ ვიცი, ვინ არის?

— რომელი?

— აი, გამხდარი, ტანმორჩილი, ერთ წუთს რომ ვერ ისვენებს.

— ეგ ალექსანდრე შიშკოვია.

გუგუნებდა მუსიკა. გუნდი აღნაგოს მღეროდა. დამთავრდა სიმღერა, ზე წამოიჭრა პუშკინი:

— იმღერონ, კიდევ იმღერონ!

ალექსანდრე ჭავჭავაძემ გაუღიმა აღტაცებულ სტუმარს.

— დღესვე მოგართმევთ ლექსის თარგმანს, — ალექსანდრე ფიალას დასწვდა.

— ვაშა, ვაშა!

— იდღეგრძელოს! — გაისმა ყოველი მხრიდან. ერთმანეთში აირია ძახილი, მუსიკა, სიმღერა, სასმისთა შეჯახება.

ზურნამ ქართული დაუკრა. კაკლის ტოტიდან ილიამ ისკუპა და მუხლებში ოდნავადაც არ ჩაკეცილა, ისე ჩამოუარა.

— შენი ჭირიმე, ყმაწვილო, შენი! — შესძახა ლოპიანამ და ხელი გაშალა.

პუშკინი იცინოდა. გრიგოლს ლოპიანაზე უთითებდა, რომელიც ფეხებს ისე უსვამდა, რომ მის თავზე ვეებერთელა. ხილით სავსე ხონჩა არც კი ირხეოდა, ზურნასთან ერთად შეჩერდა ლოპიანა, თითქოს მიწაში ჩაერჭო. ხილით სავსე ხონჩა სტუმარს დაუდგა წინ და მტკვრისაკენ დაეშვა.

პუშკინი ატმებს და ყურძნის მტევნებს დაწვდა. თანამესუფრეებს გაუწოდა. ფიალიანი მარჯვენა ზე აღმართა და მჭექარე ხმით შესძახა:

— არ მახსოვს დღე ამაზე მეტად მხიარული, მე ვხედავ, რო-გორ ვუყვარვარ და ესმით ჩემი, ეს მე მაბედნიერებს.

ხეზე მჯდომ ტატოს პუშკინთან ახლოს მისვლა მოუნდა, უნდოდა მის ხელს შეხებოდა. მოტეხილი ფეხი შეანძრია, ტუჩები სიბრაზით მოკუმა. უეცრად სახე გაუბრწყინდა, თვალები ცეცხლივით აენთო. ხიდან ჩამოხტა, სტუმრის წინ გაჩნდა და მისმა ხმამ ზურნის ხმაც კი დაფარა:

Подруга дней моих суровых,
Голубка дряхлая моя...

ტატომ კითხვა დაამთავრა. სტუმარმა გულზე მიიკრა იგი და მისი ხმა ლოცვასავით გაისმა:

Младенца-ль милого ласкаю,
Уже я думаю: прости!
Тебе я место уступаю:
Мне время тлеть, тебе цвести.

ტაშის ხმამ შეარყია მიდამო, ალექსანდრემ ტატოს საავე აზარფეშა გაუწოდა:

— ადღეგრძელე შენი დამლოცველი.

ტატოს ხმამ გაიწკრიალა: — დღეგრძელი იყავ, ლექსის ჯადოქარო!

ტივი მოადგა ნაპირს. ლოპიანა დამკლავებული იდგა ტივზე და ქუხდა: — ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ... — მარჯვენა ხელი აიქნია ლოპიანამ. სტუმრის წინ ვეებერთელა ლოქომ დაიწყო ფართხალი, შეკრთა ალექსანდრე, როცა დაინახა, ჟინღილებით განათებულ სივრციდან როგორ ცვიოდა მოფართხალე თევზები, ზე წამოიჭრა, ხელები გაუწოდა ვერცხლისფრად მბზინავ თევზებს.

მტრედისფერმა ნათელმა ჟინღილებს შუქი ჩაუქრო. კაკლის ხეზე მიყუჟულმა მტრედებმა ჰაერში კამარა შეჰკრეს.

* *

აივნის მოაჯირზე ჩამომჯდარი ეკატერინე გაღიმებული დასცქერის ტატოს, რომელიც მოუთხრობს, როგორ იქეიფა პუშკინმა ორთაჭალის ბაღში.

— ნადიმმა დილამდე გასტანა, ევროპულმა ორკესტრმა მარში დაუკრა, პუშკინს თავზე ბაბთაწნულის გვირგვინი დაადგეს, სა-

ვარძელში ჩასვეს. ვაშას ძახილით მიიყვანეს ყვავილებით შორთულ თალარში და დასვეს. სათითაოდ მიდიოდა ყველა, აზარფეშით სვამდნენ მის სადღეგრძელოს, უსურვებდნენ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

— ბედნიერი ხარ, ნახე.

— განა შენ არ გინახავს?

— ქეიფზე ვამბობ, თორემ ისე როგორ არა, ვნახე. ალექსანდრეს საფლავზე ვახლდი მასა და ნინოს. კარგა ხანს იყო მუხლმოყრილი და, როცა ადგა, ცრემლებს იწმენდდა.

— ნინო ჩამოვიდა წინანდლიდან?

— იმ კვირაში ჩამოვა, ავადმყოფობს. როგორ გამოიცვალა ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ. — ეკატერინე გაჩუმდა, სივრცეში დაიწყო მზერა, მოაჯირიდან ჩამოხტა.

— წამოდი, ტატო, მაიკოსთან წავიდეთ!

— ვერ წამოვალ, სოლომონთან მივდივარ საქმეებზე.

— უამრავი საქმეები გაგიჩნდა, გვერდზე გაიხედა ეკატერინემ და გაიბუტა. ტატომ თითქოს წყენა ვერ შეატყო.

— თუ დამელოდებით, მოვალ.

— ტყუილს რად ამბობ, თქვენ რომ შეიყრებით, ეკატერინე და მაიკო მოგაგონდებათ? შუალამემდე, ყელის ჩახლეჩამდე იმსჯელებთ.

— ტატოს გაეცინა.

— საიდან იცი?

როცა მამაჩემთან მოდიან, შუალამემდე ისმის კაბინეტიდან მათი დაუსრულებელი ლაპარაკი.

— მაშ, გაგაცილებ და მაპატიე.

— მაიკოს ვეტყვი, იმან დაგსაჯოს! — ქუჩაში გამოვიდნენ.

გრილ საღამოს ვაკრები და ხელოსნები გარეთ გამოეკრიფა. ისხდნენ დუქნების წინ, რიგი ნარდს თამაშობდა, რიგი დარბაისლურად საუბრობდა და კრიალოსანს ათამაშებდა. ქუჩაში მომავალ ნიკოსა და ეკატერინეს თვალი გააყოლეს.

— კარგები არიან.

— ორბელიანების სახლის შვილია და დედის ჯილაგი გამოჰყვა.

— აფსუს, რა ბიჭი დაკოჭლდა.

ქუჩაში ეტლი გამოჩნდა. მოსაუბრეები შეჩერდნენ.

— აგერ მელიტონის ეტლიც, აბა, აიბარგენით, თორემ, თუ რაიმე არ მოეწონა!

— რად უნდა მეშინოდეს, მაგის ყმა ხომ არა ვარ? — შეუტია მოსაუბრეს შავჩოხიანმა ახალგაზრდა ხელოსანმა, რომელიც ნარდს თამაშობდა.

— არა, ძმაო, მაგის შარის თავი ვისა აქვს. — გაეპასუხა ახალგაზრდას მეორე მოთამაშე, ნარდი აიღო და დუქანში შევიდა. ქუჩა სწრაფად დაცარიელდა. ზოგმა დუქნის კარიც კი მიხურა. მხოლოდ ცარიელი სკამებიღა იდგა აქა-იქ, რომელთა შეტანა სიჩქარით ვეღარ მოასწრეს.

ტატომ შორიდან შეამჩნია ეტლი. ეკატერინეს ხელი წაავლო.

— აქეთ წამოდი, ეკატერინე, არ მინდა მამამ დამინახოს. — ისინი სწრაფად შევიდნენ ღიად დარჩენილ ალაყაფის კარებში. ეტლმა გრიალით გაიარა. ტატო და ეკატერინე საფარიდან გამოვიდნენ, ეკატერინემ დაცარიელებულ ქუჩას თვალი მოავლო და ხარხარი აუტყდა:

— ხა, ხა, ხა, ხედავ, ტატო, როგორ დააფრთხო მამაშენმა შეხედე, როგორ იქერიტებიან, ეშინიათ, იქნებ რაიმე არ მოეწონოს მელიტონს და კვლავ მოაბრუნოს ეტლიო.

მართლაც, დუქნებიდან ვაჭრებსა და ხელოსნებს თავი გამოეყოთ და გზას გასცქეროდნენ.

ეკატერინემ თვალი ტატოს შეავლო, მისი ნაღვლიანი სახე რომ დაინახა, სიცილი შეწყვიტა.

— ლევანიც იქნება სოლომონთან? — ტატომ პასუხი არ გასცა.

— ტატო, შენ გეკითხები, ლევანიც იქნება სოლომონთან?

— უსათუოდ, ლევანიც იქნება. — ლაპარაკი აღარ ხერხდებოდა ხასიათი გაუფუჭა ტატოს.

ეკატერინე შეეცადა საუბარში აეყოლებინა, მაგრამ ტატო ხმას აღარ იღებდა. გაბრაზდა ეკატერინე, სწრაფად წავიდა წინ და შორიდან მიაძახა:

— ასეთი არ მიყვარხარ! — უეცრად ადგილიდან მოსწყდა და გაიქცა. ტატომ სცადა დასწეოდა. ეკატერინემ მისკენ გამოქცეული. რომ დაინახა, შედგა, წარბები შეიკრა და შემოუტია:

— გამოქცევა არ გაბედო! — ფეხები ჭირვეულად დაუბაკუნა და კვლავ გაიქცა. ტატო შორიდან ხედავდა, ვიწრო ქუჩაში როგორ მიფრიალებდა ეკატერინეს თეთრი კაბა.

გუნებაწამხდარი ტატო ახლა სოლომონის ბინისაკენ წავიდა. იცოდა, ადრე იყო, მაგრამ, თუ სოლომონი შინ არ დახვდებოდა, შეეძლო წიგნი ეკითხა, კარი მსახურმა გაუღო.

— სოლომონი შინ ბრძანდება?

— თავის ოთახში გახლავთ, მობრძანდით.

ტატომ აიეანი გადაჭრა და სოლომონის კაბინეტის კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— მობრძანდით! — მოისმა სოლომონის ხმა. — შენ ხარ, ნიკო? — მოეგება სოლომონი და საათს დახედა.

— ადრე მოვედი? ჟურნალებს გადავათვალიერებ.

— ძალიან კარგი, მეც დავამთავრე ფილადელფოსის წერილის წერა, მინდა ყოველ ქართველს გამოვუცხადო, თუ დასწერენ რაიმე თხზულებას, ლექსს ან განსჯას რომელსამე საგანზე, გამოგზავნონ დასაბეჭდად ჟურნალისათვის, უნდა ვეცადოთ, რაიმე შევთხზათ, ან გადმოვთარგმნოთ. ფილადელფოსი ჩვენი ქვეყნის კეთილის მოსურნეა, დიდად ახარებს ქართული ჟურნალის გამოსვლა. იქნებ ათიოდე ხელისმომწერი გვიშოვნოს, რვა მანეთი როგორ უნდა დაზოგოს ქართველმა ენის გამდიდრებისა, მამულის დიდებისა და გონების განათლებისათვის? აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, ხელის მომწერნი ცოტანი გვყავს, ხარჯი კი მრავალი უნდა.

— იმერეთში წერილი გაგზავნეთ?

— ბესო ლორთქიფანიძე იყო ჩამოსული, იმასა ვთხოვე დახმარება გაეწია ჟურნალის გავრცელებაში, ზურაბ ერისთავსაც მივწერე წერილი.

— მაშ მოგვეშველებიან.

კარებზე დააკაკუნეს. ტატო წამოხტა, კარი გააღო. კარებში ლევანი, მიხეილი და ილია იდგნენ. თანდათან გროვდებოდნენ წრის მონაწილეები: პეტრე ბაგრატიონი, დავით მაჩაბელი, კონსტანტინე; მოვიდნენ ორბელიანებიც, ერისთავებიც, ანტონ აფხაზიც, სოლომონ რაზმაძეც და სხვებიც.

მსახურმა მოახსენა, სუფრა მზად არისო; სოლომონმა სტუმრები მიიწვია და სუფრის გარშემო უმცროს-უფროსობით ჩამწკრივდნენ. ტატომ, პეტრემ, დავითმა, ილიამ, მიხეილმა და კონსტანტინემ სუფრის ბოლოში მოიყარეს თავი.

სოლომონი ადგა:

— დღეს განზრახული გვაქვს წავიკითხოთ დავით მაჩაბლის

ლექსი, აგრეთვე ჩემი წერილიც: მოკლე განხილვა ქართულისა, ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა. დავით, შეგიძლია ლექსი წაიკითხო.

დავითი წამოდგა, ქაღალდის გრაგნილი გაშალა, კითხვა დაიწყო, ხმა უკანკალებდა, გაუბედავად კითხულობდა. წამით შეჩერდა, იქაურობას თვალი მოავლო, ამხანაგების გამამხნევებელ თვალებს წააწყდა, დაწყნარდა, ხმასაც სიმძლავრე მოემატა და უკვე მკვეთრად გაისმა: „ძლიერი მძლავრობს მას ზედა, ვის ოდენ თვით მოერევის... მაღალს სხვა მაღლობს, თანდისთან ზედ მიდის, ცაში ერევის", — ტაშით შეხვდნენ ლექსის დამთავრებას.

— ჩვენმა ვიწრო წრემ გადაწყვიტა დაისტამბოს ჟურნალში, თქვენ რას იტყვით, ბატონებო? — მიმართა სოლომონმა დანარჩენებს.

— მშვენიერი ლექსია, შესაფერია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისა.

— აუცილებელია, დაისტამბოს.

— მაშ, გადაწყდა ჟურნალის შემდეგ ნომერში დაისტამბება დავით მაჩაბლის ლექსი „თოვლი", — დასტური დასცა სოლომონმა.

ტატო, მიხეილი, პეტრე, ილია და კონსტანტინე კვლავ ტაშით შეხვდნენ სოლომონის ნათქვამს, ისინი განსაკუთრებით გაახარა დავითის ლექსის გამარჯვებამ.

— ჩემი წერილი კი ახლად გავრცელებულ უგვანო აზრს ეხება, თითქოს ქართულ ენაზე არ შეიძლებოდეს თხზულებათა წერა, რადგან ქართული ენა არაა განვითარებული, — დაიწყო სოლომონმა.

— მხოლოდ გონებით ჩლუნგებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, ჩახრუხაძის და შოთა რუსთაველის ენაზე წერა არ შეიძლებაო, — აღელდა ლევანი.

— სამწუხაროდ, მომრავლდნენ გონებით ჩლუნგები. ახალგაზრდობას რომ არ ავნონ, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე პასუხის გაცემა.

— აუცილებელია, ბატონო სოლომონ, ბრიყვთაც გაეწიოს ანგარიში, რათა ფესვი არ მოიკიდოს მათმა აზრებმა.

— კარგმა მწერალმა, რომელი საგნის აღწერაც არ უნდა მოინდომოს, მას ძალუძს თავის ენაზე თვით უმცირესი აზრისა და გრძნობის გამოთქმაც კი, — ჩაურთო მიხეილმა.

— რამდენი საჭირბოროტო საკითხი აქვს ჩვენს ქვეყანას გადასაჭრელი, ჩვენივე ერის შვილთა მოქმედება ზოგჯერ ყველაზე მე-

ტად ვნებს ჩვენს საქმიანობას. — დაუმატა დაფიქრებულმა ტატომ.

— ერთი კარგი ამბავიცა მაქვს სათქმელი. გიმნაზიის დირექტორი გრუბერი თანახმაა, წინადადება შეიტანოს გიმნაზიისათვის საკუთარი სტამბის გახსნისა, რათა შესაძლებელი იქნეს სახელმძღვანელოების ბეჭდვა, — ახარა სოლომონმა. — მაშინ გიორგი პაიჭაძის ჩამოყვანაც იქნებ შევძლოთ, ის უხელმძღვანელებს სტამბას.

— მეც მინდა წამოვჭრა ერთი საკითხი: — შეაჩერა მოსაუბრენი ტატომ. — რუსებს განუზრახავთ არხანგელსკში ლომონოსოვის ძეგლი ააგონ და ამისათვის ფულს აგროვებენ. საჭიროა ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ამ დიდ საქმეში.

— ეგ საქმე სოლომონ რაზმაძეს მივანდოთ.

— მოსწავლეებს შორის კი მიხეილისა და ლევანისათვის მივვინდვია ფულის შეკრება.

ძნელ გზაზე

გახშირდა მიმოსვლა ორბელიანებთან, — დღეს გრიგოლს რუსეთს ისტუმრებენ, და მთელი სახლობა ემზადება: კერავენ, რეცხავენ, აცხობენ. ეფემია რამდენიმე დღეა აქ არის და ამზადებს ძმას შორი გზისათვის. დილიდანვე ეწვიათ მანანა და ყაფლანი.

გაამზადეს დროშკები გრიგოლისათვის და მისი მრავალი გამცილებლისათვის, კაკალა თან მიჰყავს და იმასაც ამზადებენ შინაურები.

გამოვიდა სახლიდან გრიგოლი, ხორეშანმა დროშკამდე მიაცილა შვილი, გრიგოლმა ხელები დაუკოცნა დედას, ხორეშანმა გულში ჩაიკრა, პირჯვარი გადასწერა.

— შორი გზა გაქვს სავალი, შვილო. ვინძლო თავს გაუფრთხილდე, მუდამ წინ გიძღოდეს ჩემი ლოცვა-კურთხევა, თუ ველარ გნახო, წესია — დედ-მამა დაიხოცება, შვილი დარჩება, მუდამ გახსოვდეს შენი ქვეყანა, ოჯახის უფროსად შენ დარჩები, ღირსეულად უნდა უწინამძღვრო.

დაიძრა დროშკა. გრიგოლი დიდხანს ხედავდა დედას. შემოდგომის ფოთლებშემოძარცულ ხესავით მარტოდმარტო იდგა ხორეშანი დაცარიელებული სახლის აივანზე და ჩუმად ჩურჩულებდა:

— დედა ღვთისა გფარავდეს, შვილო!

— ხელსახოცები და წინდები მოგიტანე, ჩემო გრიგოლ, ქისა ვეღარ მოვასწარ, მერე გამოგიგზავნი, მაგრამ ისეთსა ვქსოვ...

— მანანავ, არ დაგავიწყდეს ეგ პირობა, დროზე გამომიგზავნე ქისა, თორემ ვინ იცის, ტასომ, ელენემ და მარომაც აღმითქვეს საბნის პირს გიქსოვთო, მაგრამ დააეიწყდათ კიდეც.

— მალე ისინიც დაამთავრებენ, ტასოს დრო აღარ რჩება, ხომ იცი, მადამ დანილოვიჩთან დადის.

— კარგია, ჩემო მანანა, ძალიან კარგი, შენ ქალს კარგი ზრდილობა მიეცი, სიმღერა ასწავლე. ვიცი ბევრნი დაგძრახავენ, მაგრამ ნურას დასდევ. წავიდა ის დრო, როდესაც ჩუმად ყოფნა და კნავილით დაპარაკი დიდ ზრდილობად მიაჩნდათ.

— აუცილებლად, ჩემო გრიგოლ, ვიცი კეთილი გსურს ჩემი შვილებისათვის.

მიუახლოვდნენ ვერას, გამოთხოვება დაიწყეს გამცილებლებმა, მანანას ხელებს უკოცნიდა გრიგოლი.

— გული მტკივა, რომ ვეღარ ვიხილავ თქვენს გაბრწყინებულ სალონს.

— ახლა ეფემიას გადაეხვია გრიგოლი.

— ჩემო საყვარელო დაო, ფრიად მაფიქრებს შენი მდგომარეობა. მელიტონის აურაცხელი ვალების მოგონება მოსვენებას არ მაძლევს. მხნედ იყავ ჩემს დაბრუნებამდე. ტატოს გაუფრთხილდი, ხშირად მომწერეთ მისი ფეხის ამბავი!

ყაფლანიც გადაეხვია.

— ჩემო კურკავ, ყველაზე მეტად მე გამიჭირდება უშენობა, ვეღარ მოგესალმები ყოველ დილით ჩემი აივნიდან.

ალექსანდრე ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდხანს ესაუბრებოდნენ საიდუმლოდ გრიგოლს, ბოლოს ტატოს გადაეხვია იგი.

— ჩემო ტატო, მარჯვედ იყავ, ბიჭო. — მეტი ვერაფერი უთხრა.

დროშკა გაგრიალდა მტვრიან ქუჩაზე, დარჩენილები დიდხანს იდგნენ და გაჰყურებდნენ კარეტას, გაიფანტა მტვერი, დაცარიელდა გზაც და სადღაც დაუსრულებელმა სივრცემ შთანთქა მგზავრები.

ჩუმად იჯდა გრიგოლი, გასცქეროდა ვერის ბაღებს. შემოდგომის მზის სხივებზე ელვარებდნენ სიმწიფემორეული რქაწითელის, თითასი და ბუდეშურის მტევნები. დახეთქილი ბრწოეული ძაფზე ასხმულ ლალივით ბრწყინავდა და ლოყებაწითლებული თურაშაულის ვაშლები თავისაკენ იწვევდა ყველას. შრიალებდნენ სიყვითლე-

შეპარული, გზის პირას ჩამწკრივებული ხეები, თითქოს თავის ჭირ-ვარამს აბარებენო მიმავალს. ნაღვლიანად გამოიცქირებოდა ბარდზე ნაგვიანევი მაყვალი, იცინოდნენ ყუნწზე დაკიდებული შინდები.

გზა მტკვრის ნაპირს გაუსწორდა. ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდნენ მტკვარი და გრიგოლი. მტკვარი გარდასულ ამბებზე ბუტბუტებდა გულჩათხრობით, გრიგოლი კი მომავლის შესაგებებლად მიჰქროდა.

გამოჩნდა მცხეთაც. ჩამავალი სხივი ელვარებდა სვეტიცხოვლის გუმბათზე.

ტაძარში შესვლა ისურვა გრიგოლმა და დროშკამაც ტაძრისაკენ გასწია.

ცარიელი იყო სვეტიცხოველი, მნათე დაბორიალობდა გალავანში. სწრაფად გააღეს გალავნის კარი. ორბელიანი გადმოხტა, ქუდი მოიხადა, გალავანში შევიდა, ტაძრის კარს სამჯერ ემთხვია.

მზის შუქი ჩამოჭრილიყო გუმბათიდან, ერეკლე მეფის საფლავზე ციმციმებდა. საფლავის წინ მუხლი მოიყარა გრიგოლმა. თაყვანი სცა მეფის საფლავს, ჩურჩულით გაუმხილა საიდუმლო:

— გზა დამილოცე, მეფეო, არ იფიქრო გეურჩებოდეთ, გვაპატიე, თუ რამ შენთვის უნებურს ვაკეთებთ, არა პირადი ბედნიერებისათვის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ვიღწვით მხოლოდ, დალოცე ჩვენი საქმენი, მეფეო! — ცრემლები ჩამოსდიოდა ღაწვებზე და თავის საქმიანობის გამართლებას შესთხოვდა მეფე ერეკლეს.

ვარსკვლავები კიაფობდნენ ჩაბნელებულ ცაზე. გრიგოლი ტაძრიდან გამოვიდა, დროშკაში ჩაჯდა. ერთს ფიქრობდა მხოლოდ, მიჰქონდა თუ არა მეფე ერეკლე' ლოცვა-კურთხევა დაუსრულებელ და მძიმე გზაზე მიმავალს?

• •

გაკვეთილები დამთავრდა. ტატომ, ილიამ და ლევანმა კიბე ჩამოირბინეს და ის იყო გარეთ უნდა გასულიყვნენ, რომ კარებში დარაჯის ხმა მისწვდათ.

— ბარათაშვილო,. უფალი სოლომონი გთხოვთ.

— იარეთ, დაგეწევით. — უთხრა ტატომ მეგობრებს და კიბე ჩირბინა.

სოლომონი მარტო იყო ოთახში, ბოლთას სცემდა. ტატო

კარებში გაჩერდა, ვერ გაბედა დაფიქრებული სოლომონისათვის მყუდროება დაერღვია. მოტრიალდა სოლომონი, კარებში ტატო დაინახა.

— მოხვედი? დავალება მინდა მოგცე.

— მიბრძანეთ.

— ბიჭები წავიდნენ?

— დიახ.

— სიფრთხილეა საჭირო.

— მესმის! — ტატომ თაფლისფერი თვალები შეანათა სოლომონს.

— ქალბატონ მანანასთან მიხვალ, რასაც გამოგატანს, შებინდებისას ბატონიშვილებიანთა ამოიტან. — ტატომ თანხმობის ნიშნად თავი დახარა. — არავინ არ უნდა იცოდეს, სად იყავი, სად მიდიხარ და რა მიგაქვს.

— ჩვენი ქვეყნის საიდუმლო წმინდაა და გაუცემელი. — დაუდასტურა ტატომ.

გარეთ გამოსულ ტატოს ნაგვიანევი შემოდგომა შეეგება. თბილისის ცა ლურჯად კამკამებდა, ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა, მზეს მცხუნვარება დაჰკარგოდა, მაგრამ დუქნების წინ ჩამწკრივებული მედუქნეები მაინც ეფიცხებოდნენ მას. ქუჩაში შეყვითლებული ფოთლები მიმოფანტულიყვნენ. ხეებზე შერჩენილები კი ყუნწზე მოწყენით დაჰკიდებოდნენ. ბელურები შესეოდნენ ხეებს და ღამის გასათევ მყუდრო ადგილის ძებნაში ქიეეივებდნენ.

ტატომ მანანა ორბელიანის სახლის წინ მოედანი გადაჭრა. აივანზე ფრთხილი ნაბიჯით ავიდა. დარბაზის ფანჯარაში შეიხედა, შიგ არავინ იყო. მანანას ოთახის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ, სიბნელეში ვერაფერი გაარჩია. შედგა, ვერ გადაეწყვიტა დაეკაკუნებინა თუ არა. ამ დროს ოთახი განათდა. ტატო ფანჯარას მიეკარა, მანანა სანთლებს ანთებდა. განიერ ტახტზე რამდენიმე ქალი იჯდა.

— ორბელიანთ ეკატერინე, მელნიკოვის მელანო, მაიკო. — ჩურჩულებდა ტატო და ოთახში მჯდომებს ჩამოთვლიდა. ქალები დაბალი ხმით საუბრობდნენ და ხელსწრაფად ქარგავდნენ. ტატომ ფანჯარაზე ფრთხილად დააკაკუნა, ქალები შეკრთნენ. მანანა წამოდგა, ტახტზე მიგდებული ბიალონი მხრებზე მოისხა და დარბაზისაკენ წამოვიდა. აივანზე ტატო დაინახა, გაუღიმა:

— მოდი, ტატო, გელოდებით. — ტატო ოთახში შეჰყვა. — აქ და-

ჯეკ, ახლავ მზად იქნება. — მანანა ქალებს მიუჯდა, ტახტზე გაფენილ ხელსაქნარს ყურადღებით დააჩერდა:

— კურთხეული მარჯვენა გაქვს, მაიკო, არ მეგონა, თუ ასეთი ფერების გამოყვანას შესძლებდი.

— მშვენიერია! — დაადასტურა ეკატერინემ. ტატო მაიკოსთან მიიჯრა, ხელზე ხელი მოუჭირა, ჩასჩურჩულა:

— კარგო, ჩვენთანა ხარ?!

— ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ! — ჩურჩულითვე უპასუხა მაიკომ.

მანანამ ბისონის ფარჩა მაგიდაზე გაშალა.

— როგორ მოგწონთ ჩემი ნახელავი? — ქალებს აღტაცებული შეძახილი აღმოხდათ, ტატოც მივიდა, მაგიდაზე გაშლილ ფარჩას და ხედა.

— ახ! — წამოიძახა, თვალს ვეღარ აცილებდა. ბისონის ფარჩა ხალასად იყო ნაკერი, ფერმიხდილ ღვთისმშობელს მავედრებელი თვალები ზეცისაკენ მიეპყრო და ტატოს მოეჩვენა, თითქოს ბაგეებს ამოძრავებსო ღვთისმშობელი.

— მაიკო ხაიათის ყუთი მომეცი, წასაღებად გავამზადებ. — მიმართა მანანამ, კელავ ღვთისმშობლის სახეს დააჩერდა და ოთახში მისი ჩურჩული გაისმა:

— ღვთისმშობელო დედავ, შენი წილხვედრია საქართველო, შენ უწინამძღვრე ყოველ საქმეში, ნუ დააგდებ უპატრონოდ. — ცრემლი ჩამოუგორდა მანანას, ქალები თავდახრილნი იდგნენ. ახლა ტატოს მიუბრუნდა მანანა: — ტატო, ამ ხაიათის ყუთს წაიღებ, თუ ვისმეს გადაეყარო, უთხარი: მანანამ გამატანა თეკლა ბატონიშვილთანაო.

ამაღამდელმა თათბირმა უნდა მოიწონოს ჩვენი ნახელავი.

დაიჩოქა მანანამ, ქალებიც გვერდით ამოუდგნენ და განაგრძო: დამილოცნია, მუდამ გამარჯვების გზით ეტარებინოს ჩვენი ერი. ჩვენი ქვეყნისათვის კეთილმოსურნეა ყველა, ვისი ხელიც შეხებია. ღმერთი არ გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს.

ტატოს ქალები აივანზე გამოჰყვნენ, კიბე ჩაირბინა და სიბნელეში მიიმალა, გზიდან გადაუხვია, ბილიკს გაჰყვა ბატონიშვილის სახლისაკენ. ბაღი გაძარცული იყო. მოწყენით იდგნენ ხეები, ფოთლებგაცლილი ვაზის ლერწები ერთმანეთს გადახლართოდნენ. მხოლოდ ბზის ბუჩქები გამოიყურებოდნენ მწვანედ, თითქოს სხვის მა-

მულში შეჭრილი დამპყრობელიაო. ტურების კივილი ისმოდა მთაწ-მიდიდან.

ორბელიანებისას გაშლილ მაგიდას შემოსხდომოდნენ. ტატომ ალექსანდრე ორბელიანს გადასცა ყუთი, ალექსანდრემ გახსნა და სამი ხალასად ნაკერი ბისონის დროშა ამოიღო:

— აი, ჩვენი დროშები, ამათ უნდა უწინამძღვრონ ჩვენს წმინდა საქმეს. ღვთისმშობელი, რომლის წილხვედრია საქართველო, წმინდა ნინო — ქართველთა განმანათლებელი და წმინდა გიორგი, რომელიც მუდამ იცავდა ჩვენს ქვეყანას. — ალექსანდრე დროშებს ეამბორა.

სათითაოდ მიდიოდნენ დროშებთან თაყვანისსაცემად — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, იაგორა ჭილაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, იასე ფალავანდიშვილი, ანდრია მელნიკოვი და პეტრე ზაველეისკი.

ტატო უყურებდა მათ და გული უცნაურად უფართხალებდა, დროშები, ეს დროშები წაუძღვება წინ აჯანყებულებს.

ალექსანდრე ოთახის შუაში იდგა დროშებით ხელში და განაგრძობდა:

— აჯანყების გეგმა უკვე შევიმუშავეთ. მე მხოლოდ გაგაცნობთ: აჯანყების დღედ ოც დეკემბერს ვნიშნავთ. ამ დღისათვის დანიშნულია თავად-აზნაურთა საზოგადო ყრილობა. ქალაქში ჩამოვა ყველა, ხალხთა დენა ყურადღებას არ მიიქცევს, ჩვენ კი შეკრების შესაძლებლობა მოგვეცემა.

ლუარსაბის სახლი მოსახერხებელი ადგილია, მის წინ გაშლილი მოედანი სწრაფი მოქმედების საშუალებას მოგვცემს. ამიტომაც, ლუარსაბ ორბელიანის სახლში გაიმართება მეჯლისი. მანანა მოიწვევს ყველა რუს მოხელეს და ღირსშესანიშნავ სამხედრო პირებს. ღამის პირველ საათზე, როცა სიონის ზარი ყველას ამცნობს აჯანყების დაწყებას, დავატყვევებთ ხელისუფლების წარმომადგენლებს. როცა ჩვენი სიმართლე და ჩვენი დროშები გამარჯვებას მოგვიპოვებენ, სამ კაცს სიონის სამრეკლოზე მახარობლად ავგზავნით და იქიდან ამცნობენ ყველას, რომ ჩვენს ქვეყანაში დამყარდა თავისუფლება და სიყვარული ყოველსა ერსა ზედა!

შეთქმულები წამოდგნენ და ყველამ ერთხმად გაიმეორა:

— თავისუფლება და სიყვარული ყოველსა ერსა ზედა, ამინ!

— იაგორა ჭილაშვილი ევროპის ქვეყნებში გვყავდა წარგზავნილი, იქაური მმართველობის შესასწავლად, გავეცანით მის ჩამოტანილ მასალას და გადავწყვიტეთ — ქვეყანას მართავდეს ორი პალატა, სახელმწიფო მმართველობის ზედა პალატის თავმჯდომარედ მე მასახელებენ, სამხედრო მინისტრად — ალექსანდრე ჭავჭავაძეს, იუსტიციის მინისტრად — მუხრან-ბატონს, ფინანსთა მინისტრად — ფალავანდიშვილს, შინაგან საქმეთა და განათლების — იაგორა ჭილაშვილს, გარეშე საქმეთა მინისტრად კი — ბებუთაშვილს. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ეროვნული სეიმი. სამხედრო მოქმედების გეგმას ალექსანდრე ჭავჭავაძე მოგახსენებთ.

ბატონიშვილების სახლიდან გამოსულ ტატოს თავი უხუროდა, შემოდგომის სუსხიანი ქარი სახეში ურტყამდა და ისე მიჰქროდა, თითქოს ფრთები შესხმიაო, აღარც კოჭლობას გრძნობდა, ნაჩვევ ბილიკებზე სიარულს სიბნელე ვერ უშლიდა. სახლის მაგიერ, როცა წინ სიონის ტაძარი აღემართა, შეკრთა, აქ როგორ გაჩნდა? ის ხომ სახლში მიდიოდა. „სიონის ზარმა ყველას უნდა ამცნოს აჯანყების დაწყება“. — ჩაესმა ალექსანდრეს ხმა.

და იდგა ტატო სიბნელეში, თითქოს ხედავდა სიონის ვეებერთელა ზარს, ხელები უკანკალებდა, ახლავე უნდოდა ასულიყო სამრეკლოზე, ახლავე შემოეკრა სიონის ზარი. ცთუნებას ვერ გაუძლო, მოსასხამის საყელო აიწია და კიბეს შეჰყვა, სიბნელეში ხელით მიიკვლევდა გზას. აი, ავიდა, ხელი მოაფათურა, მნათეს კედელზე ზარის ბაწარი ჩამოეკიდა, ჩამოიღო, ორივე ხელით ჩაბღუჯა, კანკალმა აიტანა, ოდნავ შეარხია ბაწარი, ზარმა ყრუდ დაიკვნესა, შეკრთა, ზარის ბაწარი გულზე მიიკრა, ქალაქს გადახედა, ჩაბნელებული იყო ქალაქი, არსაიდან არ ისმოდა ჩამიჩუმი. ერთი ხელის გაქნევა და ახმაურდება სიონის ზარი, წამოიშლება ჩაძინებული ქალაქი. მაგრამ დღეს არა, დღეს ტატოს შემოკრულ ზარს სიბნელე შთანთქავს. დაიცდის ტატო და დადგება დღე, როცა ტატოს შემოკრული ზარი გაიწკრიალებს ყოველი ქართველის გულში და თავისი ქვეყნის სიყვარულს ასწავლის ყველას.

• •

ზამთრის ცივი ქარი დაჰქროდა თბილისის ქუჩებში, თოვლის ფიფქებს იტაცებდა და ნამქერს სახეში აყრიდა ყველას. ნამქერმა

აავსო სახლის აივნები და ფანჯრები. მიტოვებულს დამსგავსებოდნენ კარებამოქოლილი სახლები.

ცივმა ქარმა და ნამქერმა დაბინდებისთანავე სახლში შეყუჟა ადამიანი. ქარი ახმაურებდა სახლის სახურავებს. სადღაც თუნუქის ფურცელი აეტაცნა, ხან ერთ ბანს მიახეთქებდა, ხან მეორეს და ბუხართან მიყუჟულებს აკრთობდა. შეშინებულები ფანჯრებს შეჰყურებდნენ და ისმოდა ჩურჩული:

— საშინელი ღამეა!

ბარათაშვილებსაც დარბაზში მოეყარათ თავი. დარბაზის ოთხივე კუთხეში გუზგუზებდა ბუხარი. ისინი დიდ ბუხარს შემოსხდომოდნენ. ეფემია ტახტზე იჯდა. ბარბარე და ტატო ბუხრის კუთხეში მიყუჟულიყვნენ ფარეშები კი გამდელს შემოხვეოდნენ, ძირს გაგებულ დათვის ტყავზე ჩუმად ისხდნენ და ხანგამოშვებით ფანჯრისაკენ იხედებოდნენ. გამდელმა გარშემო მიმოიხედა და წყნარად თქვა:

— ვაი იმას, ვინც ამ საშინელ ღამეში თავის კერას არ უზის! — ეფემიამ გამდელს გადახედა, გრიგოლი გაახსენდა, პირჯვარი გადაიწერა, წაიჩურჩულა:

— ღმერთო, უშველე თავის კერას და სამშობლოს მოცილებულს.

— ამინ! — დაადასტურეს. გაყუჩდნენ და ფიქრს მიეცნენ.

ეფემია წამოდგა, ტახტის წინ დაგდებულ ფოსტლებში ფეხი წადგა:

— ცუდი ღამეა, სჯობს მოვისვენოთ. — წამოიშალნენ. ეფემია მაგიდასთან მჯდომ ტატოს მიუბრუნდა:

— შვილო, ტატო, გეყოფა კითხვა, დაწექი, ასეთ ღამეში ადამიანს მხოლოდ ძილი უშველის.

— ახლავე, დედა!

საწოლებისაკენ გაეშურნენ. გამდელი დარბაზში დარჩა, ფარეშებს მიმართა:

— ცეცხლი კარგად შეახვიეთ ნაცარში. ასეთ ქარში ხანძარია საშიში. — შუა ოთახში იდგა, თვალყურს ადევნებდა, როგორ ახვევდნენ ფარეშები ღადარში ცეცხლს.

დიდხანს არ დააძინა ტატო ქარის გრიალმა. ქარი ზოგჯერ მიეკრებოდა სახლს, შეარყევდა, თითქოს ზეციერ ატაცებას უპირებსო.

„ნუთუ ასეთი იქნება აჯანყების ღამეც“. — გაუელვა ტატოს და

ფიქრები წამოეჯარნენ. მის ოცნებაში აჯანყება უკვე დაიწყო. სიონის ზარის ხმამ შეარყია მიდამო. თოფის სროლამ, ზარბაზნების გრიალმა დაფარა ყველაფერი. აფრიალებს ქარი მანანას ნაჯერ დროშას, რომელიც გამარჯვებისაკენ მიუძღვის ხალხს. არ ახსოვს ტატოს, როდის ჩაეძინა. კარის ძლიერმა ბრახუნმა შეაკრთო, გამოეღვიძა. ალბათ ქარმა რაღაც მოახეთქა კარსო, — გაიფიქრა. მაგრამ კარის ბრახუნი არ წყდებოდა. სანთლით ხელში თავის ოთახიდან ეფემია გამოვიდა, გამდელიც მოჰყვა.

— ვინ უნდა იყოს ასეთ ღამეში?!

— ღმერთო, გვიხსენი საშინელებისაგან! — ტატო სწრაფად წამოხტა, კარისაკენ მიმავალ დედასა და გამდელს გაჰყვა. ქარის ხმაური და შალში გახვეული ქალი ერთად შემოიჭრნენ გაღებულ კარში. ქარმა სინათლე ჩაუქრო ეფემიას და ძლივს წაიჩურჩულა:

— ვინა ხარ, რა მოგსვლია?! — შემოსულს ხელი შეაგება.

— მელანია ვარ, ეფემიავ!

— მელანია? რა მოხდა?

მთელი ტანით კანკალებდა მელანია.

— ჩქარა ბუხარი გამოჩხრიკე, გამდელო!

გამდელი ბუხარს მივარდა. მელანია ეფემიას ხელს დაეყრდნო და მორჩილად გაჰყვა ტახტისაკენ.

— ეფემიავ, ჩემი ანტონი წაიყვანეს. ასეთ ღამეში... — სიტყვები ვეღარ დაამთავრა მელანომ, ცრემლები გადმოღვარა.

— ანტონი წაიყვანეს? — ყრუ ხმით გაიმეორა ეფემიამ. — სად წაიყვანეს?

— განა ვიცი, სად წაიყვანეს?

— ასეთ ღამეში? რაღაც დიდი ამბავი უნდა იყოს!

— მეც მაგასა ვჩივი! — მელანიამ თვალებზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

კანკალმა აიტანა ტატო. ანტონ აფხაზი წაიყვანეს, ვინ წაიყვანა? რატომ? ახლავ სოლომონთან წავალ, ყველაფერს გავიგებო. — გაიფიქრა.

ქარის მოპირდაპირე მხრით მირბოდა ტატო, მოსასხამის საყელო აეწია, თავი ყაბალახით შეებურა და აკვიატებული ფიქრიც თან მისდევდა: „ანტონ აფხაზი წაიყვანეს, ვინ წაიყვანა? სად წაიყვანეს? შეთქმულება გამჟღავნდა“, — ვიღაცამ ქარის წივილთან ერ-

თად ჩასჩურჩულა ტატოს. მთელი ტანით გასწორდა. მოჯრილ ფიქრებს შეუტია. „ვინა სთქვა, შეთქმულება გამეღაენდაო?“

ვის შეეძლო შეთქმულება გაემეღაენებინა? „შეთქმულება გასცეს, შეთქმულება გასცეს“. — სისინებდა ქარი.

სოლომონ დოდაშვილის სახლის კარებს ორივე ხელით დაეტაკა ტატო. კარი უეცრად გაიღო. ოთახის შუაში იდგა სოლომონი, პოლიციელები შემოხვეოდნენ, სოლომონის გაფართოებული თვალები შეეფეთა. წამით შედგა, სწრაფად მიხურა კარები, ოთახიდან პოლიციის მოხელის ბრძანება მოესმა:

— დაკეტეთ კარი, ხედავთ, ქარი არ აყენებს! — ბნელი ღამე ჩამოდგა ტატოსა და ოთახს შორის. ახლა სადღა წავიდეს? სიონის ზარი აღიმართა ტატოს წინ, ჩაეშალა მრავალი დღის ოცნება. სიონის ზარს ვეღარ აახმაურებს, მთვრალივით მიბარბაცებს, კი არ მიბარბაცებს, ქარი მიათრევს, აქეთ-იქით ახეთქებს სახლის სახურავიდან აგლეჯილი თუნუქის ფურცელივით. აი, ქარმა ძლიერად მიახეთქა ტატო ხეს და გამოერკვა კიდეც. ჩქარა, ჩქარა უნდა გაიქცეს, ყველას, ყველას, გააგებინოს. კვლავ ქარის ქროლვას აჰყვა. გონება სწრაფად მუშაობს. პირველსავე სახლთან გაჩერდა. კარს თავგანწირვით დაუწყო ბრახუნი. იასე ფალავანდიშვილმა კარი გაუღო. გაოცებული მიაჩერდა. ტატოს ჩაბალახი სულს უხუთავდა, სათქმელს უხშობდა. სწრაფად მოიგლიჯა ჩაბალახი და შეჰყვირა:

— შეთქმულება გასცეს, შეთქმულება! — თავისმა ხმამ შეაკრთო, მიიხედ-მოიხედა — იასეს შეშინებულ თვალებს წააწყდა, უაზროდ მისჩერებოდა შიშდაუფლებული, რაღაცას ბუტბუტებდა:

— ვინ გასცა?

— ნეტავ ვიცოდე, ვინ გასცა! — ამოიხრიალა ბრაზით ტატომ და მუშტებით სივრცეს დაემუქრა. იასე უკან-უკან წავიდა, ათრთოლებული ხელები ტატოსაკენ გაიშვირა; ტახტს წააწყდა, ჩაჯდა, თავი ხელებში ჩამალა და მთელი ტანით ათრთოლდა.

ტატო სწრაფად მოსცილდა. ქუჩაში გამოვარდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ სიფრთხილეა საჭირო. ქუჩა ცარიელი იყო. ფეხი აუჩქარა, თან იქაურობა მოათვალიერა. დეკემბრის მსუსხავი ქარი სახეში სცემდა. ჰავჰავაძეებს უნდა გააგებინოს.

შუქი არ ენთო ჰავჰავაძიანთა. ჩანს, ეძინათ. ასეთ ღამეში სტუმრები არ ეყოლებოდათ, მაგრამ ახლა გვიან არის. სახლს გარ-

შემოუარა. სად დააკაკუნოს? არ უნდოდა მთელი სახლობა გაეღვიძებინა: აივანზე ავიდა, ყური მიუგდო, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნამქერი შემოეყარა ქარს. თოვლით ავსილიყო აივანი. რომ არ იცის, სად წევს ალექსანდრეს მსახური?

ყოყმანობდა, ეძნელებოდა ალექსანდრეს ოთახის კარზე დაკაკუნება. უეცრად ქუჩიდან ხმაური მოესმა, შეკრთა, იქნებ აქაც მოდიან და ის კი... ალექსანდრეს ოთახთან მიიჯრა, ფრთხილად ფანჯარაზე დააკაკუნა. ეტყობოდა, არ ეძინა ალექსანდრეს, კარები მალე გაიღო. მოსასხამწამოსხმული ალექსანდრეს მაღალი ტანი გამოჩნდა.

— ვინ არის?

— ტატო ვარ. — ჩურჩულით გასცა პასუხი.

— შემოდი, რა მოხდა?

— შეთქმულება გასცეს, ანტონი და სოლომონი წაიყვანეს.

ალექსანდრემ მაღალ შუბლზე ხელი გადაისვა. ოდნავ გაფითრდა.

— საიდან იცი?

— ანტონის დედა მოვიდა, სოლომონთან გავიქეცი, ის უკვე მიჰყავდათ.

ალექსანდრემ გაიარ-გამოიარა, ერთ ხანს ჩუმად იყო, დაფიქრებული. კარზე ფრთხილად დააკაკუნეს, მსახური შემოვიდა.

— ქალბატონი კითხულობს, რა ამბავიაო?

— მოიცადოს, ახლავე გამოვალ, ტატო, სასტუმროში გადი, მეც გამოვალ. — ალექსანდრე ჩვეული არ იყო ცოლსა და შვილებს ჩაუცმელი ჩვენებოდა. ჩაცმა დაიწყო, მსახური აწვდიდა ტანსაცმელს.

სალომე დარბაზში დახვდა ტატოს. არა ჰკითხა, რა ამბავიაო, იგრძნო მდგომარეობის სიმძიმე და უნდოდა თავის მეუღლისაგან გაეგო, რაში იყო საქმე.

ოთახში სათითაოდ შემოვიდნენ გამდელი, ნინო, ეკატერინე, ისინი სავარძელში მჯდომ დედას შემოეხვიენენ. ნინო არაფერს ეკითხებოდა, ეკატერინე კი არ ასვენებდა.

— რა იყო, დედა?

— მოითმინე, ახლავე გამოვა მამა.

ოთახში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ალექსანდრე:

— ანტონ აფხაზი და სოლომონ დოდაშვილი წაუყვანიათ, პო-

ლიცმეისტერთან მინდა წავიდე, გავიგო, რაშია საქმე. — წამოდგა სალომე, ქმართან მივიდა:

— მალე დაბრუნდები, ალექსანდრე?

აუცილებლად, ჩემო კარგო, მანამდე კი შენი ჭკუის იმედი მაქვს, — ხელზე აკოცა მეუღლეს ალექსანდრემ, კარებისაკენ წავიდა, შედგა:

— ტატო, ორბელიანებთან ჩაირბინე, თან ნუ გამომყვები. დროშკა მზად არის? — მიუბრუნდა ალექსანდრე მსახურს.

სალომემ ბილიკისაკენ გასასვლელი კარი გაუღო, ტატო კვლავ სიბნელემ შთანთქა.

* *

ქარი დაუძინებელი მტერივით შემოიჭრა ქალაქში. მოსვენებას აღარ აძლევდა მცხოვრებლებს.

მტარვალივით შეუჩნდა ყველას და ყველაფერს, ღავღავებდნენ ქარითა და ყინვით შეწუხებული ძაღლები, მთაწმიდაზე გაჰკიოდნენ ტურები, თბილისის გარშემო ღმუოდნენ მგლები და ქალაქში შემოჭრას ცდილობდნენ.

ჩაკვდა ქალაქი, აღარ ისმოდა თარისა და საზანდრის ხმა, აღარც ბაიათებს მღეროდა ვინმე. გარეთ გამოსვლა ეზარებოდათ. აღარც ძილი ჰქონდთ დამშვიდებული. ფხიზლობდა მთელი ქალაქი. პატარა ხმაურიც კი აკრთობდათ, ყურს მიუგდებდნენ, ვის კარს დააკაკუნებდა ბედი მოარული.

შუაღამე გადასული იყო. ჭავჭავაძიანთ არ ეძინათ. სტუმრები არავინ ჰყავდათ. ალექსანდრეს ოთახში, გაჩაღებული ბუხრის წინ ისხდნენ: ალექსანდრე, სალომე და ნინო, წყნარად საუბრობდნენ.

გრიბოედოვის ქვრივი გაჭირვების დროს საუკეთესო მრჩეველი შეიქნა დედ-მამისა. შალწამოსხმული, დაფიქრებული იჯდა სავარძელში, თვალი ბუხრისათვის გაეშტერებინა და თან მამის ლაპარაკს უსმენდა.

— ყველაზე მეტად ახლა მჭირდება განსვენებული შენი მეუღლე, შვილო, ვის შეეძლო მასზე უკეთესი რჩევის მოცემა ამ გასაჭირის დროს!

— მარადჟამს საგრძნობი იქნება ჩვენთვის ეგ დიდი დანაკლისი ალექსანდრე, ვერ მოახერხე იასეს ნახვა?

— არ მიცდია, ალმაშფოთა ჩემი ნათლულის საქციელმა, სურვილი აღარა მაქვს ვნახო.

— მაოცებს მისი მოქმედება. თითქოს მის ბუნებას არ ეგუებოდა უმსგავსობა. — ალექსანდრემ ქალიშვილს გადახედა. — სამუდამოდ ჩირქი მომცხო, არასოდეს ვიფიქრებდი გამცემლის მომნათელელი ვიქნებოდი.

— რას იზამთ, მამავ ბატონო, ზოგჯერ ოჯახშიც გამოვა ერთი მახინჯი.

— ღმერთი დაგვიფარავს უარესისაგან. გული არ ურიგდება იასეს დანაშაულს.

— თუმც როგორც ნათლიას მე მიფარავს, უარყოფს ჩემს მონაწილეობას შეთქმულებაში. სხვებიც უარს ყოფენ. — ცეცხლის ენებს მიაჩერდა ალექსანდრე.

— ამიტომაც მეტი სიფრთხილე გვმართებს, მამავ ბატონო.

— დღეს დაუსრულებლად მეკითხებოდნენ ჩოლოყაშვილის შესახებ. ნათლად მახსოვს მაშინდელი ჩვენი საუბარი, ვურჩევდი, მთავრობას ვაცნობოთ ამ გადასახადების შესახებ-მეთქი.

კახეთის ხალხი ძლიერ იყო შევიწროებული და მეშინოდა კვლავ აჯანყება არ გამოეწვია. რაც შეეხება ალექსანდრე ბატონიშვილს, არასოდეს ვყოფილვარ მისი მომხრე. მთელმა საქართველომ იცის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა დაიმსახურა რისხვა საქართველოს ორი უკანასკნელი მეფისა — მამისა და ძმისა, ეს რისხვა, მისდა საუბედუროდ, სამართლიანი იყო.

— თუ ყველა დაპატიმრებული ცდილობს უარჰყოს თქვენი კავშირი აჯანყებასთან, ვფიქრობ არაფერი გვექნება საშიში. — გაამხნევა მამა ნინომ.

დაკითხვის მუხლებში ცალკეა შეტანილი, როგორც ჩემი, ისე ყოფილი გუბერნატორის ზაველეისკის საკითხი. მეც მივეცი, ზაველეისკის შესახებ ჩვენება. მას ვიცნობ როგორც კეთილშობილს, სამართლიანს. მისმა ხანმოკლე მმართველობამ ხალხს საგრძნობი შემსუბუქება მოუტანა, განსაკუთრებით სამგზავრო ვალდებულებათა საქმეში. გამოსწორდა სასამართლოს ნელი წარმოებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კარგი საქმეები არავისაგან იქნა შემჩნეული. მისი მიზანი, ისე როგორც განსვენებული ალექსანდრესი, ყოველთვის

იყო ქართველთა და რუსთა დაახლოება, მათი კავშირის განმტკიცება.

— დაველოდოთ, ვნახოთ, რა იქნება, სხვა გზაც არა გვაქვს. ამტანი და გამტანია ჩვენი ხალხი, მას გაჭირვება ვერ შეაშინებს. — ამოიოხრა სალომემ.

სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ ალექსანდრემ დაარღვია იგი:

— სადაც არის, გათენდება, სჯობს მოვისვენოთ, შვილო ნინო, გაენებს ამდენი უძილობა.

დასაწოლად გაემზადა სალომე. ქუჩის ხმაურმა მიიქცია მისი ყურადღება, ლოგინზე ჩამოჯდა, სულგანაბული უსმენდა და, როცა მათი კიბის საფეხურები მძიმე ჩექმებმა აახმაურა, სწრაფად დაიწყო ტანსაცმლის ჩაცმა. გაფითრებული ნინო შემოვიდა და ძლივს ჩაიჩურჩულა:

— დედა! მოვიდნენ!

— ვიცი, შვილო, ვაი ჩემს თავს, ჩემი წინაგრძნობა აცხადდა. — სალომემ ხელი მოჰხვია ნინოს, გულზე მიიკრა, თითქოს უნდა მისი კანკალი შეაჩეროსო. — მამასთან გავიდეთ.

ალექსანდრემ შემოსული მეუღლე და ქალიშვილი რომ დაინახა, შეეგება:

— სალომე, გადაეცით ყველას, რაც უნდა გვტანჯონ, არ გავტყდეთ. ამის მეტი ველარა გამოგვიხსნის რა. თქვენ კი ამის შემდეგ დიდ უბედურებაში ჩავარდებით, მაგრამ მოითმინეთ, დიდსულოვნად იყავით, ღმერთი მოგვხედავს და კვლავ ვნახავთ ერთმანეთს.

ოთახი პოლიცმეისტერის კომენდანტის და ჯარისკაცების ჩექმების ხმაურმა გააყრუა. პოლიცმეისტერმა ალექსანდრეს მიმართა:

— ბარონ როზენმა საჭირო საქმეზე დაგიბარათ, რაც ქაღალდები გაქვთ, ისიც თან უნდა წამოიღოთ.

პოლიცმეისტერი ახლა სალომეს მიუბრუნდა:

— თქვენ ამაზე ნუ შეწუხდებით, თქვენი ქმარი მალე დაბრუნდება..

— სალომე მხრებში გასწორდა, თავი ასწია, მედიდურად უპასუხა:

— პოლიცმეისტერო, ვიცი თქვენი სიტყვა მართალი არ არის, მე კი იქ ყოფნას ვირჩევდი, სადაც ჩემი ქმარი იქნება.

ალექსანდრემ აცრემლებული ნინო გულში ჩაიკრა.

— ნინო, შვილო, ღირსეულად გეჭიროს თავი, არ დაგავიწყდეს, ვისი ქალი ხარ და ვისი მეუღლეც იყავი.

სალომე გამოეთხოვა ქმარს და ჩურჩულით უთხრა:

— მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანანურად ნულარა ვრჩებათ. რაც უბედურება მოგადგეთ, მოთმინებით მიიღეთ, წადი, ღვთისათვის მიმიბარებიხართ.

კარებში მიმავალ ალექსანდრეს ეკატერინეს შეკივლება მოესმა, მიიხედა, თმები ჩამოშლოდა ეკატერინეს, ორივე ხელი მამისაკენ გაეშვირა:

— მამა! — ხელები შეაგება ალექსანდრემ შვილს. გულზე მიიკრა.

— ჩემს გამოუთხოვებლად მიდიოდი, მამა! არ გინდოდა გაშეგო. — ჩურჩულებდა ეკატერინე მამის მკერდზე. ალექსანდრე ჩამოშლილ თმებზე ხელს უსვამდა. — არ გეგონოს, ვტიროდე, მამა, მე ხომ შენი ქალი ვარ?

— დრო არის, თავადო! — წამოიხრიალა პოლიციის მოხელემ.

ეკატერინე სწრაფად მოსწყდა მამის მკერდს, თავი აიქნია:

— კარგად იყავ, მამა! — მიაძახა კარებში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მამას.

ქალები ალექსანდრეს ოთახში კვლავ მიიყუჟნენ. ჩუმად ისხდნენ, თავთავიანთ ფიქრებში გართულნი. გამდელთან მოსამსახურეებმა მოიყარეს თავი და დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ ყაზარმობაზე.

თითქოს ქარმა აცნობაო ქალაქს ალექსანდრე ჭავჭავაძისას მომხდარი ამბავი, ხალხმა დილიდანვე დაიწყო დენა, მანანა, მაიკო, ეფემია, ილია, ტატო, ხორეშანიც კი მოვიდა. კარებში სალომე შეეგება ხორეშანს:

— თქვენც მობრძანდით, ხორეშან, ახლა იგრძნო გულმა, რა დიდი უბედურება ეწვია ჩემს ოჯახს, ასეთ ამინდში თქვენც კი გაბედეთ მოსვლა!

— გაჭირვება უცხო არ არის ჩემთვის შვილო, ჩემი გრიგოლი იქ დაუპატიმრებიათ, ამბობენ ჩამოიყვანენო, ნეტავ მართლაც ჩამოიყვანონ. შენს ქვეყანაში ჭირიც ადვილი ასატანია.

— აქ ვინ ამყოფებთ, ბატონო, თორემ მაგას ვინ შეუშინდება, ამბობენ მალე გაგზავნიანო.

— არც სხვათა ქვეყანაში გაგზავნაა ჩვენი ხალხისათვის უცხო, ვერც მაგით შეგვაშინებენ.

განიერ ტახტზე ნინოსა და ეკატერინეს გარს მაიკო, ტატო და ილია შემოსხდომოდნენ და გაცხარებული ლაპარაკობდნენ.

— ღმერთო, როგორ მინდოდა ყელში ვცემოდი ყველა მათგანს, როგორ გაბედეს ჩემი კარგი მამის წაყვანა. რას ვუყურებთ, თოფი ავიღოთ ხელში, გარს შემოვერტყეთ ყაზარმებს, ჩვენები იქ არიან.

— მაგით არაფერი გაკეთდება ეკატერინე! — ამშვიდებდა ნინო.

— რას ჩამომსხდარხართ და რას ამბობთ? — მიუბრუნდა ეკატერინე ახლა ტატოს და ილიას.

— ძალა ალმართსა ხნავს, ეკატერინე. — გაეპასუხა ილია.

— იასეს მოვკლავ უთუოდ, თუ გამოუშვეს, საზიზღარი, გამცემი.

— ვინ არის გამცემი? — ფეხზე წამოიჭრა აქამდე ჩუმად მჯდომი ტატო.

— იასე ფალავანდიშვილი. — ტატო ეკატერინესთან მიიჭრა, ორივე ხელებში სწვდა:

— რა სთქვი, ეკატერინე?

— რა გინდა, მამამა თქვა, იასემ გაგვცაო, მისმა ძმამ ჩააგონა და იმანაც გაგვცაო. — ტატომ უეცრად ხელი უშვა ეკატერინეს, ტახტზე ჩამოჯდა, მომუშტულ ხელებზე ნიკაპით დაეყრდნო და აჩურჩულდა:

— „მაშ იასემ გასცა, იასემ გასცა!“ — ტკაცუნებდნენ ცეცხლის ენები ბუხარში და ტატო ცეცხლის ალში ხედავდა იასეს შეშინებულ თვალებს, - იმ ღამის შემდეგ რომ არ სცილდებოდა.

ყ ა ზ ა რ მ ო ბ ა

საკანის კართან გაბმულმა სიმღერამ ყველა ფეხზე წამოაყენა.

— ეს რომელია? — გაისმა ჩურჩული.

— ერისთავი უნდა იყოს.

— სწორედ ის არის.

— რაო?

— ახალი ამბავიაო.

— წერილიაო.

— წავალ, ამოვიტან. — წამოდგა ფილადელფოსი, მხრებზე შავი ანაფორა მოისხა.

— ფილადელფოს, კედელს ჯვარი დაუსვი, არ დაგავიწყდეს

იმ დღეს შეშინებულიყვნენ, იქნებ სხვამ ჩაიგდო წერილი ხელშიო. — ფილადელფოსმა საკნის კარზე სამჯერ დააკაკუნა, მეკარემ კარი გაუღო და გაუძღვა.

საკანში დარჩენილები ფილადელფოსს მოუთმენლად მოელოდნენ. როგორც კი მეკარემ კარი გააღო, ისინი სარკმელთან შეჯგუფდნენ და ელოდნენ, რას იტყოდა ფილადელფოსი. ფილადელფოსმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა, აქ არავინ შემომყვესო. უბიდან დაჭმუჭნული ქაღალდი ამოიღო, ფრთხილად გაშალა და კითხვა დაიწყო:

— იახშიოლ! ქეიფიახშიდურ? რა დაგემართათ, ამ ხაზებს ტყუილად რათ უსვამთ? გამიგონეთ, პეტერბურგში ქართველები სულ დაპერილნი ყოფილან, გრიგოლ ორბელიანი ჩამოუყვანიათ, ხმა მიაწვდინეთ, ვის ულაყბია ეს სისულელე, ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი, ეს კედელზე ხაზი რად იყო? — კითხვა არ დაუ ?თავრებია, მეორე საკნიდან კაკუნი მოისმა:

— მამა ფილადელფოსი ხარ? — კაკუნით შეეკითხნენ.

— სოლომონ დოდაშვილი სად არის? — კიდევ მოისმა კაკუნი.

— გრიგოლი ხარ? შენი გამარჯვებისა იყოს, როდის ჩამოგიყვანეს? მაგრად იყავ, არ შეგეშინდეს! — არ ეშვებოდა ფილადელფოსი.

— სხვაც ჩამოიყვანეს ვინმე? — ესმოდა გრიგოლს აგურით ამოშენებული ფანჯრიდან.

— გრიგოლ! გახსოვდეს დაკითხვის დროს ამ საქმის ალექსანდრე ჭავჭავაძემ და პეტრე ზაველეისკიმ არაფერი იციან. იმათ ნუ გავრევთ, ჩვენთვისაც უმჯობესია.

გრიგოლმა მოსაუბრე ხმაზე ვერ იცნო, კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული, მოიწონა მოსაზრება. მართლაც, უმჯობესია ალექსანდრე და პეტრე არ გაურიონ.

დაკითხვა გაახსენდა: საიდან ჰქონდათ ეს დაწერილებითი ცნობები?.. მაშ გამცემი მარტო ივანე ყორღანოვი არ ყოფილა. ივანეს საიდან ეცოდინებოდა დაწერილებით ყველაფერი. წამოდგა გრიგოლი, საკანში გაიარ-გამოიარა, გაჯწასმულ ფანჯარასთან მივიდა, სკამი მიადგა, ზედ შედგა, ზევით გაჯწაუსმელი ფანჯრის ნაწილიდან ორბელიანთა უბანი მთლიანად ჩანდა, აივანზე მყოფებსაც ხედავდა, მხოლოდ ვერ არჩევდა, რომელი იყო. აგერ მისი მწევარი, ეზოში რაღაცას დასდევს, მაგრამ რომელია? დამკა თუ რეიდა?

გრიგოლს კვლავ ფიქრი არ ასვენებდა, „ვინ უნდა ყოფილიყო გამცემი", — ალბათ აქაურებმა იციან, უნდა მოახერხოს მათთან დაკავშირება. გაახსენდა, ხვალ თავისიანები უნდა ნახოს. კუთხეში მიჯდა. გონება სწრაფად მოქმედებდა.

დედის ავადმყოფობა შეატყობინეს გრიგოლს. აფორიაქდა, გულს როგორ უხაროდა სამშობლოში დაბრუნება, სადაც ტანჯვისა და მწუხარების დავიწყებას ფიქრობდა, წყეულიმც იყოს ასეთი ბედი. გულს აღარ ახარებს მშობლიური ცა, მარად ბრწყინვალე მზით განათებული, აღარც ყვავილთ ფეროვნება, არც ბულბულის სტვენა. დაიხურა გრიგოლისათვის ცა მშობლიური და აი, თავის ქვეყანაში დაბრუნებულს მხოლოდ ბნელი საკანი ხვდა წილად.

იყო დრო, ივერთ თვისებას შეადგენდა: ერთგულება, მამულისათვის ბრძოლა. გრიგოლი იგონებდა მათ, ვინც სიცოცხლე თავის მამულს შესწირა, მაგრამ არც ეს არგუნა გრიგოლს ბედმა. რად შემოკვნესის გული ასე? აღარა გრძნობს ცისკრის ბრწყინვალებას, ვეღარც მწუხრის ჟამს, აქ დღეც ღამედ გადაექცა გრიგოლს, ღამე კი უმთვაროა და უვარსკვლავო. სიკვდილს ნატრობს გრიგოლი, მაგრამ განა სამარეს არ შეედრება ეს საკანი? ნუგეშის სხივიც არსად ჩანს ამ წყვდიადში. იცის გრიგოლმა, რომ ჭმუნვის ცეცხლით დამწვარ გულს მხოლოდ ცრემლი აგრილებს, ცრემლი კი სრულიად გაუშრა. სად წავიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი? მათი აჩრდილიც აღარ დარჩა ნუგეშად. გულს მხოლოდ ჭმუნვა მორევია და ჰგლეჯს უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად.

ფიქრებში გართულ გრიგოლს არ შეუმჩნევია, როგორ დარეკეს მთაწმინდაზე მწუხრის ზარები, უეცრად სიმღერა შემოესმა, ყური მიუგდო, ვიღაც მისივე ლექსს მღეროდა და გრიგოლს მკაფიოდ მოესმა:

— „თავისუფლება გაქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს". — წამოდგა გრიგოლი, ფანჯარასთან მივიდა.

ყაზარმასთან მოქეიფე ბიჭები ჩამწკრივებულიყვნენ, ლოპიანა მიუძღოდათ ღვინით, სიმღერით, ზურნით, გრიგოლის ფანჯარას გაუსწორდნენ და კვლავ გაისმა მჭექარე ხმა მოქეიფეთა:

— „მისი სახელი კიცხვით მარადის იხსენიებოდეს, ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს" — ახლა კი ცრემლი მოუზღვავდა გრიგოლს, ღაწვებზე ჩამოუგორდა და შესძახა:

— თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, შენც გაიხარე, ლოპიანავ!

სხვა ფანჯრებიდანაც ისმოდა შეძახილები, მაგრამ მათი სმაც, ისე როგორც გრიგოლის, სივრცეში იკარგებოდა.

ლოპიანა წინ წამოდგა, ხელში ვეებერთელა ყანწი ეჭირა და ზურნის ხმასთან ერთად ქუხილივით გაისმა:

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა!

ფანჯარასთან თავმოყრილი შეთქმულნი აცრემლებულნი გასცქეროდნენ მოქეიფეებს, ხედავდნენ ხელებშემართული იდგნენ ისინი ყაზარმის წინ სავსე ყანწებით და დღეგრძელობას უსურვებდნენ.

ყაზახები შემოეხვივნენ მოქეიფეებს, გრიგოლი ხედავდა, როგორ დაიმკლავა ლოპიანამ, ფუთიანი მუშტი ცხვირწინ დაუტრიალა ყაზახებს. გრიგოლი აქედან ამხნევებდა მათ:

— მარჯვედ, მარჯვედ, ბიჭებო. ყოჩაღ, ლოპიანავ, ტყუილად არ ზქონდა შენი იმედი. ვაიმე! გაუფრთხილდით, ბიჭებო, ტყვია ბრმა არის, კაი საქმე იმან არ იცის, ფრთხილად იყავით. ყმაწვილკაცობა არ დაგიბნელონ.

ყაზახებმა გაფანტეს მოქეიფენი. გაქრა ყველაფერი.

გრიგოლმა ახედა მთვარის შუქით განათებულ მშობლიურ ცას, მოეჩვენა, ვარსკვლავებს შორის ეფემია მიცქერისო მზრუნველობით. ორივე ხელი გაიშვირა მისკენ და გულს აღმოხდა:

— დაო სასურველო! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...

იყო და აღარ არის

დარღი ჩამოწვა ქალაქში. მწუხარებამ მოიცვა ყველა სახლი და ყველა ოჯახი. ერთადერთი სალაპარაკო ყაზარმობაღა იყო. ერთი დარდი გასჩენოდათ ორბელიანებს, ჭავჭავაძეებს, ერისთავებს, ბარათაშვილებს და სხვებს.

მოწყენით გამოიყურებოდა ორბელიანების ორსართულიანი შენობა. ეტყობოდა, სახლში მწუხარებას დაესადგურებინა...

ხორეშანი მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო. პატიმარი გრიგოლის დარდი თითქოს გაემსუბუქებინა ამ ახალ მწუხარებას. ეფემია განუშორებლად თავთან უჯდა დედას. გაზაფხულის საკმარისად თბილი დღე იყო, მაგრამ ავადმყოფის ოთახში მაინც ბუხარი გიზგიზებდა. ხორეშანს საბანს ზემოდან დაეწყო უღონო ხელები, თვალი

ჭერისათვის მიეშტერებინა, თითქოს იქ ხედავს განვლილი დღეების სანატრელ სურათებსო. აი, დასაძინებლად ჩააწვინა ხორეშანმა პატარა გრიგოლი, ახლა კი ჩუმად ლოცულობს მძინარის თავზე და თან აიაზმას ასხურებს, და სურათს სურათი სცვლის; ზამთრის ცრძელ ღამეებში ალა-მაჰმად-ხანისაგან თბილისის აოხრების შესახებ მოუთხრობს პატარა გრიგოლს ხორეშანი. აი, ეზოში ჯოხის ცხენს დააჭენებს მისი კურკა ბიჭი, აგერ ანჩისხატის დეკანოზთან ფეხების ბაკუნით მირბის პატარა და ხორეშანი აივნიდან გადასცქერის მას.

ახლა, ახლა კი ციხეში ზის მისი გრიგოლი და სნეულებამ ისე დაიჯაბნა ხორეშანი, ძალა არ შესწევს მიეშველოს. წარსულის სურათებმა გაირბინეს ხორეშანის თვალწინ. მოაგონდა ეფემიას პირველი და თავისი უკანასკნელი ძეობა, ორი ვაქკაცი გაჩნდა მაშინ ორბელიანებისას: ერთი მემკვიდრე და მეორე მათი სახლის შვილი. როგორ ახარებდა მასა და გრიგოლს ტატოს გაჩენა. რა განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს გრიგოლს ტატო. ეფემიას შეხედა ხორეშანმა.

— ეფემიავ, შვილო, უკანასკნელად გრიგოლს რომ რუსეთისაკენ ვისტუმრებდი, გული მეუბნებოდა: ვეღარ ნახავო საყვარელ შვილს. ამისრულდა გულის წინათქმა. — ღრმად ამოიოხრა ხორეშანმა წამით, შეისვენა. — ხედავ, შვილო, ლაპარაკი მიჭირს.

— ავადმყოფობამ დაგასუსტათ, დედავ ბატონო.

— შენ ეგრე ფიქრობ, შვილო? არა, ეფემიავ, სიკვდილი მიახლოვდება, სიკვდილი. გრიგოლი როცა გამოვიდეს, გადაეცი: „დედაშენის უკანასკნელი სიტყვები შენი ლოცვა-კორთხევა იყო-თქო. იცოდეს, ჩვენი ოჯახის დედაბოძი ის არის და მარად ჰქონდეს თავისი ქვეყნისა და ოჯახის სიყვარული.“ გამდელს მოუხმეთ, ბიჭი მღვდელთან გაგზავნოს, ზიარება მინდა მივიღო, ჯალაბსაც დამიძახე უკანასკნელად.

— დედავ ბატონო, განა რა გჭირთ საამისო?

— დრო არის, შვილო, ბევრი სიხარული და ბევრი მწუხარებაც უნახავს დედაშენს: თბილისის აოხრება, მეფე ერეკლეს სიკვდილი, შავი ჭირი ქალაქში, რუსის ჯარის ჩამობარგება, რომელი ერთი მოვიგონო. ახლა კი დრო არის, ჩემს წინაპრებს მივაკითხო.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ ხორეშანის გახშირებული სუნთქვა და ბუხარში ცეცხლის ტკაცუნი ისმოდა ხანგამოშვებით. ჯალაბობა შემომწკრივდა. ხორეშანმა ხელით ანიშნა მის საწოლთან

მისულიყვნენ. ილიამ და ტატომ ხორეშანის წინ დაიჩოქეს. ხორეშანმა ტატოს ხელი თავზე დაადო, წაიჩურჩულა:

— ჩემო ტატო, უკვალოდ არ გაგევლოს ცხოვრება, შენი ერის უკვდავებისათვის ერთი ქვა შენც მიგეტანოს. მოსაგონრად დარჩენოდე შთამომაელობას. — დალოცა ხორეშანმა.

ანჩისხატის დეკანოზს. ალექსი მესხიშვილს მიუბრუნდა. — შეცოდებანი შემინდეთ, მამაო, საუკუნო სამყოფელს მივდივარ.

ზიარების მიღების შემდეგ თანდათან ცუდად გახდა ხორეშანი. გამდელმა შათირი გაგზავნა, და ქალაქს სწრაფად მოედო ამბავი ხორეშანის ცუდად ყოფნისა. დარბაზში თავი მოიყარეს: თეკლამ, მანანამ. ხორეშანის ოთახიდან გამდელი გამოდიოდა დროგამოშვებით და უარესად ყოფნის ამბავი გამოჰქონდა.

ბინდი ჩამოწვა ქალაქში, თანდათან უარესად ხდებოდა ხორეშანი, თითქოს დღის დალევასთან ერთად იხურებოდა მისი ცხოვრების კარიც.

ენა წართმეოდა ავადმყოფს, უყურებდა მის ლოგინთან ჩამწკრივებულ ილიას, ტატოს, ბარბალეს, ნინოს და ცრემლი სდიოდა თვალთაგან, ეფემია ცხვირსახოცით სწმენდდა ცრემლს, გულში იკრავდა ცხვირსახოცს, თითქოს სანაცვლამოდ უნდა შეინახოს დედის უკანასკნელი ცრემლებიო.

ტატო უხმოდ იდგა დიდედის სასთუმალთან, ხედავდა, სიკვდილი როგორ ეპარებოდა დიდედას. შეაკრთო სიკვდილის აჩრდილის პირისპირ შეყრამ, მოეჩვენა, შორს, სადღაც შორს იყო მისგან დიდედა, დასჩერებოდა მის გამხდარ დანაოჭებულ სახეს, ჩამქრალ თვალებს და ასე ეგონა, არც კი იცნობდა მას, დედის ხელს მზერა გააყოლა, ცრემლის მოსაწმენდად რომ მისწვდა ხორეშანს, გაუელვა, რა თეთრი და ლამაზი ხელები აქვს დედას, ოდესღაც ასეთი ხელები ჰქონდა დიდედასაც.

იყო და აღარ არის.

დიდედა ხორეშანი წარმოიდგინა — ახალგაზრდა, სიცოცხლით, სიკეთით და სათნოებით სავსე. ახლა, როგორც მბეუტავი კელეპტარი ოდნავ ციაგობს ბნელ ტაძარში, ისე ოდნავღა ისმის ხორეშანის სუნთქვა, და ხედავს ტატო, როგორ თანდათან სუსტდება საბნის მოძრაობა ხორეშანის მკერდზე. აღარ უნდა დიდედის ფერმკრთალი სახისა და ჩამქრალი თვალების მზერა. მხოლოდ საბნის ოდნავ

მოძრაობას უყურებს, შეწყდება ეს მოძრაობაც და იყო და აღარ არის.

ხორეშანმა სუნთქვა შეანელა, შეჩერდა საბნის მოძრაობაც. ტატომ დაინახა, როგორ ჩამოუგორდა დამქანარ ღაწვებზე უკანასკნელი ცრემლი.

დედის ქვითინი ესმოდა ტატოს, შემოვიდნენ დარბაზიდან ქალები, ჩამობნელდა ოთახში, აღარც ცეცხლის ტკაცუნი ისმოდა, ბუხრისაკენ მიიხედა ტატომ, ჩამქრალიყო ცეცხლი, გარუჯული კუნძიღა ეგდო ბუხარში და უძრავად იწვა ხორეშანი. კელეპტარი აანთო გამდელმა ხორეშანის თავთან. ანჩისხატის დეკანოზი ლოცვას ბუტბუტებდა, თითქოს საიდუმლოს ანდობსო მიმავალს, კელეპტრის შუქი დასციმციმებდა ხორეშანის დაღარულ შუბლს.

— იყო და აღარ არის. — კვლავ ჩაესმა ტატოს, ასე იქნება დედაც, მამაც, ილიაც და ტატოც, შეკრთა, გაქცევა მოუნდა. მიიხედ-მოიხედა, ქალების ქვითინმა ფიქრი შეაწყვეტინა. დედა ჩუმი ხმით დასტიროდა დიდედას.

— ჩვენი ქვეყნის ჰირ-ვარამის მუდმივი მოწმე იყავ, დედი, მუდამ შენ ქვეყანას დასტრიალებდა შენი ფიქრი. შენ გვასწავლე ქვეყნისა და მოყვასის სიყვარული, დედი!

უსიხარულოდ მიდიოდნენ დღეები ქალაქში. ხორეშანის სიკვდილმა მწუხარება შემატათ, შავით მოსილი ორბელიანები და ბარათაშვილები იშვიათად გამოდიოდნენ კარზე.

გული დაეხშო ტატოსაც. საყვარელი დიდედის დასაფლავების შემდეგ პირველად მიდიოდნენ სკოლაში ისა და ილია. შედგნენ, ყაზარმებს გახედეს, უსიამოვნოდ გამოიყურებოდა ნაცრისფერი შენობა.

— იქნებ გვხედავდეს გრიგოლი?:

— შორსა ვართ, ვერ დაგვინახავს.

— იმ დღეს ფანჯრის ჰუჰრუტანიდან ხედავდა თურმე, როგორ გამოვასვენეთ დედა.

— საწყალი, რა რიგ ძნელია, ფანჯრის ჰუჰრუტანიდან უყურებდე, როგორ ასაფლავებენ შენთვის საყვარელ ადამიანს, მისვლა კი არ შეგეძლოს, იმიტომ რომ ვილაცას არ მოსწონხარ და კარი დაგიკეტა. რად აძლევს ადამიანი ადამიანს ამდენ უფლებას?

— მთელი ღამეები არ სძინავს თურმე, როგორ გაუხდარა.

— წელს რამდენი რამ გადაგვხდა თავს!

— იასეს საქციელმა უბედურება დაგვატეხა, დედასაც ამ ამ-ბავმა მოუღო ბოლო.

— ძია გრიგოლმა არა თქვა, იასეს რომ არ გაემღვანებინა, შეთქმულება მაინც გაცემული იყო ივანე ყორღანოვისაგანო?

— ეგ იასეს არ ამართლებს, ყორღანოვს დაწერილებითი ცნო-ბები არ ჰქონდა.

— ძია გრიგოლი მართალია. ნიკო ფალავანდიშვილია დამნა-შავე, იმან დაგვღუპა, ის საქართველოსაც გაჰყიდის, თუ დასჭირ-და. — ამ ლაპარაკით მივიდნენ ბიძა-დისშვილი გიმნაზიასთან.

მოსწავლეებს დერეფანში მოეყარათ თავი, ჩუმად საუბრობდნენ. მის შემდეგ, რაც სკოლაში მასწავლებლები წაიყვანეს, სკოლაში ყვე-ლა ბავშვი ფეხისწვერებზე დადიოდა. ცდილობდნენ ჩუმად ყოფი-ლიყვნენ და ჩურჩულით ელაპარაკნათ, თითქოს სკოლაში მიცვალე-ბული ყოფილიყო დასვენებული. ტატოსა და ილიას შემოეხვივნენ და ჩურჩულით დაუწყეს თავისი აზრების გაზიარება.

— კონცერტი გვინდა გავმართოთ!

— თქვენს მოსვლას ველოდით!

— კარგია. მოხვედით! — ესმოდათ აქეთ-იქიდან ტატოსა და ილიას.

— რა დროს კონცერტია? — ხელი აიქნია ილიამ.

— ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით უხერხულია.

— ეხ, ვერ გაიგეთ, ეს ხომ ჩვეულებრივი კონცერტი არ იქნება!

— განა კონცერტის მიზანი გართობაა? ეს ბრძოლა იქნება. ბრძოლა!

— სოლომონს გავაგებინეთ, აზრი მოგვიწონა — ბრძოლის გაგრ-ძელება აუცილებელია, მეც აქედან გიხელმძღვანელებთ, როგორც მომიხერხდებაო.

— ეგ სხვა არის.

— ამ გაკვეთილზევე მოვილაპარაკოთ, დემენტიევმა იცის, დახ-მარება აღგვითქვა.

— წავიდეთ, საკლასო ოთახში წავიდეთ!

საკლასო ოთახიდან გაცხარებული ლაპარაკი ისმოდა.

— კონცერტზე მოსწავლეებს შეუძლიათ წაიკითხონ საკუთარი ლექსები, ან გამოვიდნენ სიტყვით.

— კონცერტი გაიხსნება სენის დეპარტამენტის მოწოდებით „თა-

ვისთა თანამოქალაქეთა მიმართ", მას ლევანი წაიკითხავს, რო-
გორც საკუთარ წერილს.

— რაზმაძის თარგმანი? — იკითხა ვილაცამ.

— დიახ, ჟურნალში რომ დაიბეჭდა.

— ტატო, შენ რილეევის წერილი წაიკითხე, ცოლისადმი მიწერილი

— ნაწარმოების ავტორებს არ დავასახელებთ, ხათაურებს შეეუც-
ვლით, მხოლოდ პირველი სიტყვებისთანავე არ უნდა მიგვიხედნენ
ეშმაკობას.

— გუნდისათვის ალექსანდრეს „მთოვარე" გამოგვადგება, „ნა-
ლივაიკოც" კარგია.

მეორე დღეს გიმნაზიის დერეფანში ვეებერთელა აფიშის წინ
მოსწავლეებს თავი მოეყარათ და კონცერტის მონაწილეთა გვარებს
კითხულობდნენ.

ჭავჭავაძეებთან მისულ ტატოს, ილიას, მიხეილს და ლევანს
ეკატერინემ კარებშივე მიაძახა:

— კონცერტს მართავთ?

— ვინ გითხრათ, ჩიტმა მოგიტანათ ამბავი?

— აი, ჩიტი, ამან მოიტანა კონცერტის ამბავი. — ეკატერინემ
მაიკოზე მიუთითა.

— მაიკო, შენც აქა ხარ, კარგია, შენთან წამოსვლა აღარ დაგვ-
ჭირდება.

— ჩემი ნახვა გინდოდათ? — მაიკომ ლევანს თავისი მშვიდობი-
ანი თვალები მიაპყრო.

— მანანას დაკითხეის ამბავი გვინდა გავიგოთ, გეცოდინებათ
რა ჩვენება მისცა.

— მანანა იქიდან ჩვენთან მოვიდა, ახლაღა ამოიღო ხმა სა-
ვარძელში მჯდომმა ნინომ და წამოდგა. — ჩამოწერილი ჰქონიათ კით-
ხვები: იცნობდი თუ არა ალექსანდრე ჭავჭავაძეს? გრიგოლ ორბე-
ლიანს? გუბერნატორ ზაველეისკის?

— რა პასუხი გასცა მანანამ.

— ეს პირები ყველანი ჩემი ნათესავები არიან და როგორ შეიძ-
ლება არ ვიცნობდეო. სხვა რამ კი მე არაფერი არა ვიცი რა და ვერც
მოვიფიქრებდი, რომ ამისთანა საშინელი განზრახვა ჰქონდა ვინმე-
სო.

— ჩვენ კონცერტის ამბები გვაინტერესებს. — ვერ ისვენებდა
ეკატერინე.

— მობრძანდით და ნახეთ.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საჭირო და კარგი იქნება.

— კარგად მოგიფიქრებიათ. — დაუდასტურა ნინომაც.

— ვნახოთ, ვნახოთ! — ტაში შემოჰკრა ეკატერინემ. — წამოდით, დედას შევატყობინოთ და ვეცადოთ მთელი ქალაქი დაესწროს.

მიძინებული ქალაქის ცხოვრება კონცერტის მოლოდინმა გამოაფხიზლა. დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

ნინო, ეკატერინე, მაიკო და ტასო ერთად შეჯგუფდნენ. ნინო მეუღლის დაკარგვის შემდეგ პირველად გამოვიდა საზოგადოებაში და ამიტომაც ყველას ყურადღებას იქცევდა.

შავი ხავერდის კაბა ეცვა, მკერდს ბრილიანტის ბახჩა ქინძის თავი უმშვენებდა.

ეკატერინე ადგილზე ვერ ისვენებდა, ხან ერთთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან.

— როდის დაიწყება?

— მოიცა, ეკატერინე, დაწყნარდი! — ამშვიდებდა ნინო.

კონცერტი დამთავრდა. ხალხი წასასვლელად გაემზადა, დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაცამ ვიღაცაზე მიიწია, ხმები აირია.

— ვინ დაგვცინის?

— ვინ არის მაგათი დასაცინი?

— რა ნახეს დასაცინი?

— რაო, რა თქვეს?

ერთმანეთზე მიწეულები დააწყნარეს, აღელვებულები დააშოშმინეს, ხალხი ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინა. ცხარობდნენ კონცერტით უკმაყოფილონი, მათი ხმამაღალი ლაპარაკი ქუჩებს აყრუებდა.

ნინო, ეკატერინე, მაიკო და ტასო დროშკაში ჩასხდნენ. ნინო დროშკიდან გადმოიხარა, დაფიქრებულ ტატოს უთხრა:

— არ დაღონდე, ტატო, მიზანი მიღწეულია, დაცინვა დამარცხებულთა იარაღია.

ტატო მიმავალ დროშკას მიაჩერდა, როცა დროშკა მოსახვევში მიიმალა, წაიჩურჩულა: — დაცინვა დამარცხებულთა იარაღია. — თავი გაიქნია. — მაგრამ არა, მაინც ვერ აპატიებს. — ამხანაგების ჯგუფს შეუერთდა.

ერთად მიდიოდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. მხო-

ლოდ ტატო მისდევდა ჩუმად, შეურაცხყოფით გამოწვეული ტკივილი მწვავე ჭრილობასავით არ ასვენებდა და სათქმელს უხშობდა.

ეფემია კარებში შეეგება ტატოს, შვილის გაფითრებული სახე რომ დაინახა, შეშფოთდა:

— რა იყო, შვილო?

— არაფერი, დედი, დავიღალე მხოლოდ!

— როგორ ჩატარდა კონცერტი?

— კარგად! — ტატომ ხელი ჩაიქნია, მიხვდა ეფემია, ახალი ჭრილობა გასჩენოდა ტატოს.

— წამოდი, შვილო, დანაყრდი, ლოგინიც მზად არის.

დაწვა ტატო, სიბნელეში თვალგაშტერებული მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: სამაგიერო უნდა გადაუხადოს, სამაგიერო, დაცინვისათვის, ძია გრიგოლისათვის, სოლომონ დოდაშვილისათვის, დიდედა ხორეშანისათვის, და პირველად თავის ცხოვრებაში მთელი ღამე არ უძინია.

ეფემიამ დილით თავის ოთახში შემოსული შვილი რომ დაინახა, გაოცდა, ტატოს წუხანდელი დარდის არაფერი ეტყობოდა, სახე გაბრწყინებოდა, თვალები ანთებოდა.

— სკოლაში მივდივარ, დედი!

— ისაუზმე, შვილო!

— მეჩქარება, ძალიან მეჩქარება!

— ნაზუქი წაიღე!

ტატომ ნაზუქი ჯიბეებში ჩაიჩარა, არც გაუგია, რა უთხრეს.

ეფემია დაფიქრებული მისჩერებოდა სირბილით მიმავალს.

— სად გაქრა წუხანდელი დარდი? ღმერთო, რა სწრაფად იცვლის ხასიათს...

სირბილით მიდიოდა ტატო, სკოლის კიბე აირბინა, ცარიელი საკლასო ოთახი რომ დაინახა, შეკრთა, კარებში შეჩერდა, როგორ ეჩქარებოდა ამხანაგებისათვის ეამბნა თავისი ნაფიქრი. ეგონა, მოუთმენლად ელოდებოდნენ, ისინი კი არც მოსულან, უსიამოვნოდ გაიქნია თავი, ოთახში სიარული დაწყო, პეტრე ბაგრატონი შემოვიდა.

— სად იყავი ამდენ ხანს?

— რამ მოგიყვანა ასე ადრიანად?

— მოდი, რა გაჩვენო. — ისინი კუთხეში ჩურჩულებდნენ, ტა-

ტომ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა. პეტრემ ქაღალდი ჩაიკითხა.

— შენი პირიმე, ტატო, გაჭირვების ტალკვესი ხარ, ბიჭო. გაჭირვების! — გადაეხვია ტატოს პეტრე და რამდენჯერმე შემოატრიალა.

— რა მოხდა? — იკითხა ოთახში შემოსულმა ლევანმა.

— ტატომ გვიშველა, ტატომ, როგორც ყოველთვის, დაგვიხსნა სირცხვილისაგან. — ახლა ლევანს მივარდა აღტაცებული პეტრე.

— მითხარით, რა იყო?

— რა მოხდა? — კითხულობდა საკლასო ოთახში ყოველი ახლად შემოსული. როცა ყველამ თავი მოიყარა, პეტრემ ფურცელი ჰაერში ააფრიალა, სკამზე შეხტა.

— კონცერტებში დაგვპატიჟეს, დაგვათვლევინეს ფულები. — დაიწყო პეტრემ.

— მშვენიერია.

— ყოჩაღ, ტატო!

— დაცინვაც ასეთი უნდა!

— ახლაც დაგვცინონ!

— ვნახოთ, რომელი ვაჯობებთ!

— დაცინვის შნოც არ აქვთ.

— როგორ გავავრცელოთ?

— ჯერ გადავწეროთ.

— მიხეილ, გადაწერე, კარგი ხელი გაქვს. — მიხეილი მაგიდას მიუჯდა, დანარჩენები გარს შემოეხვივნენ; გვერდში მოუსხდნენ, წინ დაუდგნენ, სკამებზე ავიდნენ, ეწადათ დაენახათ, რას წერდა მიხეილი.

— დამაცალეთ, არ შემაშლევინოთ! — გაჰყვიროდა ის, მოძალებულებს იგერიებდა.

— მზად არის! — წელში გასწორდა მიხეილი, ნაწერს კმაყოფილი ღიმილით დახედა.

კონვერტი მიაწოდეს.

ფანჯრებში ბელურებივით ახუნძლულები თვალს არ აცილებდნენ ქუჩაში გადაგდებულ კონვერტს.

— ეს უსათუოდ აიღებს!

— არ აიღო, არა!

— ნუთუ ვერ ხედავს?

— აი, ეს აიღებს, ეს!
— ფეხი დაადგა, ფეხი!
— მალე გაკვეთილიც დაიწყება.
— ქარი წაიღებს, დაგვეკარგება.
— ამოვიტანოთ.
— დავაცადოთ კიდევ.
— ამოვიტანოთ, არაფერი გამოდის!
— ხედავ ფეხით გასთელეს.
— გადავწეროთ.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლის ეზოში მოხუცი ფოსტალიონი შემოვიდა. ბიჭებმა მის დანახვაზე უჩვეულო ყიჟინა ასტეხეს:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!
— სადაც არის საქმე შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი!
— ძია მათეს გაუმარჯოს, ძია მათეს!
— დაიღალე, ძია მათე, ამოდენა ჩანთის თრევით?
— ოჰ, ოჰ, თქვე ეშმაკებო, როგორ შემომიჩნდებით ხოლმე.
— დაისვენე, მცირე ხნით დაისვენე.
— მივეჩვიე, შვილო, ამის თრევას, უამისოდ თავს კარგად ვეღარა ვგრძნობ.
— უჰ, რა მძიმეა. — ლევანმა ჩანთა წამოიკიდა.
— რამდენიმე წერილია დამრჩა მისატანი, ამერია, ვეღარ გავიგე ვისია, წამიკითხეთ ერთი, თქვენს გაზრდას.
— მე წაგიკითხავ, ძია მათე, მე! — ბარათებს ხელი დასტაცა ტატომ და წერილების მისამართების კითხვა დაიწყო.
— შენს სიბერეს შეესწროს შენი მშობელი, შვილო!
— ახალ წერილებს წიგნში ჩაგიწერ, ძია მათე! — არ ეშვებოდა პეტრე.
— ყველანი კარგები ხართ, შვილო, ყველანი, დაიზარდენით, ჩემოდენები მოიყარენით!

ბიჭები პეტრეს მიეხვივნენ. პეტრემ რამდენიმე კონვერტი ჩასწერა. უკანასკნელი ხმამაღლად წაიკითხა:

— „მიერთვას თავად ნიკო ფალავანდიშვილს.“ მათე, ამ წერილს გაუფრთხილდი, გუბერნატორისა ყოფილა.
— აგერ ჩადე, შვილო, ამ ჯიბეში, დიდი კაცების წერილებს აქ ვაწყობ.

— აგრე, ჩემო პეტრე, არაფერი დაგეკარგოს!

— გუბერნატორს ძალზე გაახარებს ეგ წერილი! — მისძახოდნენ მიმავალ მათეს ბიჭები და ხარხარებდნენ.

პანსიონის საძინებელ ოთახში უჩვეულო ხმაური იყო.

— როგორ გაახარებს ბატონ გუბერნატორს ტატოს ლექსი!

— მალამოა, მალამო, მისი პატივმოყვარეობისათვის!

— ნეტავ მაჩვენა, როგორ აუწითლდება სახე!

— ერთი თვალი მომაკვრევინა, გაწითლებული და გაფხორილი ბოლთის ცემას რომ დაიწყებს ოთახში.

— ვინ გაბედა მისი კეთილშობილების შეურაცხყოფა?

— ვინ გაბედა, მასხრად აგდება?

ლოგინში ჩაწოლილი პანსიონერები დიდხანს ჩურჩულებდნენ, აქა-იქ გაისმოდა ჩუმი, კმაყოფილი ფხუკუნი. ძილმა დარიათ ხელი, მალე მოზარდთა მშვიდი სუნთქვა გაისმა ოთახში.

— ვინა ხარ მანდ?

— ჩუმად! — გაისისინა ვიღაცამ და ოთახიდან გავიდა.

— რა იყო პეტრე, რა დაგემართა?

— რა მოხდა?

— ვინ იყო? — ხმაურზე ლოგინებიდან თავები წამოჰყვეს.

— მორიგე იქნებოდა!

— არა, ვიღაც სხვა იყო.

— ვინ უნდა ყოფილიყო?

— ყველანი აქა ხართ?

— მონასტირსკი გვაკლია.

— ხომ გითხარით.

— მისულა, მისულა! — წამოიძახა პეტრემ და უეცრად წამოხტა.

— რა მისულა, ბიჭო აღარ იტყვი?

— წერილი მისულა, წერილი, რა მოგვიდათ? ლექსს ხომ მონასტირსკის ბეჭედი დავაკარით.

— ხო! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— ხო, დიახ, მისულა და ბატონი გუბერნატორი ეტყობა ძალზე უსიამოვნებია.

— ახლა რა ვქნათ?

— დაწექით, ვითომ გძინავთ, მე წავალ, გავიგებ, საქმე როგორ არის — ბიჭები ლოგინში ჩაწვნენ, სიბნელეში ელვარებდნენ

მხოლოდ მათი შეშინებული თვალები. პეტრე კედელს აეკრა, გარეთ გაიცქირა.

საუკუნედ მოეჩვენათ ლოდინის წუთები და, აი, პეტრეს ლანდიც გამოჩნდა. ყველანი შემოეხვივნენ.

— ბიჭებო, ბიჭებო, საქმე სახუმროდ არ არის გამწყრალა გუბერნატორი, გამოუგზავნია თავისი ამალა: პროკურორი, პოლიციის უფროსი, ჟანდარმერიის ოფიცრები, შეუყვანიათ მონასტირსკი და სატირის ავტორს ეძებენ. გავიგონე, მონასტირსკიმ როგორ უთხრა: — ბეჭედი ჩემია, მაგრამ არა ვიცი რა, იქნებ ბეჭედი ვინმემ მომპარაო.

— შენი ჭირიმე, ბიჭო, ყოჩაღ, კარგად მოუფიქრებია.

— ტატოს ახსენებდნენ, მაგრამ კარგად ვერ გავიგონე. ამ დროს ჟანდარმის ოფიცერი ფანჯრისაკენ წამოვიდა და მეც მოვცოცხე.

— ტატოს? ტატოს უნდა გავაგებინოთ!

— მას ხომ სხვა ლექსებიც აქვს?

— ტატოსთან მე წავალ გავაგებინებ! — წამოიძახა ჩაცმულმა ლევანმა.

— მე ისევ წავალ, იქნებ რაიმე გავიგო, თქვენ კი დაწექით.

ლევანი შურდულივით შეიჭრა ბარათაშვილებისას.

ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებული ეფემია ტატოს ლოგინზე დაიხარა.

— ტატო, შვილო, ადექი, ჩქარა ადექი!

— რა იყო, დედი?

— ლევანი მოვიდა გიმნაზიიდან, შენთან საქმე აქვს.

— რა უნდა? — ტატოს თითქოს წყალი შეასხესო ზეზე წამოიჭრა სწრაფად გამოფხიზლდა. — სად არის?

— აგერა ვარ. — მოისმა ტატოს საწერ მაგიდასთან მისული ლევანის ხმა. წუთით ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ. ტატო დედას მიუბრუნდა.

ეფემია თავდახრილი გავიდა შვილის ოთახიდან. ტატო მაგიდას მივარდა, სწრაფად გადმოყარა ქაღალდები და ბუხარში შეყარა.

— ცეცხლი წაუკიდე, ლევან!

ლევანმა ქაღალდებს ცეცხლი წაუკიდა, თან ტატოს უამბობდა:

— ვერ გავიგეთ, როგორ მოვიდნენ და გაიყვანეს მონასტირსკი.

კიბეზე ამოსულთა ფეხის ხმამ შეაკრთო ორივენი.

— ლევან, გადი, არ გნახონ, იცოდე, არავინ არაფერი არ იცით,

ლექსი არც გინახავთ, არც არაფერი გაგიგონიათ ამის შესახებ, ილიასა და მიხეილსაც აცნობე.

ოთახში პირველად მელიტონი შემოვიდა. ტატო მამის დანახვამ უფრო შეაშინა, ვიდრე ჟანდარმთა ოფიცრის შემოსვლამ.

ჩხრეკა დაიწყო, კუთხეში ერთმანეთზე ყრიდნენ ტატოს საყვარელ წიგნებს, ტატო კი ჩუმად იდგა და თვალს არ აცილებდა გაფითრებულ ეფემიას და გაჯავრებულ მელიტონს, რომელიც უხმოდ ბოლთასა სცემდა. კარებში გამდელი იდგა, ცოტა მოშორებით მის ზურგს ამოფარებულ ბაბალეს, კატოს და მოსამსახურეთა შეშინებული სახეები მოჩანდა.

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილო, ეს ლექსი თქვენი დაწერილია? — გაუწოდა ტატოს ჟანდარმის ოფიცერმა ლექსი. ტატოს არ დაუხედავს, ისე გასცა პასუხი:

— არც ეხ ლექსია თქვენი დაწერილი? — ახლა მეორე ლექსი გაუწოდეს.

— არა!

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილო, თქვენ მეგობარი ხართ სოლომონ დოდაშვილისა?

— არა, მე მხოლოდ მოწაფე ვიყავი სოლომონ დოდაშვილისა; იგი მიკითხავდა რუსულ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს.

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილო, თქვენ დაპატიმრებული ხართ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი, რომელიც ჩვენი მეფის მოღალატეა.

— შვილო! — გულშეღონებული ეფემია გამდელმა ოთახიდან გაიყვანა. ტატომ დედის შეკივლება გაიგონა, მოეჩვენა გულზე ვიღაც დასწვდა, ხელი წაავლო და ამოსაგლეჯად ზევით ეწეოდა. სული შეეხუთა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. კიბეზე ჩამოსულს მამის ყვირილი მოესმა:

— განა არ ვეუბნებოდი, სოლომონსა და ფილადელფოს ბერს თავი დაანებე, თორემ ციხეში წაგაბრძანებენ-მეთქი. და აი, ხომ წააბრძანეს. — იმეორებდა მელიტონი თითქოს ნიშნს უგებსო.

ალაყაფის კარებთან ილია შეეფეთა.

— ილიავ, დედას უთხარ, ნუ სწუხს.

ეფემია დიდხანს იყო კარის ეკლესიაში ხატის წინ დამხობილი:

ღვთისმშობელო დედავ, შენ უწინამძღვრე ჩემს ტატოს ყოველ საქმეში, ხალხისა და თავის ქვეყნისათვის მავნე საქმეს ნურასოდეს ჩაადენინებ. ძმაო გრიგოლ, შენ მეყოფოდი სადარდებლად, ტატოს დარდი ნაღველივით მეწვეთება გულში, ჯერ ბავშვია უგზოუკვალო; ღვთისმშობელო დედავ, შენ გაუნათე ცხოვრების გზა.

ყვირილი მოესმა ეფემიას, აზრი აერია. ტაძარში სახეშეშლილი გამდელი შემოვარდა:

— ქალბატონო, გამობრძანდით, ბატონი დააწყნარეთ, არსად წავიდეს!

— სად მიდის? — კითხვა არ დაემთავრებია ეფემიას, რომ გარედან მელიტონის ყვირილი მოესმა:

— გუბერნატორთან მივალ, ვთხოვ, ცემით სული ამოხადოს მამულის, მეფისა და ხალხის მოღალატეს.

წამოდგა ეფემია, კაბა აიკეცა, ეკლესიიდან გამოვიდა; პირველად თავის ცხოვრებაში შეუტია მელიტონს:

— რას ამბობ, ჩემი ტატო მამულისა და ხალხის მოღალატეა? სტყუი, სტყუი!

ტატო კი ამ დროს საკანში იჯდა, ჭურჭუტანიდან ხედავდა ცის პატარა ნაჭერს, თბილისის ცის ლურჯად მოკამკაშე პატარა ნაჭერს. კარი დაუკეტეს, თავისუფლება დაუხშეს, თბილისი მოსტაცეს, მაგრამ რა იციან უგნურებმა, რომ ტატო ჭურჭუტანიდან ხედავს თბილისს, ანკარა წყალივით თბილისის წმინდა გულს.

ციხის დარაჯმა უთხრა, სოლომონს, გრიგოლს, ალექსანდრეს ყველას გადაასახლებენო, იმათზეღა ჯავრობს ტატო, ჩუმად, ჩუმად. ესაუბრება ძია გრიგოლს, ისე როგორც მთვარიან ღამეში თბილისის გარეუბნებში სეირნობის დროს იცოდნენ;

— ძია გრიგოლ, სხვათა ქვეყანაში, უცხო მხარეში, როგორ გასძლოს შენმა გულმა, სად ნახავ სხვა საქართველოს?

დარაჯმა ჯარი გააღო, დაფიქრებულ ტატოს ხელი შეახო:

— ნუ დაღონდები, ბარათაშვილო, მალე გაგიშვებენ!

— მართლა! იმათ?

— იმათ გაგზავნიან!

გაწვდილი ხელები ჩამოუცვივდა ტატოს.

— დაბრუნდებიან, ნუ გეშინია, დაბრუნდებიან, ამტანია ჩვენი ხალხი, ჰა, გამომართვი, ჭავჭავაძის ქალებმა გამოგიგზავნეს. — დარაჯმა აბრეშუმის ნაჭერში გახვეული გაუწოდა:

— დამალე, არ გინახონ. — ტატომ ჩამოართვა, გახსნა ხავერდის ყდაში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი". ვერცხლის შესაკრავი გადასწია, გაშალა, წაიკითხა:

— „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვარგუნებ, რა ზნე გჭირსა? სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა". — დე, დაუხშონ კარი, საცქერად თბილისის ცის პატარა ნაჭერიც ეყოფა. ამითაც გაიგებს თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამს. ახედავს ლურჯად მოსარკულ თბილისის ცას და ეცოდინება, თუ უდარდელია მისი ქვეყანა. ახედავს ღრუბლითა და ნისლით დაფარულს და მიუხვდება, თუ სატკივარი რამ გასჩენია მის ქალაქს.

მაშინ, როცა ზამბახები უვაოდნენ

საიდან დაირხა საშინელი ხმა? ნუთუ მაისის ნიავმა ახალი დარდი და მწუხარება მოუტანა თბილისს? აბა, ვინ აცნობა ასე სწრაფად ქალაქს?

— ბატონიშვილებს ასახლებენო! — ამას იმეორებს ყველა. დედაბუდიანად მიეშურებიან სოლოლაკისაკენ, იქ, სადაც ბატონები სახლობენ.

ეფემიას ტატოს ციხიდან დაბრუნების სიხარული დაუხშო საზარელმა ამბავმა; ყაზარმობიდან დაბრუნებულმა ტატომ მთელი ქალაქი შემოირბინა. ახლა კი ახალმა ჭირმა იჩინა თავი. ბატონიშვილებისაკენ გაეშურა სასწრაფოდ.

შუა დარბაზში ხალხით გარსშემოხვეული თეკლა იდგა. ფერი დაკარგოდა მთელი ღამის უძილოს. ირგვლივ ქვითინი ისმოდა და აქაიქ შეძახილები:

— ერთ დღეს დავიხოცებით და არსად გაგიშვებთ, ბატონიშვილო!

— ვერავის დავუთმობთ მეფე ერეკლეს ქალს, ჩვენთან უნდა იყოს სიკვდილამდე!

— შევიარაღდეთ, ქართველებო, ჩვენსავე ქვეყანაში უცხო როგორ ვაბატონოთ!

— ვერ დავუთმობთ ბატონიშვილს!

მარჯვენა ხელი აღმართა თეკლამ:

— გამიგონეთ, შვილებო! — ცრემლს გაებზარა მისი ხმა. — რამ აგაშფოთათ? განა ცოტა ჭირნახულია საქართველო, განა ეს პირველია ან უკანასკნელი? განა ასე ძნელია სხვათა ქვეყანაში ცხოვრება? იქაც ხომ ხალხი ცხოვრობს? ჩემს უკანასკნელ სურვილს გიტოვებთ, არ დაივიწყოთ თქვენი სამშობლო და თქვენი ენა.

გარეთ ტარანტასებს ამზადებდნენ, გარეცხეს, თელებზე ქონი წაუსვეს. თითოეულში ოთხ-ოთხი ცხენი შეაბეს, თეკლა გამოვიდა. ბარგით დატვირთულ ცხენებსა და ტარანტასებს ხალხი შემოხვია, მღვდელმა პარაკლისის გადახდა დაიწყო. აქა-იქ გაისმა ჩუმი ქვითინი. დაამთავრა მღვდელმა პარაკლისი, ხალხი თეკლას ხელებზე, კაბის კალთაზე კოცნიდა. თეკლა ალერსიან სიტყვას ეუბნებოდა ყველას. ბავშვები მიუყვანეს, უნდოდა ეჩვენებინათ მეფე ერეკლეს უკანასკნელი ჩამომავალი.

დაიძრნენ ტარანტასები და ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმები. უამრავი ხალხი აცილებდა ბატონიშვილებს. ცხენი მოითხოვა თეკლამ. ახალგაზრდობა გაახსენდა უნებურად, როცა ამ ადგილებში ვაჟურად ჩაცმული ცხენს დააჯირითებდა. გაახსენდა, რამდენჯერ უნადირნია მამასთან ერთად, როგორ ასწავლა მამამ თოფის სროლა, ხმლის ხმარება, როგორ უბოძა სიგელი თეკლა-ბიჭის სახელის შერქმევისა, რამდენი სიხარული და მწუხარება უნახავს აქ, სადაც ყოველი კუნჭული, ყოველი ხე და ყოველი ბუჩქი მისთვის ახლობელია! მიდიოდა თეკლა ბატონიშვილი, უკან რჩებოდა მაისის მზით განათებული თბილისი. უყურებდა თეკლა, როგორ აფეთქილიყვნენ იასამნის ბუჩქები და თბილისის გარშემო ყვაოდნენ ზამბახები.

მოქანცა ტატო ქალაქის მწუხარებამ. მზეს შუქი დაჰკარგოდა თბილისისათვის და მაისის დღეს ბრწყინვალება. მიყრუებულიყო სახლის ბანები, აღარ ისმოდა საზისა და დაირის ხმა. ფანჯრებიც კი დაეხშოთ მცხოვრებლებს. ქუჩებსაც სუნთქვა შეკვროდა და აღარ გაისმოდა მზის ქვეყნის ჩვეულებრივი ხმაური.

აღარავის ესმოდა მაისის მიწვევა, აღარავინ ჩანდა ქუჩებში, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა მარტოდ მიმავალი მგზავრი, რომლის ნაღვლიანი სახე აშკარად მეტყველებდა, თუ რა დიდი დარდი გასჩენოდა ქალაქს.

გულმა ვეღარ გაუძლო ტატოს მწუხარებით სავსე ქალაქში.

მთაწმინდისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს შეჰყვა, ჯერ ისევ დღის ნათელი იდგა ქუჩებში, მთაწმინდას კი ბინდი დაუფლებოდა და ტატოს მწუხარე გულიც ამ ბინდისაკენ მიისწრაფოდა. იქ მოელოდა ტატო გულის სევდის გაქარვებას. მაისის მწუხრი შემორტყმოდა მთაწმინდას, გულდახურული იდგა სევდით მოცული. მყუდროებას დაესადგურებინა ყველგან.

მიჰყვებოდა ტატო ვიწრო ბილიკს ზევით, სულ ზევით. სერზე ავიდა, შეჩერდა, თვალწინ ტურფა სანახაობა გადაეშალა; მაისის ძალა ვერ შეეჩერებინა ქალაქის მწუხარებას, გაშლილ ველზე ზამბახები მიმოფანტულიყვნენ, ჰყვაოდნენ ლურჯად აფეთქილი ზამბახები და მათ სურნელებას სიო იტაცებდა.

სიყდა მიუყუჩდა ტატოს, ახედა ლაჟვარდ ცას და შორს, შორს გაიფანტნენ მისი ფიქრები. უეცრად ქვითინი ჩაესმა. შეკრთა. „ეს ვინ არის, აქ რომ ამოსულა თავის მწუხარების გასაქარვებლად? ეს ვისი ხმა არის, თავის სევდას ამ მყუდრო საღამოს რომ უზიარებს?“ ბილიკს აჰყვა.

მთის უბეში მეუღლის საფლავზე დამხობილი ნინო ქვითინებდა. იქვე გამდელი მოკუნტულიყო და ნელის ხმით მოთქვამდა. ტატო შედგა. ნინომ თავი აიღო, ცრემლიანი თვალები მიაპყრო:

— შენც აქა ხარ, ტატო, ალექსანდრესაც უყვარდა აქაურობა, ამიტომაც აქ გაიჩინა ბინა. მოდი აქ, მოდი, ჩვენი ქვეყნის მოჭირნახულე იყო ჩემი ალექსანდრე, ერთად გავუზიაროთ, რა გასაჭირი ადგია ჩვენს ქვეყანას, იქნება გვითხრას რამ, გვირჩიოს. იქ, უცხოთა მხარეში ხშირად მესაუბრებოდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალზე, მაცნობდა თავის გეგმებს. ახლა კი ხმას აღარ მცემს, არაფერს მირჩევს, როცა მამაც შორს წაიყვანეს და სრულიად უპატრონოდ დაგვაგდეს, განა მარტო მე, ყველას მოსტაცეს მამები, ძმები, შვილები.

ტატო დაიხარა ნინოს წამოსაყენებლად, წამოდგა შავით მოსილი ნინო. ტატო უყურებდა საფლავის წინ თავდახრილ ნინოს და ასე ეგონა: შავით მოსილი დედა ქართველისა დასტიროდა აქაურობას.

ზევიდან დაჰყურებდა ტატო, როგორ ეშვებოდა ბილიკით ქალაქისაკენ თავდახრილი ნინო, უკან გამდელი მიკუნკულებდა მოხუცის პატარა ნაბიჯებით და, აი, იასამნის აფეთქილმა ბუჩქებმა დაჰფარა ისინი, დადუმდა არემარეც, ბინდი გადაეკრა ცის კამარას და შორიდან ნიავმა ბულბულის სტვენა მოიტანა.

აყვავებულ ზამბახებში გაწვა ტატო, ზევიდან ლაჟვარდი ცა

დაჰყურებდა. აქ, ცის პატარა ნაჭერს კი აღარ ხედავდა, არამედ, მთლიანად თბილისის ლაჟვარდ ცას, რომელიც თითქოს უღიმოდა მას. ვარსკვლავები აციმციმდნენ აქა-იქ და მთვარის შუქზე ზამბახებზე ცვარი აკიაფდა. თურმე ლაჟვარდ ცასაც სევდა გასჩენოდა და მის ცრემლს, დედამიწისაკენ წამოსულს, აყვავებული ზამბახები იკრავდნენ გულში.

— „გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!" — ჩაესმა სიჩუმეში, წამოიჭრა, ხელებზე დაყრდნობილმა მიმოიხედა, „ეს ვინ იყო? ვისი ხმა იყო?" აქ, ამ მყუდრო საღამოს, სევდა გულისა განიქარვა ტატომ და პირველად გაიგონა ზეშთაგონების ხმაც.

• •

მის შემდეგ, რაც კაკალა გადასახლებაში გაჰყვა გრიგოლს, მიტო მთელ თავისუფალ დროს ბარათაშვილებისას ატარებდა. ტატოს მუდამ ახსოვდა კაკალას თხოვნა — თქვენს მეტი აღარავინა ჰყავს მიტოს, მარტო არ დამიგდო ბიჭო.

ტატო, ილია და მიტო ხშირად ისხდნენ ერთად, თავიანთ აზრებსა და მომავლის იმედებს ერთმანეთს უზიარებდნენ, ხან კი იგონებდნენ გრიგოლს, კაკალას, მის გაკეთებულ ციგას, შურდულებსა და ჩირაღდნებს.

— მაშ, ხვალ შენს კურთხევაზე მოვდივართ, მიტო!

— თქვენ თუ არ მოხვედით, მაშ ვინღა მოვა?

— ქიტესას დედისათვის უთქვამს: — მიტოსთანა ხელოსანი არ მეგულება, ისეთი საზრიანი და მოფიქრებულიაო.

მიტოს სახე წამოუწითლდა და იატაკს უხმოდ დააჩერდა.

ტატომ მოუსვენრად გაატარა ის ღამე. მეგობრის ბედზე ფიქრობდა, გულში კაკალას ულოცავდა, ნატრობდა „რა იქნება კაკალა რომ უეცრად გაჩნდებოდეს მიტოს ხელოსნად კურთხევის დროსო".

დილით შინდისფერ ქულაჯებში გამოწყობილი ტატო და ილია ხელოსნების უბნისაკენ გაეშურნენ. ქუჩებში გოგო-ბიჭები ყიჟინებდნენ და ისინიც ხელოსანთა უბნისაკენ მიეშურებოდნენ.

— ქიტესას შეგირდის კურთხევა აქვს!

— მიტო ხელოსნად უნდა აკურთხონ!

— ჩქარა წავიდეთ, ჩქარა! — გასძახოდნენ ერთმანეთს, აჩქარებ-

დნენ და ვიწრო ქუჩებში ვარბოდნენ ფერადხალათიანი ფეხშიშველი ბიჭები.

ხელოსანთა უბანი ხელოსნის კურთხევას ზეიმობდა. სახელოსნოების წინ ფრიალებდა დროშები. ქიტესას სახელოსნოს წინ კი განსაკუთრებული ხმაური იდგა. დარბაისელ მოხუც ხელოსნებს ერთად მოეყარათ თავი და საუბრობდნენ. მაყურებელი ერთმანეთში ირეოდა და გოგო-ბიჭები ფეხებში ებლანდებოდნენ.

— თავადიშვილები მოდიან, თავადიშვილები! — ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა, ტატოსა და ილიას გზა დაუთმეს, ისინი ქიტესასთან მივიდნენ:

— მოგვილოცავს, ძია ქიტეს, ყოველი ახალი შეგირდი ოსტატის გამარჯვებაა!

— თქვენც გაიხარეთ, ღმერთმა დაგლოცოთ ტოლის სიხარულით გახარებულნი.

ტატო და ილია სათითაოდ მიესალმნენ: უსტაბაშს, აღსაკალს, იგითბაშსა და ამქრის საპატიო წევრებს. ახლა მიტოსთან მივიდა ტატო და დედის ნაკერი აბრეშუმის სარტყელი წელზე შემოარტყა.

ამქრის საპატიო წევრებმა მიტოს ნამუშევრის შემოწმება დაიწყეს, იგითბაშმა საწერ-კალამი მოიმარჯვა, უსტაბაშმა ხელში საყურე აიღო და ყველას უჩვენებდა, ხალხი ჩუმად იდგა და ელოდა.

— კურთხეული მარჯვენა ჰქონია!

— ღმერთს მაგის მარჯვენა უკურთხებია.

— ამიერიდან კარგი ამზანაგი გვემატება.

— ქიტესას გაზრდილია, ქაქალას ჩამომავალი არ შეგვარცხვენს.

დამთავრდა შემოწმება. ზურნამ გამარჯვებისა დაუკრა. ქიტესამ ხელში დროშა აიღო. მიტოს აბრეშუმის სარტყელში სიმქაში გაუკეთეს და ორთაჭალის ბაღებისაკენ დაიძრნენ.

წინ მოხუცი ქიტესა მიდიოდა, მის გვერდით ოქრომჭედლების დროშას მიაფრიალებდნენ, გვერდით მიტო მისდევდა თვალებგაბრწყინებული და სახეაწითლებული.

ჰყვაოდა ორთაჭალის ბაღები. ნუშები, ატმები და ტყემლები მორთული პატარძალივით ეგებებოდნენ საზეიმოდ შემოსულთ. ზურნის ხმაზე შეირხნენ აყვავებული ხეები, თითქოს ტაში შემოჰკრესო და ფერადი ბილილები თავზე გადმოაყარეს მოსულებს. გზის ნაპირებზე ენძელებსა და ყოჩივარდებს ამოეყოთ თავი, ერთმანეთისაკენ

იხრებოდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ და ჭორიკანა ლედაკაცებივით მორცხვად იღიმებოდნენ.

მოსულებს წინ ლოპიანა შემოეგებათ, მას ხელში ჩამჩა ეჭირა, ვეებერთელა ქვაბით შემოდგმულ შილაფლავს ურევდა. ლოპიანა ტატოსა და ილიას გადაეხვია.

— თქვენი ჭირიმეთ, ყმაწვილებო, თქვენლა გიყურებთ ჩემი გრიგოლის სამაგიეროდ.

დამხვდურები მოსულებს ესალმებოდნენ და გაშლილი სუფრისაკენ იწვევდნენ. ლურჯ სუფრაზე თეფშების ნაცვლად კომბოსტოს ფოთლები ჩამოერიგებინათ, ჭიქების ნაცვლად კი თიხის ფიალები ჩაემწკრივებინათ.

შემოსილი მღვდელი სუფრის თავში იდგა. სუფრის გარშემო გოგო-ბიჭებმა ანთებული წმინდა სანთლები ჩაამწკრივეს და მღვდელმა სუფრა აკურთხა.

მღვდლის გვერდით მდგომ ქიტესასთან მივიდა მიტო, წინ მორჩილად გაუჩერდა და ერთმანეთზე მიდებული ორივე ცერი გაუშვირა. ქიტესამ გაუღიმა მიტოს, ცერებზე მარცხენა ხელი წააცლო და მარჯვენა ხელით მარჯვენა ლოყაზე სილა შემოჰკრა, ახლა მარცხენა მიუშვირა მიტომ და ქიტესამაც მარცხენა ლოყაზეც შემოჰკრა. მესამე სილამ, მარჯვენა ლოყაში შემოკრულმა, ჰაერში ძლიერად გაიტაცუნა. მიტოს მარჯვენა ლოყა და ყური აუწითლდა, მაგრამ თვალები კი კვლავ მხიარულად უცინოდნენ.

სუფრას უფრო-უმცროსობის მიხედვით შემოუსხდნენ, ლოპიანა კვლავ ქვაბთან ტრიალებდა.

წამოდგა უსტაბაში, ხის ჯამი აიღო, მიტოს ხელოსნად დალოცვა დაიწყო:

— ღმერთმა, როცა სულდგმული გააჩინა, ბრძანა: უფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო, შრომითა და რედუნებით ისაზრდოვეთო. თვით შიშველი მიწაც შრომით შეიმოსა, გაშენდა და განაყოფიერდა. — სულგანაბული უსმენდნენ უსტაბაშს. მიტო თავდახრილი იდგა, მხოლოდ ერთს ფიქრობდა: — როგორი დიდი და მოუქნელი ხელი აქვს უსტაბაშს და როგორ ახერხებს ფაქიზი ნივთების გაკეთებასო. — უსტაბაში კვლავ განაგრძობდა:

— შენ, მორჩილო და ნამუსიანო შეგირდო! დღეის შემდეგ პატიოსნად ატარე ხელოსნის სახელი, უფლება გეძლევა შენი ხელობით იარსებო და შენ, შეგირდო ჩვენი ხელობისა, ახლა, რო-

ცა ამხანაგად გაგვიხდი, შეჰფიცე ამ დროშას, — უსტაბაშმა დროშა შეარხია, — არამც და არამც არ იარო მრუდე გზით, იყავ გულმართალი და პატიოსანი. პატიოსანი შრომა შეასწავლე შენს შეგირდებსაც და ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ შენ გექცეოდით. ღმერთმა გაშოროს შური და სიბოროტე შენი ხელქვეითებისა. — დააშთავრა უსტაბაშმა და ჯამი ქიტესას გადაულოცა.

ზურნამ საცეკვაო დაუკრა, ლოპიანამ შავი შალის ჩოხის კალთები აიკეცა, ვერცხლის გობაკებიანი ქამარი გაისწორა, გალიბანდის ქუდი გვერდზე მოიქცია, მკლავები გაშალა და დაიწყო:

„ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის?
ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ?
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ?
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ?"

— ჯან, ლოპიანავ, ჯან! — ზანზარებდა მთელი სუფრა და ლოპიანაც ფართო მხრების რხევით დინჯად უვლიდა წრეს.

ზურნა და დუდუკი ერთმანეთს სცვლიდა. ლხინი გრძელდებოდა, სიტყვა ქიტესამ აიღო:

— ჩვენ ყველას ერთი გზა გაგვიელია. ისე როგორც დღეს მიტო ხელოსნად ვაკურთხეთ, ასევე ერთ დროს მეც მაკურთხა ჩემმა ოსტატმა. გუშინდელივით მახსოვს ის დღე, ოქროპირი იყო ჩემი ოსტატი, მისი ანდერძი არ დამვიწყებია, ისევე გამეზარდა ჩემი შეგირდი, როგორც მან მე გამზარდა. ასევე მას თავის ოსტატის ანდერძი არ დაუვიწყნია და მე გადმომცა, ასე გვექნება მუდამ ერთი ანდერძი თაობიდან თაობამდე, სანამ არ მოკვდება თვით ხელოსნობა. ჩემს ოსტატს გაუმარჯოს, საუკუნო განსვენება მიენიჭოს სასუფეველსა შინა და საუკუნო ხსენება მისცეს ღმერთმა.

— ქიტესამ პურზე ღვინოს თავი წაუქცია, ხის ჯამები აღიმართნენ და გაისმა შეძახილები:

— იკურთხოს ხელოსნის მარჯვენა!

— თავის ოსტატი და მისი ანდერძი მუდამ ახსოვდეს ყოველ ხელოსანს!

— ხელოსნის ადათი და წესი ნუ მოშლილიყოს!

ტატო და ილია საღამოზე შინ წავიდნენ. ხვალინდელი ქეიფი უფროსების იყო და აქ მათ არაფერი ესაქმებოდათ.

ივ ღამეს ტატო დიდხანს უამბობდა დედას მიტოს ხელოსნად კურთხევის ამბავს.

— ღმერთმა ყოველ საქმეში უწინამძღვროს, ობლის მამა ღმერთია, — ჩურჩულებდა ეფემია.

— იცი. დედა, ვინატრე, ნეტავ მეც ხელოსანი ვიყო-მეთქი.

— შენც მალე გაკურთხებენ, შვილო, დიდი დრო აღარ დაგრჩა გიმნაზიის დამთავრებამდე.

— გიმნაზიას დავამთავრებ, მაგრამ ცხოვრების გზა საძებარი მექნება.

— დავაქაცდით უკვე, ასე მგონია, გუშინ იყო, ხოლერობის შემდეგ კაკალამ დაობლებული პატარა შვილიშვილი რომ მოიყვანა, დღეს კი უკვე ხელოსანია, შენც მონახავ ცხოვრების გზას, შვილო. ცხოვრებაში თავის ხვედრი არავის დაეკარგება.

ტატოს თვალები გაუშტერდა, დედას აღარ უსმენდა, ეფემიამ ხელი წაატანა:

— რა იყო, აღარ მისმენ?!

— ვიპოვი კი ჩემს ხვედრს?

დიდხანს, დიდხანს იყო დედა-შვილი ჩაფიქრებული.

მესამე დღეს ჯერ ისევ ლოგინში მწოლარე ტატოს ილია თავზე დაადგა.

— ადექი, ჩქარა, დღეს ხომ ნამცეცობაა, მიტოს კურთხევის ნამცეცობაა!

— ჯერ ადრეა.

— რად არის ადრე, განა თავადურად უნდა დავიგვიანოთ?

ტატო და ილია ორთაჭალის ბაღებისკენ გაეშურნენ. ისე გაირბინა დღემ, არ გაუგიათ, საღამოთი, როცა ჩირაღდნები აანთეს, ზურნით, ანთებული სანთლებით და თაიგულებით კვლავ ქიტესას ხაოქრომჭედლოსკენ გაეშურნენ, მხოლოდ მაშინ ივრძნეს, როგორ შეუმჩნეველად გაირბინა დღემ.

მივიდნენ სახელოსნოსთან, დროშა სახელოსნოს წინ მიამაგრეს, აქეთ-იქით ჩირაღდნები გაამაგრეს. ზურნამ საცეკვაო დაუკრა და ტატოც გამოვიდა. წმინდა სანთლების ალზე ელვარებდა მისი შინდისფერი ქულაჯა და ხელგაშლილი თავის ხვედრს ეგებებოდა.

ჭავჭავაძიანთ ბაღის ბოლოში საქანელაზე ისხდნენ მაიკო და ეკატერინე. ტატოს ელოდნენ. ტატოს დაპირებისამებრ მოსწავლეთა ალმანახის პირველი ნომერი უნდა მოეტანა. ხელნაწერი ჟურნალის გამოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თბილისელები ცდილობდნენ არც ერთი სიტყვა არ დარჩენოდათ წაუკითხავი.

ძლივს მოახერხა ტატომ ჟურნალის ხელში ჩაგდება და ჭავჭავაძეებისაკენ გაეშურა.

აივანზე სალომე იჯდა, ხელში ყალამქრის ნაჭერი ეჭირა და ქარგავდა.

— შეილო ტატო, საქანელასთან გელოდებიან მაიკო და ეკატერინე. — გაუღიმა სალომემ სტუმარს.

ბაღის ბილიკს გაჰყვა. ათასფრად ყვაოდა ყვავილნარი, სიო არხევდა ახალაყრილ ყლორტებს. მხიარული იყო ტატო, თავისი საგანძური მიჰქონდა მეგობრებთან. გულს მათი მოწონება სწყუროდა. შორიდან მაიკოსა და ეკატერინეს კისკისი მოესმა.

აყვავებული წაბლის ტოტზე ჩამობმული საქანელის ფიცარზე იდგნენ მაიკო და ეკატერინე. ჰაერში გაფრენილი ფარშავანგივით ფრიალებდა ხან ერთი, ხან მეორე.

ეკატერინეს პირისფერი კაბა ეცვა, სახე ასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა, გაწეწილი ხუჭუჭი თმები მხრებზე ჩამოშლოდა და წაბლის ყვავილები თმებზე ლოლუებივით ახუნძულოდა.

ყოველ გაქანებაზე მათრახებივით ირხეოდნენ მაიკოს ნაწნავები, პატარა თავზე მწყობრად დაწყობილი თმებითა და მოშვილდული წარბებით გაფრენილ მერცხალს ჰგავდა საქანალაზე ზეატყორცნილი მაიკო. ტატოს დანახვაზე საქანელა შეაჩერეს, ერთხმად შესძახეს:

— ჟურნალი მოიტანე, ტატო?

— მოვიტანე! — დასტური დასცა და ქალებიც საქანელიდან გადმოფრინდნენ.

— საქანელაზე ჩამოესხდეთ, სჯობს!

ქალების შუა ჩაჯდა ყმაწვილი, მუხლებზე ალმანახი დაიდო. ირწეოდა საქანელას თოკი, ირხეოდა აყვავებული წაბლის ტოტი, წაბლის ყვავილობა იყო და ყვავილებთან ერთად მისი სურნელიც ნოჰქონდა სიოს.

— ვადავათვალიეროთ, მერე წავიკითხოთ!

— რამდენი განყოფილებაა?

— ოთხი.

— შოთა რუსთაველი, პუშკინი, ალექსანდრე და გრიგოლ ორ-ბელიანები, ყოჩაღ, აღარა ხუმრობთ.

— მაშ, როგორ? განა მარტო მოსწავლეთა ალმანახია?!

— მოსწავლეთაგან ვისი მასალებია?

— მიხეილ თუმანიშვილისა, დავით მაჩაბლისა და თქვენი მონა-მორჩილის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილისა.

— მაჩვენე „ვეფხისტყაოსნიდან“ რომელი ადგილია?

— მოიცათ, წაგიკითხავთ: — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“.

— მიხეილს დამიხედეთ, პუშკინის „კავკასიის ტყვე“ უთარგმნია!

— განა ურიგო თარგმანია?

— არა, მშვენიერია!

— გრიგოლის „იარალიც?“

— „შემოღამება მთაწმინდაზედ...“ თქმული ნიკოლოზ ბარათო-ვისა, წაგვიკითხე, ტატო! — სთხოვა ეკატერინემ.

„ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგე-შებლად: როს მჭვუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსა-ჭარებლად“. — დაამთავრა ტატომ უკანასკნელი სიტყვები.

გარინდულიყვნენ მაიკო და ეკატერინე, უხმოდ მისჩერებოდნენ, თითქოს მათ წინ უცხო იდგა და ვერა სცნობდნენ. საიდან მოიტანა ამოდენა ძალა, ვინ ჩაუდგა ამოდენა სული?

ტატო ერთხანს შესჩერებოდა ორივეს:

— რა დაგემართათ, ეგრე რად მიყურებთ?

— ჩემო ტატო, ეს შენა ხარ, ნამდვილად შენა ხარ? — ეკატე-რინე ტატოს მხრებში სწვდა, შეარხია.

— შენი ჭირიმე, ტატო, ერთხელ კიდევ წამიკითხე!

მაიკოს წამწამებზე ცრემლი გადმოეკიდა, ტატომ კვლავ დაიწყო:

— „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ!..“

— ტატო, მაშინებ, ტატო!

— რათა, მაიკო?!

— მეშინია, ტატო, შენ ჩვენი აღარა ხარ, ტატო ვეღარა გხე-

დავ, სადღაც შორს, შორს მიდიხარ ჩვენგან, ველარა გწვდებით! — მაიკომ სახეზე ხელები აიფარა.

— ნუ შიშობ, მაიკო, ტატო ისევ ჩვენი იქნება, როგორც ყოველთვის, საქანელაზე დავჯდეთ ტატო გაგვაქანებს.

— არა, არა ეკატერინე! — ხელები გაასავსავა მაიკომ. — მოშეცი, ლექსი, მომეცი! — ტატომ რვეული გაუწოდა.

— ტატო, ჩვენ საქანელაზე დავსხდეთ!

მაიკო მწვანე მოლზე დაჯდა, კითხვა დაიწყო, ტატო და ეკატერინე საქანელაზე შეხტნენ. ქანაობდა საქანელა, უჩვეულო და დიდი სიხარული ეუფლებოდა ორივეს. ირხეოდნენ აყვავებული წაბლის ტოტები, ბზის ბუჩქზე შაშვი ჭახჭახებდა. მთაწმინდაზე მწუხრის ზარი რეკდა შეუჩერებლად, მიდამოს ეკატერინეს კისკისი აყრუებდა.

— ჩქარა, ჩქარა გავქანდეთ, ტატო, ქროლვით ავიდეთ მთაწმინდამდე.

ხელიდან საქანელის თოკი გაუსხლტა ეკატერინეს. წამი და გაქანებულ საქანელიდან გადმოვარდებოდა. ტატომ ორივე ხელი გაიშვირა შესაჩერებლად. რად იყო ეკატერინეს თვალები ტატოს თვალებთან ასე ახლოს? მისი ბაგე ასე მხურვალე? ტატოს თვალებში შიშმა და გაოცებამ დაისადგურა. ეკატერინეს შეკივლებამ გამოარკვია, სწრაფად ჩამოხტა საქანელიდან, შორიდანლა მოესმა მაიკოს შეძახილი:

— რა მოგივიდა, ეკატერინე, მეგონა გველმა გიკბინა ან მორიელმა! — პასუხად ეკატერინეს კისკისი მოესმა.

ტატოს ტანზე ბუსუსები დააყარა. ბალიდან გამოსული წყაროსთან შეჩერდა. წყაროსთან მეჯინიბე ჭავჭავაძიანთ ცხენებს აურვებდა. ტატო კი გაურბოდა ეკატერინეს ცეცხლოვან თვალებსა და მხურვალე ბაგეს.

ბურანში გაატარა ის ღამე, აღარაფერზე ფიქრობდა საქანელაზე ქანაობით გაბრუებული. თვალწინ მხოლოდ საქანელა და ჰაერში აფრენილი ეკატერინე უტრიალებდა.

დილით მთელი სხეული სტკიოდა, თავი უბრუოდა. სკოლისაკენ მიმავალს ილიასათვის არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. არც გაკვეთილის მსვლელობისათვის მიუქცევია ყურადღება. უეცრად დარხეულმა ხმამ გამოაფხიზლა.

— არსენა მოუკლავთ!

— არსენა მოუკლავთ?
— კუჭანტელს მოუკლავს!
— წავიდეთ, ვნახოთ!
ყველანი წავიდეთ!
— ჩქარა!— გაისმოდა შეძახილები.

ხალხით გაიჭედა თბილისის გზა; მიდიოდნენ დროშკებით, ტარანტასებით, ცხენებით, ფეხით მიდიოდნენ თავადები, აზნაურები, გლეხები ვაჭრები, ხელოსნები. ყველა იჩქაროდა, ენახა ხალხის გმირი, რომელიც წლების მანძილზე შიშის ზარს სცემდა, ვინც სამართლიანობასა და ადამიანს აბუჩად იგდებდა.

მაშ, არსენა მოჰკლეს, ის არსენა — მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო, რომ ამბობდნენ. გზაზე გაჭრილ ხალხს ტატოც აედევნა.

გაზაფხულის წვიმებს მტკვარი აედიდებინა, კალაპოტი გადმოელახა, ფაფარაყრილი მოშხუოდა, თითქოს გაუგიაო, არსენას სიკვდილი. მზე შუბის ტარზე იდგა, მაგრამ თბილისის სიცხეები ჯერ არ დაწყებულიყო, ამწვანებულ, აყვავებულ გზაზე სიარული სასიამოვნო იყო.

მიმავლებს გზადაგზა ახლი ჯგუფები ემატებოდნენ, ერთად მიედინებოდნენ.

მიუახლოვდნენ მცხეთას, შორიდან გამოჩნდა მტკვრის გაღმა სვეტიცხოვლის უბეში მიყუჟული სახლები, გზა კი ტყის ნაპირს მიჰყვებოდა. მიუახლოვდნენ შეგროვილ ხალხს. გზაზე მეხდარტყმულ მუხასავით ეგდო მხრებგანიერი არსენა მარაბდელი. მკლავები დაჭრილი ტოტებივით ჩამოსცვენოდა, პირიდან გადმონადენი სისხლის ზოლი მტვერში შეჭრილიყო და შედედებულიყო, გვერდით გატეხილი ხმალი ეგდო, თავთან შეკაზმული ცხენი ედგა, დაყნოსავდა უძრავად დაგებულ პატრონს, თავს აიღებდა, იქაურობას მოათვალიერებდა და მისი ჭიხვინი მიასკდებოდა მცხეთის გარშემო შემოჯრილ გორებს.

ტატო ახლო მივიდა, დახედა არსენას და უეცრად გაჰქრა ჰაერში შექანებული საქანელა.

— ზურგში მოუხვედრებია იმ წუნკალს!

— მაშ, არსენას პირდაპირ ვინ შებედავდა!

— დაწყევლილი იყოს ის მარჯვენა, რომელმაც სასიკვდილოდ გაგიმეტა, ბიჭო არსენა!

ქუდმოხდილი გლეხკაცობა გარს ეხვეოდა, ცრემლით სავსე თვალებს არ აშორებდნენ.

— ვინ იქნება ჩვენი ქომაგი, ბიჭო არსენა!

— ადექ, წაგვიძეხ, უშენოდ არ ვარგივართ!

საკაცე გამოიტანეს ტყიდან. ზედ დაასვენეს. სიცოცხლეში ტყეს შეფარებული, ტყისავე ფოთლებმა დაჰფარეს სიკვდილის ჟამს.

მზე დასავლეთით გადახრილიყო, დაგრძელებულიყო ჩრდილები და ზღაპრული დეკემბრებივით მიაბიჯებდნენ მტვრიან გზაზე არსენას მოტირლები. საკაცეს წასწვდა ტატო, უნდოდა მიშველებოდა ულონო ვაჟკაცს, რომლისთვისაც სიკვდილის აჩრდილს ძალა წაერთმია.

* *

ტატო და ილია მომავლის გზის ძიებამ კიდევ უფრო მეტად დაამეგობრა, ისინი მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. მათ. მომავლის იდეალს გრიგოლი წარმოადგენდა, ამიტომ ორივენი სამხედრო სასწავლებელში წასვლაზე ოცნებობდნენ. სანამ სოლომონ დოდაშვილს გადაასახლებდნენ, ტატოს თითქოს უნივერსიტეტი იტაცებდა, მაგრამ სოლომონის გადასახლების შემდეგ კვლავ გრიგოლმა გაიმარჯვა.

ტატო და ილია აივანზე ისხდნენ და თავიანთ მომავალზე საუბრობდნენ.

— ჩვენ შეგვიძლია დამთავრებისთანავე წავიდეთ სამხედრო სასწავლებელში.

— ყველაზე მეტად სამხედრო ხელოვნება სჭირდება ჩვენს ქვეყანას, აუცილებელია შეიქმნას მუდმივი ჯარი. ჩვენ შეგვეძლება სხვათა დაუხმარებლად გავწვრთნათ იგი.

— რამდენი რამ შეგიძლია გააკეთო, როცა გეყოლება მუდმივი გაწვრთნილი ჯარი.

— ეჰ. მუდმივ გაწვრთნილ ჯარზე ერეკლეც ოცნებობდა, მაგრამ თავადებმა შეუშალეს ხელი. ახლა ოსმალეთსა და სპარსეთსაც ჰყავს გაწვრთნილი ჯარი, მარტო ჩვენღა დავრჩით.

შეშინებული მსახური შემოვარდა აივანზე.

— ტატო, ილია, ბატონი მოიყვანეს ავადმყოფი! — ილია და ტატო სწრაფად წამოხტნენ, მელიტონი საკაცით ამოჰყავდათ კიბეზე.

ეფემიას ორივე ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო, შეშინებული სახით მოსდევდა. მთელი სახლობა შეიყარა. უგონოდ იყო მელიტონი, უაზროდ გამოიყურებოდა, სახეზე წამოწითლებული. ექიმთან აფრინეს კაცი. მოიყვანეს პოლონელი ექიმი. ექიმი კარგა ხანია თბილისში ცხოვრობდა. ყველა თბილისელი მისთვის ახლობელი იყო. აქაური ადათები მისთვისაც ახლო გამხდარიყო, ქართულსაც ამტვრევდა:

— წურბლები, წურბლებია საჭირო! — გასცა განკარგულება და რამდენიმე შათირი გაიქცა წურბლების მოსატანად.

— ნუ გეშინიათ, მალე კარგად გახდება, წვეთმა დაარტყა, მსუბუქი დარტყმაა. — აიმედებდა ექიმი ეფემიას.

— წვეთმა დაარტყა, წვეთმა! — ჩურჩულებდნენ შინამოსამსახურეები.

წურბლები მოიტანეს. ექიმმა მელიტონს წურბლები დაასხა.

ტატომ ის ღამე მამის ოთახში გაატარა დედასთან ერთად.

ეფემიას ცეცხლი ეკიდებოდა, რამდენჯერმე დააპირა დარდი ტატოსათვის გაეზიარებინა, მაგრამ დაენანა შვილი.

მელიტონი შეინძრა, თვალები ეფემიას მიაშტერა, ეფემიამ დაინახა, აზრი როგორ ჩაუდგა მელიტონს თვალებში, ხელზე დასწვდა და ჩასძახა:

— მელიტონ, მელიტონ! — მელიტონი დააშტერდა ეფემიას სახეს და ძლივს წაიჩურჩულა:

— ეფემია!

— მე ვარ მელიტონ, მე, ხმა ამოიღე, მითხარი რამ! — კვლავ ჩასძახოდა ეფემია მელიტონს, ტატო კი ჩუმად იდგა, მისჩერებოდა დედ-მამას; ახლა ტატოსაკენ მიმართა მზერა მელიტონმა. დააკვირდა შვილს. ნისლში, რომელიც თვალებზე ეფარებოდა, შორს, სადღაც შორს, დაინახა შვილის სახე. ძალ-ღონე მოიკრიბა, უნდოდა ხმამაღლა დაეძახნა ტატოსათვის, ძალიან ხმამაღლა, თორემ ვერ გააგონებს შორს მყოფს. ბაგეები შეანძრია, ენა არ ემორჩილებოდა, ყელში სადღაც ხმა იკარგებოდა; თავს ძალა დაატანა, თავის მჭექარე ხმით დაიძახა:

— ტატო, ტატო! — ეფემია და ტატო ლოგინთან დახრილები უურადღებით უსმენდნენ მელიტონს.

— ჩემს სახელს ამბობს, დედა, მე მეძახის, მე, მიცნო, მიცნო!

— დედას მოეხვია ტატო. ეფემიამ შვილის მკერდს თავი მიაყრდნო.

— ნეტავ გრიგოლი იყოს აქ!

— აქა ვარ, ჩემო ფეფო, რად გეშინია! — ეფემიამ შვილის სახეს ახედა, იგრძნო, ახალი დასაყრდენი გასჩენოდა, რომ ეს დასაყრდენი მყარი და ძლიერი იყო.

დღეები გადიოდა. მელიტონს მომჯობინება დაეტყო, ექიმი იმედს იძლეოდა:

— მალე სრულიად განიკურნება.

ეფემიას იმედი მიეცა, მელიტონი კვლავ შესძლებს ოჯახს სათავეში ჩაუდგეს და აწეწილი საქმეები მოაგვაროსო.

• •

მოსწავლეები ჯგუფებად მიდიოდნენ გიმნაზიისაკენ. ეს უკანასკნელი მისვლა იყო, ამის შემდეგ მათთვის იხურებოდა გიმნაზიის კარი. მაგრამ ამაზე ახლა არავინ ფიქრობდა, მხოლოდ სიხარული მოჰქონდა თან ყოველ მათგანს.

თბილისის ცა თითქოს ზევით აწეულიყო, ლაჟვარდი ფერი გადაეკრა და გულღია მასპინძელივით ეგებებოდა ყველას. სუნთქვა გაადვილებულიყო და თითქოს ფრთები შესხმიათო, ისე მიქროდნენ გიმნაზიისაკენ. ჯერ ისევ ადრე იყო, როცა ყველამ მოიყარა თავი. ყველანი ერთმანეთს სიყვარულით უყურებდნენ, გრძნობდნენ, რომ მათი ცხოვრების გზები დღეიდან იყრებოდა და ყოველ მათგანს ცხოვრებაში ახალი ბილიკი უჩნდებოდა, რომელზედაც დამოუკიდებლად უნდა ევლო. ვინ იცის, ვის რა ელის, ვისი ბილიკი არის მრუდე და ეკლიანი, რომელი მათგანი შესძლებს ეკალნარის მოცილებას და ბილიკის გაფართოებას, რომლის ბილიკს გადაუვლის შამბნარი და სამუდამოდ დაიკარგება მისი ნაკვალევი.

მასწავლებლებიდან ყველაზე ადრე დემენტიევი და ივანე არღუთაშვილი მოვიდნენ. საზეიმოდ იყვნენ მორთულნი: შავ კოსტიუმებში თეთრ პერანგებში და თეთრ ხელთათმანებში.

მოგრიალდა მთავარმართებლის ბარონ როზენის დროშკა. მოვიდა შავ ფარჩის ანაფორით ეგზარქოსი, შავ ფრაკში გამოწყობილი სკოლის დირექტორი, რომელიც ხან მთავარმართებელთან მიიჭრებოდა, ხან გუბერნატორთან, ხან ეგზარქოსთან.

მაგიდის შუაში მთავარმართებელი ბარონი როზენი დაჯდა, მარჯვნივ ეგზარქოსი და მარცხნივ შაეფრაკიანი სკოლის დირექტორი. შემდეგ ჩამწკრივდნენ საპატიო სტუმრები, ჩინისა და თანამდებობის მიხედვით.

ლევან მელიქიშვილი შუა ოთახში გამოვიდა და მთავარმმართებელს მიმართა.

სულგანაბული უსმენდნენ, ტაშის გრიალმა დაფარა ლევანის უკანასკნელი სიტყვები.

სკოლის დირექტორმა შეკრებულობას წლიური ანგარიში წაუკითხა. წაიკითხა კურსდამთავრებულთა სია და მათი დახასიათება:

— ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი — ბრწყინვალე წარმატებები აქვს სკოლაში. საუკეთესოდ ფლობს ქართულ, რუსულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ და თათრულ ენებს, საქართველოს და რუსეთის ისტორიას, საერთოდ ყველა საგანში ითვლება წარჩინებულ მოწაფედ. დახელოვნებულია თარგმანში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ენებზე, არის ფიცხი ხასიათის და დაუდეგარი. ხაგამოცდოდ წარმოდგენილი აქვს ტაციტის თარგმანი: „შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომაელთასა მხედართმთავრისათა ბრიტანთა თანა".

— ლევან მელიქიშვილი — ბრწყინვალე წარმატებებისა, ყველა საგანში აქვს ნიშანი ხუთი, დინჯი და მოფიქრებული ქცევა, საქმისადმი გაწსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული. — ასე კითხულობდა სკოლის დირექტორი ყველა მოსწავლის დახასიათებას. ყოველ მათგანს ურიგებდა ატესტატსა და საჩუქარს.

დამთავრდა ზეიმი. ხმაურით დაიშალნენ, გიმნაზიის კიბე ჩაირბინეს, გარეთ გამოვიდნენ. ტატომ ახედა გიმნაზიის შენობის ნაცრისფერ კედლებს, მოაგონდა ის დღე, როცა პირველად მოვიდა აქ, სოლომონ დოდაშვილის გაკვეთილები, რომელსაც სულგანაბული უსმენდნენ. „ნეტავ სად არის სოლომონი?" — აღტაცება ჩაუქრა, უხმოდ გაჰყვა ხმაურით მიმავალთ.

კარებში ეფემია შეეგება, გაუღიმა დედას, ატესტატი ააფრიალა და უთხრა:

— ხედავ, ფეფო, შენმა ტატომ გიმნაზია დაამთავრა.

ეფემია გადაეხვია შვილს, ტატომ ხელში აიტაცა დედა და მამის ოთახისაკენ გაეშურა:

მომჯობინებული მელიტონი საკარძელში იჯდა, მხიარული შვილი რომ დაინახა, ორივე ხელი გაუწოდა:

— მოდი, მოდი, ჩემო მოსწრებულო შვილო, ამიერიდან აღარა მიშავს რა; თუ მოვკვდები, ოჯახის ბურჯს გიტოვებ, ეფემიავ. ტატო მამის წინ დაიხარა, ეფემიაც იქვე ჩამოჯდა, უყურებდა გადახვეულ მამა-შვილს და მოძალებული სიხარული სათქმელს უხშობდა.

— შეეცდები, იმედები არ გაგიცრუო, მამავ ბატონო, ერთადერთი სურვილი გამაჩნია, მალე დავამთავრო სამხედრო სასწავლებელი და მოგხედოთ.

მელიტონს სახეზე გაოცება აღებეჭდა.

— განა ჯარისკაცობას ფიქრობ?

— ჩემი სურვილი ყოველთვის ჯარისკაცობა იყო, იგი მზრდიდა მე აქამომდინ.

— ეგ რამ გაფიქრებინა, შვილო, შენი ფეხით, თუ არა ინვალიდთა კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენ.

— რას ამბობ, მამა, ფეხი სულაც აღარ მტკივა, ჩემებურად კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ.

— არა, შვილო, ჯარისკაცობის კარიერა შენთვის უბედურმა შემთხვევამ დაახშო.

ტატომ მამის სავარძლის წინ დაიჩოქა, ორივე ხელები დაუჭირა:

— მაშინ უნივერსიტეტში გამგზავნეთ, მამავ ბატონო, თუ შტაცკი ვიყო, დე, ვიყო!

— ჩემი ოცნებაც მუდამ ეგ იყო, შვილო, მაგრამ ხომ ხედავ შენი სახლის გარემოებას, იქნებ ვეღარც კი დავაღწიო თავი ამ სნეულებას, შენ სახლს ხარ უპატრონებ?

კარგა ხანს იყო ტატო თავდახრილი მამის წინ, წამოდგა, თვალებში სიხარული ჩაქრობოდა, დედას შეხედა, მდუმარედ იჯდა ეფემია, „მაშ, დედაც ეთანხმება მამის სურვილს“, — გაუელვა და ხმა ძლივსღა ამოიღო:

— თქვენი სურვილის საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებ. თავის ოთახში გავიდა, ჩაეშალა ბავშვობიდანვე ნაფერები ოცნება, ჩაეხერგა ცხოვრების გზები. მაგიდასთან მივიდა, თვალი შეავლო ჩამწკრივებულ წიგნებს.

მაგიდაზე გაშლილი იყო შავყდიანი რვეული, გაშლილი გვერდის კითხვა დაიწყო:

„გიყვარდეს მშობელნი შენნი, მორჩილი ექმენ მათ და პატივი

ეც შეძლებისამებრ შენისა". წუთით შეჩერდა ტატო და კელავ განაგრძო:

„შეუდექ კეთილმოქმედებასა და ილტვოდე ბოროტისაგან".

„ნუ მიუმატებ დაბარებულსა საქმესა ზედან, სიტყვასა ნურცა გარდაცვლი და ნურცა გაგონილსა ზედან სხვასა რასმე მეტსა შესძინებ".

„ნუ შეებმი ესგვარ საქმესა, რომლისა აღსრულება არ ძალგვდევს".

„ნუ იქნები მეშურნე".

„ცილსა ნურვის შესწამებ და ნურცა ვინმეს შენს უფროსთან დაბეზღებ, გარდა სჯულისა, მამულისა და მეფის მუხანათსა კიდე".

„ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, გონიერად უსმენდე".

„ნუ იქნები ზვავი და ამპარტავანი".

„უკეთუ არა ძალა გედვას, ნუ აღუთქვამ".

„რაიცა აღსთქვა, აღასრულე."

„იქმნე მხნე და შრომის მოყვარე. გიყვარდეს სწავლა", — ჩაათავა რვეულის გვერდი ტატომ და დახურა.

ფანჯარასთან მივიდა. გრიგალი ამოვარდნილიყო, ჰაერში მტვრის ბუღი ტრიალებდა, მზეც კი დაებნელებინა, ძლივსღა ჩანდა გზა. გრიგალი აქეთ-იქით ახეთქებდა გზად მიმავალ მგზავრს, წინ ეღობებოდა, გზას უხშობდა. ბარბაცით მიდიოდა შავით მოსილი მგზავრი ქარიშხლიან გზაზე.

დღეები და ღამეები ფინანდალში

მზემ სხივები აიკრიფა, ბინდი ჩამოწვა მთაწმინდის კალთებზე. მთებმა მტრედისფერი ჩრდილი გადმოაფარა ქალაქს, თბილისის ქუჩები, მოედნები და ბაღები ხალხით აივსო. შორიდან ისმოდა ჩონგურის ჟღერა, ზურნის ჭიჭყინი და გახურებული დაირის წკრიალი. ამაყი საზანდარი კი ყველას ხმას ფარავს და მეფური გამბედაობით აწყდება გარშემოჯარულ მთებს.

სახლების წინ ხის სკამებზე მოხუცები ჩამომსხდარან ხელში ნაირფერი კრიალოსნებით. მამაკაცებს გიშრები აურჩევიათ, ქალებს ქარვა და მარჯანი. ბანებზე ტანწერწეტა ქალები გამოფენილან, მათ

მოშვილდულ წარბებსა და წამწამებს იქიდან ბრწყინავენ ეუეუნა თვალები.

ქუჩაში ტატოს გამოჩენაზე შეიფრთხიალეს ქალებმა, გახშირდა კისკისი და ბანიდან ბანზე გადაძახილი.

— უგუნებოდ არის ტატო! — წასჩურჩულა ერთმა ლამაზმანმა მეორეს, რომელსაც იასამნისფერი კაბა ეცვა და ბეჭებზე წამოსხმულ იასამნისფერისავე მანდილს ქარი უფრიალებდა.

ტატო ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას ყაბახისაკენ, შორს სადღაც გამოჩნდა აქანებული საქანელა და ეკატერინეს მოლიმარი სახე. მთვარე ამოცურდა, ღია ცისფერი გადაეკრა მუქლურჯად მოელვარე ცას. შორიდან, შემოქრილი სიმღერები ხანგამოშვებით სწყვეტდა ბანებიდან მოფრენილ ჩონგურის ხმას.

ამწვანებულან თბილისის გარშემოჯრილი მთები. ყვავილობა დაუწყიათ ბაღებს.

ყაბახზე აცელქებული კოჯრის ნიავი დაჰქრის და თან მოაქვს მტკვრის ჩივილი. ნიავს აჰყვა ტატოც, მოაგონდა, რამდენი უხეტიალია აქ ძია გრიგოლთან ერთად.

გუნდ-გუნდად მოსეირნე კეკლუცად მორთულ ქალებს შეავლო თვალი; აქ იყო მანანა, ტანწერწეტა ელენე, ნარნარი მაიკო. ქალებს გარს ყმაწვილკაცობა ეხვეოდათ: ილია, ლევანი, კონსტანტინე, მიხეილი. პლატონი მშვენიერ ნინოსთან დასეირნობდა და რაღაცას უამბობდა. ის კი, ვისაც ეძებდა, მათ შორის არ იყო. ეძებდა? თუ ეძებდა, მაშ, რა უშლიდა, რომ ერთხელაც აღარ შეიარა მასთან? ფიქრებს აჰყვა ტატო, ქალების შეფრთხიალებამ გამოარკვია, მიიხედა, შორს მომავალი ყაფლანი დაინახა, ახმაურებული ქალები ყაფლანისაკენ გაეშურნენ. სახე გაებადრა ყაფლანს ქალების დანახვაზე.

— შენღა გვაკლდი, ყაფლან!

— მოუთმენლად გელოდით!

— სთქვი რამ, ყაფლან, შენი სიმღერა გვინდა!

— პრანჭვას არ მოჰყვე!

— თქვენს მზესა ჰფიცავს მუდამ ყაფლანი, როდის იყო მანდილოსნების სურვილს არ ვასრულებდი?! — ყაფლანმა ყელი მოიღერა და ეშხზე მოსულმა წამოიწყო: — „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.“ — შეკრთა ტატო, როგორც ყოველთვის, ახლაც შორიდან მიუხვდა ძია გრიგოლი ფიქრებს. მთვარეს ახედა, თეთრი ღრუბლის ქულისათვის შეეფარებინა თავი მთვარეს და შუქი ჩაჰქრობო-

და. სევდა აეშალა ტატოს, შეკრებილებს მიუახლოვდა, თვალი შეასწრო თეთრკაბიანს, ასე ეგონა, საქანელადან ახლა გადმოსულიყო ეკატერინე. ქურციკივით განაბულს ყური ყაფლანის სიმღერისათვის მიეგდო, შეჩერდა. ნაბიჯის წინ წადგმის ძალა წაერთვა, ეკატერინემ თვალი შეასწრო, გაუღიმა, ამ ღიმილმა გაამხნევა ტატო. ნაბიჯი წინ წადგა. დარცხვენილი გაჩერდა ეკატერინეს წინ, ძლივს, მხოლოდ მის გასაგონად აღმოხდა:

— ცისიერო, კვლავ მეღირსა თქვენი ხილვა.

ეკატერინემ ყელი მოიღერა.

— სად დაიკარგე, ტატო, მოდას ხომ არ აპყევი და დაივიწყე ძველი ნაცნობები? — კიდევ უფრო მეტი ძალა მისცა ეკატერინეს სიტყვებმა ტატოს.

— განა დროს შეუძლია მომიშალოს თქვენი ხსოვნანი!

ეკატერინეს სიწითლემ გადაჰკრა, თითქოს ვარდის ფურცლები აეკრნენო ღაწვებზე, მთვარეც დაუსხლტა ღრუბლის თეთრ ქულას და ნათელი მოეფინა ეკატერინეს აწითლებულ სახეს. სალომეს ხმა მოიპრა შორიდან, თავის ასულს უხმობდა. ეკატერინე სწრაფად წავიდა დედისაკენ. ტატო შორიდან ხედავდა, როგორ გედივით ყელყელაობდა მშვენიერი ეკატერინე და მწვანე, ჯერ ხელშეუხებელ მოლზე მისრიალებდა მისი პატარა ფეხები.

ეკატერინეს წასვლის შემდეგ დიდხანს აღარ დარჩენილა ტატო ყაბახზე. ზღვა სიხარული შემოჯაროდა და მარტო უნდოდა დარჩენა ამ სიხარულთან.

ვერც ოთახში მოისვენა ტატომ. ახლობელი უნდოდა ვინმე სიტყვის მთქმელი, მესაიდუმლე.

— ძია გრიგოლი, ძია გრიგოლი! — ჩურჩულებდა და ოთახში მიმოდიოდა. — ძია გრიგოლს უნდა გავუზიარო ეს ღამე. მან ხომ ყოველთვის იცოდა ჩემი ფიქრების გაგება?

წერილი დაასრულა, ღია ფანჯარასთან მივიდა: გადიდებულიყო თეთრი ღრუბლის ქულა, ჩაშვებულს, აზვირთებულს სრულიად დაეფარა მთვარე, დარდი გასჩენოდა, ცრემლად იღვრებოდა.

— შენი არს ყაბახი, შენ გიყვარს იგი. — თითქმის აცრემლებულ ღრუბელს შეჰღაღადა ტატომ და მაისის ჟუჟუნა წვიმას ხელი გაუშვირა. წვიმის წვეთები ხელს უსველებდა, ყოველ წვეთს სიხარული მოჰქონდა, „ნეტავ ადამიანის ცრემლსაც ასევე სიხარული მოჰქონ-

ქვეყნისათვის". — ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და წვიმის წვეთებს თვალს არ აცილებდა.

— ნუთუ ამდენხანს სძინავს! — გამოარკვია ტატო ლევანის შეძახილმა. ლევანი და ილია ოთახში შემოიჭრნენ.

— ამდგარხარ, გაქმდელი კი მაჯერებდა, ჯერ ისევ სძინავსო: ანებივრებ, გადიავ, შენს გაზრდილს, ანებივრებ. — გასძახა კარებიდან ილიამ. — დაპირება დაგავიწყდა, ტატო?

— რა დაპირება?

— ქალები უნდა გავაცილოთ!

— უ! — ხელი შუბლზე გადაისვა. — ამ წუთში მზად ვიქნები.

— ახალი დაწერე რამე? — მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს დააცქერდა ლევანი.

— წერილი დავწერე, ძია გრიგოლისათვის.

— აქ ლექსიც არის — „ვით მიჯნური, ყამთ მოჩივარი". — ხელი დაატანა მიმოფანტულ ფურცლებს მიხეილმა.

— წუხანდელი ღამე ავუწერე ძია გრიგოლს.

— წამოიღე, ქალებს წავუკითხოთ.

— არა, ძია გრიგოლისაა, პირველად მან უნდა წაიკითხოს.

— ჩქარა წამოდით, გვაგვიანდება. — აჩქარებდა ილია.

გარეთ გამოვიდნენ აღარა წვიმდა მაისის მზეზე ბრწყინავდნენ კვირტებზე შერჩენილი წვიმის წვეთები. გარშემო მიწის სუნი იდგა. ილიამ ცას ახედა:

— სამგზავრო ამინდია, სიცხე არ შეაწუხებთ.

ქალებს თავი ჭაეჭავაძეებთან მოეყარათ. წყაროსთან მანანას დროშკა იდგა. დროშკიდან მოჩანდა მაიკოს მერცხლისებური თავი, თვალები და მოხატული წარბები. წვრილი ძეწნის მსგავსი ნაწნავები მკერდზე ეყარა, მუხლებზე ქოლგა ედო. მოსამსახურეებს სახლიდან კალათები, ფუთები გამოეჭონდათ და დროშკებზე ალაგებდნენ. ლევანი და ილია დროშკასთან მიიჭრნენ.

ტატო ჩინარის ქვეშ იდგა, წუხანდელი ღამის დარდი გამოჰყოლოდა. გაღვიძება დაეწყოთ ჩინარის ფოთლებს, ტატო დაჰყურებდა, როგორ იღვიძებდნენ ფოთლები, ეგონა, მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა მესმისო გაღვიძების წინ.

წვიმის შემდეგ მზე მორცხვად ანათებდა და აფეთქილი ხეები ახლად პირდაბანილ ჩვილებივით გამოიცქირებოდნენ. თავი წამოეყოთ გაზაფხულის წვიმისაგან გადაქელილ ბალახებსაც. სახლის

კიბეზე ეკატერინე გამოჩნდა, ქუდზე ცისფერი სირაქლემას ფრთა ჰქონდა, ყელზე დიდი ფირუზი ეკეთა. ტატომ თვალი შეაელო კიბეზე ჩამომავალ ეკატერინეს, მზერა მის სახეზე შეაჩერა. მასში ეძებდა შუქს თანაგრძნობისას, ოდნავ თვალები მოუტა ეკატერინემ და გაიელვეს ბროლის კბილებმა. ტატოს მოეჩვენა, რომ ის ხელახლა იბადება წვიმისაგან გაბანილ ბუნებაში, მასშიც ყველაფერი ახალია, როგორც ბუნების გამოღვიძება მაისის მზიან დღეში.

დროშკებში მოთავსდნენ ქალები. ვაჟკაცებს ცხენები მოართვეს, ეკატერინეც ცხენზე შეჯდა. დაიძრნენ დროშკები და უკან გაჰყვნენ ცხენოსნები. ტატო ეკატერინესთან მისვლას ვერ ბედავდა. მისი ცხენი ყველაზე უკან მიდიოდა ნელი ჩოჩითით.

ტატო შეაკრთო მათრახის ტკაცუნმა და უეცრად ეკატერინეს ცხენი მის გვერდით გაჩნდა. სიჩუმეს არც ერთი არ არღვევდა. საერთო საუბარი, რომელიც გარშემო ესმოდათ, ისევე შორს იყო მათგან, როგორც ცაში აფრენილი მერცხალი თავის ბუდიდან. ისინი მარტო გრძნობდნენ თავს, ერთი გამოხედვა, გაღიმება და წარბის ოდნავი მოძრაობა უფრო მეტს ეუბნებოდათ, ვიდრე სიტყვები.

დავითმა ცხენი მიაგდო ტატოს ცხენს და მიმართა:

— ილიამ, ლევანმა და მიხეილმა აღგვითქვეს, მალე გეწვევითო, წინანდალში. შენც ხომ ჩამოხვალ? — ტატომ ცხენი შეაჩერა, ეკატერინეს შეხედა, ახალგაზრდა ქალის გაბრწყინებული თვალები უხმოდ შესთხოვდნენ: — მალე ჩამოდიო.

— უთუოდ წამოვყვები ყმაწვილებს. — ეკატერინემ პასუხი რომ გაიგონა, ცხენი ადგილიდან მოსწყვიტა.

— მალე ჩამოდით, ნინოს მდგომარეობა მაწუხებს, ჯერ ქმრის დაკარგვის დარდი არ განელებია და ახლა მამის ამბავიც ზედ დაერთო. — ნაღელიანად ეუბნებოდა ლევანი.

— მწუხარება მწუხარებას მოსდევს ყოველთვის.

— მანანა და მაიკო დავსაჯეთ, მაგრამ უმაგათობა მძიმედ დაგვეტყობოდა ყველას.

— მწუხარების დროს ღმერთმა მანანა მოგცეს, თითქოს თან დაჰყოლია თვისება ნუგეშისა.— ტატომ მანანას გახედა.

— ამიტომ იმედი მაქვს, არც თქვენ დააყოვნიათ და მალე გეწვევით.

— თბილისში ძნელი გასაძლები იქნება უთქვენოდ. რაღა დარჩა

ისედაც დამწუხრებულ ქალაქში? — ნაღვლიანად უპასუხა ტატომ.

უმჯობესი იყო თქვენც ჩვენთან ერთად წამოსულიყავით.

— უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციაში თხოვნა მაქვს შეტანილი სამსახურის შესახებ, პასუხს ველოდები.

— სამსახურის დაწყება გიხდება?

— სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური, მაგრამ გარემოებისა გამო, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!

— მართალი რომ ითქვას, ეგ ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი სკოლაა.

— განა მოხელეთა წრე ხელსაყრელია ზნეობრივი განვითარებისათვის?

— ეს თავისთავზედაც არის დამოკიდებული.

ლაპარაკი ილიას მოახლოვებამ შეაწყვეტინათ.

— დავით, დედამ ბრძანა, აქ ცაცხვის ძირად გაშალეთო სუფრა.

დროშკები დააყენეს, ახლად აკვირტულ ცაცხვის ქვეშ მოიყარეს თავი. გამდელმა ლურჯი სუფრა გაშალა.

მოვიდნენ ახლომახლო სოფლებიდან გოგო-ბიჭები, მოსაკითხი მოართვეს: ჭყინტი ყველი, მაწონი, ნადუღი, დამთავრდა პურობა. გამოთხოვება დაიწყეს. ამხედრებული ეკატერინე ტატოსაკენ გადმოიხარა, ნიავივით ჩუმად წასჩურჩულა:

— მალე ჩამოდი, ტატო!

•

ადრიანად ადგა ეკატერინე, სახლში ჯერ ისევ ყველას ეძინა, მხოლოდ გადია დაფარფატებდა ოთახებში და მოახლეებს აღვიძებდა:

— ადექით, ადექით! რამდენი ხანია გათენდა! ესენი კი ისე ფშვინავენ, თითქოს მამალს ჯერაც არ ეყივლოს. — ესმოდა ეკატერინეს გამდელის ბუზღუნი.

ეკატერინემ კარი გამოაღო. აივანზე გავიდა, კიბეზე ჩაირბინა, ზამბახები დაკრიფა და სახლში შემოიტანა. სახეზე ეალერსებოდნენ ახლად დაკრეფილი, ჯერ ისევ ცვრიანი ზამბახები.

ოთახში არავინ იყო, მხოლოდ ნინოს ეძინა მშვიდად და ძილში ვილაცას უღიმოდა.

ეკატერინე სალათისფერ ძბრეშუმგადაკრულ სავარძელში ჩაჯდა, გულზე ზამბახების კონა მიიკრა და ისე იჯდა განაბული.

ნინომ გამოიღვიძა, სარკეში დაინახა სავარძელში მჯდარი ნაღვლიანი ეკატერინე ზამბახებით ხელში. გააოცა ნინო დის სევდიანმა გამოხედვამ. „ნეტავ რა დარდი გაუჩნდა ამ ანცს?“.

— რამ ჩაგაფიქრა, ეკატერინე? — ნინო ლოგინიდან წამოხტა და გვერდით მიუჯდა დას. ეკატერინე შეკრთა, ზამბახების თაიგული ხელიდან გაუვარდა.

— შეგაშინე? — რა დაემართა ჩვენს ონავარს, რად მოუწყენია? — არა ცხრებოდა ნინო.

ეკატერინემ წუთით თვალები დახუჭა, დის მკერდს მიეყრდნო, მაგრამ მალე ისევ აახილა თვალები, ნინოს გაუცინა, ჩვეული სიჯიუტით თავი შეარხია.

— არაფერი, ნინო, წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე.

— რა სიზმარი?

— დევმა მომიტაცა და გამოქვაბულისაკენ მიმაქანებდა. ხა, ხა, ხა, კარგია არა, მგონი საინტერესო იქნება, დევმა რომ მოგიტაცოს. რას იტყვი, ნინო? — ხელებში ხელი ჩაავლო და რამდენჯერმე შემოატრიალა. ნინომ გაიცინა, ალერსით უთხრა:

— მე კი შემეშინდა.

— იფიქრე დევი არ შეუყვარდეს ეკატერინესო. არა?

— ამდგარხართ კიდეც, მანანა, მაიკო და ტასო ბაღში დასეირნობენ, შემოსულმა დედამ ქალები დაკოცნა, — აჩქარდით, გამდელი უკვე სუფრასა შლის.

ვეებერთელა ოთახში მრგვალი მაგიდის გარშემო გადია და ფარეშები დაფუსფუსებენ. ოთახს ფრანგული შპალერი, სპარსული ხალიჩები, ჭერამდე აზიდული სარკეები და რბილი სკამები ამშვენებდნენ. ბუხრის თავზე კოშკისებური საათი წკრიალებს.

ქალები მაგიდას შემოუსხდნენ. მაგიდაზე ერთმანეთს ცვლის ჩინური ფაიფურის ჭურჭელი, მოგრძოთვალებიანი ჩინელი ქალების გამოხატულებით, ვერცხლის სურები, ოქროს თასები, ვერცხლის ფიალები და ოქროთი ნაჭედი სუფრის დანები.

— ადრიანად გავაგზავნე ბიჭი თბილისში დავითის ამბის გასაგებად, ახალ ჟურნალებსაც ამოგვიტანს. — ქალები გაახარა სალომეს ნათქვამმა.

— ნეტავ მალე მოვიდეს, შორიდან მაინც გავიგოთ ახალი ამბები, მამაჩემის წერილმაც საკმარისად დაიგვიანა.

— როდის იქნება ჩვენმა ჭერმაც გაიხაროს მამაშენის დაბრუნებით!

— მალე დაბრუნდება, დედილო, არ იდარდო. — ეკატერინე წამოხტა, დედას ყელზე მოეხვია, ლოყაზე აკოცა. ყველანი წამოიშალნენ, მოახლემ მოახსენა:

— ცხენები მზად გახლავთ!

იისფერი საცხენოსნო კაბა ეცვა ნინოს, ოქრომკედით ნაკერი, ოქროსავე ღილებით და ხრიკებით. მსახურმა უზანგი დაუჭირა და ცხენზე შეჯდომაში უშველა. ეკატერინემ კი ცხენის რახტს ხელი დაჭერა და ზურგზე მოევლო.

ქალები ალაყაფის კარებისაკენ გაეშურნენ, წინ ნინო მიდიოდა, იისფერ ჩალის ქუდზე და სახეზე ბლონდის მანდილი აეფარებინა, მანდილის ბოლოებს ქარი აფრიალებდა და ნინოს დანახვაზე თავს მორჩილად ხრიდნენ ჭავჭავაძის მამულის შესასვლელში ჩამწკრივებული კიპარისები. ეკატერინე კი თავშიშველი იყო, ოქროსფერი ქსოვილის კაბა ეცვა, ჩალისფერი არშიებით, თავშიშველს თმები მხრებზე ეყარა და თავზე ოქროსფერივე ბაბთი ჯილასავით შემოერკალა. ოქროსფერისავე ცხენი ამაყად მიაბიჯებდა, თითქოს გრძნობდა თავისი მხედრის სიმშვენიერეს, და მზეზე ბრწყინავდა ცხენის ვერცხლის სამკერდე.

ქალები კისისხევს მიადგნენ. წუხანდელ წვიმას წყალი აედიდებია.

— სჯობს მეორე მხარეს წავიდეთ, საშიშია, წყალი კიდევ არ ადიდდეს. — მიაძახა უკან მომავალმა სალომემ ქალებს.

— რას ბრძანებ, დედა, განა ამაში გასვლა ძნელია? — ხელი გაიშვირა ეკატერინემ წყლისაკენ. — ფეხითაც შეგვიძლია გავიდეთ.

სალომე ხევის ნაპირს მიადგა:

— არ არის დიდი, მაგრამ ჩვენს დაბრუნებამდე კიდევ რომ წამოვიდეს წვიმა?

— არა, დედა, ხედავთ, ღრუბელიც კი არსად ჩანს. — ამ სიტყვებით ეკატერინემ ცხენი წყალში შეაგდო. სალომემ თავი გადააქნია შვილის თავნებობაზე.

— საავდრო პირი არ უჩანს ამინდს, დედი. — ანუგეშა სალომე ნინომაც. — გასეირნება კი თელავისაკენ სჯობს.

წყალი ადქაფუნდა ცხენების ფეხქვეშ. ქალები კისისხვევის მეორე ნაპირზე გავიდნენ და ციხეწისქვილის წინ შეჩერდნენ. შხუოდა წყალი, ხრიალებდა წისქვილი. წისქვილის წინ მოხუცები ისხდნენ და ყალიონს აბოლებდნენ, ქალების დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ, ქუდები მოიხადეს:

— სიცოცხლე ბატონის ქალებს!

— გამარჯვება ნუ მოგეშალოთ!

ქალები ზვრებს შორის მიდიოდნენ. მწკრივად ჩარაზმულ ვაზებიდან პატარძლებივით გამოიყურებოდნენ შავხალიანი ყაყაჩოები. ზვრების ნაპირებზე ქალწულებივით იდგნენ თეთრად აფეთქილი აკაციები.

სადილობა ჯერ არ იყო, როცა ქალები სეირნობიდან დაბრუნდნენ და თავთავიანთ ოთახებში გავიდნენ. მხოლოდ ნინო დარჩა აივანზე, ჩალის სკამში ჩაჯდა, შინდისფერ ხავერდგადაკრული სახარების ოქროს ხრიკები გახსნა და კითხვა დაიწყო.

ნაშუადღევს ჩამობნელდა, წვიმა წამოვიდა. ბაღში გასვლა აღარ შეიძლებოდა და ქალებმა ბილიარდის თამაში დაიწყეს. ეკატერინემ მოიწყინა, ბილიარდს თავი ანება, კიბეზე ჩამოჯდა, მუხლებზე ხელები შემოირკალა, ოდნავ ირწეოდა და ხედავდა, წვიმის წვეთები როგორ ეცემოდნენ შადრევნის გარშემო გუბურაში და პატარ-პატარა წრეებს აკეთებდნენ. წვიმამ მოუხშირა და ახლა უფრო მსხვილ-მსხვილი წვეთები ეცემოდნენ ძირს და აივანთან მდგარ ცხენის წაბლას ფოთლებზე წკაპუნი გაჰქონდათ.

მსახური გამოვიდა, ფანჯრების თაებზე გამაგრებულ შანდლებში სანთლები აანთო, ფანჯრების გვერდით კედლებში დატანებულ თაღოვან საშანდლეებში ბროლის მაღალი შანდლები შედგა და აივანი დღესავათი გაანათა.

— კიპარისებში ცხენოსნები მოჩანან! — წამოიძახა ეკატერინემ და ზეზე წამოხტა. ახმაურდნენ ქალები.

— ალბათ ჩემი დავითი მოდის. — დინჯად თქვა სალომემ და ზეზე წამოდგა.

ეზოში ცხენები შემოაჭენეს, აივანზე მყოფებმა სიბნელეში სტუმრები ვერ გაარჩიეს, დავითის შეძახილზე ქალები აივნის ჩუქურთმიან მოაჯირს მიეხვივნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— ძლივს!

— მადლობა ღმერთს მოგაგონდით!

ტატომ ცხენი მოაჯირთან მიაგდო. თვალი ვეღარ მოაცილა ეკატერინეს, რომელსაც სოსანისფერი ბეწვმოვლებული გოლი ეცვა და ჩაშლილი თმები უფრო მეტად ამშვენებდა, ხელში ბროლის შანდალი ეჭირა, სანთლის შუქი ციმციმებდა მის სახეზე. ეკატერინემ ტატო შენიშნა და მოაჯირზე გადმოიხარა.

— ტატო?

— ცისიერო! — წაიჩურჩულა ტატომ და მთელი მისი არსება სიხარულმა შეიპყრო, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან.

აივანზე ხმაურით შემოვიდნენ დავითი, ილია, ლევანი და ტატო.

— გაიხარენით, როგორც თქვენი მოსვლით გაგვახარეთ. — ესალმებოდა ყველას მანანა, თან შუბლზე ჰკოცნიდა.

— რად დაიგვიანეთ?

— თვალები გამოგვიბნელა თქვენმა ლოდინმა.

— განა ჩვენ კი არ მოგვეჩქარებოდა, მაგრამ საქმეები გამოგვიჩნდა. — ლევანმა მაიკოს გადახედა.

— საქმეები, ბატონო, საქმეები. — დააბოლოვა ილიამაც.

— საქმიან კაცსაც დამიხედეთ!

— სიყვარულმა დაბა ჩვენი ილია, ძლივს გამოვიტაცეთ თბილისიდან.

— ყოჩაღ, ილიავ, ჩქარა გვიამბე, ვის ბადეში გაეხვიე.

— აღარც ტატო გახლავთ მოცლილი, სასამართლო ექსპედიციაში კანცელარისტად მიიღეს. — სამაგიერო გადაუხადა ილიამ ტატოს.

დავითის გულში ჩაკვრის შემდეგ დატრიალდა გამდელი. შეიქნა მოსამსახურეების სირბილი, ჭურჭლის წკრიალი და ერთმანეთის დასაქმება.

• •

ეკატერინე ცაზე გაკრულ ცისარტყელას უყურებდა, ხელი წვიმის წვეთებისათვის გაეშვირა, რომლებიც აქ-იქ ეცემოდნენ ატირებული ბავშვის უკანასკნელ ცრემლებივით. მზეც ტირილის შემდეგ გამოდარებულ ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც ღაწვებზე უკანასკნელი ცრემლი შერჩენია.

ტატომ შორიდანვე შეამჩნია ეკატერინე, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ, მაგრამ წუთით გადაიფიქრა: არ დავურღვევო მყუდრო-

ებას, — თვალს კი ვერ აცილებდა მზეს, ცისარტყელას და ეკატერინეს.

— მზე პირს იბანს, ტატო!

ტატომ ქვევიდან შესცინა ეკატერინეს და გულში ჩაიკლა სურვილი, დაეკოცნა ხუჭუჭი თმები, ნათელ სახეს რომ შემოსჯაროდა. აივანზე დააპირა ასვლა.

— არ ამოხვიდე, ტატო! მეც ჩამოვალ, კარგია ახალ ნაწვიმარზე ბალახი. — ტატომ ხელი გაუწოდა კიბეზე ჩამომავალს.

— ცისიერო! ზეციდან ქვეყნად ბედნიერების დასამყარებლად ჩამოფრინდი? — ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ ამწვანებულ ხეივანში. ნაწვიმარი ბალახები თავს იხრიდნენ ეკატერინეს ფეხქვეშ, თითქოს ესალმებიანო სასეირნოდ გამოსულ დედოფალს. წვიმის წვეთები ფეხებსა და პირისფერ კაბის კალთებს უსველებდა, გარშემო ყველაფერი ყვაოდა; ვარდები, ზამბახები, შროშნები, გვირილები, ყაყაჩოები ფეხებში ეხლართებოდნენ და თითქოს შესთხოვდნენ: — დაგვკრიფე, დედოფალო!

შადრევანს მიუახლოვდა ეკატერინე, მისი ტანის ანარეკლი გამოჩნდა წყალში. ტატო მის გვერდით იდგა, ხედავდა მისი ტანის ანარეკლს და ესმოდა მისი აჩქარებული სუნთქვა. ეკატერინეს ხელში იასამნის ტოტი ეჭირა, სათითაოდ აცლიდა ფურცლებს, ნერვიულად სრესდა ხელში და დამჭკნარ, სიცოცხლეწართმეულ ფურცლებს წყალში ისროდა. ტატოს მოეჩვენა, ასევე გამომაცლის სიცოცხლეს ეკატერინე და გადამისვრის ცხოვრების უსასრულობაში, როგორც მოსრესილ იასამნის ფურცელსო.

ისინი კვლავ მიდიოდნენ მწვანე ხეების ხეივანში.

წვიმის შემდეგ უცნაური სიმწვანე დაჰკრავდა იმაურობას, კიპარისებს, ბზებს, ცაცხვებს, მაგნოლიებს, აკაციებს, ჭადრებს, კედარს, წყავს. ბუჩქებში ციცრები ჭუკჭუკებდნენ, ცაში დასრიალებდნენ მტრედები. ფარშავანგებს ბოლო გაეშალათ და მეფური სიდინჯით დააბიჯებდნენ.

ჩუმად მიდიოდნენ ისინი, გარშემო ყველაფერი ჩუმად •ყო და ეს სიჩუმე რაღაც მეტად მხიარულს და ბედნიერების სიმღერას ჰგავდა.

— აქ დავსხდეთ, ტატო! — ვაზის ფანჩატურში დასხდნენ, ვარდების სურნელება იდგა და ფუტკრები ზუზუნებდნენ გარშემო. ვარდებს დაეფარა ბაღი. ირხეოდნენ ვარდები სიოს ყოველ დაქროლვა-

ზე და ბილიკებზე იფანტებოდნენ ბილილები, ხანგამოშვებით შაღრევნის ხმაური მოჰქონდა სიოს. შადრევანს გარს შემოჯრილი ვარდები ფარავდა. ვარდებს ზემოდან წყლის შხეფები ეფრქვეოდა და მზის სხივებზე ციმციმებდა დაფრქვეული შხეფები. გალობდნენ ჩრდილში შეფარებული ჩიტები. ისინი განაბული ისხდნენ და ბედნიერება ეუფლებოდათ.

თვალები მოხუჯა ეკატერინემ, უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ბედნიერების შეგრძნება. ჩამავალი მზე ვაზის ჩრდილში ძლივს აღწევდა, ფართო და მოკაშკაშე სადღაც უსასრულობაში იკარგებოდა და შორიდან ისმოდა ვიღაცის ხმა:

— ეკატერინე!

— გვეძახიან, გვეძებენ. — ეკატერინემ ტატოს ორივე ხელი გაუწოდა. ზეზე წამომდგარს თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— გავიქცეთ, ტატო, დავიმალოთ! — კარის ეკლესიისაკენ გაიქცნენ. უეცრად ბროლის ზარის ხმა მისწვდა მათ სმენას.

— სამხარზე გვიხმობენ ეკატერინე.

— სამხარზე გვიხმობენ. — ჩუმად გაიმეორა ეკატერინემ, ხელი გაუშვა ტატოს და სახლისაკენ გაიქცა. ტატო წუთით შედგა, მერე კი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ბილიკს. შორიდან ეკატერინეს სიცილი ესმოდა. მისი ხმა ზარივით რეკდა, ახალგაზრდა, ბედნიერი, მხიარული სიცილი უეცრად აიტაცა ბალმა და შორს სადღაც კისისხევში ჩაიკარგა.

მრგვალ მაგიდაზე თოვლივით თეთრი სუფრა გადაეფარებინათ, წკრიალებდა ძვირფასი ფაიფურისა, ვერცხლის და ბროლის ჭიქები, ვერცხლის სურებით შემოჰქონდათ წინანდლის ღვინო.

ნინო, მანანა და ეკატერინე პატარა შინდისფერ ხელსაქმის მაგიდასთან იდგნენ, მაგიდისათვის თავი აეხადათ და შიგ ნაირფერის ძაფებს, ოქრომკედსა და მძივებს ირჩევდნენ. ნინომ მაგიდიდან ნაქარგი ფარჩა ამოიღო, ხელში დაიჭირა და მანანას ლაპარაკს გულდასმით უსმენდა.

— შესანიშნავია, ამაზე უკეთესად ამის შესრულებას ვერავინ შესძლებდა.

— თქვენი კეთილი აზრი ჩვენთვის დიდი ჯილდოა. — წყნარად უთხრა ნინომ და მანანას თვალებში შეხედა.

— ამაზე მშვენივრად შესრულებული ღვთისმშობლის ხატი ჯერ არ მინახავს, ნამდვილი მხატვრის ხელია.

— რაშია საქმე? — დავითი ქალებს მიუახლოვდა. — დაამთავრეთ? ყოჩაღ, მე უკვე იმედი დაეკარგე.

— აქ ძალზე ძნელი სამუშაოა შესრულებული, თქვენ მამაკაცებს ამისი არაფერი გესმით, ეს ხომ ხელოვნებაა. — გაუღიმა მანანამ დავითს.

— შეიძლება ვნახო? — ტატო ნინოს წინ გაჩერდა.

— აი, ტატომ ნახოს, ეს მიხვდება. — ნინომ თავისი ნახელავი მაგიდაზე გაშალა. ტატო დააჩერდა, მხოლოდ ერთხელ ძლიერად ამოისუნთქა.

— ბოდბის ეკლესიას აღვუთქვით მე და ეკატერინემ ჩვენი ნამუშევარი, მამას კეთილად დაბრუნებას შევთხოვთ.

— მშვენიერია! — დაადასტურა თავისი აღტაცება ტატომ და წაიკითხა: — „ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ნინო გრიბოედოვისა და დისა მისაგან ეკატერინესაგან“.

— მობრძანდით, ბატონებო, სუფრასთან მობრძანდით! — მიიწვია სტუმრები დავითმა.

მაგიდის თავში სალომე იჯდა და ყველას თავთავიანთ ადგილისაკენ მიუთითებდა.

სადილის შემდეგ ბიბლიოთეკაში გაიკრიფნენ. დავითმა „ბიბლიოთეკა დლია ჩტენია“-ს უკანასკნელი ნომერი ჩამოიტანა.

— იულიუს ტარანტელი წავიკითხოთ.

— ტატომ წაიკითხოს. — ქალები განიერ სპარსულ ტახტზე მოთავსდნენ ხალიჩებსა და ფარჩა-ხავერდის ბალიშებს შორის. ნინო მანანას მიუჯდა და ტატოს კითხვას მიუგდო ყური, თან ჩუმად უთარგმნიდა მანანას წაკითხულის შინაარსს.

— შესანიშნავია. — თვალებზე მომდგარი ცრემლი მრიწმინდა მანანამ და ტატოს მიუბრუნდა. — შენმა გაზრდამ, კარგი იქნება თუ თარგმნი. მხოლოდ ისევე კარგად უნდა თარგმნო, როგორც დაუწერიათ.

გარედან შემოჭრილმა ცხენების ფეხის ხმამ საუბარი შეაწყვეტინათ.

— ვილაც მოვიდა. — მსახურმა ნინოს ვერცხლის სინი მიართვა ნინომ ღია ბარათი აიღო, ხმამაღლა წაიკითხა:

— ლევ სერგეის ძე პუშკინი. — ფეხზე წამოცვივდნენ, — სასიხარულოა, ალექსანდრე პუშკინის ძმა მუდამ სანატრელი სტუმარია

ჩვენთვის. — ნინო სადარბაზო ოთახისაკენ გაეშურა და ყველანი თან მიჰყვნენ.

ახმაურდა ჭავჭავაძეების სახლ-კარი, მასპინძლები ლევ სერგეის ძე პუშკინის სტუმრობას ზეიმობნდენ. სუფრა ასწლოვან ცაცხვის ქვეშ გაშალეს.

ბაღში დასეირნობდნენ: სამხედრო მუნდირებიანი და ქულაჯიანი ახალგაზრდები, ფრანგულ ყაიდაზე მორთული ქალები, ყურთმაჯიან კაბებში გამოწყობილი დარბაისლები. წვეულობას ნინო ხელმძღვანელობდა. მას გულამოჭრილი შავი კაბა ეცვა. მხრებს თეთრი, პარიზიდან ჩამოტანილი არშია უმშვენებდა, ყელს მარგალიტის წვრილი სხმული.

სადილი კარგა ხანს გაგრძელდა, უხვად იღვრებოდა ციცი წინანდალი. ერთმანეთს სცვლიდნენ თარის, ჭიანურის და დიპლიპიტოს ხმები. ნინომ ახლომახლო სოფლებიდან მოიწვია მომღერლები და, დამკვრელები. მცირე სუფრა გაეშალათ მათთვის კაკლის ქვეშ, აქ თქვენ ნახავდით დარბაისელ მოხუცებს ნაბდის ქუდებით, მხარბეჭიან ახალგაზრდებს, შავი ხუჭუჭი თმებით და კოპწია სოფლის პატარძლებს არშიამოვლებული ლეჩაქებით. ნინოს უნდოდა თავის ხალხის მთელი სიმდიდრე ეჩვენებინა უცხო სტუმრისათვის.

— გაზაფხულზე ვარდი და შემოდგომაზე ვაზი, აი, მშვენება ჩემი კუთხისა. — ეუბნებოდა სტუმარს ნინო.

— შემიძლია ვთქვა, რომ ვნახე ვარდების მშვენიერი ქვეყანა, შემოდგომაზე კვლავ გეწვევით და ვიხილავ ვაზის მშვენებას.

— მუდამჟამს ძვირფასი სტუმარი იქნებით ჩვენთვის.

— აუცილებლად, ქალბატონო ნინო, აუცილებლად, მუდამ მექნება სურვილი დავტკბე თქვენი ქვეყნისა და თქვენი მშვენების ხილვით.

გარშემოხვეულ რაევსკის, ბურცევს, ჩერნიშევს კი ლევი ეუბნებოდა:

— სწორედ ასეთ ქალს შეეძლო მოეჯადოებინა ალექსანდრე გრიბოედოვი.

— უნდა გენახათ, როგორ იყო გატაცებული მაგის მშვენებით.

— ახლა კიდევ უფრო მეტად მებრალება, ძნელია დასტოვო ასეთი მეუღლე. მშვენიერება და ჭკუა ამ ქალში ისე კარგად შეუთავსებია მადლიან ბუნებას.

ჰაერი გახურებული დაირის წკრიალმა შეარხია.

— განი, განი — ვეებერთელა წრე გაკეთდა, ტანწერწეტა ილიამ ხელები გაშალა, ჩამოუარა.

— ძაღლი, ძაღლი!

— ცოფიანი ძაღლი!

— მოერიდენით, მოერიდენით! — აირია ერთმანეთში ხმები.

შეწყდა დაირა, დადუმდა ტაში. გაფითრებული სალომე დაბნეული, მისთვის უჩვეულო ხმით გაჰკიოდა:

— შვილებო, გაიქეცით, გაიქეცით, შვილებო!

ლევ პუშკინი გოცებული იდგა და ვერ გაერკვია, რას ყვიროდნენ. უეცრად წყავის ბუჩქიდან შავი ბალანაბურძგენილი, პირდაღებული და ენაგადმოგდებული ძაღლი გამოვარდა და ლევ პუშკინისაკენ გაეშურა, ნინომ შეჰკივლა ლევს აეფარა, წუთი და ძაღლი ნინოს ეცემოდა. ტატომ ძაღლს ორივე ხელი ზურგსა და ქინჩში დაავლო და ჰაერში აიტაცა, ძაღლმა უცნაურად შეყმუვლა, ფეხები ააფართხალა, პირს უშედეგოდ აღებდა. ტატოს ძლიერი ხელი თავის მობრუნების საშუალებას არ აძლევდა, ასე იდგნენ ისინი, არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი.

ეკატერინეს თვალები ცეცხლივით აენთო. ბაგეები მაგრად მოკუმა, სახეგაფითრებულმა დავითს დამბაჩა წააგლიჯა და ძაღლს თავში დაუმიზნა, მაიკომ თვალი შეასწრო ეკატერინეს, თვალებზე ხელი აიფარა. დამბაჩამ დაიგრიალა და ტატომ იგრძნო, როგორ თანდათან შეჩერდა ძაღლის მოძრაობა, თავი ძირს დაეკიდა, წამოვარდნილ მარჯვენა თვალიდან კი სისხლი დიოდა, ყველანი ტატოს მიეხვივნენ, მხოლოდ მაიკო იდგა თვალებზე ხელებაფარებული.

— სახლში წამოდი, ტატო, ხელები დაიბანე, ტანსაცმელი გამოიცვალე. — გამოერკვა ეკატერინე.

ჩუმად მიდიოდნენ ისინი სახლისაკენ. მათი გულები თავიანთ საიდუმლოს უხმოდ გადასცემდნენ ერთმანეთს. ასკილის ტოტი გადაეღობა მიმავალ ეკატერინეს, ეკალი ჩაეკრა მის კაბის კალთას, ტატო დასწვდა, ფრთხილად მოაცილა. ეკატერინემ გაუღიმა და ღიმილი, ეს ფრთხილი მოძრაობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მხურვალე ალერსი.

უსიამოვნო შემთხვევამ სადილი გაუუგემურათ. სახლში შეიკრიბნენ. მასპინძლები ცდილობდნენ სტუმრებისათვის მხიარულება დაებრუნებინათ. ფორტეპიანოს მიუჯდა ეკატერინე. ტატო ფანჯრის რაფას მიეყრდნო და თვალს არ აცილებდა. რაღაც სევდიანს მღეროდა ეკატერინე, სევდიანი ხმა გულს უწყლულებდა ტატოს და

გრძნობდა გულისტკივილს, მაგრამ მისი გაღიმებული სახე და თვალები ისეთი ალერსითა და სიყვარულით გამოიყურებოდა, რომ გულის წყლულს სწრაფად უშუშებდა და ფიქრობდა: „უშენოდ განა სადმეა მხიარულება, სადაც შენ გაჩნდები, იქ ყველაფერი გულს ახარებს და აამებს, შენის ენით, შენის ლხენით, ვინ არ იგრძნობს ბედნიერებას, პირმცინარო, ნარნარო, რა მიშავს შენი სხივებით გამთბარს“. — ეკატერინემ დაკვრა დაამთავრა, უკანასკნელი აკორდი მსმენელების ტაშმა დაჰფარა, ტატო კი კვლავ იდგა, ხედავდა ეკატერინეს მოცინარ თვალებს და კვლავ ესმოდა მისი ტკბილი ხმა.

გვიან იყო, როცა დასაძინებლად გამზადებულმა მანანამ ოთახის ფანჯრები გამოაღო, სიო ფანჯარასთან ჩამწკრივებულ კიპარისებს არხევდა, ნაგვიანევი მთვარე მოღლილ მგზავრივით ცაზე დაბორიალობდა. მანანამ ფანჯრის გასწვრივ ლეღვის ხეს თვალი შეაელო და გრიგოლი გაახსენდა — ამ ლეღვის ხეზე უყვარდი გრიგოლს ასვლა. როგორ ედავებოდა ხოლმე: შენთვის კარგ ლეღვებს იტოვებ, მე კი ცუდებს მაწვდიო. ინატრა, ნეტავ აქ იყოს გრიგოლიო და თვალები ცრემლებით აევსო. — „სადა ხარ, კურკავ, გძინავს თუ სამშობლოს დარდით გულშეღონებული უძილო ღამეებს ატარებ?“ — უცნაურად მოუნდა გრიგოლთან საუბარი. საწერ-კალამი გადმოიღო, წერა დაიწყო.

„გვიან არის, უკვე მეხუთე საათია, სახლში ყველას სძინავს. ჩემი საწოლი ოთახის ღია ფანჯრიდან გავყურებ ჭავჭავაძიანთ ბაღს, ბულბულის კვნესა ისმის, ბულბული სწორედ იმ ლეღვის ხეზე ზის, შენ რომ გიყვარდა ასვლა, ნეტავ როდის მეღირსება კვლავ გიხილო ამ ხეზე ასული. ყოველდღე მივდივარ ამ ხესთან და გიგონებ, კარგო. ყვავილები ახლა ლამაზად არის გაშლილი, კვლებიც საგანგებოდ გაკეთებული, მხოლოდ ის მოხუცი მებაღე აღარ არის, შენ რომ იცნობდი.

ახლა ჩვენთან არის ლევ სერგის ძე პუშკინი, ოგი ნინოს ეწვია წინანდალში. ის თვითონაც ლექსებს წერს და შესანიშნავად კითხულობს თავის ძმის ლექსებს. გუშინ წაგვიკითხა „რუსლან და ლუდმილა“. ნინომ მითარგმნა. თარგმნილი რომ ასეთი კარგია, რა იქნება თავის ენაზე, აფსუს, რომ არ მესმის, ნეტა ვინმე თარგმნიდეს! თუ შენ შეიწუხებ თავს, კურკავ, შენ შეგიძლია შეუნარჩუნო მშვენიერება, მაშინ კი ისეთ ქისას მოგიქსოვ, შენს სიცოცხლეში არ გენახოს მივიღე შენი „სულით ერთნი მოლხინენო“, ვერაფერი გახლდა „დიპ-

ლიპიტო“. შენს დღეში ამისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს. სამაგიეროდ დიდად მომეწონა შენი მეორე ლექსი, ეფემიასთან მიწერილი, მთლად ერთიანად პოეზიით არის სავსე“.

* *

თელავისაკენ მოისურვეს გასეირნება. სტუმრისათვის უნდოდათ ეჩვენებინათ მეფე ერეკლეს ციხე-დარბაზი. ჭაეჭავაძეებს წესად ჰქონდათ შემოღებული — სტუმარს არ გაუშვებდნენ, თუ თელავს არ აჩვენებდნენ.

გადაწყვიტეს, ცხენებით წასულიყვნენ დიდი და პატარა. ახმაურდა წინანდლიდან თელავისკენ მიმავალი გზა, მიდიოდნენ სიმღერით, სიცილით, ხუმრობით. გზის იქით-აქეთ მხარეები დაბურული იყო თხილისა, შინდისა და მაყვლის ბუჩქებით. აქა-იქ მოჩანდა ახლადაფეთქილი ვაზები.

შეეიდნენ თელავში, გამოჩნდა ერეკლე მეფის ციხე-დარბაზი. ბატონის წყაროსთან ცხენებიდან ჩამოხტნენ, წყლით გაგრილდნენ და აქეღან ფეხით აჰყვნენ სასახლისკენ მიმავალ შეღმართს. დასავლეთის კარით შეეიდნენ გალავანში. აქ ამ სასახლის მცირე დარბაზში პატარა ბუხართან ისვენებდა დიდი მეფე, პატარა კახად წოდებული. თუ ისვენებდა იგი ოდესმე? აქვე დაიტირა სოლომონ ლეონიძემ თავისი მეფის ძვირფასი ცხედარი. იდგა ტატო გარინდებული და ესმოდა სოლომონის ქვითინი და გოდება — „ცამან მოსტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართმთავართ სარდლობა და თვითმპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა“. აი, ღმერთს შესთხოვს მუხლმოყრილი სოლომონი — „ერეკლე მეფის სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს“-ო. სამუდამოდ დარჩა ტატოს ხსოვნაში ციხე-დარბაზის დიდი ეზო თავისი წვრილი და მაღალი კოშკებით და ვეება ჭადრის ხეებში მიმალული პაწია კარის ეკლესია.

ნაშუადღევს ციხე-დარბაზის გალავანში გაიფანტნენ ახალგაზრდები, დამალობანას თამაშობდნენ. ეკატერინე ბროწეულის ბუჩქებისაკენ გაიქცა. ბუჩქს ტატო ამოფარებოდა. ისინი მარტო დარჩნენ ალისფრად აყვავებულ ბროწეულის ბუჩქებს შორის. ეკატერინემ ხელი ჩაჰკიდა ტატოს და ბუჩქებს შორის გაიქცნენ, იცინოდა ეკა-

ტერინე, გზადაგზა ბროწეულის ალისფერ ყვავილებს კრეფდა და ჰაერში ისროდა. დამფრთხალ ჩიტებზე მიუთითა, ბროწეულის ბუჩქიდან რომ წამოიშალნენ. უეცრად ხელი გაუშვა ტატოს, გაიქცა, შორიდან მიაძახა:

— დაეჭირე, ტატო! — გაქცეულს სპილოსძვლის სავარცხელი ჩამოუვარდა, ხუჭუჭი თმები ჩამოეშალა, სავარცხლის ასაღებად დაიხარა ტატო, მათი თავები ერთმანეთს დაეჯახნენ, ეკატერინემ ორივე ხელი თავში იტაცა, ბალახებში ჩაჯდა.

— საძაგელო! — თვალები უღიმოდა ეკატერინეს. ორივემ ხმამაღლა გადაიხარხარა.

ეკატერინემ აყვავებული ბროწეულის ტოტი მოიწია, მოტეხა, თავში სავარცხლით გაიმაგრა.

— ლამაზი ვარ? — ტატომ ბალახებში ჩამჯდარ ეკატერინეს წინ ჩაიჩოქა.

— ცისიერო! — ეკატერინე წამოხტა, ტატოს ხელი დასტაცა და ორივენი კვლავ გაიქცნენ. სირბილით მივიდნენ ბატონის წყაროსთან. ეკატერინემ პეშვი შეუშვირა მოჩუხჩუხე წყალს და დაეწაფა.

— უ, რა კარგია! ჩამონადენი წყლის წვეთები გულზე ეღვრებოდა, კაბის გულისპირს უსველებდა. კვლავ დაიხარა, წყლით აივსო პეშვი. — დალიე, ტატო! ჩქარა, დაიღვრება! — ტატო წყალს დაეწაფა. — კარგი, გეყოფა! — შეიფრთხიალა ეკატერინემ და პეშვში დარჩენილი წყალი სახეში შეასხა.

ციხე-დარბაზის ეზოში ქართულს ცეკვავდნენ, როცა ეკატერინემ და ტატომ მიირბინეს.

— სად იყავი? — წარბი შეიკრა სალომემ.

— ვარდებს ვკრეფდი, დედილო, — ეკატერინემ ვარდების თაიგული გაუწოდა დედას. სალომემ გაჯავრება ვეღარ მოახერხა. დედის გაშლილი წარბები რომ დაინახა ეკატერინემ, გამხიარულდა, მოცეკვავეთა წრეში შეიჭრა, მკლავები გაშალა და გედივით ყელმოღერებულმა ჩამოუარა, ირხეოდა ეკატერინეს თმებში გამაგრებული ალისფრად აყვავებული ბროწეულის ტოტი და ჰაერში გაისმოდა მისი წკრიალა ხმა:

— ბროლის ფიცარი, აფიცარი! — ეკატერინეს ხმა ალაზნის ველზე იკარგებოდა.

„ცით მოფრენილი ხარ და ვით შეგბედო?“ — როგორ მოუღერებია ყელი, მისცურავს თუ მიფრინავს? უყურებს ტატო მისი ფე-

ხების მოძრაობას, მიფრინავს, მიწას ფეხს არ აკარებს. როგორ ხმარობს გაშლილ ხელებს! ვინ მისცა ასეთი სახე, სინაზე, ვინ დააწერა ნაზ ტუჩებზე ეს ღიმილი? თვალთ უბნელდება ტატოს, ეკატერინეს, მხოლოდ ეკატერინეს ხედავს ამდენ ხალხში, მის ცეცხლივით ანთებულ თვალებს, ლაღ მოძრაობას, სიცოცხლისაკენ, ცხოვრებისაკენ რომ მიისწრაფის.

სტუმრების წასვლის შემდეგ მოწყენილობამ დაისადგურა წინანდალში.

ქალები ყოველდღე დასეირნობდნენ ცხენებით, ქარგავდნენ, თამაშობდნენ ბილიარდს და ჭადრაკს, თავს ირთობდნენ კითხვით, ვარჯიშობდნენ ლექსებსა და ზღაპრებში, ხატავდნენ. ავდრიან დღეებს კი ბიბლიოთეკაში ატარებდნენ, ისხდნენ ცეცხლის პირს, სასახლის ქვედა სართულში და უსმენდნენ მოხუცების ნაამბობს, ხალხურ სიმღერებსა და ანდაზებს.

* *

წინანდლის ზვრებში კრეფას იწყებდნენ, კვირა დილით ადრიდანვე გაგზავნეს თბილისში დროშკა და ცხენები სტუმრების ჩამოსაყვანად. მხიარულება დაუბრუნდა ჭავჭავაძის სახლ-კარს. უამრავი ხალხი ირეოდა ღვინის სარდაფში, რეცხავდნენ, აშრობდნენ, ხარშავდნენ.

კვირა ღამიდან ღამისთევა იწყებოდა ზვრებში. სტუმრებმა სამხრობისას მოიყარეს თავი, მოვიდნენ თელავიდან, გარშემო სოფლებიდან, წინანდალში ხომ არავინ დარჩენილა, დიდი და პატარა ეწვია ჭავჭავაძეების მამულს. ვეებერთელა კოცონები დაანთეს ვენახის ნაპირებზე, რიგი უკრავდა, რიგი მღეროდა, რიგი ჭიდაობდა, ლექსის მთქმელებიც გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაცვარული ყურძნის მტევნები გადადიოდა ხელიდან ხელში, ასე ილეოდა ღამე ზვრებში.

— ნახე, ტატო, როგორი მტევანია. — დაიხარა ეკატერინე და ჩამკვრიეებულ რქაწითელის მტევანს ხელი მოჰკიდა.

— აი, ესეც მშვენიერია, ეკატერინე.

— არა, ეს სჯობია, მოდი, ნახე! — ტატო მივიდა და ვაზთან დაიხარა. ეკატერინემ ორი მარცვალი გამოაცალა მტევანს, პირში ჩაიდო, ყურძნის მარცვალმა აწითლებული ბაგეები დაუსველა და

თეთრმა კბილებმა სწრაფად ჩანთქა. — შენც ჭამე, ტატო! — კვლავ მოაძრო მტევანს ორი მარცვალი და ტატოს გაუწოდა. — პირი გააღე, პირი. — ტატომ ეკატერინეს თითების სითბო იგრძნო და სწრაფად დაიხია უკან, ეკატერინე შეკრთა, ვაზებს შორის გაჰყვა. ბროწეულთან შეჩერდა, დაიწია, ტოტი მძიმე ნაყოფს დაემძიმებია და დაეზნიქა. გახლეჩილი ბროწეული ეკატერინეს ბაგესავით უღიმოდა ტატოს.

— აქ რას აკეთებთ? — ჩაესმათ მაიკოს ხმა.

— ბროწეული მინდა მოვწყვიტო, ვერა ვწვდები, ტატო კი არ შეხმარება, აი, ხედავ, იქ, ზევით, რა კარგი ნაყოფია!

— მოიცა, მოგეხმარები, დავიწევ, შენ კი მოწყვიტე! — ტატო ჩუმად იდგა და მისჩერებოდა.

— მოდი, ტატო, მოწყვიტე, ხომ არ დაგეძინა? — ტატო ხესთან მიიჭრა, ბროწეული მოწყვიტა, ეკატერინეს გაუწოდა.

კოცონს დაუბრუნდნენ ეკატერინე, ტატო და მაიკო. ცეცხლის პირას მუთაქაზე იჯდა ნინო, მისი ბროლივით ნათალი თითები ჩონგურის სიმებზე დათამაშებდა და კვნესოდა ჩონგური ნინოსთან ერთად. გარშემო მსხდომნი განაბულიყვნენ. შეჩერდა ტატო. ცეცხლის ალი და ნაგვიანევი მთვარის შუქი უნათებდა ნინოს სევდით მინაზებულ სახეს, უცნაურად შეენოდა მრავალნაცრემლი ღაწვები. ნაშალი თმები ყელზე ეყარა, ჟუჟუნა თვალებში უსაზღვრო სევდა ციმციმებდა.

ტატომ ნინოს სევდას ვეღარ გაუძლო, განაპირდა, ბალახებში გაწვა, ბალახის ღერს კბილით სწიწკნიდა და გულნაღელიანი ფიქრობდა: — „უსამართლო ხარ, ბედო, რად დაისაჯა კეთილი და სათნო ნინო? რაოდენ სასტიკი უნდა იყოს ის, ვინც სამუდამოდ ცრემლისათვის გაიმეტა მისი ჟუჟუნა თვალები, მუდამ კვნესისათვის მისი შშვენიერი ბაგე, რომელსაც ვარდის ფურცლებივით მხოლოდ ლხენა შეეძლო მოეტანა". — ანაზდად ძია გრიგოლი გაახსენდა; ინატრა — „ნეტავ ძია გრიგოლი ხედავდეს ახლა ნინოს".

— სად დაგვეკარგე, ტატო! — თავს წამოადგნენ მაიკო და ეკატერინე. ტატო სწრაფად წამოხტა.

— ნახე, რამდენი ციცინათელები დავიჭირე. — ეკატერინემ თავი დახარა. მის თმებში მიყუჟულიყვნენ ციცინათელები და ხანგამოშვებით ანათებდნენ. — „შუდამ ბრწყინვალებისაკენ მიისწრაფვის ეკატერინე". — გაუელვა ტატოს.

განთიადი დაიწყო. სითეთრემ მოიცვა ყველაფერი. უეცრად აღმოსავლეთს ალისფერი წაეკიდა, ჯადოსნურმა შუქმა გაანათა ზვარი, განთიადთან ერთად ტოროლები შურდულებივით ამოვარდნენ ვაზებიდან და აიჭრნენ სულ ზევით და ზევით. ამომავალ მზის სხივებზე ძვირფასი თვლებივით ბრწყინავდნენ ყურძნის მარცვლები და ირხეოდნენ ფოთლები.

სალომე ვენახის თავში იდგა. გადიამ თეთრი ხელთათმანები და მაკრატელი მოართვა, სალომემ პირველსავე ვაზს მტევანი შეაჭრა.

— ჩვენი ქვეყნის სიმდიდრევ და ბარაქავ, დაილოცოს შენი მადლი. — ამ სიტყვებით ყურძნის მტევანი გამდელს ჩაუდო მოწნულ ხელკალათში, ამ კალათში სალომე და გამდელი ზედაშესათვის აგროვებდნენ ყურძენს. კრეფა დაიწყო. მკრეფავების სიმღერამ დაფარა მიდამო. გახურდა კრეფა, ცხელი ქარი ქროდა.

— ხედავ, ყანჩები მიდიან თბილ ქვეყნებში. — ტატომ ზევით აიხედა. გამწკრივებული მიდიოდნენ ყანჩები, მორჩილად მიჰყვებოდნენ გზის მაჩვენებელს. „ნეტავ მასაც გაუჩნდებოდეს ცხოვრებაში მეგზური“. — ინატრა ტატომ და თვალს აღარ აცილებდა მიმავლებს. უეცრად ყანჩებს ერთი გამოეყო და ჩამორჩა.

— რა არის ეს? — შეჰყვირა ეკატერინემ. — რატომ ჩამორჩა? — ქარავანი კი წინ მიიწევდა. ჩამორჩენილი ხანგამოშვებით ჩერდებოდა და განწირული ხმით ეძახდა წინწასწრებულებს. ერთი კიდევ შეჰყვირა და შურდულივით წამოვიდა ძირს.

— ვაიმე! — ეკატერინე ტატოსა და მის შორის დავარდნილ ნაცრისფერ ყანჩას დააჩერდა. ტატო დაიხარა. ყანჩას ფრთები უსიცოცხლოდ გაეფოფრა, თავი გვერდზე გადაეგდო, ხელის შეხებაზე პატარა თავი ოდნავ გაანძრია და ისეთი ნაღვლიანი თვალებით შეხედა ტატოს, თითქოს ეკითხებოდა — შეგიძლია მიშველოო.

— ტატო, მოკვდება, მოკვდება? — მეასეჯერ ეკითხებოდა შეშფოთებული ეკატერინე.

— წყალი დავალევინოთ, წყალი! — გაიძახოდა მაიკო.

ტატო კი იდგა, დასჩერებოდა ეკატერინეს კალთაში უსიცოცხლოდ თავგადაგდებულ ყანჩას და ფიქრობდა:

„ძნელი სავალია ცხოვრების გზა, ვერც მეგზურმა უშველა ყანჩას, შუა გზაზევე უღალატა ბედმა“.

ხმა იდუმალი

ნოემბრის მზიანი დღე იყო, მსუსხავი ქარი დათარეშობდა ქალაქში, მზესაც მცხუნვარება დაკარგოდა. ჭირხლი გადაკვროდა მიდამოს. კარგა ხანია გათენდა. ქალაქს გაღვიძება არ ეტყობოდა და ქუჩაში მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა მგზავრი, რომელიც ვადაუდებელ საქმეზე მიეშურებოდა.

ორსართულიანი სახლიდან ნამძინარევი თვალების ფშვნეტით გამოძვრა ფეხშიშველი, თმაგაბურძგვნილი პატარა ბიჭი და სახლის დარაბების გაღება დაიწყო. ბიჭი ქარის ყოველ შემოქროლებაზე ძაგძაგებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გამოეღო დარაბები.

ცხვრის ტყავის ქუდით თავზე ჩამოფხატულ მეთულუხჩეებს გაყინული ხელები იღლიებში ამოედოთ და ჩაქჩაქით მომავალ სახედრებს მისდევდნენ.

მხოლოდ ტატო მიდიოდა ნელი ნაბიჯით, თავშიშველს ფართო შუბლი მსუსხავი ქარისათვის მიეშვირა. გამოხედვაზე ეტყობოდა არც ქარს გრძნობდა და არც სიცივეს. ქარი უწეწავდა უკან გადავარცხნილ თმას და უფრიალებდა ყელზე გამოსკვნილ შავ ბაფთს, მიდიოდა უზენაესი სასამართლო პალატის მოხელე აქტებისა და ოქმების საწერად.

ტატო ორსართულიანი შენობის ქვედა სართულში შევიდა. კარი ხმაურით მიიხურა და გრძელ ოთახში აღმოჩნდა, რომლის ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ მაგიდებთან ისხდნენ მოხუცი, შუახნისა და ახალგაზრდა ჩინოვნიკები, ისინი თავაუღებლივ მუშაობდნენ. დარბაზის ბოლოს სამუშაო მაგიდას მიჯდომოდა მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცი. მოხუცმა ტატოს მისალმებაზე სათვალეებს ზემოდან გადმოხედა და, მანამ არ მოაცილა მზერა, სანამ სამუშაო მაგიდას არ მიუჯდა. მოხუცი სამუშაოდ გამზადებულ ტატოს მიუბრუნდა:

— თავადო ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვო, მომართვა მოვიდა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციიდან თქვენთვის ფიცის ჩამორთმევის შესახებ.

ტატო ფეხზე ადგა, ისე უსმენდა მოხუცს.

— ეს ყველაფერი ორშაბათისათვის უნდა გამზადდეს, თავადო ბარათოვო, საჭიროა დასდოთ ფიცი, რომ როგორც აქამდე, არც მომავალში მიეკუთვნებით რაიმე ფარულ საზოგადოებას, დაფიცების აქტს ხელს მოაწერს მრჩეველი თავადი თუმანოვი, საქმის მწარმო-

ებელი ბატონი დროზდოვი და მაგიდის უფროსი, ბატონი გრიგორიევი.

— კეთილი. — ტატომ თავი დაბლა დახარა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ხანგამოშვებით ქარი აზანზარებდა მინებს და ზოგჯერ გაისმოდა, როგორ წრიპინებდა ქალალდზე მაგიდის უფროსის კალამი.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ტატო გარეთ ფედორ გავრილენკოსთან ერთად გამოვიდა. ქარი მომძლავრებულიყო. ფეოდორმა ქუდი ჩამოიფხატა, მოსასხამის საყელო აიწია.

— არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა ფიცი ჩამომართვეს. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი დღეა ადამიანის ცხოვრებაში. უფროსი მაგრად გართმევს ხელს, როგორც მის სწორს, გული სიხარულით გევსება. — წრიპინა და თავმომაბეზრებელი ხმა ჰქონდა ფედორს. ტატოს ნოემბრის ქარზე უფრო მეტად სუსხავდა ის. უეცრად წარმოუდგა, რომ მუდამ ასე უნდა იაროს ფედორთან ერთად, მუდამ ასე უნდა ესმოდეს ეს წრიპინა ხმა.

— მწუხრის ლოცვა უნდა მოვისმინო მამადავითზე, ამიტომ აქეთ გეახლებით! — ფედორმა მხრები უსიამოვნოდ შეარხია, თვალები დააჭყიტა, ეჩოთირა, ესოდენ საინტერესო საუბარი რომ შეაწყვეტინეს.

— რა დროს მამადავითია ასეთ ამინდში, აქ შებრძანდით ქაშვეთში. — ტატოს ფედორის რჩევისათვის ყური აღარ მიუგდია, ჩქარი ნაბიჯით შეუყვა მთაწმიდისაკენ მიმავალ გზას. ქარი არხევდა გაძარცული ხეების ტოტებს, ზოგჯერ აიტაცებდა შემორჩენილ გაყვითლებულ ფოთოლს და ჰაერში აფრიალებდა. ახლა უკვე ნელა მიაბიჯებდა ტატო. ფედორის თავმომაბეზრებელი ხმა აღარ ესმოდა. ნოემბრის ქარს ძეხორციელი განედევნა აქედან. გრიბოედოვის საფლავთან მივიდა ტატო, მყუდრო ადგილი იყო, უბესავით გამოკვეთილი, ქარი არც თუ ისე ძლიერად ხვდებოდა. პირველი, რამაც ქალაქში ხედვა მოსტაცა, გიმნაზიის შენობა იყო. დააშტერდა შენობას, აქ, ამ ნაცრისფერ შენობაში, გაირბინა მისმა ყმაწვილკაცობამ სწორთა, თანხვდილთა და მეგობართა შორის. აქ შეიცნო ტატომ პირველად წუთისოფელი. მის შემდეგ, რაც ეს ადგილები დააგდო, გულს ჩუმი ნაღველი გაუჩნდა და ხმა იდუმალი თან სდევს მის ყოველ ზრახვას. ცხადად თუ სიზმრად სულ ერთს ჩასძახის:

— ეძიე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი! — მაგრამ სად, სად იპოვოს

ტატომ თავისი ხვედრი? ნუთუ მისი ხვედრია მთელი დღეები გაატაროს ფედორსა და ვასილთან. ნუთუ მისი ხვედრია მაგიდის უფროსს თვალებში შესჩერებოდეს და სერთუკიდან მტვერს უწმენდდეს? ცივი ქარი სახეს უსუსხავდა, მაგრამ ვეღარაფერს გრძნობდა და ჩუმად ჩურჩულებდა: — „ხმავ იდუმალო, ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, თუ მაცდური, ვინცა ხარ, მითხარ, რას მომისწავებ.

ჭრაქის ალი აციმციმდა ტატოს სახეზე. გზად მიმავალმა ბერმა, რომელსაც საღმოს ლოცვა დაემთავრებინა, ჭრაქი მიანათა სახეზე და პირჯვარი გადაიწერა:

— თუ მაცდური ხარ, ამ წმინდა ადგილს ვით მოეკარე?

— ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, წმიდაო მამავ!

— ძე ხორციელო, ამ ცუდ ამინდში აქ რას დაეძებ, რა დაგიკარგავს?

— იდუმალი ხმა არ მასვენებს, მამაო, ხვედრის საძებრად მომიწოდებს.

— ყრმაო, ნუთუ რაიმე შეუწყნარებელი ცოდვა მიგიძღვის ამქვეყნად?

— არა, მამაო, თვალს გადავავლებ ჩემი ცხოვრების განვლილ გზას და იქ ვერ ვპოვებ ავს, ჩემი სინდისის საშფოთველს და საქენჯნავსა.

— მაშ, რად შფოთავს სული შენი, შვილო ჩემო?

ტატომ ბერისაკენ ხელები გაიშვირა:

— ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვეღარ ვიშორებ!

ბერმა უკან დაიწია, ტატოს გაბრწყინებულ თვალებს ჩააშტერდა:

— ყრმაო, ვისი სიტყვებით მელაპარაკები? არ წამიკითხავს ეგ სიტყვები ჩემ წიგნებს შორის, არცა მსმენია ვისმესგან ჯერ წარმოთქმული.

— ჩემი გულის ნაღველი მალაპარაკებს, მამაო, ხმა იდუმალი თანა მსდევს და ჩამძახის ამ სიტყვებს. — წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ბერი თვალს არ აცილებდა ტატოს, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო, ქალაქისაკენ მოაბრუნა, ვეებერთელა ხელი სივრცეში გაიშვირა:

— იქ, იქ არის შენი ხვედრი, ყრმაო, იქ უნდა ეძიო იგი და გწამდეს, რომ ჰპოვებ უთუოდ. შენი ხვედრი დიდია ამქვეყნად. მისდიე მაგ ხმას იდუმალს, იგი მფარველი ანგელოზია შენი, ის მოგაცილებს გულის კაეშანს და მიგიზღავს ამ სოფლად შენს წილს.

ბერი სწრაფად მოტრიალდა ტაძრისაკენ: — აქ არ არის შენი ხვედრი, ყრმაო, აქ მხოლოდ ბრძოლით დაქანცულები ამოდიან და-

სასვენებლად, როს დაკარგავენ იდუმალი ხმის საკვირველ ძახილს.

ქალაქს ეძინა, როცა ტატო მთაწმიდიდან ჩამოვიდა. ჩაბნელებული იყო ყველაფერი, მხოლოდ ჭავჭავაძეების სახლიდან გამოდიოდა შუქი. ფარვანასავით იზიდავდა ეს შუქი ტატოს. რას უქადდა იგი? სამუდამოდ გაუნათებდა ცხოვრების გზას, თუ ფრთებს შეუტუსავდა და დაუხშობდა ფრენის უნარს!

საუბრე

სიონის ტაძრისაკენ მიედინებოდა დიდი და პატარა, ერთმანეთს მისდევდნენ დროშკები, კარეტები, ცხენოსნები, ქვეითები. ტაძრის შესავალში შეყრილები ერთმანეთს ესალმებოდნენ. ჯგუფდებოდნენ, ჩამორჩენილებს ელოდნენ და ერთად შედიოდნენ საზეიმოდ მორთულ ტაძარში.

გადასახლებიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვიდობით დაბრუნებისათვის პარაკლისს იხდიდნენ სიონის ტაძარში. ეშურებოდნენ ენახათ ალექსანდრე. მთელი ღამე თოვდა და ჭრაჭუნებდა ფიფქად ნაყარი თოვლი სიონისკენ მიმავალთა ფეხქვეშ, ტაძარში წინა რიგებს ორბელიანები, ბარათაშვილები და ჭავჭავაძეები იკავებდნენ.

— მოდიან!

— ჭავჭავაძეები მოდიან! — შეიქნა ჩურჩული. ტაძრის შესასვლელში ქუდი მოიხადა ალექსანდრემ და, როცა ტაძრის კიბეზე ჩასვლა დაიწყო, ტაძარში მყოფებმა მზერა მიაპყრეს მშვენიერ ვაჟკაცს, რომელსაც ქუდი მარჯვენა მკლავზე ედო და გვერდს სალომე და ნინო უმშვენებდნენ.

— ისევ ისეთია, როგორიც წავიდა!

— არ დაუკარგავს სიმშვენიერე და ლაზათი!

— გარსევან ჭავჭავაძის შვილს სიმშვენიერეს რა დაუკარგავს.

ხალხი შუა გაიყო, გზა დაუთმეს, ჭავჭავაძეებმა საკურთხევლის წინ დაიჭირეს ადგილი.

გამოვიდა ეფრემი. მისმა ხმამ დაიგუგუნა, საცეცხლური მიმოატარა თავდახრილი მლოცავების წინ და საკმევლის სუნი დააყენა ირგვლივ.

დედის გვერდით იდგა ტატო. ხედავდა, როგორ ჩამოსდიოდა ფერმკრთალ ლაწვებზე ცრემლები, თვალები ღვთისმშობლის ხატი-

სათვის მიეპყრო და უხმოდ შესთხოვდა რაღაცას. „ნეტა ძია გრიგოლი როდის დაბრუნდება“, — გაუელვა ტატოს და მიხვდა, ამასვე ფიქრობდა ეფემიაც.

— მადლი უფალს! — გუგუნებდა ეფრემი და საცეცხლურიდან საკმეველის სუნს ფანტავდა.

ტატომ თვალი შეავლო საკურთხევლის წინ თავდახრილ ალექსანდრეს, კოცონივით გიზგიზებდა მის ხელში კელაპტარი. ასეთივე კელაპტარი ეჭირათ სალომეს, ნინოს, ეკატერინეს. სალომეს ღაწვებზე ცრემლი ნაკვალევს ტოვებდა, თავდახრილ ნინოს ცრემლი გულ-მკერდზე ეფრქვეოდა. რა მშვენიერი იყო კელაპტრის შუქით განათებული ეკატერინე! როგორ ასწითლებოდა ღაწვები და უბრწყინავდა თვალები! მუხლმოყრილი იდგა ეკატერინე ხატის წინ, თავი დაეხარა. მოციმციმე სანთლის შუქი ოდნავ უნათებდა სახეს. ბონაზონთა გალობა სადღაც შორიდან ესმოდა ტატოს და ამ ვეებერთელა ტაძარში მხოლოდ ეკატერინეს სახეს ხედავდა, სანთლის მკრთალი შუქით განათებულს. სანთელი თანდათან იწვოდა ეკატერინეს ხელში. შეინძრნენ ეკატერინეს ბაგეები: — „რას შესთხოვს ეკატერინე ღვთისმშობელს?“ სანთელი ჩაიწვა ტატოს ხელში. თითების დაწვამ გამოაფხიზლა და ძლივსღა მოსწყვიტა მზერა მაცედრებელ ეკატერინეს.

დამთავრდა პარაკლისი.

გზა შეუკრეს ჭავჭავაძეებს წინანდლიდან ჩამოსულმა გლეხებმა. გარსევანის თანამებრძოლებმა გულში ჩაიკრეს მათი მოჭირნახულის შვილი, მიულოცეს მშვიდობით დაბრუნება.

ქუჩის ბოლოს დროშკა ელოდა ჭავჭავაძეებს. შავი ცხენები ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ფიფქ თოვლში ფეხებს აბაკუნებდნენ და ნესტოებიდან გამონადენი ორთქლით ბუღს აყენებდნენ. ალექსანდრე რომ დაინახეს, თავები ზე აიღეს, ყურები დაცქიტეს და ეზიარული ჭიხვინით შეეგებნენ.

დაცარიელდა სიონის ქუჩა. აი, ტატო და ლევანიც გამოეცალნენ ჩუმად. მიდიოდნენ ისინი, თავთავიანთ ფიქრებში გართულნი. მოსახვევიდან პატარა ბიჭი გამოჩნდა, თავზე თაბახით პურები ედგა და გაჰყვიროდა:

— ცხელი პური, აბა, კარგი ცხელი პური! — პურს ოხშივარი ასდიოდა და გარშემო სასიამოვნო სუნს ფანტავდა.

— მანანასთან კვლავ შეეხვდებით ერთმანეთს, ტატო!

— აუცილებლად, რვა საათზე იწყება წვეულება.
— დიდი ქეიფი მოგველის.
— ალექსანდრეს საპატივცემოდ განა მანანა თავს დაზოგავს?
ტატო და ლევანი ერთმანეთს დასცილდნენ და თავთავისი გზით წავიდნენ...

რვა საათზე ახმაურდა მანანას სახლ-კარი, ფარეშებმა აანთეს შუა დარბაზში ჩამოკიდებული მრავალსანთლიანი ჭაღი, ჩამოუარეს კედლებზე გამაგრებულ სამსანთლიან სასანთლეებს. ოთხივე კუთხის ბუხარში გუზგუზებდა ვეებერთელა კვინჩხის კუნძები.
ოთახებში ირეოდა ყველა ჯურის ხალხი, ევროპიელთა და აზიელთა წარმომადგენლები. ერთმანეთს სცვლიდნენ ფრანგი და ინგლისელი მოგზაურები, სპარსელი და ინდოელი ვაჭრები, რუსი სამხედროები და მოხელეები; ირეოდა ერთმანეთში ფრაკები, ჩალმები, მუნდირები და ქულაჯები.
მამაკაცების უმრავლესობა დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად იდგა და საუბრობდა. ლამაზმანები კი გარშემო სკამებზე ჩამწკრივებულიყვნენ და სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.
ტატო ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა მანანასაკენ, მის წინ ფრანგი მეფუნთუშის ბიჭი გარბოდა ვეებერთელა კალათით და ცხელ-ცხელი ფუნთუშები მიჰქონდა. დარბაზში შესულ ტატოს თვალები აუბრჭყვიალდა, წუთით შედგა, ვერც ერთი სახის გარჩევა ვერ შესძლო. დარბაზის ღია კარიდან მოჩანდა ოთახების გრძელი რიგი.
დარბაზის შემდეგ ოთახში ეკატერინე იდგა, შიშველი მხრები და გედივით მოღერებული კისერი ბრწყინვალებას უკარგავდა თვალმარგალიტს, რომელიც ეკატერინეს გულ-მკერდს უმშვენებდა, მასთან ახოვანი ჭაბუკი იდგა, ბრწყინვალე მუნდირში. ისინი საუბრობდნენ, ეკატერინეს თავი ამაყად ზეაეწია და ლაღად უღიმოდა ბრწყინვალე თავადს, რომელსაც ლამაზი, ეაკაცური სახე ასწითლებოდა და მით ეშხი მომატებოდა.
ტატო ეკატერინესაკენ გაეშურა, გულმა შეიფრთხიალა მის დანახვაზე და უცნაურად მოუნდა მასთან საუბარი. შედგა, თავით ფეხებამდე შეათვალიერა ეკატერინეს მოსაუბრე. მზერა კვლავ ეკატერინეზე გადაიტანა. თითქოს ბრწყინვალებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეკატერინე და უცხო თავადი: „ვინ უნდა იყოს ის? როგორ შეენიან ერთმანეთს“. — გაუელვა ტატოს და შედგა. ეკატერინე მის-

კენ მოტრიალდა, გაუღიმა. მიუახლოვდა. წამს გაქრა სიტყვები, რო. მელიც შეამზადა მის შესახვედრად და თავდახრილი დადგა მის წინ.

— სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი... თქვენ რომ ლექსი მოგეწონათ, მთავარო, მისი ავტორი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი. — გააცნო ეკატერინემ ისინი ერთმანეთს.

ტატოს მოუნდა, სრულიად გასცლოდა აქაურობას. როგორ ელოდა ამ დღეს. შეხვედრას ეკატერინესთან, რად შემოჰკვნესის გული ამრიგად? ნუთუ პირველად ხედავს ეკატერინეს ბრწყინვალე თავადებთან მოსაუბრეს? არა, ეს სხვაა, ეს სხვაა, — ჩასძახა ვიღაცამ. — ვერ ხედავ ეკატერინეს როგორ უბრწყინავს თვალები, როგორ შვენიან ისინი ერთმანეთს? სიხარულის სანთელი ერთი სულის ჩაბერვით ჩაუქრო ტატოს ვიღაცამ. გარშემო ჩამობნელდა და ბიჯის წადგმა ვეღარ მოახერხა. თავი გაიქნია უსიამოვნო ფიქრების მოსაცილებლად. სწრაფად გაეშურა ოთახების ბოლოს მოთავსებულ რვაკუთხიან ბუდუარისაკენ. ბუდუარის კუთხეებში იდგა სავარძლები. ოთახი მოფენილი იყო აბრეშუმის ხალიჩებით. მაგიდაზე გადაფარებულ ატლასზე ამოქარგული იყო ნაირ-ნაირი ფერის ყვავილები. კედლების გასწვრივ მდგარ დაბალ ტახტებზე გადაფარებული იყო აბრეშუმის ხალიჩა დიდი დორით და მანანას ხელით ნაკერი ბალიშებითა და მუთაქებით. ოთახში მხიარულად გუზგუზებდა პატარა ბუხარი, რომლის წინ თავი მოეყარათ მაიკოს, ტასოს, მართას, მარიამს, ლევანს, კონსტანტინეს, მიხეილს, ილიას, დავითს. ტატომ დარდი ჩაიხშო, შეკრებილ ქალებთან მიიჭრა:

— ხედავთ, ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავებს სად მოუყრიათ თავი! — ტატო ქალებს შორის ჩაჯდა. — რა მომკლავს ამდენ ლამაზმანებში. — მარიამმა თმებში ხელი წაატანა ტატოს.

— ჩემო ტატო, „პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია, ფედორის ყურებითა სევდა გაგხშირებია". — ტატო მარიამისკენ მიბრუნდა, გაუღიმა: — მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძეთა. თუნდაც კნეინა სოფიოს ჰკითხეთ რამდენი წლისა ხართ.

მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ,
პაპუნაშვილი თქვენი ყმა, თქვენი ლალაცა ყოფილა.
იმისი თქმითა, მარიამ, ოცდაათისა ყოფილხარ.
— ხა, ხა, ხა, მარიამ ქალო, გაჯობა, გაჯობა.
მუსიკის ჰანგმა დაფარა ქალების ხარხარი.

— ადექით, ადექით, ცეკვა იწყება! — წამოფრინდნენ ქალები. მარიამიც ზეზე წამოდგა, ტატოს ქოქოლა მიაყარა.

— ჩვენ არა ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია.

სანამ საცეკვაო დარბაზში გავიდოდა ტატო, ლოტოს მოთამაშე ხანშიშესულ მანდილოსნებს მიუახლოვდა.

— არ წაგო, ფეფო. — წასჩურჩულა დედას.

— შენ სახელზე ვითამაშებ, შვილო. — გაუღიმა ეფემიამ.

ახლა ბანქოს მოთამაშე მამაკაცებს მიეჭრა ტატო, როცა საცეკვაო დარბაზში გავიდა, პოლონეზი დაწყებული ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნინოსთან ერთად. ეკატერინე სამეგრელოს მთავართან ცეკვავდა, მალე ტატომაც მაჰ» რიგში დაიჭირა ადგილი მაიკოსთან ერთად.

დამთავრდა ცეკვა. მოქანცული ქალები ოთახებში გაიფანტნენ წყლისა და ტკბილეულისათვის.

ვალსი მხოლოდ ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა დაიწყო. ტატო ეკატერინესთან ცეკვავდა და მისი მზერა არ სცილდებოდა საყურის თამაშს. საყურის ჩრდილი მოძრაობდა ეკატერინეს ყელსა და მხრებზე, თითქოს პეპელა დაფარფატებსო და არხევს ლამაზ შროშანს. საყურე შროშანი, რაღაც შორეული მოაგონდა ტატოს და თვალი ვეღარ მოაცილა საყურის ჩრდილის თამაშს ეკატერინეს ყელზე. სურვილი იპყრობდა, ხელში მოექცია მოფარფატე ჩრდილი, ძლიერი იყო სურვილი, ხელი ეწვოდა, არასოდეს ეკატერინეს საყურის თამაშს ასე არ მოუხიბლავს. „ნუთუ პირველად ხედავს შროშან საყურეს ეკატერინეს ყელზე მოთამაშეს?“ მთლად დაეუფლა სურვილი ბაგით შეხებოდა საყურის ჩრდილს. ძლიესლა მოახერხა წრის შემოვლა, გარეთ გამოვარდა, გამოსასვლელში ლევანი შემოეყარა.

— სად გარბიხარ, ტატო?

— ლევან! ლევან! — ორივე ხელები მხრებზე წაავლო ტატომ და შეარხია, — ეკატერინეს საყურის. თამაშმა გადამრია! ღვთის გაჩენილი კაცი ვერ ნახავს უკეთესს! — სწრაფად უშვა ხელი ლევანს და კიბეზე დაეშვა. ლევანმა თვალი გააყოლა, როგორ გარბოდა ტატო ფიფქ თოვლზე. ბამბის ქულებივით ცვიოდა ვეებერთელა ფანტელები, ჩამობურულიყო ყველაფერი და ამ ბურუსში ტატო ხედავდა, როგორ თამაშობდა ეკატერინეს საყურის ჩრდილი მის მხრებსა და ყელზე.

ბარდნიდა თოვლი, მიდიოდა ტატო, მისდევდა ეკატერინეს საყუ-

რის ჩრდილს და მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობდა — „ნეტავ იმას, ვინც მის ჩრდილში მოიბრუნებს სუნთქვას და მისი შერხევით, მისი სიოს მობერვით გულის სიცხეს გაიგრილებს“.

• •

ბინდი ჩამოწოლილიყო. ოთახს მხოლოდ ბუხრის ალი ანათებდა. სავარძელში მაიკო იჯდა, ბუხარში ცეცხლის ალის თამაშს შესჩერებოდა. როცა ადამიანის ჩრდილი ძირს გაგებულ ხალიჩაზე გაწვა, მაშინ მოიხედა.

— შენა ხარ, ტატო?

— რადა ხარ ნაღვლიანი, მაიკო?

— წუხანდელმა ღამემ დამღალა, შენც ფერმკრთალი ხარ, ტატო!

— უძილობამ გამაწამა.

— რას ფიქრობდი ასეთს.

ტატომ ორად მოკეცილი ქაღალდი უბიდან ამოიღო.

— წავიკითხო?

— შენი უძილობა უკვალოდ არასოდეს რჩება, წამიკითხე. — ტატომ დათვის ტყავზე მოიკეცა მაიკოს ფერხთით და კითხვა დაიწყო

— ბუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

კითხვით გატაცებულებმა ვერ შენიშნეს ეკატერინეს შემოსვლა, შუა ოთახში რომ გაჩერდა და იქიდან უსმენდა ტატოს კითხვას. მაიკომ ხელი მოხვია ტატოს და ჩურჩულით უთხრა:

— ჩემო ტატო, ჩემო დაჩაგრულო ტატო, მაგრამ არა, ვერავის ბრწყინვალება, ვერავის სიმძლავრე ვერ დაგჩაგრავს, შენ ძლიერი ხარ ძლიერთა შორის.

— ვის მიუძღვენი ეგ ლექსი, ტატო? — გაისმა ეკატერინეს ხმა ტატო ზეზე წამოიჭრა, თავდახრილი დადგა მის წინ.

— შენ გეკუთვნის ის, ცისიერო! — ეკატერინემ ლექსი ჩამოართვა, დაბალი ხმით დაიწყო კითხვა:

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკ შროშანს, ღამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

გულდახურული ხავერდის კაბა ეცვა ეკატერინეს. აღარ თამაშობდა საყურის ჩრდილი მის მხრებსა და ყელზე. მზერა მოსწყვიტა ტატომ, არ უნდოდა დაკარგოდა საყურის ჩრდილი. ეკატერინემ თავი შეარხია. ყურიდან საყურე გამოიღო, ტატოს გაუწოდა. ბრწყინავდა საყურე ეკატერინეს ხელზე. შროშანს ცვარივით დაფრქვეოდა მარგალიტები.

— აიღე, ტატო, შენ გეკუთვნის იგი, ცალს დავიტოვებ ამ დღის მოსაგონებლად, ამიერიდან ვერავინ იხილავს შროშნის საყურის ჩრდილს ეკატერინეს ყელზე.

ტატომ საყურე ბაგეებთან მიიტანა.

■ ●

ტატოს ოთახიდან ახალგაზრდების ხმამაღალი საუბარი გამოდიოდა. ხუთშაბათი იყო და ჩვეულებისამებრ ბარათაშვილებთან იკრიბებოდნენ. ზამთარი ხელს უშლიდათ ქალაქგარეთ სეირნობაში და ისღა დარჩენოდათ, ტატოსთან შეეფარებინათ თავი.

გამდელმა დილიდანვე გააჩაღებინა ფარეშებს ბუხარი. ეფემია ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობით ამზადებდა დარბაზს ტატოს მეგობრებისათვის.

მწვანე მაუდგადაფარებულ მრგვალ მაგიდაზე ვერცხლის ლანგრებით ბლომად ეწყო: ხმელი ხილი, ჩურჩხელები, ვაშლი, მსხალი, თხილი, წაბლი და ტკბილეული. გამდელიც ვახშამს ამზადებდა. ხუთშაბათობის ეს ჩვეულება დამკვიდრდა ბარათაშვილებისას.

მაგიდის ზემოდან ჩამოკიდებული სასანთლე მხოლოდ მაგიდის გარშემო მყოფებს ანათებდა, კედელთან მდგარი ფართო ტახტები და სავარძლები კი წყვდიადში რჩებოდნენ. გარედან ქარის ზუზუნი შემოდიოდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ტატო კარისაკენ გაეშურა. შემოსულ პლატონს სახე მოსასხამის საყელოში ჩაემალა და თვალებიღა უჩანდა. მოსასხამი ჩამოართვა ტატომ.

— ხა, ხა, ხა, კაცო, ეს რა მოგსვლია?

ბანქოს, ჭადრაკსა და ნარდის თამაშს თავი ანებეს, პლატონსა და მოხარხარე ტატოს შემოეხვივნენ.

— შეხედეთ, ხალხო, შეხედეთ, ძილში კატა დასწოლია ბაკენბარდებზე, ესღა აკლდა ამის ფილოსოფიურ სახეს. — მოსასხამის

საყელოს პლატონის ბაკენბარდები, მართლაც, უცნაურად აებუძგა, და მის დანახვაზე ყველას ხარხარი აუტყდა.

პლატონმა ხელი ჩამოისვა ბაკენბარდებზე და მორცხვად გაიღიმა. შეჩვეული იყო ტატოს კვიმატ ენას, თანაც პასუხს ვერც თუ ეგრე ენამახვილად გასცემდა და საბოლოო დამარცხებას მუდამ გაჩუმებას ამჯობინებდა.

— კმარა, გაათავეთ! — ილიას მკვეთრმა ხმამ ხარხარი შეაწყვეტინათ. ილიას მრავალჯერ გამოეცადა ტატოს ენის სიმწვავე და ბრაზობდა, როცა ყველას აიყოლიებდა.

თავთავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ სტუმრები, საუბარმა საერთო ხასიათი მიიღო.

— ხედავთ, სენატორ განს თავი როგორ ამაყად უჭირავს! ყურადღებას არ აქცევს ქვეყნის არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ, კულტურულ ვითარებას, არც მცხოვრებლების ზნე-ჩვეულება და ადათ-წესები შეუსწავლია. პირდაპირ დაიწყო პროექტის შედგენა, იმ საფუძველზე, როგორც რუსეთის გუბერნიებია მოწყობილი. მართველობის მხრივ ერთმანეთს უთანასწორებს ქრისტიანულ და მუსულმანურ პროვინციებს. — დიმიტრი აღელვებული ხელებს იფშვნეტდა, ოთახში წინ და უკან დადიოდა.

— რას დაგიდევთ განი ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამს, მისი მიზანია მხოლოდ პირადი სარგებლობა და სამსახურში დაწინაურება. ეფიქრობ, მისი ერთადერთი სურვილია გახდეს საქართველოს მთავარმმართებელი.

— ვაი ჩვენი ქვეყნის ბრალი, ყველა გზააბნეულის ხელი ჩვენსკენ არის გამოწვდილი. განი სრულებით ვერ ერკვევა კანონმდებლობის და შინაგან მმართველობის საკითხებში. — ჩამოართვა სიტყვა ტატომ.

— ვანის რეფორმები უკმაყოფილებას აძლიერებს ხალხში, ყველაფერი საშინელმა ფორმალიზმმა მოიცვა. მაზრის უფროსისათვის თხოვნა ვერ მიგიცია უბნის მსაჯულის გარეშე. — მიხეილს ხმაში აღშფოთება დაეტყო.

— ჭირი არ ელევა ჩვენს ხალხს. — ლევანი ფანჯარასთან მივიდა. გარეთ დაიწყო ყურება.

— ჭირს რა გამოლევს, როცა კანონების დასამტკიცებლად ისეთები გამოგზავნეს, როგორიც სენატორი განია? — დაადასტურა დიმიტრიმ.

— ამბობენ, ალექსანდრე ჭავჭავაძე არ უთმობსო განს.

— განის მოქმედებას საფუძველი არ აქვს, არ შეიძლება მისმ• კანონებმა დიდხანს გასტანოს. — იმედიანად წარმოთქვა ილიამ.

— ეჰ, ძალა ალმართსა ხნავს, ამბობს ჩვენი ხალხი.

— ბრძოლისათვის უნდა მოვემზადოთ, ასე ხომ ვერ დავუთმობთ!

— დავაცალოთ ჭავჭავაძეს, ჯერჯერობით, არა მგონია საჭირონი ვიყოთ.

— ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. ისტორიის სახელმძღვანელოსათვის შევიყარენით. — ტატომ მაგიდაზე რვეულები დააწყო.

— მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს გავუზიარე ჩვენი წინა თათბირის შედეგები, ისტორიის შედგენის შესახებ... მან ჩვენი აზრი მოიწონა

— მაშ, ახლა ისღა დაგვრჩენია, წაეიკითხოთ მხოლოდ ჩვენი და წერილი ნაწილები.

— ჯერჯერობით წასაკითხად არც ერთს არა გვაქვს მზად.

— მაშ, ისევ ოდისეას დავუბრუნდეთ! — ლევანმა მაგიდიდან წიგნი აიღო, სკამი სინათლისაკენ მიიწია და დაიწყო. — სიმღერა მეხუთე. სათათბიროდ შეიკრიბნენ ღმერთები. — განაგრძობდა კითხვას ლევანი, უეცრად გარედან მენახშირის ვირის ყროყინი შემოიჭრა, რომელსაც შინ დაბრუნება დაგვიანებოდა და თავის უკმაყოფილებას გამოხატავდა. ილიამ დაბალი ტახტიდან წამოიწია და იკითხა:

— ამ ბერძნებსა და რომაელებს ყველაფრის ღმერთი რომ ჰყავდათ, ნეტავ ვიცოდე, ვირების ღმერთიც ჰყავდათ? — ტატომ გასატეხად გამზადებული თხილი მუჭში ჩამალა.

— ეგ, ილიავ, პლატონს ჰკითხე, ჩვენში ეგ არის ბოგოსლოვი.

— ხა, ხა, ხა, ეგ საიდან მოიგონე? — ილია შედგა, მასაც მოეწონა ტატოს ნათქვამი და გადიხარხარა.

პლატონი გაწითლდა, მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, მხარს არავინ მიუერსო, ზე წამოიჭრა:

— დურაკები ხართ ყველანი, აჰყოლიხართ ამ ფუქსავატს.

• •

— ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!.. — გუგუნებს სიონის დიდი ზარი.

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! — წკრიალებენ პატარა ზარები.

სიონის დიდი ზარის გუგუნს ეხმაურება ქაშვეთი, გალმიდან

დიდუბის ზარი უერთდება, მთაწმიდიდან მამადავითის ზარები ხმას აძლევენ, და გუგუნებენ აპრილის მთვარიან ღამეში ზარები თბილისში.

ახმაურდნენ თბილისის მიძინებული ქუჩები და მიეშურებიან თბილისელები ზარის ხმაზე დროშკებით, ცხენებით, ფეხით.

ზარები, ზარები უხმობენ დიდსა და პატარას.

ტაძრის შესასვლელში ჩამწკრივებულან ტატო, ილია, ლევანი, მიხეილი და გზას უთმობენ ქალებსა და მოხუცებს.

ეკატერინემ გაუღიმა ტატოს და აგიზგიზებული თვალები მიანათა, აგერ მოხუცი ქიტესა მხრებში გასწორებულა, ლოპიანა, კელაპტრით ხელში, ყველას ზემოდან დაჰყურებს.

სიონის ტაძარი ხალხს ვეღარ იტევს.

გაიღო აღსავლის კარები. შემოსილი ეფრემი ჩვეულებრივზე მაღალი ჩანდა დღეს, ტაძრის სანთელთა ციმციმი ნათელს ჰფენდა მის მშვენიერ სახეს. გარდამოხსნა ხელში აიღო ეფრემმა. მჭექარე ხმით დაიძახა:

— ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად! — შეღაღადეს ერთხმად. სიონის ტაძრის კედლებმა და გუმბათმა აიტაცა ხმა და ზეცას შესტყორცნა, მთვარესაც მისწვდა ეს ხმა და თბილისისაკენ აჩქარებით გამოცურდა.

წირვა დაიწყო.

შემოსილი ეფრემი ხატით ხელში გაეშურა გასავლისაკენ, კელაპტრებით ხელში გაჰყვა მღვდელთა კრებული. დაიძრა ხალხიც და უფროს-უმცროსობის მიხედვით გამოვიდნენ ტაძრის კარიდან.

სამჯერ შემოუარეს ეკლესიას.

გაგრძელდა წირვა.

მამლების ყივილმა ამცნოთ განთიადის მოახლოება.

მზის პირველმა სხივებმა ნაფელი გადმოაბნია თბილისს.

ცივმა ალიონმა სახე აუწითლა ტაძრიდან გამოსულებს.

— ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად! — გაისმოდა ირგვლივ. დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, წითელი კვერცხებით ხელში ულოცავდნენ ერთმანეთს დღესასწაულს.

— ქრისტე აღდგა, ტატო!

— ჭეშმარიტად! — ხელი ჩაჰკიდა ეკატერინემ და ისინი ერთად წავიდნენ დროშკებისაკენ.

აჩერებდნენ, ულოცავდნენ, ძლივსღა მიიკვლევდნენ გზას.

სალომე და ნინო დროშკაში ისხდნენ, როცა ეკატერინე და ტატო მათთან მივიდნენ.

— ქრისტე აღდგა, ტატო! — ალექსანდრე მიესალმა ტატოს და შუბლზე აკოცა.

ტატომ თვალი შეავლო დადიანს, რომელმაც დროშკაში ასვლა უშველა ეკატერინეს, დაიძრნენ დროშკები. ტატომ გახედა მიმავალ დროშკას, რომელსაც გვერდით შავ ბედაურზე ამხედრებული დადიანი მისდევდა.

— ქრისტე აღდგა, ტატო! — მხარზე ხელი დაჰკრა ქიტესამ და ფართო მკერდზე მიიკრა. — რას გაჩერებულხარ, წამოდი ჩვენთან, ხელოსნების ლხინი გაჩვენო.

წავიდნენ: ტატო, ქიტესა, ლოპიანა, ტიტიკო.

„დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიშვნელი" — გუგუნებს ხალხი და იღვიძებს თბილისის ქუჩები. აპრილის მზე და აღდგომის სიხარული იპყრობს ქალაქს.

• •

— რას ინატრებ, ეკატერინე, დედოფლობას? — გაუცინა ნინომ ეკატერინეს და ცხენი ეკატერინეს ცხენს მიაგდო.

— დედოფლობას? — ჩუმად გაიმეორა ეკატერინემ და ცხენი შეაყენა, მთაწმიდის ალმართიდან გადმოხედა თბილისს.

— დაშვენდება დედოფლობა ჩვენს ეკატერინეს. — ალერსიანად გადახედა მანანამ ეკატერინეს.

— დედოფლობას აპირებ, ეკატერინე? — ცხენი შეაყენა მაიკომ. ეკატერინემ გამომწვევად გადახედა მაიკოს.

— როგორ ფიქრობ, მაიკო, არ დამშვენდება გვირგვინი? სეფე ქალად აგიყვან, იცოდე. — ცხენს მათრახი გადაჰკრა და გააჭენა, შორიდან ისმოდა მისი კისკისი.

მამადავითობა იყო. გამრავლდა მთაწმიდის ალმართზე ქალთა ჯგუფები, მიეშურებოდნენ ისინი მამადავითისაკენ. ნატვრის დღეა და ყველა ქალს თან მოაქვს ნატვრით სავსე გულები.

მიდიოდნენ ფეხშიშველი შეთქმულნი; ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები კარგ ქმარს ნატრობდნენ, უშვილონი — შვილებს, სნეულები — განკურნებას... მიდიოდნენ მოხუცები, ახალგაზრდები, მოზრდილები ნატვრით სავსე გულებით.

სახედრებს მიაჩაქჩაქებდნენ შალის ჩოხებში გამოწყობილი პატარა ბიჭები. მიდიოდნენ ვაჭრები სახელდახელო დუქნების მოსაწყობად, მოჯირითეები მიაქროლებდნენ ცხენებს.

მთაწმიდიდან ისმოდა ზარის რეკვა, ზურნის ჭიჭყინი, დუდუკის ტკბილი ჰანგი და ტაშის ხმა. მოჩანდნენ ჯგუფჯგუფად მოსეირნე ქალები.

ეკატერინემ ცხენი შეაყენა, სხვებმაც შეაჩერეს ცხენები, აქედან ფეხით უნდა ასულიყვნენ.

მამადავითის გალავანში ნუშები თეთრით მორთულ ქალწულებივით გამოიცქირებოდნენ. აქა-იქ ჩირაღდნებივით იდგნენ ვარდისფერი ატმები. ბუჩქის ძირებში წითლად გამოიყურებოდნენ ყოჩივარდები. მათ შორის შეშინებულივით გამოიცქირებოდნენ ლურჯთვალა იები.

ქალები შეეიდნენ ტაძრის გალავანში. ტაძრის საძირკველთან დაიჩოქეს.

ნინო გალავანში მოსეირნე ქალებს შეუერთდა, არაფერი ჰქონდა სანატრელი უშეილძიროდ დარჩენილ გრიბოედოვის ქვრივს. მისი ჩვილი ქართველების უკანასკნელი მსხვერპლი იყო სპარსელთათვის შეწირული.

ტაძართან მივიდა ეკატერინე, კენჭი აიღო, ტაძრის საძირკველთან დაიჩოქა. კენჭი მიადო საძირკველს, წამით თვალები დახუჭა, შემდეგ ფართოდ გაღებული თვალები დააშტერა კედელზე მიკრულ კენჭს. კენჭი ტაძრის კედელს აკვროდა და თავისიანივით შეთვისებოდა. მაშ ნატერა აუსრულდება ეკატერინეს, „მაგრამ რომ აღარ ახსოვს, რა ინატრა?.. დედოფლობა?! ნუთუ მართლა დედოფლობა ინატრა?“ სახეზე ალმური წაეკიდა, გახურებულ ღაწვებზე ხელები აიფარა, წამოდგა, გვერდით სამეგრელოს მთავარი დადიანი დაუდგა და მოხრილი მკლავი გაუწოდა. ეკატერინემ მკლავში ხელი გაუყარა და გაჰყვა. მთავარი რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ ეკატერინეს არ ესმოდა... „რა ინატრა, დედოფლობა თუ სხვაც?..“ და კვლავ სახე წამოუწითლდა ეკატერინეს და ის „სხვა“ თავისთავსაც ვერ გაუმხილა.

— ტატო ცეკვავს, ტატო! — ჩაესმა ეკატერინეს შეძახილები და დადიანმა ეკატერინე მოცეკვავეთა ჯგუფისაკენ წაიყვანა.

• •

კანცელარიიდან დაბრუნებული ტატო აივანზე იჯდა, ქალაქს გადასცქეროდა. საღამოს სიო ეალერსებოდა ყველაფერს.

აივნის ბოლოში გამდელი ტახტზე იჯდა, ძაფს ართავდა, დახედავდა თითისტარს, ძაფს თვალს ააყოლებდა და წამით შეაცქერდებოდა მატყლის ფთილას. ეხვეოდა თითისტარზე ძაფი, იზრდებოდა გორგლად ქცეული ტატოს ფიქრებიც. ხმა იდუმალი კვლავ თავზე ადგა.

— შენ არა ხარ ახლანდელ მდგომარეობისათვის დაბადებული, ნუ გძინავს. — ჩასძახოდა ის.

— მე არ მძინავს! — შეუტია იდუმალ ხმას ტატომ. — კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს.

— ძია გრიგოლი! — კვლავ ჩასძახა იდუმალმა ხმამ.

— ეჰ, განა ქართველ კაცს აქვს ეს შორსმხედველობა, რომ ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე? მოამზადოს, გზა მისცეს სოფელში, კაცად გამოიყვანოს? მე კაცი მინდა, მეგზური მინდა, მაშინ ნახე, რა ხელმწიფურად გადაეხედავ ჩემს ასპარეზს.

— შვილო, ტატო, რა ფიქრმა აგიყოლია? — ტატომ დედის ხელი იგრძნო მხარზე, ახედა, გაუღიმა.

— ჩემს ხვედრს ვეძებ, დედი, გაშლილი ადგილი მინდა, ასპარეზი მინდა. — ეფემიამ თვალებში ჩახედა შვილს, თვალები აუწყლიანდა, ძლივს ჩურჩულით უთხრა:

— მამიშენის განცხადებაზე უარი უთქვამს ნეიდგარტს.

ტატოს ხელები ჩამოუცვივდა, თავი ჩაჰკიდა, გულს კვნესა აღმოხდა ტკივილებისაგან, რომელსაც მას ცხოვრება აყენებდა, მაშ ისევ კანცელარია, ისევ ფედოროვი, ისევ უაზრო მოხსენებების წერა.

სული შეეხუთა. დედას ხმა არ გასცა, კიბეზე ჩამოვიდა, ქუჩაში გავიდა, მოიღალა. მის სულს დასვენება უნდოდა. მზის უკანასკნელი სხივები ციმციმებდნენ ხეების ფოთლებზე. შორს, ცის დასალიერზე მოჩანდა თოვლით დაფარული ყაზბეგის მწვერვალი, დიდებულად აღმართულიყო ცის სილურჯეში, ყველა თოვლიან ქედზე მაღლა. ამ სიმაღლემ სიმსუბუქე აგრძნობინა, ასევე მოეჩვენა თავისი თავიც. მასაც ხომ აქვს ცხოვრებაში ნათელი წუთები, როცა პოეზია ეუფლება მის სულს, წუთები პოეზიისა. ვის შეუძლია წაართვას ის!

ფეხს აუჩქარა, მთავარმმართებლის ბაღიდან მუსიკის ხმა ისმო-

და, ჩაუარა მოედანზე ჩამწკრივებულ დროშკებს. გაუსწორდა მოედნის გასწვრივ ლამაზ სახლებს. ახედა სამხრეთით ერთმანეთში ჩახლართულ გორებს და გაჰყვა მარჯვენა მხრის ვიწრო, უსწორმასწორო ქუჩას, საიდანაც ბაზარი იწყებოდა. ორთავე მხარეს ჩამწკრივებული იყო ღია დუქნები. თერძები კერავდნენ ტანსაცმელს, მეწაღეები — ფეხსაცმელებს; ხარშავდნენ ფლავს, წვავდნენ ცხვრებს, ჰედავდნენ ცხენებს, აცხობდნენ ლავაშს.

ბლოტის მაღაზიიდან გამოვიდა ეკატერინე, უკან მოახლე მისდევდა აბრეშუმის ქსოვილებით დატვირთული.

უეცრად ვიღაცამ დაიძახა:

— ქარავანი მოდის, ქარავანი! — ყველა აქლემებით გაჭედილი მოსახვევისაკენ გაიქცა. ერთმანეთში აირია ქართული, სომხური, რუსული და გერმანული შეძახილები, ეკატერინემ ტატოს ხელი მოჰკიდა:

— გამიყვანე აქედან, ტატო, ხედავ, რა ამბავია!

ტატომ ვიწრო ქუჩით გაიყვანა ეკატერინე, სადაც მჭედლებისა და მკალავების ეროს ხმაურისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

გასცდნენ ქუჩას. ჭავჭავაძიანთ სახლისაკენ გაეშურნენ. ჭავჭავაძეების ორსართულიანი კრამიტით დახურული შენობა შორიდანვე ჩანდა თავის თაღოვანი ფანჯრებით და განიერი ხატოვანი აივნებით. აივანზე თალალა და დარეჯანი ფუსფუსებდნენ.

— ჯერ ადრეა, ტატო, ბილიარდი ვითამაშოთ. — ტატომ და ეკატერინემ ვეებერთელა დარბაზი გადასჭრეს, რომელიც მცენარეების კედლით შუაზე იყო გაყოფილი და კედლის იქით ბილიარდის მაგიდასთან მივიდნენ. ეკატერინემ კი ხელში აიღო, ბურთები გადათვალა და ერთ-ერთს დაუმიზნა.

— ასეთ საღამოს ბილიარდს ვინ თამაშობს, წამოდით ბაღში, ყველანი იქ არიან. — შემოვარდა მიხეილი.

ისინი ბაღში გავიდნენ, წყლის აუზის ახლოს ფანჩატურში სალომე, მაიკო, ლევანი, კონსტანტინე ისხდნენ. ქუჩიდან სიმღერის, დაირისა და ჩონგურის ხმა ისმოდა. ხალხი ქუჩებში სასეირნოდ გამოსულიყო.

ფანჩატურიდან მთელი თბილისი მოჩანდა, მტკვარი, ყაზბეგი. ბაღს სტუმრები თანდათან ემატებოდნენ, მოდიოდნენ: ნათესავები, რუსი მოხელეები. გამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. მას დიმიტრი ორბელიანი მოჰყვებოდა.

— რაღა თქმა უნდა, ჩვენ მოთხოვნილებას ვერ შევცელით. ვახტანგის კანონების დატოვება აუცილებელია.

— განს ვახტანგის კანონის მხოლოდ ის მუხლი დაუტოვებია, რომელიც წისქვილებსა და წყლებს შეეხება.

— ეგ ხომ თვალის ახვევაა.

— მალე რუსეთისთვისაც გამოაშკარავდება განის რეფორმის უაზრობა.

— მოგზაურ სიუზანეს საფრანგეთში გამოუქვეყნებია წერილები, ჯერჯერობით ხელთ ვერ ჩავიგდე, მაგრამ, ამბობენ, მოურიდებელი წერილებიაო. მთავრობის საქმიანობის მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტია გამოაშკარაეებული და გამოტანილიო, რომელშიაც პირველი ადგილი მეფეს უჭირავს. ამბობენ, ნიკოლოზი შეშფოთებულიაო.

— ხო, ხო, — ჩაიხითხითა დიმიტრიმ. — რაღა თქმა უნდა, მეფისათვის ხელსაყრელი არ გახლავთ ევროპაში გახმაურდეს მისი შინაური საქმიანობა.

— როგორც გინდათ, ისე თქვით, ხალხს კი სანატრელი გაუხდა წინანდელი მმართველობა. — ლაპარაკში ჩაერია ყაფლანი.

— როდემდე გავუძლოთ ასეთ დაჭიმულ მდგომარეობას, ფიქრიც კი ძნელია ამაზე. — ალექსანდრემ ფართო შუბლზე ხელი გადაისვა, წამწამები შეიკრა.

მოახლემ სალომეს, მანანასა და ანას მობრძანება აუწყა, ბაღის შემოსასვლელში ქალები გამოჩნდნენ; ალექსანდრე შესაგებებლად გაეშურა.

— მობრძანდით, საყვარელო რძლებო, მობრძანდით:

სვევ მიწვიმა მანანა:
მომიელინა მან ანნა;
მას თან ჭოკყვა მანანა...

ალექსანდრეს მუნასიბმა ყველა მოხიბლა და თავი მის გარშემო მოიყარეს.

კვლავ ბაღში გაიფანტნენ. ტატო ქალების შუა იდგა, დაბალი ხმით ღიღინებდა:

...განთიადით ღამემდე შევფრინვიდი კოკრობას,
არ ეზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;
მქონდა მცირე წადილი, ვერ მიეხვდი კი ძნელობას,
მსურდა გაშლა ეარდისა, არ ეფიქრობდი დაჭნობას!

სახლში გვიან ღამით შევიდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის დარბაზში ფრანგულ რბილ ავეჯს ჯერ კიდევ ვერ გაედევნა ქართული ბალიშ-მუთაქები და ვეებერთელა სპარსული ხალიჩები, რომელთა ანარეკლი ჭერამდე აზიდულ სარკეებში ჩანდა; ციმციმებდნენ მრავალი სანთლით განათებული ბროლის ჭაღები.

სალონის კედლებზე აკრული იყო ფრანგული შპალერი, რომლის ზევით სარტყელზე სფინქსის ფიგურები იყო გამოხატული. შპალერი კი მთლიანად აფერადებული იყო მითოლოგიური სცენებით.

ტატო კედელს მიუახლოვდა, თვალი შეავლო პირამიდის მშენებლობის გამოხატულებას, ეტლში მდგომ ფარაონს, რომელიც მტრებს მშვილდ-ისრით ხოცავდა, და იმ სურათის წინ გაჩერდა, სადაც ოდისევსი იყო სირინოზებთან გამოხატული. მიახლოებულმა მაიკომ აზრი გაუწყვიტა.

— რას დასცქერი, ტატო?

— აი, ოდისევსის ხომალდი სირინოზების კუნძულთან მისულა, მას სირინოზების სიმღერით დატკბობაცა სურს, თანაც დაღუპვის ეშინია. თანამგზავრებს უბრძანა, მაგრად მიაკრან ანძაზე. ამნაირად, ოდისევსმა სირინოზების სიმღერაც მოისმინა, დაღუპვასაც გადარჩა. შემდეგ პენელოპესაკენ გაეშურა, რომელიც მას ოცი წელი ელოდებოდა. ხედავ პენელოპეს ლოდინით განაწამებ სახეს?

მაიკო დაფიქრებული მიაჩერდა პენელოპეს გამოხატულებას, ალექსანდრეს ხმამ გამოარკვია ისინი.

— აბა, ყმაწვილებო, წამობრძანდით.

სანთლებით გაჩირაღდნებულ დარბაზში ვეებერთელა სუფრა გაეშალათ, სუფრის თავში ალექსანდრე დაჯდა, აქეთ-იქით დიმიტრი და ყაფლანი მიუსხდნენ. ალექსანდრეს პირდაპირ სალომე მოთავსდა მანანა და ანასთან ერთად.

• •

—ტატო შინ არის? — ჭუჩიდან ამოსძახა მიხეილმა ეფემიას, ეფემიამ ხელსაქნარს თავი ანება, მოაჯირზე გადაეყრდნო.

— სახლშია, შვილო, თავის ოთახში.

მიხეილმა კიბე აირბინა, ეფემიას ხელზე აკოცა, ტატოს ოთახისაკენ გაეშურა. ეფემიამ თვალი გააყოლა მიხეილს. მამამისი მოაგონდა; ახოვანი კაცი იყო ბირთველი, გიორგი მეფის მდივანი, მოუხე-

შავი, მაგრამ, როცა სიმღერას წამოიწყებდა, მისი მსმენელი ვერასოდეს დაივიწყებდა ბირთველ თუმანიშვილს. როგორ უყვარდა მისი სიმღერა ეფემიას!

ტატო ფანჯარასთან იდგა. მაგიდაზე და იატაკზე ფურცლები მიმოფანტულიყო. მიხეილმა ფურცლები იატაკიდან აიღო.

— ეს რა არის, ტატო, ასე რომ მოგიძულებია? — ტატო მოტრიალდა, გაუღიმა მეგობარს.

— ესეც შენი ნიავი, შემოვარდება, ოთახს აგიფორიაქებს, სულსაც ჩასწვდება, ფიქრებს აგიშლის.

— რას საქმიანობდი, ტატო?

— იულიუს ტარენტელის თარგმნა დავამთავრე. ჯერ ისევ წინანდალში აღვუთქვი მანანას. შენ რად მოგიწყენია?

— უმოქმედობა მაწუხებს.

— ხომ მუშაობ ჩვენს ისტორიაზე?

— უქმად არა ვყოფილვარ, მაგრამ ამაოებად მომეჩვენა ყველაფერი.

— ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ხალხის საჭიროება, მომავლისათვის მომზადება უნდა ხალხს, ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ ქვეყნის წინაშე, მრავალი საქმე გვაქვს. ავიღოთ თუგინდ ისტორია, განა ხალხმა არ უნდა იცოდეს, რა გადახდა ჩვენს ერს? მომავალ შეკრებაზე ჩვენი დაწერილი ისტორიის თავები უნდა წავიკითხოთ, სამუშაო იმდენი გვექნება, ნეტავ შეეძლებდეთ ყველაფრის გაკეთებას, რაც გულს უნდა!

— ეჰ, ჩემო ტატო, გულის სურვილი უსაზღვროა, ათი სიცოცხლეც რომ გქონდეს, მაინც ვერ აღისრულებ.

— მითხარ, მიხეილ, რად აქვს ადამიანს ეგოდენ დიდი სურვილი? რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი, თუ არა საწყაული აღუსებელი? ვერ დააოკებ ადამიანის სურვილს, ვერ დააკმაყოფილებ.

— ჩემო ტატო, შავარდნის ფრთები ჩამოგვაცალეს და ქათმის ფრთებით ძირს ბორიალი შეგვიძლია მხოლოდ.

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეეაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

— შენი მადლიანი სიტყვის ჰირიმე, ტატო, მოქნეულ ხმალს ჯობია შენი სიტყვა.

— მეფე ერეკლეს სურვილი იყო: ხმალი ჩაეგო ქართველ ხალხს და გუთანზე ემუშავა; ხმალი ჩავაგეთ და ესღა დაგვრჩენია, სიტყვას

მივცეთ ხმლის ძალა. სიტყვას ნუ დავაჩლუნგებთ, თორემ რაღა უშველის დასნეულებულ ჩვენს ქვეყანას? თუ შავარდენივით ფრენას ვერ შევძლებთ, რომ უკვდავების წყალი ვასვათ, სამშობლოს ყავარჯნებად შევუდგეთ მაინც.

სიჩუმე ჩამოვარდა, თავთავიანთმა ფიქრებმა წაიღო ორივე, ისევ ტატომ დაიწყო:

— შენი ლექსები მომეწონა, მიხეილ, შევიგრძნე უდაბნოში ციურის ცეცხლით ჩამომწვარი ხის მწუხარება და თვალწინ მიდგას:

მაღალ კლდეზე მარტო, მწუხარედ
გამოკიდულ დამკვნარ შტოებით.

— ახალი ლექსი მოვიტანე „სალამური", წაგიკითხავ.

მიხეილმა ლექსი წაუკითხა.

— რა გაახარებს ქვეყნის მწუხარებით დატანჯულ გულს, რა გაწყვეტს ჯაჭვს მონობისას? წავიდეთ, მიხეილ, გავიაროთ, ველარ ვეტევი ამ კედლებში.

გამოვიდნენ. ისინი ვიწრო ქუჩით მიდიოდნენ. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო ბრტყელსახურავიანი შენობები. სახლების კარები და ფანჯრები ღია იყო, მცხოვრებლები აივანზე გამოკრეფილიყვნენ. მოედნიდან სამხრეთით გაუხვიეს. აქ საცხოვრებელი სახლები მხოლოდ მარცხენა მხარეზე იყო გაშენებული, მარჯვენა მხარე კი ვენახებს ეკავა: ვაზები, ბროწეული, ატმები, ნუშები, ნიგვზები ცკლიდნენ ერთმანეთს.

ღართის კართან მიხეილი დასცილდა ტატოს, ახლა მინდორზე გავიდა ტატო და გზას დაადგა. ეს ერთადერთი სწორი ქუჩა იყო, რომელიც მთავარმმართებლის სახლის უკან იწყებოდა. ტატო მტკვრისაკენ ჩაჰყვა ქუჩას, აქ გზის ნაპირზე ქოხმახები იყო ჩამწკრივებული, ღია იყო ყველა ქოხის კარი, ქოხების წინ ხის სკამებზე მოხუცები ჩამწკრივებულიყვნენ და მზის ჩამავალ სხივებზე ძვლებს ითბობდნენ. ბალ-ვენახებიდან ახალგაზრდების ყიჟინა ისმოდა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ტატო, თითქოს სადღაც მიეჩქარებაო. მტკვრის შხუილმა შეაჩერა. მოსარკულიყო ლურჯი ცა, მთვარის შუქზე ქარქაშიდან ამოღებული ხმალივით ლაპლაპებდა თბილისის გულზე გაწოლილი მტკვარი და მის ზვირთებში კრთოდა თბილისის ლაჟვარდი ცის კამარა. ყური მიუგდო ტატომ წყლის ჩხრიალს, გახედა შორს, შორს. ცის დასავალს ღრუბლის თეთრი ქულის გრეხი-

ლი გაკვროდა, თხელდებოდა ღრუბლის თეთრი გრეხილი მთვარის მკრთალი შუქით განათებული, და ვარსკვლავები თავისაკენ იწკეცდნენ ტატოს.

მტკვრის პირად ჩამოჯდა. სინესტე არ გაშრობოდა მიწას, სუნი ასდიოდა. გამოღვიძება დაეწყო მცენარეებს, ჩურჩულებდნენ მინდვრის ყვავილები. უცნაური მოწყენა ეტყობოდა ყველაფერს. მიწას დაემხო ტატო, უნდოდა თავისი ქვეყნის მიწის სურნელი შეეგრძნო.

დიდხანს იყო დამხობილი. მტკვრის ტალღები ეტყლაშუნებოდნენ ნაპირს.

„თუ ამ სოფლად ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს, მაშ რალა არის ჩვენი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ — მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ ტატოს, ვერ მოუპოვა ნაცნობმა ადგილებმა განსვენება. რა უნდოდა მტკვარს, რად ბუტბუტებდა დაუსრულებლად? ნუთუ ტატოს ესაყვედურებოდა?

წამოიწია, მიდამო მოათვალიერა, მხნედ წამოიძახა:

> არც კაცი ეარგა, რომ ტოცხალი მკედარსა ემზგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

სიმარტოვე აღარ უნდოდა ტატოს. აშინებდა ჩამოწოლილი ბინდი და სიჩუმე. სიცოცხლე მოუნდა, სოფლისათვის ზრუნვა მოუნდა. ჩქარი ნაბიჯით გასწია ქალაქისაკენ, აჰყვა ვიწრო ქუჩას. ქოხმახებიდან შუქი გამოდიოდა. აქა-იქ ეზოებიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. გასცდა ქოხმახებს, მეტეხის ციხისაკენ აუხვია, ყავახანას გაუსწორდა. აშუღთა სიმღერა ისმოდა ყავახანიდან, „ტიტიკო იწყებს“, — თავისთვის წაიჩურჩულა ტატომ. ესიამოვნა სიყრმის მეგობრის ხმის გაგონება. ყავახანა ხალხით იყო სავსე. თამბაქოს ბოლი ნისლივით ჩამოწოლილიყო და ხედვას უხშობდა. ვის არ ნახავდით აქ: ხელოსნებს, გადაყენებულ მოხელეებსა და იუნკრებს, ფუნთუშის გამყიდველებს. აზარტული თამაშობებით ერთობოდნენ... მღეროდნენ.

მაგიდაზე მიმოფანტულიყო: საყავის გატეხილი ჩაიდანი, პირმომტვრეული ფინჯნები.

ტატოს შესელისთანავე სიმღერა შეწყვიტეს.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

— ჩვენს ტატოს გაუმარჯოს!

— შენი ჭირიმე, ბიჭო ტატო!

— შენი გულის ჰირიმე, ჩვენი ფასი რომ იცი! — გაისმოდა აქეთ-იქიდან, გარს შემოეხვივნენ. ტატომ ხელი ტიტიკოს გადახვია და ახლა მან წამოიწყო სიმღერა.

• •

სამსახურიდან გამოსულმა ტატომ ბიბლიოთეკისაკენ შეუხვია. გადასახადი უნდოდა შეეტანა, თანაც ჟურნალ-გაზეთებს გადაათვალიერებდა. ბიბლიოთეკის დახურვამდე ორ საათ-ნახევარი იყო.

შორიდანვე გამოჩნდა ყიფიანების სახლი, სადაც ბიბლიოთეკა იყო. ბიბლიოთეკის ვეებერთელა ოთახები დილიდანვე ივსებოდა ხალხით. ტატოს ესმოდა სიცილი, მსჯელობა და კამათი, რომელიც ლიტერატურის მოყვარულთ გაემართათ ბიბლიოთეკის ფართო აივნებზე.

ბოლო დროს ქალებმაც დაიწყეს ბიბლიოთეკაში სიარული და ტატომ დარბაზში შესვლისთანავე შეამჩნია მაიკო და ეკატერინე. ტატო ქალებთან მივიდა, მიესალმა.

— რისთვის გარჯილხართ, ლამაზმანებო?

— ფრანგული ჟურნალები მიგვაქვს ნინოსათვის, უღონოდ არის, წამოსვლა ვერ შესძლო. შენ რიღასთვის გარჯილხარ?

— შექსპირის ტრაგედიები მინდა, ფულიცა მაქვს შესატანი.

— წავიდეთ, აქ იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, სუნთქვა შეუძლებელია.

— მეც ამ წუთში დაგეწევით.

კიბეზე ჩამავალ ქალებს წამოეწია ტატო, მაიკოს მიუბრუნდა:

— ლევანის წერილმა დაიგვიანა, შენ არაფერი მიგიღია?

— გუშინდელი ფოსტით მივიღე.

— მაიკოსათვის ლექსების რვეული მიგირთმევია, ტატო. — საყვედური ისმოდა ეკატერინეს ხმაში.

— თქვენთვისაც გავამზადე, აქედან ვაპირებდი გამოვლას. — რვეული გამოიღო უბიდან, ეკატერინემ გაშალა, ყდაზე დიდი ასოებით ეწერა: „ეკატერინეს". ეკატერინემ რვეული ჟურნალში ჩასდო.

ისინი ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ ქუჩას. აქა-იქ სახლის ფანჯრები გაეღოთ, ზოგან ბანებზედაც გამოსულიყვნენ. ნაადრევი გაზაფხული მშვიდად სუნთქავდა და თავისუფლად დააბიჯებდა.

ზალცმანის ლუდხანას გაუსწორდნენ. ლუდხანიდან მთავარმმართებელი გამოვიდა, დროშკაში ჩაჯდა და ცხენები გაქანდნენ.

ეკატერინეს სახლის შესასვლელთან გამოეთხოვნენ მაიკო და ტატო. ტატო მაიკოს გაჰყვა, ლევანის წერილი უნდოდა წაეკითხა.

ეკატერინე პირდაპირ მამის ოთახისაკენ წავიდა, უნდოდა მამასთან ერთად წაეკითხა ტატოს ლექსები. უყვარდა ტატოს ლექსები ალექსანდრეს, უქებდა კალამს, მამის კაბინეტის წინ გამდელი შემოხვდა, თითქოს საიდუმლოს ეუბნებაო, ისე წასჩურჩულა:

— მამას არ სცალია, ჩემო სიცოცხლევ, სამეგრელოდან მოციქულები მოუვიდნენ.

ეკატერინე თავის ოთახისაკენ გატრიალდა. ოთახში შესულმა ახლა მიაქცია ყურადღება გამდელის სიტყვებს — სამეგრელოდან მოციქულები მოვიდნენო. რად მოვიდნენ სამეგრელოდან მოციქულები? რა საქმე აქვთ მამასთან? — ფანჯარასთან მივიდა, გარეთ დაიწყო ყურება. საათის რეკვამ შეაკრთო, სადარბაზოდ გასვლის დრო იყო. ეკატერინემ ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

სადარბაზო ოთახში ალექსანდრე, სალომე და ნინო ისხდნენ. ისინი ხმადაბლა თათბირობდნენ.

— წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მენანება იმ სიშორეს გასაგზავნად. — სევდა გამოსჭვიოდა სალომეს სიტყვებში.

— ნინო რომ განსვენებულ ალექსანდრეს გავაყოლეთ და გავიმეტეთ შორს გასაგზავნად?

— განსვენებული ალექსანდრე საბოლოოდ ჩვენთან აპირებდა დასახლებას და ჩვენც ამით ესულდგმულობდით. რა ვიცოდით, თუ სამუდამოდ დავკარგავდით, დადიანი კი არასოდეს დატოვებს თავის სამყოფელს.

— არც იქნება კარგი, რომ დატოვოს, სამეგრელოსათვის ისეთი განათლებული პიროვნება, როგორიც დადიანია, აუცილებლად საჭიროა. მე ყოველთვის ვფიქრობ ჩვენი შვილების ბედნიერებაზე, მაგრამ, სალომე, არ უნდა დაგავიწყდეს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაც. განა სამეგრელოს უპატრონოდ დატოვება და დადიანის აქ გადმოსახლება ქვეყნისათვის საკეთილო იქნება?

— მაგაში გეთანხმები, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ვერ გასძლოს ჩვენგან შორს, ამიტომაც ვფიქრობდი, ისევ ჩვენში აგვერჩია ვინმე, ვინ იცის, რა მოხდება, განა ნინოს მაგალითი...

— ეჰ, ჩემო სალომე. ვინ იცის, სად დაგეწევა ბედის ეტლი. ჯერ-

ჯერობით არც ჩვენებს შორის მეგულება დადიანზე უკეთესი სასიძო. — დაფიქრებით წარმოთქვა ალექსანდრემ და თვალი სივრცეს გაუშტერა. — გარდა ამისა, ამ ქორწინებას მრავალი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. ეს ქორწინება ხელს შეგვიწყობს, დავუახლოვდეთ სამეგრელოს. ამით განმტკიცდება კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. დამერწმუნე, სალომე, ასე დაშორებული ერთმანეთისაგან არასოდეს ყოფილა ჩვენი ქვეყანა. ახლა კი ყველაზე მეტად გვჭირდება გაერთიანება და განმტკიცება. ამისათვის კი აუცილებელია დადიანთან დამოყვრება. დადიანი მოწინავე კაცია, ესმის ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი, ასეთების დაახლოება აუცილებელია. განა ნინოს ჯვრის წერაზე დასტურის მიცემის დროს მხედველობაში არ მქონია ქვეყნის კეთილდღეობა. შენ რაღას იტყვი, ნინო?

— მეც მეძნელება ეკატერინეს მოცილება, მამავ ბატონო, მაგრამ თქვენის მოსაზრების საწინააღმდეგო არაფერი მეთქმის.

ოთახში ეკატერინე შემოვიდა, შვინდისფერი ხავერდის კაბა ეცვა, თეთრ არშიებმოვლებული. ალექსანდრემ შუბლზე აკოცა თავის ასულს. ეკატერინე დედის გვერდით დაჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ალექსანდრე სიტყვებს ეძებდა საუბრის დასაწყებად. გადაწყვიტა, გაუეჟილს გატეხილი სჯობიაო და პირდაპირ დაიწყო.

— შვილო ეკატერინე, დარბაისლები მეწვივნენ სამეგრელოდან.

— ვიცი, მამა, შემოსვლა მინდოდა თქვენთან, გამდელმა არ შემომიშვა. — ეკატერინემ გაულიმა, ცნობისმოყვარეობით შეხედა მამას.

— მთავრის მიერ იყვნენ წარმოგზავნილნი, შენ თავსა მთხოვენ, თუ შენი თანხმობაც იქნება. დედოფლობას მოგილოცავთ.

ეკატერინე წელში გასწორდა, მარცხენა წარბი ზე აეწია, სახეზე გაოცება გამოეხატა.

— თქვენ თანხმობა მიეცით, მამა? — ალექსანდრემ პასუხი დაუყოვნა, იცოდა თავისი ჭირვეული ქალის ამბავი.

— გადაჭრილი პასუხი უშენოდ არ შემეძლო მიმეცა მაგრამ თუ ჩემი აზრი გინდა გაიგო, ეს ქორწინება ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია.

— თქვენ მხოლოდ ქვეყანაზე ფიქრობდით? — ეკატერინემ ჩუმად მჯდომ დედასა და დას შეხედა.

— ჩვენ უპირველესად შენს ბედნიერებაზე ვფიქრობდით, შენი

ბედნიერებისათვის საწინააღმდეგოს ამ ქორწინებაში ვერაფერს ვხედავთ. გარდა ამისა, ჩემს შვილებს არ შეშვენის ქვეყნის ბედიღაპალზე არ იზრუნონ.

ეკატერინემ მამას ალარაფერი უპასუხა, ადგა, თავის ოთახისაკენ გაეშურა. ოთახში მყოფები კვლავ ჩუმად ისხდნენ. გამდელი შემოვიდა, იქ მყოფნი მოათვალიერა და მოახსენა:

— ეკატერინე სადარბაზოდ ვერ გამოვა, თავი სტკივა. — გამდელის გასვლის შემდეგ სიჩუმე ალექსანდრემ დაარღვია:

— შვილო ნინო, შენთვის მომინდვია ეს საქმე. მე უკვე დასტური მივეცი მთავრის მოციქულებს და სიტყვის გატეხა არ სჩვევია ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

თავის ოთახში შევიდა ეკატერინე, მაგიდაზე რვეული იდო, აიღო:

პირმცინარითა,
სინარნარითა
მგოსნის ყარიბ გულს ესხიეფინარე!

- ამოიკითხა... ლოგინზე დავარდა, თავი საბანში ჩარგო, ხელებს აფათურებდა, საბნის პირის შარიშურში უნდოდა ჩაეხშო გულის კვნესა... ოთახში ფეხაკრეფით ნინო შემოვიდა, ლოგინზე ჩამოჯდა, ეკატერინეს თავზე ხელი დაადო. თმები ჩამოშლოდა ეკატერინეს. ჩამოშლილ თმებში ლოგინზე დადებული რვეული ჩანდა. ნინომ ეკატერინეს თმებში ხელი შეაცოცა და რვეული გამოიღო, გაშალა, „ტატოს ლექსები", — სახეზე გაოცება და სევდა აღებეჭდა, თვალები სივრცეს გაუშტერა, თან ეკატერინეს თმებს უალერსებდა. „მაშ, ეკატერინე, ტატო, ნუთუ... რატომ არასოდეს უფიქრია ამაზე, რატომ ვერ შეატყო. თავნება, დიდების მოყვარული ეკატერინე... როგორ შეეძლო ეფიქრა. დიდი ძალა აქვს ტატოს ლექსებს, თურმე ვინ ყოფილა ეკატერინეს გულის რჩეული!" ამას ვერასოდეს მოიფიქრებდა ნინო. რჩევისათვის მოვიდა. დადუმდა, ეღარც სანუგეშო სიტყვა მონახა.

— ეკატერინე, გესმის ბულბულის სტვენა? წავიდეთ ბაღში. — თვითონვე გააკვირვა თავისმა სიტყვებმა.

ეკატერინე უეცრად წამოდგა, სახე გაქვავებული ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა.

— წავიდეთ, ნინო, ვნახოთ, რას ამბობს ბულბული.

ნაადრევი გაზაფხულის გრილი საღამო იყო, ბაღში ბულბული

უსტვენდა, ახლადაკვირტული ხეების ჩრდილები გაწოლილიყვნენ ბილიკებზე. მოწმენდილ ცაზე თავისუფლად მიმოდიოდა მთვარე და ქვეყანას გაზაფხულს ულოცავდა.

ნინო და ეკატერინე დიდხანს დადიოდნენ უხმოდ, უსმენდნენ ბულბულს.

მთავარი სამეგრელოს წავიდა ნიშნის ჩამოსატანად. ყველას აინტერესებდა, რა ნიშანს ჩამოუტანდა ეკატერინეს დადიანი, როდის ჩამოვიდოდა და ვინ ჩამოჰყვებოდა.

ჭაეჭავაძეები მზითევს ამზადებდნენ, დადიანის ნიშნის საბადლოს. კერავდნენ, ქარგავდნენ, ჭედავდნენ, მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას მზითევის გამზადებაში, მხოლოდ ეკატერინე დადიოდა უმოქმედოდ ოთახებსა და ბაღში. იმ დღის შემდეგ არავის უნახავს ის ქალაქში, ახლაც ბაღში, ფანჩატურში იჯდა, მისჩერებოდა, როგორ ყელმოღერებული ამაყად დაცურავდა შავი გედი აუზში და შადრევნიდან გამონადენი შხეფები ეცემოდნენ თავზე.

არ შეუმჩნევია ეკატერინეს, როგორ მოიღრუბლა, როცა აქა-იქ წვიმის წვეთებმა დაიწყეს ცვენა, მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება. უყვარდა გაზაფხულის წვიმა, როცა მსხვილი წვეთები ხის ფოთლებზე ახმაურდებოდა.

წვიმამ მოუხშირა, დაუბერა, ჩამობნელდა და სეტყვა ახმაურდა ბზის ბუჩქებში. მოაგონდა, სეტყვის დროს გარეთ რომ გამოცვივდებოდნენ ხოლმე. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი მათგანი უფრო მომსხო მარცვალს გადაყლაპავდა. ერთხელ ტატოს სეტყვის მარცვალი გადასცდა. ინატრა, ნეტავ ახლაც ბავშვი ვიყო და სეტყვის მსხვილი მარცვლისათვის დავრბოდე ბაღშიო.

დედოფალი

ფოსტლების ფრატუნით შემოვიდა გამდელი. ფანჯრებზე ჩამოშვებული მუქი ფარდები დღის სინათლეს არ უშვებდნენ ოთახში. მოხუცმა თვალი მოაელო იქაურობას. მისი გაზრდილი ტახტზე ბალიშებში ჩაფლულიყო და არ ინძრეოდა. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოდა ეკატერინეს, მხარს ხელი ოდნავ შეახო და ჩურჩულით უთხრა:

— შვილო, ტატო მოვიდა. — ამ სიტყვებმა იმოქმედეს ტახტზე უძრავად მწოლიარეზე და გამდელის წინ ზე აღიმართა იგი. გამდელ-

მა შეხედვა ვერ გაუბედა თავის გაზრდილს, იატაკს დაჟინებით დააცქერდა, კვლავ ჩურჩულით ჰკითხა:

— გელოდება, შვილო, შემოვიდეს?

ეკატერინეს არ უპასუხნია, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. გამდელი მიხვდა, უნდა მოეწვია სტუმარი. თვალი შეავლო ეკატერინეს. ეკატერინე გარეთ იცქირებოდა, თითქოს დაავიწყდა, რა უთხრა გამდელმა. მარცხენა წარბი ზევით ჰქონდა აწეული. გაფითრებული და მკაცრად მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეხსნა, ჩურჩულით თქვა:

— რამდენი ხანია აღარ მოსულა, საიდან გაჩნდა, სწორედ დღეს...

გამდელი უხმოდ გავიდა. როცა ოთახში ფეხის ხმა გაისმა, ეკატერინე უეცრად მოტრიალდა. მის სახეზე სევდა და სასოწარკვეთილება აღარ იხატებოდა. მხიარული ღიმილით ორივე ხელი გაუწოდა შემოსულს:

— კარგ დროს მოხვედი, ტატო!

— ნახვის სურვილმა მძლია, პირველად თქვენკენ გამოვეშურე, ცისიერო.

ტახტზე ჩამოსხდნენ. ტატო აღტაცებით შესცქეროდა ეკატერინეს სახეს:

— კიდევ მეტად გამშვენიერებულხარ, ეკატერინე!

— დიდი ხანია, არ მინახავხარ, ტატო!..

— მე კი ყოველ წამს გხედავდი, მშვენებავ, ახალი ლექსებიც მოგიტანე.

დიდხანს ისაუბრეს მხიარულად. ტატოსაგან მოტანილ საჩუქარს დაჰხაროდა ეკატერინე. კმაყოფილი შლიდა წერილად დაწერილ ფურცლებს. სიამაყეს გრძნობდა. იცოდა, მას ეკუთვნოდა ყოველი სტრიქონი.

ეკატერინემ მოიწყინა. მუთაქას დაეყრდნო. მწუხარე სახით დაააცქერდა ფურცლებს, უჩვეულო სევდა, მის სახეზე აღბეჭდილი, უფრო მომხიბვლელს ხდიდა საყვარელ სახეს.

ეკატერინემ ზე აიხედა. თვალი შეავლო ტატოს. იგრძნო, უსაზღვროდ ბედნიერი იყო იგი ამ წამს, დაენანა. დე, ბედნიერი იყოსო ეს საღამო მისთვის. ოთახში დაფანტულად მიმოიხედა. უხერხულობა იგრძნო. ტახტიდან წამოდგა. კვლავ მიიხედა ტატოსაკენ. კვლავ შეხედა მის აღტაცებულ სახეს. ნელი ნაბიჯით გაეშურა ფორტეპიანოსაკენ.

კლავიშებზე ათამაშდნენ ეკატერინეს თითები, ოთახში მისი ხმა გაისმა. ტატო ტახტზე იჯდა, ბალიშებზე მიყრდნობილი. თვალები დაეხუჭა ეკატერინეს ხმით მოხიბლულს, დავიწყებოდა სამეგრელოს მთავარი დადიანი და კვლავ ძველებურად შეხაროდა ბავშვობის მეგობარს.

ეკატერინეს ხმაში ბედნიერება და სევდა შეერთებულიყო, მისმა მწუხარებამ აქ ჰპოვა ნუგეში და გრძნობდა, უკანასკნელად უკრავდა ასე, რადგან უკანასკნელად უკრავდა მისთვის.

სიმღერა შეწყდა. ტატო წამოდგა.

ეკატერინე უძრავად იჯდა სკამზე. ხელები უღონოდ ჩამოეყარა. ტატომ დაინახა, როგორ გაფითრებული მოჩანდა მისი თეთრი ხელი მუქი ფერის ხავერდის კაბაზე. წამწამებზე ცრემლი გადმოეკიდა, ფერმკრთალ ღაწვებზე მძიმე კვალი დააჩნია და ბეჭდის თვალზე აციმციმდა. ტატომ ორივე ხელი მისკენ გაიშვირა:

— ეკატერინე! — ეკატერინე ამ ხმამ გამოარკვია. წამოდგა.

— დამტოვე, ტატო.

დაფიქრებული მიდიოდა ტატო. რად სტიროდა ეკატერინე?

ახალგაზრდების ჯგუფი მხიარული ყიჟინით შემოერტყა გარს.

— როდის ჩამოხვედი, ტატო? — გამოერკვა. მეგობრებს გაუცინა.

— დღეს ჩამოვედი.

— რატომ არ გვინახულე? — მხარზე დასწვდა ლევანი და შეარხია ძველგობარი.

— თქვენსკენ მოვეშურებოდი.

— კარგ დროს შეგვეყარე, ერთად წავიდეთ!

— სად მიდიხართ?

— ჰავჰავაძიანთ სახლში. დედოფლობა უნდა მივულოცოთ ეკატერინეს.

— რა დედოფლობა?

— არ იცი? — შენ აქ არ იყავ. სამეგრელოს მთავარმა დანიშნა.

ტატო შედგა. იგრძნო, როგორ აუკანკალდა მუხლები. პირველად ცხოვრებაში დააეიწყდა თავის სიკოჭლე და სიფრთხილე გავლის დროს.

ამხანაგებმა ვერ შეატყვეს შეკრთომა. კვლავ მხიარულად განაგრძობდნენ:

— ნამდვილი სადედოფლოა ჩვენი ეკატერინე.

„ნამდვილი სადედოფლოა. ეკატერინე...“ — უხმოდ გაიმეორა ტატომ და გაახსენდა მისი სიტყვები: — „დამტოვე, ტატო“.

„სად მიდის? მაშ დედოფლობა უნდა მიულოცოს ეკატერინეს ახლა? ამ წუთში? არა, არ შეუძლია. განვლილი ბედნიერება ჯერ კიდევ ახლოს არის მასთან“.

— სად მიხვალ?

— მოიცა, ტატო!

— დაანებე თავი, მიხვილ, ხომ იცი მაგის ხასიათი.

თბილისს გადახედა ტატომ. მთვარე წყლის დასალევად ჩადიოდა მტკვარში. ახლა იგრძნო დაღლილობა. როდის ამოვიდა აქ? ისევ მთაწმიდასთან, მინდვრის ყვავილებთან, ფრინველებთან, რომელთა სურვილები მოუ! ყიდავია. მაშ ასე ხანმოკლე იყო მისი ბედნიერება? ახლაც შორიდან ესმოდა ეკატერინეს სიმღერა, მის სიყვარულს რომ დასტიროდა უკანასკნელად.

დედოფალია. ეკატერინე დედოფალი. იმეორებდა გარშემო ყველაფერი. ამასვე ჩასჩურჩულებდა მთაწმიდის სიოც. მუდამ დედოფალი იყო მისთვის ეკატერინე. მაგრამ, არა! ახლა მისი დედოფალი კი არა, სამეგრელოს დედოფალია.

შუბლზე გადაისვა ხელი, ჩურჩულით წარმოთქვა:

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას.

მაიკოსთან

აღარაფერი ახარებდა ტატოს თბილისში. მაიკოს ავადმყოფობის ცნობამ ხომ გული მოუკლა, ლოდივით დააწვა გულს დედის სიტყვები: მძიმე სენით არის შეპყრობილი მაიკო, აღარ ეფიქრობთ, გამომჯობინდებო. დაფიქრებული მიჰყვებოდა ქუჩას. ყასბები ჩამწკრივებულიყვნენ დუქნების წინ, მამლები გამოეყვანათ შესაჯიბრებლად, ბავშვებს წრე გაეკეთებინათ მამლების გარშემო, ჩაკუზულები, მუხლებზე ხელებდაყრდნობილნი ყიყინით ეხმაურებოდნენ მოჩხუბრებს.

ორბელიანების უბანში შეუხვია ტატომ. „მაიკო, ჩემი მაიკო“, — ჩურჩულებდა ის.

გაზაფხული იყო. სიო სურნელებას ფანტავდა, მეთულუხჩე ბიჭს უეფით მისდევდა პატარა ფინია.

სირბილით ავიდა კიბეზე, უნდოდა მალე ენახა ავადმყოფი. თეთრ ბალიშებზე მიყრდნობილი, თეთრ სამოსში, ამქვეყნიურს ალარ ჰგავდა მაიკო. შემოსული ტატო რომ დაინახა, ორივე ხელი მისკენ გაიშვირა.

— ტატო, ჩემო ტატო! — ტატოც ხელგაწვდილი მიეგება მეგობარს, უკოცნიდა ფერმკრთალ ხელებს, სანთელივით რომ ჩამოქნოდა სიგამხდრით. მაიკოს თითები ლოყებზე, თმებზე ეალერსებოდნენ და გრძნობდა, როგორი ცხელი იყო ის.

— მაიკო, ჩემო, რა დაგემართა, კარგო?

— ავადმყოფობამ დამაძაბუნა, ჩემო ტატო.

— ვის ემეტები ავადმყოფობისათვის, კარგო. აი, დაპირებული კრიალოსანი მოგიტანე, როცა ჩათვლიდე, მომიგონებდე. — კვლავ ხელები დაუკოცნა ტატომ მაიკოს.

— განა დიდხანს შევძლებ ხელში მეჭიროს კრიალოსანი, მაგრამ დავიბარებ თან ჩამატანონ, შენდა სახსოვრად, ტატო!

— თავი ანებე ასეთ ფიქრებს, კარგო!..

— სენმა ლოგინს მიმაჯაჭვა, შორიდანღა მესმის სიცოცხლის ძალა, ტატო. დავანებოთ თავი ჩემზე ლაპარაკს, შენი ამბები მომიყევი.

— რა მოგიყვე. კარგო. შენი წერილი მივიღე, დამტანჯა, რომ არ მომწერე, რაც გქონდა სათქმელი; თუმცა ძნელი სათქმელი იყო, არა? მანუგეშებდი მაინც ამ დაობლებულ გულზედ.

მაიკო ტატოს თმებს უწეწავდა, ჩურჩულით ეუბნებოდა.

— ჩემო გაწამებულო, ძმაო, ჩემო ტატო!

— ვისაც საგანი აქვს ჯერ მისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, არ დაიჯერებ. მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. სად განისვენოს სულმა, სად მოიდრიკოს თავი.

ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ხწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა.

— ეს შენი ახალი ლექსია, ტატო?

— ჩემი ლექსების მთელი რვეული წამოვიღე, კარგო! — ტატომ ჯიბიდან გაკეცილი რვეული ამოიღო, მაიკოს გაუწოდა, მაიკომ

რვეული ჩამოართვა, წარწერა ხმამაღლა წაიკითხა: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩუმეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებს ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწვილობისათა, და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმას.“ მაიკომ ტატოს მიაპყრო თავისი მშვიდი თვალები.

— გმადლობთ, ძმაო, მუდამ შენი ერთგული და მოყვარული დარჩება მაიკო. — ფურცელი გაშალა. — ამ ლექსს კი ჩუმად წავიკითხავ ჩემთვის. — რა კარგია, ტატო, ვისაც მარტოობის გრძნობა განუცდია, ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავს. ეს ლექსი ღირს იმ ტანჯვად, რომელიც მოგაყენეს.

— ჩემზე მეტად ვინ განიცდის მარტოობას. წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენი და მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!

— ჩემო ტატო, ჩემო ტატო! — ჩურჩულებდა მაიკო, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე.

— აი, შეგაწუხე ჩემი ამბებით, მაგრამ შენ შეგიძლია, გამიგო. შეინახე ეს ლექსი, სხვა დროისათვის, როცა დაწყნარდები.

ტატო მაიკოს ნაწნავებს დასწვდა, ბალიშზე რომ იყო მიმოფანტული, დაუკოცნა ისინი.

— შენი ნაწნავების ჭირიმე, ჩემო მაიკო! მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთისოფლისა! — ტატომ სწრაფად შეიცვალა სახე: — ჩვენ ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?

მაიკომ მოშვილდული წარბები შეიკრა, ბაგეები მოკუმა, ისე ახედა მეგობარს.

— შენ რა გაჯავრებს? აგრე გაწითლება იქნება? ეგონებათ, სიანჩხლით გაწითლდი. — გადიხარხარა ტატომ და გულზე მიიკრა მაიკო.

— საძაგელო, საძაგელო! — ჩურჩულებდა მაიკო, აწითლებულ სახეს ხელებში იმალავდა.

ტატოს წასვლის შემდეგ კვლავ მისი ლექსი გაშალა მაიკომ.

— ჩემო ტატო, ჩემო ტატო, ვის შეუძლია, გაიგოს შენი მწუხარება, გული სისხლიდან ეცლება და კიდევ ხუმრობს. ღმერთო, რა ძალა აქვს!

• •

ალექსანდრე ჭავჭავაძისას ჩვეულებრივი ვახშამი გაემართათ და სტუმრებიც მხოლოდ ახლობლები იყვნენ: ბარათაშვილები, ორბელიანები, მელიქიშვილები და რამდენიმე რუსი მოხელე. რუსებს ნინოს გარშემო მოეყარათ თავი. დარბაისლები ალექსანდრეს შემოხვეოდნენ, ახალგაზრდებს ეკატერინე მოექცია თუაში.

— რად იგვიანებს ტატო?

— გზაში შემომხვდა, შინისკენ გარბოდა, მალე მოვალო. — უპასუხა ეკატერინეს ლევანმა.

— ამბობენ, საინტერესო რამ დაწერაო ტატომ.

— მამას ძალზე მოსწონს, ამბობს: დიდი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისათვისო. მაიკო, არ წაგიკითხავს?

— როგორ არა, წამიკითხა, მაგრამ მისი მოსმენა კაცს არ მოსწყინდება.

— აგერ, მოვიდა კიდეც. — ეკატერინე წამოდგა, ტატოს მიეგება. — დაიგვიანე, მოუთმენლად ველოდებოდით. — ტატომ გაუღიმა ეკატერინეს და ალექსანდრესაკენ გაეშურა. ალექსანდრემ მხარზე ხელი დაჰკრა:

— გაგვახარე, ტატო!

სტუმრები რბილ სავარძელში მოეწყვნენ და მზერა ტატოს მიაპყრეს. ტატომ რვეული გადაშალა და დაიწყო:

> მწყემსო კეთილო, შენს წმიდა სამწყსოს
> შემოვაქედრებ ჩემსა სამეფოს.

გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული გრიგოლ ორბელიანი სავარძელში იჯდა, თვალს არ აცილებდა ტატოს. „როგორ დავაქაცებულა". „გამარჯვებული დარჩნენ ივერნი", — ესმის ტატოს ხმა გრიგოლს. — „შენც გაგიმარჯვნია, ჩემო ტატო!" — უხარია გრიგოლს საყვარელი დისწულის გამარჯვება, ახლა უფრო ახლობელი ხდება მისთვის ტატო და კვლავ ფიქრები არ ასვენებენ. „რად გაგჩენია, ჩემო ბიჭო, შუბლზე ეგ ნაადრევი ღარები? ქართლის ბედზე ფიქრმა დაგჩაგრა განა?" იცის გრიგოლმა, ადვილი არ არის ქართლის ბედზე ფიქრი. მეფე ერეკლემ ყველა ქართველს ანდერძად დაუტოვა — ქართლის ბედზე იფიქრეთო. ამ ანდერძს გაჰყოლია ტატო და უცნაურად შეიფრთხიალა გრიგოლის გულმა. გაუხარდა, არ დავიწყებია

ტატოს დიდი ანდერძი მეფე ერეკლესი. ბედი ქართლისა აწუხებდა მეფე ერეკლეს, ბედი ქართლისა აწუხებს დღეს ტატოს და ასე იქნება მუდამ.

უეცარმა ხმაურმა გამოარკვია გრიგოლი. ტატოს კითხვა დაემთავრებინა და ულოცავდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ტატოსთან მკლავგაყრილი მიიყვანა წარმოსადეგი ყმაწვილი, რომელსაც ევროპული ტანსაცმელი ეცვა:

— გაიცანი და შეიყვარე, შენი ლექსების თაყვანისმცემელი, მიხეილ ბარათაშვილი, მასაც თავისი წვლილი შეუტანია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ტატომ ხელი ჩამოართვა მიხეილს.

— ნება მიბრძანეთ, შინაურულად მოგმართოთ, ტატო! — გაუღიმა მიხეილმა. მოსული და ჯმუხი ვაჟკაცი იყო მიხეილი. მაგრამ მეტად სათნო და ლმობიერი ღიმილი ჰქონდა.

— ამით მხოლოდ მადლიერი ვიქნები თქვენი.

შეიძლება დავმეგობრდეთ კიდეც. — კვლავ გაუღიმა მიხეილმა.

— ტატო, გეყოფა სერიოზული ლაპარაკი. — მიეჭრა ეკატერინე.

— იძულებული ვარ დაგითმოთ, დედოფლის სურვილი გარდაუვალია. — მიხეილმა მდაბლად თავი დაუკრა ჭავჭავაძის ქალს.

— რას მიბრძანებთ, დედოფალო!

— უკატერინეს მხნეობა დაუკარგა ტატოს პასუხმა, ბაგეები ჩაიკვნიტა და ძლივს წაიჩურჩულა:

— შენთვის დედოფალი ვარ?! ნუთუ დაგავიწყდა, რას მეძახდი?

— მომტაცეს იგი. — ისინი ფანჯარასთან იდგნენ, ნუშის ტოტს ქარი მინას ახეთქებდა და მოპირდაპირე დიდ სარკეში ჩანდა, როგორ არწევდა ქარი ბაღში ხეებს.

— და შენც სამუდამოდ დაივიწყე?

— მე მისი შუქი აღარ მინათებს, ჩამქრალმა ცეცხლმა სითბო დაკარგა. — ისინი დადუმდნენ.

დარბაზში დადიანი შემოვიდა.

სალომეს საეჭვოდ მოეჩვენა ეკატერინესა და ტატოს განცალკევება. მაიკო მოიხმო.

— მაიკო, შენს გაზრდას, ეკატერინეს დამიძახე, მხოლოდ არავინ შეგამჩნიოს.

მაიკო ეკატერინეს და ტატოს მიუახლოვდა, მის სმენას ტატოს სიტყვები მისწვდა:

— ესრე დამიხშო ჩემმა ბედმა ნუგეშის კარი.

— დედა გიხმობს, ეკატერინე! — ეკატერინემ წარბები შეიკრა, ისე შეხედა მაიკოს, თითქოს ვერ გაიგო, რას ეუბნებაო, უეცრად თავი მაღლა აიღო, ტატოს მიმართა:

— ბედი ქართლისა ჩემთვისაც გადაწერე.

ტატომ თვალი გააყოლა სწრაფად მიმავალს, რაღაც უჩვეულო იყო მის ხმასა და მოძრაობაში.

— ნამდვილი დედოფალია, შენ რას იტყვი, მაიკო!

— მკაცრი ხარ, ტატო!

— უკვდავება მხოლოდ მშვენიერი სულის საგანძურია, მას ვერც შემთხვევა, ვერც სანი ვერ დააბერებს.

— ნუთუ არ ხედავ იმ მსხვერპლს, რომელსაც ეკატერინე იღებს?

— ვერ ვხედავ მსხვერპლის საჭიროებას.

— პირადმა დარდმა გაგიქვავა გული?

— ჩემო მაიკო, თავი ანებე სხვაზე ზრუნვას, შენ როგორა ხარ, კარგო? მიხარია, მომჯობინებულს გხედავ.

— ვითომ! — მაიკომ ფანჯარას მიაშტერა თვალი.

შინ ერთად ბრუნდებოდნენ ტატო და მიხეილი.

— დიდხანს აპირებთ ჩვენთან დარჩენას?

— თეიმურაზ ბატონიშვილმა პეტერბურგის აკადემიაში მარი ბროსე მიიწვია, იგი ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმეს ჩაუდგა სათავეში. მეც დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ გადავწყვიტე ისტორიის შესწავლა, ამიტომ გამოვეშურე. ალბათ რამდენიმე წელი მომიხდება დარჩენა.

— ჩვენი აზრები ემთხვევა ერთმანეთს, ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლის საკითხი ჩვენთვის მტკივნეული საკითხია. შევუდექით კიდეც წიგნის დაწერას.

— მახარებს, რომ უკვე მიგიქცევიათ ამ საკითხისათვის ყურადღება. თუ ნებას მომცემთ, მეც დავესწრები თქვენს შეკრებას. გავეცნობი თქვენს გეგმებს.

— გადავწყვიტეთ, შევადგინოთ საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნი. მეხუთე საუკუნიდან დავანაწილეთ და ყოველი საუკუნე მივანდეთ თითოეულ ჩვენგანს. პლატონ იოსელიანს კი დავავალეთ დაწეროს ისტორია ქრისტეს დაბადებიდან მეხუთე საუკუნემდე.

— შემდეგ თათბირს აუცილებლად დავესწრები. კარგი იქნება,

ტატო, თუ თქვენც დაინალებთ ქართული მწერლობის ძეგლების, ქართული მანუსკრიპტების ნუსხის შედგენას.

— ყოველ მხრივ ვეცდები, ვემსახურო ჩემს ქვეყანას.

— იმედი მაქვს, გამიწევთ თანამგზავრობას, დამეხმარებით, გავიცნო ჩვენი ქვეყანა. ჩემი წინაპრები ვახტანგ მეექვსეს გაჰყოლია რუსეთში, მეც იქ დავიბადე და გავიზარდე. დღეს ბევრი რამ უცნობია ჩემთვის, თუმცა უცხოეთში მყოფ ქართველებს არასოდეს შეგვიწყვეტია მუშაობა, ვბეჭდავთ ქართულ წიგნებს, ვმუშაობთ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ვცდილობთ, კარგად შევისწავლოთ იმ ერის ენა, მწერლობა და ისტორია, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი.

ტატო შეჩერდა, მიხეილს შეხედა.

— და აჰა, ასრულდა ერეკლე მეფის აზრი. დღეს ჩვენ მამულში ბრუნდებიან გადახვეწილნი ჩვენი შვილები და თან მოაქვთ განათლება.

— გამოუვალმა მდგომარეობამ მიგვიყვანა მაგ დღემდე. გარდა მაგისა, ერეკლეს სწამდა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებოდა და ამიტომ რუსეთის მფარველობის მოსურნე ქართველმა მეფეებმა ყველაზე სწორი გამოსავალი მონახეს. სწამდათ, რომ რუსეთი დაიცავდა საქართველოს ოსმალეთისა და ირანის თავდასხმისაგან, ამას ხელს უწყობდა რჯულის ერთიანობაც.

— ამიტომაც თაყვანსა ვცემ მეფე ერეკლეს ნაანდერძევს. აქამდე თუ ხმლითა და ძალით ჰფლობდა ქართველი, ახლა მშვიდობიანი მოქალაქის ხელი მართავს. — კვლავ ჩაურთო ტატომ.

— მეფე ერეკლემ იმპერატრიცას აღთქმა დაადებინა, რომ საქართველოს საუკუნო მფარველობას გაუწევდა და მის მტერს საკუთარ მტრად იგულებდა.

— დღეს ვეღარ ერჩის ქართველს კასპიის ღელვა.

— რაღა თქმა უნდა, კრწანისის ბრძოლის დროს მომხდარ ღალატსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეგ მხოლოდ მიზეზი იყო. ბიზანტიის დამარცხების შემდეგ საქართველო გზას ეძებდა ევროპისაკენ და ამ ძიებამ იგი რუსეთამდე მიიყვანა.

— ერეკლეს სურვილი იყო, მშვიდობა ენახა საქართველოს. დიდ სახელმწიფოს მიაბარა თავისი ქვეყნის ბედი და სამუდამოდ ჩააგო ხმალი...

სიჩუმე ჩამოვარდა. თავთავიანთმა ფიქრებმა წაიღო ორივე.

— შეუმჩნევლად მოვსულვართ თქვენს ბინამდე, მიხეილ!

— შემობრძანდით, განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

— არა, გვიან არის.

უგუნებოდ გახდა ტატო საუბრის შემდეგ. მარტოობა უნდოდა, ამიტომ აღარ გაჰყვა მიხეილს. დაფიქრებული მიდიოდა, მიაბიჯებდა ტრიალ მინდორზე. ცერიანი ბალახები ესალმებოდნენ და ეჩურჩულებოდნენ: „ჩვენთან, ჩვენთან მოდი, კარგო, მოგიალერსებთ, განუგეშებთ, გაგიხარებთ მარტოობით განაწამებ გულს“.

ტატომ მიმოიხედა, უცხოდ მოეჩვენა ნაცნობი ადგილები. ჩაჯდა, სამყურა ყვაოდა ირგვლივ. დაწვა, სახე სამყურას რბილ ფოთლებში ჩარგო. სამყურას ყვავილებმა და ბაბუაწვერამ სახეზე მიუალერსეს, თითქოს ცრემლების შეშრობას ფიქრობენო, თვალებზე მიელამუნენ. ეამა სამყურას ალერსი, ნორჩი ბალახისა და თავისი ქვეყნის მიწის სუნმა თავბრუ დაახვია.

— მამაო ღმერთო, მიმიღე ძე შეცდომილი! — მუდამ ასე იქნება დაწოლილი მშობლიურ მიწაზე, შეიგრძნობს მის სუნს და ეს ეყოფა ნუგეშად ამ ქვეყანაზე, მუდამ ილოცებს თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის. მშობელი გაიგებს მის გულისტკივილს, როცა ნახავს განსაცდელში. სჯერა ტატოს, მშობლიური მიწა დაიფარავს მას ყოველგვარი გასაჭირისაგან, და მიწას ჩასძახა ტატომ:

— ჰოი, სახიერო, ნუ დამიკარგავ სასოებას, ცხოვრების წყაროვ, მასვი წმინდა წყალი შენი და მით დამიამე გულის სატკივარი...

ტატოს ცრემლი წასკდა. ცრემლი ეფრქვეოდა სამყურას ფოთლებს, და ტატო ჩასჩურჩულებდა მიწას და სამყურას:

— ვინც მაღალი გრძნობის მქონე მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია; ვისი ცრემლიც მეგონა ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილა ნიშანი ცბიერებისა, წვეთი საშინელ საწამლავისა. სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? — უტყვი იყო მიწაც და სამყურაც, ნუგეშს არც ერთი არ იძლეოდა. უეცრად ტატომ შეიგრძნო, როგორ წამოადგა ხმა იდუმალი:

— ურჩო, რად არ გესმის ჩემი! დამემორჩილე, გასწავლი, როგორ უნდა მოიპოვო ბედნიერება: დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა და იცოდე, იქნები ჭეშმარიტად ბედნიერი.

წამოხტა ტატო, აქედანაც უნდა გაიქცეს, აქაც მოაგნო იდუმალ-

მა ხმამ. მირბოდა ტატო, თითქოს კვალდაკვალ ვიღაც მისდევსო. ფეხი წამოჰკრა, დახედა: სასაფლაოს ქვა თეთრად კიაფობდა მთვარის შუქზე და ოქროსფრად ბრწყინავდა წარწერები.

არც ერთი სული, გარშემო საუკუნეობრივი სიცარიელე. შეაკრთო ტატო სასაფლაოს იდუმალებამ და ქვაზე ჩამოჯდა...

— აი, ბედკრულის ნუგეშისცემა, დასასრული ბედნიერების! — კვლავ ჩასჩურჩულებდა ხმა იდუმალი.

დუმილიც მიმითვალე ზენდამი ლოცვად

ღამის წყვდიადში ნელ-ნელა იკრებოდა დილის შუქი. თანდათან ნათდებოდა ჩამობნელებული ქუჩა, პირქუშად ჩამწკრივებულ სახლებსაც ნათელი ადგებოდა, ეფემია ახლა უკვე ხედავდა სახლის ბანებსა და სარკმლებს. სიცარიელე იყო ქუჩაში, არავინ არღვევდა მყუდროებას, მხოლოდ ეფემია არ აცილებდა თვალს ვიწრო ქუჩას. ხანგამოშვებით მოეჩვენებოდა, ვიღაც გამოჩნდაო, მაგრამ მოძალებული დილის შუქი არწმუნებდა, რომ კვლავ ცარიელი იყო ქუჩა. აგერ ინათა, ქუჩაში გაისმა ფეხსაცმელების ქუსლების ბაკუნი. ვაჭრები მიეშურებიან თავიანთი დუქნების გასაღებად. შორს, ქუჩის თავში ვიღაც მაყალს აღვივებდა და შამფურზე აგებდა ქაბაბს. პატარა ბიჭს დუქნის შესავალთან ძლივს გამოჰქონდა გასასყიდი საქონელი.

მტრედების გუნდი აფრინდა ცაში. სახურავზე ჩამწკრივდნენ, ფრთებს ისწორებენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებიან, რაღაცას უამბობენ. აი, ყველა მათგანმა სათითაოდ შეიფრთხიალა, დატოვეს სახლის სახურავი და სულ ზევით და ზევით აფრინდნენ. ეფემიამ თვალი გააყოლა. მათი სილაღე ინატრა. ამ დროს ვეებერთელა ფრინველმა ჩამოუქროლა მტრედების გუნდს და გაფანტა ისინი. „მაგათაც აქვთ თავიანთი დარდი", — გაუელვა ეფემიას და მისი ფიქრები კვლავ ტატოს დაუბრუნდა.

მთელი ღამე არ უძინია ეფემიას, ასე ზის აივანზე და გასცქერის სივრცეს. დღეს უგუნებოდ იყო ტატო და შიშობს დედის გული, ამდენ ხანს რომ დაიგვიანა.

სიზმარია თუ წარსულის მოგონება? ტატო რაც ფეხმოტეხილი მოუყვანეს სახლში ეფემიას, მის შემდეგ აღარაფერი უსრულდება

ბიჭს, თითქოს გზა შეიკრა მისმა ყოველმა სურვილმა. აი, პირველად გაიარა ტატომ ფეხის მოტეხის შემდეგ, დედის გულმა დაიკვნესა დაკოჭლებული შვილის დანახვაზე.

ეს ვინ არის, მის მუხლებზე თავი რომ დაუდვია და ხელებს უკოცნის? — გამოერკვა, დახედა, ვერ იცნო.

— დედა, რად ზიხარ აქ? — ახლოლა შეიცნო შვილი ეფემიამ.

— სად იყავ, შვილო, ამდენ ხანს?

— ორთაჭალაში, დედა, მიცდიდი?

— დაიგვიანე, შვილო, შემეშინდა.

— მაპატიე, დედი, მაპატიე! — ტატომ ზე აიტაცა ეფემია, ოთახში შეიყვანა, თავის საწოლზე დასვა.

— ბავშვი ხომ არა ვარ, დედი, რად გაიწამე ღამე.

— არ გაგიფრთხილებივარ, შვილო!

— მაპატიე, დედი!

— წადი, შვილო, დაისვენე, საცაა გათენდება.

— როდი მეძინება, დედა, ახლა შემიძლია მთელი თბილისი შემოვიარო.

— თბილისში ახალი არაფერია, შვილო, მხოლოდ დადიანი ჩამოსულა ქორწილისათვის.

ტატომ დედის ხელს ხელი წაატანა.

— დედა!

ძილი გაუტყდა ეფემიას, შვილის შეძახილმა და მისმა გაბრწყინებულმა თვალებმა აგრძნობინა, რომ არ მოშუშებია ტატოს ჭრილობა. დედის გული მიხვდა, რა მტკივნეულ ადგილს შეეხო. დაენანა შვილი, ძილის შემდეგ მეთქვაო მაინც. ცრემლებით აევსო თვალები. მაშ, ისევ ძვირფასია ეკატერინე ტატოსათვის? ინატრა, ნეტავ არ გასჩენოდათ ჭაკჭაკაძიანთ კატო. თავისთავს უსაყვედურა, რად ვერ იგრძნო დედის გულმა შვილის ტანჯვა, რად ვერ მიხვდა, რომ ტატოს ჭრილობა მიყუჩებული იყო მხოლოდ და არა განკურნებული.

ნუთუ სამუდამოდ დაბნელდა ტატოს გზა? ნუთუ ვერასოდეს იპოვის თავის ხვედრს, ნუთუ ვერასოდეს მოიცილებს კაეშანს? აკენესდა დედის გული, შვილის ხვედრით განაწამები.

აღარც ტატოს დასძინებია. როგორ სწყუროდა მის სულს ბედნიერება და სიხარული, მაგრამ სადღა იპოვის მას. წავიდა ბედნიერი დღეები, მოგონებებიღა დარჩა ტატოს. აწმყო — აუტანელი და მო-

მავალი — ბნელი. სამუდამოდ დაეხურა ბედნიერების კარი. პოეზია, სიყვარულისათვის დავიხშო გული და მხოლოდ პოეზიას ვემსახურო!

ერთხელ, ერთხელ მაინც გამოანათოს ტატოს ბედის ვარსკვლავმა, ერთხელ მაინც განაცდევინოს ნამდვილი სიხარული! მხოლოდ ერთი, ერთი წამი ბედნიერებისა, და ტატოს აღარაფერი ექნება ამ ქვეყანაზე სამდურავი.

* *

საზეიმოდ მოერთოთ ჭაეჭაეაძიანთ დიდი დარბაზი. ჭაღების სინათლეზე ელვარებდნენ ქალთა ბრილიანტები და მამაკაცების ეპოლეტები.

დაბალ ტახტზე მჯდომ მანანას გრიგოლი უჯდა გვერდით, საიდუმლოდ საუბრობდნენ ისინი. ალექსანდრე სასიძოსთან ერთად ბოლთასა სცემდა ოთახში.

ფორტეპიანოსთან ეკატერინე იჯდა და გაისმოდა მისი სიმღერა: „მოციმციმდი, მოდი, გამომედარე, შენგან ბნელი გული ვამომიდარე“.

ტატო კარებშივე შედგა. ისევე იჯდა ეკატერინე ფორტეპიანოსთან, როგორც ოდესღაც, ისევ ისე ჩამოშლოდა შავი კულულები მხრებზე, როგორც წინათ, დიდი ხნის წინათ, მაგრამ განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ტატოს ეკატერინე არ უნახავს?

„ყველა ჩემი ფიქრი შენ გეკუთვნის, ციხიერო, — წაიჩურჩულა ტატომ, — როგორ შემიძლია უშენობა, მე ხომ მხოლოდ შენს ახლოს შემეძლო სიცოცხლე, შენმა სიყვარულმა გამხადა ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უბედურიც ადამიანებს შორის! ნუთუ ყველაზე უბედური ვარ, რაც კი ქვეყნად ღმერთს გაუჩენია?“

ეკატერინემ დაკვრა გაათავა, ტაშის ხმამ დაფარა დარბაზი. გიორგი, ილია, ლევანი, მიხეილი მივიდნენ ეკატერინესთან, ხელზე ეამბორნენ მადლობის ნიშნად, ეკატერინე ღიმილით მადლს უხდიდა ყველას.

ტატოს არ ახსოვს, როგორ გაჩნდა ეკატერინეს წინ, და როცა ტატომ მის პატარა ხელს ბაგეები შეახო, იგრძნო, როგორ თრთოდა, აიხედა, ეკატერინეს სახემ შეაკრთო, როგორ გაქეავებოდა სახე! ტატოს თვალებმა თითქოს გამოარკვია იგი, ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. უჩვეულო იყო ტატოსათვის ეკატერინეს სევდიანი ღიმილი. წუთით შეჩერდა, შეებრალა ეკატერინე, იქნებ მართალია მაიკო და ეს მსხვერპლი მძიმეა ეკატერინესათვის.

— რად არაფერს მეტყვი, ტატო, არ მოგეწონა ჩემი სიმღერა? — ჩაესმა ეკატერინეს ჩურჩული და თითქოს თავისთავად წამოცდა მიეიწყებული სიტყვა.

— ცისიერო, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად! — და თავდახრილი გაჩერდა ეკატერინეს წინ.

გასრესილი ზროზანი

ქაშვეთში შემავალი ვიწრო ქუჩა ხალხით გავსილიყო. ტაძარში ფრთხილად შედიოდნენ რჩეულნი. ყველას გზისაკენ ეჭირა თვალი და აქა-იქ ზოგჯერ გაისმოდა:

— არ მოდიან?

ჭადრის ხეებში ბავშვები შეხუნძლულიყვნენ. მოუთმენლად მოელოდნენ მეფე-დედოფალს. ყველას უნდოდა დაენახა ნამდვილი დედოფალი.

საზეიმოდ გამოიყურებოდა მოხუცი ტაძარიც. უხაროდა, სადედოფლოდ გზაევნიდა მშვენიერ ასულს. განვლილი დრო აგონდებოდა, კარგა ხნის განვლილი დრო, მუდმივ დედოფლებს რომ ამკობდა გვირგვინით.

— დედოფალი მოდის, დედოფალი!

ხალხი შუა გაიყო. ტაძრის შესავალთან შედგა პირველი ეტლი. ეტლიდან გადმომხტარმა გიორგიმ ხელი მიაშველა ეკატერინეს.

— უხ, რა ლამაზია დედოფალი! — აღმოხდა ყველას.

ტაძრის შესასვლელისაკენ გაეშურა თეთრადმორთული ასულებით გარშემორტყმული დედოფალი. ხალხმა მეორე ეტლს მიაპყრო თვალი და კვლავ გაისმა.

— მეფეც ლამაზია!

და ბრჭყვიალებდნენ მზის შუქზე ვაჟკაცების ბრწყინვალე მუნდირები, იბნიდებოდნენ თეთრი ვარდები.

ჩახჩახებდა უამრავი სანთლის შუქით განათებული ტაძარი. საზეიმოდ იღიმებოდა ყოველი სანთელი. დედოფლის გასასვლელ გზას ანათებდნენ ისინი. სიჩუმე იყო ყველგან, მხოლოდ ჩურჩული თუ გაისმოდა აქა-იქ.

დედოფალი თავდახრილი იდგა საკურთხეველის წინ. აი, მეფემაც დაიკავა თავისი ადგილი. ილიამ ფეხის წვერით გაასწორა მეფე-დედოფლის ფერხთით დაგებული ფიანდაზის გადაკეცილი ყური. უმცროსი დადიანი მიუახლოვდა მათ, შიშველი ხმალი დაუდო ფერხთა წინ. დედოფალმა პატარა ფეხი ლაპლაპა ლითონს დაადო და ოდნავ აეწია მოშვილდული მარცხენა წარბი.

სვეტზე მიყრდნობილი ტატო თვალს არ აცილებდა ეკატერინეს. მან ადრევე დაიჭირა ეს შეუმჩნეველი ადგილი.

თავდახრილი იდგა ეკატერინე, აღარც სახე უღიმოდა მუდამ მხიარულს. „იქნებ გრძნობს, რომ ვხედავ". — გაუელვა ტატოს. — თითქოს სანთლიანი ხელიც უკანკალებს. თუ ეს სანთლის ალის ციმციმია მხოლოდ?

რა ფერმიხდილი ჩანს თეთრ ტანსაცმელში! რა მოხდენილად ციმციმებენ სანთლის ალზე ეკატერინეს თავზე ჯილის მარგალიტები! თითქოს ტატოს ცრემლებია, თავზე რომ დადენია. მხრებზე დაყრილი ხუჭუჭი თმები სითეთრეს უკარგავენ თავსაბურავს. საყურის თვლები დროდადრო ბუჩქში მიმალულ ციცინათელასავით აშუქებენ.

მღვდელმსახურების არც ერთი სიტყვა არ ესმის ტატოს. ვერც ვერავის ხედავს, მხოლოდ ფერმიხდილი ეკატერინე არსებობს მისთვის.

ბავშვობიდან არასოდეს უნახავს ეკატერინე დამორცხვებული. მუდამ ამაყი იყო, იმთავითვე დედოფლობის მოსურნე და მოაგონდა: ბავშვობისას როგორ თამაშობდნენ დედოფლობას, მოაგონდა ეკატერინე ყვავილების გვირგვინით შემკული.

— ქვრივად დარჩება ლამაზი დედოფალი. — ჩაესმა ტატოს. მოიხედა, დედაბრები ჩურჩულებდნენ, თვალი გააყოლა მათ მზერას. მეფეს ხელში სანთელი ჩაფერფლოდა.

როცა საამბორებლად დაიხარა მეფე, მხოლოდ მაშინ მოსწყვიტა თვალი ტატომ და მაიკოს სევდიან თვალებს წააწყდა, მისკენ მომზირალს. — რამოდენა თმები ჰქონია მაიკოს.

— დედოფალი შეწუხდა, დედოფალი! — გაისმა ჩურჩული ტაძარში. ეს ხმა ერთიდან მეორესთან გადადიოდა, თითქოს ტაძრის ვეება კედლებიც მწუხარებით იმეორებდნენ:

— დედოფალი შეწუხდა, დედოფალი! — ხალხი შეინძრა, შუა გაიპო და ტატომ კვლავ დაინახა მისი ფერმიხდილი სახე, ძირს დახრილი თვალები. რად წართმევია ჩვეულებრივი სიამაყე ეკატერინეს? რად თრთის მისი ხელი მეფის მკლავში? რად დაკარგვია სიმტკიცე მის ნაბიჯს? — ტატო მისჩერებია მის ფერმკრთალ სახეს და იცის, ეს უკანასკნელია, დღეიდან ეკატერინე დაკარგულია მისთვის.

იცლება ტაძარი.

ტატო დაჰყურებს დაცარიელებული ტაძრის იატაკზე მიმოფანტულ ყვავილებს, ეკატერინეს ნაფეხურზე შროშანი აგდია, ის შროშანი, მკერდს რომ უმშვენებდა. შროშანის ასაღებად დაიხარა.

— გამიკითხე, შვილო! — ჩაესმა. შეკრთა. აიხედა. აქ ხომ აღარავინ იყო ტატოსა და ყვავილების მეტი. ეს ვინ არის, დამჭკნარ სახეზე ჯოჯოხეთური ღიმილი რომ უკრთის, გამხმარი ხელით და ვეებერ შავი ფრჩხილებით მისკენ რომ მოიწევს? უკან დაიხია. ეს ალბათ ის კუდიანი დედაბერი იყო, ბებია რომ უამბობდა ოდესღაც, ჭაბუკს გული რომ ამოაცალა.

— გამიკითხე, შვილო!

ტატო წელში გაიმართა. შროშანისაკენ გაწვდილი ხელი მოხუცისაკენ წარემართა.

— დედოფლის საკეთილდღეოდ გამიკითხე! — განაგრძობდა ჩიფჩიფს მოხუცი.

ტატომ თვალი გააყოლა გასავლისაკენ მიმავალ დედაკაცს. გაურკვეველად ისმოდა მოხუცის ბუტბუტი და ასე ეგონა, ლოცვის მაგიერ სწყევლისო ეკატერინეს. უნდოდა ჩქარა გასცლოდა აქაურობას, სადაც ფეხქვეშ ისრისებოდნენ ტაძრის იატაკზე მიმოფანტული ყვავილები. და აი, დედაბერის ფეხმა ეკატერინეს მკერდიდან ჩამოვარდნილი შროშანიც გასრისა. თითქოს მისი კვნესა მოესმა ტატოს, სწრაფად დაიხარა. ხელში აიღო გასრესილი შროშანი, დამჭკნარიყო ჯერ ისევ ნორჩი. ტატოს თითქოს ჩაესმა მისი ნაღვლიანი ჩურჩული:

— შენც დაგჭკნობია ჭაბუკობა, ტატო.

და ცრებოდა ტაძარში სანთლები. ბნელდებოდა გარშემო. არა, არ უნდა ასე უდროოდ ჩაქრეს მისი სიცოცხლე. სწრაფად გამოვიდა ტაძრიდან, მტკვრისაკენ ჩაუხვია. ნელი ნაბიჯით ჩაჰყვა ნაპირს. მზის

სხივები წყლის ზედაპირზე იმსხვრეოდნენ. ბავშვობის დროსაც ხშირად ყოფილა აქ, მამის მეთევზეებთან ერთად. ბავშვობის დროსაც უყვარდა ეს განმპრტოებულად მდგარი ჩინარი.

— შენი ხნისაა, ტატო, ეს ჩინარი. — ეტყოდა ხოლმე კაკალა. ამ ჩინარს მიეყრდნო, გადახედა მტკვარს — მრავალ დროების მოწამე მოხუც მტკვარს.

გულის სიღრმეში ვიღაც აუჯანყდა და ტატომ იგრძნო დიდი ძალა, შებრძოლება მოუნდა უკუღმართ ბედთან. ბოროტი ხმა კი ხითხითებდა:

— განწირულო ადამიანო! შენ კვლავ დარჩები მარტოდმარტო ტრიალ მინდორზე.

უეცრად შური დაეუფლა. შეშურდა სხვისი ბედნიერება, რომელიც მისთვის მიუწვდომელი იყო.

ბუტბუტებდა მოხუცი მტკვარი. შრიალებდა ჭაბუკი ჩინარი და ორივე სულით ობლობაზე შესჩიოდა ტატოს.

დილით ადრე გაემგზავრა დადიანი თავისი ამალით სამეგრელოში. ოქროსფერ ცხენზე იჯდა ეკატერინე. ამომავალ მზის სხივებზე ბრწყინავდა დადიანისეული ცხენის ძვირფასი მოსართავი.

შეჩერდნენ მიმავლები.

ეთხოვებოდნენ ეკატერინეს.

ტატო მიეახლა, კაბის კალთაზე ემთხვია და ეკატერინეს სმენას მისწვდა:

— შენც ჩემსავით სულით ობოლი ხარ! — სწრაფად მოსწყვიტა ცხენი ადგილიდან და თბილისისაკენ გააქანა. მაიკომაც მოსწყვიტა ცხენი და ტატოს გამოუდგა.

ეკატერინემ უკანასკნელად თვალი გააყოლა მიმავლებს, ამხედრებულმა მხლებლებმა შუაში მოიქცეს და წაიყვანეს ჭაეჭაეაძის ასული დედოფლად.

ტატოსა და მაიკოს ცხენებმა შორს ჩამოიტოვეს დანარჩენნი. ჩამორჩენილებს ვეღარ ხედავდნენ. ცხენები შეაჩერეს და ახლა უკვე ჩორთით განაგრძეს გზა. სიჩუმე მაიკომ დაარღვია.

— რა დაგემართა, ტატო?

— ჰაერი აღარ მყოფნის, მაიკო, სულით ობლობა მაწუხებს.

— თავი ანებე მაგ ფიქრებს, ტატო, იქნებ სცდები და სხვა უკეთესი ჰპოვო.

— არა, მაიკო, ერთხელ დაობლებული სული მხოლოდ ოხვრაში ჰპოვებს შვებას.

ცხენის თქარათქური მოისმა. ლევანი შეეხმიანა მათ.

— რად გამოიქეცით, მაიკო, გაენებს ჩქარი სიარული.

— ჩვენ აღარ მივიჩქარით, ლევან!

— დღეს აუცილებლად მიდიხარ, ტატო? — ახლა ტატოს მიუბრუნდა ლევანი.

— დავაგვიანე, აღარც გული მიდგება ქალაქში.

მაიკომ ცხენი შეაჩერა და მომავლებს დაელოდა.

• •

ბარათაშვილები ტატოს ამზადებდნენ ნახჭევანში გასამგზავრებლად. გამდელი უგუნებოდ დაბორიალებდა ოთახებში, ეფემიას ხელიდან უვარდებოდა შვილისათვის ჩასალაგებლად გამზადებული ნივთები. აი, ეფემიამ ჩამოიღო ტატოს წიგნები, ყოველი მათგანი გადაფურცლა, მიუალერსა, ყოველ მათგანს დედის ცრემლი გააყოლა.

შინ დაბრუნებული ტატო ოთახში შევიდა. დაცარიელებულიყო ოთახი, შეკრული მაფრაშებიღა იდო შუაში. ცარიელი კედლები, ცარიელი წიგნის თაროები. თითქოს საყვედურით უყურებდნენ. დედას ყველაფერი ჩაელაგებინა. იქაურობა მოათვალიერა. მაგიდის უჯრა გამოსწია, საიდუმლოდ შენახული პატარა ყუთი ამოიღო, გახსნა. ეკატერინეს ცალი საყურის მარგალიტებმა შემოანათეს. ერთ დროს მისი ჩრდილის თამაშმა ანატრებინა ტატოს „მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვასო?“ და ასე ნატვრად დარჩა ტატოს სურვილი. წუთით თვალები დახუჭა, კვლავ დახედა საყურეს, ცრემლი ჩამოუგორდა, საყურის მარგალიტებს შორის დაეცა. ტატო დასცქეროდა საყურეს. ვეღარ გაარჩია, მარგალიტები ეყარა ზევიდან თუ მისი ცრემლები იყო, ეკატერინეს საყურეზე რომ ციმციმებდნენ.

მარგალიტები ცრემლებივით დააყარა ოსტატმა და სამუდამოდ დაცრემლილი დარჩა ეკატერინეს საყურე. ფეხის ხმამ ფიქრი შეაწყვეტინა ტატოს, საყურე გულის ჯიბეში ჩაიდო.

მელიტონი საეარძლით გამოიყვანეს აივანზე ტატოს გამოსათხოვებლად. მან გულში ჩაიკრა გასამგზავრებლად გამზადებული შვილი.

— ჩვენი ოჯახის ნუგეშად შენღა დარჩი, შვილო! ოჯახის დახსნის

სურვილმა შორი გზა გაგიმზადა. ღმერთმა სურვილები აგისრულოს და ჩვენი დახსნა შეგაძლებინოს ამ გაჭირვებისაგან.

ეფემია უსიტყვოდ ცრემლებს აფრქვევდა შვილის მკერდზე. გულზე ხელებდაკრეფილი მისჩერებოდა დროშკაში ჩასაჯდომად გამზადებულს და მხოლოდ ორ სიტყვას იმეორებდა:

— როდის დამიბრუნდები, შვილო!

დილით მზის ამოსვლისას ეკატერინე გააცილა თბილისმა სადედოფლოდ, მზე ჩადის და ტატოს აცილებს ბედის საძებრად.

აყვავებულ იასამნებს შორის მიდის ტატოს გზა, მოწმენდილ ცაში სრიალებენ მერცხლები და ჩამავალი მზის სხივებზე ლაპლაპებს სიონის ტაძრის გუმბათი. გაახსენდა ის დღე, როცა სიონის ზარის შემოკვრით აპირებდა თბილისის გაღვიძებას და ეს სურვილიც ოცნებად დარჩა მხოლოდ.

ტატო ეთხოვება ყველაფერს, შორდება თბილისს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე დღეები ახსოვს აქ!

ყორნების ყრანტალმა ფიქრები შეაწყვეტინა, ჩინარის კენწეროებზე ჩამომჯდარი ყორნები დროშკის ხმაურმა შეაშფოთა, ყაყანით წამოიშალნენ.

ახედა ტატომ ცას, უკან რჩება თბილისის მოსარკული ცა და ყრანტალით მისდევდნენ ყორნები ტატოს ნაკვალევს. თვალები დახუჭა და ხმა იდუმალი აჩურჩულდა:

მიჰქრის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი...

ეპილოგი

ორი გული

ბაღიდან მონადენმა ხმაურმა შეაკრთო ეკატერინე. მოჯრილი ფიქრები თავის გაქნევით მოიცილა. წამოდგა, ვეებერთელა სარკეში მთელი ტანით გამოჩნდა. თვალი შეავლო თავის ანარეკლს, ეუცხოვა. შავ თმებს თეთრი ზოლი გასდევდა შუბლის ზემოდან. ხელი გადაისვა თეთრ ზოლზე. აციმციმდნენ ჭაღის სინათლეზე ისინი. სამშობლოდან შორს გატარებული დღეების მოწმეებად გაჩენოდნენ ისინი ეკატერინეს. მაღალ შუბლსაც გადაჭკვროდა ზოლი მთელ სიგრძეზე, ესეც სამშობლოს სევდამ გაუჩინა ეკატერინეს. უცხოდ მოეჩვენა თავისი თავი. სარკეს მოსცილდა, ფანჯარასთან მივიდა, ორივე ხელით გამოაღო, მონადენ სიოს სახე მიუშვირა. სიომ შეარხია მარმაშის ფარდები. ოთახში შემოიჭრა, ეკატერინეს სახეს მიუალერსა, შუბლს ზემოთ თეთრი ზოლი აუშალა და მთელ თავზე გადააყარა ვერცხლივით მოელვარე თმები. აშლილ თმებზე ხელი გადაისვა ეკატერინემ, სახეზე ნაღვლიანი ღიმილი გაეკრა. ანაზდად თბილისი მოაგონდა. ფანჯარას რომ გამოაღებდა, თბილი და რბილი სიო იჭრებოდა ოთახში, ალერსით გადაურბენდა სახეზე და ოთახს ფეხაკრეფით შემოიღლიდა. ზევიდან მოსარკული თბილისის ცა დაჰყურებდა, შორიდან კი ისმოდა მტკვრის გულჩათხრობილი დუდუნი, გარს რომ ეკვროდა კლდიან ნაპირებს. შორს, შორს მეტიეები გამოჩნდებოდნენ ჩირაღდნებით და ქარს გრიგოლის ლექსის სიტყვები მოჰქონდა: — „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“... და ეკატერინეს მოეჩვენა იქ, იქ იყო თბილისში, გადასცქეროდა მტკვარს, თვალს ადევნებდა მეტიეებს და ესმოდა მათი სიმღერა.

ბაღიდან შემოჭრილმა ხმაურმა გამოარკვია ეკატერინე. ფანჯარაში გადაიხედა, მისი ქალ-ვაჟი სკამებზე ისხდნენ და შესჩერებოდნენ მათ წინ მდგარ ახალგაზრდას. შავი კოსტიუმი ეცვა ჭაბუკს, გა-

ნიერი მხრები, მაღალი შუბლი ჰქონდა. ხელშემართული იდგა ჭაბუკი. თვალები უბრწყინავდა, რბილი და მეღერი ხმა ჰქონდა, მისი სიტყვები არ ესმოდა ეკატერინეს, მაგრამ ვის აგონებს მისი მოელვარე თვალები, გაბრწყინებული სახე და მაღალი, სპეტაკი შუბლი?.. შეკრთა ეკატერინე, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ხელი აუკანკალდა, ბაგეები აუთრთოლდა და გულმა თავისთავად წამოიძახა მივიწყებული სახელი.

— ტატო!.. — ჭაბუკმა თითქოს გაიგონაო ეკატერინეს ჩურჩული, მთელი ტანით მობრუნდა მისკენ და მისმა გაბრწყინებულმა თვალებმა კვლავ ტატოს თვალები მოაგონეს ეკატერინეს... ეს ხომ ტატო იყო, დიდ დარბაზში მარჯვენა ხელი ზე აღემართა და მოესმა მისი სიტყვები: „მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანი“... და აი, ტატოს ხმას ძალა ემატება და კვლავ ისმის იმედით სავსე ერეკლეს ხმა... დიდხანს იდგა ეკატერინე. დიდხანს ესმოდა ტატოს ხმა და აი, გაისმა: „დიდი ხანია გულს ირაკლისა გადუწყვეტია ბედი ქართლისა“... და სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში. ამ სიჩუმემ შეაკრთო ეკატერინე, თვალები გააახილა, მიმოიხედა. სამშობლოს სევდა გამოჰყვა თან. დღენიადაგ ნატრობდა იმ საოცნებო მხარეს, სადაც პირველად დაინახა სინათლე. ყველაზე ნათლად გადიშალნენ მის თვალწინ სამშობლო მხარის ის სურათები, რომლებიც გამოთხოვების დროს აღიბეჭდა მის გონებაში. სწრაფად მოსცილდა ფანჯარას, სამუშაო მაგიდის უჯრა გამოაღო, ათრთოლებული ხელებით დაუწყო ძველ ნივთებს გადმოლაგება. აი, მამის კრიალოსანი, დედის შუბლის ქინქისთავი, პატარა ნინოს ბეჭის კულული, გრიბოედოვის ხელთათმანი... და კვლავ მოეჩვენა ეკატერინეს — ეტლის საფეხურზე ფეხშედგმული გრიბოედოვი, უკანასკნელად რომ ეთხოვებოდა მათ. აი, მიდის ეტლი და კვლავ ხედავს ეკატერინე, როგორ ირხევა ჰაერში გრიბოედოვის ხელთათმანი. ესეც თბილისიდან წამოღებული აყვავებული ნუშის ტოტი და ტატოს ხელით ნაწერი რვეული.

ეკატერინე საკარძელში დაეშვა. ხელები უღონოდ დაუცვივდა მუხლებზე და ათრთოლებულმა თითებმა ფურცელა დაუწყეს ტატოს რვეულის შეყვითლებულ ფურცლებს. აშრიალდნენ რვეულის ფურცლები თითებში და ეკატერინეს მოეჩვენა, რომ კვლავ იგრძნო ტატოს გულისძგერა. ეს ხომ ტატოს გული იყო, ტატოს ბობოქარი გული, თავის ქვეყანას დაშორებული რომ ჩაიხვია შავმა მიწამ და შეწყდა მისი გულის ბობოქრობა, შეწყდა მისი მერანის დაუსრულებელი

ქროლვა და დაისვენა მისმა გულმა!.. ტატოს გული აქ არის, ამ პატარა რვეულში. კვლავ ესმის ეკატერინეს მისი გულის ფეთქვა, ის ხომ ეკატერინეს თავის ხელით მოუტანა ჭაბუკმა ტატომ, მაგრამ აქ რა უნდა ტატოს გულს? ტატოს გული იქ უნდა იყოს, თავის თბილისში.

ზარი დარეკა ეკატერინემ, მსახურს უთხრა, უხმეო ახალგაზრდებს. როცა ახალგაზრდები შემოვიდნენ, შუა ოთახში იდგა ეკატერინე, ჭაღის ელვარებას გაეშუქებია იგი, მისი თვალები იმედით შესჩერებოდა ჭაბუკს და ლოცვასავით გაისმა მისი ხმა:

— დიდხანს ველოდი ღირსეულ შვილს ჩვენი ქვეყნიდან, ილია! დღეს ბაღში ჩემს შვილებთან მოსაუბრე დაგინახე და ვიგრძენ ღირსეული იყავი, გადმომეცა ჩემი ანდერძი. ჩემს დროს თბილისში იყო ჭაბუკი, რომელსაც ისევე უცემდა გული, როგორც შენ. მას თავის ქვეყანაში განსვენებაც არ ეღირსა, უცხო მხარეში ქარიშხალმა ზარით, ღრიალით მიაყარა მიწა. მისი გული კი მე წამომყვა, ქართლის ბედისათვის ძგერდა ის და ვალდებული ვარ, მასვე დავუბრუნო.

ეკატერინემ ორივე ხელით გაუწოდა რვეული ილიას. ილიამ ჩამოართვა და თავდახრილი ეამბორა ეკატერინეს ხელს.

ეკატერინეს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე და ეფრქვეოდა შავი ხავერდის კაბას. შვილები გაოცებული შესჩერებოდნენ დედას. პირველად ხედავდნენ მტირალს.

— იქ, ჩემს თბილისში, მთაწმიდის გულში, ჩემთვის წმინდა საფლავებია ნინოსი და გრიბოედოვის. მიდი მათთან, ჭაბუკო, უთხარი მათ, რომ ეკატერინემ ტატო ბარათაშვილის გული გამოგატანა. გრიბოედოვის ბობოქარი გული იცნობს მას.

ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე ქუჩაზე ფართო ნაბიჯებით მიაბიჯებდა. მას ორივე ხელით ტატოს გული — ლექსების რვეული ჩაეკრა, თავი მაღლა აეწია, ქარი უფრიალებდა შუაზე გაყოფილ თმებს, მისი გაბრწყინებული თვალები სადღაც შორს, შორს იცქირებოდა და გრძნობდა, ტატოს მიერ გათელილ ბილიკზე მიაბიჯებდა. უხაროდა, რომ ტატოს გული მიჰქონდა თბილისში, საქართველოს გულთან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ყმაწვილკაცობა მემატიანისა 3

სიბაგუკე პოეტისა 147

ДЕНДАРЕНАШВИЛИ КЛАВДИЯ МАНУЕЛОВНА

Два романа

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Мардканишвили, 5
1988

რედაქტორი რ. სირაძე
მხატვარი ა. ხამაშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორები: ე. ნიკაბაძე, რ. ნიკოლაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 4084

გადაეცა წარმოებას 18.11.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.03.88. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირ. ნაბ. თაბ. 20,93. პირ. საღ.-გატ. 21,05. საალრ.-საგამ. თაბახი 18,7. ტირაჟი 10 000, შეკვ. № 9957.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს-სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.